

არმაზ სანებლიძე

დაც
იმი დღეს
იყოფა

2015 წელი

წინამდებარე წიგნით შეიკრა ტრიფტიქი
„ერთი წლის მონაგარი“, „საუბრები კრწანისის ველზე“
და „რაც იმ დროს ითქვა“.
კრებულში თავმოყრილია გაზეთ „საქართველო
და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული მასალები.
ორიოდ გამონაკლისზე მითითებულია პერიოდული
გამოცემის სახელწოდება.

გამოცემის ხელმძღვანელი
და მთავარი კონსულტანტი: ნუბზარ ფოფხაძე

რედაქტორი: ირაკლი თოდუა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ლევან ზანგურაშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
დარეჯან ანდრიაძე,
თინათინ ლაოშვილი

დაიბეჭდა „ზავორიტი-სტილში“.

თავი I

არნასვლის ჟამი

ჭაბუა ამირაჯიბა კვლავ შეგვიძახს

დიდი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირაჯიბი „საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს უპასუხებს.

— უპირველესად, როგორ შეაფასებთ „ნაციონალების“ 19 აპრილის ისტერიკას რუსთაველის პროსპექტზე?

რა იყო ეს — ყოფილი ხელისუფლების გაბრძოლება რეინკარნაციისთვის თუ სრულიად საქართველოს სირცხვილი, რომელმაც „ნაცებს“ ასეთი „გაგულავენის“ უფლება მისცა? ან, ეგებ, ეს იყო ყბადაღებული კოაბიტაციის განხორციელების საჩვენებელი მაგალითი? თუ ჩვეულებრივი დღე იყო, რომელმაც ჩაიარა და არაფერი შეიცვალა?

— „კოაბიტაციაში“ თუ ეროვნული და სოციალური ერთობის მიღწევა იგულისხმება, რა თქმა უნდა, მეც, ყველა ჭკუათმყოფელი ქართველივით, ამ შესაძლო ერთობის მომხრე ვიქნებოდი. მაგრამ კოაბიტაციის, როგორც პოლიტიკური ტერმინის, თუ გნებავთ, როგორც საერთო ეროვნული ღონისძიების ტერმინის განმარტება ჩემს ხელთმისანვდომ ლექსიკონებში ვერ ვნახე. ამდენად, თავს ვიკავებ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისგან. ისე კი სათქმელს ვიტყვი — ხმარებაში ყოველი ახალი ტერმინის შემოღება, ნიშნისმოგებად თუ არა, თავის ქებად მიმაჩნია — აი, როგორი განათლებული ვარო!

მეორე: უფრო მართებული იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ის მითინგი თუ თავყრილობა ბევრს ვერაფერს შეცვლის საქართველოში დღესდღეობით არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში და მთავრობის პოლიტიკაში.

— ახალი ხელისუფლების მეექვსე თვის თავზე რით ხართ უკმაყოფილო?

— არაფრით, გარდა იმისა, რომ, რა სიკეთეც კეთდება, ნელი ტემპით ხასიათდება. მართალია, სიფრთხილე სახელმწიფოს მართვის საქმეში აუცილებელია, მაგრამ არც ქმედების გონივრულად მაღალი ტემპია დასაძრახი.

— ნაციონალ-ბოლშევიკებმა „ახალი ეროვნული მოძრაობის“ დანყება „დაგვიანონეს“ და ეროვნულ-გამათავისუფლებელი

ბრძოლისკენ მოუწოდეს ქართველ ხალხს.

თქვენი კომენტარი?

— არა მგონია, ქართველმა ერმა და საქართველოს მთელმა მოსახლეობამ „პოლიტიკური შაური“ მაინც გაიღოს იმ პარტიის სასარგებლოდ, სადაც „ნაციონალ-გოლშევიზმის“ მოწოდებები გაიშლერებს. ამ პარტიას, დარწმუნებული ვარ, მხარს არავინ დაუჭირს, გარდა ყოფილი ჩაქისტიებისა.

— მაშინ, როცა ქართულ საზოგადოებაში სულ უფრო მტკიცდება აზრი „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის თაობაზე, ამ მოძრაობის ლიდერები ხელისუფლებაში დაბრუნებისა და ბიძინა ივანიშვილის ვადამდე მოცილების ლოზუნგს ისვრიან.

— ამ საქციელში ახალი თუ მოულოდნელი სრულიად არაფერია. ისინი, ანუ ე. წ. ნაციონალები ჩამოყალიბებულ ვითარებას სხვას ვერაფერს დაუპირისპირებენ. საკუთარ მომხრეებს, ასეთი პოლიტიკის წარმოების გარდა, სხვას ვერაფერს შესთავაზებენ.

— შეიძლება თუ არა „ნაციონალური მოძალებისგან“ საქართველოს დეოკუპაცია?

— ყველანაირი ხერხის გამოყენებაა შესაძლებელი იმ აუცილებელი პირობით, თუ ამ ხერხში სიფრთხილე იქნება გათვალისწინებული. „ნაციონალები“, ანუ უმცირესობა, არანაირ ღონისძიებას დაერიდებიან, თუ მისი განხორციელება ბრძოლის არსებულ საფეხურზე მცირე გამარჯვებას მაინც მოუტანს.

— რატომ წუხს სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების დაწყების გამო?

— ცხადია, იმიტომ, რომ სამხრეთ ოსეთის, ანუ სამაჩაბლოს დაპარგვა სააკაშვილის მიერ წამოწყებული დაპარგული ტერიტორიის სადამპრუნებლო ოპერაციების შედეგია. ეს დადასტურდა იმ ოპერაციების დასაწყისსა და მსვლელობაში.

— ვითომ არ „გაყიდის“ მიშა თავის ქვეშევრდომებს გამოძიების პროცესში?

ამ შეკითხვის დასმის უფლებას მაძლევს „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაწყებული „ჩაშვების“ ჯაჭვური რეაქცია — ნახევ-



« Մե ի նոյնիս խեղճիցի ցեծս ԲՍ շտեպեցար
մարտի տեղեկում «Մոլոտովի խաչ» ևրժժ զուրում
մէ խեղճու արեւելքում, Եւրեւս «Ինքնաճար - Խաչի-
Յճեմ» մտնորդիս շտեպեցիս, այ խեղճու, ԲՅ-
Պէլեգրիս Յճ, Իեռն ինչո՞ք քաղցիս շտեպ Կազմե Է
Կճ, Գրեմ».

რადდაშლის პერიოდი.

— განწირული პოლიტიკოსისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მითუმეტეს მაშინ, როცა ხმოსანთა დიდი უმრავლესობის დამოკიდებულება არსებული მმართველი ძალის მიმართ, მიშა იქნება, თუ გრიშა — უარყოფითია.

— არის მიხეილ სააკაშვილი ქართული ფენომენი?

— იმის მიხედვით, რაც მან საქართველოს დამართა საკუთარი მმართველობის პერიოდში, ვგულისხმობ ფასეულობათა გასხვისებებსა და სხვა „სიკეთებს“ — **მასში ქართული არაფერია.**

— აფხაზეთის პრობლემა, ცხინვალის პრობლემა, ფაქტობრივად, მიგდებულია ჩინოვნიკზე — თუნდაც მინისტრის რანგში.

თუ აღიარებულია, რომ კონფლიქტური რეგიონები ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ტკივილია, როგორ ფიქრობთ, ხომ არ უნდა გახდეს ამ სატკივარის მოგვარება, ისევე, როგორც რუსეთის მიმართულებით მუშაობა მომავალი პრეზიდენტის უპირველესი, კანონმდებლობით დამტკიცებული მოვალეობა? თორემ, როგორც ერთმა ჭკვიანმა ჟურნალისტმა თქვა, იმ პირობებში, როცა ახალი კონსტიტუციით, ქვეყნის განვითარების უმთავრესი საშინაო და საგარეო საკითხები პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტი იქნება, მომავალ პრეზიდენტს სახელმწიფო საქათმეში ყვერულის ადგილილა დარჩება.

თუ შემოთავაზებული წინადადება განხორციელდება, პრემიერს საშუალება მიეცემა თავისი ფუნქციების შესრულებაზე სრულად იყოს კონცენტრირებული, პრეზიდენტსაც სერიოზული ფუნქცია გაუჩნდება.

— მე მგონი, ძალიან კარგი იქნება, თუ ეს წინადადება ხორცს შეისხამს.

— ხომ არ ჰგავს პრეზიდენტობაში ჩარჩენილი მიხეილ სააკაშვილი კლასში ჩარჩენილ ოროსან მოსწავლეს, რომელმაც სასწავლო პროგრამა ვერ აითვისა და არც გარანტიაა, რომ აითვისებს?

— ჩინებული განსაზღვრებაა.

— თქვენი ტრადიციული მონოდება — „ჭკუით, ქართველებო!“ — ძალაში რჩება?

— ვადასტურებ — ჭკუით, ქართველებო!!!

2013 წლის 24 აპრილი

ოთხმოხდათის კვირაქალს



„საქართველო და მსოფლიოს“ ეს ნომერი გამოდის 16 ნოემბერს, საიუბილეო თარიღამდე ორი დღით ადრე, და თუმცა მიღებული არ არის დაბადების დღის წინასწარ მილოცვა, სამჯერ გადავინერთ პირჯვარს და ქართველი მწერლობის მშვენიებას, დიდოსტატ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს მივულოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს, ჯანსა და ღონეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მისი ოჯახის, სათაყვანებელი სამშობლოსა და თაყვანისმცემელი განათლებული საქართველოს გასახარად.

დღეს გთავაზობთ ბლიცინტერვიუს იუბილართან და ნაწყვეტს მისი მომავალი წიგნიდან, რომლის სამუშაო სათაურია „ჩემი ავტობიოგრაფია“.

ბატონმა ჭაბუამ თაობის ვალი მოიხადა საქართველოს წინაშე, თაობათა ვალი, უწინარეს ყოვლისა, თავისი უბადლო შემოქმედებით, კაცურად ცხოვრების წესითა და მაგალითით.

— **მეთანხმებით, ბატონო ჭაბუა?**

— გმადლობთ უბადლო ქათინაურისთვის, მაგრამ არც თავად მე ჩამითვლია მამულისადმი ვალი მთლიანად მოხდილად და ამას ნურც ვინმე დაიტრაბახებს, რადგან ვალის გრძნობა თუ გაქვს და, განსაკუთრებით, სამშობლოს წინაშე, ერთი ადამიანისგან ამის მოხდა შეუძლებელი მგონია. ამ ვალის ხდა სიკვდილამდე მიმდინარეობს და ნაწილობრივ მაინც მოუხდელი რჩება, მით უმეტეს, თუ სამშობლოს ვალზეა ლაპარაკი.

— **„დათა თუთაშხიაში“ გინერიათ: „ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერის და სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს“.**

აქვს, თქვენი აზრით, საქართველოს დღევანდელ საზოგადოებას ზნეობრიობის შინაგანი ძალის ის მარაგი, რომელიც არსებულის შესაცვლელად საკმარისი იქნება?

— ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართველთა შორის არ გამოჩნდა კაცი, რომელიც ზემოხსენებული შინაგანი ძალის ერში არსებულ, მიმოფანტულ მარაგს ერთ მუხტად, თუ გონებად შეკვრავდა და ქართველ ერს სულიერ გამარჯვებამდე მიიყვანდა. ვგულისხმობ ადამიანს, ვინც ჩვენს მართლმადიდებლობას „ბანს მისცემდა“ და გაერთიანებული ძალღონითა და შეგნებით განახორციელებდა წინსვლას. მე მწამდა, რომ როგორც ყოველთვის ჩვენი ბედკრული ერის წარსულში ხდებოდა, გამოჩნდებოდა კაცი, ვინც ამ უღელს დაიდებდა და ახალი ბედ-იღბლით შეაიარაღებდა ქართველ ერს და აკი გამართლდა კიდევ ჩემი მოლოდინი — ღმერთმა ეს კაცი ბიძინა ივანიშვილის სახით გამოგვიგზავნა — ეს ჩემი რწმენაა, რომელიც უეჭველად გამართლდება.

— **ვინ მიგაჩნიათ ჭეშმარიტ მამულიშვილად?**

— **ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩვენს წარსულში მუდამ ის ითვლებოდა, ვინც უანგაროდ ემსახურებოდა ერის ანაწყოსა და მომავალს და არა ის მამთავრობა ბარკინარი, ვინაც ვნებინა და ზარალის მეტი არა მოუტანია რა თავისი ერისათვის და ტრაგახითა და საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფით უტარებია ერის წინაშე.**

ქლოლის წოდება. ასეთები ჩვენს სამშობლოში მრავლად იყვნენ და კითილდღეობენ ამჟამადაც.

— როგორ შეაფასებთ მავანთა მცდელობას, რომ ბიძინა ივანიშვილი კრემლის უკანასკნელ იმედად წარმოგვიდგინონ? რას ეტყვიტ იმათ, ვინც მისი გამოჩენა „კიდევ ერთ სპექტაკლად“ მონათლა?

— ეს ის ხალხია, ვინც ბიძინა ივანიშვილი რეალურ კონკურენტად, სამთავრობო კიბეებზე შემცვლელად სამართლიანად მიიჩნია. შეხედეთ, როგორ დაფაცურდნენ ქართველი ერის მტრები, რაღას არ კისრულობენ, რომ ხალხს ღირსეულ მთავრობად მოაჩვენონ თავი. ისინი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ყოველნიარ ხერხს მიმართავენ, მათ შორის, რუსეთის აგენტობასაც სწამებენ. მიაქციეთ ყურადღება, როგორ ემსგავსებოან ისინი რუს ბოლშევიკებს. ალბათ, დადგა დრო, როცა სააკაშვილი და მავანნი მისნი კომუნისტებად უნდა მოვნათლოთ.

— **ბიძინა ივანიშვილმა ღია წერილში, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, განაცხადა: „რადგან გადაწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, მე აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში... მე ყოველთვის ვასრულებ ჩემს დანაპირებს, ყოველთვის ვასრულებ ჩემ სიტყვას და ნაკისრ ვალდებულებას“.** რას ფიქრობთ, საიდან მოდის ასეთი თავდაჯერება?

— მაპატიეთ, თავდაჯერება დამარცხებულთა ხვედრია. ბიძინა ივანიშვილის ყოველი ნათქვამი მისი რწმენიდან მოდის, რწმენიდან, რომელიც მას საკუთარმა საქმის ცოდნით გამარჯვებებმა შესძინა. ის ნათქვამი — გამარჯვებული კაცის, გამარჯვებისთვის ღმრთივ მოვლენილი კაცის მიერ წარმოთქმული ჭეშმარიტებაა.

— **ჩერნობილიდან რეპორტაჟების გაკეთებისას ოცამდე რენტგენის დასხივება მივიღე და კინალამ დამშალა. თქვენმა „რენტგენებმა“, თუ არ ვცდები, ათასს გადააჭარბა. როგორ გაუძელით?**

— ხშირად მიხდება პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რატომ, რა მიზეზით აღვიკვეცე ბერად. ერთ-ერთი მიზეზი ღმერთის მიერ მფარველობაა. მაღლობა ხომ უნდა გადაამეხადა ღმერთის, ერისა და ბედ-იღბლისთვის. თექვსმეტი წლის მანძილზე ექვსი გაქცევა მქონდა ბანაკებიდან, ამათგან სამი უხეირო, იქვე ამიყვანეს, მაგრამ სხვა სამში ორ შემთხვევაში დაწესებულების, უკეთ ვთქვათ, საწარმოს ღირეექტორობაში მომაგნო ჩეკამ.

ის რენტეგენებიცა და სამჯერ მოსჯილი ორი დახვრეტა და ოცდახუთი წელი და ერთი ფუჭი გაქცევის რვა წელი, სულ კი ოთხმოცდასამი წლიანი განაჩენები მაღალმა ღმერთმა მომიტევა, რადგან ცოდვა არ დამიდვია იმ გაქცევებითა და მათ მსვლელობაში.

— **მისჯილი წლების რაოდენობითაც „გინესის რეკორდსმენი“ ხართ...**

— გინესისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემს წიგნებში ყოველივე ეს, მგონია, ასახული მაქვს.

— **როგორ გესახებათ საქართველოს ხვალისდელი დღე?**

— ბატონო არმაზ, დღეს რომ ცოცხალს მხედავთ, ეს ჩემი ოპტიმიზმით აიხსნება. მუდამ მჯეროდა, რომ უკიდურესი განსაცდელიდანაც კი „სალ-სალამათი“ გამოვიდოდი და ასეც ხდებოდა. საქართველოს ერთი პანანკინტელა ნაწილი ვარ და ჩემი ასაკით კი არა, ჩემი დამსახურებით მომავლისა მწამს ისევე, როგორც ჩემი ღირსეული ერისა და სამშობლოს მომავალი.

— **რას უსურვებდით 90 წლის ქაბუა ამირეჯიბს?**

— „იდექ მკვიდრად და ურყეველად“. ამას სახარება გვასწავლის.

ფრაგმენტი ქაბუა ამირეჯიბის ავტობიოგრაფიიდან

შიშის ძლევის უნარი ბავშვობაშივე თავს გადამხდარმა შემთხვევებმა შემძინა. ეს არ ნიშნავს, რომ შიში არ ვიცი — მის ძლევას ვგულისხმობ. შიში სხვადასხვანაირი მიგემია. აი, ერთი მათგანი.

ხუთი წლისა თუ ნაკლებისა ვიქნებოდი, შიში მხვდა და სამუდამოდ დამამახსოვრდა კიდეც. ჩემი აზრით, სწორედ იმ შემთხვევით დაიწყო ჩემი ცხოვრება, რადგან ცხოვრება ის არის, რაც გახსოვს — დანარჩენი არსებობაა.

მოგეხსენებათ, რევოლუცია კინოსეანსი როდია, რომ დაიწყო და წინასწარ ცნობილი საათ-ნახევრის შემდეგ დამთავრდეს. იგი კომეტას ჰგავს, უზარმაზარი კუდი იცის. ჩემთვის იმ კუდის დასაწყისი იყო ათას ცხრაასოციანი წლების გვიანი შემოდგომა. ღამის სამ საათზე ჩვენს ბინას ოთხი ფორმიან-ნავანიანი კაცი ესტუმრა. მამაჩემი ერეკლე ქალაქგარეთ იყო. მოსულებს ერეკლეს



არმაზ სანუბლიძე, თამარ ჯავახიშვილი, ნუზარ ფოფხაძე. ცენტრში — ბატონი ჭაბუა.

დარდი ამჯერად არცა ჰქონდათ, მის ძმას ეძებდნენ. პროფიული რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე იყო ჩემი ბიძა შალვა ამირეჯიბი, ეროვნულ-დემოკრატი. რუსეთის ჯარების შემოსვლის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ერთობ მძაფრად გამოამჟღავნა. ჩეკისტები დაეძებდნენ, მისი მოკვლისთვის ფულადი ჯილდოც კი იყო გამოცხადებული. ჩვენ ექვს თუ შვიდოთახიან ბინაში ვიდექით. ყველა ოთახი და სათავსო გაიჩხრიკა, ჯერი საძილეზე მიდგა. იქ მე და ჩემს დას, როდამს გვეძინა. დედა ჩეკისტებს დაჰყვებოდა ოთახიდან ოთახში. შინ სხვა არავინ იყო. საძილეში შევიდნენ. ტანსაცმლის კარადიდან, უჯრებიდან, ზანდუკებიდან ყველაფერი გადმოიყარა და იატაკს მოეფინა, როგორც ყველა ასეთ შემთხვევაში ხდებოდა. დაამთავრეს ჩხრეკა. სამნი გავიდნენ, ოთახში ერთილა იყო. ისიც გასვლას აპირებდა, რომ ჯგუფის უფროსმა ღია კარს იქიდან უბრძანა, — მაგ ბავშვის ლეიბი ნახეო!

მჩხრეკავმა შარვლის ჯიბიდან დიდი, კაუჭიანი, ბასრი სასხლავი დანა ამოიღო და გაშალა. ის დანა მე კომეტის კუდის ნა-

წილაკი მგონია. მჩხრეკავი რევოლუციაში პირდაპირ ვენახიდან იქნებოდა მისული — მდიდარი გლეხის მოჯამაგირეობიდან, ან საკუთარი, მაგრამ პატარა ვენახიდან. დიდს ვერ შეელოდა. ლეიბის თავში დანის კაუჭს პირი მოაკიდებინა, გამოუსვა და ბოლომდე ჩაჭრა. ლეიბიდან მატყლის კურკუმელებმა გადმოიხედეს. მჩხრეკავმა ლეიბში ხელი შემოყო, ძეხნის აზარტს აჰყვა, მულჯუგუნებმა გამაღვიდა და ვიკივლე, — დედიკო, მუცელი გამიჭრეს-მეთქი. მჩხრეკავს ორგანოების პრესტიჟის გრძნობა ბავშვის კივილმა თუ ჩაუხშო, თორემ ისე მკვირცხლად არ მოცუცხავდა.

მეორე შემთხვევა უფრო გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა. უკვე ექვსისა თუ შვიდის ვიქნებოდი, მეორე უმძიმესი ელდა რომ განვიცადე. ამ შემთხვევასაც შიშის ძლევის საწყისად ვთვლი.

როგორც ყოველ წელს, ზაფხულს კიკეთში ვატარებდით, საკუთარ აგარაკზე. სადღაც მიწერია კიდეც, მაგრამ ეს შემთხვევა გამეორებად ღირს. აგარაკი ხეხილის დიდ ბაღში იყო განლაგებული, ჰექტარზე არანაკლები იქნებოდა. მამა მთიბავებს ქირაობდა — ენაგეთელ გლეხკაცებს. თივის საფასურად მუშაობდნენ. ვიჯექი, მათი ცქერით ვერთობოდი. ჩემი მისვლისას საუზმე დამთავრებული ჰქონდათ, ისვენებდნენ. ერთ მათგანს ჩაეძინა და ერთობ ხმამაღალი ხვრინვა ამოუშვა, მეორე ადგა, მიეპარა, მხვრინავის სახეზე ჩაიმუხლა და როგორც დიდი სულხან-საბა ბრძანებდა კარგა მოზრდილი „კუს ძვრით“ უპასუხა ხვრინვას. დამსწრეებმა ამას ხმამაღალი სიცილ-ხარხარით უპასუხეს, რამაც შეურაცხყოფილი გამოაღვიდა და იკითხა, — რა მოხდაო? უთხრეს. ამას თიბვა მოჰყვა. შეურაცხმყოფელს შარვლის ტოტები აკეცილი ჰქონდა. დაზარალებულმა, რაღაცნაირად იყო, დრო იხელთა, შეურაცხმყოფელს ზურგიდან მოექცა და ცელი ნვივებში მთელი ძალ-ლონით გამოჰკრა. ნვივებიდან სისხლის ღვარმა იფეთქა. დაზარალებულმა ჭრილობებზე მშრალი ქვიშა „მიილესა“. თიბვა გაგრძელდა და მე მხოლოდ კარგა ხნის მერეღა მოვედი გონს, ხმამაღალი ტირილით გავიქეცი შინისკენ. მამამ მკითხა, — რა გატირებსო? ვუამბე, რასაც შევესწარი. მამა მთიბავებთან ჩავიდა და მე მას მერე კაი ხუთი წელიწადი მესიზმრებოდა ნახული განუკითხაობა.

«მრავალნი არიან ნაჩრინებულ და მსიჩადნი ჩრეულ»

ციხიდან გამომგზავნილი ბარათი

2014 წლის დეკემბრის ცამეტში, დიდი ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალების წლისთავი შესრულდა. გასაღებდაკარგული პოლიტიკოსების ნაციონტრიგებს აყოლილ ჩვენს ტელემაუნყებლობას ეს თარიღი არც გახსენებია, თამაზ ნივნივაძის „ლიტერატურულმა საქართველომ“ აღნიშნა მხოლოდ.

ამირეჯიბების ოჯახში მივედი. ქალბატონი თამარი, ღირსეული და თავდადებული მეუღლე ბატონი ჭაბუასი, იმ მადლიერებაზე მელაპარაკება, იმ სიყვარულზე მკითხველთა და მათ მოკრძალებზე დიდი შემოქმედის მიმართ, რომელსაც ჭაბუას ოჯახი გრძნობს და აფასებს.

მიყვება მერაბ რატიშვილზე, ღირსეულ კაცზე **ქალბატონი თამარი** (უნივერსიტეტიდან სტუდენტური მეგობრობა გვაკავშირებს და, თუ ზოგჯერ კალამი გამექცევა და თამრიკოდ მოვიხსენიებ, მკითხველს ვთხოვ, ფამილარობად არ ჩამითვალოს):
საინტერესო ისტორიაა. მოუსმინეთ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თავის დროზე მერაბ რატიშვილი, პატიმარი, ციხიდან დაკავშირებია ბატონ ჭაბუას, უცნობებია, რომ წერს რომან „დათა თუთაშინას“ გაგრძელებას და ნება უთხოვია ამისი, თავისეპური ლოცვა-კურთხევა.

— ჭაბუკას ხომ ასე აქვს „დათას“ ფინალში, — მიყვება თამრიკო, — რომ შვილი მოკლავს მამას და ამის შემდეგ დედისა და შვილის კვალი იკარგება: “ამას წინათ შემთხვევა მომეცა, იქაურ კაცთან ბეჩუნი პერტია და მისი შვილი ვიკითხე. სადღაც გადასახლებულან, სამშობლოსთან ყოველგვარი კავშირი გაუწყვეტიათ და მათი ამბავი არავინ იცის“. მერაბმა ამაზე ააგო თავისი რომანის სიუჟეტი: მუშნი ზარანდია, უფრო ზუსტად, მისი პროტოტიპი შეაწუხა ცოდვამ, რომელიც ბავშვს ჩაადენინა, შეაწუხა და დაობლებული ბიჭის, დათას შვილის აღზრდაზე იზრუნა, წაიყვანა პეტერბურგში, გაზარდა, გზაზე დააყენა. ჩინებული ვაჟკაცი დადგა. მისი გვარი ამირეჯიბია, ასე

ისურვა ავტორმა.

ვუთხარი ჭაბუკას, რომ ციხიდან რეკავს პატიმარი, წერს ნიგნს — „თუთაშხიას“ გაგრძელებას.

წეროსო, — უთქვამს ჭაბუკას, კარგ საქმეს აკეთებო.

მადლობის წერილი მიუწერია მერაბ რატიშვილს ჭაბუკასთვის.

— გამოაქვეყნა სადმე ეს წერილი?

— არა, არ გამოქვეყნებულა. მისი ნებართვის გარეშე ვერ გამოქვეყნდებოდა.

— რომ დავურეკო და ვთხოვო?

— თუ დაურეკავ, წერილი რაღად გინდა, თავის სათქმელს თვითონ გეტყვის.

ასეც შევთანხმდით.

მერაბ რატიშვილს შევხვდი. ძალიან საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა.

ინტერვიუს მერაბ რატიშვილთან, გამოქვეყნდა „საქართველო და მსოფლიოს“ 2015 წლის პირველ ნომერში — „18 ნოემბრამდე 9 დღე რჩებოდა“.

18 ნოემბრამდე 9 დღე რჩებოდა



მერაბ რატიშვილი

ახლა კი — მერაბ რატიშვილთან ინტერვიუ.

— ბატონო მერაბ, არ დაგიმაღავთ, ამ იშვიათი გვარის გაგონებაზე გალაკტიონის ერთი ლექსი მაგონდება:

უცხო ვინმე არ გეგონოთ,

მე ვარ რატი რატიშვილი,

**ათი შვილი ცოცხალი მყავს,
ათი შვილის შვილიშვილი.
მათში სულ ყველაზე უმცროსს
ჩემი სახელი აქვს — რატი,
მე ასი წლის მოხუცი ვარ,
მას წელს შეუსრულდა ათი.**

ვიცინით. მე — იმიტომ, რომ ასამდე ჯერ კიდევ მაქვს ვადა. იგი, ალბათ, იმიტომ, რომ კარგა ხანია, ბიჭობის ასაკს გასცდა, და ისე იცხოვრა, ისეთი პერიპეტეიები გადახდა თავს, სიზმრადაც რომ არ უნახავს დახვეწილი ფანტაზიის მქონე ადამიანსაც კი.

განვლილი ცხოვრების შესახებ ვეკითხები:

**— თქვენი რომანის — „დაკარგული ფურცლების“ წინათქ-
მაში წერთ, რომ ამ რომანს უძღვნით XX საუკუნის ჭეშმარიტ
რაინდს, სასტიკი ეპოქის ზნეობრივ მაგალითს — ჭაბუა ამი-
რეჯიბს, „ბედნიერ ტანჯულს — ბერ დავითს“. და შემდეგ:
„იმედს ვიტოვებ, რომ, როდესაც ციხიდან გავალ, მისი პირა-
დად გაცნობის საშუალება მომიცემა“. რატომ „ციხიდან“, ბა-
ტონო მერაბ?**

— ჩემი ლიტერატურული შემოქმედება სწორედ ციხეში და-
იწყო. პირველი ნაწარმოების წერა დავიწყე 2010 წლის ოქტომ-
ბერში, ანუ — 10.10.10-ში და დავამთავრე 11.01.11-ში.

— ციფრების მაგია?

— (ელიმება). ეს იყო „ჯულა“. ამას მეორე რომანი მოჰყვა, მე-
ორეს — მესამე, „ჯულას“ გაგრძელება — „ილიადი“ და ასე შემ-
დეგ. „თეთრი ლამას“ მესამე ტომის დაწერას ვინყებდი, როცა
ჭაბუა ამირეჯიბი დამესიზმრა. მელაპარაკებოდა, თან ვილაცას
თითის ქნევით ემუქრებოდა — ჩემს გათავისუფლებას ითხოვ-
და. ეს რაღას ნიშნავს-მეთქი, ვიფიქრე და ჩემს მეუღლეს ხმა
მივანვდინე — ციხეში „დათა თუთაშხია“ შემოაგზავნა...

— რამდენი წელიწადი გქონდათ მისჯილი?

— ცხრა.

— ცხრა ბედნიერი ციფრია.

— ხო, მაგიური ციფრია... მეოთხე წელიწადს ვიხდიდი იმ
დროისთვის. შემომიგზავნეს ის წიგნი. ხელმეორედ წაკითხვა
იმიტომ მიხდოდა, რომ ერთია ახალგაზრდობაში აღქმული,
სულ სხვაა ზრდასრული ადამიანის მიერ გადაკითხული, მით
უფრო, თუ ლიტერატურაში აქვს ფეხი შედგმული.

წავიკითხე და მივხვდი, რას ნიშნავდა ის სიზმარი: **მე უნდა გამებრძალებინა ის რომანი.**

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემმა იმდროინდელმა მდგომარეობამ და-მარწმუნა — ბოროტებას შეუძლია გაიმარჯვოს სიკეთეზე.

აქ უპრიანი იქნება მერაბ რატიშვილის ცხოვრების გზა გავიხსენოთ, წარმატებული კარიერული აღმასვლა ახალგაზრდა კაცისა: დამთავრებული აქვს ორი უნივერსიტეტი, ერთი აკადემია (დიპლომატიური), პროფესია — ეკონომისტ-ფინანსისტი, საერთაშორისო სამართლის იურისტი, პოლიტოლოგი; მუშაობდა მოსკოვის რიგ სახელმწიფო დაწესებულებაში; ენეოდა ბიზნესსაქმიანობას ენერჯეტიკისა და ფინანსურ სფეროებში; იყო „ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი“ და ა. შ.

2004 წელს, მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოს ბარათ მოღვაწე წარმატებულ თანამემამულეებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა, დაბრუნდა თბილისში და... 2007 წლის 26 ოქტომბერს დააპატიმრეს, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს... როგორც წარკომანს, ქვაბთქსტი კი ოპოზიციური პოლიტიკური ძალების აქტიური მხარდაჭერა იყო.

— პოლიტპატიმარი გავხდი, უკანონოდ გასამართლებული. პირველი ვიყავი, ვისაც ნარკოტიკული ნივთიერების ინიექციაც გაუკეთეს და „წამალიც“ „აღმოაჩინეს“ ჩემს ბინაში, უჩემოდ ორჯერ ჩატარებული ორი ჩხრეკის დროს. **ჩემი ხელით უნდოდეთ მთელი ოპოზიციის განადგურება: ვითომ მე ვარ კრემლის აბენტი და ქართული ოპოზიციის კურატორი. „ეროვნული საბჭო“ გამოვიდა იმ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე და სჭირდებოდათ „ფაქტობრივი“ მასალა მისი წევრების „ბრუს“ აბენტობის დასამტკიცებლად. გვარამიამ, გენერალური პროკურორის მაშინდელმა მოადგილემ, რომელიც დღეს ასე „მშვენივრად“ უძღვება „რუსთავი 2“-ს, „მამხილებელი“ გადაცემების მთელი ციკლი მიუძღვნა ხელისუფლების ამ დაკვეთის „მაღალ დონეზე“ გაშუქებას.**

— გამოძიებასთან თანამშრომლობა შემოგთავაზეს?

— დიახ. სანადელს რომ ვერ მიაღწიეს, პირდაპირ მითხრეს, ციხიდან ვერ გახვალთ. საუკეთესო შემთხვევაში, გაგიტანენო ფეხებით წინ.

— ვინ დაგაპატიმრათ?

— 22 სპეცრაზმელი (მეტი თუ არა) მონაწილეობდა ჩემს დაკავებაში — კოდუა პირადად და მისი ბანდა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს კვლავ თანამდებობებზეა: სოდის გამომძიებელი დანიხაურებუღია, ასევე — პროკურორიც დავით ჩხენკელი, ხელფასებიც გაზრდილი აქვთ.

მოსამართლე, რომელმაც 9 წელიწადი მომისაჯა — მერაბ ჯორბენაძე — დღესაც მოსამართლეა. პროკურორმა თორმეტი მოითხოვა. პროკურორს ვკითხე, რატომ მეტი არ მოითხოვეთ-მეთქი? ვითომ გაითვალისწინეს ჩემი დამსახურება საქართველოს წინაშე (ეცინება). ასეთი სამართლით სჭრიდნენ და კერავდნენ. სააპელაციო სასამართლოში იყო ქალბატონი ოთარაშვილი, მასთან ერთად — ორი ახალგაზრდა მოსამართლე. ქალი თუ კაცი, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მათ, ვინც უკანონობის გზას ადგას, არც ეროვნება აქვთ, არც სქესი, არც აღმსარებლობა...

— არც სინდის-ნამუსი.

— საოცარი რა არის, იცით? ამდენი დამკავებლიდან არავინ აღმოჩნდა ისეთი, სასამართლოზე რომ განეცხადებინა, მე დავიჭირე, ჩავსვი მანქანაში და სოდ-ში მივიყვანეო. სასამართლოს სხდომაზე ვიკითხე კიდევ: ისე გამოდის, რომ მე ავტობუსით მივედი დასაპატიმრებლად ან ტაქსი გამოვიძახე და ჩემით ჩაგბარდით-მეთქი...

თავები ჩალუნეს, ან რა უნდა ეპასუხათ?!

განაჩენი იმ დროისათვის ბანალური იყო — ნარკომანობა.

მოკლედ, ჩამსვეს. ჯერ „გუბერნსკის“ ციხეში ვიჯექი, გლდანის ციხე ჩემი „გახსნილია“ (ელიმება), იქიდან გამომავდეს; ციხის უფროსმა თამაზ მელაძემ მითხრა, „პალაჟინისა“ გვიფუჭებო. დამაბრუნეს „გუბერნსკში“, იქიდან რუსთავის №6 საპყრობილეში გადამიყვანეს. 5 წელიწადი და 3 თვე „ბეტონზე ვცხოვრობდი“, მინაზე ფეხი არ დამიდგამს.

გამათავისუფლეს ამნისტიით. 2013 წლის 13 იანვარს მე-13 საკნიდან გამოვედი... ბატონი ჭაბუა იმ წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა.

— კვლავ ციფრების მაგია?

— „ჯუღას“ რომ ნაიკითხავთ (მაშინ ნაკითხული არ მქონდა — ა. ს.), „თეთრ ლამას“, მიხვდებით, რომ ციფრების მაგიას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— მითხარით, რომ სიზმარში გამოგეცხადათ ჭაბუა ამირეჯიბი...

— დიას. ხელმეორედ რომ ნავიკითხე „დათა თუთაშ-ხია“, მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა: არ შეიძლება, რომ გორბოტას ბაემარჯვა სიკეთეზე და „დათა თუთაშხია“ მრავალწარტილით დამთავრებულიყო. ისეთი აზარტით ვწარდი, რომ რომანი 2 თვესა და 16 დღეში დავასრულე. დღე და ღამე ბაერთიანებაული მქონდა. ციხის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებული ვიყავი: მე მათ არ ვეხებოდი, ისინი — მე. ეს ნიშნავდა, რომ ღამე საკანში შემეძლო ჩამერთო ნათურა, რომელიც პლასტიკის ქილაში იყო ჩამონთაჟებული, ჩამრთველად კი შპრიცი მქონდა გამოყენებული.

— დამიზუსტეთ, გეთაყვა: რომანის წერა დაიწყეთ მას შემდეგ, რაც ბატონ ჭაბუას მიმართეთ, თუ მანამდეც წერდით?

— დავწერე, ავაკრეფინე. შემომიგზავნეს ანაწყობი და მაშინ ვიფიქრე: ღმერთო ჩემო, რას ვაკეთებ?! როგორ შეიძლება ასეთ საქმეს მოჰკიდო ხელი და დიდ მწერალს არ გააგებინო, ნებართვა არ სთხოვო ჭაბუა ამირეჯიბს? დავწერე წერილი: ბატონო ჭაბუა, ცხოვრების თამაშის წესები ვიცი. მინდა, რომ ნაიკითხოთ და, თუ თქვენი ნება იქნება, მაშინ ეს წიგნი ნახავს მზის სინათლეს. თუ არა, ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, რომ რაღაც დავწერე. სიტყვის კაცი ვარ და ამას შევასრულებ-მეთქი.

ველაპარაკე ქალბატონ თამარს და ჩემმა მეუღლემ მიუტანა რომანის ორი ეგზემპლარი, ერთი — საგანგებოდ ჭაბუასთვის, მსხვილი შრიფტით ამობეჭდილი, მეორე — თამრიკოსთვის — ჩვეულებრივი. გვერდები, ცხადია, დაუკაბადონებელი იყო.

გავუგზავნე და ველოდები განაჩენს. სასამართლო განაჩენზე იმდენი არ მინერვიულია, რამდენიც ჭაბუა ამირეჯიბის პასუხზე.

ცალკე ის მანუხებდა, რომ ათი დღე მაინც ყოფილიყო ჩვენს განკარგულებაში, წიგნად შეგვეკრა თუნდაც რამდენიმე ეგზემპლარი, 18 ნოემბრისთვის დანიშნულ პრეზენტაციაზე სა-

ზოგადოებისთვის რომ წარგვედგინა. 18 ნოემბერი, იცით, ბატონ ჭაბუას დაბადების დღეა და მინდოდა, მისთვის მიძღვნილი ეს წიგნი საჩუქრად გადაგვეცა.

— **სად დაიბეჭდა თქვენი „დაკარგული ფურცლები“?**

— ჩემს წიგნებს არც ერთი გამომცემლობა არ ბეჭდავდა, — დავგვხურავენო. ჩემმა ცოლმა, რომელიც პროფესიით პიანისტიცა, ისწავლა დაკაბადონება, დიზაინი, შექმნა გამომცემლობა და ყველა წიგნი მისი დაბეჭდილია.

მოლოდინის რეჟიმში რომ ვარ, რეკავს ქალბატონი თამრიკო და მეუბნება: ჭაბუამ თქვა, რომ ეს წიგნი უნდა დაიბეჭდოს აუცილებლად, ძალიან კმაყოფილიაო.

9 დღეა რჩებოდა.

სასწაული ჩაიდინა ეკამ და პრეზენტაციაც გაიმართა „თბილისის მერიოტში“.

ამ დროს უკვე ახალი ხელისუფლება მოვიდა.

სამწუხაროდ, პრეზენტაციას ვერ დავესწარი: ახალი ხელისუფლების პირობებში 3 თვე უკანონო პატიმრად ვრჩებოდი, ახლების უნიათობის გამო.

„დაკარგული ფურცლები“ ვთარგმნეთ რუსულად, ითარგმნა ფრანგულად და გამოიცა. ახლა „დათა თუთაშხიას“ ინგლისურად ვათარგმნიებ, შემდგომ — მის გაგრძელებასაც.

მთავარი, რაც მოვასწარი, ბატონ ჭაბუას ვუთხარი, რომ აუცილებელია „დათა თუთაშხიას“ ახალი ეკრანიზაცია. კიო, — დამეთანხმა. გიგა ლორთქიფანიძის გადაღებული მრავალსერიანი ფილმი, რა თქმა უნდა, კარგია, პოპულარულია, ხალხს მოსწონს, მაგრამ თანამედროვე ტექნიკური საშუალება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სხვა ფორმატით, უფრო მაღალი ხარისხით წარგვედგინოთ მაყურებელს. მონახაზი გაკეთებული მაქვს, მაგრამ ჯერ ვიღებთ „ჯულა-ილიადის“ — 24-სერიან მხატვრულ ფილმს; რიგში დგას „თეთრი ლამა“ — ჩემი რომანი — 3 სერიად, დაახლოებით 6-საათიანი.

ერთ რამესაც დავამატებ. **ბატონმა ჭაბუამ მითხრა: ამ სამი რომანის არსი რა არის, რაზე წერდიო. ვუპასუხე, რომ ეს არის ტრილოგია ქართულ გენზე, ქართველებზე, რომლებიც სამშობლოს გარეთ აღმოჩნდნენ. სად არის გასული ეს ქართული გენი და სად არის ჩაკარგული, ამის ჩვენება მინდოდა შექმნისდაგვირად.**

გამომივიდა თუ არა, განსაზღვროს მკითხველმა, რომელიც ცოტა დაგვრჩა, მაგრამ ვინც არის, სასწაულად განათლებული და მაღალი დონისაა.

სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობა მოწყდა წიგნს, მაგრამ ეს ჩვენი ბრალია და არა მისი დროისა და ეპოქისა.

— **„დაკარგული ფურცლები“ — იგივე ხელნაწერები, საიდან გაჩნდა, სად იპოვეთ?**

— ვიპოვე იქ, სადაც ბატონმა ჭაბუამ, აცხონოს მისი სული ღმერთმა!

— **იპოვეთ, გადარჩინეთ... იწვის ხელნაწერები?**

— არასოდეს. არ არსებობს ისეთი ცეცხლი, რომელიც ხელნაწერებს დანვავს.

2015 წლის 14 იანვარი

წმინდა გიორგის ხატება მკერდზე და გედისწერაში

ჭაბუას გარდაცვალების დღეს, დღითივე მის ბინაზე რომ მივდი, სასულიერო მამები მისი გაპატრონების რიტუალს ასრულებდნენ. სარეცელზე იწვა მარადისობით დამშვიდებული გორა მბორგალი. წელზევით შიშველი.

იმ დღიდან დაქვრივებულმა ქალბატონმა თამარმა მანიშნა, ახლოს მივსულიყავი და მენახა წმინდა გიორგის ხატება, რომელიც მკერდზე ჰქონდა ამოსვირინგებული.

მივუახლოვდი, დავხედე და... **ვერაწერი დავინახე. სარეცელზე იწვა კაცის სრულყოფილი სხეული, ჩამოსხმული, თითქოს ნაქანდაკარი, სვილოს კვლისწერი უფრო, ვიდრე თეთრი დამიქმარებული რალცნაირი სითბოთი, სიკვდილსა და სიცოცხლის საზღვრის ნაშუალო ფლუიდავით. რალც თხელი, სიფრიფანა ნათება გადაეფარა სხეულს... ღმერთი, რჯული!**

შავით შემოსეს მზეჭაბუკ ამირეჯიბი-ბერი დავითი.

მერე, კარგა ხნის შემდეგ ვინანე, რომ ეს უნიკალური მომენტი არ გადავიღე. ფოტოაპარატი მანქანაში იდო. ალბათ, არც უნდა გადამეღო.

მოვუყევი ეს ყველაფერი თამრიკოს.

— არ გქონდა ნანახი?! — გაიკვირვა, — ზაფხულში ყოველ-

თვის იჯდა ხოლმე ასე, ნელზევით შიშველი... ასეთი ჩვეულება ჰქონდა.

მე კი ყოველთვის ყელამდე შეკრული დილებით მხვდებოდა, რაც, ჩემი აზრით, პრესისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშანი იყო. **ამ პუბლიკაზე მწერალს არასოდეს უცდია, გაშინაურებოდა მასმედიას.**

ცვილში ჩამოსხმული სხეული. არაფერი ზედმეტი, მაგრამ არც არაფერი აკლდა. არავითარი ნიშანი დაბერების. სიძლიერის განსახიერება.

— ასე იყო ყოველთვის: მთელი ცხოვრება კილოგრამი არც მოუკლია, არც მოუმატებია, — თქვა ქალბატონმა თამარმა და განგრძობ, — იურა როსტმა ჭაბუას ფოტო შიშველი ტორსით თავის გაზეთში რომ გამოაქვეყნა, ვილაცას უნახავს და უნმინდესისთვის მიუტანია: — ნახეთ, ეს რა ჰქონია ჭაბუას მკერდზეო.

დაუხედა თურმე და უთქვამს:

— როგორ გაუძლო?!

სვირინგის გაკეთება ხომ მტკივნეულია!..

არ ვიცი, როგორი კრამოლური განზრახვით აჩვენეს მაშინ ეს ფოტო უნმინდესს, იქნებ, სულაც კეთილი სურვილებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ პატრიარქის პასუხია ბრძნული და მის გაშიფვრას აქ არ შევუდგები.

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, იმხანად ჭაბუა ამირეჯიბის ბე-



თამარ ჯავახიშვილი

რობა განზრახვის დონეზეც არ არსებობდა.

ჭაბუას მკერდზე ამოსვირინგებული ხატება მის დიდ სიყვარულთან არის დაკავშირებული.

ნოველაა და ვიჩქარი, მკითხველს გავაცნო.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში უმაღლესი განათლება მიღებული ახალგაზრდებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა სპეციალობის მიხედვით დასაქმება იყო, განსაკუთრებით — ფილოლოგებისა და ისტორიკოსებისთვის.

საით ჰხვალ? — ეს კითხვა სხვებთან ერთად თამრიკო ჯავახიშვილის, უკვე აღიარებული ახალგაზრდა პოეტის, წინაშეც დადგა მთელი სიგრძე-სიგანით.

გაურკვეველი მომავლის უპერსპექტივობა რამენაირად რომ გაეფანტა, ქართლში წავიდა, სოფელ გარიყულაში, სადაც მისი ნათესავები ცხოვრობდნენ.

სექტემბერი იდგა...

ბებიას შეუმჩნევია შვილიშვილის უგუნებობა და უთქვამს:

— გაღმა წმინდა გიორგის ნიშია ძველთაძველი. მოვილოცოთ. წითელი მამალი მივართვათ. სთხოვე, რაც გინდა და შეგისრულებსო. მისულან, სანთლები დაუნთიათ, ულოციათ, მამალი მიურთმევიათ, წითელფრთიანი.

ბებია მ გაუმეორა:

— სთხოვე წმინდა გიორგის, რაც გინდა და შეგისრულებსო.

რა უნდა ეთხოვა? რას უნდა შევედრებოდა? სამსახური მაშოვნინეო?! ეს მკრეხელობა იქნებოდა და წმინდა წყლის სისულელე!

შეხედა წმინდა გიორგის ხატს თამრიკომ და შესთხოვა:

— მაპოვნინე ჩემი თავი.

სულ ეს იყო.

ვიმეორებ, რათა არ დაგავიწყდეთ: ის ნიში წმინდა გიორგის სახელზე იყო აგებული...

განვლო ხანმა.

მოხდება ისე, რომ თამრიკო ჯავახიშვილი რედაქტორად იწყებს მუშაობას ჭაბუა ამირეჯიბთან. ასე ეწერა მისი ბედისწერის დაფაზე, მაგრამ არამხოლოდ მისაზე.

იწყება ჭაბუასა და თამრიკოს სიყვარულის დიდი და ხანგრძლივი ისტორია, რომელსაც, ვიდრე დაქორწინებით დასრულდებოდა, ბევრი წინააღმდეგობა უნდა გადაელახა: თამრიკოს,

უპირველესად, უნდა დაეძლია ის მორიდებული დამოკიდებულება, უპოპულარესი ჭაბუას მიმართ რომ ჰქონდა გულსა და გონებაში გამჯდარი.

ჭაბუა კი ჯიქურ მიინევდა მიზნისკენ: ამბობდა, რომ მხოლოდ თამართან შეექმნებოდა ქართული ოჯახი და ეყოლებოდა ისეთი მეუღლე, რომელიც სჭირდებოდა.

ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა თამრიკო ჯავახიშვილი ცხელი ივლისის ერთ დღეს ამირეჯიბების ოჯახში მივიდა მომავალი დედამთილის მარიამ ნაკაშიძის გასაცნობად. შევიდნენ ბინაში და სიცხით შეწუხებულმა ჭაბუამ ეგრევე გაიხადა პერანგი.

გაშეშდა თამარი: წმინდა გიორგის ხატება იხილა მის მკერდზე ამოსვირინგებული.

თამრიკო იხსენებს:

— წმინდა გიორგის ნიშაში დასვენებულ ხატს რა ვთხოვია? „მავოვინო ჩამი თავი“. აქაც წმინდა გიორგი! არ არის სასწაული?! ვიფიქრე, რომ ეს უფლის ნებაა. მაშინ გადაწყვიტე, რომ ამ კაცისთვის უნდა მიცოცხლა — ალარც შენი ლეჟნი, ალარც არაფერი სხვა!

„რბილად მოციმციმე, მამრამ წყვდიადის შემანბრებელი კალა“

დიდი განცდა დიდ შემოქმედებით მუხტსა შობს, პოეტურ ნატიურაში — განსაკუთრებით.

— ჭაბუა რომ წავიდა, რალაც ხომ დანერე?

— არაფერიც არ დამინერია. ორ-სამ ფრაზას სადღაც ჩავინერ... ჯერ არც სახე აქვს, არც არაფერი.

ბოლო ღამეები სულ ფეხზე ვიდექი, დროზე რომ მივშველებოდი, დაძინებაზე არც მიფიქრია. როგორც კი გაინძრეოდა, მივვარდებოდი, დაფას მივანვდიდი. ეს იყო ჩვენი ურთიერთობის საშუალება 12 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ხმოვანი იოგები ამოაჭრეს. ხომ გახსოვს? (მახსოვდა, ვიცოდი). მიწერდა, თუ რამე უნდოდა. აი, ეს დაფები.

დაფებზე ნაწერის ნაკვალევილა ჩანს, რალაც მარცვლები, ასოების ნამსხვრევები.

ქალბატონი თამარი აღადგენს ერთ „პალიმფსესტს“:

„რა თქმა უნდა, შევასრულებ ჩემს მოვალეობას, 22 ნოემბერს“.

— მიაწერა — 93 წელი. ვუთხარი, რომ არ იყო 93 წელი, 2013 წელია-მეთქი.

კიდევ ერთი:

„მონახე ჩემი პასპორტი. კავკავში მივდივარ“.

არ შევიცხადე. არ ჩავეკითხე... ცოტა ხნის შემდეგ მიწერს: „არ არის საჭირო. არსად არ მივდივარ“. ჰქონდა ასეთი ჩავარდნე-ბი. თითქოს ვილაცხას ეჩხუბებოდა, თითქოს გააბრაზა ვილაცამ...

ცუდად რომ იყო, დამინერა დაფაზე: „ნუ მანვალეზთ, მივდივარ“. გამახსენდა: ადრე გერონტი ქიქოძის აღსრულებას შესწრეზია, მამიდამისის ქმრისა, ტასო ამირეჯიბის. ავად რომ იყო ძია გერონტი, ნემსებს უკეთებდნენ, ხან რა ინიექციას, ხან — რას. უთქვამს მაშინ: „ნუ მანვალეზთ, მაცალეთ სიკვდილი“. ზომ ცნობილია, როგორი მოაზროვნე იყო და, ეტყობა, სიცოცხლის სიკვდილში გადასვლის მომენტის დაჭერა და აღქმა სურდა. ცნობიერი მიდიოდა, ამ მომენტის შეგრძნება სურდა. იგივე თქვა ჭაბუკამ: „ნუ მანვალეზთო, მივდივარ“.

და მერე, რამაც გამაგიჟა, დაწერა: „ნათიაც ნამომსვლელია“ (მაშინ შევიტყვე, რომ ნათია, ჭაბუას და, ეს ბრწყინვალე ქალბატონი ცოცხალი აღარ იყო. ვაი, სირცხვილო! — ა. ს.). რალაც იგრძნო... მაგრამ მშვიდად იყო. შემდეგ დაწერა: „ჯერ ადრეა ნათიას ნამოსვლაო“. თითქმის თვე-ნახევრის წინათ გარდაიცვალა.

...სიცხეები ჰქონდა. წვეთოვანი ედგა. მაშინ ვიფიქრე, ეგებ, ჯობდეს, რომ ეზიაროს-მეთქი.

ვკითხე, გინდა, მამა ტარიელი რომ მოვიდეს და გაზიაროს? თავი დამიქნია, — კიო (ამას თამრიკო ჩურჩულთ მიყვებოდა, ცრემლი რომ არ ამოჰყოლოდა სიტყვას. ამუხრუჭებდა. გულში იბრუნებდა სევდას, რომელიც მისი იყო).

მოძღვარი მობრძანდა, მამა ტარიელი. ისე მიიღო ჭაბუკამ ეს ზიარება, ისეთი სახე ჰქონდა, როცა ლოცავდა... რალაც არაჩვეულებრივი, ზეციური თითქოს.

ეზიარა, ისე წავიდა.

ბოლო წუთამდე ცნობიერი იყო.

შემდეგ უნმინდესმა აუგო ანდერძი წმინდა სამების ტაძარში, ხომ გახსოვს, ტაძარში.

— ნავიდა. სიცარიელეს თუ გრძნობ ამ ოთახში, უმისობას?

— ხელი არაფრისთვის მიხლია. ყველაფერი ისეა, როგორც მის დროს იყო... ისეთი განცდა მაქვს, თითქოს სულ აქ ტრიალებს, აქ არის... ჯერ ასეა. ამიტომაც არსად წასვლა არ მინდა. სულ ამ ოთახში ვარ გამოკეტილი. ვანესრიგებ რაღაცას — ძველი ინტერვიუებია, ჩანაწერები... მოგონებები ერთ წიგნად შევკარით. მასალაა. დასახვეწია. რამდენიმე ინტერვიუს დავუმატებთ, რომლებშიც საინტერესო კონცეფციებზე საუბრობს.

— დაგსიზმრებია?

— კი. სულ მესიზმრება, წარმოიდგინე. იმ სურათს შეხედე, ლაბადა ჩაცმული რომ დგას. აი, მაგ „პლაშჩით“ ხშირად ვხედავ, სადღაც მიდის. ვეუბნები: ჭაბუკ, ნუ მიდიხარ, ცოტა ხანი დარჩი ან წამიყვანე. — არა, არა, დარჩი, შენ აქ იყავიო, ღიმილით მიპასუხებს ხოლმე... სულ ბოლოს, გარდაცვალებიდან წელიწადი რომ შესრულდა, მაშინაც ვნახე. გახარებული გამოვიდა სახლიდან, ძალიან ლამაზი პერანგი ეცვა. ეს პერანგი საიდან? მე რომ არ მახსოვს? — როგორ არ გახსოვს? როგორ არ გახსოვს, სულ მქონდაო. კარგი-მეთქი, გადავიცვამ და მეც წამოვალ, — ვუთხარი. — არა, არა, შენ მანდ იყავიო. და ნავიდა...

— ხომ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე „დათა თუთამხიას“ ავტორი?

— სამჯერ იყო წარდგენილი და ყველა წარდგენის დროს გავიდა ნომინაციაში.

— შემდეგ რა მოხდა? რატომ არ მიანიჭეს ბოლოს და ბოლოს?

— ჩამოვიდა მისი მთარგმნელი შვედი, არაჩვეულებრივი პიროვნება, პოეტი ჰანს ბიორკეგრენი. მთელი რუსული კლასიკა აქვს ნათარგმნი. ჩამოვიდა და უთხრა, არ გენყინოსო, ჭაბუა. ნომინაციაში სამჯერ ხარ გასული. ეს ნიშნავს, რომ პრემია მოგანიჭეს, უბრალოდ, ფული არ მოგცეს. აღიარებული ხარ და ესაა მთავარიო...

— **ჭაბუას როგორი რეაქცია ჰქონდა ბატონ ჰანსის განმარტებაზე — პრემირებული ხარ, მაგრამ ფული არ მოგცესო?**

— ერთი მაგათიცო! ფული არასოდეს მქონია და არც მექნებაო.

ქვეყნდება პირველად

თავი II

ლიბერალტურა და სელოვნება

მეწუკვალისთვის მიგიტანია წყალი...



ჯანსუღ ჩარკვიანი

აპრილის იმ საღამოს

10 მაისს თბილისში, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსენა ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანების ვარსკვლავი, 23 აპრილს ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანთან ახალგაზრდობის შეხვედრაზე ეს „დააანონსა“ საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა.

ესე, რომელსაც გთავაზობთ, ამ შეხვედრის ანარეკლია.

ერთი პატარა ლექსი, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა თავის მომავალ მეუღლეს ირმა ჩხეიძეს მიუძღვნა, ასე მთავრდებოდა:

რადგან აპრილში

ის გოგოა დაბადებული...

კითხულობდა ხოლმე ამ ლექსს (რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება) უნივერსიტეტში გამართულ პოეზიის საღამოზე ჯანსუღ ჩარკვიანი და მუდამ სტუდენტების მოწონებას იმსახურებდა.

სტუდენტობის წლები შეყვარებულობის პერიოდია.

აპრილი — დაბადების თვე.

წლევანდელი აპრილის თორმეტს თითქოს კვლავ დაიბადა ჯანსუღ ჩარკვიანის ბრწყინვალე პოეტური ნიმუშები, ლექსები, რომლებიც ჭეშმარიტი ლიტერატურის მოყვარულმა ახალგაზრდებმა წაიკითხეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თეატრალურ დარბაზში გამართულ შეხვედრაზე დიდ ქართველ პოეტთან, რომელსაც სულ ახლახან სახალხო პოეტის საპატიო სახელი მიენიჭა.

როგორც იქნა, და მადლობა ღმერთს!

ვადიარებ: არ მეგონა, არ ველოდი, რომ დღევანდელ აღვირახსნილ ყოფაში გვყავს ახალგაზრდა თაობა, რომელიც ბილწისიცივაობის სიუხვით ყროლი „ლიტერატურის“ უჩვეულობას კი არ მოჰყავს აღტაცებაში, არამედ ვაჟა ფშაველას დიდ ბერმუხობასა და მყინვარმთობას:

შატილით მოდიოდა —

დიდი მთებით.

მთვარეს შეხვდებოდა

ჟინვალთან,

მთვარისოდენა ხინკალს

მიირთმევდა —

ეს დიდი ბერმუხა და

მყინვარმთა.

ხელები ჰქონდა, —

წყაროს ამოსცლიდა,

ქვეყნის მაჯისცემას

უგდებდა ყურს,

მერე დაჰყვებოდა,

ბალახებს დაჰკოცნიდა

და შეუკურთხებდა

ციმბირის წყლულს!

ის იყო დიდი და

ის იყო სხვა,

მისი მართალი სულის ცხონებამ,

მერე ცხოვრებას მოუჭრა გზა

და შორს გაასწრო

**თვითონ ცხოვრებას.
(„ვაჟა“)**

როგორ კითხულობდნენ, როგორი განცდითა და სულის ამო-
ყოლებით!

აუჰ!

ყველა ლექსს, ჩანაცვლებით — ლექსების და დეკლამატორე-
ბის — გოგოებისა და ბიჭების.

ჯიშინი და გონიერი თაობა გამოდიოდა იმ საღამოს პიონერ-
თა სასახლის თეატრალური დარბაზის სცენაზე.

პარტერში კი ვისხედით 60-ს, 70-ს გადაცილებული ქალბატო-
ნები და კაცები და შევციცინებდით მათ, შევნატროდით დიდ
პოეტს, რომლის შემოქმედებამ შეგვინარჩუნა ეს სუფთა გუ-
ლები.

მორჩმით იჯდა ჯანსუღ ჩარკვიანი მახვშის სავარძელში და
ამკარად ეტყობოდა (არც მალავდა), რომ ჩამოიბერტყა თავი-
სი 80 წელინადი და ამათი თანატოლი გახდა.

„ჩამოვიბერტყოთ ფეხზე ვით მტვერი“...

რევოლუციური შეძახილი, სიახლისკენ სვლის მონოდება,
გნებავთ, ლოზუნგი.

რახან სიტყვამ მოიტანა, მაინცდამაინც ახლა მიინდა ვთქვა,
რომ იმ საღამოს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჯანსუღ ჩარკვი-
ანის შემოქმედების ერთ განსაკუთრებულ თვისებასა და უნი-
კალურობაში, რასაც მხოლოდ რამდენიმე შტრიხით ნარმოგიდ-
გენთ. ფრაგმენტულად.

ამეკვიატა აზრი, რომ მისი პოეტური ქმნილებები გასული სა-
უკუნის დიდი რევოლუციების „ნითელი ღმერთების“ მონოდე-
ბათა ძლიერი რიტმის, ფოლადისებრი სიმტკიცის, არაორაზ-
როვნების („Вам слово, товарищ маузер!“ — მაიაკოვსკი) და აქ-
ვე — სულიერი სიღბილისა და კაცთმოყვარეობის („Впереди с
кровавым флагом... / В белом венчике из роз / Впереди Иисус
Христос“ — ბლოკი), ამ ორი განსხვავებულობის ჰარმონიული
და ორგანული შერწყმის უიშვიათესი ლიტერატურული ფაქ-
ტია:

**ძლივს, ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში**

მოსახვედრია!

თავისუფლება ისე არ მოდის,

თავისუფლება ლომთა ხვედრია!

ეს ერთი მხარე, და მეორეც მის გვერდით: გამარჯვების დროშად აფრიალებული „დახეული ქარი“, როგორც ფიალის ცრემლით ავსების მიზეზი:

მთებზე დახეული ქარი ფრიალებს,

ბრძოლაგამოვლილ დროშად ფრიალებს

და გამარჯვების დროშად ფრიალებს,

და ცრემლით ვავსებ ყველა ფიალას

და ვსვამ ბრძოლების დიდ სადღეგრძელოს.

(„სადღეგრძელო“).

ბრძოლის ჟინი და ალტკინება ცრემლით გაკეთილმობილებული. „ბეთანიის თეთრი ქარებით ავსებული დღეები“, „ლურჯი ქრისტეს ტანივით“, ფასკუნჯისფერი და ქედნისფერი ფრესკის სიშორე — „ჩემი სხეულის ძველი კედლები“.

სინმინდის ამ მიუწვდომლობიდან, როცა მოუხდება, მიწაზე დაგვაბრუნებს — ახალგაზრდობის დროსა და სივრცეში, რომელსაც, რაც უფრო ვცილდებით, უფრო ახლობელი ხდება.

სანატრელი და თბილად მოსაგონარი:

ზედ რუსთაველის დასაწყისთან,

კაფე „მეტროს“ წინ,

დაახლოებით თორმეტ საათზე,

ვიდექით ისე...

არც გვქონდა საქმე,

ვფიქრობდი

ლუდი დაგველია.

შუადღის ქარი სულ მთლად შიშველი,

წვიმის გუბეში აბრუნებდა

ფერად ფირფიტებს

და ამღერებდა პატარა გუბეს...

ის დღეები გაგვიცოცხლდა 2014 წლის აპრილის თორმეტს. აპრილი აღდგომის თვეა და დაბადების ჟამი (ეს უკვე გითხარით), და ვინმემ იმ საღამოს და იმ საათზე შემთხვევით რუსთაველის პროსპექტზე თუ გაიარეთ, აუცილებლად დაინახავდით, რომ პიონერთა სასახლიდან ახალგაზრდებთან ერთად გამოდიოდნენ ხანდაზმული ადამიანები გასხვივოსნებული სახე-

ებითა და წლების სიმძიმე შემსუბუქებულები.

გამოდოდნენ და როგორც წლების წინ, უზრუნველად მიუყვებოდნენ ჩვენი ახალგაზრდობის პროსპექტს:

— მანქანით ხომ არ წამობრძანდებით?

— არა, გმადლობთ! ფეხით გავისეირნებთ.

დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებითი სალამოს ორგანიზატორებს — მედიაპოლდინგ „რეპორტიორის“ ხელმძღვანელებს ნუგზარ ფოფხაძესა და გიორგი მამაცაშვილს (ესეც თაობათა უნიკალური სინთეზის ფაქტია), მასთან არსებული არტსახელოსნოს „კოლიბრის“ წევრებს, ვინც ქართული სიტყვისა და სიტყვაკაზმული მწერლობის ერთგულება დაამტკიცა, ვინც ხვალ უპატრონებს მაღალ ხელოვნებას. დღესაც ხომ პატრონობენ!

P.S. გასული საუკუნის დასაწყისში ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ლექსების წერის პრეტენზიის მქონე „სიტყვის ოსტატებს“ ნიშნისმოგებით მიმართა:

А ВЫ

ноктюрн сыграть

могли бы

на флейте водосточных

труб?

დარწმუნებული ვარ: იმ სალამოს მუხლებში ძალაჩამდგარი თაობა, საქართველოში გაზრდილ დიდ რუს პოეტს უპასუხებდა, რომ ჯანსუღ ჩარკვიანმა შეძლო და წყალსადინარი მილების ფლეიტაზე დაუკრა ღვთაებრივი ნოქტიურნი.

რაც, მამულის სიყვარულისა არ იყოს, „განსაცვიფრებლად არის მთავარი“.

გ ა ზ . „ქ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა “ , 9 მ ა ი ს ი , 2 0 1 4 წ ე ლ ი

«ორ სახარუი გახრილი წვიმა»



ფიქრები რეზო გახრიასის «რამონას» ნახვის შედეგად

მოქრის მატარებელი
გულის გამხარებელი
მა-ტა-რე-ბე-ლიიი...

დაგდაგ, დაგდაგ, დაგდაგ...

ლიანდაგების შეპირაპირებაზე რკინის ბორბლების ამ მონო-ტონურობასთან შერწყმულ, პროვინციული ქალაქის მამაკაცებში პოპულარული „შიპრის“ ოდეკოლონის მარტივ სურნელებას ამოჰყვება დენტის სუნით გაჟღენთილი ქარტეხილები

სტალინგრადის ეპოპეის („სტალინგრადის ბრძოლა“) და, რა თქმა უნდა, თავგანწირვას გადახლართული ფაქიზი, სიყვარული „ვარდის ფურცლობის“ ჟამის („ალფრედი და ვიოლეტა“).

რა ამპლიტუდაა!

მატარებელი კი მიჰქრის და კონტრასტული დაუსრულებლობის მოწადოებულ წრეში ტრიალებს რეზო გაბრიადის შედეგების მარიონეტული ხილვები: აბსოლუტურად ორიგინალური, რადგან ასეთი პირველადობა მხოლოდ აქ შეიძლება შეიქმნას... საიდანლაც ჩნდება გრძნობა შენი ნაფიქრალის მატერიალიზების.

ფიქრისა, რომელიც არ გიფიქრია, გრძნობისა, რომელიც არ გიგრძენია და რომელთაც შენად მიიჩნევ მაინც.

ასეთი სასწაული მხოლოდ აქ, მარიონეტების თეატრში ხდება, ციცქნა სცენაზე, გახევებულ გრძნობებსა და დამუხრუჭებულ გონებაში მინავლებული ადამიანურობის გამოღვიძება.

„1947 წლის 24 ნოემბერს რკ/გ სადგურ „რიონში“ ნისლი იდგა“, — ასე იწყება რეზო გაბრიადის მოთხრობა „ერმონია და რამონა“.

ნისლი, რომელიც იმის წინამორბედა, რომ შეიძლება „ცამაც ვერ გაუძლოს“ და „ორ საცერში გაცრილი წვრილი, მტვერს რომ ჰგავს, წვიმა გამოუშვას“.

შეიძლება, რატომაც არა...

მოხდა ისე, რომ მარიონეტებში „რამონას“ პრემიერაზე დაპატიჟებული „ჩემი გაზაფხულის შემოდგომაზე“ აღმოვჩნდი. მე-4 რიგის მე-8 სავარძელში.

ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ყველა სხვა შემთხვევა იქნებოდა ბანალური, ჩვეულებრივი, რეზო გაბრიადის ორიგინალურობიდან ამოვარდნილი ფაქტი. **„... იგი ნამდვილად დიადი ორიგინალურობის ჭეშმარიტი შემქმნელია“, — თქვა თავის დროზე პიტერ ბრუკმა.**

ხომ მართალს ამბობს პიტერ ბრუკი, პატივცემულო ბორის, ბორისო, სიყვარულით რომ მიმართავდა ქალბატონი დომნა, მაყურებლის თვალწინ დაქვრივებული, რიონის სადგურის ვაგონების შემომვლელი, საბჭოთა რკინიგზელების დიდი ოჯახის ერთი უჩინარი წევრი ფილოსოფიურად განწყობილ და ყველაფრისმცოდნე თეთრ ყვავს — ბორის გაგარინს.

ბორისოო.



რეზო გაბრიაძეს განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება აქვს მშრომელთა ამ დიდი ოჯახის მიმართ, ვადასტურებ ამას თუნდაც იმით, რომ რამდენჯერაც შევხვდი, რამდენჯერაც ინტერვიუ ვთხოვე, ზუსტად იმდენჯერ და ცოტა მეტჯერაც რკინიგზელებზე მიმითითებდა: ეძებე, იპოვე, დაწერე — განუმეორებელი ხალხია, პირნიმინდად დავინწყებული ჰყავთო ახლა ისინი.

და ამდენჯერვე კატეგორიული უარით გამომისტუმრა ინტერვიუს ჩამოსართმევად მისული:

— შენ რომ გესაუბრო, მერე აქ ჟურნალისტების რიგი დადგება. მე მაგის თავი არ მაქვს და ხალხს მოვიმდურებ.

ორთქლმავლების საგაზე მუშაობა რომ დაიწყო, რეზო გაბრიაძემ სთხოვა რკინიგზის მაშინდელ ხელმძღვანელს ორთქლმავლის ერთი მაკეტი, რომელიც რკინიგზის მუზეუმში ჰქონდათ გამოფენილი, მარიონეტების თეატრისთვის დაეთმო.

იმ კაცმა, თავისი ცივი უარის ზრდილობის თბილ ქურქში მოსაქცევად და საკუთარი კეთილგანწყობის დემონსტრაციის მიზნით, სანაცვლოდ ორი ათასი ლარი შესთავაზა(!).

ასეთი იყო ყოფილი ხელისუფლების ერთი კონკრეტული მაღალჩინოსნის ხელოვნებისადმი დამოკიდებულების პრინციპული საფუძვლები.

რკინიგზელების ფოტოები აქვს შეტანილი თავის წიგნში რეზო გაბრიაძეს, მცირე გალერეა: „ლოკომოტივის დეპოს პირველი კლასის მემანქანე ბ. ხმალაძე, სამტრედიის ლოკომოტი-

ვის დეპოს პირველი კლასის მემანქანე ნ. ხუჭუა, სოხუმის ლოკომოტივის დეპოს ელმავლის მემანქანე გ. მიქაძე და ვ. ზახაროვი კომუნისტური შაბათობის დღეს, ელმავლის მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი კ. ელიაშვილი“ (რეზოს მამა — ლევან გაბრიადე სოციალისტური შრომის გმირი იყო).

რატომ ჩართო ასეთი რეალისტური დოკუმენტები წიგნში, რომელშიც ცხოვრება ფანტასტიკური სიმბოლოებით არის დახატული, ანუ როგორც ავტორი წერს: „თვალი შორაპანში გათენებას ეძებდა და რალაც რალაცებს არჩევდა სიბნელეში“?

გაარჩია, დაინახა და მოგვემართა ჩვენ — წიგნის მკითხველებს:

„...როდესაც (რკინიგზელების) ამ ფოტოებს ვუყურებ, ყოველთვის განვიცდი დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობას. სირცხვილის, ალბათ, იმიტომ, რომ ვერ მოვასწარი მათთვის მადლობის თქმა და ჭიქის აწვევა უკუდო სადღეგრძელოთი...“

გთხოვთ, თუნდაც წამით, ოდნავ მაინც შეაჩეროთ თქვენი მზერა ამ სახეებზე.

გმადლობთ“.

იდიოტები არიან ისინი, ვინც 2003 წლის 23 ნოემბრიდან მონდომა საქართველოს „ახალი წელთაღრიცხვის“ ათვლა...

პაციენტები „პალატიდან №6“.

ხომ ასეა, ბორისო?..

მორიდებული, ოდნავ დაგუდული ხმით იტყვის რეზო გაბრიადე სპექტაკლის დაწყების წინ — გამორთეთ, თუ შეიძლება, მობილური ტელეფონები. ჩვენი დარბაზი პატარაა, აქ ჩურჩულიც კი ხმაურად ისმის.

გმადლობთო.

დიახ — **გმადლობთ** და არა ვილაც პიჟონის უვიცობას მორგებული **„მადლობა“**, როგორც ავლაბრული **„ბოლო-ბოლო“** ქართული **ბოლოს და ბოლოს** ნაცვლად.

გაყუჩდება დარბაზი და ამ სიჩუმეში, როგორც ზღვის ქაფიდან აფროდიტე, იშვება სიყვარულის ისტორია, გულის ამარწყებლად განვითარებული სადგურ „რიონის“ ლიანდაგებზე და ტრაგიკულად დასრულებული შაპიტოს მოხეტიალე ცირკის არენაზე წყალტუბოში გასტროლების დროს.

დიახ, ცირკის, დიახ, სიყვარულის, რომელიც ორთქლმავლების რკინის გულელებსაც ცვილივით ადნობს.

რეზო გაბრიადის „რამონა“ ასეთ სიყვარულზე მოგვითხრობს — სამანევრო ორთქლმავალ ფიდ-136 ჰკვ. ჯდ №805-4-ის და იმავე ამიერკავკასიის რკინიგზის (ჰკვ. ჯდ) ИС-235 №83501 საბჭოთა კავშირში ნავალი, შესანიშნავი ბიოგრაფიის მქონე მძლავრი ორთქლმავლის, სახელად ერმონია.



ამ სპექტაკლზე მეორე მცდელობით მიმიპატიჟებს თეატრის დამფუძნებელი.

ერმონია „ლიტერნი ელმავალს“ ვერ შეედრებოდა სილამაზით, რომელიც „რობერტ ტელილოს“ ჰგავდა. ვინმეს თავში რომ მოსვლოდა ამერიკაში, ტელილორისთვის გულზე ემალირებული დაფა უნდა დაეკიდა „Москва-Цкалтыნი“-ს ნარწერით“. სამაგიეროდ ერმონიას გერმანიასთან ომის დროს „კოსიგინთან ერთად ქარხნები გამოუტანია ბრძოლის ველიდან და კუზბასში ჩაუტანია... შავი იყო, ვიდიანი“.

უყვარდათ ერთმანეთი ერმონიასა და რამონას და ამ სიყვარულის ცეცხლი მათი ორთქლის ქვაბების ატმოსფერულ წნევას კრიტიკულ წერტილამდე აღამაღლებდა.

მაგრამ ამ დონის იქით, ფიზიკის ელემენტარული კანონის თანახმად, ირღვევა წონასწორობა, ჰარმონია, რაგინდ მბრუნავი და აღმავალი იყოს, როგორც სიყვარული.

მთავრდება სიყვარული, რომელსაც ეჭვიანობა შთანთქავს, მხურვალე და ენაჭარტალა ჩიტის ჭორიკანობით ზღვარგადასული („ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“).

იქნებ, მართალი ამბის (რა იცი!) პიკანტურ დეტალებს ტყვიამფრქვევივით ესროდა გააფთრებულ ერმონიას „შიშველი ტოტიდან ჭრელ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი ჩიტი, ბეჭეებში რომ ცოტა ვინრო ჰქონდა და შარვალი წვივებამდე დამოკლებოდა“:

„— ჰკითხე, რატომ მაგას დაუდო მაინცდამაინც პატეფონი კიბეზე აბრამიძემ?..“

— ვინ იწვა შენზე გადაშლართული ტენდერში, ნახშირზე 9 მაისს წყალტუბოდან ქუთაისამდე?!“

და ა. შ.

დაედევნა ოტელოსავით ეჭვიანობას ატანილი ერმონია წყალტუბოსკენ ლიანდაგით გაქცეულ რამონას.

„— მოკლავს! — ინივლა ცირამ და თხელი ტუჩებიდან მკლავით პომადის ნაშლა დაინყო“. მაგრამ ბოლოს და ბოლოს „ნერვებზე გადასული“ ერმონია თვითონ მოიკლავს თავს:

„ერმონიამ შავი მილი მოიგლიჯა და ბოლიანად რიონში ისროლა.

— ვისში გამცვალე?!“

ერმონიამ — ИС-235, რომ იტყვიან, სრულად დაკარგა კონტროლი თავის თავზე!

თვლები, ონკანები, 38 მუხრუჭი! რომელი საით მიფრინავდა გამოდარებულ, მოყვითალო-მოვარდისფრო ცაში — ზოგი გურიისკენ, რაჭისკენ, აჭარის ქედს იქით, იმის იქით, მამიჩემის მამასთან, მაშრიბში, მალრიბში“.

იმერეთის თავზე გასკდება თორმეტატმოსფეროიანი ქვაბი — სიყვარულის ენერგიის უზადლო გენერატორი.

ხოლო ცნობისმოყვარე, სპორტულჩემოდნიანი ლენინგრადელის შეკითხვას, რას ყვირისო ერმონია, რუსულად უპასუხებენ ასე:

„— Он кричит — она блядь!“

ეჭვიან სიყვარულს შეეწირებიან ერმონია — ИС-235 და რამონა ФД-135 — პაროვოზები.

„ჩემი გაზაფხულის შემოდგომამ“ დახურა ლინკოლნ-ცენტრის ფესტივალი საკუთარი ხელწერის განუმეორებელი და მშვენიერი მელანქოლიით („ნიუ იორკ ტაიმსი“, 2002).

მაგრამ გავა დრო და რეინკარნაციის კანონის ძალით რეზო გაბრიადის მარიონეტების თეატრში პროვინციული ეჭვიანობის მაქსიმალიზმიდან „რამონას“ პრემიერის სახით გაცოცხლდება მათი ტრფობის ამბავი. ეჭვიანობის გარეშე, მაგრამ მაინც ტრაგიკული დასასრულით: ფეხმოტეხილი ლამაზმანი მუშაითი მსახიობის ნაცვლად შაპიტოს ცირკის ბაგირზე გასული რამონა მთის იქით ერმონიას თეთრ ბოლს რომ დაინახავს, მის

მრგვინავ ხმას რომ გაიგონებს, თავბრუ დაეხვევა, წონასწორობას დაკარგავს და მინას დაენარცხება.

მოკვდება სანყალი რამონა.

ზედ დააკვდება ბოლოს და ბოლოს საქართველოში დაბრუნებული ორთქლმავალი IC-235 — ერმონია.

— ბატონო რეზო, — ვკითხე მორიდებით სპექტაკლის შემდეგ, — როგორ დაიბადა სატრანსპორტო საშუალებათა სიყვარულის იდეა?

— ჩემი წიგნი გაჩუქე?

— არა.

— ხვალ მოგიტან, ნაიკითხავ და გაიგებ.

ხვალ გავცვლით წიგნებს. ჩემსას დიდ წარწერას დაეურთავ იმის აღნიშვნით, რომ რეზო გაბრიადის სახელი სამუდამოდაა შესული მსოფლიო ხელოვანთა სიაში.

წავუკითხავ.

გაიღიმებს და მეტყვის:

— მე ამდენს ვერ დავწერ...

გადაშლის თავის წიგნს და თავფურცელს შეახებს კალამს.

წერს წელა. მონდომებით გამოჰყავს ასოები. ჩაილაპარაკებს თავისი ცოტა სარკასტული, ცოტა იუმორისტული და, რა თქმა უნდა, თბილი ღიმილით:

— ბ-ს მომგონს რა ვუთხარი, ძნელი დასაწერია!

წარწერაში ბანი იყო ექვსი. ექვსი საყვედური არ თქმულა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ:

„უნივერსიტეტში გატარებული წლების მოსაგონებლად, კეთილი სურვილებით, რეზო გაბრიადე. 8.IV.13 თბილისი“.

წავიკითხე ამ წარწერიანის ის წიგნი და, რაც ზემოთ დავწერე, იმ წიგნიდან მოდის.

P.S. მატარებლის ხმა თანდათან ახლოვდება. დამახასიათებელი დაგდაგის ფონზე სიბნელეს ყელზე შემოეხვევა ვაგონების ფანჯრების სინათლის გრძელი მძივი.

დაგდაგ, დაგდაგ, დაგდაგ...

ჩაივლის „ლიტერნი“ და რეზო გაბრიადის თოჯინები რამონასა და ერმონიას სიყვარულის ამბავს მოგვიყვებიან, წარმოგვიდგენენ ავტორის ნიჭიერებით გაბრწყინებულ „მანონ ლეს-



კადრი ფილმიდან „ჰერაკლიდაზი“

კოს და დეგრეს სევდიან რომანს“, რომელსაც ამიერკავკასიის რკინიგზის სივრცის რიონი-წყალტუბოს უბანზე „ჰქონდა ადგილი“.

ერთი საათით მაინც თუ გსურთ, თავი დააღწიოთ უნიჭო ცხოვრების სიმახინჯეებს, მიუკაკუნეთ ძველ თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის უკან დაბრეცილი კოშკის ძირას მიდგმული საბილეთო ჯიხურის სარკმელს — იქნებ დარჩათ ბილეთი „რამონას“ პრემიერაზე?

შთაბეჭდილებებზე და „ორ საცერში გაცრილი წვიმის შესახებ“ მას შემდეგ ვილაპარაკოთ, იმ სამყაროზე, რომელიც რეზო გაბრიაძემ შექმნა და „სადაც ტრადიცია, ფანტაზია და თავისუფლება გვერდიგვერდ დადიან“ („კორიერე დელა სერა“).


2013 წლის 15 მაისი

უხსო ჩიბი, ჩოქელის ქალაქის თავზე გაჟონდა

რეზო გაბრიაძემ თავისი ახალი წიგნი მაჩუქა, ქართული საქმის მკეთებელი მაგთის სპონსორობით გამოცემული:

„კილე შირაზი“.

ავტორი და მხატვარი რეზოა, ბატონი რეზო, დიდი და მრავალმხრივი შემოქმედი (ეს თქვენ იცით), აღიარებული მეტრი (ესეც იცით), რომელთან ერთად ნახევარ საუკუნეზე გაცილებით მეტი ხნის წინათ სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტური წლები უფლებას მაძლევს, შენობით ველაპარაკო.



ამად გავბედე ამ ჩანაწერების გამოქვეყნება და — არავითარი შეთამამება...

„მელახოლია სანი...“

„კილე შირაზი“.

— აბა, სხვანაირად როგორ უნდა წაენერა მხატვარს იმ წიგნის ყდაზე, რომელიც ფანტაზიორი შერეკილების თავგადასავალზე მოგვითხრობს, ჩვენებური კულიბინების — „ვილაც სუხარებით მეხრამუნე ნასტუდენტარი ფიზიკოსის“ — ქრისტეფორე მგალობლიშვილისა და „სიბნელიდან სინათლის კენ“ დაძრულ ოკრიბელ ერთაოზ ბრეგვადის, მიზანას შვილის მიერ საგიჟეში აგებულ ცათმფრენზე, მათ გაცუდებულ სიყვარულზე და კიდევ ბევრ რალაცაზე, სადაც მარგალიტა, ნოშრევან კუჭუხიძე და ხუტა ოდიშარია მთავარ როლებს თამაშობენ. ყვე-

ლა თავ-თავის სასიყვარულო სამკუთხედში ტრიალებს, რომელთა მიზიდულობის ცენტრი მარგალიტაა:

„— ქალბატონო მარგალიტა! — ჩურჩულით დაუძახა ციხის უფროსმა.

— რომელი ხარ? — მოისმა ოთახიდან.

— ოდიშარია.

— რომელი ოდიშარია, ხუსკივაძე?“

ობერკონდუქტორი ტრიფონია ეპიზოდურ როლზეა მიწვეული. თამუნია ყიფიანი კი მოგონებად დარჩება...

ლიმილიანი განწყობილება, მკითხველს თავიდან რომ დაეუფლებს, ბოლომდე გაჰყვება — 99-ე გვერდამდე და იმის იქითაც, როცა რეზო გაბრიადის „ნავსაყუდელში — სახვით ხელოვნებაში“ აღმოჩნდება შემოქმედების ტალღების მიერ ნაფოტივით ატაცებული: „საბჭოთა ჩემოდნის ნაზი ძირიდან“ გადმოვარდნილი უნიკალური ნახატების საგამოფენო დარბაზში.

მთავარი ნავსაყუდელი ცაშია, მეცხრე ცის ზემოთ, „ზემოთ და მაღლა“, სადაც მკითხველი მოხვდება, როგორც ცათმფრენის უბილეთო მგზავრი.

იმოგზაურებს კოსმოსური უსასრულობის შავეთში ვარსკვლავებად გარდასახული თეთრი ჩხიკვების გუნდის საპატიო ექსკორტის თანხლებით, აჩაჩა ურემზე დაბრძანებული, რომელსაც აქვს ორი ბორბალი, რვაფრთიანი პროპელერი და არყის სახდელი ქვაბის გასაიდუმლებული რაოდენობის ცხენისძალიანი ძრავა:

„ხანდახან ვილაც-ვილაცებს დაუნახავთ ვარსკვლავებში აჩაჩა ურემი.

ურემზე თითებით ნაძერწი მოლუნული სანთელი ანათებდა, უსასრულობაში რაღაცას ეძებდა“...

ვეძებდი სიტყვებს A-4-ის ფორმატის თაბახის ქალაღდის სიცარიელეზე იმ შთაბეჭდილების გადმოსატანად, მაინცდამაინც რეზო გაბრიადის შედეგვრები რომ ახდენს მკითხველზე.

ამაოდ.

თუნდაც იმიტომ, რომ თავს ვერ აღწევ ასოცირების მორევს, რომელშიც გითრევს გაბრიადის ფანტაზიით შექმნილი რეალობის იდენტიურობა ჩვენი უახლესი ისტორიის მწარე სინამდვილესთან, „ფსიქიატრიულ ახალშენში“ მდგარ აგურის შენობას რომ ჰგავს:

„ამ შენობას ორი კარი ჰქონდა და ერთი წარწერა — „საოყენე“.

მარჯვენა კარი განკუთვნილი იყო თავადაზნაურთათვის, მარცხენა — უბრალო ხალხისთვის“.

მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ ძალებზე მიგვანიშნა, მგონი, ავტორმა, ორპარტიულ, ანტაგონისტურ სიყალბეზე, რომელსაც ხალხისთვის არც არასდროს მოუტანია რამ სარგებელი, რადგან:

„...ორივე კარს ერთსა და იმავე ოთახში შევყავდით, ერთსა და იმავე ოყნასთან“.

უპოვართა და ამა ქვეყნის ძლიერთა გამაერთიანებელი მუდმივა — ოყნა!

„ეს ორი კარი უსამართლოდ ეჩვენებოდა მდაბიოებს“.

გავიზიაროთ მათი პროტესტანტული განწყობილება.

გაბრიაძე არაფერზე არ მიგვანიშნებს. არავითარი პოლიტიკა! ეს კი, დღევანდელი გაგებით, არაპროდუქტიულია. მაგრამ კონიუნქტურისგან ამგვარი გარიდებით მაღლდება ეს წიგნი ნებისმიერ პოლიტიკაზე მაღლა, დროზეც მაღლა და ამით უზრუნველყოფს გაუცვთებელ ღირებულებათა სიმყარეს — დღესაც და პერსპექტივაშიც.

კლასიკის ბუნებაა ასეთი.

ხოლო ის პარალელი ნაცნობ სიტუაციასთან ჩემით გავავლე. სხვა არაფერი. თორემ „შერეკილების“ ქვეტექსტებში იმდენ პარალელს იპოვით, თქვენ რომ გაგიხარდებათ.

ორმაგი სიმდიდრეა: ის, რაც არის, პლიუს ის, რაც იგულისხმება.

ნაიკითხავთ, მაგალითად, რომ გვალვიან ზაფხულს მოყოლილ შემოდგომაზე ნეო-ნერვო-კლინიკის პაციენტებმა **„გნოლიძემ, ლორიამ, ჩილაჩავამ, სიმონგულოვმა და ტყეშელაშვილმა ჩალის კარავში შეთქმულება მოაწყვეს, — ტყვილა ვყავართ აქანეო, მეფემ თუ გოუგო ნოშრევანს, დედის ცრემლი არ ეყოფაო“.**

ნაიკითხავთ და არ შეიძლება არ გაგახსენდეთ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში ოხრანკის თვალყურს გარიდებული ლენინის ჩალის კარავი რაზლივში.

„რევოლუციური კარგებისადმი“ ავტორის დამოკიდებულება ორიოდ წინადადებით არის გადმოცემული — მსუბუქი იუმორი

რით მიწასთან გასწორებული „რეკოლუციონერობა“:

„კარპეზა დენიაგმა (ნოშრევანის კაცმა) დროზე უცვალა გეზი შეთქმულებას, სხვა მსვლელობა მისცა და ოყნებს დაუკავშირა — ამ საქმეში თავადაზნაურობასთან გათანაბრება მოითხოვა.

ამასობაში აღმასას და მაისას კარავი შემოეჭამთ.

თავსხმა წვიმაში კი შეთქმულება ჩვენში ინტერესს კარგავს“. კარგად მეყოლეთ!

შეტყუა რიიალით

შეთქმულება უინტერესო ხდება, ცხოვრება მოსაწყენი, და უძრაობის ღრუბლების გასაფანტად, გასართობად ხალხი თავის თავთან ჯიგრიან დაპირისპირებას იწყებს ნებისმიერი მიზეზით. თუმცა პროვინციულ ქალაქში საჩხუბრად, ერთმანეთისთვის თავის გასატყუებად და ხუტას ცხენისთვის კბილებით ნალის ასაგლეჯად მიზეზი სულაც არ არის აუცილებელი.

მაგრამ მიზეზი მაინც არის იქ, სადაც არის თუნდაც ნემეცების ქუჩის „მის მარგალიტა“ — „შესანიშნავი გულმკერდით! ოდნავ მოელამო! ზომიერად პამადიანი!“

კიდევ ერთი პარალელი, უფრო ზუსტად, პარალელი შედარებისთვის, სადაც ერთ მხარეს პირველი საბჭოთა მუსიკალური კინოკომედიის შედევი, ალექსანდროვის „ვესიოლიე რებიატა“ იქნება — რეპეტიციის დროს ორკესტრანტებს შორის ატეხილი ჩხუბი, ექსპრესია და ენერგეტიკა, მიკროკადრებიდან ამოფრქვეული ცეცხლოვანი იუმორი, მუსიკალური და გამოსახვითი რიგების ზუსტი შეთანხმება, მოკლედ, სინთეზური ხელოვნების ზეიმი, და მეორე მხარეს — მხოლოდ სიტყვა, მაგრამ სიტყვა რეზო გაბრიადისა.

ხუთ გვერდზე გრძელდება ჩხუბის აღწერა, ტრიფონიას „ეზოში მეხი რომ გასკდება“, იქიდან მოყოლებული, ვიდრე საკვამურიდან იმავე ტრიფონის თავის ამოყოფამდე.

არა მგონია, ეს სცენა ჩამოუვარდებოდეს კინოკომედიის ბრწყინვალე კადრებს.

მხოლოდ ერთი პასაჟი „შერეკილებიდან“, არა ელდარ შენგელაიას ელვარე ფილმიდან, არამედ ამ ფილმის ლიტერატურული „წინაპირობიდან“:

„ორი რაზმი ერთმანეთს ეკვეთა! ატყდა ვაი-უშველებელი! შერბენ-გამორბენა! აშლი-მაშლი! მალ-მალ გინება! მათრახების ფსტვენა! ბაგა-ბუგი გოდოგნური! გაიღვიძა ქალაქმა! აკი-აფდა ჭრაქები! ყველამ ნემეცის ქურჩას მიაშურა! იფეთქა საუკუნეობით დაგროვილმა სტიქიურმა ძალამ. არავინ კითხულობდა ვინ — ვის რატომ ან რისთვის ურტყამდა! მამის, პატარის, დიდის, ქალის გარჩევა მოიშალა! მოცელეს ღობეები! გათელეს ბალები! ბოსტნები! ბორცვ-გორები! თევზი ნაპირს მოშორდა და სილაში ჩაიმარხა! ჩიტმა ცა გამოიცივალა! გახურდა ჩხუბი! აღდგა იმერეთი! განიეს გვერდზე საქართველო! გაიღო კარი ლხინისა!“ ხოლო „რაჭველები გუბერნატორის როიალით კედლებს ანგრევდნენ უსიტყვოდ!“

დანარჩენს თქვენ წაიკითხავთ.

ამ დროს „ბულვარდში ბუზიკამ დასცხო ვალსი ჩქარული! ჩვენებური! ვაჟკაცური!“, ხოლო „იამა ფლეიმანი პანჩურით დირიჟორობდა ორკესტრს!“

წავიდა ის დრო, როცა „ქიმია არ იყო, ვაშლში ჭია ბუდობდა, რძე ქვაბიდან გადადიოდა, გიჟი გიჟობდა და შმაგი შმაგობდა“...

„მანათობელი ვარსკვლავი“

ელდარ შენგელაიას ფილმი ვახსენე ზემოთ და მისი ლიტერატურული „წინაპირობა“. ჩინგიზ აითმატოვს აქვს ნათქვამი (თუ არ ვცდები), რომ კარგი ფილმი იქმნება იმ შემთხვევაში, როცა საფუძვლად ლიტერატურა უდევს.

ხელოვნების ორი განსხვავებული დარგის ერთ სულ და ერთ ხორც შერწყმაა ფილმი და წიგნი „შერეკილები“. ამასთან, ორივეს დამოუკიდებლად არსებობის უფლება აქვს მოპოვებული, როგორც დიდი ეკრანისა და სიტყვაკაზმული მწერლობის სრულყოფილ ნიმუშებს.

დღეს რეზო გაბრიადის პროზაზე ვლაპარაკობ, მწერალ კაცზე, რომლის შემოქმედება პლანეტის წარმოქმნის თეორიასავითაა — აფეთქდა და იშვა დედამიწა, რომელიც ადამიანებითაა დასახლებული, სადაც წვიმს, თოვს, გვალვაც იცის. ბუნების ჩვეულებრივი მოვლენებია, მაგრამ რეზო გაბრიადის კალმის ერთი მონახაზით ჭეშმარიტი ხელოვნების განზომილებაში გადადის.

წვიმს.

ჯერ მის „რამონაში“ „ორ საცერში გატარებული წვიმა“ რად ღირს, აქ კი „გვიანი შემოდგომის დღეს“ მოსული წვიმა გაგოცებთ, რომელიც ისეთი მოულოდნელი შტრიხებითაა გადმოცემული, როგორცაა „თაგვის უღვაშით“ განსაზღვრული ამინდის პროგნოზი:

„გვიანი შემოდგომის დღე იდგა, ჩუმი, მკრთალი, ბევრჯერ გარეცხილ მიტკალს ჰგავდა.

ნიაზემა კურკანტელის ტოტს მესკიელა ჩიტი მოწყვიტა და ჩალის კარავში უკუღმა შეაფრინა. ჩალის ღეროდან თაგვმა თავი გამოყო, ამინდს ყური დაუგდო უღვაშით, წვიმა მოესმა და ისევ ღეროში ყოფნა არჩია. ხიდან პატარა კურკანტელი ჩამოვარდა, ზრდილობიანად.

ნამონწვიმა კიდეც, გამოზომილად.

ქვა და ფოთოლი სისველემ ააპრიალა“.

ნოველაა თავისთავად, დამოუკიდებელი, თბილი და ჩუმი სევდის სინესტედაკრული. მაგრამ ეს მხოლოდ ექსპოზიციანია, რომელზეც აღმოცენდება პეპელას წაღებული კაცის სულის, სიმღერაში მიცვალებული მიზანა ბრეგვაძის სევდიანი ამბავი, რომელმაც **„აუშვა ცაში ხმა და ველარ დაიბრუნა. ამოისუნთქა და ველარ ჩაისუნთქა. ისესხა ღვინო და ველარ ჩაასესხა“.**

მიზანა სახეა ლატაკი იმერეთის, რომლის მკვიდრი ქართველების სულიერი სიმრთელის, სილამაზისა და დახვავებული პრობლემების განუმეორებელი იუმორითა და სიყვარულით აღწერა დავით კლდიაშვილის შემდეგ მხოლოდ რეზო გაბრიადემ თუ შეძლო, და არა მხოლოდ „შერეკილებში“.

ეს ცნობილია.

უცნაური შედარება მიტრიალებს თავში: „შერეკილები“, ისევე, როგორც გაბრიადის შემოქმედება სრულად — მარიონეტების თეატრი, კინოსცენარები, მხატვრობა, პროზა — სერვანტესის „დონ კიხოტის“ თანაზიარია სინმინდით, სულისკვეთებით, რაინდობით (თუ რაინდებით), არისტოკრატიზმით და, რაც მთავარია, კეთილშობილებით.

მსოფლიო შედეგის დონეზეა.

არ გამიჯავრდე, ბატონო რეზო, ასეთი პარალელისთვის! მაგრამ არ მეთქვა, არ შემეძლო.

ერთ ინტერვიუში კახი კავსაძემ გაიხსენა დონ კიხოტის გზამ-

კვლევით (თუ გზის მანათობელი) ვარსკვლავის მიხაილ ჩეხოვი-სეული (დიდი რუსი მსახიობის) შედარება მეფისტოფელის ვარსკვლავთან, რომელიც თვალების გუგებშია, ჰამლეტისა — გულშია, ლირის — გონებაში, ტვინში, სანჩო პანსასი — დუნდულეებში, დონ კიხოტის გზის მანათობელი ვარსკვლავი კი თავზე ოდნავ ზემოთაა.

და არა უსასრულო ზეცაში.

თავს ზემოთ, მაგრამ მიწასთან ახლოს.

შენს გამირებსაც ეს ვარსკვლავი უნათებს გზას, ბატონო რეზო.

„თოვლი თოვს...“

ფიფქებით კოდირებული თეთრი გზა ადამიანის ბედისწერის.

„ხელახლად მოსული“ თოვლი ილიას „ოთარაანთ ქვრივში“ ტრაგედიის მომასწავებელია, უვერტიურაა უბედურების, რომელიც სიმყუდროვის თეთრ სივრცეში გულის სიმის ჩანყვეტას ჰგავს, ძაღლის ყმუილით აფორიაქებული გულის:

„სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორლობებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა... ორლობის ღობეები, ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქელ დადებულ თოვლქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამო“.

„უცოდველი თოვლით“ დაფარულ სასაფლაოზე სწორედ იმ ღამეს დაენია სიკვდილი ოთარაანთ ქვრივს.

თეთრი სუფრა თეთრ სუფარად იქცა.

გლოვის ზარმა ჩამოჰკრა.

სულ სხვა ზარები გუგუნებს ალექსანდრე საჯაიას, კახური ზამთრით გაოცებული კოლხი პოეტის ლექსში:

**„ღამე არ ტირის ქარი ობოლი,
ბაკურციხეში ღამეც არ ცივა,
გვიან დაჰბერს და ცივი გომბორი
დაიგუგუნებს: „ბერი კაცი ვარ...“**

და აღფრთოვანებული, ღვინის მაღლით დალოცვილი კაცის ემოციური შეძახილი:

**„რა ღვინო იყო ის დალოცვილი,
რა ღვინისფერი თოვლი მოსულა!“**

ჯანსუღ ჩარკვიანის „მეურაცხყოფილი თოვლიც“ გავიხსენოთ და ჯექ ლონდონის „თეთრი მდუმარება“. კიდევ სხვაც.

სითეთრის მრავალფეროვნება.

და მივადექით გაბრიაძის მიერ დახატული ზამთრის სურათს, თბილსა და ფაფუკს, ყინვაში, შემცვივებულ მხრებზე მოგდებული თეთრი მელიის ბენვივით, მოულოდნელი სტუმარივით იმერული ეზოს ჭიშკარს რომ მიადგება:

- მასპინძელოო!
- მობრძანდი, ბატონო...

მას შემდეგ, რაც **„ჭინკამ ნიორი ჭამა, ნივრის ჩალა ნიავმა ნაილო ჭინკიანად“**, ნოშრევან კუჭუხიძის ნეო-ნერვო-კლინიკაშიც დადგა ზამთარი:

„მოვიდა იმერეთის ზრდილი სტუმარი — თოვლი და ყველაფერი გადათეთრდა“.

კონტრასტულად იცვლება ლირიკული განწყობილება:

„შმაგები რომ შმაგებია, ისინიც დანყნარდნენ, დალევდნენ დილით წაქს და სალამომდე ეძინათ...“

და კვლავ — თხრობის ლირიკული მდინარება:

„დამთავრდა ზამთარი, ჩანვა ფოთლებში ჩრდილი ღობის ძირას. ფოთლებმა ერთიც გაიშრიალეს, თქვეს ერთმანეთში რაღაცა ჩურჩულით და გარიჟრაჟზე წაიშალნენ.“

მის მერე ის ზამთარი არავის უნახავს“.

საოცრებაა!

ამ საოცრებაზე იმ ფოთლებივით მეც ჩურჩულით, ჩემთვის უნდა მელაპარაკა, ჩემთვის უნდა წამეჩურჩულებინა „შერეკილების“ წაკითხვით მიღებული შთაბეჭდილების შესახებ, რაიც, იმ ფოთლებისგან განსხვავებით, არც ერთ გარიჟრაჟზე არასოდეს წაიშლება.

მაგრამ რა დროს ჩურჩულია, როცა მაგიდაზე გიდევეს რეზო გაბრიაძის წიგნი —

**„კილე
შირები“**

და თენდება 22 სექტემბრის დილა.

ექვსის ნახევარია.

დაზამთრებამდე ჯერ ძალიან შორია. იმ ზამთრამდე, ბატონო რეზო!

ზეზის ბინაღარი

გია ყანჩელი 80 წლისა

ბატონი რეზო გაბრიაძე „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებიდან მიესალმება მსოფლიოში სახელგანთქმულ ხელოვანს, კომპოზიტორ გია ყანჩელს, რომელსაც გასულ ორშაბათს, ანუ 10 აგვისტოს, 80 წელი შეუსრულდა.

ერთდროულად სწავლობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მაშინ სტალინის სახელობისა იყო, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობდნენ.

ზეცის ბინადარნი.

— გია ყანჩელი ფილმზე მუშაობისას გავიცანი, — ამბობს ბატონი რეზო, — ასე დაიწყო ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომელიც ფილმიდან ფილმში ძლიერდებოდა და ოჯახებით მეგობრობაში გადაიზარდა.

კაცს დაბადების დღეს რომ მიულოცავ, სადღეგრძელო უნდა უთხრა, მისი შემოქმედების ანალიზით არ გადაღალო, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენო. მეც მოკლედ ვიტყვი.

თითქმის ორმოცი წელიწადია, ერთად ვართ.

ბევრ ფილმზე გვიმუშავია: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „არ იდარდო“, „შერეკილები“, „პასპორტი“, „ქინძაძა“ და ასე შემდეგ.

იყო მუშაობა და იყო მეგობრობა, რომელმაც ბევრ გამოცდას გაუძლო, ბევრი სიძნელე გამოვიარეთ, მათ შორის, სახელმწიფო წყობილების შეცვლაც.

ასე მოვიტანეთ დღემდე ერთმანეთის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა.

„გია ყანჩელი ჩემი ცხოვრების, ჩემი მოგონებების, ჩემი იმ სიხარულის ნაწილია, რომელიც ახალგაზრდობაში და მომდევნო წლებში განმიცდია, — წერს რეზო გაბრიაძე წიგნში „გია ყანჩელი დიალოგებში“, — ამავე დროს ძნელია მასზე საუბარი, განსაკუთრებით მე მიჭირს, რადგან ძალიან ახლოსაა ჩემთან, როგორც ადამიანი და ძალიან შორს დგას, როგორც მუსიკოსი, კომპოზიტორი.



რაზო გაბრიაძე, გია ყანჩელის პორტრეტი, 1970-იანი წლები

მისი მუსიკის მთელი სიღრმისა და არსის გაგებაში რამდენიმე კონცერტი დამეხმარა. ეს იყო დასავლეთში. მონმე გავხდდი — არ მიყვარს სიტყვა „წარმატება“, ეს არ იყო წარმატება დამსწრე საზოგადოებაში მოპოვებული, იყო ის ნათელი განწყობილება, რომელიც გეუფლება, როცა შეეხები რაღაც ძალიან ნამდვილს, დიდს, რომელიც იმ სიღრმეებამდე აღწევს, რომელთა არსებობა ადამიანს თავადაც ვერ წარმოედგინა. მას შეუძლია სულში შეღწევა, ეს კი ბედნიერებაა... მას შეუძლია გულის სიღრმეებზე ჩანვდომა და, ამასთან ერთად, დისტანციის დაცვა მსმენელთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლია, შექმნას ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებები. ჩანს, მას ეხმარება ქართული მუსიკის, ქართული სულის სიღ-

რმისეული გაგება. ძნელია, არ დაეთანხმო, რომ ენა საუკეთესო მუსიკაა და, ამ თვალსაზრისით, გია ყანჩელს შეიძლება ვუნოდოთ ქართულიდან საერთაშორისო მუსიკალურ ენაზე ყველაზე საუკეთესო მთარგმნელი“ (Гия Канчели в диалогах, გვ. 155-157).

— რას ვუსურვებ გიას?

ვუსურვებ კიდევ ოთხ-ხუთ სურათზე მუშაობას. შემდეგ — დასვენებას.

ვულოცავ გიას ოთხმოცი წლის იუბილეს! არ ვიცი, ახლა აქ არის, თუ სადაა... მის შესანიშნავ მეუღლეს — ლიულიას მივულოცავ, სანდროს და ნატოს, რომლებიც სულ პატარები მახსოვს, მის შვილიშვილებს, მეგობრებს.



გიოს სევა
გიგუნა
ზიანინს ყვავუნია
ი. ვახუშტი

ასე თქვა რეზო გაბრი-
აძემ. და გაატანა ეს მი-
ლოცვა „უსადენო კავ-
შირს“ — უცხო ფრინ-
ველს, აჩაჩა ურემს, რო-
მელიც ვერტიკალური
სიყვარულით გეზმიცე-
მული დღემდე მიჰყვება
დილის მზეს, „სულ ზე-
ვით და ზევით რომ
ადის“:

„გადაუფრინეს ხუხუ-
ლებს, ბალნარებს, ძველ-
სა და ახალ მკვდრებს,
დაბლებს, მალლებს, წმი-
დანებს, ყომარბაზებს,
თამარ მეფის საფლავს,
ფეხმძიმე გიმნაზისტკას,
მცხეთას, ალავერდს, ჩი-
ქოვანების საძვალეს, ხა-
ტის მინებს, ნასახლარს,
გატეხილ ციხეებს, მიტო-
ვებულ საყდრებს, ლედვ-
ნარს, თათრის შარას, ნა-
ფურნევს, დათვის ტანსა-

ბანს, ბოგვერაძეებს, ტიკარაძეებს, დადიანებს, გურიელის სა-
კურდღლეს, შველის ნანოლს, დათიას თელას, ონს, ხონს, ობ-
ოლ მსხალს, კავთისხევს, ფაქიზაანთ უბანს, ურიის ბორანს, ვა-
სილას ნალიებს.

გადაუფრინეს მღვდლის ვენახს, ქლიავბარდებს, ანდროებს,
პატარა მალაროს, ტატიას ქოხს, ფაცციას კაკალს, ერთი სიტყ-
ვით, რასაც ჩვენ საქართველოს ვუნოდებთ“ (**„შერეკილები“**).

**გადაუფრინეს გია ყანჩელის ღვთაებრივი მუსიკის ტალღებ-
ზე.**

აკი გითხარით, ზეცის ბინადარნი არიან-მეთქი.

P.S. „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის ჟურნალის-
ტები ბატონ რეზოსთან ერთად ულოცავენ დიდ ქართველ კომ-
პოზიტორსა და გამორჩეულ ხელოვანს, ბატონ გია ყანჩელს
ღირსშესანიშნავ იუბილეს.

სიკეთე და ბედნიერება თქვენ და თქვენს ოჯახს, ბატონო
გია!

2015 წლის 12 აპრილი

უკანასკნელი გასტროლები სოხუმში ერთი სურათის ისტორია



ეს ფოტოსურათი რუსთაველის სახელობის თეატრის დასის ერთმა ჯგუფმა 1993 წლის სექტემბერში, სოხუმში გამართული წარმოდგენის შემდეგ გადაიღო. ორიოდ დღეში სოხუმში დაეცა.

— ასე იყო, — იხსენებს საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ლაღანიძე, უკანასკნელი მოჰიკანი ქართული სცენის კორიფეთა იმ კოჰორტისა, რომლის მსგავსი, ვეჭვობ, გამეორდეს ჩვენი ქვეყნის თეატრალური კულტურის ისტორიაში, — უმძიმესი დღეები ედგა მაშინ საქართველოს, ომი იყო, აფხაზეთის ომი.

ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო საბჭოს (იოსელიანი, სიგუა, კიტოვანი) წევრი გახლდათ. ჰოდა, მან მაშინდელ კულტურის მინისტრს ვალერი ასათიანს მოუწონა იდეა, სოხუმში მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცებისთვის გაემართა კონცერტი, ან სხვა რამ მსგავსი ღონისძიება. სჭირდებოდა ეს ჩვენს ბიჭებს, გასამხნეველად, იმ გამუდმებული დაძაბულობიდან ცოტა ხნით მაინც გამოსასვლელად, რომელშიც დღე და ღამ უწყვედათ ყოფ-

ნა — სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე.

სოხუმში ფრონტისპირა ქალაქი იყო და განუწყვეტლივ იბომბებოდა...

შევარდნაძემ მხარი კი დაუჭირა, მაგრამ, როგორც ვალერი ასათიანი იხსენებს, იყვნენ ისეთებიც, ვინც აჩქარებას არ ურჩევდა, დაელოდეთ, ვითარება დაწყნარდება და შემდეგ ჩადითო აფხაზეთში.

სოხუმში მეზობლებს კი სწორედ ამ კრიტიკულ სიტუაციაში სჭირდებოდათ სულიერი ძალების მაქსიმალური მობილიზება, მუხტი სჭირდებოდათ განსაკუთრებულ.

სხვა თუ არაფერი, ისტორიული გამოცდილება კარნახობდა, ახსენებდა სამამულო ომის გამოცდილებას, როცა საომარ მოქმედებათა წინა ხაზზე კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების საგანგებო ბრიგადები ჩადიოდნენ სწორედ ამ მიზნით.

გადადება არ ღირდა.

უკანდახვევასავით იქნებოდა.

— თორმეტკაციანი იყო ჩვენი ჯგუფი, — **განაგრძობს ბატონი ჯემალი**, — პირველი, რა თქმა უნდა, რამაზ ჩხიკვაძე იყო, შემდეგ — გურამ სალარაძე, კახი კავსაძე, ჟანრი ლოლაშვილი, სოსო ლალიძე, ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე, ლეილა სიყმაშვილი, დავით ჩხიკვაძე (მსახიობი, რომელიც ჩვენთან ერთად მღეროდა), ავთანდილ ვარსიმაშვილი, თავისუფალი თეატრის რეჟისორი, ამათ მეც მიმათვალეთ. წამოსული იყო ნატაშა ჩხიკვაძე, რამაზის მეუღლე. ჯგუფში გვყავდა ხმის ოპერატორი ბეჟან შერეზადაშვილი, გამნათებელი ვალიკო არუთინოვი. სოხუმში დაგვხვდა დიმა ჯაიანი.

წარმოდგენის გასამრავალფეროვნებლად კულტურის მინისტრმა მომღერლებიც დაგვიმატა: მათ შორის — ეკა მამალაძე, თამრიკო ჭოხონელიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე ჩვენს ჯგუფს წონას მატებდა და ამ აქციის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა.

ამ დროს რობიკო სტურუა ინგლისში იყო მიწვეული სპექტაკლის დასადგმელად და, ბუნებრივია, სოხუმში ვერ ჩამოვიდოდა. ეს ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რადგან ვთამაშობდით ნაწყვეტებს სწორედ მის მიერ დადგმული საეტაპო სპექტაკლებიდან:

„კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“...

სოხუმში რომ ფრონტისპირა ქალაქი იყო, ჩარტერული რეისით ჩაფრენისთანავე ვიგრძენით: ავტობუსი „იკარუსი“, რომელიც დაგვახვედრეს, შემოვლითი გზებით ატარეს, ქალაქის ცენტრში რომ მივსულიყავით, მიგვაცილებდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც შესაძლო თავდასხმისგან უნდა დაეცვათ მგზავრები. არაფერი გამორიცხული არ იყო.

როგორც იქნა, მივალწიეთ თეატრამდე. შენობის კარ-ფანჯრები ფიცრებით იყო აჭედილი. მოვნახეთ ადამიანი, რომელსაც თეატრის დარაჯობა ჰქონდა მინდობილი. გაერთიანებული ძალებით ჩამოგვლიჯეთ აჭედილი ფიცრები. შევედით შენობაში. ძნელი წარმოსადგენია, რაც იქ დაგვხვდა — ჭუჭყითა და მტვრით იყო სავსე თეატრი. რაც შეგვეძლო, გავწმინდეთ, დავბერტყეთ ფარდები, დავხვეტეთ სცენა, დარბაზი, მტვერი მოვაცილეთ სავარძლებს.

ტემპში ვმუშაობდით, რადგან წარმოდგენა დღისით უნდა გაგვემართა — ელექტროენერგიის გამორთვა სოხუმში ჩვეულებრივ ამბად იყო მიჩნეული.

სამი საათისთვის მაყურებლებით გაივსო დარბაზი. ძირითადად ჯარისკაცები იყვნენ, ქალაქის მოსახლეობაც მოვიდა.

წარმატება არაჩვეულებრივი იყო, არნახული.

წარმოდგენა რომ დამთავრდა, ეს ფოტოსურათი გადავიღეთ. განათება სუსტი იყო და, ცხადია, ხარისხიც დაბალია. ციფრული ფოტოკამერები კი იმ დროს საქართველოში ჯერ არ იყო შემოსული. ყველანი ამ სურათზე ვართ აღბეჭდილი — მსახიობები, ჩვენი დამხმარენი და, რაც მთავარია, მაყურებლები — ქართველი ჯარისკაცები.

შეიძლება ითქვას, ისტორიული სურათია.

უკანა გზაზე, კელასურში, აეროპორტს რომ უახლოვდებოდნენ, ავტობუსი გააჩერებინა გენო კალანდიაძემ, ქართველმა პოეტმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და აფხაზეთის მწერალთა კავშირს თავმჯდომარეობდა. გააჩერებინა ავტობუსი, გადმობრძანება სთხოვა ყველას და ზურაბ შენგელაიას ოჯახში შეიპატიჟა: ბატონ გენოს თავისი დეიდაშვილისთვის უთხოვია, სტუმრები მყავს და, აბა, შენ იცი, ღირსეული მასპინძლობა გამაწევინეო. ზურაბ შენგელაიას, ქართველი კლასიკოსის — ლეო ქიაჩელის შთამომავალს, ცნობი-



სცენა სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“

ლი ქართველი ისტორიკოსის — შოთა მესხიას ბიძაშვილს, სულთ ხორცამდე ქართული ტრადიციების ერთგულ კაცს, რაღა თქმა უნდა, ისეთი სუფრა გაუშლია, როგორც პატივსაცემ სტუმრებს ეკადრებოდა, თავი არ შეურცხვენია. იმ გაჭირვებულ სოხუმში ასეთი გულუხვობა სასწაული იყო.

მაგრამ პური არ ცხვებოდა მაშინ ქალაქში და ბოდბი მოუხდია მასპინძელს ამის გამო.

ვალერი ასათიანს, „სოხუმის დესანტის“ ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს, ეს ნიუანსიც გაუთვალისწინებია და თვითმფრინავიდან, სადაც თბილისიდან წამოღებული საგზააღი ეწყო, სულ კახური დედას პურებით შეუვსია ის მადლიანი სუფრა.

თამადად გენო კალანდია დამდგარა.

— ამასობაში ჩამოლამდა, მანქანის ფარებზე გავაგრძელეთ ნადიმი ჩვენ და ჯარისკაცებმა. არაჩვეულებრივი, არნახული დრო გავატარეთ და ამ ტალღით ატაცებულებმა თვითმფრინავში გავაგრძელეთ სადღეგრძელოების თქმა, — **ყვება ჯემალ ლალანიძე**, — თითქოს ომი არ იყო, თითქოს არაფერს ნიშნავდა, რომ ჩვენი „იაკ-40“ გამორთული ნათურებით აფრინდა, სე-

პარატისტების სამიზნე რომ არ გამხდარიყო.

თამადად ვალერი ასათიანი გვყავდა. მოგეხსენებათ, რა თამადაც არის, არაფერი შეშლია. მაგრამ დრო ვერ გათვალა და, ბოლო სადღეგრძელოც ღირსეულად რომ შეესვათ თანამეინახეებს, მფრინავს სთხოვა, ერთი წრე კიდევ დაერტყა თბილისის თავზე, შემდეგ დაშვებულიყო. „იაკ-40“ ერთხელ კიდევ შემოევლო თავზე საქართველოს დედაქალაქს, ყველამ ჩვენ ჩვენი სიტყვის თქმა მოვასწარიით.

— რა სადღეგრძელო თქვით, ბატონო ვალერი? — ვეკითხები ვალერი ასათიანს.

— საქართველოს გაერთიანების სადღეგრძელო იყო, ბოროტზე კეთილის ძღვევის.

— ბატონო ვალერი, თქვენ გქონდათ შესაძლებლობა, იმ წარმოდგენის მსვლელობის დროს მაყურებელთა რეაქციისთვის მიეგდევნებინათ თვალი.

— გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე, მაგრამ მანამდე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ჯგუფს სოხუმელები კელასურში დაგვხვდნენ. მათ შორის იყვნენ ლორიკ მარშანია, გენო კალანდია, გენერალი ადამია და სხვები. გოგა ხაინდრავა, რომელიც მაშინ სახელმწიფო მინისტრი იყო, პირდაპირ თეატრში მოვიდა, დაცვის თანხლებით, წარმოდგენაზე ბოლომდე ვერ დარჩა. აღელვებული და აფორიაქებული ჩანდა, რაც იმ ვითარებაში გასაგები და ბუნებრივი იყო.

არ მინდა, სიტყვა „დაბნეულობა“ ვიხმარო, მაგრამ, როგორც პატარა ბავშვები, ისე სათუთნი, თბილები და გულჩვილები ჩანდნენ ჩვენი ჯარისკაცები. ვერ გადმოგცემთ, რა დაემართათ, როცა დაგვინახეს: როგორც ძველ მეგობრებსა და ახლობლებს ეფერებოდნენ და ეხუტებოდნენ ჩვენს სახელგანთქმულ არტისტებს — რამაზ ჩხიკვაძეს, გურამ სალარაძეს, ჯემალ ლაღანიძეს, კახი კავსაძეს, ჟანრი ლოლაშვილს, ჩვენს ბრწყინვალე მსახიობ ქალბატონებს. ეკა მამალაძეს ლამის ხელები დაუკოცნეს.

წარმოდგენის მსვლელობისას სინათლე გამოირთო და სპექტაკლი სანთლების შუქზე გაგრძელდა. ვხედავდი, როგორ უბრწყინავდათ თვალები ჩვენს მეომრებს და ეს თვალები თითქოს შუქს მატებდა სოხუმის თეატრის ნახევრად ჩაბნელებულ სცენას.

საოცრება ხდებოდა: განწყობილება იყო დუმილიანი, ცრემლიანი, ყელში ბურთივით რომ განვება და ძალას რომ გაცლის. ასეთი იყო რეაქცია და არა ბლავილიანი ოვაცია, თუმცა ძლიერი ტაშიც იყო და აღფრთოვანებაც ნანახითა და მოსმენილით. არაჩვეულებრივად მიიღეს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის წამიერი დუმილი, რომელიც წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მოულოდნელად ჩამოვარდა: ყველა ელოდა, ყველას სურდა, რომ დაუსრულებლად გაგრძელებულიყო ეს ღვთაებრივი შეხვედრა თეატრალურ სამყაროსთან.

მუხტი იგრძნობოდა საოცარი: რამაზ ჩხიკვაძე ისეთ ფორმაში იყო, სასწაულს ახდენდა.

აზდაკი მეფობდა სცენაზე, ეს უპატიოსნესი მექრთამე მოსამართლე, დაგლეჯილი ქუდით თავზე და მრავლისმნახველი ტანსაცმლით შემოსილი, სახრჩობელისთვის განწირული ოპტიმისტი:

„— მე გათახსირებული ბოროტმოქმედი ვარ. აი, ჩემი უნებლიე ბოროტმოქმედების მამხილებელი საბუთი (გადასცემს ჯარისკაცებს „საბუთს“, რომლებიც მას უაზროდ ხელში ატრიალებენ). ხმა ამოიღე, შალვა, ხომ ხედავ, ამ ხალხმა კითხვა არ იცის. თქვი, შალვა, თქვი, როგორ ვცდილობდი მთელი ღამე, ბოროტმოქმედისთვის ფარდა ამეხადა.

შალვა: — თან სულ მემუქრებოდა, ბატონებო...

აზდაკი: — ესეც იყო, ვერ დავმაღავთ.

შალვა: — ჰოდა, ასეთი რამ არ გეკადრება, აზდაკ!

აზდაკი: — ხმა ჩაინწყვიტე, შალვა! შენ გავიწყდება, რომ ახალი დრო დადგა! პოლიციელებს მუსრს გაავლებენ. ახლა უმჯობესია, კაცმა თვითონ აღიაროს თავისი დანაშაული, თორემ ხალხის რისხვას ვერსად დაემალება! სად არის მოსამართლე, რომ მოვიდეს და გამასამართლოს?.. სად არის მისი აღმატებულიება, ბატონო გუბერნატორი?..

ჯარისკაცი: — მაინც რას მოელოდი ჩვენგან?

აზდაკი: — რაც სპარსეთში მოხდა.

ჯარისკაცი: — მერედა, რა მოხდა სპარსეთში?

აზდაკი: — ამ ორმოცი წლის წინათ ყველანი ჩამოახრჩეს... ბაბუაჩემი თვითონ მოსწრებია ყოველივე ამას. სამ დღეში გაუფლეთიათ ყველანი.

ჯარისკაცი: — მერედა, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, შე

თათარო, შენა?

აზდაკი: — თქვენ გაინტერესებთ, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, მე თათარო, მენა?..

(*და იწყება სპექტაკლის კულმინაცია, აზდაკის მონოლოგისიმღერა*).

— ბაბუაჩემმა ეს სიმღერა დამიტოვა. მაშინ იქ, სპარსეთში ასე მღეროდნენ... მე და ჩემი მეგობარი გიმღერებთ. შალვა! შალვა! თოკი! თოკი მაგრად გეჭიროს, ბრიყვო! ეს სიმღერას უხდება. გთხოვთ!

რატომ ჩვენს კაცებს აღარა აქვთ

ძარღვებში სისხლი?

ჩვენს ქალებს ცრემლი

რატომ დაუშრათ?

და რატომ შერჩათ სისხლი

სასაკლაოზე მიდენილ ხბორებს?

ცრემლი კი — წყლის ნაპირს

მტირალ ტირიფებს?

რატომ?..“

ქართული თეატრი ბრწყინვალეა სოხუმის სცენაზე.

ფარდა დაეშვა...

„ნეტავი, იქ არის თეატრი?“

P.S. ასეთია ამ ერთი ფოტოსურათის ისტორია, რომელიც ჩვენს მკითხველებს გავაცანი. ისტორია, რომელიც არ ჰგავს იმ ბლლარძუნშოეებს, ქართული ტელეეკრანები და სცენა რომ დაიპყრო.

სამწუხაროდ.

უფრო სანუხარი კი ის არის, რომ იმ წარმოდგენის მონაწილეთაგან ზოგიერთი და მაყურებელთა უმეტესობა — ჯარისკაცები — ჩვენს პუბლიკაციას ვერ წაიკითხავს: ღმერთმა განათლოს მათი სულები!

**ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2014 წლის 24 ოქტომბერი**

კლოუნი ხელისუფალი

დიდომში გრიგოლ ხანძთელის, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩებს რომ ჩაუვლი, სარაჯიშვილის ქუჩას რომ მიადგები და იკითხავ, გიორგი შენგელაია სად ცხოვრობსო, უმალ გიპასუხებენ:

— მოსულხარ და ეგ არიო.

ძველებურ ყორეში დატანებული პატარა, შავად შეღებილი ჭიშკრის მარცხენა მხარეს თეთრი ზარია. დააჭერ ლილავს, გაგიღებენ, არც შეგეკითხებიან, ვინა ხარო.

შედიხარ.

დიდი მიხეილ ჭიაურელის ეზო-გარემოში მოხვდები. სახლი — ერთსართულიანი. სისადავე და მინიმალური კომფორტი, რაც დიდი კულტურისა და მაღალნიჭიერების თანმდევი.

კარებში — გიორგი შენგელაია — შორტებში და ყავარჯენს დაყრდნობილი. ძველი სპორტსმენის ფეხები — ძლიერი მუხის მრავალნაჭდევი ანალოგი. გასულ ზამთარს მარჯვენა ფეხი მოიტეხა და საოპერაციოდ ემზადება.


ამ ყველაფერს გზადაგზა გავიგებ, საუბრისას. ახლა კი დგას ნაბრძოლი ლეგიონერივით და არაფერი ეტყობა ხანდაზმულობის.

ან რატომ უნდა ეტყობოდეს?

გიორგი შენგელაია, გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, მხოლოდ 75 წლისაა.

ცოტა თავსაც ვიმხნევებ.

პირველად 1953 წელს დავვახლოვდით. მეტნაკლებად. იმ



გიორგი შენგელაია

ტრაგიკულ წელიწადს, როცა განუმეორებელი ნატო ვაჩნაძე ცაში დაიფერფლა, ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის ბიჭები ვცდილობდით, გვერდით დავდგომოდით ელდარსა და გიორგის და რამენაირად შეგვემსუბუქებინა მათთვის უსაზღვრო ტკივილი.

მაგრამ, აბა, რისი შემძლენი ვიყავით!

გადაუღებელი ფილმის კადრებივით გაკრთა ფიქრის ეკრანზე ასეთი რეტროსპექტივა.

მაგიდასთან ვსხედვართ და ჩვენი საუბარი „სხვა კინოდან“ იწყება — საქმე ეხება „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ბონი და კლაინი რულავენ“ ერთ ციტატას, რომლითაც ავტორმა ინტერნეტიდან ისარგებლა.

— ძალიან შეურაცხყოფილი ვარ. დავურეკე თქვენს მთავარ რედაქტორს — ძალიან სიმპათიური და სათნო კაცი ყოფილა. გავარკვიეთ ყველაფერი. ჟურნალისტი თამარ დავითულიანი დეზინფორმაციის ტყვე აღმოჩნდა, როცა ინტერნეტგაზეთ „დრონი.ჯის“ ციტატით ისარგებლა. ასეთი გაზეთის არსებობა აქამდე გაგებულნი არ მქონდა. დავინტერესდი, რადგან ისეთი სიტყვები მომანერა ამ გამოცემამ, რაც სრულიად არ შეესაბამება ჩემს პოზიციას არც სტილისტურად, არც სემანტიკურად, არც შინაარსობრივად.

ჟურნალისტს არ ვერჩი...

მე თვითონ ვიყავი რესპუბლიკური პარტიის წევრი და კარგად ვიცოდი ამ პარტიის კარგიც და შეცდომებიც, ამიტომ არ ვიტყვოდი: „ღმერთმა ნუ ქნას და ეგენი თუ მიუშვი ხელი-სუფლებაში, გარყვნიან და გააპარტახებენ ქვეყანას!“

— პოლიტიკა შემოქმედს ცხოვრებას ურთულებს.

— უდიდესი გერმანელი მწერლების — ჰერმან ჰესესა და თომას მანის მაგალითს დავისახელებთ. ჰესე ფაშიზმს შვეიცარი-აში გაერიდა, თომას მანი დარჩა გერმანიაში და ებრძოდა ჰიტლერიზმს. ჰესე წერდა მაშინ მანს — ამ სისულელეზე დროს ნუ ხარჯავო.

— რადგან შემოქმედებისთვის იკარგებოდა დრო.

— მყავს მე ისეთი მეგობრები, რომლებიც მიუზნებიან, შინი საქმი არ არის პოლიტიკაო, მაგრამ მე, დიდი ხანია, ამას ვაკეთებ. დიდი ხანია. ჩვენი დიდი მწერ-

ლების მაგალითი შევასხანე. თუნდაც ვაჟა ფშაველა-სი, რომელიც ყველა საზოგადო მოვლენაზე პუბლიცისტური წერილებით მძაფრად რეაგირებდა. ამიტომ ჩემიც არ უნდა ბაბიკვირდით-მეთქი, ვუთხარი ჩემს მეგობრებს...

დავინტერესდი ამ გაზეთით და აღმოვაჩინე, რომ „დრონი.ჯი“ ასოცირებულია „რეალTV“-სთან. გაიგე?

— **გასაგებია...**

— ეს გააკეთეს ორი წლის წინათ, — ვითომ ინტერვიუები ჩემთან, ქეთი დოლიძესთან, გოგი ქავთარაძესთან, სხვებთან, და ყველას ტექსტი არის შეთითხნილი. წარმოგიდგენია, რა დონეზე და როგორი მეთოდით მუშაობს ეს გაზეთი, როცა არასოდეს, არც პირადად შეხვედრის დროს, არც ტელეფონით ინტერვიუ ამ საკითხზე არავისთვის, მით უფრო ამ გაზეთის ჟურნალისტისთვის, არ მიმიცია?

— **ბატონო გიორგი, რახან უარყოფაზე მიდგა საქმე („საკედესი უარყოფს“ ხომ გახსოვთ), ბარემ თქვენი სხვა ციტატის მოსალოდნელი გამოყენებიდან დაიზღვიოთ თავი და ახლავე განაცხადოთ — მართლა გაქვთ ნათქვამი (კარგა ხნის წინათ), რომ ირაკლი ალასანია არ მიგაჩნდათ ოპოზიციის ქვეშეშედილი დედად? ბელადობას ვერ გასწევსო, გითქვამთ.**

— **(ელმობა).** ეს განაპირობა იმ დროს არსებულმა ვითარებამ, როცა ოპოზიცია სუსტი იყო და ხალხმაც გული აიცრუა. მაშინ ნამდვილად არ ჩანდა ძლიერი ლიდერი.

კონკრეტული შემთხვევა იყო: მე ვმონაწილეობდი ნოემბრის აქციებში. პირადად. არაფერს და არავის არ წარმოვადგენდი. გამოვდიოდი, ხალხს ველაპარაკებოდი. ერთი მიტინგი იყო დანიშნული ტელევიზიის წინ. ვხედავ იქ, მოედანზე დიდი თათბირია ალასანიასი. რა ხდება-მეთქი, ვიკითხე. კამათობდნენ, უნდა აეღოთ თუ არა კარვები, რომლებიც აქაც და რუსთაველზეც იყო გაშლილი. კრიტიკული მომენტი იყო. მოვარდნენ ტელევიზიები — „პირველი არხი“, „რუსთავი-2“, „იმედი“. მეკითხებიან, თქვენ რას იტყვი, ვინ არის მართალიო. ვუპასუხე, რომ ალასანიას პოზიციას მხარს არ ვუჭერ. მიმაჩნია, რომ ეს „საკნები“ არ უნდა ავიღოთ. დღესაც ამ აზრზე ვარ.

ნიჭიარ, შემოქმედებით ადამიანებს ახასიათებთ მოუთმენლობა. მე, თუ ნიჭიარი მეთქმის, გაც ასეთი

მოუთმენელი ვარ. იმდენად მიჯავრებოდა ეს რეჟიმი, რომ მინდოდა, რაც შეიძლება მალე მოცილებოდა ასეთი მაჯლაჯუნა საქართველოს. როგორც უბრალო მომიტინგე ადამიანი, ავყავი ამ ბანცდას... შორს განიხილავი ბათვლები არ მქონდა.

ახლა დადასტურდა და ახლა უკვე კარგად მესმის, რატომ დგას ბიძინა ივანიშვილი პოზიციაზე — „მხოლოდ არჩევნებით!“.

გუშინდელი ფაქტი ავიღოთ, როცა დააყადაღეს სრულიად დაუსაბუთებლად ის კომპანია, რომელიც სატელიტურ ანტენებს იაფი განვადებით უდგამდა მოსახლეობას. გამოვიდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, მათ შორის, ელისო ჩაფიძეც და თქვეს, რომ ეს იყო ხელისუფლების ხრიკი, რათა ჩვენ გავამწვავოთ სიტუაცია, მაგრამ არ ავყვებით და მივალთ არჩევნებამდე, და არჩევნებში, დარწმუნებულები ვართ, რომ გავიმარჯვებთო.

მეც დარწმუნებული ვარ.

მე რაც ვნახე, ძამო, თბილისში, ქუთაისსა და ოზურგეთში, ნიშნავს, რომ მთელი ეს ხალხი და კიდევ ისინი, ვინც ვერ მივიდა, ბიძინას ჩაუყრის ბიულეტენებს. ამისი ეშინიათ.

— და ამ შიშის გადაფარვას ხომ არ ცდილობს მიხეილ სააკაშვილი თავისი ყოველდღიური „აგიტკეებით“ სატელევიზიო სივრცეში?

— ეს არის კულმინაცია იმ ბიოლოგიური პათოლოგიის, მე ასე ვთვლი, რომელიც ამ კაცშია.

ადრე ჩვენ დავუჭირეთ მხარი სააკაშვილს — მე, რამაზ ჩხიკვაძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა და სხვებმა იმ ჩამყაყებული გარემოს წინააღმდეგ, რომელსაც ქმნიდა შევარდნაძის გარემოცვა რჩეულიშვილის, სარიშვილისა და სხვების სახით. მხარი დავუჭირეთ, ჟვანიას ხათრით, სხვათა შორის. ხაზს ვუსვამ ამას. ჟვანიამ მოიყვანა ეს ახალგაზრდა კაცი... იმ მომენტში პროგრესულები ჩანდნენ.

— **Младореформаторы — როგორც თავის დროზე თურქეთში იყო?**

— ასე ჩანდა გარეგნულად, მაგრამ მერე, როცა მაგათ ჟვანია მოიშორეს, სააკაშვილმა დაიჯერა, რომ პირველი და განუ-

მეორებელია. ასეთია მისი ბუნება. მე უფრო ბუნებას ვაწერ. რაც მთავარია, არის მომხვეჭელი... სახელი რომ მოიპოვა, ახლა ებლაუჭება. დემოკრატიას ერთი უდიდესი თვისება აქვს: რანაირი მმართველიც გინდა იდგეს ქვეყნის სათავეში, ის უნდა იცვლებოდეს.

პათოლოგია.

(გიორგი შენგელაია ასახელებს საწინააღმდეგო მაგალითებს ამერიკის შეერთებული შტატების „მამების“ ისტორიიდან, როცა მათ უარი თქვეს მეორე ვადით არჩევაზეც კი. მოჰყავს გამონაკლისი მაგალითი ფრანკლინ დელანო რუზველტისაც, რომელიც მესამედაც აირჩიეს, მაგრამ ის მართლა ღვთისნიერი კაცი იყო).

ჩემი, როგორც რეჟისორის თვალთახედვით, მიხეილ სააკაშვილის აქეთ-იქით სირბილი, ოღონდ ხალხში გამოჩნდეს, ტაკი-მასხარაობაა.

ვაჟა ფშაველას აქვს ერთი შესანიშნავი სტატია „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ (იღებს კრებულს და კითხულობს): **„ნამდვილი პატრიოტიზმი არ ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს... ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი პატრიოტია“**. ვაჟა ხაზს უსვამს, რომ ადამიანი, რომელიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს, თავისი სამშობლო აღამალლოს გონებრივი, ქონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით, „ამით ის უმზადებს მთელ კაცობრიობას საუკეთესო წევრებს“.

ესე იგი, **შენ უნდა იმუშაო შენს საწყისზე, რომელიც გაქვს. თვითმყოფადობა და პატრიოტიზმი დედისგან მოდის, ოჯახიდან მოდის. ამის ხალის ხლება არ შეიძლება. მიაღწიე მწვერვალს შენს ეროვნულში და გახდები კარგი, დიდი გაგებით კოსმოპოლიტი, ანუ მთელ მსოფლიოს შეუერთდები.**

შექსპირი ინგლისის ისტორიაზე წერდა, მაგრამ თავის შემოქმედებაში ამაღლდა ისე, რომ ინგლისელი მწერალიც დარჩა და უდიდესი კოსმოპოლიტიც გახდა, რადგან მთელმა მსოფლიომ შეისისხლხორცა მისი დრამებიც და პოეტური ქმნილებებიც.

(გიორგი შენგელაია საყოველთაოდ აღიარებული ქართული კინოს ფენომენის შესახებ, რომელიც ასეთად სწორედ ეროვ-

ნულ ნიადაგზე დგომით იქცა, ამბობს, რომ მისი დიდი კოლეგების — კინორეჟისორების ინტერესი, რომელიც კანის, ვენეციის და ა.შ. ფესტივალებზე მჟღავნდება, სწორედ ასეთი კინოსადმია მიმართული. აქვე ვთქვათ, რომ თვით გიორგი შენგელაიას ღრმად ეროვნული ფილმი „ფიროსმანი“ ჩიკაგოს ინტელექტუალური კინოს ფესტივალზე აღიარებულ იქნა როგორც მოვლენა კინოსამყაროში და მიანიჭეს გრანპრი „ოქროს ჰიუგო“. „რაც უფრო თვითმყოფადია კინო, მით უფრო მეტი ინტერესის საგანია“, — ამბობს რესპონდენტი და საუბარი ნება-ნება კინოხელოვნებაზე გადადის).

— ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ყველაზე დიდი იაპონელი რეჟისორი არის აკირა კუროსავა. რამდენიმეჯერ ვიყავი იაპონიაში „ფიროსმანთან“ დაკავშირებით და იქ გავარკვიე, რომ უდიდეს რეჟისორებად მიაჩნიათ იასუძირო ოზუ — მსოფლიო კინემატოგრაფიის კლასიკოსი, კენძი მიძოგუტი და სხვები, რომლებიც „მთლიანად იაპონელები არიან“. მითხრეს, რომ კუროსავას მაინც და მაინც დიდ პატივს არ ვცემთ იმიტომ, რომ ამერიკული კინოდან გადმოაქვს რაღაცებით.

ასე არჩევენ იაპონელები საუკეთესოს. ასეთი იყო ქართული კინოც.

— და არა მარტო კინოხელოვნება.

— ახლა ჩვენ ვართ იმ ფაზაში, რომელიც ამ გლობალიზაციაში, ამ ტექნიზაციამ მალე თუ არ გაიარა, დარწმუნებული ვარ, კულტურა აღარ გვექნება.

ჩვენი ხელისუფლება, სააკაშვილი კი მიგბაძველობით არიან ბართულნი. რა არქიტექტურას აკეთებს! ამისთანა რამეს დუბაიში რომ ააშენებენ, სადაც უდაბნო იყო და სხვა არაფერი, გასაგებია. მაგრამ ქართულ ნიადაგზე იმავს დანერგვას რომ ცდილობს, ეს ნიშნავს, რომ ვიღაცას თავს აწონებს.

— მარიონეტობის ნაირსახეობაა.

— უარესი რომ არ დავარქვათ... რა მომწონს, იცით, ბიძინა ივანიშვილში, მის საქციელში, პიროვნებაში? იგი შეანუხა იმან, რომ ეროვნული იკარგება, მიდის.

მაგალითად, როგორ შეიძლება ბავშვს პირველი კლასიდან პარალელურად ასწავლო ქართული და ინგლისური?! მეორე ენა — კი, ბატონო! მაგრამ არა პირველი.

— განსხვავებულია სტილისტიკით, ჟანრობრივად, მით უფრო, თემატიკით და ა.შ. თქვენი ფილმები — „ხარება და გოგია“ და „სიყვარული ყველას უნდა“, „ფიროსმანი“ და „მაცხი ხვითა“, „ვერის უბნის მელოდიები“ და „ალავერდობა“ და ა.შ. ხელწერა კი ერთია, საფუძველი — ეროვნული. ასეა მიჩნეული. ხომ არ ვცდები?

— რასაკვირველია, ასეა. კაცობრიობა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მრავალფეროვანია. ამაზე, მე კი არა, ყველაწერს — თანამედროვე ფილოსოფოსები, ფუტუროლოგები. გლობალიზაცია ამ მრავალფეროვნების ნიველირების საშიშროებას შეიცავს.

ინტერნეტი, რომელსაც ორგანულად ვერ ვიტან, ნიგნის განდეგნისკენაა მიმართული. როცა ახალგაზრდებს ვეკითხები, რატომ ამბობენ უარს ნიგნზე, მიპასუხებენ, რომ ინტერნეტით გაცილებით სწრაფად იღებენ ცოდნას, ინფორმაციას. მაგრამ სწორედ ეს სისწრაფეა საშიში: ადამიანის ტვინი, აზროვნების აპარატი ისეა ფიზიოლოგიურად მოწყობილი, რომ იფიქრო, გაანალიზო და პირდაპირ არ მიიღო გამზადებული პროდუქტი — მალე და სწრაფად.

— ეს მალმალეობა, ანუ ფიქრის შეზღუდვა, რომელიც მონოდებულია შტამპის ჭეშმარიტებად აღიარებისთვის, ხომ არ არის ეკრანზე სააკაშვილის ჩამოუსვლელად ყოფნის საფუძველი, ტვინების გამორეცხვის პიარმეთოდი?

— აქ მჟღავნდება ძალიან ცუდი კომპლექსები, რაც პიროვნებაშია თავმოყრილი. პირდაპირ სანინაალმდეგოა ბიძინა ივანიშვილის. მიშას ყალბი ღიმილი ნახეთ და ბიძინას ბავშვური ღიმილი, ბუნებრივი, ალალი. ამას დავუბრუნდებით, თუ ივანიშვილმა გაიმარჯვა. რომ გაიმარჯვებს, თბილისშიც გამოჩნდება, ქუთაისშიც, ოზურგეთშიც...

— და კიდევ ბევრგან გამოჩნდება.

— სააკაშვილისა და ივანიშვილის დაპირისპირება დავითისა და გოლიათის ბიბლიურ ორთაბრძოლას მაგონებს. ის — ვითომ გოლიათია, ეს ავაშენე, ის ავაშენეო, დარბის და, ასე ვთქვათ, მთელი იარაღი ტანზე ჰკიდია.

— ?

— ეს ჯარი, ეს პოლიცია, და აშინებს მთელ ქვეყანას. ამით უნდა სიყვარული მოიმკოს. გამოდის დავითი, უბრალო, უკომ-

პლექსო ახალგაზრდა კაცი და შურდულით პირდაპირ შუბლში რომ მოარტყამს თავის სიმართლეს, მინაზე დასცემს, ეს არის! ადამიანებს უნდათ სიკეთე, ასეთია ჩვენი ბუნებრივი მდგომა-რეობა.

მე სოფელში ვცხოვრობ, დიღომში, რომელიც ქართლის ერთ-ერთი ძირძველი სოფელია, კანი ჯივინანი ქართველები არიან ამ დასახლებულნი ისტორიულად. და მათი ურთიერთობა, თუნდაც ყოფით დონეზე, ძრისტის ათივამ მცნების მატერიალიზებაა, ამ ხალხში დევს.

ამ დროს კი ეკრანიდან ეკრანზე ხტება სააკაშვილი და ამ ყალბი ტელეხილვებით უნდა, რომ თავის თავზე მიიწეროს ხალხის სიყვარული.

ვერ მიიწერს! სიყვარული უნდა დამისახურო.

— თქვენმა ფილმმა „მიდის მატარებელი“ შორეული ანალოგია წარმოშვა ჩვენი ბავშვობის დროინდელ იმ ჯავშნოსან მატარებელთან, რომელიც სათადარიგო ლიანდაგზე იდგა:

Мы мирные люди,

Но наш бронепоезд

Стоит на запасном пути.

იდგა ეს მატარებელი, დაიძრა და ბათუმის ნაცვლად აფხაზეთს მიადგა... დღეს ბათუმში რომ ჩასულიყო, როგორ გაგრძელდებოდა სიუჟეტი?

— *(ელიმება).* გაგრძელება კი მქონდა მოგონილი, მაგრამ სად არის, ვინ გაძლევს ფულს, რომ გადაიღო?!

როგორ გრძელდებოდა, იცი? აფხაზები გაატარებენ ამ მატარებელს, მაგრამ „ფრთხილი“ ქართველები წინასწარ შეადულებენ და გაამაგრებენ კარ-ფანჯრებს, აფხაზებმა რომ არ შემოუმტვრიონ, ქვებით რომ არ ჩაჰქოლონ.

მიდიან სად, იცი? სტრასბურგში.

— **აფხაზეთის გავლით.**

— ჰო, — დასავლეთისკენ... უკრაინაში რომ ჩავიდნენ, ვაგონებს მოხსნეს თავდაცვის ყველა საშუალება და შემოუშვეს კარგი გოგოები, ახლა რომ ყველგან დარბიან — შიშველი ფემინისტკები.

ჩადიან სტრასბურგში, შედიან ევროპარლამენტში, ინიციატივას სპონტანურად თავიანთ თავზე იღებენ, რადგან საქარ-

თველოს ოფიციალური დელეგაცია მოსვლას აგვიანებს: მაღაზიებში დარბიან.

ბათუმში რომ მისულიყო ის მატარებელი? თვითონ ბათუმელების ლაპარაკიდანაც ჩანს, როგორი რეაქცია ექნებოდათ თბილისიდან ჩასულ მგზავრებს იუსტიციის სახლზე და მოძრავე ქანდაკებებზე, რომლის ავტორს იაპონელმა მოქანდაკემ უჩივლა როგორც პლაგიატორს.

მაგრამ ეგ იქით იყოს. **მთავარი ის არის, რომ ერთი ადამიანის აკვიატების დაკმაყოფილებას — დასავლეთს რომ აჩვენოს, აი, გე თქვენს გზაზე მივდივარ, ვაჟი-ნეხ თქვენნიარ შენობებს და ხილებს და ა.შ., ერის ფსიქიკა ენერება.**

მეტხვანს გადაბული ხილი რომ არ დავინახო, ყოველთვის შემოვლითი გზებით მივდივარ ორთაჭალისკენ: იმდენად შუაფარებული და არაორგანულია ძველი თბილისის გარემოსთვის, იმდენად თავსეადური დემონსტრირებაა ხელისუფალის თვითნებობისა და თავპარიანობის, რომ გაღიზიანებს, კალაპოტიდან გაგდებას.

— სიყვარული თუ ყველას უნდა, ბატონო გიორგი, იქნებ, ამ კაცს უფროსობა უნდა და რას ვერჩით?

— უფროსობა? პლატონს მიაჩნდა, რომ დემოკრატიაში ჩადებულია დიქტატურის საშუალება და უტოპიურ დასკვნამდე მივიდა — სახელმწიფო უნდა მართონ ფილოსოფოსებმა.

მაგრამ დემოკრატიაში კარგია არჩევითობის პრინციპი და — რას ჰქვია, მე მინდა უფროსობა? გადაწყდება ისე, როგორც უნდა ხალხს. ხალხს კი არ უნდა ისეთი მმართველი, რომელიც ხალხის ფულს ასეთ „პაკაზუხაში“ ყრის.

რაც მე მეზიზღება მაგ ადამიანში, ყველა ეგრე უყურებს: ჯამბაზია, კლოუნია, რა!

— გარემომ ხომ არ დათრგუნა შემოქმედების ის მუხტი, რომლის წყალობით, თქვენ, ბატონო გიორგი, გადაიღეთ სრულმეტრაჟიანი ფილმები, დაწერეთ 10 სცენარი, განასახიერეთ საინტერესო როლები 5 ფილმში? ხომ არ დაგამუხრუჭათ?

— აბსოლუტურად არ დავმუხრუჭებულვარ: 75 წლის ასაკი გონებისთვის არაფერს ნიშნავს. მარტო ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ: მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, მიმა კობახიძე, საშა

რეზვიაშვილი და ჩვენი თაობის სხვა კინორეჟისორები შემოქმედებითი გეგმებითა და უნარით სავსე ვართ.

დღევანდელმა ხელისუფლებამ საბოლოოდ დაანგრია ქართული კინოს ინფრასტრუქტურა. მითხარი, ბოლო ხანებში რამდენი კარგი ქართული კინოსურათი ბინახავთ?

— (პაუზა).

— **პერც იხსენებ!**

ჩვენ კი ისეთ მდგომარეობაში ჩაგვადგეს, რომ არ შეგვიძლია ფილმის გადაღება — არავითარი სახსარი არ გავვანჩნია.

დღეს, შე კაი ადამიანო, ამ მილიონებს რომ ყრი აქეთ-იქით, ორი-სამი ფილმის ფული მაინც გამოგეყო კინოსტუდიისთვის. აი, დადის მიშა კობახიძე გამზადებული სცენარით და გადაღების საშუალება არ აქვს. შეიძლება მიშა კობახიძე უმუშევარი იყოს?

აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ, თორემ ჩანაფიქრები მეც მაქვს და სხვებსაც.

ერთი სცენარი ამასწინათ დავწერე.

— **შეიძლება ჩვენს მკითხველებს ვუთხრათ, რაზეა?**

— გეტყვით. ჩემთან, აქ ორი კეხველი მუშაობდა — მამა-შვილი. მათთან ერთად ვიყავი, ერთად ვსადილობდით, ღვინოსაც ვსვამდით. იმათ მოსმენას არაფერი სჯობდა — ნამდვილი ქართული ის იყო, შიდა ქართლში შემორჩენილი. ქალაქელებს დაინყებულნი გვაქვს.

ისინი მომიყვნენ.

წეროვანში ლტოლვილთა დასახლებას რომ აშენებდნენ, ერთმა მოხელემ გააუპატიურა ქვრივი, რომლის ქმარი ცხინვალის კონფლიქტის დროს დაიღუპა. ამათი ფუნქციონერი, ხალხს უამრავ სიკეთეს რომ ჰპირდებოდა, შეუვარდება ქვრივს, გაჭირვებულ, ამ ხელისუფლების იმედად დარჩენილ მარტოხელა ქალს და გააუპატიურებს.

ასეთია ამათი მორალი.

ამ ქალის ვაჟიშვილი გულში ჩაიდებს ამ შეურაცხყოფას და შურს იძიებს.

კარგი კინო გამოვიდოდა, მაგრამ ფული ვერ ვიშოვე. შეშინდნენ: მე, ასე თუ ისე, აღვიქმები როგორც ოპოზიციონერი, თუმცა მხოლოდ სიმართლეს ვლაპარაკობ.

— ეგ არ მოსწონთ.

— იმათ არ მოსწონთ, ესენი კი შეშინდნენ...

(გიორგი შენგელაია ლაპარაკობს მძაფრსიუჟეტიან ფილმებზე, რომლებზეც ხალხი კინოთეატრებში დადიოდა და ფულს იხდიდა. სახელმწიფოც არ იშურებდა სახსრებს ასეთი კომერციული ფილმებისთვის, რომლებსაც ჩემი რესპონდენტი „დემოკრატიულ ფილმებს“ უწოდებს. „ფიროსმანზე“ თავიდან დარბაზში 5 კაცი თუ იჯდაო, შემდეგ გახდა პოპულარული, როცა საზღვარგარეთ პრემია პრემიაზე დაიმსახურა).

— მე არ ვარ მომხრე ფსიქოლოგიური დრამების — ორი კაცი რომ ლაპარაკობს, თუმცა ესეც შეიძლება ძალიან საინტერესო იყოს.

— კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ „ვერის უბნის მელოდიები“, რომელიც ყველა შემადგენლით ხალისიანი ფილმია, არის „მომწარმო იგავი ოცნების სამყაროში გადასვლის“, ტკბილმწარე იგავიაო.

ოცნებისკენ მივდივართ დღეს ჩვენ — ილუზორული ხომ არ არის ეს ოცნება და მომავალი?

— ვთვლი, რომ ძალიან ზუსტი სახელი მოუძებნა ბიძინა ივანიშვილმა მოძრაობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა — „ქართული ოცნება“.

როცა ცხოვრება თრგუნავს ადამიანს — მატერიალურად, სულიერად, მაშინ მოდის ოცნება. იმას რა სჯობია, როცა ოცნება ახდება, და ბიძინა ივანიშვილის პროგრამა კი ამის რეალურ საფუძველს იძლევა.

ყველაზე ძალიან მომწონს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობას. რატომ, იცი? მე ვითვლი, რომ მთელი ქართული ლიტერატურა, რომელზეც დაფუძნებულია ქართული კინო, მინიდან მოდის.

აბროძვეყანა ვართ და ილუზიებს ნუ ვიძენით, რომ ნანოტექნოლოგიებს ავითვისებთ და ვანარმოებთ საქართველოში.

— სახელწოდება „ვაზის პარტია“ აქედან მოდის?

— კი, ასეა.

— რუსულ კინოენციკლოპედიებში თქვენი სახელისა და გვა-

რის გასწვრივ წერია: Уроженец Москвы, где впервые увидел свет 11 мая 1937 года.

— მართალია. ეგრე იყო. მამაჩემს ჰქონდა რალაც კონფერენცია მოსკოვში და თან წაიყვანა დედაჩემი, მეცხრე თვეზე ორსული. ისე მოხდა, რომ იქ დავიბადე. ეტყობა, კარგად მიმიღეს რუსებმა, კარგად ამშობიარეს დედაჩემი. მაგათ ვენაცვალე! იქიდან დაიწყო ჩემი ცხოვრება.

— და — შემოქმედებითიც, რადგან მოსკოვში დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტიო, ესეც წერია.

— და ესეც მართალია.

— რუსეთისადმი თქვენი ლოიალური დამოკიდებულება ცნობილია.

— ჩვენ არ უნდა გაგვეფუჭებია ურთიერთობა რუსეთთან. ისე უნდა წაგვეყვანა საქმე, რომ რუსეთს არ უნდა ეცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. კულმინაცია იყო ამის უჭკუო შევარდნა ცხინვალში. თორემ ეს კონფლიქტები გაყინული კონფლიქტები იყო. აი, ყარაბაღი დამოუკიდებლად არავის გამოუცხადებია. ჩვენზე ცოტა უფრო ჭკვიანები არიან.

მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი იმითაც იყო საინტერესო, რომ ყველა ეროვნების ახალგაზრდები სწავლობდნენ. ურთიერთობები მათთან ძალიან გვაგონებდა. პატრიოტიზმი ჩვენს ოთხკედელში ჩაკეტივად და ერთმანეთთან ლაპარაკით რომ შემოვსაზღვროთ, პატარა ერისთვის გაუმართლებელია. სხვა თუ არაფერი, ილია სწავლობდა პედაგოგობაში.

არაა სათაკილო, სხვა დიდ ერთან გძონდეს კულტურული ურთიერთობა.

— პოლიტიზებულია საქართველო. ეს ფაქტია. მაგრამ პოლიტიკა თეორიას უნდა ეფუძნებოდეს. თქვენ ხედავთ ასეთ საფუძველს?

— ვხედავ. ეს არის ერთი ღვთისნიერი კაცის — თომას ჯეფერსონის დანერგილი „ადამიანის უფლებათა დეკლარაცია“, რომელშიც ყველაფერია მოცემული.

ვირჯინიაში ცხოვრობდა ეს უცნაური ადამიანი, იყო კარგი

ადვოკატი, შეეძლო სახლის აშენება, ცხენის გახედვინა, ჭრილობის მკურნალობა, მის ბიოგრაფიაში ისიც წერია, რომ უკრავდა ვიოლინოზე და ცეკვავდა მენუეტს.

როცა ვირჯინიაში დადგა საკითხი, ვინ აერჩიათ კონვენტში, აირჩიეს ეს კაცი. ჩვენ კი ბოლო სამი არჩევნების განმავლობაში ვერ ვიპოვეთ კაცი, რომელიც ვიოლინოზეც უკრავდა და მენუეტსაც ცეკვავდა (**იცინის**). სიმბოლურად რომ ვთქვა, ბიძინა ივანიშვილია ასეთი კაცი.

მას რომ შევხვდი, სანამ ფეხს მოვიტეხდი, ვილაპარაკეთ და, იცით, რა მითხრა? ბატონო გიორგი, არავისთვის მითქვამს, თქვენ კი გეტყვით, რომ თავიდან რეჟისორობა მინდოდაო.

ნიჭიერი კაცია, ხელოვნებისადმი აშკარა მიდრეკილებით. მიტინგიდან მიტინგამდე როგორ იზრდება, თუნდაც თავის გამოსვლებში, ხომ ყველა ვხედავთ! ოზურგეთში დადგა შესანიშნავი სპექტაკლი...

— **„ჯანყი გურიაში“ (გულიანად ვიცინით).**

— ჩვენი საუბარი, მოდით, თომას ჯეფერსონის სიტყვებით დავამთავროთ: „ტირანის წინააღმდეგ ბრძოლა არის ღვთის მორჩილება“.

თქვა ეს გიორგი შენგელაიამ და ისე გაატარა თავის „გრძნობის ქურაში“, იმდენი ემოცია შეაღია, იმდენად გულწრფელი იყო, რომ ყელში ბურთი მოაწვა. ჩაახველა. ცრემლები მომდისო, თქვა და შევნიშნე, რომ თვალში მართლაც ჩაუდგა ცრემლი.

იქნებ არ უნდა მეთქვა, რომ ასე იყო, გიორგი ბატონო?

2012 წლის 27 ივნისი

ბელას გაელვება, ანუ ახსოვს რუსეთის ინტელიგენციას საქართველო?

რუსულმა ლიტერატურულ-მხატვრულმა ჟურნალმა „Октябрь“, რომელიც 1924 წლის მაისიდან გამოდის, წლევანდელ თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა ცნობილი რუსი ფერმწერის — ბორის მესერერის წიგნის „ბელას გაელვება“ (Промельк Беллы) (მესერერი ბრწყინვალე ბელა ახმადულინას ქმარი იყო) რამდენიმე თავი, საერთო სათაურით „სიზმრები საქართველოზე“.

ეს სათაური ბელას ლექსიდანაა:



Сны о Грузии - вот радость!
И под утро так чиста
Виноградная сладость,
Осентявшая уста.

...

Пусть всегда мне будут в новость
И колдуют надо мной
Милой родины суровость,
Нежность родины чужой.

სხვისი სამშობლოს სინაზეო, კი ამბობს პოეტი, მაგრამ ეს „სხვისობა“ საკუთარივით აქვს გათავისებული და აღქმული

შემოქმედებაშიც და ყოველდღიურობაშიც. ჰქონდა.

მესერერი ბელასთან ერთად შატილობაზე მიიპატიჟა ჭაბუა ამირეჯიბმა — შატილობის სახალხო დღესასწაულზე, ხევსურეთში, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა. აქაც, ომალოშიც და საერთოდ მთიანი საქართველოს სოფელ-ქალაქებში — ერთი დღეებით: „მთას დაუბრუნდა მთიელი“.

ეს ისე, გასახსენებლად, და იმავე რიგიდან — ერთი ფაქტი ბელა ახმადუღინას მიერ გათავისებული საქართველოს დამადასტურებელი, რომელზეც წიგნის ავტორი წერს და რომელსაც ვადასტურებ, რადგან იქ ვიყავი:

„მთის ძირას, რომელსაც მიჰკროდა სოფელი, ქორწილს ზემობდნენ. სპეციალურ ფიცარნაგზე ასრულებდნენ ქართულ ცეკვებს, რომლებიც საქორწინო რიტუალს შეეხამებოდა. ჩვენ მეფე-დედოფალთან მიგვიყვანეს, მივულოცეთ, ბელამ ხელიდან ბეჭედი მოიძრო და პატარძალს აჩუქა. ახლადდაქორწინებულებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, ვინ იყო ბელა. საჩუქრით გახარებულები დარჩნენ“.

ასე იყო. თუმცა დღემდე ისე მეგონა, რომ ბელამ სამაჯური უძღვნა პატარძალს.

ქორწილში ხელცარიელი არ მივიდა! ქართულია.

ჯანსუღ ჩარკვიანს ხშირად აქვს მონაცოლი: მოსკოვში ყრილობაზე ჩასულმა ქართველმა მწერლებმა რუსი კოლეგები მიიპატიჟეს. სუფრა გაიშალა ერთ-ერთ რესტორანში. და როცა ბატონი ჯანსუღი ხარჯის გასასტუმრებლად ოფიცინტებთან გავიდა, მათ ბოდიშის მოხდით აცნობეს, რომ ბელა ახმადუღინას ნადიმის დაწყებამდე დაუტოვებია მათთვის N რაოდენობის ფული: რამდენიც დაჯდება, აქედან აიღეთო.

ესეც ქართულია. ბელას მიერ ჩვენი ყოფითი ტრადიციების გათავისება რომ ვახსენებ ზემოთ, იმის დამადასტურებელი.

ჩემს ჩანართებს ამით ვამთავრებ და მესერერის წიგნს მივუბრუნდები, არა სარეცენზიოდ და შესაფასებლად, რაც უკეთეს შემთხვევაში, გაშუალებულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ამ ორი შემოქმედის ოჯახის საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე, შუამავლობა ტონუსს აგდებს, არამედ ფრაგმენტულად — წიგნიდან ნაწყვეტების სახელდახელო ნათარგმა-

ნების გადმოცემით, რაც გაცილებით საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთგვარი პასუხია ჰაერში დაკიდებულ შეკითხვაზე: ახსოვს კი რუსეთის ინტელიგენციას ის საქართველო, სადაც მათ ყოველთვის ეგულეზოდან საუკეთესო მიგმოგრები — დიდოსტატები სიტყვაპაპაგმული მწერლობის?

„მე და ბელა საქართველოს სიყვარულში ჩავეზიარეთ ერთმანეთს. ეს, შეიძლება ითქვას, იყო ყველაზე უფრო ფატალური დამთხვევა, რადგან უაღრესად დაგვაახლოვა ერთმანეთს. ისე, რომ არ მოგვილაპარაკია, ვუზიარებდით ერთმანეთს ამბებს ამ გასაოცარი ქვეყნის შესახებ“, — წერს ბორის მესერერი.

აქვე, სანამ შატილს გავცილებულვართ, ისიც წავიკითხოთ, როგორ აღიქვა მან, მხატვარმა, შატილის მრავალსაფეხურიანი სწრაფვა ცისკენ — ერთმანეთზე მიდგმული სახლების გაქვავებული აღმასვლა:

„ყველა ეს სახლი, რომელიც ნატურალური ფიქალით აგებული, ნახევარწრედ არის შემორკალური და თანდათან მიემართება მწვერვალისკენ. გიგანტური პირამიდა სახლების, თითოეული თავისი ზომითა და ხედით რომ არის გამორჩეული. სავსებით შესაძლებელია, რომ ასე გამოიყურებოდა ბაბილონის დაუმთავრებელი გოდოლი... ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხვა საუკუნეში მოვხვდი“.

წიგნის ავტორი და მისი მეუღლე ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებულები მაინცდამაინც თავიანთი მეგობარი ქართველების გამო და მათთან ურთიერთობის წყალობით არიან: „თბილისში ბელასთან ერთად ჩვენი ყოფნა აღვსებული იყო გამორჩენილ ქართველ მწერლებთან და მხატვრებთან ურთიერთობით. და მაინც, ჩვენი უახლოესი ადამიანები იყვნენ ოთარ იოსელიანი, სერგო ფარაჯანოვი, გია მარგველაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, იურა ჩაჩხიანი და მისი ცოლი მანანა გედევანიშვილი“. (სხვათა შორის ჟურნალ „ოქტიაბრის“ ეს ნომერი, რომელზეც წარწერილია „Дорогой Манане с любовью! Борис Мессерер, 5 марта 2013“, ჩვენს რედაქციას სწორედ ქალბატონმა მანანამ ათხოვა).

მხოლოდ ასეთ მეგობრებს შეეძლოთ ისეთი „ლამაზი ჟესტის“ გაკეთება, როგორითაც, მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბი გაეც-

ნო ბელას და ბორისს მოსკოვის კინოს სახლის სტუმრებით სავსე დარბაზში:

„ჩვენ მოგვიახლოვდა მალალი, გამხდარი ქართველი. წარმოსადეგი, მხარბეჭიანი, ნელგამართული. მისი სახე განსაცვიფრებლად სწორად იყო დახატული და სახის ნაკეთები ნატიფი ლაზათითა და ღირსებით იყო აღბეჭდილი...“

მან გრაციოზულად დახარა თავი და სიყვარულისა და აღფრთოვანების სიტყვებით მიმართა ბელას... რესტორანში იმ საღამოს ყველა მაგიდა დაკავებული იყო. მე და ბელამ ერთდროულად გავაკეთეთ რეაგირება მის კომპლიმენტებზე და მივიწვიეთ ჩვენს მაგიდასთან ჩვენი გაცნობის სადღეგრძელოს დასაღვევად. მასზე იმოქმედა ჩვენმა გულწრფელმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ, სულ რამდენიმე წუთით ჩამოჯდა, ბელას სადღეგრძელო თქვა და დაგვემშვიდობა. გაცნობისას მან, რასაკვირველია, თავისი სახელი და გვარი გვითხრა: **ჭაბუა ამირეჯიბი“.**

„ლამაზი ჟესტი“.

სწორედ მან, ჭაბუა ამირეჯიბმა გააკეთილშობილა, მე რომ მკითხვით, ცოტა ობივატელური „ტრადიცია“, როცა ერთი ცნობილი პიროვნების ძმამ რესტორან „იპოდრომში“ სუფრასთან მსხდომ ჭაბუას და მის მეგობრებს პატივისცემის ნიშნად 50 ბოთლი მამპანური შემოუგზავნა:

„ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც სუფრას უძღვებოდა, მიესალმა მას და სადღეგრძელო წარმოთქვა:

— **დავლით სადღეგრძელო იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ჟესტის სილამაზე!**

მე ამ სიტყვებს მივანერ თვით ჭაბუა ამირეჯიბის ხატებას, რომელშიც შერწყმულია სახის სილამაზე და სილამაზე ჟესტის“.

საოცარი მორიდება და მოკრძალება, ამასთან სულის დამშვიდება და უმაღლესთან მიასლოების ბრძნობა აკავშირებდათ რუს შემოქმედებს სვეტიცხოვლის ტაძართან. ბორის პასტერნაკი სიკვდილის წინ, 1960 წლის გაზაფხულზე მაინც და მაინც სვეტიცხოველში ჩავიდა. მაშინო, იხსენებს მესერერი, ნინა და ლადო გუდიაშვილებმა უმასპინძლეს დიდ პოეტს, და თქვეს, რომ იგი, პასტერნაკი, „ძალიან მწუხარე იყო და მხოლოდ ქარ-

თველების მზრუნველობა და ყურადღება ახარებდა“.

— მე ბევრი რამ მაკავშირებს სვეტიცხოველთან, — ამბობდა ბელა ახმადულინა, — თარგმანები, ლექსები.

„ბელას ვკითხე:

— გახსოვს სვეტიცხოველი? შენ ხომ იქ მოგნათლეს?

— დიახ, ქალაქ მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში...

Ни о чем я не жалею,

Ничего я не хочу -

В золотом Свети-Цховели

Ставлю бедную свечу.

Малым камушкам во Мцхета

Воздаю хвалу и честь,

Господи, пусть будет это

Вечно так, как ныне есть.

ლოცვასავითაა.

„თბილისისადმი ბელას სიყვარული — ქალაქისა და ამ ქალაქის მკვიდრთა მიმართ — მტკიცედ არის დაკავშირებული გალაკტიონ ტაბიძის პოეზიასთან და მის ბედთან.

მე, რასაკვირველია, გალაკტიონი არასოდეს მინახავს, — იხსენებდა ბელა, — მაგრამ თბილისში ყველაფერი მისით იყო აღვსილი, მისი ხატება ცხოვრობდა ქალაქში, მის ღამეულ ჰაერშიც ცხოვრობდა თითქოს იგი. იგი უსაზღვროდ უყვარდა ყველა ადამიანს, ყველა თბილისელ ლოთს. აკადემიკოსი იყო და, როცა აკადემიაში ხელფასს აიღებდა, ეს ლოთები, ღამის კოცონების უბრალო ადამიანები, მის გარშემო შეიკრიბებოდნენ ხოლმე. თუ პარიზში კლოშარები არიან, აქ ვიღაც გაურკვეველი ღამის მცხოვრებნი გახლავან.

მე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები ველაპარაკებოდით ღამის თბილისის მკვიდრთ. ბევრ მათგანს ახსოვდა გალაკტიონი, მათთან ხარჯავდა აკადემიკოსის ხელფასს, დაეხეტებოდა, საუბრობდა. მისი სიდიადე უსაზღვროა. ერთხელ მივუსხედით ასეთ ღამის კოცონს და გავარკვიეთ, რომ შეკრებილები ღვინის ფარდულთან შეგროვილ ცარიელ ბოთლებს დარაჯობენ, თითქოს ყარაულები იყვნენ. თბებიან კოცონთან და ჰყიდიან ღვინოს...

ძმები ჭილაძეები გამოელაპარაკნენ მათ, მე კი ვიკითხე:

— შეიძლება გავიგო, ისინი რა, მთელ ღამეს ცარიელ ბოთლებს ყარაულობენ?

ჩემი შეკითხვა გადაუთარგმნეს და ერთ-ერთმა მათგანმა დაეჭვებით შემომხედა — ეს რა არსება არისო, ვინ უცნობიაო, — და მიპასუხა:

— შენ რა, ჯერ კიდევ არ შეგიმჩნევია, რომ ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე ვკარგავთ იმას, რის გარეშეც არსებობა არ შეგვიძლია და ვდარაჯობთ იმას, რაც არავის სჭირდება?

გავვოგნდი: ქვეყნად თურმე როგორი ადამიანები არსებობენ ჩვენს — ვილაც სულელებს შორის... ამას ვერ მოიგონებ“.

გაუყვებიან ქუჩას რუსთაველის პროსპექტისკენ თბილისის სტუმარი და მისი მასპინძლები, თონეში შეველენ და „პირველად ქმნილი პური, რომელიც ღვავაშს ჰგავდა, გაგვიმასპინძლებდა ხაბაზი.

გარშემო კი ღამეა, ვარსკვლავები, და აქ გამორჩდება ის ბრძენი, რომელიც კოცონთან იჯდა. ხაბაზმა მასაც მიაართვა პური, ალბათ, ნაცნობები იყვნენ, ისინი ყველანი იცნობენ ერთმანეთს. ვეუბნები:

— ჩვენ ხომ ახლახან ვნახეთ ერთმანეთი.

ის მიპასუხებს:

— დიახ, თქვენთან ურთიერთობა საინტერესოდ მეჩვენა და მეც ქუჩას ჩამოვყვივი...

შემდეგ ღვინის დაღვევა მოვინდომეთ ამ პურის მიყოლებით, მაგრამ ხაბაზმა გადაჭრით თქვა უარი: არავითარ შემთხვევაში, რადგან შეიძლება თონეში ჩავვარდე და იქ კი ისეთი სიმხურვალეა!.. ერთი სიტყვით, ასე დავინახე ეს ყველაფერი და, რასაკვირველია ვოცნებობდი, ოდესმე კვლავ შევხვედროდი ამ ადამიანებს, მაგრამ არ გამოვიდა. ლექსებში კი არის:

Ничего мне не жалко для ваших услуг.

Я — любовь ваша, слухи и басни.

Я нырну в огнедышащий маленький ад

За стихом, как за хлебом — хабази.

ასეთ ცეცხლოვან ჯოჯოხეთში, როგორც თონეში, არაერთხელ ჩაუყვინთავს ბელა ახმადუღლინას ქართველი პოეტების ლექსების თარგმანების „სულიერი არსობის პურის“ გამოსაცხოზად, და რუსი მკითხველისთვის მიუწოდებია ბარათამ-

ვილის, გალაკტიონის, ლეონიძის, კალანდაძის, ჩიქოვანის, ნონეშვილისა და სხვათა და სხვათა რუსულად აჟღერებული ქართული სიტყვა.

„რეზო ამაშუკელმა ერთ-ერთ ინტერვიუში ასე თქვა ბელა ახმადულინას თარგმანებზე: „მან თარგმნა ქართული პოეზიის ნიმუშები, და, წარმოიდგინეთ, როგორ დაჰფოფინებდა თითოეულ ქართულ სიტყვას, როგორ ესწრაფვოდა, რომ ამ სიტყვას არ დაეკარგა ქართული სული, რომელიც მის აზრსა და დატვირთვას ესადაგებოდა“.

მესერერი წერს: „ამაშუკელი სახალხო ჟღერადობის პოეტიკა, ფრიად პოპულარული საქართველოში. იგი მხიარული, ოხუნჯი, თაოსანი, თამადა და სუფრის საქმეთა განმგებელია. ამჟამად ხელისუფლებასთან ერთგვარ ოპოზიციაშია (ასეა დედანში, ეტყობა, ყოფილი ხელისუფლების მხრიდან რეზოს წინააღმდეგ შესაძლო გართულებას აარიდა მესერერმა ამაშუკელი, თორემ, რა „ერთგვარ ოპოზიციაშიც“ იყო და არის, ჩვენ ხომ შესანიშნავად ვიცით! — ა.ს.).

უფრო დასერიოზულდა. მაგრამ ძველ მეგობრებთან შეხვედრისას, თვალის დახამხამებაში გარდაიქმნება და კვლავ ძველ რეზოდ მოგვევლინება, თავისი ხუმრობებითა და ლათაიებით“.

ქედს იდრეკდა ბელა ახმადულინა ანა კალანდაძის წინაშე. მიხი ერთი ლექსი, ანასადმი მიძღვნილი, ასე მთავრდება:

О жизнь, я люблю твою сущность:

Луну, деревья и Анну...

და ლალადისი — მიმართვა და თხოვნა ცხოვრებისადმი:

Дай, жизнь, отслужить твое чудо,

Ту ночь, и то утро и Анну.

ახლა ნახეთ, როგორ აფასებს ნოდარ დუმბაძის უიშვიათეს ნიჭს ბელა ახმადულინა: **„ვეფიქრობ, რომ დასცინო არა იმას, რაც შენს გარშემოა, არამედ ისე, ვითომ საკუთარ თავს დასცინი, ალბათ, არის ნოდარის ტალანტის ძვირფასი თვისება“.**

აი, ასეთი ურთიერთობა იყო! თუ მკითხველი მოახერხებს რამენაირად ჟურნალ „ოქტიაბრის“ ამ ნომრის სადმე შოვნას, ბევრ თბილ და მნიშვნელოვან (სწორედ — მნიშვნელოვან) ამბავს გაიგებს ქართველ და რუს შემოქმედთა თბილ კავშირებსა და მეგობრობაზე; რუსთა პოზიციიდან, მათი თვალით დანახულსა

და შეფასებულს.

„რადგან საშუალება არ მაქვს საქართველოს ყველა ცნობილი ლიტერატორის შესახებ დავწერო, — ამბობს პუბლიკაციის დასასრულისკენ ბორის მესერერი, — მინდა მხოლოდ, რომ გაიჟღეროს მათმა როგორც ჩვენთვის საკმაოდ ახლობელმა და ჩვენს ცხოვრებაში მონაწილე ადამიანების სახელებმა.

ესენი არიან: არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი, იზა ორჯონიკიძე, მიშა ქვლივიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე“.

და სულ ბოლოს ასეთი პასაჟი, ფიცივით თქმული უბრწყინვალესი რუსი პოეტი ქალის — ბელა ახმადულინას მიერ, აღსარებასავით, საქართველოსა და ქართველების წინაშე:

„მე დამესიზმრა დედამინის ამ ადგილის სახელი: ისე ნათლად, ისე გასაგონად, რომ თვალცრემლიანს გამეღვიძა, მაგრამ შემდეგ მთელ დღეს ვიღიმებოდი, და მათ, ვინც არ იცოდნენ, რას ნიშნავს საქართველო, უკეთ, უფრო ხალისიანად იგრძნეს თავი ამქვეყნად.

...მე ვცდილობდი, თვითონ მეთარგმნა რუსულად ქართული სიტყვები, არაფერი გამომივიდა: მე არ ვიცი ქართული წერა, მაგრამ ძილშიც მესმის ქართული გალობა.

საქართველო ჩემი სულის სინათლეა. ბევრი მოფერება, გადამრჩენი ბევრი კეთილი სიტყვა მერგო მე დედამინის ამ ადგილზე და — ყველაფერი, რასაც ვხედავთ და რაც ვიცით, და ისიც, რისი ცოდნის ძალა არ შეგვწევს.

დაე, მათი სახელები, ვისაც ეძღვნება ეს ლექსები, დაუვინყარი იყოს მარადის“.

2013 წლის 15 მაისი

ღღაჯი, როქაჯის მოგონებას უეპოჩია

ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის ერთი ნათელი ფურცელი ორი ლეგენდარული მსახიობი ქალის — ვერიკო ანჯაფარიძისა და ელენა გოგოლევის მეგობრობაშია გამოხატული.

ამ პუბლიკაციაში, რომელიც ელენა გოგოლევის მემუარების — „სცენასა და ცხოვრებაში“ — ერთგვარი მიმოხილვაა, შევეცდები, ფრაგმენტულად მაინც გადმოგცეთ ამ დიდი მსახიობის დამოკიდებულება ქართული თეატრისა და მისი კორიფეების, საერთოდ საქართველოს მიმართ.

აღფრთოვანება, თაყვანისცემა — ეს აღმატებული სიტყვებიც კი ვერ გადმოსცემს მოსკოვის მცირე თეატრის უპირველესი მსახიობი ქალის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ელენა გოგოლევის იმ დიდ სიყვარულს, რომელიც მას ქართული თეატრის დიდოსტატების მიმართ ჰქონდა. წმინდა და გულწრფელი სიყვარული, არავითარი ვალის მოხდა ოფიციალური ინტერნაციონალური ერთობის წინაშე.

იგი წერს:

„ოციან წლებში განვითარდა ერთი მოვლენა, რომელმაც ჩემს გონებაში წარუშლელი კვალი დატოვა: მოსკოვში ჩამო-



ელენა გოგოლევა

ვიდა ქართული თეატრი, რომელსაც კონსტანტინე მარჯანოვი (კოტე მარჯანიშვილი. — ა. ს.) ხელმძღვანელობდა და წარმოადგინა გუცკოვის „ურიელ აკოსტა“. ყველა ცდილობდა, დასწრებოდა ამ სპექტაკლს, რომელსაც დიდი წარმატება ახლდა თან. ხოლო მარჯანოვი იმ დროისთვის ლეგენდარული პიროვნება გახდა: ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო რეჟისორმა სახელი გაითქვა ჯერ კიდევ 1919 წელს კიევეში „ფუნტი ავეხუნას“ დადგმით“.

„ფუნტი ავეხუნა“ — „ცხვრის წყარო“, რომელიც მარჯანიშვილმა საქართველოში განახორციელა, ახალი თეატრალური ეპოქის დასაწყისადაა მიჩნეული ჩვენს ქვეყანაში. თეატრის ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები ამ სპექტაკლს ერთხმად მიიჩნევენ მარჯანიშვილის დიდი ნიჭის გამობრწყინებად. „ურიელ აკოსტას“ მოსკოვში წარმოდგენამ კი ქართული თეატრის საერთო საკავშირო აღიარებას დაუდო სათავე.

მოსკოვის გასტროლებამდე „ცხვრის წყარო“ მარჯანიშვილმა კიევეში დადგა. სწორედ ამას იხსენებს ელენა გოგოლევა და განაგრძობს:

„დღეს, მარჯანოვის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ, ძნელია, სრულად გაიზიარო ყველაფერი, რაც გააკეთა, უფრო ზუსტად — შექმნა ამ სულიერებითა და ნიჭით არაჩვეულებრივად დაჯილდოებულმა თეატრის კაცმა. მაშინ, სუმბურული ძებნისა და გარდაუვალი „იზმების“ წლებში, მან შეძლო ერთმანეთისთვის შეეთავსებინა ბრწყინვალე თეატრალობა აბსოლუტურ გემოვნებასთან, უხვი რეჟისურის თეატრი — ქემმარიტად აქტიორის თეატრთან. საკმარისია, გავიხსენოთ მარჯანოვის აღზრდილი მსახიობების სახელები: ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიძე, პიერ კობახიძე და სხვები. ეს სახელები დიდებაა არა მხოლოდ ქართული, არამედ მთელი საბჭოთა თეატრის.“

სწორედ მაშინ სპექტაკლში „ურიელ აკოსტა“ პირველად ვნახე ვერიკო ანჯაფარიძე, დღესაც რომ პირველი მსახიობია საქართველოსი, და უშანგი ჩხეიძე, რომელიც, სამწუხაროდ, უდროოდ წავიდა ჩვენგან“.

იხილა და აღფრთოვანდა. მას შეეძლო შეედარებინა ვერიკოს ივდითი სხვა მსახიობების ივდითთან. შეადარა და პირდაპირ

თქვა, რომ ყველა სხვა „ხალტურა“ იყო. ვერიკო კი საოცრებაა, წერს იგი, ტანკენარი და პლასტიკური, გარეგნულად ლამაზი, ღრმა და ტემპერამენტიანი შინაგანად:

„არ შემიძლია მისი დავიწყება, თეთრად გამომწყობილი მისი ფიგურის. იგი ისმენდა რაზინის წყევლას, იხრებოდა, როგორც ყვავილის გატახილი ღერო, თავით თითქმის ეხებოდა იატაკს, უცებ მკვეთრად გაიმართებოდა და მგზნებარედ, მრისხანე პროტესტით აღგზნებული ისროდა ფრაზას: „შენ ცრუმო, რაზინი!..“ მე მშურდა მისი, რადგან ვოცნებობდი, მეთამაშა ივდითი, მშურდა და ვტკბებოდი მისი თამაშით, მშურდა და შეძრული ვიყავი მისით, მშურდა და ვაღმერთებდი“.

იშვიათად თუ იპოვით მსახიობის მიერ თავისი კოლეგის ესოდენ ამაღლებულ შეფასებას, აღფრთოვანების ასეთ მაღალ ხარისხს. ასეთი ცეცხლის დანთება მხოლოდ გულწრფელობას შეუძლია.

პირველი შეხვედრით გამონვეული აღფრთოვანება და პატივისცემა, ემოცია მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა გოგოლევას.

გავიდა წლები და მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებამ ვერიკო ანჯაფარიძეს საიუბილეო საღამო გაუმართა. ამ ერთგვარ შემოქმედებით ანგარიშზე ქართველი პრიმა რამდენიმე როლით წარსდგა ორი სპექტაკლიდან — კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან“ და „ქალი კამელიებით“ და ორი სცენით შექსპირის „მაკბეტიდან“, რაც, როგორც ელენა გოგოლევა წერს, მისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო იმიტომ, რომ ერთ-ერთი სცენა მას არა და არ გამოსდიოდა თავისი თეატრის წარმოდგენაში. ეს იყო სცენა, როცა ლედი მაკბეტი კითხულობს წერილს, რომლითაც შეიტყობს, რომ დუნკანი ჩამოვა მათთან და ღამესაც იქ გაათევს. **„ვერიკომ ისეთი ტემპერამენტით ითამაშა, — წერს გოგოლევა, — ისეთი გიჟური სიხარულით, რომელიც გვირგვინის შესაძლო ხელში ჩაგდებათ იყო გამონვეული, რომ მისი თამაში შეგძრავდა და მოგაჯადოებდა. და მე არ მრცხვენოდა, მესწავლა ვერიკოსგან. აი, სიშლეგის სცენას კი, ასე მეგონა, მე უკეთ ვასრულებდი. ჩვენ გვაახლოებდა ის, რომ ორივე ერთსა და იმავე როლებს ვთამაშობდით“.**



მერიკო ანჯაფარიძე

ქართული თეატრის უსაზღვრო სიყვარული საქართველოზე ვრცელდებოდა. ამ სიყვარულს იგი არ მალავდა, პირიქით, აფიშირებდა და ამბობდა, რომ ეს ქვეყანა უყვარდა ძალიან და დიდი ხანია.

„ვერიკო ჩემთვის ახლობელი იყო იმიტომაც, რომ ჩემი სათაყვანებელი მარჯანოვის უსაყვარლესი მოწაფე იყო... ჩვენს სულიერ ნათესაობას დღესაც ვგრძნობ...“

ჩვენი მეგობრობა, უფრო დაუსწრებელი და არცთუ მდი-

დარი შეხვედრებით, ურთიერთგაგების გრძნობას ეფუძნება. ეს კი ჩემთვის ყოველთვის ძალიან ძვირფასია...“

თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები თუ მოიძებნებიან დღეს საქართველოში, ვისაც ქართულ სცენაზე უნახავს უშანგი ჩხეიძე. ელენა გოგოლევა მას გამორჩეულ მსახიობად მიიჩნევდა, უაღრესად საინტერესო აქტიორად და ტრაგიკული ბედის ადამიანად: **„იგი საოცრად თამაშობდა ურიელ აკოსტას. მე ვანსახიერებდი ივდითს ოსტუჟევეთან ერთად სრულიად ახლებურ დადგმაში: უფრო დამინებულ, მაგრამ შინაარსით უფრო ღრმა და ინტელექტუალურ სპექტაკლში. ოსტუჟევი უფრო ძლიერად გამოკვეთდა აკოსტას საფიქრალს, იდეას, დარწმუნებულობას. ჩხეიძე, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ოსტუჟევზე გაცილებით ახალგაზრდა იყო, იმის გამოც, რომ სხვა სტრუქტურის მსახიობი გახლდათ, ძალიან რომანტიკული, მსუბუქი, მოხდენილი იყო. ასეთნაირად დახატული როლი ზუსტად ენერებოდა მარჯანოვის დადგმაში, ასეთსავე რომანტიკულ და მოხდენილ სპექტაკლში“.**

ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ელენა გოგოლევაზე, დიდი ხელოვნების ჭეშმარიტ დამფასებელზე, სამწუხარო ამბავი სცენიდან უშანგი ჩხეიძის წასვლის, რაც ფსიქიკური აშლილობით იყო გამოწვეული — მას ემინოდა ხალხის წინაშე გამოსვლა.

ერთია თანაგრძნობა, თუნდაც გულწრფელი, სხვაა, გაცილებით მაღალია ქმედება, რომელსაც იგი იქმნის მისი სათაყვანებელი მსახიობის ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

„ერთხელ, როცა ბორჯომში ვიყავი, შევიტყვე, რომ უშანგიც იქ იმყოფებოდა. და თუმცა ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, გადავწყვიტე, მივსულიყავი მასთან. მსახიობი ყოფილი მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში ისვენებდა. ძლივს მოვახერხე მასთან შეხვედრა. ძალიან მინდოდა, დამერწმუნებინა, დაბრუნებოდა თავის პროფესიას. უშანგი ისეთივე მომხიბვლელი, ისეთივე ძალ-ღონით სავსე იყო, როგორიც ურიელიდან მახსოვდა. ყოველნაირად ვცდილობდი, დამერწმუნებინა, დაბრუნებოდა თეატრს. ვეუბნებოდი, რომ იგი დიდებული მსახიობია და დანაშაულია, სცენაზე რომ არ არის.“

უშანგი ყურადღებით მისმენდა, იყო ზრდილობიანი და მოკრძალებული, მაგრამ სევდის ჩრდილი ედო სახეზე. ვისმენდი

მის პასუხებს: „არა“, „შეიძლება...“, „არა“, „მე ვიფიქრებ“ და ისევ — „არა“! ვხედავდი, რომ მის დაყოლიებას მთელი ჩემი ტემპერამენტისა და მისი ნიჭისადმი მთელი ჩემი პატიოსანი, გულწრფელი თაყვანისცემის მიუხედავად, ვერ შევძლებდი.

სამწუხაროა და საწყენი, რადგან იგი მართლაც დიდი მსახიობი იყო“.

ასე აფასებდა უშანგი ჩხეიძეს ელენა გოგოლევა, თავად დიდი მსახიობი, რომელიც ბრწყინავდა მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე, სახელგანთქმული იყო მთელ საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც.

იგი იხსენებს კოტე მარჯანიშვილის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საღამოს თბილისის ფილარმონიის ახალ შენობაში, სადაც მან მართლაც ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა. აქ იგი შეხვდა უშანგი ჩხეიძის დას, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს ნინო ჩხეიძეს, ვისთანაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ურთიერთობა არ გაუწყვეტია. „ნინო დიდად აფასებდა ჩემს დამოკიდებულებას უშანგისადმი. იმ საღამოს საზეიმო კონცერტზე წარმოადგინეს შესანიშნავი ნომერი: ვერიკო კითხულობდა სცენას „აკოსტადან“, პროჟექტორები კი ანათებდნენ ერთ ადგილს სცენაზე და ვერიკოს უპასუხებდა უშანგის ხმა“...

ოცდაათიან წლებში, როგორც ცნობილია, მოსკოვში გაიმართა რუსთაველის თეატრის გასტროლები, რომელსაც გოგოლევას თქმით ხელმძღვანელობდა „ძალიან საინტერესო, ტიმპერამენტისანი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, ასევე, მარჯანოვის მოწაფე. ორი წარმოდგენა ჩამოიტანეს — „ლაბარა“ და „ანოორი“, რომლებშიც დაკავებულმა სამმა მსახიობმა შეძრეს დედაქალაქი: სორავამ, ვასაკემ და დავითაშვილმა. შემდეგ, უფრო გვიან, სორავამ და ვასაკემ არაერთხელ ითამაშეს მოსკოვში „ოტელო“. სრულიად განსხვავებული, სამხრეთული, ქართული ტიმპერამენტი იბრძნობა სორავას (ოტელო) და ვასაკის (იაგო) თამაშში“.

ელენა გოგოლევა სისტემატურად ჩამოდიოდა თბილისში. გრიბოედოვის სახელობის თბილისის დრამატული თეატრის მონვევით ჩამოვიდა 1961 წელსაც, როცა საქართველოში გასაბჭოების 40 წელი აღნიშნეს. „მიმინვიეს, რათა მეთამაშა იგი-

ვეროლი, რომელსაც იმ დროს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვერიკო თამაშობდა. თეატრის დირექტორმა ჩემს პატივსაცემად თავის სახლში პატარა სალამო მოაწყო, მიწვეულთა შორის იყვნენ ვერიკოც და ხორავაც. ვერიკო საოცრად მხიარული და სიტყვამოსწრებული იყო“.

მადლიერი შემოქმედი სიყვარულით იხსენებს ლიკანში გატარებულ სალამოებს, ბორჯომში გამართულ კონცერტებს, შეხვედრებს ფაშისტების მიერ რაიხსტაგის დაწვით კომუნისტების საწინააღმდეგოდ პროვოცირებული სასამართლო პროცესის ლეგენდარულ გამირთან გიორგი დიმიტროვთან, „საოცარ, უბრალო, კარგ სალამოებს“.

ერთხელ ზეკარის უღელტეხილზე ექსკურსიიდან ლიკანში დაბრუნებულ გიორგი დიმიტროვს საინტერესო, სალალბო თამაში წამოუწყია, ცეკვითა და სიმღერით. „შემდეგ მოითხოვა მისთვის მოეტანათ „ყველაზე ლამაზი თაიგული“. დიმიტროვმა ყველანი წრედ დასვა, თაიგული მისცა ყველაზე პატარა ბიჭს, ერთ-ერთი სტუმრის შვილს, ორივე ხელით თავზე მოეფერა და სთხოვა იქ მსხდომთა შორის ყველაზე ლამაზი დედისთვის მიეცა“. ბიჭს ეს თაიგული ელენა გოგოლევისთვის მიურთმევია. „დიმიტროვმა აიტაცა ბიჭი, მალლა შეაგდო და მხიარულად თქვა, რომ ბიჭს კარგი გემოვნება ჰქონია და არაფერი შეშლია.

წლების შემდეგ მცირე თეატრი თბილისში მართავდა გასტროლებს. საქართველოს მთავრობამ მოგვინყო მიღება. როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა წარმოთქვა ჩემი სადღეგრძელო და გამახსენა ის სალამო დიმიტროვთან ერთად ლიკანში გატარებული და თაიგული, რომელიც ბიჭმა მომართვა: „ის ბიჭი, ძვირფასო ელენა ნიკოლაევა, მე ვიყავი!“

დევი სტურუას ჩემი თანდასწრებითაც გაუხსენებია ის საოცარი სალამო. დიახ, ეს პატარა ბიჭი დევი სტურუა იყო.

ელენა გოგოლევა გულდანყვევით წერს: „ასე მიზრინავენი წლები! აი ასე, ჩვენ თვალებში იზრდება ახალი თაობა, და ტკივილამდე გულდასაწყვეტია, როცა იხსენებ იმათ, ვინც ამ ცხოვრებიდან წავიდა“.

დასანანი და გულდასაწყვეტია, რომ დღეს აღარც ის ბიჭია

ცოცხალი.

ბოლოს დევი სტურუა გოგლობაზე ვნახე, პატარძელში, გიორგი ლეონიძის ძველი სახლის აივანზე, პირველი არხის ტელეჟურნალისტის თხოვნით გოგლას შესახებ ლაპარაკობდა.

ინერდენ დევის სიტყვას, რომელიც მან გოგლას ლექსით „ყივჩალის პაემანი“ დაამთავრა:

**„ყურღანებიდან გნოლი აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს...“**

გოგლას ბოხი ხმის მიბაძვით კითხულობდა, ბუბუნებდა, ბობოქრობდა, განიცდიდა.

დაამთავრა და ჟურნალისტ გოგონას სთხოვა: ჩემი ნათქვამი, თუ გინდათ, წაშალეთ, ოღონდ ეს ლექსი დატოვეთო.

მოსწონდა თავისი წაკითხული.

მაგრამ მე ხომ ჩემი გამოცდილებით ვიცოდი და იმ ჟურნალისტმაც იცოდა, რომ ტელეხელმძღვანელობა მაინცდამაინც ამ ლექსს წაშლიდა...

**„როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...“**

ნისლივით ქრება იმედიც და სურვილიც. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა...

„მოგონებებს გარდასულ დღეთა“ უმეტესად ნუხილის შავი არშია დაჰყვება. ელენა გოგოლეევას ეს მოგონებაც ამ რიგისაა:

„თბილისის ქუჩებს ნელა მიჰყვება პროცესია. ზემოთ კი, ერთ-ერთი სახლის სახურავზე თეთრ, მოფრიალე სამოსში გამონყობილი იდგა ვერიკო ანჯაფარიძე და შორს ისმოდა მისი ძლიერი, ლამაზი ხმა. საქართველო კრძალავდა კოტე მარჯანიშვილს — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანოვს, დიდ რეჟისორს, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა მოსკოვში შემოქმედებით ძალთა გაფურჩქვნის ჟამს. ამ დროს მიმდინარეობდა გენერალური რეპეტიციები მცირე თეატრში მისი დადგმული სპექტაკლის — შილერის „დონ კარლოსის“. როგორ სჭირდებოდა მარჯანოვი ქართულ თეატრს! და როგორი აუცილებელი იყო იგი აქ, მოსკოვში, მცირე თეატრში... თეატრში, რომლის ცენტრი იყო მსახიობი, ურეჟისორობა ამუხ-

რუჭებდა შემოქმედებით ზრდას. მაგრამ რეჟისორის პოვნა, რომელიც დაჯილდოვებული იქნებოდა დამდგმელის ფანტაზიით და შესწევდა უნარი, ეს ფანტაზია განესახიერებინა, უწინარეს ყოვლისა, მსახიობის საშუალებით, დღეს არცთუ ისე ადვილია. მაშინ, 30-იან წლებში ეს პრობლემა უკვე იდგა დღის წესრიგში. მხოლოდ ასეთი რეჟისორის „მიღება“ შეეძლო მცირე თეატრს. და სწორედ ასეთი რეჟისორი აღმოჩნდა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანოვი.

როცა თეატრში დაიწყო საუბარი მარჯანოვის მოწვევაზე „დონ კარლოსის“ დასადგმელად, მე სიხარულით შევხვდი ამ ამბავს, რადგან ნანახი მქონდა მისი უკვდავი დადგმა „ურიელ აკოსტასი“...

გოგოლევა იხსენებს, როგორ შეიკრიბნენ სარეჟეტიციო დარბაზში მსახიობები, როგორ შევიდა მარჯანიშვილი, „ის, ვისზეც ამდენი რამ გაგვეგონა, წაგვეკითხა, ვიცოდით“. განსაკუთრებით მოხიბლულა მსახიობი ქალი რეჟისორის დიდი, შავი და მწველი თვალებით, მისი გამოხედვა არამარტო დაკვირვებულ იყო, არამედ „გამემირავი“.

მარჯანიშვილის შემოქმედებით მეთოდზე საუბრისას ელენა გოგოლევა განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ რეჟისორი მკაცრად მოექცა შილერს. „იგი აკეთებდა დიდ კუპიურებს, ამბობდა, რომ ზედმეტი სენტიმენტური მრავალსიტყვაობის გამო იკარგება პიესის ძირითადი იდეა. იმ დროს კლასიკოსისადმი ასეთი „ბარბაროსული“ დამოკიდებულება ბევრმა დაუშვებლად მიიჩნია და ზოგიერთი უცებვე განაწყო მარჯანოვის წინააღმდეგ... სპექტაკლი საინტერესოდ იყო ჩაფიქრებული და მცირე თეატრისთვის — უჩვეულოდ. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, დამდგმელები ხშირად იყენებენ მარჯანოვის მეთოდებს. მაგრამ მაშინ ეს იყო სიახლე და გაბედულება, რომელიც წარმოჩნდა როგორც მცირე თეატრის განვითარების ახალი საფეხური...“

მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა მარჯანოვს გამოეშვა „დონ კარლოსი“ — ერთ-ერთი პირველი გენერალური რეპეტიციის დროს იგი გარდაიცვალა.

ძალიან, ძალიან დამნაშავეა მის მიმართ მცირე თეატრი. არა, მთელი დასი არა, — ზოგიერთები. ისარგებლეს უპირველესი მიზეზით — ჩემი ავადმყოფობით და სპექტაკლის მოხსნა მო-

ინდომეს. ჩვენ, მონაწილენი წინ აღვუდევით, არ დავეთანხმეთ და ჩვენსას მივალწიეთ...

პრემიერამ ტრიუმფით ჩაიარა. ჩვენ გამოვდიოდით თავის დასაკრავად და ხელში გვეჭირა მარჯანოვის პორტრეტი. იგი თითქოს ჩვენთან იყო, აქ, ცოცხალი, და იღებდა ოვაციებს მისი დიდებული ნამუშევრის გამო“.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ გოგოლევა მარჯანიშვილს მარჯანოვად მოიხსენიებდა ერთგვარი თეატრალური ტრადიციების გამო, ეს ისეთივე გაშინაურებაა საუკეთესო გაგებით, თავისი-ანად მიღება, როგორც იმავე „ურიელ აკოსტას“ მხოლოდ „ურიელად“ მოხსენიება: შეკვეცა, ერთგვარი მეტსახელი — თბილი, შენიანის. არა მგონია, რომელიმე მსახიობი ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეზე“ ლაპარაკისას სტურუასეულ ამ შედეგს სრულად მოიხსენებდეს. როგორც წესი, იტყვიან „ცარცის წრე“, ან „კავკასიური“.

ასეა და არავითარ შემთხვევაში გარუსულება გვარის იმ გაგებით, როგორც ეს რუსეთის იმპერიის პირობებში ხდებოდა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ.

და ისევ გოგოლევა:

„მთელი ცნობრების მანძილზე გამყვება მარჯანოვთან შეხვედრა და მასთან მუშაობა. იგი არ იყო მხოლოდ მცირე თეატრის რეჟისორი. იგი ჩამოიშორა იყო, ვისთანაც შიშაქლო შიშაქმანა ზვირი შესანიშნავი, შთაბრძნული სახე, მბზრამ... მე ვერ ვიწვარებდი მის სიკვდილს...“

მსახიობი იხსენებს მეგობრების წრეში გატარებულ ერთ შესანიშნავ საღამოს მარჯანიშვილთან ერთად. მისულა იქ ლუნაჩარსკიც, რომელიც ოფიციალურ წრეებში კულტურის საკითხების უპირველეს ექსპერტად ითვლებოდა და იმ წლებში სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. ელენა გოგოლევა წერს: **„ლუნაჩარსკის სჯეროდა მარჯანოვის და შესთავაზა მცირე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა. ანატოლი ვასილის ძეს ესმოდა, რომ მარჯანოვი მცირე თეატრის შესანიშნავი, ნათელი მომავალია... ასეთი ხელმძღვანელი ააცილებდა მცირე თეატრს ბევრ ჩავარდნას და უბედურებას, იმის დაფიქრებასაც, რაც დიდი „ბერიკაძეების“ მიერ იყო ნაანდერძევი“.**

მარჯანიშვილს არ დასცალდა. მაგრამ უკვე ჩვენ დღეებში მონმენი ვართ თემურ ჩხეიძის პეტროგრადის, რობიკო სტურუას მოსკოვის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად მოღვაწეობის.

ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, რაც ცალკე და დიდი საუბრის თემაა.

ცხოვრება გრძელდება, მოგონებები რჩება: **„მე კვლავ ვსწავლობ ამ მოგონებებისგან“**, — ამბობს გოგოლევა თავის მემუარებში, რომლებიც კრიალოსანივით არის აწყობილი: **„კრიალოსანი გრძელდება სახელგანთქმულ ქართველ მხატვართან ელენე ახვლედიანთან მეგობრობით, რომლის ნახატი დღესაც შინ მიკიდა“**.

საქართველოსთან მეგობრობა დღემდე ასაზრდოებს ჩემს ესთეტიკურ გრძნობას. მახსენდება რუსთაველის თეატრის ამასწინანდელი გასტროლები მოსკოვში, როცა მათ სპექტაკლს „სამანიშვილის დედინაცვალს“ დავესწარი. მითარგმნიდა ვერიკო. მაგრამ თარგმანის გარეშეც მზიბლავდა თავისი რეჟისურით. მაშინ გავიგონე პირველად ეს გვარი: სტურუა. აქ, მოსკოვში ბუკვალურად შემძრა ამ რეჟისორის სპექტაკლმა ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრემ“. მთხოვეს, ტრადიციულად მადლობა გადამეხადა მსახიობებისთვის სპექტაკლის შემდეგ. მაგრამ ტრადიციული მისალმების ჩარჩოები დაიმსხვრა, როცა ბედნიერება მხვდა წილად მენახა ეს სპექტაკლი. მე გამოვვარდი სცენაზე და აზარტული აღგზნებით ვიყვირე, რომ ის, რაც მე და მაყურებლებმა ეს-ესაა ვიხილეთ, სასწაულია! დარბაზმა ჩემს აღფრთოვანებას მხარი აუბა, რადგან ეს სპექტაკლი მართლაც სასწაულია!

ბედმა მარბუნა შეხვედრის სიხარული საბჭოთა ეროვნული თეატრების ბევრ მოღვაწესთან; მათ შორის — შეხვედრები ქართულ ხელოვნებასთან, რომლის მხურვალე თაყვანისმცემელი ყოველთვის ვიქნები“.

კარგი აკორდია — ზეანეული, გულწრფელი. გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ დღეს წინა თაობების ხელოვანთა მიერ საფუძველჩაყრილი კულტურათა ურთიერთობა მოგონებების სფეროშია გარდასული.

თუმცა რაღაც სინათლე მაინც კიაფობს გაუცხოების გვირაბის ბოლოს.

2013 წლის 6 ნოემბერი

ლაქსიდან ლაქსში ბაღაბორაბული ფორთოხლისფერი ფზის ნათება

ნიგნი, რომელსაც ამ დღეებში კვლავ დავენაფე, გენო კალანდიას ლექსთა კრებულია — „ფისპეზი“.

შესავალ წერილში დიდი მუხრან მაჭავარიანი წერს იმაზე, რომ აფხაზეთის ტრაგედიამ „ჯეროვანი ასახვა ჰპოვა“ (ასეც იყო მოსალოდნელი) გენო კალანდიას პოეზიაში:

„აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს... დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები გადააყლაპეს.



ეს ამაზრზენი სიტყვები უძღვის ეპიგრაფად გენო კალანდიას სულის შემძვრელ ლექსს „ანტიგონე“:

**ვისი თვალები გადააყლაპე,
დაო ბედკრულო?**

**ქურდის,
ყაჩაღის,
მამათმავლის,
უკუმსტოვარის,**

ვისი თვალებით გენვის გულ-გვამი?

ეს შესავალი წერილი 2005 წელსაა დაწერილი და, მიაქციეთ

ყურადღება, როგორ სადღეისო პრობლემად ჟღერს, როცა „განათლებული ლიბერალები“ ცდილობენ, გადააყლაპონ საქართველოს მამათმავლობა, როგორც „ევროპულ ღირებულებათა“ გამარჯვება ეროვნულ ტრადიციებსა და მართლმადიდებლობაზე.

მუხრან მაჭავარიანი განაგრძობს:

„...ახლა, როცა საქართველოში ასეთი აღზევებაა ლოტოფაგთან! როცა გარენარნი ყოველნაირად ცდილობენ: ქართველებს დაავინყონ წარსული! დაავინყონ სამშობლო! დაავინყონ დედა! დაავინყონ მამა! გადაახნევიონ წინაპართა საფლავნი... განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს გენო კალანდიას ირონიული ლექსი „ოლიფანტი“:

ნუ გეშინია, ძმაო ოლიფანტე,

ნუ გეშინია,

უხვად გვექნება წლეულს ლოტოსი...

მიირთვი, მიირთვი მაისის ლოტოსი...

მორჩილად დახარე ეგ თავი მონის...

თხუნელასავით სარდაფში ჩადი...

წარსული დაივინყე...

მიხეილ სააკაშვილს თავის დროზე მუხრანის ეს წერილი რომ წაეკითხა, ვერ გაბედავდა დიდ პოეტთან სტუმრად მისვლას და ქართული ლექსის თავის სანიმუშო უცოდინარობას ხალხის ცინიზმის ხელიხელსაგომანებელ მარგალიტად არ აქცევდა.

...ხოლო ჩვენი თანამედროვე ოლიფანტეები ასე გაბედულად ვერ აპარპაშდებოდნენ კოაბიტაციის ქოლგის ქვეშ...

გენო კალანდიას შედეგვრებს შორის ერთი ლექსი ისეთია, რომელიც, შეიძლება ითქვას, იმ სხივთა კონაა, რომელიც მთელ მის პოეზიაშია გაბნეული, და, ამასთან, მისი ჭეშმარიტი ქართველობის, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის პოეტური ამონათებაა.

ფორთოხლისფერი

ლექსი მესხეთს

ო, ძლიერებავ ძალთა,

ო, ფეიქარო ხელრთვის,

ჯაჭვის პერანგით ვიცნობ

მკერდნაიარევ ხერთვისს.

ვაზის ცრემლებით ვიცნობ
ყველა წმინდანის მალლობს,
იქ, რუსთაველის ქვემოთ, მგონი,
თმოგველი სახლობს.

იქ, წმინდა ნინოს გვერდით
მეფის სახლეულს ვხედავ,
მარცხნით თამარის მთაა,
მალლით — საუფლო ზესთა.
გამოქარული ქარით,
გამობელტილი წვიმით
გზას ბილიკ-ბილიკ მისდევს
მწვანე ლამქარი წიწვის.

როქის სპასავით ზანტად
ხევს ჩაჰყოლია დაბლა
ნისლი. ღრუბელი. ნისლი.
ღრუბლის მდინარეც, ალბათ.

ოდეს გავხედავ ჭმუნვით
გრემის მეშვიდე პორტალს,
ო, როგორ მოჰგავს წუნდა
ცის საყვავილე ქოთანს.

როგორ გადარჩა, როგორ?
ოქრო, ამდენი ვერცხლი?
ვით ვერ წარგტაცეს, ღმერთო,
ეს ღვთაებრივი ცეცხლი?!

ო, გულისგული მტკივა,
ცრემლი მისველებს თვალებს,
ოდეს ვიგონებ მტკვართან
ბზიფს და ბიჭვინთის მთვარეს.

ო, მომიტევე შეშლილს,
ო, მაპატიე დევნილს,
თუ მოგეფერე წუხელ
ფორთოხლისფერი ლექსით.

სწორედ ეს პოეტური სახე — „ფორთოხლისფერი ლექსი“, ფორთოხლისფერი პატარა მზე დაგორავს გენო კალანდიას ლექსიდან ლექსში, თუნდაც როგორც „ფორთოხლის ბალით გადაფრენილი ფორთოხლის ჩიტი“, რომელიც „ღრუბელთა ზედა, ცათა შინა დაიდებს ბინას“. აგიტაცებს, აჰყვები, მაგრამ „ვაითუ, გასკდეს გული ქართლის ბრონეულივით“...

ამიტომ ვიჩქარი დედამინაზე დაბრუნებას და გაუნყებთ, რომ გასულ კვირაში **გენო კალანდიას თავზე დაედგა ქართული პოეზიის გვირგვინი — მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.**


გენო კალანდია შეუერთდა ამ დიდებული პრემიით ბეჭედ-დასმულთა ბრწყინვალე კოჰორტას.

ბატონ გენოს, „საქართველო და მსოფლიოს“ დიდ მეგობარს, შესანიშნავ პოეტსა და თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს, გულწრფელად ულოცავს ამ ჯილდოს ჩვენი გაზეთის უკლებლივ ყველა თანამშრომელი!

2013 წლის 22 მაისი

უპიჯთა სუბუკიით დაგასინჯებული ქალაქი

ერთი ხანია, თბილისელებს ახალი სასაუბრო თემა გაუჩნდათ — პუშკინის ქუჩაზე, თბილისის გულში, ესტაკადის აგების პრობლემა და, როგორც ყველაფერს ამ ბოლო დროს, ამასაც პოლიტიკური საფანელი დაედო. „ნაცებმა“, რა თქმა უნდა, თბილისის მერიის ასეთ განზრახვას ანტიეროვნული უნოდეს და ხელიდან არ გაუშვეს გამოკეკლუცებული თავდასხმის შესაძლებლობა: ჩვენო, — ანიკდენენ, აჩიორდენენ, ანიკლაურდენენ და ა.შ., — აღმოვაჩინეთ და მიწის სიღრმიდან ისტორიის ნაწილი სამზეოზე გამოვფინეთ, ახალარჩეული მერი კი კვლავ მიწაში ჩაფლას აპირებსო.



გიგა გათიაშვილი

აფსუსს, უგულავაო, და — ნავიდააა!
ამათ რა გააჩერებს!..

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ დროს პარტკომის მდივნად ერთი ფიზიკოსი მუშაობდა, რომელსაც ძალიან უყვარდა ლაპარაკი. ამ ნაკლს, უპირველესად, თვითონვე გრძნობდა და დასცინოდა კიდევ საკუთარ სიტყვაუხვობას:

— უნივერსიტეტში ლაპარაკით გულს რომ ვერ ვიჯერებ, შინ მისული ენას კიბეზე გავდებ და ისე ავდივარო მეცხრე სართულზე.

არ შეველოდა ეს იუმორი და თვითგვემა ამ პატიოსან კაცს. „ნაცებს“, სიტყვამრუშობის ამ ასთავიან ჰიდრას, იუმორი კი არა, არგუმენტების კომბალი თავში რომ ურახუნო, საღი აზრისკენ ვერ შემოაბრუნებ: უკადრებლის მკადრებელი ამათი ენები ქართული ტელეარხებისკენ მიმავალ გზებზე ასფალ-

ტივითაა დაგებული.

ინტერვიუ, რომელსაც ვთავაზობთ, პატიოსანი მკითხველებისთვისაა განკუთვნილი.

„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი რესპონდენტია გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი **ზიზა ბატიანიშვილი**.

საკითხი ასე დგას: ისტორიული რარიტეტის შენარჩუნება თუ ერთ ქუჩაზე ტრანსპორტის გამტარუნარიანობის გაზრდა.

ბატონმა გიგამ ნაცოპონენტები ორ მამალ ტყუილში ამხილა: კარგად ცნობილი არქეოლოგიური ფაქტის საკუთარ აღმორჩენად გასაღებაში და უგულავას დროინდელი მერიის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომის გამოსწორების მიზნით ამჟამად მიღებული გადაწყვეტილების გამრუდებულად წარმორჩენის მცდელობაში.

— დავინწყით იმით, — **ამბობს გიგა ბათიაშვილი**, — რომ მნიშვნელოვანი საკითხების ემოციურ დონეზე, სპონტანურად გადაწყვეტა სწორი არ არის. უხერხულიც კია იმის გამეორება, რომ, ასე თუ მოვიქცევით, მივიღებთ ხანმოკლე ეფექტს, რომელიც არასოდეს სრულყოფილი არ იქნება. მაგრამ სწორედ ამ „მეთოდით“ ხელმძღვანელობდა ყოფილი ხელისუფლება. ყველანი დავრწმუნდით, უგულავას დროს განხორციელებული პუშკინის ქუჩის რეკონსტრუქცია მცდარი აღმოჩნდა: უაღრესად გართულდა ქალაქის გულში ტრანსპორტის მოძრაობა.

ამ საკითხს დავუბრუნდები.

ახლა კი — „აღმორჩენის“ შესახებ.

გალავანი, რომელზეც ვლაპარაკობ, ცნობილი იყო ისტორიული ნყარობიდანაც და ფაქტობრივადაც: თავის დროზე მისი ერთი ნაწილი ძველი თბილისის იერ-სახის აღდგენის ჩვენი პროექტით შევინარჩუნეთ და დღესაც დგას კოლმეურნეობის მოედანზე, საჭაშნიკესთან, როგორც ამ ისტორიული უბნის ორგანული შემადგენელი.

აქედან ქალაქის კედელი მიჰყვება პუშკინის ქუჩას, გრძელდება ყოფილი ველიამინოვის ქუჩისკენ, სადაც ჩვენს ახალგაზრდობაში ცნობილი სახინკლე იყო...

— **ცალხელა კაცი ლუდის დაცლილ კათხებს რომ აგროვებდა...**

— და სადაც ნახევარმა თბილისმა მაინც გაიგო ნამდვილი ბინკლის გემო...



თბილისის გალავნის ფრაგმენტი კოლმეურნოვის მოედანზე

აქედან იღებს მიმართულებას ნავკისის ქედისკენ და ზემოთ, ბეთლემამდე ადის.

ამ გალავნის შიგნით იყო მოქცეული ქალაქი, ვიდრე ერეკლე II რუსეთთან ცნობილ შეთანხმებას მოაწერდა ხელს. მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა და შეწყდა ომები, თბილისმა გადაალაჯა ქალაქის ამ კედელს.

განათლებულ ადამიანს ბუნებრივად ებადება კითხვა: მაშინ, როცა ჩვენი წინაპრები ციხე-გალავნების ასაგებად ჩვეულებრივ ბუნებრივ რელიეფს იყენებდნენ დამატებით დამცავ საშუალებად, რაღა აქ, ვაკე ადგილზე შემოართყეს გალავანი ქალაქს?

საქმე ის არის, რომ დღევანდელი პუშკინის ქუჩიდან მამადავითისკენ თავის დროზე ხევი იყო და ქალაქის გალავანი ამ ხევის ქედზე იყო აშენებული — ბეთლემიდან მტკვრის ნაპირამდე. ბუნებრივ პიედესტალზე იდგა, რითაც დამატებითი სიძნელე ექმნებოდა შემოსეულ მტერს.

ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს ეს ყველაფერი თავის რუკაზე დატანებული.

თავის დროზე (ეს იყო 30 წელიწადზე მეტი ხნის წინათ) ჩვენ, ბატონ შოთა ყავლაშვილის თავკაცობით, დავინტერესდით და

პრაქტიკულად შევამოწმეთ ბატონიშვილის რუკის სისწორე. რამდენიმე ადგილზე გავაკეთეთ ზონდაჟი. სადაც პუშკინის ქუჩაზე უნინ ბავშვთა პოლიკლინიკა და აფთიაქი იყო, იქ გავთხარეთ და გამოჩნდა გალავნის კედლის მთელი ფრაგმენტები.

გავაგრძელეთ შესწავლა და აღმოვაჩინეთ, რომ „საქართველოს ბანკის“ კიბე გალავნის კედლის ბურჯზე ზის; იმავე ველიამინოვის ქუჩაზე, ყოფილი კიროვის რაიკომის შენობაში დღესაც დარჩენილია ბურჯის კედელი. ბათქაში რომ აიფხიკოს, იმ კედლის წყობა გამოჩნდება.

ე. ი. ყველაფერი ცნობილი იყო. როცა ქალაქის ყოფილმა მთავრობამ პუშკინის ქუჩის მოსაწესრიგებლად ტექნიკა შემოიყვანა, ყველას თავზარი დაგვცა, რადგან ამ მიწისქვეშა სივრცეში დარჩენილ ისტორიულ რარიტეტებს ასეთი უხეში ჩარევა საბოლოოდ გაანადგურებდა.

ავტეხეთ განგაში, ვინ გვიგდო ყური!

თხარეს და თხარეს და შემდეგ იყვირეს „ვერიკა!“ — აღმოვაჩინეთო გალავნის ფრაგმენტები. კიდეც კარგი, რომ ჩვენნი არქეოლოგები დაესივნენ მშენებლებს, მერიას და, როგორც იქნა, აიძულეს, შეენარჩუნებინათ ის, რაც მიწის სამუშაოების დროს იპოვეს.

— იმ სახით, რომელიც დღესაც გვაქვს, რითაა ცუდი?!

— თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ, თუ შეიძლება ითქვას, სანახევრო გადანყვეტილებაა, რომელიც უფრო მეტად ნეგატიურია, ვიდრე დადებითი.

— ?

— აგისხნით. თბილისში, როგორც ყველა ძველ ქალაქში, ქუჩების გამტარუნარიანობა ისედაც არასაკმარისია, პუშკინის ქუჩის სიგანე განახევრდა, პრობლემა კიდეც უფრო გართულდა ცალმხრივი მოძრაობის დანესებით. ცხადია, ადრე თუ გვიან დადგებოდა ქუჩის ადრინდელი სახით დაბრუნების საკითხი.

მაგრამ როგორ? მიწაში ხომ არ ჩაფლავ ისტორიულ შესანიშნავ ფრაგმენტებს? ამან განაპირობა თბილისის მერის — დავით ნარმანიას განცხადება პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის აგების შესახებ.

გეტყვით, რომ ტერმინი „ესტაკადა“ ამ შემთხვევაში სწორი არ არის: კვლავ ქუჩა უნდა აღდგეს. მაგრამ ამ ახალი ქუჩის ქვედა სივრცე მინით კი არ ამოივსება, არამედ ფეხით სავალ ნაწი-

ლად დარჩება. ორ იარუსად მოენყობა. ერთი — მიწისქვეშა, ლესელიძის ქუჩიდან დაწყებული ტროტუარი მაღაზიებით, მუზეუმით, სათანადო განათებით და ა. შ. ზევიდან, დამოუკიდებელ კონსტრუქციაზე აგებული ქუჩა ტრანსპორტის ორმხრივ მოძრაობას დაეთმობა, რაც ნიშნავს, რომ მისი გამტარუნარიანობა 100 პროცენტით გაიზრდება.

ხოლო ის ფრაგმენტები, რომლებიც მიწის ქვეშაა აღმოჩენილი (არის შანსი, კვლავაც აღმოჩნდეს), ამუშავდება, როგორც კულტურული ღირებულება, სამუზეუმო ექსპონატი. მაშასადამე, მიეცემა ფუნქცია და არ დარჩება, უბრალოდ, თვალის შესავლებ რამედ.

სულ ეგაა.

ესტაკადა კი, პრინციპში, ხიღია. პუშკინის ქუჩაზე ხიდის აგება არავის უფიქრია.

ბევრი ღონისძიებიდან, რომლებიც დედაქალაქის მთავრობამ დასახა, ერთ-ერთი ჯანსაღი ღონისძიება (თეორიულად) არის პუშკინის ქუჩის კვლავ სრულფასოვნად ამოქმედება ისტორიული ღირებულების მქონე ფრაგმენტების შიგ ჩართვით.

— თეორიულად, როგორც თქვით, მარტივია და გასაგები, მაგრამ პრაქტიკულად ამის გაკეთება როგორ გესახებათ?

— ეგაა სწორედ ურთულესი საკითხი: პროფესიულად როგორ უნდა გაკეთდეს, არქიტექტურულად როგორ უნდა დაიგეგმოს, რა დატვირთვა უნდა მიეცეს ამ მიწისქვეშა სივრცეს, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი და მისი ისტორიული ღირებულება ტოლფასად რომ იყოს ამოქმედებული და სრულად ნარმოდგენილი.

— როგორც გავიგე, ეს მიწისქვეშა სივრცე ლესელიძის ქუჩიდან, თავისუფლების მოედნის გავლით და პუშკინის ქუჩის ჩათვლით ერთ მთლიანობად მოიაზრება?

— ასე უნდა იყოს. მაგრამ მერია აპირებს მხოლოდ პუშკინის ქუჩით შემოფარგვლას, რაც საქმის მხოლოდ ნახევარია.

— თქვენი ჩანაფიქრით, აქ უნდა გაკეთდეს მოსკოვის მანეჟის მოედნის ქვეშ რამდენიმე იარუსიანი ნაგებობის მსგავსი რამ?

— მსგავსი მაგალითები ბევრია. აქ კი, ჩვენთან, ბუნებრივად არის ამის გაკეთების შესაძლებლობა. არ მინდა ახლა ამაზე დეტალურად ლაპარაკი, თუნდაც იმიტომ, რომ, თუ მართლა გა-

მოაცხადებენ კონკურსს, მეც სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

— ერთ ციტატას წაგიკითხავთ თქვენი წიგნიდან „ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში“, თუ... „ჩემი ცხოვრება თბილისის არქიტექტურაში“, უკაცრავად, მგონი, შემეშალა...

— არა, არ შეგშლიათ. ყდაზე წერია „თბილისურ არქიტექტურაში“, შიდა გვერდზე — „თბილისის არქიტექტურაში“. რატომ, იცით? ჩემი ფორმირება მოხდა თბილისურ არქიტექტურაში, ჩემი მოღვაწეობა კი თბილისის არქიტექტურაში მიმდინარეობდა (გულიანად იცინის).

— აი, ამ „რა საჭიროა ორი სათაურის“ მქონე წიგნში თქვენ წერთ: „ადამიანის სწრაფვა ხელოვნური ყოფითი გარემოს(...) უფრო მეტად კომფორტული მონყობისკენ იწვევს გარდაუვალ ძალადობას ბუნებაზე, ხოლო ბუნების ყოველგვარი სახეცვლილება, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მის დამანგრეველზე“.


წამყვანი სიტყვებია სწრაფვა კომფორტისკენ და დამანგრეველი ზემოქმედება ბუნებაზე.

ჩვენი სწრაფვა კომფორტისკენ, ბატონო გიგა, ასევე დამანგრეველად არ მოქმედებს მატერიალური კულტურის შემორჩენილ ქსოვილზე?

— ჩვენ თუ ასპროცენტიან კომფორტულობაზე ვიზრუნებთ, ისტორია დაიჩაგრება. ოსტატობა ისაა, კომფორტისკენ სწრაფვა ისე უნდა მოხდეს, ისე უნდა დაპროექტდეს ფუნქციური როლი (ჩვენ შემთხვევაში ტრანსპორტის მოძრაობა უფრო კომფორტული რომ გახდეს), რომ, რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს ბუნებრივი გარემო — ბუნებრივი ხევიდან (რომელზეც ვილაპარაკეთ) „ამოსული“ აღნიშნული ისტორიული ფრაგმენტები.

ადამიანი რასაც ქმნის, ცუდია თუ კარგია, არის ხელოვნური ჩარევა გარემოში. ჩვენი ნამოქმედარი ყოველთვის ხიჭვია გარემოს სხეულში, მაგრამ, რაც უფრო ფაქიზი იქნება ეს ძალადობრივი ზემოქმედება, მით უფრო ნაკლებად მტყკივნეული იქნება ეს ხიჭვი.

ადვილი სათქმელია, მაგრამ ძალიან ძნელი გასაკეთებელი. ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება, როცა დავაზიანეთ ბუნებრივი გარემო, თუმცა საპირისპიროს დასახელებაც არ გა-



„ბათნამედროვეზული პესკაჟი“

ჭირდება. მაგალითისთვის მცხეთის ჯვარი ავიღოთ და ბევრი სხვაც და ა. შ.

— მით უფრო, რომ კვლავ თქვენ დაგესხებით: „ადამიანის შემოქმედებითი გენის სრული მატერიალიზება ვლინდება არქიტექტურაში საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე“.

— ასე იყო და ასე იქნება.

— მაგრამ არა მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატების სახით. ესეც თქვენგან ვიცით.

— დავაზუსტოთ: სამუზეუმო ექსპონატებიც უნდა დარჩეს და სამუშაო, საქმიანი გარემოც უნდა შეიქმნას. ლაპარაკია გონივრულ ბალანსზე.

ერთი ნუთით წარმოიდგინეთ ისტორიული თბილისი, მის შიგნით რაც არის — კალასუბანს რომ ვეძახით — მუზეუმად რომ გადავაქციოთ, ამოვტუმბოთ ჰაერი, კოლბაში მოვაქციოთ, ეს ხომ მკვდარი მაკეტი იქნება?

— რა თქმა უნდა.

— აი, შარდენის ქუჩა კი ისტორიულიცაა და ბათნამედროვე ცხოვრებაშიც არის ჩართული. ბალანსის დაცვა ერთადერთი სწორი გზაა: ისტორიული გარემო არ უნდა ჰკარგავდეს თავის სახეს და, ამასთან, დროის შესატყვისად უნდა აცხოვრებდეს ადამიანს, ამდიდრებდეს და ამრავალფეროვნებდეს მის ყოველდღიურ ყოფას.

შარდენის ქუჩა ჩემი დაპროექტებული და განახლებულია.

— რახან ამ უბანზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ თბილისელების გარკვეულ ნაწილს არ მოსწონს მისი სახელწოდება.

— რატომაო?

— იმიტომ, რომ ამ მოგზაურმა ერთხელ ჩამოიარა თბილისში და ჩვენ მისი სახელი სასწრაფოდ უკვდავყავით...

— მცდარი დამოკიდებულებაა. ტურიზმს, თქვენს მკითხველებს კარგად მოეხსენება, ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთი, რომ იგი ქვეყნის ეკონომიკისთვის უაღრესად მომგებიანია, მეორე, რომ ხდება შენი კულტურის საზღვრებს გარეთ გატანა. ამასთან, სხვა კულტურის მორგებაცაა შენი ქვეყნისთვის. სახელწოდება, რომელიც ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ერთგვარი ხიდია, თუნდაც საცალფეხო, კულტურათა შორის გადებული.

— აქვე წამოიჭრება საკითხი ისტორიული ქალაქების ურბანიზებული სტრუქტურებისთვის დროის მოთხოვნების შესაბამისი სრულფასოვანი ფუნქციონირების ყველა პირობის შესაქმნელად.

— სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაგებობებში ახალი, თანამედროვე ფუნქციების სრულყოფილი დანერგვა რეგენერაციის მეთოდით უნდა მოხდეს. დავიტრაბახებ, რომ ტერმინი რეგენერაცია არქიტექტურის მიმართ ჩემი დანერგვია. რეგენერება-რეკონსტრუქციის სანიმუშო მაგალითი სწორედ შარდენის ქუჩაა. ძველ თბილისში ეს უბანი ბნელი რიგის სახელით მოიხსენიებოდა. სახელოსნოები იყო აქ განლაგებული. დღეს კი იგი სრულად არის ადაპტირებული თანამედროვეობასთან. დროის მოთხოვნის შესაბამისად თბილისში, მაშასადამე, აქაც გაჩნდა კაფეები, ბარები, რომლებიც იგივე დუქნებია, ოღონდ განსხვავებული ფორმით, ე. ი. დარჩა ტრადიცია, ოღონდ დროის შესაბამისი, ადეკვატური ფუნქციით.

სწორედ რეგენერაციის პერმანენტული პროცესის მეოხებით შესაძლებელი გახდა ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანიზებული სისტემების სიცოცხლისუნარიანობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

— ბატონო გიგა, რა დამოკიდებულება გაქვთ ტერმინთან „იტალიური ეზო“, რომელსაც სულ უფრო ხშირად იყენებენ თბილისური ეზოების დასახასიათებლად?



შარდენის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია

— ძველი თბილისის სულის ბუდე — თბილისურ საცხოვრებელ სახლს თბილისური ეზოთი ამ გავრცელებულ განსაზღვრებასთან საერთო არაფერი აქვს. დილექტანტების შერქმეულია.

შვიდი წელიწადი ტელევიზიით, პრესით ვიბრძოდი ამ ტერმინის თბილისური გარემოსთვის მისადაგების წინააღმდეგ.

იტალიური ეზო განსაკუთრებული ფენომენია, რომელსაც თბილისურ ეზოსთან, ვიმეორებ, არაფერი საერთო არ აქვს: იტალიური ეზო იტალიური კულტურის ნაყოფია, განსაკუთრებული და უნიკალურ ფენომენია. ქუჩის დღესასწაულები, კარნავალები იტალიელების მოგონილია. ქუჩაში ტარდება ქორწილებიც კი.

საქართველოში პირიქით არის. ჩვენთან მთელი ცხოვრება თბილისურ ეზოშია კონცენტრირებული. არაჩვეულებრივი კონტაქტია ამ სივრცეში მეზობლებს შორის. ამან გადაარჩინა თბილისი. უმძიმეს შუა საუკუნეებში, როცა დანარჩენ მსოფლიოში „გიაურის“ ყიჟინით ქრისტიანებს თავებს კვეთდნენ, თბილისში არც რელიგიურ, არც ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება მაჰმადიანებთან, ებრაელებთან თუ სომხებთან არასოდეს მომხდარა.

ასეთია თბილისური ეზოს ფენომენი. თბილისურმა ეზომ ყოველთვის იცის, თბილისის ქუჩაში რაც ხდება, და — პირიქით,

ქუჩა ეზოს ამბების საქმის კურსშია ყოველთვის. თბილისური ეზო ქალაქის მიკრომოდელია.

სრული უგნურება, უცოდინრობა, გაუნათლებლობა, ეროვნული ფსიქიკის არცოდნა და დაკვირვების უნარის არქონაა, როცა თბილისურ ეზოს იტალიურ ეზოს ეძახიან.

— ჩვენს მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ თქვენ იყავით პროფესიონალ არქიტექტორთაგან პირველი, რომელმაც ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არა ერთხელ გაილაშქრეთ იმ სიმახინჯეთა წინააღმდეგ, რომელთა ჩათესვლით ცდილობდნენ ყოფილები თბილისის სახისა და სულის ნაშლას. მაგალითად დავასახელებ პესკებზე ე. წ. გადაჭრილი მიღების, ამ გაუგებრობის, შემოტანას ძველი თბილისის ტრადიციულ ქსოვილში.

ეს სიმახინჯე კვლავ დომინირებს თბილისის უბნებში. ვითომ არც შეცვლილა ხელისუფლება. რატომ ხდება ასე, ბატონო გიგა?

— პასუხი ამ კითხვაზე არ მაქვს. თქვენთვის არ მაქვს პასუხი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საკითხი ლოგიკურ გაგრძელებას მიიღებდა, რადგან ქართული საზოგადოებრიობის უმეტესობის მიერ გამოთქმული პროტესტი მხარდაჭერილი იყო იმ პოლიტიკური ძალების მიერ, რომლებიც არჩევნების შემდეგად მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

რატომღაც შემდეგ გაჩუმდა ყველა.

ეს ვერცხლისფერი „მიღები“ იმ პესკებს რომ არ უხდება, მეტიც, თავისი ფორმა-წარმოქმნით შეურაცხყოფს ჩვენს დედაქალაქს, ეს ერთია. მეორე ისაა, რომ უადგილო ადგილზეა, ვერც ერთი მხრიდან ვერ მიადგები, ვერც მანქანით, ვერც ფეხით. შიგნით როგორია, სხვა საკითხია.

ადრეც მითქვამს და არ დამეზარება გამეორება, რომ შეიძლება ამ ნაგებობის დაშლა და გადატანა ისეთ ადგილზე, სადაც თავის საქმეს, ასე თუ ისე, გააკეთებს, ახალი არქიტექტურისთვის კამერტონიც კი შეიძლება გახდეს, ვთქვათ, დიღმის ან გლდანის რაიონებში, ან სხვაგან, სადაც მთელი განაშენიანება ინკუბატორში გამოყვანილი წინილებივით ერთფეროვანია და უსახო. იქ შეიძლება რალაც დადებითი როლი ითამაშოს.

რატომ არის გაჩუმებული დედაქალაქის მერია და, რაც მთავარია, რატომ არ ასრულებს ხელისუფლება თბილისელების-

თვის მიცემულ დაპირებას, რომ მოგვაცილებდა ამ სიმახინჯეს, ჩემთვის გაუგებარია.

— **ალბათ, ძვირი ჯდება გადატანა...**

— რა უფრო ძვირია, კულტურულ ღირებულებათა ასეთ შეურაცხყოფასთან შეგუება თუ ამ ნაგებობის დაუყოვნებლივი მოცილებისთვის დახარჯული ათასობით ლარი?!

გადაიტანს დედაქალაქის მერია აქედან ამ სიმახინჯეს და ეს, ჩემი აზრით, იქნება მატერიალური სიმბოლო იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა!

— **ის „გულივერის ველოსიპედი“, რომელიც სასტუმრო „ივერიასთან“ დაგვიდგა ველოსიპედისტმა პრეზიდენტმა?**

— ველოსიპედი უნდა დარჩეს.

— **ხომ არ მომესმა, ბატონო გიგა?!**

— უნდა დარჩეს. მე რომ მკითხოთ, უნდა გადაიტანონ ისეთ ადგილზე, სადაც უფრო მეტად მიიქცევეს ფართო საზოგადოების ყურადღებას, რადგან იგი არის ძეგლი იმ ეპოქის, იმ დროის, როცა ამისთანა უაზრობა დედამიწის ზურგზე არსად გაკეთებულა!

— **„სირცხვილის ბოძის“ მსგავსი რამ?**

— ასეც შეიძლება ითქვას.

— **კიდევ ერთხელ გადავზღვი თქვენს წიგნს და ერთ პასაჟს ნავიკითხავ: „არქიტექტურა უძლიერესი ინსტრუმენტია ადამიანის განათლების საქმეში, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ყოველივე ამის გამო გუშინდელი არქიტექტურული პროდუქცია ილუსტრაციაა გუშინდელი ცხოვრებისა, ხოლო ხვალინდელი არქიტექტურა კი არის პარტიტურა სამომავლო ქცევისა“.**

პირდაპირ გკითხავთ, ის არქიტექტურა, რომელიც წინა 9 წლის განმავლობაში დაამკვიდრეს თბილისში, არის „პარტიტურა ჩვენი სამომავლო ქცევისა“?

— მეც პირდაპირ გიპასუხებთ: არა, არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან მსუბუქ მოდას იყო აყოლილი და მისი ეფექტებით ნაკარნახევი. რაც მიზამ და უგულავამ გააკეთეს თავიანთი ხუმტურების კარნახით, თავიანთი ხომის დასაკმაყოფილებლად მოიმოქმედეს.

ხუმტური მორიკინებას ნიშნავს, მორჩა და გათავდა!

P.S. ახლა მათი საქმეც გათავდა.

«რა ხელზე ააგო უხსო დაუნჯებით»



ხელოვნების მომავალი მუზეუმის ხაღი
რუსთაველის პროსპექტიდან

აქ, თბილისის გულში, რუსთაველის პროსპექტზე, ქაშუეთის გვერდით 20 წლის განმავლობაში პირდაპირილი ქვაბული იყო, საქართველოს ძნელბედობის სიმბოლო.

იოსებ ბროდსკიმ ანდრეი პლატონოვის შედეგრი „ქვაბული“ („Котлован“) შეაფასა, როგორც მსოფლიოსთვის გამჟღავნებული ამბავი რუსეთის ტრაგედიის, მისი ეროვნული ბედის უკუღმართობა. შეცვალეთ რუსეთი საქართველოთი და მიიღებთ ზუსტ შეფასებას ამ პირდაპირილი უბედურების.

იყო ასე.

ცხრა თვის წინათ რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი: ქართველმა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა გია ჯოხთაბერიძემ ქვაბულის ადგილზე დაიწყო ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის კომპლექსის დიდი მშენებლობა.

თვითონ ამბობს, რომ მუზეუმი შპს „მაგთის“ დაფინანსებით შენდება.

თავმდაბალი კაცის პოზიციაა.

ქვაბული

მშენებარე ობიექტში (ვთქვათ ასე პროზაულად) „წვეთი სისხლი არ არის არაქართული“.

არქიტექტორები — ქურდიანების გვარი, ცნობილ არქიტექტორთა დინასტიის წარმომადგენლები — მამა-შვილი არჩილ და გიორგი ქურდიანები.

მშენებლობა მთლიანად ქველმოქმედებაა. ესეც — ქართული.

აშენებენ ქართველები — სამუშაოთა მწარმოებლები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები, შპს იმკ+, რომლის დამფუძნებელი და მმართველია თემურ სარიშვილი.

„მზერა ქართულია, სივრცის დაუნჯებით“.

და შურით მოჩუქურთმებული ქორი და წინააღმდეგობაც — ქართული, ობივატელური, ბანალური, რაც ყველა სიკეთეს თან სდევს, სამწუხაროდ.

— თბილისში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სახვითი ხელოვნების მუზეუმის ჯერ გამოუქვეყნებელმა პროექტმა, — **იხსენებს ბატონი გია ჯოხთაბერიძე**, — ზოგი ამბობდა შუშის შენობა შენდებაო, ზოგიც — შენობაზე რუსული ორთავიანი არნივი უნდა დადგესო. მაგრამ ეს ასე არ არის! ხომ იცით, საქართველოში მთავარია სუბიექტი ან ობიექტი იყოს, თორემ მათზე ზღაპრების მოყოლა არ გვიჭირს.

ბევრი კარგი იდეა გადაუძოვია აგრესიულ „სიტყვის თავისუფლებას“.

აქ ასე არ მოხდა, ვერც მოხდებოდა და აი, რატომ.

კიდეც რომელ თხემით ტირფამდე ქართულ შენობას დაასახელებთ დედაქალაქის მთავარ არტერიასა აგებულს — იღვით, დანიშნულებით შიშისრულალებით ქართულს? ძველმოქმედებით აგებულს, კერძო პირის მიერ?

ვერც ერთს.

კერძო პირი არის — მელიქ-კაზარიანცი, რომელმაც თავის

საყვარელს უძღვნა უზარმაზარი სასახლე, და დარჩა თბილისს, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისის წყაროებში სომხურ ქალაქად მოიხსენიებოდა (Тифлис — город армянский) და რომლის საკრებულოში სომხები იყვნენ არჩეულნი, რადგან გადამწყვეტი ქონებრივი ცენზი იყო.

ყველა სხვა შენობა ხელისუფლების მიერაა აგებული.
ხომ ასეა და არაფერი მეშლება?

ასეა.

სახვითი ხელოვნების მუზეუმის გამორჩეულობის, მისი, როგორც ქართული ფენომენის, შეფასების საწინააღმდეგოდ, არა მგონია, რაიმე არგუმენტი არსებობდეს.

რადგან კეთილშობილურ განზრახვაზეა აღმოცენებული იგი, სახვითი ხელოვნების დარგის გადარჩენაზეა ორიენტირებული.

ბატონი ბია ჯოხთაბერიძე ასე ხსნის:

— ...ნელ-ნელა, ვცდილობდი, გადაემერჩინა და შემენარჩუნებინა სურათები ჩვენი ქვეყნისთვის.

ეს არ არის ლიტონი სიტყვები, რადგან მონმე ვარ იმისა, როგორი კმაყოფილებით და, პათეტიკაში არ ჩამომართვათ, სიამაყით დამათვალიერებინა თხუთმეტობდ წლის წინათ მათის ოფისში მოწყობილი მცირე გამოფენა ქართველი მხატვრების მის მიერ შესყიდული ნამუშევრების, მის მიერ გამოცემული პირველი ალბომები.

— სახვითი ხელოვნების ნიმუშები თუ ქვეყნიდან გაიტანეს, ისინი სამუდამოდ დაკარგულია... მხატვრის ნამუშევარი მუზეუმში რომ ხვდება, იგი დაცულია და მას „ფესვები“ აქვს.

გია ჯოხთაბერიძეს თავიდან გადანწყვეტილი ჰქონდა თავისი კოლექციის რომელიმე მუზეუმისთვის ჩუქება. მაგრამ, როცა შეიტყო, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია მუზეუმების საცავები, გასხვისებაზე ხელი აიღო.

თანდათან ყალიბდებოდა აზრი და რეალურ კონტურებს იძენდა იდეა მუზეუმის შექმნის.

იდეა გამყარდა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ურთიერთდობის ატმოსფერო მეცენატსა და მხატვრებს შორის.

ერთ-ერთ პუბლიკაციაში (ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო“ 3(59), 2013, „ისინი მე მენდნენ“) გია ჯოხთაბერიძე წერს:



**მზენებლები: კახაბერ ზირცხალავა,
გოგი ჩოჩალი და ომარ ძიაშვილა**

— ამ საქმემ გამიტაცა... დავინყე ნამუშევრებზე „ნადირობა“. მოქმედ მხატვრებთან მივდიოდი და მათ ნახატებს, ზოგჯერ მთელ კოლექციას, ვიძენდი. მხატვრები, ნუ მინყენენ და, ცოტა ეჭვიანი ხალხია. პირველ ხანებში ჩემს წინადადებას გაოცებით ხვდებოდნენ. მე მათიც ძალიან კარგად მესმის — ძნელია, ერთბაშად შეელიო მთელი ცხოვრების მანძილზე შექმნილ ტილოებს. მაგრამ აქ მთავარი ნდობის ფაქტორი გახდა — ისინი მე მენდნენ!“

ბატონ გია ჯოხთაბერიძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს მხატვრობისადმი:

— დღეს საქართველოში სახვითი ხელოვნება ძალიან მაღალ დონეზეა. ვფიქრობ, ჩვენი მხატვრები ევროპულ და სხვა უცხოელ კოლევებს ბევრ რამეში უსწრებენ კიდევ. ჩემი აზრით, ამას საბჭოთა კავშირის დაშლამაც შეუწყო ხელი. იმ ეპოქაში ბევრ მათგანს საბჭოთა იდეოლოგია ბოჭავდა, არ აძლევდა თავისუფალი შემოქმედების საშუალებას და მათი ნამუშევრები იშვიათად იფინებოდა. ამის მაგალითად საკმარისია თემო ჯაფარიძის, ოთარ ჩხარტიშვილის, ჯიბსონ ხუნდაძის და მრავალი სხვა

ხელოვანის დასახელება.

ჩემთვის რამდენიმე მხატვარია განსაკუთრებით გამორჩეული. ესენი არიან დღეს მოქმედი, ნამდვილად გენიოსები ედმონდ კალანდაძე და ჯიბსონ ხუნდაძე; გარდაცვლილთაგან კი დავით კაკაბაძეს, ელენე ახვლედიანს, თემო ჯაფარიძეს, რომლის შემოქმედების 90 პროცენტი ჩვენს კოლექციაშია, ირაკლი ფარჯიანს და მერაბ აბრამიშვილს დავასახელებდი.

სახვითი ხელოვნების სიყვარულისა და გამორჩეული ნიმუშების გადარჩენის კეთილშობილური სურვილის მომდევნო საფუძველი, რომელზეც სახვითი ხელოვნების მუზეუმის აგების იდეა აღმოცენდა, ნდობის ფაქტორია.

უამრავი კოლექციონერია მსოფლიოში, ვინც ხელოვნების ნიმუშების შესყიდვითაა გატაცებული. ყიდულობს, ინახავს, მალავს — მხოლოდ საკუთარ სვამიანს იკმაყოფილებს, სუპერბოისტობაა.

გია ჯოხთაბერიძე მუზეუმს აშენებს ხალხის წინაშე ხელოვნების ნიმუშების გამოსაფინად, სახილველად, ერის გამომწვევისა და კულტურის დონის ასამაღლებლად და მსოფლმხედველოვის არეალის გასაფართოებლად, ერის საბანძურის დასაცავად, რა თქმა უნდა.

ერის კაცია და იმიტომ.

ესეც კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ახალი მუზეუმის საძირკველში ჩაიდო:

— ჩვენს კოლექციაში ქართველ მხატვართა დაცული, ჩარჩოში ჩასმული, მოწესრიგებული, გამოსაფინად გამზადებული 3000-მდე ნამუშევარი დაგროვდა, — **ამბობს მეცენატი,** — უკვე ვიცი, რომ ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში წყვეტა აღარ იქნება!

ჭეშმარიტად მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენი ქვეყნის გამორჩენილი ადამიანები ბატონ გია ჯოხთაბერიძის წამოწყებულ საშვილიშვილო საქმეს.

ჭაბუა ამირაჯიბი-გარი დავითი: — დროა, მაღლობა მოვახსენოთ ბატონ გიას მისი უანგარო ღვაწლისთვის და ამჟამად კი — საგანგებოდ იმ გრანდიოზული წამოწყებისთვის, რომელიც მას განუზრახავს — თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის აშენება.



გია ჯონსთაგარიძე და საქართველოს სახალხო მხატვარი ჯიბსონ სუნდაძე

დიმიტრი ერისთავი, საქართველოს სახალხო მხატვარი: — ჩვენ, მხატვრები, და ჩვენთან ერთად საზოგადოებაც ველირსეთ, რომ დედაქალაქში შენდება ახალი მუზეუმი — აბა, გამახსენეთ, როდის აშენდა ბოლო მუზეუმი თბილისში?

გიგა ბათიაშვილი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი: — ეს შენობა აუცილებლად უნდა აშენდეს, და ეს იდეა გასაფრთხილებელი, მოსაფერებელი და მაღლობის სათქმელია... თბილისის სჭირდება სახვითი ხელოვნების მუზეუმი!

რადიშ თორღია, საქართველოს სახალხო მხატვარი: — ...პროექტი ძალიან კარგია, მომწონს, სამხატვრო აკადემიაში პროფესორ-მასწავლებლებს ვაჩვენე, რომლებიც აღფრთოვანდნენ.

თეიმო გოცაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი: — ეს ადგილი პატარა მოედანია, სადაც თავს იყრის ეკლესია, ცოტა ზევით — სასტუმრო და თეატრი, გვერდზე — კინოთეატრი, გაივლი და — ისტორიის მუზეუმი; ჩახვალ ქვევით და გუდიაშვილის ქუჩაზე — ლადოს სახლ-მუზეუმი... ეს შენობაც მაქსიმალურადაა მოცემულობაში ჩასმული — დაცულია მასშტაბი, გრაფიკა, რიტმიკა და ფუნქცია.

„რა ხელმა ააბო“

ქართველი კაცის ხელი რომ აშენებს, ეს უკვე ვთქვი. ახლა კი მშენებლობის პროზაულობაზე ვესაუბრები მშენებლობის ხელმძღვანელს — ომარ ძიაპშიპას. ბატონი ომარი ლეგენდარული თბილისის „დინამოს“ ცენტრალური მცველის — ნიაზ ძიაპშიპას ვაჟია, გამოცდილი მშენებელია და სუპერპროფესიონალი.

დამკვეთთან მშენებლების ურთიერთობაზე ვეკითხები:

— ბატონ გია ჯოხთაბერიძეს დღე არ გაუცდენია, მშენებლობაზე გვეტუმრობს და დეტალურად არის ჩახედული ცალკეულ ელემენტებშიც კი, პროფესიულადაა ჩახედული. ასეთ კომპეტენტურ ადამიანთან ურთიერთობა არამარტო საქმისთვისაა სასარგებლო, არამედ სასიამოვნოც არის, არ გვადუნებს მშენებლებს. ასეთი დამკვეთი არ შემხვედრია ცხოვრებაში. შეცდომას არ გვაპატიებს. თვალი აქვს, მინიმალურ უზუსტობასაც, რაც, ვთქვათ, მშენებლობის ნორმებით დასაშვებია, გვასწორებინებს.

კარკასის მშენებლობის ურთულესი ეტაპი გავიარეთ. მოპირკეთების სამუშაოებს რომ დავიწყებთ, იქ მილიმეტრით გადაცდენაც დაუშვებელი იქნება. მაშინ კონტროლი კიდეც უფრო გაძლიერდება.

აქედანვე ვეჩვენებთ *(ელიმება)*.

— **დამთავრებას როდისთვის აპირებთ?**

— 2016 წლისთვის ვაპირებთ, მაგრამ ისეთი ტემპით მივდივართ, რომ გრაფიკს გავასწრებთ. პირდაპირ გეტყვით, დღეისთვის გრაფიკს ერთი თვით ვუსწრებთ. ამინდმაც ხელი შეგვიწყობს და არც ჩვენ დავაკელით მონდომება. მოცულობა დიდი იყო — ორმეტრიანი ფუნდამენტი, ზოგან — სამი.

— **ვიცი, რომ შენობათა ეს კომპლექსი ცხრაბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი. ამას განსაკუთრებული მარკის ბეტონი სჭირდება. რა თქმა უნდა, შესაბამისი არმატურაც. ენგურჰეისის კაშხალისთვის სპეციალური ბეტონი მზადდებოდა. ხომ ასეა?**

— დიახ, აქაც სულფატომედეგ ბეტონს ვიყენებთ, აგრესიულმა ნყლებმა რომ არ დააზიანოს. 450 მარკის ბეტონია. ბეტონის ორი ქარხანა გვაქვს და ჩვენ თვითონ ვანარმოებთ. ცემენტი შემოგვაქვს — „ჰაიდელბერგ ცემენტია“. ინერტული მასალე-



არჩილ და გიორგი ქურდიანავი

ბიც შემოგვაქვს. რუსთავის ყოფილ მეტალურგიულ კომბინატში ჩვენი დაკვეთით ამზადებენ არმატურას. იქაც სამუშაო ფრონტის სტაბილურობას ჩვენი მხრიდან უზრუნველვყოფთ. არმატურასთან დაკავშირებით ასეთ ცნობასაც მოგაწვდით: ერთ კუბურ მეტრში, როგორც წესი, არმატურის მაქსიმალური რაოდენობა 150 კილოგრამია. აქ, ჩვენს საძირკველში კი არმატურის წონა 450 კილოგრამამდე ავიდა. გასაგებია, რა სიმყარის საძირკველზეც აშენდება ჩვენი ობიექტი.

— აშენებთ და მშენებელთა სოციალურ პრობლემებსაც წყვეტთ, საკმაოდ ეფექტიანადაც. ფაქტი სახეზეა. მაგრამ ისე ხომ არ არის, რომ უმუშევრობით გაიაფებულ მუშახელს იაფად ამუშავებთ?

— გამორიცხულია! ჯერ ერთი, საშუალო ხელფასი 1000 ლარზე მეტია. მეორეც, დასაქმებული გვყავს კვალიფიციური მუშახელი, რომელთა შრომა შესაბამისად უნდა იყოს ანაზღაურებული, თუ გვსურს, უწუნო და მაღალხარისხოვანი შედეგი მივიღოთ. ამას მატერიალური და მორალური სტიმულები ერთნაირად უზრუნველყოფს: დაფასება, ადამიანური ღირსების

შესაბამისი დონის არსებობა.

მშენებლობაზე ადგილობრივი კადრია დასაქმებული — საქართველოს მოქალაქეები, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

— **ხომ არ გააჭირდათ კვალიფიციური მშენებლების მოძებნა?**

— არა, სხვათა შორის. ბევრმა მათგანმა აქ, ჩვენთან აიმაღლა კვალიფიკაცია, აითვისა ახალ, გერმანულ და ავსტრიულ დანადგარებზე მუშაობა — ამნე კრანი, მექანიზმები, საყალიბე მასალა და ა. შ. არც ეს საყალიბე მასალები, არც ასეთი ამნე კრანი საქართველოში სხვაგან არ არის.

— **და ეს ზრდის შრომისნაყოფიერებას?**

— შრომისნაყოფიერებასაც და ხარისხსაც. ამჟამად ჩვენს ობიექტზე 150 კაცი მუშაობს — დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

სამუშაოთა შესრულების ხარისხზე რომ ლაპარაკობდა, ომარ ძიაპშიპამ „მაგთის“ ცენტრალური ოფისის შენობა ახსენა, რომელიც აღმაშენებლის პროსპექტის, შეიძლება ითქვას, დამაგვირგვინებელი აქცენტია, ლამაზი შენობააო.

მართლაც ასეთია. პროსპექტის ბუტაფორული არქიტექტურის ფონზე განსაკუთრებით გამოჩნეულია.

ხელოვნების მუზეუმის მშენებელთა კოლექტივის ძირითადმა ბირთვმა სწორედ ამ უნიკალური ნაგებობის მშენებლობის პროცესში დახვეწა თავისი ოსტატობა. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რა თქმა უნდა, უმაღლესი განათლებისაა და, კვლავ, რა თქმა უნდა, — საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. არიან ისეთებიც, ვინც ჯერ კიდევ სტუდენტია.

— ტრადიციები საქართველოს მშენებლებს ყოველთვის კარგი ჰქონდათ. ახლაც შესანიშნავი თაობა მოდის, — ამბობს ომარ ძიაპშიპა.

— შეიძლება ვცდები, მაგრამ ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მშენებლობის პროცესი, აქ მომუშავე ადამიანები, მექანიზმები, უფრო ცივილიზებული, უფრო გავერობელებულია წინა პერიოდებთან შედარებით. ასეთი გარემო პირველად 1986 წელს ვნახე აშშ-ში ქალაქ სიეტლის ერთ-ერთი ცათამბჯენის მშენებლობაზე და ახლა აგერ — თბილისშიც ვხედავ.

— მართლაც ასეა. გაიზარდა მოთხოვნა, ამაღლდა შრომის კულტურა. სხვა თუ არაფერი, ჩვენთან გერმანელი კონსტრუქტორები მუშაობენ, რომლებიც თვალს ადევნებენ ნორმების ზუსტად დაცვას, მათ მშენებლობის ხარისხის კონტროლიც ევალებათ. ცნობილი გერმანული კომპანია **W+P** და მისი შვილობილი კომპანია **PLAN FORWARD** სამშენებლო პროექტის ავტორები არიან და მათი დაინტერესება სავსებით ბუნებრივია. გერმანელები ყოველ ორ კვირაში ჩამოდიან, ამომწებენ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოებს.

— რეკლამაციის ფაქტები თუ იყო?

— პრინციპში, არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, — სერიოზული არაფერი. 9 თვეა, ვმუშაობთ და ვერაფერს ვიხსენებ.

რაც მთავარია, დამკვეთი დაინტერესებულია, რომ სამშენებლო პროცესი წარიმართოს უახლესი ტექნიკის გამოყენებით. ამის მაგალითია, თუნდაც ბეტონის გამანანჩილებელი, „ხორთუმიანი“ დანადგარი, რომელიც მოძრავია და ძალიან მოხერხებულია მშენებლებისთვის. და, საერთოდ, მთელ ამ პროცესში პერსონალის უსაფრთხოება სრულად არის დაცული.

— ძირითადად რომელი პროფესიის ოსტატები მუშაობენ ამაჟამად?

— ამ ეტაპზე, მეარმატურების გარდა, დასაქმებულები არიან დურგლები, შემდეგ და შემდეგ შემოგვიერთდებიან კალატოზები, მლესავეები, მოპირკეთების ოსტატები, ქვისმჭრელები და ა.შ. ერთ-ორ სართულს რომ გადავზურავთ, შეიძლება კიდევ დავინყოთ მოპირკეთების სამუშაოები, ყინვებმა ხელი თუ არ შეგვიშალა.

მშენებლებთან საუბრისას პროექტზე ლაპარაკს გვერდს ვერ ავუვლიდით. წარმოუდგენელია. ომარ ძიაპშიპას შეფასება ასეთია:

— ლამაზია. რუსთაველზე მომავალი შენობის სურათებია გამოფენილი და ესეც კი ამშვენებს აქაურობას. დახვეწილი პროექტია, სამუშაოდ ძალიან ადვილია. იშვიათად თუ გვიჩნდება შეკითხვები კონსტრუქტორებთან. არქიტექტურის ძირითად სამუშაოებს რომ მივადგებით, შეიძლება დასაზუსტებელი და შესათანხმებელი დეტალები გამოჩნდეს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სამუშაო პრაქტიკაა.



შენობა ცხრაბაღის მინისკვარაზე გათვლილი

ორთავიანი რუსული არწივი

ამ პუბლიკაციის დასაწყისში „კრიტიკოსთა“ გამოხდომა რუსული ორთავიანი არწივის შესახებ, რომელიც თითქოს შენობაზე უნდა დაიდგას, სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე დაკიდებული თოფივითაა — უნდა გავარდეს.

არწივის ქანდაკება იქნება, მაგრამ არა შენობაზე, არამედ მის ფასადზე, არა რუსული, არამედ ქართული, რომელიც ვანში აღმორჩენილი ძველი ნელთალრიცხვის II-I საუკუნეების არწივის სამი ფიგურის ორგანული შენივთებაა, სინთეზი, რომელშიც ამ სამი ფიგურის სხვადასხვა დეტალია გაერთიანებული.

ეს ნამუშევარი ბრინჯაოში ჩამოსხმება. ქანდაკების სიმაღლე 2,5 მეტრია, ფრთების გაშლა — 4 მეტრი. მას მუზეუმის შენობის ფასადზე 11 მეტრის სიმაღლეზე დაამაგრებენ.

ამ ქანდაკების ორიგინალურ ვარიანტზე მუშაობენ მოქანდაკეები ედუარდ შახნაზაროვი და დავით მინდორაშვილი, ყალიბს გელა სოლომონაშვილი დაამზადებს, ჩამოსახამენ ოლეგ და პაატა გელაშვილები.

არქიტექტორების ჩანაფიქრით, არწივის ერთმეტრიანი თითბრის ასლი მუზეუმის ცენტრალურ ფოიეს დაამშვენებს.

აი, ასე მარტივადაა საქმე.

2013 წლის 27 ნოემბერი

თემო გოცაძე:

სამყაროს ენა მოულოდნელად იფეთქებს აღამიანებში

საქართველოს სახალხო მხატვარ თემო გოცაძისთან დღევანდელ პრობლემებზე სასაუბროდ მივედი, მაგრამ „მაგთიკომის“ მიერ გამოცემული მისი ალბომის საჩუქრად მიღების გამო სჯა-ბაასი თავიდან სხვა მიმართულებით წარიმართა.

უპირველეს ყოვლისა, მადლობა ვუთხარით „მაგთის“ მესვეურს — გია ჯოხთაბერიძეს, რომელიც მართლაც ქართულ საქმეს აკეთებს.

შემდეგ ხელოვნებაზე გადავედით.

— ჩემთვის ამოსავალი წერტილი ყოველთვის მშვენიერება იყო. ყველაფერში, რაც გინდა მეკეთებინა. რადგან არსებობს მშვენიერების კენ სწრაფვა, ყველაფერი სხვა ამაზეა დაფუძნებული — სიყვარული, კაცთმოყვარეობა, შენდობა, პატიოსნება, მაღალი სულიერება, მოქალაქეობა, რაც საბოლოოდ აყალიბებს პიროვნებას, რომელიც ამ საზოგადოებაში ცხოვრობს.

ამასთან, შემოქმედებას რისამე პრეტენზია რომ ჰქონდეს, ცხოვრებიდან უნდა მომდინარეობდეს, საზოგადოებრივი ცხოვრებაც უნდა ახლდეს თან.

დრო აფასებს შემოქმედებას, დღეს ძალიან ძნელია ამის გაკეთება. შემფასებელი მოვა, სხვა ეპოქის, სხვა დროის, ერთი ამოსავალი წერტილი ექნება — ეს მართლა არის შემოქმედება თუ არა, კონიუნქტურის პროდუქტია თუ მიზანთან სანახევროდ მიახლოება... ცხოვრებასთან ურთიერთობა თუ გაკლია, შემოქმედებაც ნაკლებია.

— დაველოდოთ შემფასებლის მოსვლას და დღეს დღევანდელი დღისა ვთქვათ.

არ დაგიმაღავ და, მე მგონი, კონტრასტი არა, მაგრამ შენი შემოქმედების ზეციური სიმღერები, სიტბო და სილაღე მაინც და მაინც არ ესადაგება შენსავე საზოგადოებრივ საქმიანობას, მისთვის დამახასიათებელ სიმკაცრეს, შემტვევითობას,

უკომპრომისობას, პრინციპულობას, რომელიც ზოგჯერ მაქსიმალიზმის დონემდე არის ასული.

— ყველაფერი, რაც ჩამოთვალე, არის გზა, საშუალება იმ ჰარმონიულობისკენ, რომელიც, შენი თქმით, ჩემს შემოქმედებაში დაინახე და რომლისკენაც ისწრაფვის ჩვენი საზოგადოება.

ეს ერთი. მეორე. **არც ერთ ჩვენგანს არ გვაკლია ადამიანური სისუსტეები. მაგრამ არ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო იმ ღირებულებების ნგრევა, რომლებზეც აღზრდილი ხარ. თანაც ისე, რომ სანაცვლოდ არაფერი შესთავაზო.**

— აქედან ხომ არ მოდის ის შეხედულება, რომ ახალი არაფერი მივიღეთ, რომ არ გვაქვს დემოკრატია და, ქართული ანდაზისა არ იყოს, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი? ხომ არ აღმოვჩნდით გატყეხილი ვარცლის ანაბარა?

— წინა ხელისუფლების დროს ფაქტობრივად ყველაფერი დაინგრა: აღარც მეგობრობა აღარ მუშაობს, აღარც კაცური ურთიერთობა, იმიტომ, რომ გუშინდლებმა შემოიღეს დასმენის, „ჩაშვების“ ინსტიტუტი, ნულოვანი ტოლერანტობა და ათასი ასეთი უბედურება.

დღეს ყველაფერი აღსადგენია, მათ შორის, ჭეშმარიტი დემოკრატიაც.

ამათ ხომ ვიცნობ მე, ყველას, ვინ რას წარმოადგენს: არავინ არაფრის მაქნისი არ არის. ორი წინადადების ერთმანეთზე გადამბმელი არავინაა, **ამ უპიცეზა ადამიანის შეცვლა მონდომეს. ჰიტლერივით ნიციანური მიზანი დაისახეს — ქართველი ხალხის მენტალიტეტის შეცვლა.**

— **ამათ უნდოდათ, თუ სხვამ უკარნახა?**

— პრინციპულად მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ იყო ამათი მზაობა. თორემ, ცხადია, რომ უკარნახეს. **ის, რაც ჩვენთან მოხდა, მხოლოდ საგანგაშო კი არ არის, საკივლელია, რადგან ჭკუათმყოფელმა არ შეიძლება გააკეთოს ის, რაც ამათ დამართეს ჩვენს საზოგადოებას!**

— **დამთავრდა სააკაშვილის პერიოდი.**

— არ დამთავრდა სააკაშვილის პერიოდი. დამთავრდა სააკაშვილი. რაც უფრო ხშირად გამოჩნდება ეკრანზე, მით უარესი მისთვის. დამიჯერე! ადამიანი, რომელსაც აქვს პრეტენზია,



იყოს პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, თავს გვარჯვენებს, თითქოს მოვლენების სიღრმეებში ერკვევა, სინამდვილეში ელემენტარულად ვერ საზღვრავს იმას, რასაც ლაპარაკობს.

— ვერ საზღვრავს?! აბა, კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ ამასწინათ თქვა, რომ სააკაშვილმა ტრიბუნაზე გამოსვლა იცის, ამას ვერ წაართმევო?!

— ვერ საზღვრავს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მის საუბრებს კომპოზიცია, როგორც ასეთი, არ აქვს: დასაწყისი, განვითარება და ფინალი არ გააჩნია. ერთი თემა არ აქვს, თემიდან თემაზე ხტება.

— სუმბურია, ანუ აბდაუბდა.

— რალაც საშინელი ვინეგრეტია, ცუდი ვინეგრეტი.

— ამონანთხევი!

— არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ ამას ჰგავს მთელი მისი ფილოსოფია და მისი გამოსვლები. **რანაირად შეიძლება, ადამიანს, რომელსაც ცხრა წელიწადია უყურებ, ერთი გამოსვლა არ ჰქონია ისეთი, სიყვარულს რომ აფრქვევდეს, ადამიანებს რომ ეფერებოდეს...**

— რატომ? პარლამენტში გამოსვლისას გმირები რომ წარმოგვიდგინა — კირკიტაძე და სხვები?

— ყალბი იყო თავიდან ბოლომდე. იცი, რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ მისი ცოდნა ნაჭერ-ნაჭერ ამოგლეჯილია ხან საიდან, ხან საიდან.

— „ნაჭერ-ნაჭერ ღრუბლი მოდის“...

— აკადემიური ცოდნა არ აქვს, გამიგე? ის ცოდნა არ არის, რომელიც სჭირდება სახელმწიფო მოღვაწეს. ის ცოდნა არ არის, რომელიც ჰქონდა ზვიად გამსახურდიას — აკადემიური, ნიჭიერი კაცი იყო.

— მიშაზეც ხომ ამბობენ, ნიჭიერიაო?

— ელემენტარული ავანტიურისტია. შექმნილ სიტუაციაში ავანტიურას ზოგჯერ მოაქვს სარგებელი. მასაც მოუტანა. თავისნაირი, ნაწილ-ნაწილ შეკონინებული ადამიანები შემოიკრიბა. პიროვნება რომელია, მითხარი!

— მერაბიშვილი ხერხემალია, თანაც — ქვეყნის!

— კარგი, რა! შიქლაბა, 40 წელს მიაღწიო და არაფერი დაგრჩეს?! ან სახლი უნდა დათოვო აშენებულნი, ან ნიგნი დანარილი, ან ისეთი სიყვარული შეგეპლოს, რომ ლეგენდად იქცეს, ან ისეთი კაცი იყო, რომ თბილისს ეამაყებოდე, ხალხს უხაროდეს ქუჩაში შენი დანახვა. არსად არაფერი! გაგიჟდები! ასეთი უფერული, ასეთი ცარიელი, ბნელი, ბინძური, მართლა ბინძური სახეები არსად მინახავს.

მოუსმინე მათ ლექსიკას, შეხედე მათ ჩაცმულობას, დააკვირდი მათი ცხოვრების წესს!

საკაპუვილის დრო არ დამთავრებულაო, იმიტომ ვამბობ, რომ არ დამთავრებულა ასეთი ადამიანების კონგლომერატი.

— როდის დამთავრდება, აბა?

— როცა განათლების ნამდვილი რეფორმა განხორციელდება საქართველოში: სკოლა სკოლას დაემსგავსება, უმაღლესი — უმაღლესს. როცა მომავალი თაობა განვითარდება ისე, როგორც უნდა განვითარდეს და მიიღებს ისეთ განათლებას, როგორიც სჭირდება დღევანდელ დღეს.

— განათლების რეფორმაზე ისინიც ბევრს ლაპარაკობდნენ და ტრაბახობდნენ ამ რეფორმით.

— მათი რეფორმა მათივე მსგავსი თაობის, როგორც პრო-

დუქტის, მიღებას ემსახურებოდა — ბნელების, ჩამშვებების, ყველაფერზე ხელის მომწერების გამოზრდას.

პირველი ხილული შედეგი იმ ორმეტრიანი, ფორმიანი მუტრუკების მოქმედება იყო, რომლებიც არბევდნენ დემონსტრაციებს, სასიკვდილოდ იმეტებდნენ უიარაღო ადამიანებს. გეკითხები, ეს ნორმალურია?! იმათზე კი არ მაქვს ამჟღერად ლაპარაკი, ვინც უბრძანა. არა. მე იმ ახალგაზრდებზე ვლაპარაკობ, რომლებიც ასეთ ბრძანებას ასრულებდნენ. ტვინი არა მაქვს, რომ ერთხელ მაინც შეეპიტხმო საკუთარ თავს — რას ვაკეთებ, ვის ვურტყამ — ძმას, მამას, შვილს? ფულზე მაქვს გაყიდული სინდისი, კაცობა?

— **სწორი გზით მივდივართ ახლა მაინც?**

— სწორი გზით მივდივართ. მართალია, ადამიანები ჩქარობენ, დღევანდელი სურთ შედეგის დანახვა, მაგრამ მე არ ვარ იმისი მომხრე, რომ ვიჩქაროთ და ამ სიჩქარეში რამე გავაფუჭოთ, გზა გავიმრუდოთ.

რა მომწონს, იცით? ეს კაცი ყველაფერში რომ არ ერევა. ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ.

— **ვარგა ეს?**

— ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ბრძანებებისა და დირექტივების გარეშე ცხოვრებასა და არსებობას. ყველანი, ყველა დონეზე. კი, ეს ძალიან მძიმე იქნება, გაგვიჭირდება, შეცდომებიც ბევრი გვექნება, მაგრამ უნდა მივეჩვიოთ.

გსმენიათ, რომ ბიძინა ივანიშვილს ვინმეზე ზემოქმედება მოეხდინოს, იძულებული გაეხადოს, დაემორჩილებინოს?

შეუძლია, უფლება აქვს, მაგრამ არ აკეთებს, გამოდის, უხსნის, რაც სავსებით საკმარისია გონიერი ადამიანებისთვის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ის ტვინი, რომელიც ბიზნესს გეგმავს და განახორციელებს, სხვაა. ეს ტვინი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონების: ლასკერის, ბოტვინიკის, კაპაბლანკას ტვინია, რომელიც მეცამეტე და მეოცე სულას წინასწარ გათვლის და იმარჯვებს.

ბიძინა ივანიშვილმა ხომ ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრა — დაამთავრა სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, როგორც მილიონმა სხვამ. მაგრამ ასჯერ და ათასჯერ მეტი გააკეთა. იცი რატომ?

— რას გულისხმობ, არ ვიცი.

— იმიტომ, რომ, გენეტიკურად რაც მოსდევს, ის განვითარდა სწორედ მასში, მასში იფეთქა.

ვაჟას „გველისმჭამელი“ ხომ გახსოვს? მინდიას

**„ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.**

რაც კი რამ დაუბადია

**უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო“.**

ეს სამყაროს ენა მოულოდნელად იფეთქებს ადამიანებში, რომ არ ელოდები, მაშინ, უცებ და იქ, სადაც წარმოუდგენელი გეგონა... რა უნდოდა ჩარგალში ვაჟა-ფშაველას?! რა უნდოდა გორის ლარიზულ უბანში სტალინს?!

წამოვიდა ის რალაც, საუკუნეებით დაგუბებული, მდორედ მდინარე... როგორც სომერსეტ მოემი, დიდი ინგლისელი მწერალი ამბობდა: „ღმერთის დოლაბები წელა ფქვავს, მაგრამ სწორად ფქვავს“, იმისთვის ფქვავს, ვისთვისაც განკუთვნილია.

ეს მისტიური მოვლენაა, რომელიც კიდეც სხვა ძალებთან არის დაკავშირებული... ასეთ ადამიანებს სამყაროს ფეთქვაზე აქვთ ხელი დადებული.

**იმათ, უკვე წასულ ხელისუფლებას, სჭირდებოდა
დამსჯელი, ჯალათი, ხალხის დამთრგუნველი, თანაც
აქ და ამ დროს, მებრამ ვერ შეძლებდნენ, არჩილ კვი-
ლაშვილისგან მოეთხოვათ, გამხდარიყო მამულოვი,
სამაგიეროდ იპოვეს მერაბიშვილი, ადვიშვილი, ახა-
ლანია, რომლებმაც მამულოვი თავიანთი სისასტიკით
ჯიბებში ჩაისვენს.**

მონსტრები მოიცილა საქართველომ.

— მაგრამ ხალხი რომ მოითხოვს უმეტეს სიმკაცრეს, ყველას ციხეში ჩაყრას, ხალხი სისხლისმსმელია?!

— არა. ხალხი არ არის სისხლისმსმელი. ისინი, ვის დასჯასაც მოითხოვს ხალხი, იმდენად გახრწნილები არიან, რომ მოსპეს სამხილები, რომლებიც კანონის წინაშე მათ ავკაცობას დაადასტურებდა, ეტყობა, ამიტომ ჭიანურდება გამოძიების პრო-

ცესი. თორემ, ისინი რასაც წარმოადგენენ, ყოველთვის და ყველასთვის იყო ცნობილი.

მიადგებიან აუცილებლად, მაგრამ ამას დრო დასჭირდება. რთულდება, და კიდევ კარგი, რომ დროში იწელება, რადგან ხმლის მოქნევასავით გადანყვეტილების მიღებაში ყოველთვის არის შეცდომის შანსი.

— როგორც მხატვარს, ფერმწერს, როგორ წარმოესახება ის უბედურება, რომელიც თავს გადაგვხდა?

— დიდი ხანია, ვხატავ სურათს, რომელსაც ჰქვია „ღრეობა ქირიანობის დროს“. ჯერ სურათი დამთავრებული არ არის, ეს-კიზი კი იმ წიგნშია, „მაგთიმ“ რომ გამოსცა. როცა პროცესი დამთავრდება, მაშინ ვაპირებ დასრულებას.

2013 წლის 6 თებერვალი

მარინა ჯანაშია:

კარგია ის, რას ხდება, ასია, ღირსნი არიან. რას ღათესას, იმას იოქიან!

ეს იყო ერთი მსახიობის აკადემიური თეატრის სპექტაკლი: გულწრფელი, რეალისტური, გონიერებითა და ემოციურობით დატვირთული, ისეთი ზუსტი მიგნებებითა და ფორმულირებებით, რომ ტაშის დაკვრა მოგინდებოდა.

მაგრამ უხერხული იყო. მიუღებელი. რადგან ჯერ არავის უნახავს ინტერვიუს ჩამორთმევის დროს რეპორტიორის რეაქცია, ტაშისკვრით გამოსხატული.

ინტერვიუზე ვლასპარაკობ, რომელიც საქართველოს დამსახურებულ არტისტ მარინა ჯანაშიას ჩამოვართვი მ თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მ თებერვალს რუსთაველის თეატრში სპექტაკლი ჰქონდა — „პრინცი ჰომბურგი“, და იმ დღეს განვითარებული მოვლენებისთვის განუწყვეტლივ ეკრანთან მჯდარს თვალი არ უდევნებია. თანაც არც ახსოვდა, რომ თვითმარქვია პრეზიდენტი („არ მიყვარს ასეთი გამოთქმები, მაგრამ სააკაშვილი დღეს ნამდვილად ასეთ მდგომარეობაშია“) საჯარო ბიბლიოთეკაში უნდა მისულიყო.

სპექტაკლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მსახიობი თავის როლშია და მისით ცხოვრობს.

— ვალიარებ, რომ ჩემი მხრიდან არაპროფესიული საქციელი იყო, თაბუკაშვილის ქუჩიდან სირენების ხმა და ჩოჩქოლი რომ მომესმა, ჩავრთე რადიო და სპექტაკლისთვის მზადების მთელი დროის განმავლობაში ვუსმენდი, რაც იმ აქციაზე ხდებოდა. შინ რომ დავბრუნდი, მაშინ შევავლე თვალი იმდღევანდელ ნაგლეჯ-ნაგლეჯ კადრებს. მაგრამ ესეც კი საკმარისი იყო სრული სურათის წარმოსადგენად.

იცით რა? ყოველთვის ვცდილობ, ნონასნორობა და ობიექტურობა შევიწინარწუნო, არ გავბოროტდე, დავამშვიდო ადამი-



ანები, მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ჩემი თავი დავიჭირე საშინელ რაღაცაში: ვამბოვდი, რომ კარგია ის, რაც ხდება, ახია, ღირსნი არიან! ერთხელ მაინც იწვნიონ თავის თავზე, რაც ცხრა წლის განმავლობაში ჩვენ გადავიტანეთ, ყველამ, სრულიად საქართველომ. იმიტომ, რომ, რაც მათ ჩაიდინეს, იმის პატიება არ შეიძლება!

ესენი ახალ მთავრობაზე ამბობენ, რომ ცუდად იქცევა, სამაგიეროს გადახდას ცდილობსო. ხალხი კი პირიქით, ახალ ხელისუფლებას იმას საყვედურობს, რომ ნელა ირჯება, თუმცა მე ვეთანხმები, რომ სჯობს ნელა აკეთონ და სამართლიანად. მაგრამ, რაც გუშინ ხდებოდა იქ და იმ დროს, მე რომ მკითხოთ, სამართლიანობის შენარჩუნება ძნელად წარმომიდგენია.

მეტსაც გეტყვით, უფრო ცუდ რამეში დავიჭირე ჩემი თავი. აი, რომ გამოჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებიც ყოველთვის დემოკრატიულ პრინციპებს ქადაგებენ და გუშინაც ამბობდნენ, რომ დემოკრატია შეილახა, კი, ვეთანხმები, რომ ეს არადემოკრატიულია, მაგრამ გარდუვალია.

გარდუვალი!

რაც დათესეს, იმას იმკიან. ხდება სწორედ ეს. აბსოლუტურად.

ჩემთვის ყველაზე უარესი იყო ის სასიგნალო მოწოდებები, რომლებითაც თუნდაც ჩემთვის ყოველად არასიმპათიური ტიპი მიშა თავხელიძე გამოვიდა და პრეზიდენტმაც გაიმეორა: ესენი ხალხს ისეთ მესიჯებს უგზავნიან, თითქოს გარდუვალთ სასამოქალაქო ომი, რომ აუცილებლად უნდა დაიწყოს სამოქალაქო დაპირისპირება, რომ ახალი ხელისუფლება ხალხს დალუპვამდე მიიყვანს.

— თვითონ კი მშვიდობის მტრედები არიან, ხელს იბანენ და განზე დგებიან: ჩვენ გაფრთხილებთო. ალიბით წინასწარ უზრუნველყოფას ჰგავს მათი ასეთი ტაქტიკა. მარტივი საქმეა.

— მაგრამ უბედურების მომტანია. მათ უკვე ისე დაგვლუპეს და გადაგვჩეხეს, რომ იმის იქით გადასაჩეხიც აღარაა.

ახლა, მე მგონი, დადგა ის ეტაპი, როცა ჩვენ, ღვთის წყალობით, ამოვდივართ იმ ჯურღმულებიდან, რომლებშიც ჩაგვყარეს.

იცით რა? **ზოგი დააპატიმრეს ფიზიკურად, დიღებუ-ში გამოამწყვდიეს ხალხი, ზოგი სულიერად დაგვასახიჩრეს. რომელი უფრო საშიშელია — როცა დასახიჩრებულნი ხარ შიგნით თუ როცა დასახიჩრებულნი ხარ გარეგნულად?**

დღეს ყველანი დასახიჩრებული ვართ! ჩვენ სრულ განკურნებას, განსაკუთრებით, სულიერ განკურნებას, სამწუხაროდ, ძალიან დიდი დრო დასჭირდება.

ხანდახან, და ამასაც გულახდილად გეუბნებით, ჩემთვის ძალიან სიმპათიური ჟურნალისტები კვლავ და კვლავ ტელევიზიის ეთერში და გაზეთებში ინვევენ „ნაციონალების“ მხარდამჭერებს და „ნაციონალების“ „მოლაპარაკე თავებს“. რატომ გვიშლიან ნერვებს? დაგვანებონ თავი, ცოტა ხანს მაინც დაგვასვენონ ამ სახეებისგან, ამ გამორეცხილი გონების ადამიანებისგან, სინდისგარეცხილებისგან.

— ამას დაბალანსებულ ჟურნალისტიკას უწოდებენ.

— გუშინ, გვიან ღამით, ისევ ნაგლეჯ-ნაგლეჯ ვუყურე და ვუსმინე ჟიჟილაშვილის პროგრამას. მიწვეული ჰყავდათ ქეთა, არ მახსოვს, რა გვარია.

— გაბიანი.

— დიახ, ქეთა გაბიანი. იქ მყოფმა ერთმა ქალბატონმა გაიხსენა და თქვა, რომ, მართალია, ქეთამ ბოდიში მოიხადა თავისი როყიო გამონათქვამის გამო ერთი გამწარებული ლტოლვილი ქალის მისამართით — იმ ბენზინის საყიდელი ფული ხომ იშოვა, რომლითაც თავი დაიწვაო, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, ჩვენი მეხსიერებიდან ამოიშალა და გაქრაო.

ასეთ მდგომარეობაში ვართ. **მიუხედავად ჩვენი რწმენისა, სარწმუნოებისა და ა.შ. ჩვენი მესხიერებიდან ყველაფერს ვერ ამოვშლით, ყველაფერს ვერ აპატიებ. ეტყობა, პატიებასაც დრო სჭირდება. მე ჯერჯერობით ვერ ვაპატიებ. ძალიან ბევრი უბედურება დაატრიალეს.** ერთი-ორი აგებული შენობით თავბრუს როცა გვახვევენ, მე მგონი, თვითონ არიან ამით თავბრუდახვეულები.

რამდენიმე ათეული კაცი ბედნიერი რომ გახდა და გალაღებული ცხოვრობდა, კეთილი უნდა ენებათ და გადმოეხედათ თავიანთი „სიმალლიდან“ ჩვენთვის — ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანებისთვის. დაენახათ, რა დღეში ჩაგვყარეს. **ძალიან ძნელი საპატიებელია, როცა ხედავ, რომ ერს მესხიერებს ურაცხავენ, უსაოებან წარსულს, უნებრევენ ყველაფერ საუკეთესოს, რითაც ვამაყობთ, და თავს გვახვევენ ყურითმომთრეულ უცხოსა და მიუღებელს. აი, ამის პატიებაც არ შემიძლია.**

ბოლოს გამომივიდა, რომ არაფრის პატიება არ შემიძლია (ეცინება).

— თქვენ დღეს გუშინდელ ამბებზე ისე ემოციურად ლაპარაკობთ, რომ წარმოუდგენელია, ეს ემოცია სცენაზე არ გაგყოლოდათ.

— დიახ. მინდა გითხრაო, რომ ჩვენმა რეჟისორმა (ძალიან კარგი ახალგაზრდა ყმანვილია გომა გორგოშაძე) თქვა, რომ ისეთი საოცარი რიტმით მიდიოდა სპექტაკლი, ისეთი მუხტით, რომ ათი წუთით ადრე დავამთავრეთ.

— ამის გამო რაღაც აქცენტები განსაკუთრებით ხომ არ გამოიკვეთა სპექტაკლში?

— სპექტაკლიც სწორედ ასეთია. გერმანელი კლასიკოსი დრამატურგის კლასის პიესაში „პრინცი ჰომბურგი“ ძველ და ახალ თაობებს შორის ბრძოლაა ასახული. მთავარი ამბობს, რომ ბრძანება აუცილებლად უნდა შესრულდეს, რადგან იგი

პირველადია. მაგრამ არის ახალგაზრდა კაცი განსხვავებული პოზიციით, რომელიც ამბობს, რომ კი, ბრძანება უნდა შესრულდეს, მაგრამ, თუ შემძლია, რომ ამ ბრძანების შეუსრულებლად ომი მოვიგო, რატომ არ უნდა დავარღვიო პირველადი ბრძანება?! პოზიციების ჭიდილია. პოლიტიკაზე, ფაქტობრივად, არ არის ლაპარაკი, მაგრამ გუშინ განსაკუთრებით შევიგრძენი ის, რაც ჩვენს სპექტაკლშია ჩადებული, რისი თქმაც სურდა პიესის ავტორს. ყოველთვის მეგონა, რომ მესმოდა, ვიცოდი, მაგრამ გუშინდელ დღეს ყველაფერი უფრო გამძაფრებული ტონებით წამოვიდა. და ყველაფერი კარგად გამოვიდა.

— თქვენი დღევანდელი პოზიცია ემთხვევა თქვენი გმირის პოზიციას სპექტაკლში?

— აბსოლუტურად. მე მთავრის მეუღლეს ვთამაშობ, დოროთეას. მას აქვს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მეუღლესთან. პრინც ჰომბურგს ადრე გარდაეცვალა დედა, და მთავარმა და მისმა ცოლმა გაზარდეს იგი. თაობათა დაპირისპირებაა.

საერთოდ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემთვისაც ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა ადამიანი ასაკში შედიხარ, ინარჩუნებ ახალგაზრდულ აზროვნებას და შინაგანად ხარ ახალგაზრდა.

ბატონი მიშა თუმანიშვილი, ჩემი პედაგოგი, ჩემი ოსტატი და გზის გამკვალავი, ყოველთვის გვეუბნებოდა — არ დაბერდეთ, არ დაბერდეთო! მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გავიდა ხანი და ახლა, როცა თავდაღმართს მივუყვები ნელ-ნელა, უფრო მძაფრად მესმის, არდაბერებაში რას გულისხმობდა ბატონი მიშა. დიდი ბედნიერებაა, როცა ახალგაზრდობასთან გაქვს ურთიერთობა. თეატრი ამის საშუალებას მაძლევს. ბევრ საზრდოს მაძლევს, ბევრი რამით მკვებავს.

ეს ბავშვები, ჩემი კოლეგები, მეხმარებიან, რომ ოდნავ მაინც შევძლო და ახალგაზრდული აზროვნება, ხედვა, დამოკიდებულება მოვლენების მიმართ შევინარჩუნო.

რასაკვირველია, გუშინდელ დღეში არ ვგულისხმობ მაინც და მაინც ახალგაზრდულ მომენტს, იმიტომ, რომ, თუკი ადამიანი ხარ **(თუკი ადამიანი ხარ! — იმეორებს)**, შეიძლება ახლა მე ძალიან ცუდად ვიქცევი, ამას რომ ვამბობ, ისინი ადამიანები არ არიან — ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. **ისინი გადაიძცნენ რაღაც მომხვეჭელ როზოტიპად, გაპორო-**

**ტაბულ მონსტრებად საშინელებათა ფილმებიდან. გო-
როტიპის რალაც ძვაბად გადაიქცნენ, რომელშიც თვი-
თონ ისარუბიან და უნდათ, რომ სხვებიც ჩაითრიონ,
ჩაითრიონ და იმ ათუსთუსებულ კუპრიდან არასოდეს
არაპინ ამოვიდეს.**

იცით, რა? დარჩნენ თვითონ ამ კუპრში და ჩვენ დაგვანებონ
თავი!

სპექტაკლში არის ქალის, დედის პოზიცია, რომელმაც უნდა
დაიცვას თავისი გაზრდილი და აღზრდილი პრინცი. მეც ახლა
ქალის და, თუ გნებავთ, დედის პოზიციიდან გამოვდივარ. არ მე-
მეტება არც ერთი ბავშვი, ამათი ხელნამოსაკრავი რომ გახდეს.

**ქუჩაში გამოსულ ხალხს ისინი ბრბოს უწოდებენ.
ჩვენ მათთვის უწინაც და ახლაც ბრბო ვართ, მათ არ
აინტერესებთ ჩვენი აზრი მათ შესახებ. მაგრამ, რე-
ცა ერთი ჩამნაირი ადამიანი ფიქრობს, რომ ისინი კუპ-
რში ისარუბიან, ამაზე უფრო მძიმე განაჩენი სხვა რა
უნდა იყოს?!**

— დედის პოზიციიდან ვლაპარაკობო, თქვით თქვენ. ამი-
ტომ გეკითხებით: გაუსამართლებლად ჩაცხრილული გენერ-
ლის გია კრიალაშვილის დედამ ალგზნებულ გიგი უგულავას,
დედაქალაქის მერს მიაძახა — ჩემი შვილის მკვლელო!

თავი უნდა შეეკავებინა გამწარებულ დედას, რომელიმე და-
სავლელ დიპლომატს დემოკრატიული ეთიკის (ასეთი თუ არ-
სებობს) დარღვევაში რომ არ დაედანაშაულებინა?!

შეიძლება ვცდები, მაგრამ ესეც და

„იქნება, ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა შვილისა“.

ორივე ერთი, მაღალი, ქართული მორალის გამჟღავნებაა.

თქვენ როგორ მიიჩნევთ?

— თავისუფალ თეატრში — „ჯინსების თაობაში“ გეგა კობა-
ხიძის დედის როლს ვთამაშობ. ჩემამდე ამ როლს ასრულებდა
ძალიან კარგი მსახიობი ნინო ხომასურიძე, რომელსაც ეს ტრა-
გედია თვითონ აქვს გადატანილი. სპექტაკლში არის შვილის
დატირების სცენა. ეს ადამიანი ამ სპექტაკლიდან წავიდა იმი-
ტომ, რომ მე ჩემს შვილს აღარ დავიტირებო. ყოველთვის, რო-

ცა ვინყებ ამ სცენას...

(საოცარი ამბავი ხდება: ქალბატონი მარინა თვალეზზე ხელეზ აიფარებს, აქვითინდება და ჩუმად, ძალიან ჩუმად, თითქოს ბოდიშს იხდისო, იტყვის: „ახლაც არ შემოიძლია ამაზე მშვიდად ლაპარაკი“.

ცრემლიანი პაუზა. დაძაბული სიჩუმე. მოერევა ემოციას და თავს ხელში აიყვანს. მაგრამ მანამდე მეც ჩემი მემართება. არ ვმალავ).

— ამ სცენას ვინყებ ვედრებით: ღმერთო, კარგად მიმყოფე ჩემი შვილები, — ამბობს აკანკალებული ხმით, — შემდეგ ვთამაშობ როლს.

პირჯვარს გადაინერს და იტყვის:

— არც ერთი სპექტაკლი არ ყოფილა ამ ლოცვისა და ამ ნატურის გარეშე. ამიტომ არც მინდა წარმოვიდგინო არც ერთი დედის... (თავს უყრის სიტყვებს) გავანალიზო, რა მდგომარეობაში არიან ისინი, რადგან ქვეცნობიერად ვგრძნობ ყველაფერს.

ირინა, ირინა ენუქიძე, რომელიც გადაიქცა ქართლის დედის სიმბოლოდ და განსახიერებად, დედისა, რომელიც თავის შვილს კი არ იცავდა, იმას რაღა ეშველებოდა, არამედ ჩვენს შვილებს, ყველა დანარჩენ შვილს.

— შეგიძლიათ პარალელი გაავლოთ ამ ტრაგედიასა და დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიდან წამსკდარ სისხლს შორის?

— ადამიანმა სისხლი არ მოინფინდა, საბანებოდა, შეგნებულად არ მოინფინდა. სამაგიეროდ, იცით, რა ბააკეთა? „იბედის“ ჟურნალისტს ჩაარტყა და თავის კამერიანად ძირს დააგდო.

დღეს თეატრში მითხრეს, რა ტექსტს ყვიროდა ამ დროს.

— მოღალატეებო!

— ამას გარდა, რაღაც საშინელებას ყვიროდა — მოდით, მოდით, თუ მირტყამთ, დამარტყითო.

— პროვოკაციაზე ინვევდა?

— ასე გამოდის. კიდევ უფრო საშინელი ინფორმაცია მომანოდეს იმის შესახებ, რომ მათ მოყვანილი ჰყავდათ შეიარაღებული ჯავშანუილეტიანი ხალხი. წარმოგიდგენიათ?! მარნმუნებდნენ, რომ ისინი კვლავ და კვლავ ნავლენ პროვოკაციაზე, რათა სამოქალაქო დაპირისპირება გადაიზარდოს სამოქალაქო ომში.



8 თებერვლის საპროტესტო აქცია საჯარო ბიბლიოთეკის წინ

ქალიან ცუდ ზღვარზე ვდგავართ. ეს ადამიანები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რათა შეინარჩუნონ, რაც მოიხვეჭეს. არ დათმობენ. უსისხლოდ ესანი არ წავლენ. ამას მიღასტურებს ის, რომ ისინი სისხლით მოვიდნენ: სადაც კი ჩადიოდა „ნაციონალური მოქრამბა“, დროშებს აფრიალებდნენ და დროშის ტარებს ხალხს ურტყამდნენ. დასისხლიანებულები იყვნენ თვითონაც და ხალხიც.

ქალიან ცოტანი არიან დარჩენილები, მაგრამ უსისხლოდ არ

წავლენ. მ თებერვალი, ჩემი აზრით, ამის დასტური და წინაპირობა იყო.

— სააკაშვილის გამოსვლაზე იტყვიტ რამეს?

— ვუსმენდი და ვითვლიდი: ტყუილი ნომერი ერთი, ტყუილი ნომერი ორი, ტყუილი ნომერი სამი, ტყუილი ნომერი ოთხი... ამ სათვალავს არ უჩანს ბოლო. **მატყუარა პრეზიდენტი, ამორალური პრეზიდენტი! ყველა ქვეყანაში უპირველესი არის ოჯახი, ჩვენ კი ყველამ ვიცით, რომ ეს კაცი არის ალვირახსნილი, ამორალური ადამიანი. ამ ნიშანზე დაავადებული.** თუნდაც არ ყოფილიყო მართალი ის, რასაც მასზე ამბობენ, რაც ჭორ-მართლად ვრცელდება, ხომ იყო ეს საკმარისი იმისთვის, რომ ჩვენ, ხალხს ამოგველო ხმა და მოგვემორებინა პრეზიდენტობიდან?!

მაგრამ ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა.

ძალიან ცდილობდა მიხეილ სააკაშვილი რაღაც პოზიტიური სახით წარმდგარიყო ხალხის წინაშე, მაგრამ მე, როგორც მსახიობი, ვერ მომატყუა. ჩვენ, მსახიობებს, ხომ ამოცანები გვაქვს, მაგალითად, პარტნიორს ვათქმევინო ის, რაც მე მინდა, ან, რასაც ვეუბნები, ისე მოვახვიო თავს, რომ ჩემი სათქმელი კარგად შევნიღბო. **მან ვერც ერთი სათქმელი ვერ შენიღბა. ჩემთვის ყველა მისი სათქმელი იყო ცუდად, ძალიან უნიჭოდ ნათამაშები ტყუილი. და თუნდაც ის, რომ ამერიკის ელჩი ასეთი ნეიტრალური განცხადებით გამოვიდა, ჩემთვის იყო სიბნელი იმისა, რომ ისიც და დანარჩენი დიპლომატებიც მიხვდა — მიუა უნიჭოდ თამაშობდა.**

უცბად რომ გაიბავშვებდა თავს და ენამოჩლექით გველაპარაკებოდა, ასე ჩემს შვილიშვილს არ ველაპარაკები. ცხრა წლის შემდეგ გველაპარაკები ენის მოჩლექით?!

იანვარში ხომ უნდა წასულიყავი? ნადი, დაგვანებე თავი! ერთი პირობა იმის მომხრე ვიყავი, ოქტომბრამდე დარჩენილიყო, რადგან მისი ყოველი გამოსვლა თავისმომჭრელი იქნებოდა მისთვის. ლეგენდად სურს დარჩენა? მაგრამ ამისთვის ან ჭკუა უნდა გქონდეს, ან ჭკუის დამრიგებელი გყავდეს. მას არც ერთი აქვს, არც მეორე ჰყავს. იგივე მინდა ვთქვა სრულიად „ნაციონალურ მოძრაობაზე“.

— ამ ვითარებაში ჩვენ რა ვქნათ, ხალხმა?

— ბატონი რობერტ სტურუა, მოგეხსენებათ, დაბრუნდა რუსთაველის თეატრში. დღეს გვექონდა ძალიან კარგი კრება, რომლის მსგავსი ამ წლების განმავლობაში არ მახსოვს. ბატონმა რობიკომ ილაპარაკა რუსთაველის თეატრზე, იმაზე, თუ ვისი სულები, რა აურა ტრიალებს აქ. 90-იანი წლებიდან წამოსული ლექი, სამწუხაროდ, ზედაპირზე დარჩა. ზოგი სრულად ინარჩუნებს სისუფთავეს, ვიღაც — უფრო ნაკლებად. თეატრზე ეს პირდაპირ აისახება. თეატრი ტაძარია. მორწმუნენი ზოგჯერ მსაყვედურობენ, ამას რომ ვამბობ. მაგრამ სცენაზე რომ გამოდიხარ ყოველ საღამოს და შენ წინაშე 700 მაყურებელია, ან ნაკლები, და შენ მათ ეუბნები, სად არის სიკეთე, სად — ბოროტება, არწმუნებ, რომ სიკეთისკენ უნდა წავიდნენ და არა ბოროტებისკენ, მგონია, რომ ეკლესია და თეატრი ერთსა და იმავე ამოცანას ვემსახურებით.

სამწუხაროდ, შეგრძნებები მოგვიცვდა ადამიანებს იმიტომ, რომ ბევრმა სიცუდემ გადაიარა ჩვენს თავს. თვითონ უნდა შევძლოთ, რომ ეს შეგრძნებები კვლავ გავიღვივოთ და გავიცოცხლოთ.

ჩვენმა კრებამ, იმან, რაც გუშინ მოხდა, ბევრ რამეზე დამაფიქრა, რომელთა შორის მთავარია ერთი: უფლება არ გვაქვს, არ ვიყოთ საზოგადოებრივ სიმალლეზე, არ მოვუნოდოთ ადამიანებს სიკეთისკენ. მე პლაკატურ მონოდებებს არ ვგულისხმობ.

ასეთია ზემოცანა.

(და ამის შემდეგ ქალბატონი მარინა იხსენებს კრებას მოყოლილ ფაქტს, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მრუდე სარკეების სივრცეში ვცხოვრობთ. რობიკო სტურუას განუცხადებია, რომ თეატრიდან არავის გაშვებას არ აპირებს, მაგრამ საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს „სენსაციური“ ცნობა, თითქოს მაესტრომ მსახიობები ქუჩაში გაყარა, რომ ისინი თეატრის წინ არიან შეკრებილები და არის ერთი ვაი-ვიში და წივილ-კივილი. პირველი არხის გადამღები ჯგუფისთვის დაუვალებია იქაურ ხელმძღვანელობას ადგილზე მისვლა და ამ ფაქტის გაშუქება).

— 12 საათზე გვექონდა კრება და ეს ამბავი პირველ საათზე ხდება.

— შესაშური ოპერატიულობაა.

— გეკითხებით, 8 თებერვლის შემდეგ, როგორ არ რცხვენიათ სააგენტოებს, მთავარი ფაქტიდან ყურადღება ასეთ ტყუილზე რომ გადააქვთ?! დალოცვილო, შეამონმე მაინც.

— რა ვქნათ?

— დიდი მოთმინება გვმართებს, რამენაირად უნდა ავიტანოთ ესენი ცოტა ხანი. **ყველამ ქალიან კარგად იცის, როგორც კი აღარ იქნება სააკაშვილი, ყველანი გაძრებინან, ვერც ერთს სახეს ვერ დავინახავთ. ვისაც მცირე დანაშაული აქვთ ჩადენილი, ისინი, ალბათ, უცხოეთში წავლენ, უცხოეთში დაბრუნდებიან. მაგრამ ვინც დიდი დამნაშავეა, იმან პასუხი უნდა აგოს არა მარტო სამართლის წინაშე, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, დმართის წინაშე, და ეს ასეც იქნება!**

P.S. ინტერვიუ რომ დამთავრდა, ავდექი და ტაში დავუკარი.

2013 წლის 13 თებერვალი

თავი III

მეცნიერება

ოთარ კვესიტაძე:

საქართველოში მეცნიერებას თითქმის აღარ არსებობს



„საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ოთარ კვესიტაძე.

— თავისი არსებობის 5 წლის მანძილზე ჩვენი გაზეთი ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დაეცვა ქართული მეცნიერების, მეცნიებათა ეროვნული აკადემიის ინტერესი, მეტ-ნაკლებად საქმის კურსში გვყავდა ჩვენი მკითხველები. მაგრამ იმ შემზარავმა ციფრებმა, რომლებიც, ბატონო ოთარ, აკადემიის საერთო კრებისთვის წარდგენილ მოხსენებაში დაასახელეთ, გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა. თუ ასე გაგრძელდა, ქართული მეცნიერების კატასტროფა გარდაუვალია.

— საკავშირო ინსტიტუტების ჩათვლით, რომლებიც საქართველოში იყო (აგრარული სპეციალობის, სამედიცინო პროფილის ინსტიტუტების ჩათვლით), გვყავდა 73 ათასი მეცნიერი-

თანამშრომელი. ეს — უნინ. 2000 წელს — 45000, ამჟამად 2200-2300 თუ შეგროვდა, დიდი ამბავია.

5-6 წლის წინათ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დამკვიდრდა სრულიად დაუსაბუთებელი აზრი, რომ მცენიარება, მით უფრო, ფუნდამენტური, საქართველოსთვის ზედმეტი ფუფუნებაა. თუ დაგვიჩრდება, დასავლეთიდან მოვახდენთ იმპორტირებასო.

ასე განირიეს ჩვენს ქვეყანაში მცენიარული აზრი, რაც, მა რომ გკითხოთ, ისეთივე დანაშაულია, როგორც ათეულ მილიონობით ლარის მითვისებაზე, გაფლანგვასა თუ არამიზნობრივად დახარჯვაზე ალკრული სისხლის სამართლის საქმეები.

ის, რაც ამ მხრივ მოიმოქმედა ყოფილმა ხელისუფლებამ, ერისთვის მომავლის წართმევის ტოლფასია.

— კატასტროფის წინაშე ვდგავართ?

— კატასტროფა მომხდარია. გულახდილად გეტყვი: საქართველოში მეცნიერება დღეს თითქმის აღარ არსებობს. ყველაზე მეტად დაზარალდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია...

— აკადემიის საერთო კრებაზე ძალიან მწვავედ დადგა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საბაზისო და პროგრამული დაფინანსების პრობლემა. იქნებ გავარკვიოთ ჩვენი მკითხველები, რაზეა ლაპარაკი?

— საქმე ის არის, რომ შარშანდელი წელიწადი ისე დასრულდა და 2014-იც ისე დაიწყო, რომ ჩვენი მრავალტანჯული ინსტიტუტების მიზერული ხელფასების ბედი დღემდე გაურკვეველი რჩება. **პროგრამული დაფინანსება, რომელსაც მცენიარებისა და განათლების სამინისტრო გვთავაზობს, საერთოდ უპერსპექტივობის წინაშე აყენებს ამ ინსტიტუტების თანამშრომლებს. ერთგვარად უკეთეს მდგომარეობაშია ის ინსტიტუტები, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს დაუქვემდებარეს.** მაგალითად, მეტალურგიის ინსტიტუტი, რომელსაც შესანიშნავი მეცნიერი და კარგი ორგანიზატორი გიორგი თავაძე ხელმძღვანელობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახლახან სათავეში ჩაუდგა აკადემიკოსი ლადო პაპავა და უკვე შეიძლება ითქვას,

რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის ცოტა ხნის წინანდელი მდგომარეობა და დღევანდელი იხე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც დღე და ღამე. პრინციპული, საქმიანი პოზიციით გამორჩეული რექტორია ბატონი ლადო.

სამწუხაროდ, არიან ისეთი რექტორებიც (აღბათ, დამემონებებით, რადგან იმ კრებას ესწრებოდით), რომლებიც კვლავ კონიუნქტურის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. კრებაზე მათი გამოსვლა ძალიან ჰგავდა დავალების შესრულებას.

საბაზისო დაფინანსება ნიშნავს ხელფასს...

— **რომლის შედარებაც კი არ შეიძლებაო, როგორც ერთმა გამომსვლელმა თქვა, „ნანუკას შოუს“ ნამყვანის ანაზღაურებასთან. იმდენად მცირეა.**

— რას ამბობთ, როგორ შევედრებით! **ჩვენი პროფესორების ხელფასები მინიმუმ ათჯერ ნაკლებია სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა ხელფასებზე. დამლაგებელი პარლამენტში პროფესორზე, ალბათ, 15-ჯერ მეტს იღებს.**

აი, ამ საბაზისო ხელფასების გაზრდაზე ლაპარაკიც არ არის.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ სრული უპასუხისმგებლობაა, უპატივცემულობა მეცნიერების მიმართ.

— **პროგრამული დაფინანსება საქმეს არ შეეღობა?**

— მომისმინეთ: დავუშვათ ინსტიტუტს აქვს პროგრამა. სამინისტროში წარადგინა ხუთივე. ორი დაუფინანსეს, სამზე უარი უთხრეს. ეს ნიშნავს, რომ დანარჩენი სამი პროგრამით გათვალისწინებული მეცნიერი-თანამშრომლები ცარიელზე რჩებიან და იძულებულნი ხდებიან, წავიდნენ. თან სამინისტროს ჩინოვნიკები ინსტიტუტებს აფრთხილებენ, რომ 65 წელს ზემოთ არავინ გაითვალისწინონ. თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, არ დააფინანსებენ საერთოდ.

— **ეს ხომ ასაკობრივი დისკრიმინაციაა?**

— რა თქმა უნდა.

— **ვინ ადგენს ამ პირობებს, ასეთ მოთხოვნებს?**

— სამინისტროში არის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, რომელიც ამას აკეთებს.

— **აგრძელებენ მიხეილ სააკაშვილისეულ პოლიტიკას?**

— ასე გამოდის. იქ, სამინისტროში მივიდა ძალიან საინტე-

რესო კაცი — მარსაგიშვილი, რომელსაც ახლაც დიდ პატივს ვცემ, როგორც მეცნიერსა და სპეციალისტს. მაგრამ ისე შეიცვალა იმ თანამდებობაზე მოხვედრის შემდეგ, რომ ველარ ვცნობ — განსხვავებულ პოლუსზე აღმოჩნდა. რა მოხდა, ვერ გეტყვით. აშკარაა, რომ მეცნიერების მხარდამჭერს ვერ ვუწოდებთ მის პოზიციას.

— **გაჩინოვნიდა?**

— მაგრად... თვალეში ნაცარს გვაყრიან და გვეუბნებიან, რომ პროგრამების დაფინანსება იქნება საბაზისო დაფინანსება. **პროგრამული დაფინანსება 2-3 წლითაა გათვალისწინებული და საბაზისოს არ ეხება. არადა, ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის არსებობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, თუნდაც ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორც საქართველო. აი, ამის შემდეგ კარგი და ქვეყნისთვის საჭირო პროგრამები კი დამატებით უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ.** ორ ატომურ ბომბადარტყმულმა იაპონიამ პირველი ბიუჯეტი რომ შეაკონინა, 12 პროცენტი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის გაითვალისწინა.

— **ჩვენთან რამდენია?**

— 0,2 პროცენტი! არადა, ჩვენი სამეცნიერო პოტენციალი იმდენად ძლიერია შენარჩუნებული, იმდენად სერიოზულია, რომ საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის შეიძლება გაუგებარიც კი იყოს. ვგულისხმობ სიცოცხლის შემსწავლელ, ზუსტ მეცნიერებებს. აგრარული მეცნიერებაც ძლიერია, ფიზიკა, როგორ გითხრათ, არაჩვეულებრივად ძლიერი სამეცნიერო პოტენციალითაა წარმოდგენილი ქართველოლოგიური მეცნიერება. ამ ხალხს პატრონობა და მხარდაჭერა სჭირდება.

— **ერთი რამ გამაგებინეთ, ბატონო ოთარ: არიან თუ არა სამინისტროში ისეთი მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებსაც უნარი შესწევთ, შეაფასონ და ნება დართონ ან უარი თქვან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე?**

— ხომ მიაქციეთ ყურადღება, რა უპასუხა ამ შეკითხვას სამინისტროს წარმომადგენელმა: უცხოელ მეცნიერებს შევაფასებინებთო. აკადემიკოსებმა გაიკვირვეს, მაშინ ამ პროგრამებს ქართულად რატომ გვანერინებთო?! ვინ თარგმნის და სწორად



საპარტოვლოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

თარგმნიან თუ არა? — ესეც ჰკითხეს. უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებს შევაფასებინებთო, „დაგვიზუსტეს“.

ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთებაც კი უხერხულია.

— **უხერხული ის იყო, ბატონო თთარ, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კრების წინაშე, ჩემი აზრით, მოუმზადებელი მინისტრები რომ წარდგნენ. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.**

ახლა კი ასეთი შეკითხვა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ დიდი კამათისა და მითქმა-მოთქმის საგანი იყო: ფიზიკოსები თუ ლირიკოსები? თქვენ ვისკენ იხრებით, როგორც აკადემიის პრეზიდენტი, — ჰუმანიტარებისკენ თუ ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებისკენ?

— ცენტრისტი ვარ (*ელიმება*). ქართველოლოგიური მეცნიერებების გარეშე წარმოდგენელია მეცნიერებათა აკადემიის არსებობა. ასევე წარმოდგენელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გარეშე აკადემიის არსებობა.

ჩვენს აკადემიას ერთგვარი ჰუმანიტარული „გადახრა სჭირდა“. საჭირო გახდა ვექტორის შეცვლა კი არა, ნორმალურ, დაბალანსებულ პარამეტრებში მოქცევა. ამის შესახებ მოსვლის-

თანავე ველაპარაკე კოლეგებს და სრული გაგება და მხარდა-
ჭერა მივიღე.

**რეალობაა, რომ დღეს ქვეყანას ტიპიურად ვითარდე-
ბა. იმპულსურად კეთდება აქცენტები ამა თუ იმ დარ-
გზე, განსაზღვრულ რამდენიმე, პრიმიტიულად აღქმულ
საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. მაგალითად,
ღვინო ფულია? ნავიდა! ლუდი ფულია? ნავიდა! რეს-
ტორანი ფულია? ნავიდა! და ა. შ. ესაა გადამწყვეტი.
პრაქტიკულად არავის აინტერესებს ორიგინალური
ტიქნოლოგიები, რომლებიც ქვეყანას თანამედროვე
განვითარების ლიანდაგზე დასყენებს. ამ მიმართუ-
ლებით არაფერი კეთდება.**

შევეცადე, ეს პრობლემა წამოგვეჩინა. შევექმენით კომისია, მო-
ვიზიდეთ სათანადო კვალიფიკაციის თანამოაზრეები. თავმჯ-
დომარედ აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანიას ავირჩიეთ. ამ სიახ-
ლემ დიდი ინტერესი გამოიწვია.

და ბატონმა ოთარ კვეციანიამ წამიკითხა ფრიად საინტე-
რესო ლექცია იმის თაობაზე, თუ როგორ და რით შეიძლება
მოსახლეობის შრომითი დასაქმება, შემოსავლების გაზრდა,
ადამიანების დამკვიდრება იმ პირობებში, როცა დაცლილია
თუშეთი, პრაქტიკულად აღარ არსებობს ხევსურეთი, ცუდ
დღეშია მთიანი იმერეთი — ელიავას ბაზრობასთან თითქმის
მთელი ზემო იმერეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუ-
შაოს მოლოდინში ამოად ათენ-ალამებს; როგორ უნდა გადავ-
ჭრათ ეს პრობლემა თუნდაც ბუნების სიკეთეთა გონივრული,
კარგად ორგანიზებული გამოყენებითა და მნიშვნელოვანი
ფინანსური დანახარჯების გარეშე, ჩვენი ქვეყნის ოცდაათამ-
დე ნიადაგობრივ-კლიმატური ზონისთვის სოფლის მეურნე-
ობის მრავალდარგობრიობის მისადაგებითა და ეფექტიანად
წარმართვით. ამ საკითხს ვერც ერთი სხვა ქვეყნის რაგინდა-
რა წარმატებული მეცნიერი ვერ მოგვიგვარებს — სპეციფი-
კაა უნიკალური, მრავალფეროვნებით გართულებული, ამი-
ტომ ჩვენი გასაკეთებელია და მეცნიერებათა ეროვნულმა აკა-
დემიამ უნდა ითავოს ეს სახელმწიფოებრივი საქმე.

ეს იყო აბსოლუტური კონკრეტიკით და მეცნიერული ანა-
ლიზით გამორჩეული საუბარი, ფაქტებით დადასტურებული.
გადაწყვეტა ხელის განვდენაზეა. ისეა, როგორც მათეს სახა-

რებაში: „ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგელებათ“ (მათ. 7,7).

წლების განმავლობაში დამკაკუნებელი არავინ იყო. მით უფრო, — გამღები. ახლა გამოჩნდა:

— ჩვენ ვქმნით პროგრამებს, კონცეფციებს და განსაკუთრებულად პერსპექტიულს წარვუდგენთ მთავრობას, — **ამბობს ბატონი ოთარ კვესიტაძე და განაგრძობს,** — მეცნიერება ტექნოლოგიაში უნდა გადავიყვანოთ, ამის პოტენციალი გვაქვს, ამ დონის მეცნიერები გვყავს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ქვეყნის ჭირისუფალია და მთავრობის მთავარი მრჩეველი, ახალი წინადადებების დანერგვას დედოფლისწყაროს რაიონიდან ვიწყებთ, ჩვენს მოსაზრებებს მთავრობას წარვუდგენთ. ასეთ პრაქტიკულ ლიანდაგზე გადავდივართ. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებათა აკადემიის მოქმედების ვექტორი რადიკალურად შეიცვალა.

— ფუნდამენტური მეცნიერებები?

— თავისი ადგილი და წილი აქვს და დარჩება. სრულად გვაქვს გაცნობიერებული, აკადემია საერთაშორისოდ აღიარებულ სამეცნიერო სტრუქტურად რომ იქცეს და რეალურად უპასუხოს შესაბამის სტანდარტებს, ამისათვის ვალდებულნი ვართ, თანამედროვე მეთოდოლოგიით ჩავატაროთ ინტენსიური კვლევები ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და არქეოლოგიის, ყველა სხვა ქართველოლოგიური პროფილის მეცნიერებებში; **საფუძვლიანად უნდა გვქონდეს განანალიზებული გეგმების სისტემა, რომელიც აკადემიის მიერ დაგეგმილია და რომელიც აკადემიის მიერ დაგეგმილია და რომელიც აკადემიის მიერ დაგეგმილია** და აგრარული მეცნიერებები, მედიცინა და ა. შ.

— **ბატონო ოთარ, თქვენ ახსენეთ აკადემიის მიმართულების ვექტორი, ვთქვათ ასე, — შიგნით მიმართული. გარე ვექტორზე შეგვიკითხებით, რომელიც ათწლეულების განმავლობაში, ძირითადად, მიმართული იყო საბჭოთა კავშირის სივრცისკენ, უწინარესად, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიე-**

ვის და ა. შ. სამეცნიერო ცენტრებისკენ. რუსოფობიის აღზევების პერიოდის „დალდასმულობა“ დაძლიეთ?

— რუსოფობიის პოლიტიკის აქოლა დიდი დანაშაული იქნებოდა. დღეს შვეიცარიის მეცნიერების ცენტრში, რომელიც ფიზიკაში მსოფლიო მნიშვნელობის ფრონტადაა აღიარებული, ორმოცამდე ქართველი ფიზიკოსი მუშაობს. როგორ გგონიათ, დაუნა რომ არ ყოფილიყო, ქართველები რომ არ ყოფილიყვნენ რუს ფიზიკოსებთან შემოქმედებითად დაკავშირებული, შესაძლებელი იქნებოდა იმ ცენტრში ქართველების მიწვევა? არა, რა თქმა უნდა. მისმის, რომ რუსეთთან დაკავშირებული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ გგონია, რომ ბართულების პიკი გადავიარეთ და შეიქმნა ის სიტუაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერული კონტაქტების განვითარებას საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემიებთან, მათ შორის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან. ასევე, მსოფლიოს სოლიდურ სამეცნიერო ცენტრებთან, საზოგადოებებთან და, საჭიროების შემთხვევაში, შევქმნით კვლევის ერთობლივ ცენტრებს, პროექტებს...

ერთ რამესაც გეტყვით.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებდა ხელოვნური საკვების კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ალექსანდრ ნესმეიანოვი. 11 წელიწადი ამ კომისიის წევრი ვიყავი. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი გამოცდილება მივიღე. ჩემნაირად რუსეთის სამეცნიერო ცენტრებთან არაერთი ქართველი მეცნიერი თანამშრომლობდა, რამაც ჩვენი კოლეგების პროფესიულ ზრდას სერიოზულად შეუწყობდა ხელი.

ამ კომისიას ისეთი მიღწევები ჰქონდა ხელოვნური საკვების შექმნის საქმეში (მაგალითად, ხელოვნური ხიზილალის, უაღრესად ყუათიანი პროდუქტის), რაზეც ამერიკელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ. მომეცა საშუალება, პირადად დავრწმუნებულიყავი ამაში აშშ-ში ყოფნის დროს.

რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ასეთი პოტენციალის მქონე სამეცნიერო ცენტრებს?! მივიღოთ, გავიზიაროთ, განვაავითა-



აკადემიის პრეზიდენტის სხდომა

როთ მათი მეცნიერული კვლევების შედეგები. ორი აზრი არ არსებობს, რომ არ უნდა გავხდეთ რუსეთის მეცნიერების სატელიტები, როგორც არც ერთი სხვა ქვეყნის. ეს ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

ყოფილმა ხელისუფლებამ აქ, საქართველოში მეცნიერებს ისე გაგვიტანს სახელი, მოგვსაო, დაგვანიავა, რომ ბევრ კოლეგას რწმენაც კი შეიარყა, ამიტომ მეცნიერების მენტალიტეტის შეცვლა ადვილი არ გამოდბა.

— შეიძლება ვცდები, მაგრამ აკადემიის საერთო კრებაზე მეცნიერებისა და განათლების მინისტრის გამოსვლამ მაფიქრებინა, რომ მაღალი რანგის ჩვენი ჩინოვნიკების (რომლებმაც ეს-ესაა მიაღწიეს მაღალ საფეხურებს) მენტალიტეტიც შესაცვლელია, რადგან იმავე არხით მიედინება, რომელიც სააკაშვილის დროს გაიჭრა.

— ჩვენი მინისტრი ახალგაზრდა ქალია, ალბათ, უდავოდ ნიჭიერი. მაგრამ მეცნიერების როლისა და ადგილის გაგება მეცნიერებათა აკადემიაშიც კი გვიჭირს, სხვაზე რა უნდა ვთქვა?! მეცნიერების ბედ-ილბალი თვითონ მეცნიერებმა უნდა გადაწყვიტონ.

პრობლემას მთავრობა ვერ ჩამოგვიყალიბებს, ისევ მეცნიე-

რებმა უნდა ვუკარნახოთ. ჩვენი უპირველესი ამოცანაა, მეცნიერული საფუძვლები შევქმნათ იმისა, თუ რა სჭირდება ქვეყანას. ამ გზით მივდივართ.

მე არ მიკვირს, რომ ქალბატონი თამარი შეიძლება ვერ არის ჩახედული მეცნიერების დეტალებში... არც შეიძლება იყოს... მაგრამ ცოტა მეტი ყურადღებით რომ ყოფილიყო, მისი გამოსვლაც უფრო ადეკვატური იქნებოდა კრების მონაწილეთა მოთხოვნების. **მეცნიერებათა აკადემია სამინისტროს დირექტივებით ვერ იმუშავებს. ეს ხომ ელემენტარულია და ამაში ჩვენი ამბიციურობის მისხალიც არ არის.**

— **პრემიერ-მინისტრს უნდა შეხვედროდით...**

— შეხვედი კიდეც, მაგრამ საყდრისის ოქროს საბადოს პრობლემისადმი იყო მიძღვნილი ის თათბირი. ძალიან რთული საკითხია... ამ შეხვედრის დამთავრებისთანავე გადავეცი ბატონ ირაკლი ლარიბაშვილს ჩვენი კრების მიერ მიღებული მიმართვა და მივიღე დაპირება, რომ იანვრის ბოლომდე აუცილებლად გამონახავს დროს და შემხვდება.

— **ამ შეხვედრის შედეგებზე, ალბათ, მოგვეცემა შესაძლებლობა ცალკე საუბრის.**

— გპირდებით.

P.S. ლიფტამდე მიმაცილა ბატონმა ოთარ კვესიტაძემ. ჩემი პროტესტის საპასუხოდ — ნუ წუხდებით-მეთქი, აი, რა მიამბო:

— ერთი ინგლისელი სტუმარი ქუჩამდე ჩავაცილე. ეტყობა, ვერ გაიგო, რომ მისდამი პატივისცემის გამო მოვიქეცი ასე და ირონიანარევი შენიშვნა მომცა:

— ყოველთვის ასე უფროთხილდებით თქვენს სამუშაო დროს?!

არც ვაციე, არც ვაცხელე და მივახალე:

— ასე მაშინ ვიქცევი, როცა მინდა დავრწმუნდე, რომ თქვენისთანა სტუმარი ნამდვილად წავიდა!

კაცს რომ იუმორი აქვს, სინაღდის ნიშანია.

2014 წლის 29 იანვარი

**ავთანდილ არაბული:
ეროვნულოზის ერთადერთი
ბანესაზღვრელი არის ენა!**



ამ დღეებმა კიდევ ერთ ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნა: თურმე შესაძლებელი ყოფილა დახვეწილი ქართულით საუბარი სისხლის სამართლებრივ უმწვავეს საქმეებზეც კი. არჩილ კბილაშვილმა, ქვეყნის მთავარმა პროკურორმა, გაახსენა ჩვენს საზოგადოებრიობას, რომ არა მარტო სამართალს აქვს წესები და კანონები, არამედ ქართულ ენასაც.

კბილაშვილის მიერ რომელიღაც კოდექსის რომელიღაც მუხლის „ა“ პუნქტის დასახელებისას თქმულმა „ანმა“ ყბა ჩამოუგდო ობივატელს: — ააა...

ქართული ენის დაცვის, ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებზე გვექნება დღეს საუბარი საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ აპოთან დილ არაბულთან.

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერის გაჩენის შემდეგ დაიწყო ადამიანმა თვითშეცნობა, მანამდე ის მაინც ინსტინქტების დონეზე ცხოვრობდა, — **ასე იწყებს საუბარს ბატონი აპოთან დილი და განაგრძობს,** — ერი არის ისტორიის სუბიექტი. პიროვნება არის ფიზიოლოგიური სუბიექტი. მისი არსებობა დროში დასაზღვრულია. კაცობრიობამ იპოვა სუბიექტი, რომელიც მარადიულია, უკვდავი არ არის, რადგან ისიც ცოცხალია, მაგრამ ბევრად აღემატება ერთი ფიზიოლოგიური სუბიექტის არსებობას, სიცოცხლე გაერთიანდა ერში, ამის გამოხატულება კი არის ენა.

როცა საქართველოს ძნელბედობის ჟამი დასდგომია, ენა გამოსულა წინა პლანზე, როგორც ერის გამაერთიანებელი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ამ „საერთო სიცოცხლეს“ განსაკუთრებით გაესმის ხაზი.

— ეს ფუნქცია ენას დღესაც აქვს შესასრულებელი?

— დიახ, რადგან დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში, რომელშიც ფაქტობრივ აღარაფერია ავტონომიური, არც ტერიტორია — საზღვრები პირობითი გახდა, ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკად ტრანსფორმირდა, გაჭირდა კულტურის შენარჩუნება, ეროვნულობის ერთადერთი განმსაზღვრელი და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობისაც არის ენა.

სახელმწიფო ენა უფრო ზეკატეგორიაა — მის საფუძველზე იწყება ხალხების გაერთიანება, რომლებიც უერთდებიან ლიდერი ერის ენობრივ-კულტურულ ერთობას.

დღეს ჩვენი მცირერიცხოვანი ერი, ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარებადია. ჩვენ და ჩვენს სახელმწიფოს განსაკუთრებით გვმართებს, ვიზრუნოთ იდენტობის ერთადერთი ნიშნის, სახელმწიფო ენის, შესანარჩუნებლად, რადგან სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტი არის სახელმწიფო ენა.

— სახელმწიფო ენა ქართული და არა ინგლისური (როგორც ზოგიერთი „წინასწარი“ ვაიმოდვანე ორიოდ წლის წინათ გვინასწარმეტყველებდა). პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვი-

ლის ქართულად გამოსვლა ბრიუსელში ვიზიტის დროს, სააკაშვილის ინგლისურით კეკლუცობისგან განსხვავებით, იმედის მომცემია უკვე.

— კი, სასიკეთო ნიშანია: როცა პირველი პირი სახელმწიფო ენის მიმართ საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამოკიდებულებას ამგვარად გამოხატავს, ეს ენისადმი სახელმწიფო პოლიტიკის მაჩვენებელია.

მახსენდება ასეთი შემთხვევა: როცა საფრანგეთის ერთ-ერთი მინისტრი გაეროში ინგლისურ ენაზე გამოვიდა, ამ ქვეყნის დელეგაციის წევრებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომის დარბაზი. სკანდალი იყო.

ჩვენ შევეგუეთ საქართველოს პრეზიდენტისა და სხვა პოლიტიკოსების ინგლისურენოვან გამოსვლებს გაეროს ასამბლეის სხდომებზე და სხვაგან. როცა ასეთი მაღალი ტრიბუნიდან შეგიძლია შენი მშობლიური ენით იმეტყველო და ამითაც დაუმკვიდრო საქართველოს ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში, მაგრამ ამას არ იქმ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ საქართველო კი არ გიყვარს, არამედ შენი თავი გიყვარს საქართველოში, და, რა თქმა უნდა, კეკლუცობ...

ის, რისი მოწმენიც გავხდით ამ დღეებში ბრიუსელიდან გამომოცემული რეპორტაჟების მეშვეობით, მოწმობს, რომ სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება სრულიად ახალ კალაპოტში გადაინაცვლებს.

— თქვენი ინსტიტუტი ამ ენის სადარაჯოზე დგას. თქვენს მეცნიერულ კოლექტივს ყოფილი ხელისუფლების მიერ „რეფორმირებულ“ გარემოში უთუოდ დაუგროვდა პრობლემები.

— იმ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, რომელიც საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სფეროში განხორციელდა, ფაქტობრივად, დასრულდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არსებობა. 2006 წელს აკადემიის სისტემა დაიშალა, ინსტიტუტები, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, დაექვემდებარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. 2010 წლიდან დაიწყო და შარშან ჩვენი ინსტიტუტით დასრულდა უნივერსიტეტებთან მათი მიერთების დამანგრეველი პროცესი.

ამ ინსტიტუტებს მთლიანად ჩამოერთვა დადგენილი სტატუსი და ლაბორატორიების დონემდე ჩამოქვეითდა. ეს კი მოას-

ნავებდა მათ ფაქტობრივ გაუქმებას. ეს ერთი. მეორე მხრივ, **რახან აღარ არსებობს სამეცნიერო ხარისხი, სტიმული, ინტიმისი, ახალგაზრდობა არ მოდის მეცნიერებაში და სამეცნიერო-კვლევითი დანახარჯების უმეტიანობა, შიშობა ითქვას, აღარ ფუნქციონირებს.**

ზოგი, მოგეხსენებათ, ოფიციალურად გააუქმეს, მაგალითად, ისეთი დიდი სკოლები, როგორცაა ფსიქოლოგიის სკოლა, ფილოსოფიის ინსტიტუტი, ხოლო ისეთი ინსტიტუტები, როგორც ჩვენია, რეალურად გაუქმებულია. არადა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი არის ქვეყანაში დარჩენილი ერთადერთი დანესებულება, რომელსაც სახელმწიფო ენის ბედი ახარია.

— **ესე იგი, პირველი პრობლემა, რომელიც განუხებთ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისთვის სტატუსის აღდგენა, კერძოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტისთვის.**

— დიახ. მთავარი სტატუსია და არა შენობა, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს თვალი დაადგეს გასაყიდად. ინსტიტუტების ლიკვიდაცია შეიძლება სწორედ შენობებთან იყო დაკავშირებული. სტატუსის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია დაფინანსებასთან, იმ სამეცნიერო გეგმების განხორციელებასთან, რომლებიც დასახულია და გარკვეულ შედეგზე გათვლილი.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ტერმინოლოგიაში.

უცხოური ტერმინოლოგიით გაიძეძა ჩვენი სალიტერატურო ენა. სრულიად უკონტროლო მდგომარეობაა რეკლამებში, სახელწოდებებში, ფირნიშების წარწერებზე. საგანგაშო ვითარებაა. ენას ზოგადად არ ეშინია უცხოური სიტყვების. ქართული ენა ამის მაგალითია. უამრავი სიტყვა შემოჭრილი ყველა იმ ენიდან, რომელთანაც კავშირი გვქონია: ბერძნულიდან, ლათინურიდან, სპარსულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, რუსულიდან... მაგრამ ამას ქართული ენის სახე არ შეუცვლია. ეს ბუნებრივი პროცესი იყო. მთავარია ძირეული ლექსიკისა და გრამატიკის სიმყარე, მაგრამ არსებობს კანონზომიერება: თუ გარკვეული პერიოდის მანძილზე დიდი რაოდენობით ხდება ლექსიკის ცვლა, ეს თვისობრივ ცვლილებაში გადადის. ენის თვისობრივი ცვლილება კი ძალიან საშიშია, რადგან მაშინ ენა კარგავს თავისთავადობას.

ცალკე სათქმელია, რომ დღემდე არარსებული ინტონაციით მეტყველებენ ჩვენი ჟურნალისტები, ექსპერტები, ანალიტიკოსები და ა.შ. — წამღერებით: თუ გსურთ, მთელმა თბილისმაა და მისთ. ეს არ არის ქართული ინტონაცია და ასეთი მეტყველება იმდენად ძნელი აღსაქმელი ხდება, რომ ჩვენებურები ირანსა და თურქეთში ჩივიან, ტელევიზიითა და რადიოთი უნინ მოსმენილისგან განსხვავებით ასეთ ქართულს ვერ ვიგებთო. თუ შეიძლება, ცოტა ნელა ილაპარაკონო: ჩქარი ტემპიც არაქართულია.

— **არადა, ჩვენი ელექტრონული მედიის ჟურნალისტები ისე აჩქარებით მეტყველებენ, რომ გეშინია, ენა არ დაიზიანონ. ეტყობა, ეს „ბურატინო“ ლაპარაკი, როგორც ადრე იტყოდნენ, ნახალისებულია.**

— სიჩქარეში ბგერები იყლაპება. ქართული სიტყვა რთულია, მრავალმარცვლიანი და გამოთქმაც შესაფერისი სჭირდება.

როცა უცხოური გავლენა ძლიერია, ენაში სიღრმისეული ცვლილებები ხდება და ამას აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოებრივი დაცვა შესაბამისი ინსტიტუციების მეშვეობით.

საგანგებო ინსტიტუცია 1941 წლიდან მუშაობდა ენის ნორმებზე, ერთის მხრივ, ტერმინოლოგიაზე და, მეორე მხრივ, წერისა და მეტყველების კულტურაზე იყო ორიენტირებული. აღნუსხავდა შეცდომებს, გამოსცემდა სამეცნიერო სტატიებს იმ ხარვეზების შესახებ, რითაც ბინძურდებოდა ენა. ამ კვლევების საფუძველზე მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწი-



დედაენის ქვბლი

ფო კომისიაში (1953 წლიდან არსებობდა) წარადგენდნენ შესაბამის მასალებს, წინადადებებს და კომისია ამტკიცებდა სახელმწიფო ენის ნორმებს.

— **მეორე პრობლემა, როგორც მივხვდი, სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის აღდგენა.**

— ეს აუცილებელზე აუცილებელია. ჩვენ გამუდმებით ვმუშაობთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე, რომელიც ნორმატიულია და, რასაც ვუყურებ, ამ ხნის მანძილზე, უამრავი ნორმა შეიცვალა; გამოვცემთ პატარა ლექსიკონებსაც — სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი და ა.შ. ამ გამოცემებში შეტანილია ყველა დღეს არსებული სიახლე, მაგრამ მათი დამკვიდრებისთვის უნდა არსებობდეს სახელმწიფო ინსტანცია, რომელსაც წარვუდგენთ ამ სიახლეებს, დამტკიცდება და ყველასთვის სავალდებულო გახდება.

მესამე საკითხი. პარლამენტში, სადაც, ფაქტობრივ, ყველა ძირითადი მიმართულების კომიტეტი არსებობს, ქართული ენის არც კომიტეტია, არც ქვეკომიტეტი და არც არაფერი. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უნინ არსებობდა ქვეკომიტეტი, რომელსაც ბოლოს მანანა გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა, ძალიან საინტერესო სხდომები ტარდებოდა.

პარლამენტში მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ენის საკითხების შესახებ მსჯელობა, მათ შორის, ენის კანონის შესახებაც. სამი ვარიანტი გაკეთდა სახელმწიფო ენის კანონის, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრების გამო დამტკიცება ვერ მოხერხდა.

სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების პრობლემის მოსაგვარებლად გადაწყვიტი, ჩემი აზრით, არის პოლიტიკური ნება.

— **სამი პრობლემა ვთქვით. არის კიდევ რამე?**

— 90-იანი წლების ბოლოს გაჩნდა ახალი სამთავრობო სტრუქტურა — ენის სახელმწიფო პალატა. აუცილებლად უნდა არსებობდეს მიღებულ გადაწყვეტილებათა განმასხორციელებელი სტრუქტურაც, განსაკუთრებით რეგიონებში ამ მიმართებით სამუშაოების განსახორციელებლად. ენის სახელმწიფო პალატას დიდხანს არ უარსებია, მაგრამ ძალიან სასარგებლო საქმეს დაადგა თავი. რაიონებში გაიხსნა ოფისები, დაინიშნენ კვალიფიციური თანამშრომლები, რომლებიც სახელ-

მნიფო ენის პოლიტიკას ადგილებზე განახორციელებდნენ. ეს იყო ერთგვარი ცენტრები, რომლებშიც დაინტერესებული მოქალაქეები იღებდნენ საჭირო კონსულტაციას და ა. შ. ამასთან, ამ პალატამ ძალიან კარგი საქმე გააკეთა არაქართული რეგიონებისთვის ქართული ენის მასწავლებლების მომზადებისა და გადამზადების თვალსაზრისით. მისი ძალისხმევით ამ რაიონებში გაჩნდა ქართული ენის შესწავლის მოთხოვნა და სწავლებაც მალალ დონეზე წარიმართა.

— **არ იქნებოდა ცუდი, თუ აღადგენენ ენის სახელმნიფო პალატას?**

— დიახ. და კიდევ: თანამედროვე მსოფლიოში ენების ელექტრონულ ბანკებს ქმნიან, წყაროების ელექტრონულ ბაზებს, იმიტომ, რომ ახლა უკვე შეუძლებელია მოძველებული საბარათო სისტემით მუშაობა. ასეთი ბაზების შესაქმნელად ევროპულ და, ასევე, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში უზარმაზარი თანხები იხარჯება.

— **საქართველოში არის მსგავსი რამ?**

— ჩვენთან არ არის და სწორედ ამიტომ გავუსვი ხაზი ენი-სადმი სახელმნიფოებრივ დამოკიდებულებას. ძალიან ოპერატიულად უნდა შეიქმნას ჩვენთან ასეთი ბაზები, რადგან თანამედროვე მცირერიცხოვანი ერების ენების ხსნა სწორედ ტექნიკური უზრუნველყოფით არის შესაძლებელი. ახლა უკვე შეიძლება ნებისმიერი ენიდან კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით თარგმნა. ეს იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ადამიანმა არ თქვას უარი თავის მშობლიურ ენაზე და მაინც და მაინც უცხო ენების — ერთის, მეორის, მესამის შესწავლაში დაინახოს თვითდამკვიდრების ერთადერთი შანსი. უცხო ენების ცოდნა თავისთავად სიმდიდრეა, მაგრამ დღეს უცხო ენის ცოდნა უმთავრესად საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს. უნივერსიტეტის პროფესორი ჯულიეტა ღვამიჩავა მეუბნებოდა: ჩვენ ვასწავლიდით ენას კულტურასთან ზიარებისთვის. **ახლა საყველჯურო, სალაპარაკო ენის სწავლებით კმაყოფილდებიან, საკომუნიკაციო ინგლისურით. ენების სწავლებამ პრაგმატული ხასიათი შეიძინა.**

ასე რომ, სახელმნიფო ენის სამსახურში უახლესი ტექნიკაც უნდა ჩავაყენოთ.

— თქვენი ინსტიტუტი არის მზად ასეთი ელექტრონული ბაზების შესაქმნელად?

— კი. მაგალითად, ახლა უკვე დავასრულეთ განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია. კეთდება ტერმინოლოგიური ბაზები, მუშავდება ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი-თესაურუსი, ბატონი თამაზ გამყრელიძის იდეა არის ეს. უკვე გვაქვს მილიონამდე ერთეული ამ ბაზაში და გარკვეული პროგრამული პროდუქტიც არის შექმნილი, მაგრამ საჭიროა რესურსები ამ ყველაფრის ბოლომდე მისაყვანად.

— **ესე იგი, დაფინანსება — კიდევ ერთი პრობლემა.**

— ეს პრობლემათა პრობლემაა, რადგან ყველა ლექსიკონი ახლიდანაა გასაკეთებელი. ჩვენი ლექსიკონები გამოცემულია მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში და შემდგომ პერიოდში, ენის მაშინდელი მდგომარეობა კი დღეს სრულიად შეცვლილია.

* * *

ამ რუბრიკის ადრესატი და ჩვენი მკითხველებიც დაგვეთანხმებიან, რომ პრობლემები არის, თანაც საშური და მათი მოგვარება ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმეა.

2012 წლის 21 ნოემბერი

ლეო ბოკერია:

**სანამ სოცხალი ვარ, ვიტყვი,
რომ ბალტიის ქვეყნებს,
შუა აზიას და ამიერკავკასიას —
ყველა ერთად ჩემი სამშობლოა**



აკადემიკოსი ლეო ბოკერია

ბატონი ლეო ბოკერია მსოფლიოში სახელგანთქმული კარდიოქირურგია: ხუთჯერ აქვს მინიჭებული „ნელინადის ადამიანის“ წოდება, „ათწლეულის ადამიანის“ და „ადამიანი ლეგენდის“ ტიტულები. არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, არჩეულია აშშ ქირურგთა ამერიკული კოლეჯის საპატიო წევრად, რომელშიც მხოლოდ

100 საპატიო წევრია გაერთიანებული.

მხოლოდ 100 მთელი მსოფლიოდან.

ეს განსაკუთრებული პატივია, ჩაურთავს რეპლიკას ბატონი ლეო, როცა „საქართველო და მსოფლიოს“ რესპონდენტის ჰიპოსტასში მყოფს, მისი ტიტულების ჩამოთვლას შევუდგები.

წოდებათა ამ ნუსხას (პრემიებზე არაფერს ვამბობ) კიდევ ერთი შეემატა — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი(!) აკადემიკოსის, რომლის დამადასტურებელი ატრიბუტიკა ბატონ ლეო ბოკერიას აკადემიის პრეზიდენტმა ოთარ კვეციტაძემ ამ ორშაბათს გადასცა ვიცეპრეზიდენტების როინ მეტრეველისა და თემურ ნანეიშვილის, აკადემიკოს-მდივნის — ფრიდონ თოდუას, საქართველოს თვალსაჩინო მედიკოსების — ლაურ მანაგაძის, რომან შაქარაშვილის, რეზო გაგუას და საზოგადო მოღვაწეების — ზურაბ აბაშიძისა და ბაკურ გულუას თანდასწრებით.

ეს საზეიმო აქტი განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩა, რადგან ლეო ბოკერიას მეცნიერული მიღწევების გამონვლილივით აღნიშვნის გარდა შეკრებილთაგან ყველას თავისი სათქმელი აღმოაჩნდა, გასახსენებელი, მოსათხრობი სტუდენტური წლებიდან დაწყებული, ერთობლივი მოღვაწეობით გაგრძელებული და ბოკერიას წყალობით ავადმყოფი მეგობრის გადარჩენის ამბით დამთავრებული.

სტუმარიც გაიხსნა და იქ გამართული საუბრის მოსმენა ფართო საზოგადოებრიობისთვის ნამდვილად საინტერესო იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ ხალხს ერთად შეკრებილს და „ცენზურის გარეშე“ ალაპარაკებულს, ვეჭვობ, სადმე და ოდესმე გადაეყაროთ.

სხვა დროისთვის გადავდოთ, ეგებ მოგვეცეს გამოქვეყნების საშუალება.

ან — არა.

თქვენ ნამდვილად ღმერთი ხართ, — არაერთხელ უთქვამთ ლეო ბოკერიასთვის პატარა პაციენტების მშობლებს, რომელთა შვილებიც ამ უებარ დასტაქარს სიკვდილისთვის ხელიდან გამოუტაცნია.

— კარგად შემომხედეთ! — ღიმილით უთქვამს ბატონ ლეოს მადლიერი ადამიანებისთვის, — ვგავარ მე ღმერთს?!

ეგ არავინ იცის, ბატონო ლეო, რადგან ღმერთი არავის უნახავს, ხოლო ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ნამდვილი სასწაულია.

როცა თქვენი ხანგრძლივი სამედიცინო მოღვაწეობის პრაქტიკაში 15 ათასჯერ გაგიჩერებიათ დაავადებული გულეები, გაგიკეთებიათ უნიკალური ოპერაციები და კვლავ აგიმუშავებიათ ჩასაქრობად განწირული მთავარი სასიცოცხლო ორგანო ადამიანის ორგანიზმის, სასწაულია, აბა, რა არის?!
 ლეო ბოკერია ბაკულებელის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორად, წლებია, მუშაობს.

— ბატონო ლეო, — იწყება ჩვენი საუბარი, — ოთარ კვესიტაძესთან გუშინ რომ დავრეკე, შევეკითხე, ბაკულები როდის ჩამოდის-მეთქი?

არ გააკვივრდეთ, თქვენი გვარის ასოცირება ინსტიტუტთან დღეს იმდენად გამჯდარია საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რომ ბაკულები, ბურაკოვსკი, ბოკერია ერთ მცნებად ყალიბდება, ერთმანეთში გადაედინება. ასეა გავრცელებული.

— (არ უკვირს. ელიმება. როგორც ჩანს, მეთანხმება). თბილისელი კაცი ბურაკოვსკი ჩემი მასწავლებელი იყო.

— თქვენთვის ჩამორთმეული ერთ-ერთი ინტერვიოდან ამოვიკითხე, რომ, თუ თქვენს ინსტიტუტში 1996 წელს 1200 ოპერაციას აკეთებდით გულზე, 2009 წელს — ათი ათასი იყო. ნიშნავს ეს, რომ დაავადებული თაობა ავადმყოფ ბავშვებს შობს?

— არა, არ ნიშნავს. გულსისხლძარღვოვანი დაავადებანი მსოფლიოში პირველობს. ეს ცნობილია. ხოლო რაოდენობის ის ზრდა, რაც დაიმონმეთ, გამოწვეულია უკეთესი გამოვლენითა და დაფინანსებით. რუსეთის ფედერაციაში აშენდა გულსისხლძარღვოვანი ქირურგიის ფედერალური ცენტრების საკმაოდ დიდი რაოდენობა. 1995 წლიდან მოცულობის ზრდა გეომეტრიული პროპორციით ხდება. მაგალითს გეტყვით, 1991 წელს კათეტერიტი ანგიოპლასტიკის 1000-ზე ნაკლებ ოპერაციას ვაკეთებდით, შარშან კი 80 ათასი გაკეთდა. არადა, 500 ათასის გაკეთებაა საჭირო. გაჩერებულ გულზე მთელ რუსეთში 1995 წელს 6000 ოპერაცია გაკეთდა, შარშან — 50 ათასზე მეტი. გვჭირდება 143 ათასი ერთ მილიონ მოსახლეზე. უახლოეს სამ წელიწადში ხელისუფლება აპირებს ერთნახევარჯერ გაზარდოს მაღალტექნოლოგიური დახმარების მოცულობა და ამით დაზღვევის მედიცინა მაღალტექნოლოგიური დახმარების მთავარი კომპონენტი გახდება.

— გაზეთმა „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ოთარ კვეციტაძის ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, რომ ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ არ უნდა დაკარგოს შემოქმედებითი ურთიერთობა რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო ცენტრებთან, უნინარეს ყოვლისა კი, მოსკოვისა და პეტერბურგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

— ყოველმხრივ მხარს ვუჭერ ამ პოზიციას. ეს ორმხრივ სასარგებლო მოძრაობა იქნება. ჩემი ცხოვრებისეული პოზიცია აც და ფილოსოფიური პოზიცია აც ასეთია და ჩვენ ამას განვახორციელებთ კიდევ, ვაგრძელებთ პრაქტიკაში. ჩვენთან ორდინატურაში, ასპირანტურაში თითქმის სამასი კაცი სწავლობს.

— „ქართული კოლონია“ ახსენეთ მეგობრებთან საუბარში...

— ამ სამასიდან ხუთი პროცენტი მაინც საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდები არიან. იცავენ დისერტაციებს, ბრუნდებიან საქართველოში. თბილისშიც, ქუთაისშიც არიან ჩვენი მოსწავლეები და, მგონია, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

— თქვენ ეს-ესაა თქვით, რომ აკადემიკოსი ბურაკოვსკი, თბილისელი კაცი, თქვენი მასწავლებელი იყო. მან გამოგიყვანათ დიდ სამეცნიერო ასპარეზზე. ბატონი ფრიდონ თოდუა იხსენებდა ამასწინათ, რომ სწორედ თქვენ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაეხმარეთ მას, თბილისიდან მოსკოვში ჩასულ ახალგაზრდა კაცს.

— დღეს აქ ლაურ მანაგაძემაც ილაპარაკა ჩვენს ასეთ ურთიერთობაზე. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ, თუ ადამიანი ნიჭიერია, მხარში უნდა ამოუდგე რჩევით მაინც, რაც შეგიძლია და როგორც შეგიძლია ისე დაეხმარო უცხო გარემოში გზა რომ გაიკვალოს.

ლაურ მანაგაძესთან ერთად სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ერთ დერეფაში მეზობლები ვიყავით. ვხედავდი, რომ ძალიან ნიჭიერი კაცი იყო და მას მართლაც სჭირდებოდა მორალური თანადგომა, რწმენის განმტკიცება, პერსპექტივის ჩვენება.

ამასწინათ სახელმწიფო სათათბიროში ერთ მნიშვნელოვან თათბირზე მომინია გამოსვლა, სადაც ვთქვი, რომ მე, ახალგაზ-

რდა კაცი, ასპირანტურაში სწავლისას 67 რუბლს ვიღებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ თუ დავიცავდი დისერტაციას, ჩემი ხელფასი 220 რუბლი იქნება, სადოქტოროს დაცვის შემდეგ — 400 რუბლი. ჩემთვის ეს სტიმულიც იყო და ცხოვრებისეული მიზანიც. ამის თაობაზე ვესაუბრებოდი სტუდენტობის დროს ლაურსაც და ფრიდონსაც.

ეს ნორმალურია ყველა ადამიანისთვის, ასე მგონია.

ბეჯითი მოწაფის მიერ დაზეპირებულივით ჩამოვუთვალე ბატონ ლეოს მისი წოდებები, პრემიები, ტიტულები აკადემიების წევრობა და მაინც ბოლოში ვერ გავედი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ ბატონმა როინ მეტრეველმა მანიშნა — დაამთავრე, ძალიან დაძაბული პროგრამა აქვს და ვერ მოასწრებსო.

ლეო ბოკერია, როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, არ მაგრძნობინებდა, რომ მის დროს ვფლანგავდი, პირიქით, ჩემს ჩამონათვალს კიდევ ერთი სიცილით დაუმატა:

— მე კიდევ, რომ იცოდეთ, სამხატვრო აკადემიის საპატო ნევრიც ვარ.

— დღეს კი მეცნიერებათა ჩვენი აკადემიის ნევრიც გახდით. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

— ერთხელ, როცა ტიტულები უკვე მქონდა, მკითხეს, ყველაზე უფრო რომელი მემამაყება. ვუპასუხე, რომ ჩემთვის ყველაზე უფრო საამაყოა ქალაქ ფოთის საპატო მოქალაქეობა. ქალაქისა, რომელშიც გავიზარდე. ჯერ კიდევ ვლადიმერ ბურაკოვსკი მასწავლიდა, რომ მთავარია, შინ, სახლში ყველაფერი დალაგებული გქონდეს, და მეც ყოველთვის ამ პრინციპის მიხედვით ვცდილობდი, მეცხოვრა. ერთხანობას ძალიან ბევრი დრო დავყავი საზღვარგარეთ, მიმაჩნდა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრესტიჟისთვის. მაგრამ შემდეგ თანდათან შევკვეციე მივლინებების რაოდენობა, ძირითადად, ინსტიტუტში ვიმყოფები, რადგან ვიცი, რომ თუ იქ კარგადაა ყველაფერი, გარშემოც კარგად იქნება.

ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობა ჩემთვის დიდი პატივია. ეს ბევრს მავალებს. მაგრამ ყოველთვის ხუმრობით ვამბობ — რომელი უცხოელი ნევრი მე ვარ?! (ელიმება). მე აქაური ვარ.

— ერთ-ერთი მოსკოველი ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა-

ტომ არ დარჩით ამერიკაში, როცა მუშაობის ზღაპრულ პირობებს გადავაზობდნენ, თქვენ უპასუხეთ: „აქ (მოსკოვში) არის ჩემი სახლი. აქ არის ჩემი ოჯახი, აქ არიან ჩემი შვილები, შვილიშვილები, მეგობრები, აქაა ჩემი ბაკუღევის ცენტრი. მე არ მეშინია ხმამალალი სიტყვების — აქაა ჩემი სამშობლო“.

საქართველო, ბატონო ლეო?!

— საქართველო ჩემთვის სინმინდია.

მე ხშირად დავდივარ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ამჟამად სუვერენულ სახელმწიფოებში. ერთ-ერთი დიდი ქვეყნის პრეზიდენტთან საუბრის დროს ვუთხარი, რომ ეს ჩემი ქვეყანაა. მე დავიბადე იმ ქვეყანაში, რომელიც ერთიანი სახელმწიფო იყო და როცა ვამბობ, რომ მოსკოვი ჩემი სამშობლოს დედაქალაქია, ეს მართლაც ასეა. ახლა, სამწუხაროდ, ამბობენ, სხვა ქვეყანაში დავიბადეო, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ვიტყვი, რომ ბალტიის ქვეყნებიც, შუა აზიისაც და ამიერკავკასიაც, ყველა ერთად ჩემი სამშობლოა.

საქართველო კი, ვიმეორებ, ჩემთვის სინმინდია, რადგან აქ ჩავისუნთქე პირველად ჰაერი, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, აქ ვსწავლობდი სკოლაში, ქართული ენა ჩემი მშობლიური ენაა. აქ ვგრძნობ დიდ სიყვარულს და პატივისცემას. ჩემთვის საქართველო აბსოლუტურად წმინდა ადგილია. ეს არ ენიშნაღმდეგება ჰუმანიზმის პრინციპებს და ადამიანის როლსა და დანიშნულებას ამ დედამიწაზე.

— ბოლო შეკითხვა: როგორ იწინააღმდეგებთ ფორმას? კრემლის დიეტის გარდა, რა საიდუმლოს ფლობთ?

— (გულიანად იცინის). კრემლის დიეტა, არა? სინამდვილეში ეს ამერიკელი ასტრონავტების კვების რაციონია.

— და მართლა დილის ექვს საათზე იწყება თქვენი სამუშაო დღე?

— არა, ასე არ არის. ახლავე გეტყვი. თუ მართლა ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ კარგ ფორმაში ვარ, მაგლობას მოგახსენებთ. როცა ოპერაციების გაკეთება დავიწყებ ბაროკამერაში, რომელშიც წნევა წყალქვეშ, 25 მეტრის სიღრმეზე წნევის ეკვივალენტურია, მივხვდი, რომ საკუთარი თავისთვის უნდა მიმეხედა, არ გავციებულიყავი, რაღაც ამეკრძალა, რაღაც შემომელო. ვიცავ რეჟიმს. თუმცა (ელიმება) არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის. ვცდილობ, ზედმეტი არც

ვჭამო, არც დავლიო. ვვარჯიშობ, ვცურავ, მაქვს ველოსიპედი, ველორგომეტრი, „მორბენალი ბილიკი“, მონყობილობა თავქვე დასაკიდებლად. ეს ყველაფერი დღესაც ჩემი ცხოვრებისეული პრაქტიკის თანმდევაა. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც რეჟიმის დაცვაა. ძალიან გვიან ვიძინებ, ვდგები 6 საათზე.

— **გყოფნით ძილი?**

— არა, რა თქმა უნდა. შაბათობით ვივსებ დანაკლისს, გამოვიძინებ ხოლმე. სამსახურში მივდივარ რვის ნახევარზე, რვა საათზე კი უკვე საოპერაციოში ვარ. ამ ნახევარ საათში 3-4 ადამიანის მიღებას ვასწრებ; ოპერაციების შემდეგ — საზოგადოებრივი საქმე, მიღებები, შეხვედრები; საღამოთი — ფოსტა... ასე გრძელდება 5 დღე კვირაში.

მომდევნო კვირაში ყველაფერი თავიდან იწყება.

2014 წლის 5 თებერვალი

ჩვენ კოსმოსში გაველით

ზუსტად 15 წლის წინათ, ამ დღეს, ანუ 23 ივლისს ორბიტაზე გავიდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი — რეფლექტორული ანტენა. იყო წელი 1999.

16 ივლისს, 19 საათზე, 37 წუთსა და 33 წამზე კოსმოდრომ ბაიკონურიდან რაკეტა-მატარებელმა ორბიტაზე კოსმოსური ხომალდის „პროგრეს-42“-ის გასაყვანად აიღო სტარტი.

კოსმოსური ხომალდის საბარგულში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი დაკეცილი იღო.

18-ში ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ სადგურ „მირს“, რომელზეც იმყოფებოდა კოსმონავტების ინტერნაციონალური ეკიპაჟი.

23-28 ივლისს ორბიტული სადგურიდან ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებით გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი — გასაშლელი რეფლექტორი მაქსიმალური გაბარიტით 6,42 მეტრი.

28-ში რეფლექტორი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დედამიწის ირგვლივ დამოუკიდებელ ორბიტაზე. 23 ივლისი საქართველოში გამოცხადდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ. საქართველოსთვის ამ ისტორიულ მოვლენაზე, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ ქართველთა მიზანსწრაფვისა და გამარჯვების სიმბოლოდ



აკადემიკოსი
ელგუჯა მამარიაშვილი

ალიქვა, ყოფილმა ხელისუფლებამ თვალი დახუჭა — ვითომც არაფერი მომხდარა.

ზუა გენერალური კონსტრუქტორისა

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი იყო ელგუჯა მეძმარიაშვილი. იმ პერიოდისთვის მას ჩამოყალიბებული ჰქონდა ორი ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირები: საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, რომელშიც გენერალური კონსტრუქტორის თანამდებობა ეკავა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, რომლის პრეზიდენტი თავად იყო.

მეძმარიაშვილმა ზუსტად გათვალა მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც ყოფილი ხელისუფლების მიერ მეცნიერების უგულვებელყოფის პოლიტიკას შეიძლებოდა მოჰყოლოდა და გროსმაისტერული სვლით იავარქმნას გადაარჩინა ერთიცა და მეორეც: ოფიციალურად, მთავრობის დადგენილებით მოახსენებინა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ორივე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალთას შეაფარა.

ასე გაჩნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

მოკლედ, ასეთია ამ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გენეალოგია.

დღეს ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილი ამ ინსტიტუტში გენერალური კონსტრუქტორია.

აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ ის საქმენი, მხოლოდ რამდენიმე, მხოლოდ ამორჩევით, რომლებიც ელგუჯა მეძმარიაშვილს უკეთებია.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მან თავისი წვლილი შეიტანა ორი კოსმოსური სისტემის პროგრამების განხორციელებაში. მისი გვარი ჩანერილია სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის 66 გენერალური კონსტრუქტორის სიაში, რომლებიც ამ დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. ერთი სამუშაო უკრაინის აკადემიის პრეზიდენტთან — პატონთან ერთად კოროლიოვის სახელობის სამეცნიერო გაერთიანება

„ენერჯიაში“ განახორციელა. მეორე ორბიტულ სადგურ „მირის“ რესურსის გაგრძელებასთან იყო დაკავშირებული.

ამჟამად ბატონი ელგუჯა ორი მიმართულებით მუშაობს: პირველი სამხედრო-საიერიშო ხიდების კონსტრუქციების თემატიკაა.

მეორე — საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტებია.

იქ, მეცხრე ცაზე, ზემოთ

— კოსმოსში გასვლის პირველმა დღემ კურიოზის გარეშე ვერ ჩაიარა: კოსმონავტს შეეშალა და 27-ვოლტიანი ბუდის ნაცვლად 7-ვოლტიან დენის ნყაროში ჩართო ჩვენი რეფლექტორი, მაგრამ ობიექტი სამმაგი დუბლირებით იყო უზრუნველყოფილი და მალევე ყველაფერი გასწორდა — 28 ივლისს ყველამ დაინახა (რადგან პირდაპირ გადაიკუმოდა ტელეეთერში), რომ რეფლექტორი გაიშალა. ეს მოვლენა შევიდა კოსმონავტიკის ისტორიის ქრონიკათა ძირითად ჩამონათვალში (აღწერილია მრავალი ქვეყნის კოსმონავტიკის ენციკლოპედიებში), ასევე, აღინიშნა, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ორბიტაზე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების დიდი რეფლექტორების შესაქმნელად.

— ეს — საერთაშორისო მასშტაბით. საქართველოსთვის თუ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა?

— საქართველოსთვის მართლაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფოც კი მხოლოდ ვიმპელებს ატანდა კოსმონავტებს და ამით აფიქსირებდა თავის ხელქმნილ ყოფნას კოსმოსში. ამას ზეიმობდნენ.

ქართველებმა შევძელით, ორბიტაზე გაგვეტანა მაღალტექნოლოგიური, უნიკალური პროდუქცია, რომელმაც სრულად გაამართლა, რაც მსოფლიომ აღიარა.

ამის შემდეგ იყო კოსმოსური სისტემების შექმნის სამუშაოები „დაიმლერ-ბენც აიროსპეისთან“, იტალიურ კომპანია „ალენია სპაციოსთან“; ევროპული ტენდერი, რომელიც მოვიგეთ, მაგრამ ზოგიერთმა ქვეყანამ შეცვალა რეფლექტორის ფიგურა და კომპოზიცია, რითაც თითქოს გააიფა თავისი კონსტრუქცია. მაშინ იძულებული გავხდით, გამოვსულიყავით ტენდერიდან, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ აღნიშნული ცვლილებები არ გაამართლებდა. ასეც აგახდათ ყველაფერი

კარგი — ის რეფლექტორები არ გაიშალა.

ევროპულმა სააგენტომ გვთხოვა, რომ გაგვეგრძელებინა მუშაობა ამ საკითხებზე. სააგენტოს ეგიდით თბილისში გაიმართა პირველი კონფერენცია, მეორე წლელულ ჩატარდება; დამზადდა სამი კონსტრუქცია აღნიშნულ სააგენტოსა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

ახლოდან დანახული რეფლექტორი

ბატონი ელგუჯა პოპულარულად, პროფესიული დეტალებისა და ტერმინოლოგიის გვერდის ავლით მიხსნის, რომ მის მიერ შექმნილი კოსმოსური ანტენა ნემსივით ზუსტადაა მიმართული იმ ობიექტისაკენ, რომელიც მოცემულ მომენტში ჩვენი ინტერესის საგანი შეიძლება იყოს.

— რაღაც წერტილოვანი დაბომბვის მსგავსი?

— (ელმება) შეიძლება ასეც ითქვას. სწორედ ეს არის ჩვენი რეფლექტორის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

— კოსმოსური ანტენები, — გრძელდება შემეცნებით-განმარტებითი საუბარი, — ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია, რომელიც ემსახურება სამხედრო-სტრატეგიული ამოცანების შეუცდომლად გადაწყვეტის საქმეს. მათი მეშვეობით ხდება, მაგალითად, ბალისტიური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენისა და შეტყობინების სისტემების სამხედრო ტექნიკის მართვა, წყალქვეშა ნაგების კოორდინატების განსაზღვრა; ასევე — დაკვირვება პლანეტებზე, ვარსკვლავებზე, კოსმოსურ სივრცეებზე; დედამიწის ფლორისა და ფაუნის შესწავლა, ინტერნეტის, სატელევიზიო, რადიოსიგნალების გადაცემა და უამრავი სხვა რამ, რაც დღეს ასე აუცილებელია კაცობრიობისთვის.

2009 წელს ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ სამეცნიერო კონფერენცია თბილისში ჩაატარა 27 ქვეყნის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელმძღვანელ ორგანოში დავარიგეთ მოსაწვევი ბარათები და მოსვლა ვთხოვეთ ამ სახელმწიფო სტრუქტურების თავკაცებს, სამი დღის განმავლობაში ვერც ერთმა მათგანმა დასასწრებლად „დრო ვერ გამოიხაზა“. არც პრესის, არც ტელეარხების ჟურნალისტები არ მოსულან.

ბ ა ჰ ჰ ვ ი რ ვ ა ბ ი ა თ ი მ ა შ ი ნ დ ი დ ა დ ე ვ რ ო ვ ა ე ლ მ ე ც ნ ი ა რ ა ზ ს ა ს ა თ ი დ ა მ ო კ ი დ ა ზ უ ლ ე ბ ა ი მ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა ქ ი ა -

ნოზისადმი, რომელსაც ქართული მეცნიერები კოსმოსის ათვისების დარგში ენაოღნენ.

— ამგვარი უყურადღებობის შემდეგ, — **განაგრძობს ელგუჯა მეძმარიაშვილი**, — არავითარი პრეტენზია არ გვაქვს პოპულარობაზე. ასეთია გენერალური კონსტრუქტორების ბედი.

დღევანდელი აქცენტები

წერს წიგნებს. სულ რამდენიმე თვეში დასრულდება შვიდწლიანი შრომა და გამოვა პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი, რომლის სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი თავად არის. გაისად ამერიკაში გამოიცემა მისი წიგნი „ტრანსფორმირებადი გასაშლელი სისტემები დედამიწაზე და კოსმოსში“ (ინგლისურ ენაზე).

გერმანიაში გამოცემული აქვს წიგნი სამხედრო ხელოვნებაში — არაპირდაპირი სტრატეგიის ანალიზი, რომლის ციტირებაც მოკლე დროში მოხდა, ასევე, ორი მონოგრაფია — მათ შორის, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები და ა. შ. მეხუთე წელია, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემოღებულია ახალი დისციპლინა — ტრანსფორმირებადი სისტემები (კურსს ელგუჯა მეძმარიაშვილი უძღვება); მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით პირველად სწორედ ტექნიკურ უნივერსიტეტში ორიოდ კვირის წინ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გენშტაბის დღევანდელმა უფროსმა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.


— კიდევ ერთ წიგნსა ვწერ. ესაა ჩემი ჩანაწერები იმ ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, რომელთა მოწმე და მონაწილეც ვყოფილვარ.

არადა, ბევრი რამ ისეთი უნახავს, რის შესახებაც ფართო საზოგადოებრიობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

— **დრო შეიცვალა, ხელისუფლების დამოკიდებულება თქვენი მეცნიერებისადმი დღეს როგორია?**

— ინსტიტუტის თემატიკა შეისწავლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. დაისახა კონკრეტული სამუშაოები და მათი შესრულების გზები.

თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობა ორმხრივი მიმართულებისაა. ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებშიც ჩართული არიან მეცნიერებათა აკადემია, ტექ-



**რეზულეტორი — პირველი ქართული
კოსმოსური ობიექტი ორბიტაზე**

ნიკური უნივერსიტეტი, თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი.

— მივადექით ფინალს და ახლა მაინც ვუთხრათ მკითხველებს, რა ნოდებები გაქვთ მონიჭებული?

— სამხედრო ნოდებით გენერალ მაიორი ვარ. სამეცნიერო ნოდებები ასეთია: ვარ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიისა და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, მონიჭებული მაქვს 15 სახელმწიფო და საუწყებო ჯილდო, მათ შორის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი.

P.S. ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის აღდგენა ანუხებს, უმეტესად, სამართლებრივ სივრცეში — წართმეული ქონების დაბრუნება იქნება ეს თუ უსამართლო განაჩენების გაუქმება.


მაგრამ სამართლიანობა მეცნიერების სფეროშიც რომ უნდა აღდგეს, უეჭველია.

ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია, მგონი, ადასტურებს, რომ ამის გაკეთება გადაუდებლად აუცილებელია.

თქვენ კი, ბატონო ელგუჯა, გილოცავთ იუბილეს!

2014 წლის 23 ივლისი

კიბოს წინააღმდეგ – ახალი ტექნოლოგიებით



მორიგი ხელშეკრულების გაფორმება

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც ფრიდონ თოდუას კლინიკის სახელით უფროა ცნობილი, გასულ კვირაში ხელი მოაწერეს კონტრაქტს უახლესი სხივური თერაპიის აპარატურის შექენის თაობაზე.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, საქმიანი სიტუაცია პროტოკოლის სრული დაცვით. ოვალურ სათათბირო მაგიდაზე — შესაბამისი დოკუმენტები და პარარეპტილიების მთელი რიგი — კუს დეკორაციული ფიგურები: „კუთა ქარს, კუთა რიგს“ — ეტყობა აქ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს — ნელა, მშვიდად, მაგრამ მიზნისკენ დაჟინებული სვლის გამოხატულებაა.

თუმცა მიზნისკენ ნელი სვლა თოდუას კლინიკაში ანაქრონიზმია, არ არსებობს, როგორც ასეთი.

სამედიცინო დარგის ყველა უახლესი მიღწევა, ყველა უახლესი ტექნოლოგია პირველად მაინც და მაინც აქ შემოდის და აქ ინერგება.

ასეთია ინსტიტუტის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას, მუშაობის სტილი, და ზემოთ მინიშნებულ კონტრაქტზე ხელის მოწერის ფაქტიც ამის დამადასტურებელია.

რა იგულისხმება ამჯერად ამ სიახლეში, მეცნიერი მედიკოსები განგვიმარტავენ.

პროფესორმა რომან შაქარიშვილმა განაცხადა,

რომ ახალი ტექნოლოგიების საქართველოში შემოტანა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ახალი ერის დადგომა ჩვენს სამედიცინო სივრცეში.

— ეს არის სხივური მედიცინის იმ მიმართულების დასაწყისი, რომელიც ფაქტობრივად მსოფლიო ცივილიზაციის შემოსვლაა ქართული სამედიცინო პრაქტიკისა და კლინიკური გამოცდილების სივრცეში.

სხივური თერაპიის ელემენტები აქამდეც არსებობდა საქართველოში, მაგრამ დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოვრჩით ამ ტექნოლოგიების საერთაშორისო დონეს. ამიტომ იყო, რომ საქართველოში სხივური მედიცინა ლამის კუსტარულ საქმიანობად იქცა. დღეის შემდეგ, შეიძლება ითქვას, გავდივართ იმ ორბიტაზე, რომელიც მსოფლიოშია.

დანადგარები, რომლებიც თოდუას კლინიკაში უნდა დაიდგას, არის თანამედროვე სხივური ტექნოლოგიები სხივური ამბიქარაბლის ბაზარზე, რაც საფუძველს უყრის ამ დარგის განვითარებას უკვე პირთვული მედიცინის საფუძველზე. ამით კი იქმნება პერსპექტივა, რომ სხივურმა თერაპიამ სხივური ქირურგიის კონტური მიიღოს, როცა ჩვენ დანის ნაცვლად სხივს გამოვიყენებთ წერტილოვანი დასხივებით.

ეს არამარტო ახალი დონეა ტექნოლოგიური მედიცინის, არამედ ეს არის, აგრეთვე, ახალი სამედიცინო კულტურის შემოტანა, ახალი აზროვნების განვითარების საფუძველი. ახალი ინტელექტის შემოსვლაა. შედეგად შეიძლება პროგნოზირება, რომ სანდთარესო ცვლილებები მოხდება სამედიცინო სტატისტიკა-

პი: ამ ინსტიტუტის გამომცდილებით ვიცი, რომ მან შეცვალა სიმსივნური დაავადებების სტატისტიკა — გაიზარდა სიმსივნური დაავადებების რაოდენობა. პარადოქსულად ჟღერს, რომ ამ ინსტიტუტს დამსახურებად ვუთვლით დაავადების რაოდენობის ზრდას. მაგრამ მან ამას მიაღწია მაღალი მგრძობელობის დიაგნოსტიკის დანერგვით, რამაც გაზარდა გამოვლინება ამ დაავადების. ეს ერთი.

მეორე. დღეს იმის მოლოდინი გვაქვს, რომ **ამ საშუალებით გაიზარდა სიმსივნური დაავადების მქონე ავადმყოფების რაოდენობა, რომლებიც ამ დაავადების გამო არ დაიღუპებიან, გაუსანბრებლებათ ამ სიმსივნეთან ბრძოლისუნარიანობა და გაზრდის მათი ცხოვრების ხანგრძლივობას, რაც დიდი მიღწევა იქნება.**

— გაიზრდება ასეთ ავადმყოფთა კონტიგენტი, — **საუბარში ერთვება პროფესორი რეზო ბაბუა, სააქციო საზოგადოება უნივერსალური სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი, — რომლებსაც ოპტიმალურად და თანამედროვე მეთოდებით ვუმკურნალებთ. ეს აპარატი, რომელსაც სხივური ამაჩქარებელი ჰქვია, უახლესი სიტყვაა მედიცინაში.**

— **და რომელიც თოდუას კლინიკაში უნდა დაიდგას. კონკურენტი გიძლიერდებათ, ბატონო რეზო?**

— *(ელიმება)* თეთრი შურით მშურს... სხივური ამაჩქარებელი ერთი და ორი არ ეყოფა საქართველოს. მეცნიერთა გამოთვლით, რვა მაინც უნდა იყოს. ვითარებაში, როცა მსოფლიოში (და საქართველოშიც) ონკოლოგიურ დაავადებთა კლების ტენდენცია არ შეიმჩნევა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი აპარატურა ჩვენთანაც დამონტაჟდება, მით უფრო, რომ ჩვენთან ყოველწლიურად კიბოს დაახლოებით 7 ათასი ახალი შემთხვევა ვლინდება, აქედან 70-75 პროცენტი მოდის დაავადების მესამე-მეოთხე სტადიაზე, როცა მკურნალობის რადიკალური მეთოდი, ქირურგიული ოპერაციები, არ გამოიყენება.

ასეთ შემთხვევაში ყველაზე ეფექტიანი მეთოდი სხივური თერაპიაა, რომელიც **გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ქირურგიული მკურნალობა უშედეგოა, არამედ იმ პაციენტებისთვისაც, რომლებსაც უკვე ჩატარებული აქვთ ოპერაცია, მაგრამ დაავადების რეციდივის გამო საჭიროებენ დამატებითი ონკოლოგიური**

მეთოდის გამოყენებას. ეს კი სხივური ამაჩქარებელია.

ეს მეთოდი ტრადიციული რადიოთერაპიისგან განსხვავდება იმით, რომ მიზანმიმართულად, უშუალოდ ზემოქმედებს სიმსივნურ უჯრედებზე, სიმსივნურ ქსოვილზე იმგვარად, რომ სხეულის დანარჩენ ნაწილზე უარყოფით გავლენას არ ახდენს.

სამედიცინო სისტემა „ვარიანის“ ევროპის ოფისის დირექტორის — ფრიც ღერესის პოზიცია ასეთია:

— დღეს რაც მოხდა, საქართველოში კიბოს მკურნალობის ახალი ათვლის წერტილია: დღეს ხელი მოვანერეთ კონტრაქტს, ფირმა „ვარიანის“ ახალი აპარატის — „თრუბიმის“ შექმნის შესახებ. **ეს არის უახლესი სხივური თერაპიის აპარატურა, რომელსაც აქვს ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის უამრავი საშუალება.**

კონტრაქტის გაფორმებიდან ამ ახალი ტექნოლოგიის ამოქმედებამდე მრავალი პროცედურაა შესასრულებელი: შესაბამისი შენობის მომზადება, აპარატურის დაინსტალირება, მიღება კლინიკური პრაქტიკის დასაწყებად. მოსამზადებელი პერიოდი, სავარაუდოდ, 2014 წლის მარტში უნდა დამთავრდეს. თუმცა, რაც აქ ვნახეთ, კერძოდ, მშენებლობა იმდენად კარგად მიმდინარეობს, შეიძლება უფრო ადრეც დამთავრდეს.

10-15 წლის წინანდელი ტექნოლოგიების შემოტანა უაზრობაა, ამიტომ ძველანაში, რომელსაც კლინიკური სამედიცინო პოტენციალი აქვს, სწორედ უახლესი ტექნოლოგია უნდა შემოვიდეს და დაინერგოს, ეს კი პაციენტებისთვის იქნება, უწინარეს ყოველისა, კარგი.

— პაციენტებისთვის კარგი ფინანსურადაც?

— ადგილობრივ უნდა განსაზღვროთ, ჩვენ, როგორც მწარმოებლები, ამ საკითხში არ ვერევიტ.

— მაშინ, როგორც მწარმოებლებს შეგეკითხებით: საქართველო თქვენ იპოვეთ თუ საქართველომ გიპოვათ?

— (იციინის). ეს, ალბათ, ორმხრივი კომბინაცია იყო. ჩვენ ვეძებდით ერთმანეთს და ვიპოვეთ კიდეც. რადიაციული ონკოლოგიის საზოგადოება საკმაოდ მცირერიცხოვანია, თუ ვინმე დაინტერესებულია პარტნიორის პოვნით, ამას, როგორც წესი, დიდი დრო არ სჭირდება.

საქართველოში ყოფნა საქმიანიც არის და სასიამოვნოც, უკვე მესამედ თუ მეოთხედ ვარ თქვენს ქვეყანაში და სულ უფრო

ვრწმუნდები, რომ საქმიან კონტაქტებს განსაკუთრებით შედეგადას ხდის თქვენი ქვეყნისა და ხალხისთვის დამახასიათებელი კეთილისმყოფელი აურა. სამწუხარო ისაა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ თბილისით ვიფარგლები. ვიმედოვნებ, რომ შემდეგი ჩამოსვლის დროს ჩემი თქვენთან ყოფნის არეალი გაფართოვდება.

— მოკლედ, — სიყვარული ერთი ნახვით?

— ასეა. მჯერა, რომ ურთიერთობას უფრო გავალრმავებთ.

ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ, როცა ამოისუნთქა მასპინძელმა, აკადემიკოს ფრიდონ თოდუასთან საუბრის შესაძლებლობა ჟურნალისტებსაც მოგვეცა.

— ფირმა „ვარიანის“ წარმომადგენელს რომ ვკითხვ, საქართველომ თქვენ მოგნახათ თუ პირიქით — თქვენ მონახეთ საქართველო, მან მიპასუხა, ორმხრივი მოძრაობა იყო. თქვენ რას იტყვით?

— მსოფლიოში ამგვარი აპარატურის წამყვანი ორი ფირმა ფუნქციონირებს: ერთი ამერიკული „ვარიანია“, მეორე — კანადური „სპექტრა“. განვიხილეთ ეს საკითხი ინსტიტუტში, კონსულტაციები გავიარეთ სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებთან და დავინწყეთ მუშაობა ფირმა „ვარიანთან“, რომელიც თვითონ დაგვიკავშირდა. მოვნახეთ ოპტიმალური გზა იმისთვის, რომ ჩვენი ურთიერთობა დაგვირგვინებულიყო კონტრაქტით, რომელსაც დღეს მოვანერეთ ხელი.

ევროპის ოფისის დირექტორი, ბატონი ფრიც დერესი დაგიმონებთ, რომ ამ დონის აპარატურა არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში არ არის, არამედ დასავლეთ ევროპაში მხოლოდ ავსტრიაშია.

კოლეგებმა უკვე ილაპარაკეს ამ ტექნოლოგიების უპირატესობაზე, ამიტომ მე სოციალურ საკითხს მივაქცევ თქვენს ყურადღებას, კერძოდ, იმას, რომ **ჩვენს მოქალაქეებს აღარ დასჭირდებათ საზღვარგარეთი წასვლა ამ მკურნალობის ჩასატარებლად, რაც ძალიან ძვირი ჯდება. და, საერთოდ, ამ არხით უდიდესი რაოდენობის თანხა გაედინება საზღვარგარეთის ქვეყნებში.**

ის, რასაც შემოვიტანთ საქართველოში, მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რადგან ასეთი სახის აპარატურა დამატებით 5-6 მილიონ დოლარს დაგვჭირდება საქართველოში.

— თქვენმა კოლეგებმა თქვეს, რომ ის, რაც დღეს მოხდა,

დიდი ჰუმანური აქტია. მაგრამ, ხომ ვიცით, რომ ასეთი ჰუმანურობა დიდი ფული ჯდება. სახსრები სად იშოვებ?

— თითქმის ოცი წელიწადია, ვმუშაობთ ბანკებთან, კარგი გადამხდელების სახელით ვსარგებლობთ და ვაგრძელებთ მათთან თანამშრომლობას...

— და იღებთ სესხს?

— დიახ, ვისესხებთ, ხუთი წლის ვადით. ბანკების ხელმძღვანელები მედიცინის მიმართ დიდი ჰუმანურობით გამოირჩევიან. ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და ძალიან დაბალ პროცენტზე შევთანხმდით.

— რამდენზე?

— ამას ვერ გეტყვით. მაგრამ მერნმუნეთ, რომ ძალიან დაბალპროცენტიანი კრედიტი მოგვცა თიბისი ბანკმა. პრაქტიკულად ევროპულ დონეს უთანაბრდება.

— სახელმწიფო, ცხადია, არ გეხმარებათ.

— სახელმწიფო დაფინანსება ჩვენს ინსტიტუტს 1994 წლიდან არ მიუღია. რაც მას შემდეგ გავაკეთეთ, უახლესი აპარატურის შეძენიდან დანყებული და ახალი, თანამედროვე კორპუსებით დამთავრებული — ყველაფერი ჩვენი ფულითაა გაკეთებული რეინვესტიციის გზით. სახელმწიფოს მიერ მედიცინა ისე არ არის დაბეგრული, რომ ასეთი საქმიანობისთვის თანხის დადგმა შეუძლებელი იყოს.

— ბატონმა ფრიც დერერმა თქვა, რომ ახალი ტექნოლოგიებით პაციენტების მომსახურების ტარიფთან მათ ხელი არ აქვთ. ეს თქვენი გადასაწყვეტიაო.

— ქართველ ხალხს ვპირდები, რომ ფასი მინიმალური იქნება, რომ მჭიდრო ურთიერთობას დავამყარებთ სადაზღვევო კომპანიებთან, ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროსთან და მოგებაზე ორიენტირებული მომსახურება არავითარ შემთხვევაში არ გვექნება.

მოკლედ, ახალი აპარატურის კიდევ ერთი სახეობა სულ მალე ამოქმედდება.

— გვითხრეს, რომ მარტს არ გადასცილდება.

— შეიძლება, უფრო ადრეც ჩადგეს მწყობრში. არ დაგიმალავთ, რომ ბავშვივით მიხარია.

ჩვენც გვიხარია, ბატონო ფრიდონ!

გელა ლეჟავა:

ნარკომანთა ჩაოღანობა საქართველოში 20 პროცენტით გაიზარდა

„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი სტუმარია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექსპერტი-ნარკოლოგი გელა ლეჟავა.

ჩვენმა მკითხველებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ საქართველოს პარლამენტი განიხილავს ნარკომანიასთან დაკავშირებულ კანონპროექტს.

სჯა-ბაასი საკმაოდ მწვავეა, პოზიციები — ხშირად დაპირისპირებული, უწინარეს ყოვლისა, ნარკომანიის ლეგალიზაციასა და დეკრიმინალიზაციაზე.

— ბატონო გელა, ორმოციოდენ წლის წინათ, როცა საქართველოში ამ სოციალური სენის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, ნარკომანია თუ ნარკომანობა დანაშაულად ითვლებოდა. ახლა რა ხდება?

— დავაზუსტოთ: ნარკომანია ყოველთვის დაავადება იყო, ამიტომ ავადმყოფი — ნარკომანი ყოველთვის საჭიროებდა მკურნალობას.

სხვა საკითხია ნარკოტიკის შეძენა „შავ ბაზარზე“. ეს იყო და რჩება კრიმინალურ ქმედებად, ამიტომ პირი ისჯებოდა ნარკოტიკის შეძენისთვის, შენახვისთვის, გადატანისთვის და ა. შ. და არა იმისთვის, რომ ავადმყოფი იყო.

ეს უნდა განვასხვავოთ.



პროფესორი გელა ლეჟავა

აქ არის გარკვეული წინააღმდეგობა, მაგრამ ასეა მიჩნეული მთელ მსოფლიოში.

— **დამეთანხმეთ, რომ საზოგადოებრივ შეგნებაში ნარკომანია დანაშაულთანაა გაიგივებული.**

— კი, ასეა.

— **მაშასადამე, ნარკომანიისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულების ერთგვარი ჰუმანიზაცია ნიშნავს უკანდახევას?**

— მრავალწლიანმა პრაქტიკამ საქართველოსა და მთელ მსოფლიოში გვიჩვენა, რომ **ნარკომანია არ არის ისეთი სოციალური სენი, რომლის დამარცხება შეიძლება იურიდიული მეტოდებით:** დაპატიმრება, საჯარიმო სანქციები და ა.შ. ბევრ შემთხვევაში მკურნალობა უფრო ეფექტიანია, ვიდრე დასჯა.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ნარკომანებს, როგორც წესი, ქართულად რომ ვთქვათ, ნამალდამოკიდებულებს მკურნალობა არ სურთ. ამიტომ მთელ მსოფლიოში დანერგილია მთელი რიგი სისტემებისა, რათა ნარკომანი აიძულონ, იმკურნალოს. ლაპარაკია ნამალდამოკიდებულზე, ანუ ავადმყოფზე. მაგრამ ამათ გარდა არსებობენ მომხმარებლები, რომლებიც გასართობად იყენებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს. ისინი ჯერ ავადმყოფები არ არიან.

— **აბა, კრიმინალი სადღაა?**

— კრიმინალი, ყველა შემთხვევაში, ბევრ სახელმწიფოში და, მათ შორის, საქართველოში, არის, როცა პირი ყიდულობს, ინახავს, გადააქვს, ყიდის ნარკოტიკს.

დღეს ამ მიმართულებით მიმდინარეობს სერიოზული მსჯელობა, უკვე არსებობს **ორი კანონპროექტი**, მათგან ერთის, რომელიც უკვე შეტანილია პარლამენტში, ავტორი მეცა ვარ. **ამ კანონპროექტში ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა განსორცხილდეს მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებებისა, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელია დეკრიმინალიზაცია. ლაპარაკია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნაზე** (ანაშის, მარიხუანის შემთხვევაში) **იმ პირების მიმართ, რომლებიც შეიძენენ** (მარიხუანას, ანაშას) **პირადი მოხმარების მიზნით.** სასჯელის სიმძიმე გადავა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე, რაც გულისხმობს ჯარიმებს, ადმინისტრაციულ პატიმრობას (შეიძლება, ორ თვემდე), ავტომანქანის მართვის უფლების, საზღვარგარე-

თის პასპორტის ჩამორთმევას, მოთხოვნას — ყოველ მესამე დღეს გამოცხადდეს შესაბამის დანესებულებაში შარდის ანალიზის ჩასაბარებლად ქიმიური ანალიზისთვის, ზოგიერთ ქვეყანაში შინა პატიმრობაც არის გამოყენებული და ა.შ. მოკლედ, ღონისძიებების მთელი კომპლექსია.

— მომხმარებლის მიმართ?

— დიახ, მომხმარებელზეა ლაპარაკი. მართალია, მას, ასე ვთქვათ, ციხეში არ სვამენ, მაგრამ ზემოქმედება მასზე იმდენად ძლიერია, რომ მან (ამ ზენოლამ), თუ იგი უკვე ავადმყოფი არ არის, მიიყვანოს დასკვნამდე: არ ღირს ამდენ წვალებად, ამდენ უსიამოვნებად ეს საექვო სიამოვნება.

ამ მიზნის მისაღწევად კი **საჭიროა, მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს, ადეკვატურად დავსაჯოთ ასეთი პირები.** ეს ერთი. **უნდა გაიზარდოს ნარკოტიკების პრობლემასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება, რადგან უნდა გაიზარდოს იმ დანახვებების რაოდენობა, რომლებიც გააკონტროლებენ ამ მიმართულებას. აუცილებლად უნდა დაიწყოს ჩვენს სკოლებში რეალური პროფილაქტიკური და არა მოჩვენებითი საქმიანობა.** ეს და კიდევ მთელი რიგი სხვა ღონისძიებებისა, ვერ განხორციელდება შესაბამისი დაფინანსების გარეშე.

— ისევ ფული?

— დიახ, მაგრამ — არა მარტო: თუ არ გამოიყოფა თანხები, თუ არ მოხდება ადმინისტრაციული ცვლილებები და მხოლოდ დეკრიმინალიზაცია მოხდება, აუცილებლად მივიღებთ სიტუაციის მძაფრ გაუარესებას.

ხაზგასმით ვიტყვი: **დეკრიმინალიზაცია დასაშვებია მხოლოდ როგორც ღონისძიებათა კომპლექსის ერთ-ერთი შემაღლებელი ნაწილი.**

— ლეგალიზაცია?

— ლეგალიზაცია არ ნიშნავს ნარკოტიკული ნივთიერებების ლობიოსავით თავისუფლად ყიდვასა და გაყიდვას. ეს აბსოლუტურად დაუშვებელია. ფაქტობრივად, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ასეთი ლეგალიზაცია. ყველგან აკრძალული ქმედებაა და იმისდა მიხედვით, რომელ ქვეყანაში ხდება და როგორ

პიროვნებასთან გვაქვს საქმე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაცაა შენარჩუნებული, მაგრამ ძალიან იშვიათად გამოიყენება — ასი შემთხვევიდან ორში. სამაგიეროდ ადმინისტრაციული სამართლის მთელი გამაა ამოქმედებული და — ჯარიმები.

— **ესე იგი, სჯიან?**

— ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში დასჯადია.

— **აბა, ჰოლანდია?**

— რახან ჰოლანდია ახსენეთ, შემდეგ თემაზე უნდა გადავიდეთ.

ჰოლანდიაში, ჯერ ერთი, სრული თავისუფლება არ არის. ამ ქვეყნის ქალაქების 70 პროცენტში არის ნულოვანი ტოლერანტობა მარიხუანის მომხმარებელთა მიმართ. ეს **ერთი**.

მეორე. მთელმა ევროპამ ატეხა განგაში ჰოლანდიის მიმართ იმის გამო, რომ იქ თავისუფლად შეიძლება ნარკოტიკის ყიდვა. შედეგად ჰოლანდიაში გამოიცა კანონი თუ აკრძალვა უცხოელი ტურისტისთვის ნარკოტიკის მიყიდვის შესახებ.

მესამე. მარიხუანის ყიდვა და მოწევა შეიძლება მხოლოდ გარკვეულ კაფეებში (ძირითადად, ამსტერდამზეა ლაპარაკი). თუ დადგენილ წესებს დაარღვევ მეორედ, მესამედ — შეიძლება, სამ წლამდე ციხეც მოგისაჯონ. ისე არ არის საქმე, როგორც ზოგიერთებს ჰგონია.

მეოთხე. ამ ლიბერალურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ მდიდარმა ჰოლანდიელებმა დიდ სარდაფებში დაიწყეს უფრო მეტი ნარკოტიკის შემცველობის მარიხუანის ახალ-ახალი ჯიშების გამოყვანა.

ამის გამოსავლენად სპეციალურად შეიქმნა ვერტმფრენების სამსახური, რომელიც იკვლევს სად, რომელი სარდაფიდან გაოდის სითბოს უფრო მეტი რაოდენობა, რაც მიმანიშნებელია იქ ნარგაობათა არსებობაზე. ამის კვალზე ხორციელდება ძიება.

ამას გარდა, მოსახლეობას უგზავნიან მარიხუანისთვის დამახასიათებელი სუნის ნიმუშებს და სთხოვენ, თუ თქვენს სამეზობლოში ასეთ სუნს იგრძნობთ, ძალიან გთხოვთ, შეგვატყობინეთო.

— **საინტერესოა! მაგრამ, ბატონო გელა, მარიხუანის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრება რამ გამოიწვია, მარიხუანა ხომ მსუბუქი ნარკოტიკია?**

— ყურადღებით მომისმინეთ. კი, ასეა — მარიხუანა მსუბუქი ნარკოტიკია და ჰოლანდიაში ეგონათ, რომ, თუ ნარკომანები მოწვევენ მარიხუანას, ჰეროინს აღარ გაიკეთებენ.

არ აღმოჩნდა ასე.

მართალია, ჰოლანდიაში არ ჰყავთ ჰეროინის მეტი მომხმარებელი, ვიდრე სხვა ქვეყნებშია, მაგრამ არც საგრძნობლად ნაკლებია.

მაგრამ ამას, ყველაფერს არავითარი აზრი არა აქვს საქართველოსთვის იმიტომ, რომ **ჰოლანდიაში ერთ მოსახლეს ნარკოსებით იხარჯება 117 ევრო, საქართველოში — 50 თეთრი, ჰა, — ერთი ლარი.**

— ვინც დაავადებულია, იმათზე იხარჯება ამდენი?

— არა, მოსახლეობის საერთო რაოდენობაზეა ლაპარაკი.

უფრო მეტიც. **ევროპის ვერც ერთ სხვა ქვეყანას ვერ შევადრებით, სადაც საშუალოდ ერთ ადამიანზე წელიწადში 60 ევრო იხარჯება, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უფრო მკაცრი კანონები მოქმედებს, ერთ ადამიანზე 30 დოლარი იხარჯება.**

ამიტომ სხვა ქვეყნებთან ყოველგვარი პარალელის გავლება აბსოლუტური უაზრობაა, რადგან ჩვენ არ გვაქვს ის სამსახურები, რომლებიც ამ ქვეყნებში ფუნქციონირებს.

— როგორც ვხვდები, პრობლემის ერთი ნაწილი გავიარეთ. უშუალოდ მარიხუანაზე გადავიდეთ, რომლის ლეგალიზაციის შესახებ მიმდინარეობს ლაპარაკი.

— დღეს აბსოლუტურად დამტკიცებულია, რომ მარიხუანა ინვესსიის ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორსაც ინვესსიის ჰეროინი. ჰეროინი ინვესსიის დამოკიდებულებას, პირობითად ვთქვათ, მეოცე გაკეთების შემდეგ, მარიხუანის შემთხვევაში — სამიხუთი თვეა.

მართალია, ჰეროინის დამოკიდებულება უფრო მძიმეა, მარიხუანის შემთხვევაში — ნაკლებ მძიმე, მაგრამ არც ერთი ვარგა, არც მეორე. ორივე ადამიანის ჯანმრთელობაზე დამანგრეველად მოქმედებს. ამის გამოა, რომ ევროპის ნარკოლოგიურ დაწესებულებებში წევს 30 პროცენტამდე მარიხუანაზე დამოკიდებული პაციენტი.

მეტსაც გეტყვით. მარიხუანის ახლადგამოყვანილ ჯიშებში ძირითადი ნარკოტიკული ნივთიერება დაახლოებით ათჯერ მე-

ტია, ვიდრე ბუნებრივში. ამიტომაც, რომ ჩვენი ნარკომანების საყვარელ ჰოლანდიაში ეს გაუთანაბრეს კოკაინს.

ამდენად, ლეგალიზაციაზე ლაპარაკი დღეს საქართველოში დაუშვებელია.

და კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც პირველად თქვენს გაზეთს ვეუბნები.

— **ყურადღებით გისმენთ!**

— ლეგალიზებული მარიხუანის მომხმარებელი იქნება მოსახლეობა, ხომ ასეა?

— **დიახ.**

— ჩვენი მოძმე სომხები, რომლებისაც ძალიან მშურს, პრაქტიკულად, ნარკოტიკებს არ ეკარებიან. ეს არამარტო ჩემი აზრია და სომხების, არამედ ამერიკელებისაც. ნარკომანია იქ პრობლემა არ არის.

ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელები, როგორც იცით, ისტორიულად, რელიგიიდან გამომდინარე, შეგუებულები არიან მარიხუანას და გამომუშავებული აქვთ შესაბამისი იმუნიტეტი.

არსებობს, მაშასადამე, ეთნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, განსხვავებული ეთნიკური დამოკიდებულება. ამ შემთხვევაში ეთნიკური გენეტიკური შემადგენელი გამოდის წინა პლანზე.

მაგრამ მარტო ეს არ არის მთავარი.

აბსოლუტურად დადგენილია, რომ ასი ახალგაზრდიდან, რომლებიც მარიხუანის მონევას იწყებენ, 40-მდე, 30 მაინც, გადადის მძიმე ნარკოტიკებზე.

ეს ყველაფერი — მარიხუანის ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაციის საკითხისთვის.

აქედან გამომდინარე, საქართველო უნდა დავიცვათ ლეგალიზაციისგან. დეკრიმინალიზაცია კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამის დასკვნას მოგვცემენ პროფესიონალები.

წინა მთავრობის დროს დიდი პიარკამპანია ჰქონდა ატეხილი ზოგიერთ უწყებას, კერძოდ პროკურატურას, რომელიც ცდილობდა საზოგადოების დარწმუნებას, თითქოს საქართველოში ნარკოსიტუაცია კარგია. ეს იყო დიდი ტყუილი, რადგან სწორედ იმ პერიოდში 15-20 პროცენტით გაიზარდა ნარკომანთა რაოდენობა.

— მოდით, გავარკვიოთ ამ სიტუაციაში ჩვენი მკითხველები. აქამდე ვიცოდით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მცდელობით შეიზღუდა ნარკოტიკების შავი ბაზარი.

— ასეც იყო. მაგრამ მოხდა ის, რომ ნარკომანები გადავიდნენ აფთიაქებში ნაყიდი ნაშენებით კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკებზე, რომელთა მოხმარებაც უფრო მძიმე შედეგს იძლევა.

თუ აფთიაქებში პრინციპულად არ შეიცვალა სიტუაცია, ამ პრობლემას არაფერი ეშველება. ის ღონისძიებები, რომლებსაც გვთავაზობენ ან რომლებიც განხორციელდა, ნახევრადღონისძიებებია. კარგა ხანია, ამ საქმის ადგილიდან დაძვრას ვცდილობთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ **ფარმაცევტული ფირმაები დაკავშირებული იყვნენ ყოფილ მთავრობასთან და გარკვეულ თანხებს ურიცხავდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას.**

ამიტომ მთავრობაც ხელს არ ჰკიდებდა.

დღეს აღნიშნულის ალბათობაც მოხსნილია და იმედი მაქვს, რომ პროფესიონალები — ნარკოლოგები, სამართალდამცველები ამ პრობლემას პრინციპულად მოგვიდებთ ხელს და ბოლომდე მივიყვანთ.

პარლამენტის მიერ თამბაქოს მოხმარებაზე მიღებულ კანონს შურის თვალით ვუყურებ და ვიმედოვნებ, რომ ნარკომანიის შესახებ კანონიც ასეთივე დახვეწილი და საყოველთაოდ მისაღები იქნება.

2013 წლის 22 მაისი

თავი IV

საზოგადოება

ფრიდონ თოდუა:

რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკამ, როგორც ამდენი ხანია, გრძელდება, უბედურებისა და ტრაგედიის გეტი, არაფერი მოგვიტანს



თუ რეალურად არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული მოძრაობა „ექიმები საზღვრების გარეშე“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის — ფრიდონ თოდუასა და მისი კოლეგების საქმიანობაზეა ზედგამოჭრილი. სახელი კაცის წინ მიდისო, უთქვამთ...

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა უდავოდ ავტორიტეტული ადამიანია არა მხოლოდ სამედიცინო წერეებში, არამედ აღიარებულია, როგორც პიროვნება, რომელსაც საზოგადოების ცხოვრებაზე აქტიური გავლენა აქვს.

ამ სახელგანთქმული მკურნალისა და მეცნიერის სახელი, შეიძლება ითქვას, ის ვიზაა, რომელიც საქართველოს ნებისმიერი საზღვრის გადმოკვეთის უფლებას იძლევა.

მოჰყვებიან ამ ორიენტირს პაციენტები მეზობელი ქვეყნებიდან — აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებიდან, ასევე — აფხაზეთიდან, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, მოდიან თოდუას კლინიკაში სამკურნალოდ. სიცოცხლის სურვილის ძალას მოჰყვებიან, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური გაუცხოების გამძლავებია.

— სოხუმიდან და ცხინვალიდან პაციენტები ჩვენთან რომ ჩამოდიან დიაგნოზის დასადგენად და სამკურნალოდ, ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მთავრობისა და ჯანდაცვის სამინისტროს დამსახურებაა, — ამბობს ბატონი ფრიდონი, — ამ პაციენტებს ისევე ვემსახურებით, როგორც ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს. ისიც სათქმელია, რომ მათ არ დავინწყებიათ წარსულში ჩვენი მეგობრობა, რაც ტრადიციულად გვაკავშირებდა. ეს აიოლებს მათთან ურთიერთობას. თუმცა გასაიოლებელიც არაფერია, ისინი ჩვეულებრივი პაციენტები არიან და ჩვენც მათი მკურნალი ექიმები ვართ.

ჩვენი კლინიკისკენ მოძრაობა ბოლო წელიწად-ნახევარში განსაკუთრებით გააქტიურდა: მრავალმა ადამიანმა მიიღო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

პირადი ურთიერთობაც სერიოზული სტიმულია. მე კარგად ვიცნობდი და საქმიანი ურთიერთობა მქონდა აფხაზეთის მრავალ ცნობილ პიროვნებასთან, სხვადასხვა დონის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებთან, მეცნიერებთან, განსაკუთრებით, მედიკოსებთან.

არაპროტხელ ვყოფილვარ სტუმრად სოხუმსა და ცხინვალში იძაურების მიწვევით. სამწუხაროდ, პოლიტიკური ვითარება დღეს შეცვლილია, მაგრამ

დარწმუნებული ვარ, შესაძლებელია, აღვადგინოთ ადრინდელი მეგობრული ურთიერთდაამოკიდებულება.

ომი ყველა მხარისთვის დიდი ტრაგედიაა, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ მუდმივი ურთიერთდაპირისპირების პირობებში არსებობის გაგრძელება არანორმალურია, ვერ თავსდება ისტორიული განვითარების ლოგიკაში.

რა უნდა გავაკეთოთ?

პასუხი ერთადერთია: უნდა ვეძებოთ ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი გზები. ეს აქსიომაა. ერთ-ერთი ასეთი გზის კონტურები ისახება სწორედ ამ მოძრაობაში ჩვენკენ, რომელიც, ჩემი აზრით, ცალკეული ფაქტების მექანიკური რიგი კი არ არის, არამედ უკვე ტენდენციაა, ჩემი აზრით, ტენდენცია, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს ურთიერთდაახლოებასთან, ძველი მეგობრული, ადამიანური ურთიერთობების აღდგენასთან.

შესაძლოა, რამდენადმე ვუსწრებ მოვლენებს, მაგრამ შინაგანი ალღო იშვიათად მღალატოვს და მჯერა, რომ ამ კარბ წამოწყებას, რომელიც ახლა ვითარდება, ყველასთვის კარგი შედეგი მოჰყვება.

მოხარული ვარ, ბედნიერად ვგრძნობ თავს, როცა ჩვენი ძმები და დები ჩამოდინან აფხაზეთიდან, ცხინვალიდან და დახმარებას ვუწევთ, ვმკურნალობთ, თანაც უანგაროდ.

ზაქტი თეაში

დერეფანში ვიდექით ცნობილი ქართველი ფერმწერის — რადიშ თორდიას ტილოებთან (კლინიკის კედლებზე თვალსაჩინო ქართველი მხატვრების ნამუშევრებია გამოფენილი). ბატონი ფრიდონი მედიცინაში ესთეტიკის მნიშვნელობაზე, პაციენტებზე და, საერთოდ, ადამიანზე ხელოვნების დადებით გავლენაზე ლაპარაკობდა.

ორი ქალბატონი მოგვიახლოვდა.

ეტყობოდა, პირველად იყვნენ ამ სამკურნალო დაწესებულებაში.

— სად შეიძლება თქვენი სახელგანთქმული თოდუას ნახვა? — მიმართეს ბატონ ფრიდონს.

ვერ გეტყვით, დაიბნა-მეთქი ასეთი მოულოდნელი კომპლიმენტისგან ბატონი ფრიდონი, მაგრამ, ცოტა რომ ეუხერხულა, ამკარად შეეტყო.

პაუზა...

უნდა გენახათ იმ ქალბატონების შეცბუნებული, გაოცებული, გახარებული სახეები, პასუხი რომ მოისმინეს...

აფხაზები აღმოჩნდნენ, სოხუმიდან ჩამოსულები.

— ბატონო ფრიდონ, აფხაზეთიდან ჩამოსულებს პრობლემები ხომ არ უჩნდებათ იქ, ადგილზე?

— მგონი, არა. ვისთან, რა დონეზე ათანხმებენ თბილისში ჩამოსვლის საკითხს, არ ვიცი და არც არასოდეს მიკითხავს პაციენტებისთვის. იქნებ, არც სჭირდებათ ნებართვა, მაგრამ თავისთავად ჩამოსვლა, როგორც მოვლენა, ჩვენი ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტია.

ხალხის დაახლოებაზე ვლაპარაკობ, რომელიც დამნაშავე არ არის მომხდარ ტრაგედიაში.

2008 წლის ომმა ერთბაშად შეწყვიტა დაახლოების ის პროცესები, რომლებიც 90-იანი წლების გაუცხოების შემდეგ მანძი ამოქმედდა და ძალას იკრეფდა. გვექონდა სისტემატური პროფესიული კონტაქტები, შეხვედრები, რომლებიც არცთუ იშვიათად მეგობრული სუფრით მთავრდებოდა.

ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ, უკეთესის იმედი ყოველთვის არის. მჯერა, რომ უბრალო ხალხს არ სურს ასეთ დაპირისპირებაში ყოფნა, 100 პროცენტით მართალი ან 100 პროცენტით მტყუანი არავინაა. ყველას თავისი სიმართლე აქვს, რომელსაც ურთიერთობით გავარკვევთ და მოვაგვარებთ. მე ასე მჯერა.

მახსოვს, როგორ ჩავედი ერთხელ ცხინვალში. სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდი საავადმყოფოს საკონფერენციო დარბაზში, სადაც საგანგებოდ ჩემთან და ჩემს თანამშრომლებთან შესახვედრად შეკრებილი იყვნენ იქაური მედიკოსები. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერები.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა მაშინ ჩვენი მისამართით. დღემდე მადლობელი ვარ მათი.

შემთხვევა მომცა, შიშვედროდი ჩვენი მიცნობა-ბათა აკადემიის წევრს — ნაფი ჯუსოითის. ვისაუბ-

რეთ. ამ საუბრის დროს მან გულდაწყვეტით მითხრა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობიდან ამომრიცხავსო. ვუპასუხე, რომ თქვენ იყავით და ხართ ჩვენი აკადემიის წევრი, რომ აკადემია ვერ შეაღწევა ასეთი დამსახურების მქონე ადამიანს-მეთქი, და ჩემი სიტყვების დასტურად ვაჩვენე აკადემიის ნამდვილ წევრთა სია, რომელშიც შავით თეთრზე მისი სახელი და გვარი ეწერა.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა...

ცნინვალისა და აფხაზეთიდან პაციენტების ჩამოსვლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან ამ მოძრაობაში გამოჩნდა რეალური კონტურები ურთიერთობის აღდგენის ახალი გზის, გნებავთ, ამას „სახალხო დიპლომატია“ დაარქვით, გნებავთ, „ქვიშები საზღვრების გარეშე“, გნებავთ, „სიცოცხლის წყურვილი“...

— აფხაზეთიდან ჩამომსვლელების კონტინგენტი გალის რაიონით ხომ არ შემოიფარგლება?

— არა! ჩამოდიან ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონებიდან, ვაგრიდან, სოხუმიდან — აფხაზეთის ყველა რეგიონიდან.

მძიმე ავადმყოფებიც ჩამოჰყავთ. გადაუდებელ ოპერაციებს დაუყოვნებლივ ვაკეთებთ, ონკოპაციენტებს ვუტარებთ ქიმიოთერაპიას, სხივურ თერაპიას. საუკეთესო, თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი ჩვენი კლინიკა, დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ჩვენთან არის, ამის საშუალებას იძლევა.

ჩამოდიან სხვა სამედიცინო დაწესებულებებშიც, რაც, ასევე, სასიხარულოა.

მიმაჩნია, რომ ამ მოძრაობის გაფართოება ფრიად პერსპექტიულია პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

— არაერთხელ გითქვამთ, რომ პოლიტიკისგან შორს დგახართ...

— პოლიტიკაში ვიყავი, პოლიტიკურ თანამდებობაზეც — საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი გახლდით, მაგრამ პოლიტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ. დაკისრებულ მოვალეობას ვასრულებდი; იმ ეტაპზე ვთვლიდი, რომ შემეძლო, ხალხისთვის, საზოგადოებისთვის იმ გზით, იმ ადგილზე მეტი სარგებ-

ლობა მომეტანა, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი ყოველთვის იყო და არის მედიცინა, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

— **თქვენი ნებართვით, მაინც „პოლიტიკურ შეკითხვას“ დაგისვამთ. უფრო ზუსტად, მინდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე გთხოვოთ კომენტარი.**

— თითქმის 25 წელიწადი ვიცხოვრე და ვიმუშავე მოსკოვში და ეს პრობლემა ჩემთვის სასხვათაშორისო არ არის. საქართველოსა და რუსეთს შორის კონფრონტაცია, არ მგონია, კარგის მომტანი იყოს. ბევრი რამ გვაქვს საერთო ჩვენს ამ დიდ მეზობელთან, რომლის იგნორირება არ შეიძლება. რუსეთს ჩვენ ვჭირდებით, რუსეთი გვჭირდება ჩვენც, მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ზურგი უნდა ვაქციოთ ევროპას — რუსეთთან ურთიერთობის დალაგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს ევროინტეგრაციის კურსს.

80-იან წლებში საკმაოდ პოპულარული კაცი ვიყავი მოსკოვში, როცა ავითვისე და ავამუშავე საბჭოთა კავშირში პირველი კომპიუტერული ტომოგრაფი. ახლა რას ნიშნავს ტომოგრაფია, ხომ წარმოგიდგენიათ და მაშინ ფანტასტიკის სფეროდან იყო, მაგრამ არანაკლებ ფანტასტიკად წარმომიდგება ის, თუ როგორი დიდებული ადამიანები ყოფილან ჩემი პაციენტები — მსოფლიოში სახელგანთქმული კომპოზიტორები, მწერლები, კინოსა და თეატრის ვარსკვლავები, მომღერლები და ზესახელმწიფოს ხელმძღვანელები, პოლიტიკოსები, რომელთა გარეშე მსოფლიოს ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაწყდებოდა.

ამის თაობაზე ჩემს შვილიშვილს როცა ვუყვები, ვხედავ, რომ მისთვის მაინცდამაინც არაფერს ნიშნავს, რადგან წარსულია.

მაგრამ მომავალი წარსულიდან არის აღმოცენებული. ეს ხომ აღიარებულია? წარსულს ვერ გადავშლით!

— **რა თქმა უნდა: „ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, — ილია მართლის ფორმულაა.**

— დიახ. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობა ბევრ რამეს ივიწყებს. ჩვენს ინსტიტუტში მუშაობენ ახალგაზრდები, რომლებიც ორ-სამ ენას ფლობენ, მაგრამ რუსული არ იციან. ეს, ჩემი აზრით, ძალიან ცუდია. ჩვენ რუსეთთან მეზობლურ ურთიერთობას ვერ გავუქცევით.

მე, როგორც ექიმი, მეცნიერი, თუ გნებავთ, საზოგადო მოღვაწე, ვისურვებდი, მომეძებნა კომპრომისული წინადადება,



თოდუას კლინიკის მთავარი კორპუსი

იდეა, აზრი ჩვენი ხელისუფლებისთვის შესათავაზებლად, რათა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან. რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკამ, რომელიც ამდენი ხანია, გრძელდება, უბედურებისა და ტრაგედიის მეტი, არაფერი მოგვიტანა. არც რუსეთისთვის იყო ეს წლები მაინცდამაინც სახარბიელო.

გულწრფელად მივმართავ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს, მონახონ კეთილგუზოკლური ურთიერთობის ოპტიმალური ვარიანტი და შევიდნენ ისტორიაში, როგორც კონფრონტაციის დამკლავი მოღვაწენი, მაგულიზვილები, რომლებმაც გადალახეს წლების განმავლობაში დაგროვებული წინააღმდეგობანი და თავიანთი ხალხებს მშვიდობისა და აღმავლობის რწმენა დაუბრუნეს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა და ურთიერთგაგების ატმოსფერო დამყარდება, გადაწყდება საქართველოს გამთლიანების პრობლემა, რა ფორმით,

მომავალი გვაჩვენებს. ერთი რამ კი ცხადია: საქართველო უნდა იყოს გამთლიანებული, შემდგარი სახელმწიფო და, უწინარეს ყოვლისა, აღიარებული მეზობელი სახელმწიფოების მიერ.

ხომ არის ამის მაგალითები მსოფლიოში! გამოვიყენოთ თუნდაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გამოცდილება. ყველამ იცის, რომ დამარცხებული მხარე, გერმანია, დღეს ევროპული ქვეყნების ლიდერია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, განაჩვენი თაობის თვალწინ არ მოხდა იმავე გერმანიის გაერთიანება?! ხომ მოინახა კომპრომისი დაპირისპირებულ მხარეებს შორის!

უნდა შევძლოთ წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა. ცხოვრება გრძელდება და არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ჩვენი უმოქმედობით ვფლანგოთ დრო.

— მედიცინას დაეუბრუნდეთ, ბატონო ფრიდონ.

— უწინარეს ყოვლისა, მინდა, ვთქვა, რომ ჩვენი კლინიკა, რომელიც უახლესი სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი (თამაგად შემიძლია, ნახისმიაჩნებოთ ევროპულ კლინიკას დავუდგამთ გვერდით), უნდა მოამსახუროს ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს. რატომ უნდა იყვნენ გამონაკლისი ჩვენი აფხაზი და ოსი კმაზი და დეზი და არამხოლოდ ისინი?! ჩვენთან ჩამოდიან პაციენტები მიზობელი ქვეყნებიდან, ბევრი — რუსეთის სამხრეთ რეგიონებიდანაც.

გულწრფელად მახარებს, როცა ჩვენი კლინიკის ეზოში ვხედავ ავტომანქანებს რუსული სანომრე ნიშნებით: ასეთი ურთიერთობა შლის საზღვრებს და პრაქტიკული მაგალითია იმისა, რომ მედიცინა მართლაც საზღვრების გარეშე არსებობს.

არა მგონია, გამინანყენდნენ ჩვენი თანამემამულენი, თუ ვიტყვი, რომ ჩამოსულ პაციენტებს ჩვენი ექიმები მაქსიმალური ყურადღებით ეპყრობიან.

ბევრი პაციენტი გვყავს აზერბაიჯანიდან, ბოლო დროს იმატა სომხეთიდან ჩამოსულთა რაოდენობამ. ახლახან გვესტუმრა სომხეთის ჯანდაცვის მინისტრი, მოეწონა ჩვენი კლინიკა და მიესალმა ორ ქვეყანას შორის პროფესიული ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლას: ახლა ის დრო დადგა, როცა პაციენტი თვითონ ირჩევს ექიმს და სამკურნალო დაწესებულებას.

— იქნებ, მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩამოსულების აფხაზური პასპორტების გრაფაში „ეროვნება“ ქართველებს უწერიათ, „ქართველი“...

— თითქოს ფორმალური დეტალია, მაგრამ იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზეთში არ სურთ ყველა ხიდის დანვა, რომელიც საქართველოსთან აკავშირებთ. რადიკალიზმი ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ასეთ რადიკალებთანაც უნდა მოვნახოთ მისასვლელი გზები, მათ შორის, მედიცინის საშუალებებითაც.

შეუძლებელია, არ მივესალმოთ თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ გალის რაიონის სიახლოვეს, ენგურის ნაპირზე, შენდება დიდი კლინიკური საავადმყოფო. ამას წინათ მინისტრს ვუთხარი, რომ მეც და ჩემი კოლეგებიც რეგულარულად ჩავალთ ამ კლინიკაში პრაქტიკული სამედიცინო დახმარების გასანწევად.

მინდა, შევთავაზო კოლეგებს: ჩავიდეთ აფხაზეთში, თუნდაც ებიდიტ „ეპიმიზი საზღვრების გარეშე“; შევხვდეთ აფხაზებს, იმ დარჩენილ ქართველებს, პაციენტებსაც და არა მხოლოდ მათ. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მიკარნახებს, რომ ეს შეხვედრა თბილი და, რაც მთავარია, ურთიერთსასარგებლო იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთში ახსოვთ ქართულ-აფხაზური შეხვედრები, რომლებიც ყოველწლიურად იმართებოდა რუხის ციხესთან, არაერთხელ ჩამოვსულვარ მოსკოვიდან ამ ზეიმზე და პირადად მიგრძენია ის ამალღებული განწყობილება, რომელიც აქ სუფევდა.

მოდით, ისტორიას მივანდოთ იმის გარკვევის უფლება, ვინ, სად, როდის რა შეცდომა დაუშვა; ჩვენ კი — ხელისუფლებამ, პროფესიულმა გაერთიანებებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა — ვცადოთ, აღვადგინოთ იმ შეცდომების გამო ჩატეხილი ჩვენი ერთობის ხიდი. სახალხო დიპლომატია დიდი ძალაა...

ოპტიმალური პოლიტიკური გადანწყვეტილებების მიღება კი ხელისუფლების მოვალეობაა, მისი საქმეა.

ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ!

მამა ბართლომე: ყოფილების დრო დაბრუნება



თბილისის ფერიცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ბართლომე (ფირცხალაიშვილი) აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიებებში, მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქო სასულიერო პირებს მოსთხოვა, თავი აერიდებინათ პოლიტიკური დატვირთვის მქონე აქციებისთვის.

რა რეაქცია მოჰყვა მის ამგვარ ქმედებას? გაკიცხეს, დასაჯეს, შეუნდეს, თუ — არც არაფერი?

— ადამიანის ყველაზე დიდი ნიჭი და ღირებულება არის თავისუფლება. ღმერთმა იგი თავისუფალი ნებით შექმნა, მისი თავისუფლების შეზღუდვა არავის შეუძლია. თავისუფლებაა, როცა შენ საკუთარი თავის უფალი ხარ. ადამიანი სრულად არის დამორჩილებული გონს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ვერ იყო

დამორჩილებული კეთილ გონს, კეთილ თავს ვერ იყო დამორჩილებული.

„ქართული ოცნების“ მოძრაობაში ჩემი ჩართვის მიზეზი და მიზანი (მე, როგორც ერთ ადამიანს, მოქალაქეს ამ ქვეყნისას და ამავე დროს სასულიერო პირს, ასე მიმაჩნდა) ჩემი სამშობლოს გვერდით ყოფნა იყო.

მამა ბართლომე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ ეროვნული მოძრაობაა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ერის წინამძღოლი ადამიანი და, ღმერთისა და ხალხის ნებით, გამოიყვანა საქართველო უმძიმესი მდგომარეობიდან. მისთვის სამშობლო უფრო მაღალი მცნებაა, ვიდრე სახელმწიფო. ეს ყველაფერი ლოგიკურ ჯაჭვად ისეა შეკრული, რომ არ მოვერიდე და ვკითხე:

— მამაო ბართლომე, ეს რწმენა, რომელიც თქვენს გონშია ჩამჯდარი, რომელმაც გამოგიყვანათ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ნუთუ უცხო იყო იმათთვის, ვინც ზემოთ თქმული მითითება გასცეს?!

— მე ვერავის სულში ვერ ვიხედები, არავის შინაგანის განჭვრეტა არ შემიძლია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩემს დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობ, თუმცაღა **არის ადამიანების ნაწილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „ნაციონალური მოქრაობის“ პოლიტიკური მოღვაწეობა იყო გამართლებული, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. 2003 წელს ვიყავი მომხრე ცვლილებების, მაგრამ ამ ცვლილებებმა, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაამართლა.**

ჩვენ, სასულიერო პირები, აქტიურად დავდიოდით ციხეებში.

— **ნუგუმის საცემად პატიმართა?**

— არა მარტო ამისთვის. ყველას კარგად ახსოვს პრეზიდენტის მონოღება ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ, რასაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია დაემატა, რომელიც მან საჯაროდ გამოიტანა: მე ვარ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის მომხრე. რაც, ალბათ, მიუღებელია ამ თანამდებობაზე მყოფი ადამიანისთვის, რომელიც სამართლიანობის მომხრე უნდა იყოს და არა სიმკაცრის.

— **„ქმნა მართლისა სამართლისა“ ...**

— დიახ, ასე. **სიტუაცია, რომელიც ცინიკური ჩამოყალიბდა, რთულზე ურთულესი იყო. სრულიად გაუსაძ-**

ლისი. პატრიარქი ამაზე ხშირად ლაპარაკობდა თავის ქადაგებებში.

მესმის, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს: უმჯობესია, ადამიანმა სასჯელი ამ ქვეყანაზე მოიხადოს, ვიდრე საიმქვეყნოდ წაყვეს. საეკლესიო წესისა და კანონის თანახმად, **აღამიანს ერთი ცოდვისთვის, ერთი დანაშაულისთვის ერთი სასჯელი ედება. ჩვენს პატიმრებს ამას რომ არ აკმა-რებდნენ, ვიცით: აწვალბდნენ, აწამებდნენ, აუპატი-ურებდნენ, ღირსებას უღახავდნენ. ყოველგვარი უმ-სგავსობა ხდებოდა მიხეილ სააკაშვილის ციხეში.**

გარკვეული ხნის შემდეგ შევწყვიტე ციხეებში სიარული.

— **ალბათ, იმიტომ, რომ აზრი არ ჰქონდა?**

— ამიტომაც.

— **მამო, მოგეკითხათ იმის გამო, რომ დაარღვიეთ საპატ-რიარქოს მითითება?**

— არა, არა. ვერ ვიტყვი, რომ მომეკითხა. თუმცა იყო გარკ-ვეული რჩევა სასულიერო პირთა ერთი ნაწილისგან, არ მევლო მიტინგებზე. მაგრამ იმას, რაც ხდებოდა, მიტინგს ვერ დავარ-ქმევ. ვფიქრობ, რომ ეს იყო საერთო-სახალხო, ეროვნული შეკ-რებები, რომლებზეც მისვლა ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა...

არა მგონია, რომ ვინმეს სურვილი ჰქონდა, მოეკითხა ჩემთ-ვის. ვფიქრობ, ისინიც კი, ვინც აკრძალვას ემხრობოდნენ, ში-ნაგანად ჩემსავით იყვნენ განწყობილნი.

— **ყოფილი ხელისუფლება რომ ცდილობდა ეკლესიის ორად გახლეჩას, ცნობილია. ამ თემასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ.**

— რაც შემეძლება, გიპასუხებთ.

— **არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გახლეჩის რე-კომენდაცია, გნებავთ, მითითება, აშშ-ის სპეცსამაზურებიდან მოდიოდა, დაკვეთა იყო, დავალება. ატყობდით ამის მსგავსს?**

— რაც ხელისუფლებაში მოვიდა „ნაციონალური მოძრაობა“, მის მერე ვატყობდი და ვგრძნობდი, რომ **საქართველოს მარ-თლგადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ განსაკუთრე-ბული და გამიზნული ზემოქმედება მიმდინარეობდა.** ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ამერიკა, ევროპა თუ რუსეთი იქნება ამ წნეხის შემოქმედი.

არ ვიტყვი, რომ ზემოქმედება უშუალოდ პატრიარქზე მიმ-

დინარეობს, მაგრამ ქვედა რგოლებზე გავლენის მოპოვებას ყველა სახელმწიფო ესწრაფვის, რათა თავის სასიკეთოდ გამოიყენოს რელიგიური გარემო. სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან, რომ რელიგიური გარემო არ არის პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბების ასპარეზი, არამედ შინაგანი მრწამსის გამოხატულებაა. თუმცაღა **„თავისუფლების ინსტიტუტი“ სხვას არაფერს აკეთებს ძვეყანაში, თუ არა დისკრედიტაციას მართლმადიდებლური ეკლესიისა. ამასთან, ძალიან კარგად თანამშრომლობენ სხვადასხვა კონფესიასთან და, უწინარეს ყოვლისა, უდიდეს რელიგიურ კონფესიებთან.**

ბუნებრივია, რომ ასეთი საქმიანობა მართული იყო და სერიოზული თანხებიც იყო ჩადებული.

— თანხები კი ციდან მანანასავით არ ცვივა. დამფინანსებელი გავლენიანი ძალებია, გავლენიანი და მდიდარი.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იყო და რჩება ქართული ეკლესიის ერთგული. ის, უხვად დაფინანსებული მზაკვრული გეგმა ჩაიშალა. ეკლესია ცოცხალი სხეულია, მას ძალით ვერ დაანგრევ, ამიტომ ცდილობდნენ ნეობოლშევიკები შიგნიდან მის გატეხვას ისეთი სასულიერო პირების მეშვეობით, რომლებიც ოცდაათ ვერცხლად გაიყიდებოდნენ; ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ხდებოდა სასულიერო პირთა გარკვეულ ჯგუფზე ზემოქმედება, რაშიც აქტიურად იყო ჩართული მთავრობა გარკვეული სახის მოსყიდვებით.

— მოსყიდვების ერთი ფორმა, რომელმაც მრევლზე უკიდურესად უარყოფითად იმოქმედა, იყო ძვირადღირებული ავტომანქანებით დასაჩუქრება... თქვენ ხომ არ მიგიღიათ ასეთი ავტომობილი?

— არა. ეს ძვირფასი ავტომანქანები დაურიგდათ მღვდელმთავრებს.

— თქვენი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი?

— ადამიანი, რომელიც ზნეობრივ სიმაღლეზე დგას, მას გინდა ძვირფასი მანქანა აჩუქე, გინდა ოქროს კოშკი დაუდგი, იგი არ გაიყიდება. თუ ვინმეს ამის გამო გადაცდომა ჰქონდა, გაიყიდა, ეს მისი ზნეობრივი და შინაგანი პრობლემაა. ზნეობრივი ადამიანისთვის საჩუქარი არ უნდა გახდეს მისი მონური მორ-

ჩილების განმსაზღვრელი.

— მაგრამ აქ სხვა პრობლემა იჩენს თავს. კერძოდ, ეკლესიას უნდა დაბრუნებოდა თავისი ქონება, რაც კონკორდატითაა დადასტურებული (მუხლი მე-11) და რაც ეკლესიის საკუთარი შესაძლებლობით მომძღავრებისა და ფეხზე დადგომის საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ეს არ სურდა ყოფილ ხელისუფლებას, მან უარყო ეს შეთანხმება, სამაგიეროდ მანქანების დარიგების მსგავსი ღონისძიებებით შეეცადა ეკლესიის სახელმწიფოზე დამოკიდებულების განმტკიცებას.

ეკონომიკურად სუსტი ეკლესია და „გულმონყალე“ სახელმწიფო, რომელზეც სრულად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული „მადლიერების გრძნობით გამსჭვალული“ მართლმადიდებლობის სულიერი ტაძარი.

გიფიქრიათ ამაზე?

— ეკლესიას სახელმწიფოს დახმარება არ დასჭირდება იმ შემთხვევაში, როცა თავისი ქონება დაუბრუნდება. ეკლესიას სახელმწიფოს ვალი არ აქვს. სახელმწიფოს აქვს ეკლესიის ვალი — უამრავი ჩამორთმეული მიწა, შენობა-ნაგებობა, ძვირფასეულობა — ხატების შემკობილობა და ა. შ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სახელმწიფო მოვალე არის, ეკლესიისთვის გარკვეული, არ ვიტყვოდი დახმარება, უფრო კომპენსაცია გაენია. ავტომანქანა თუ სხვა რამ, ვფიქრობ, ერთგვარი სატყუარა იყო, რათა მთავრობაზე ეკლესიის დამოკიდებულების შთაბეჭდილება შექმნილიყო და გამჟღარიყო ეკლესიის შიგნითაც და საზოგადოებრივ აზრშიც.

თქვენი გაზეთის მკითხველების ყურადღებას მივაქცევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: **ქართული ეკლესიის გვირდით არ დგანან მხოლოდ მართლმადიდებელი ძრისტიანები. ჩვენ ყველა ვნახეთ, რომ პატრიარქის საიუბილეო დღეებზე დასასწრებად აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა შეიხ-ულ-ისლამი კავკასიისა და პატრიარქს ორდენი გადასცა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. უდიდესი პატივისცემის გამოხატულებასთან ერთად ეს იყო, ჩემი აზრით, პასუხი ბინძური ქაღალტის ყოველად უსინდისო მცდელობაზე — ერთმანეთისთვის დაპირისპირებინათ მუსლიმი(!) და მართლმადიდებელი ქართველები საქართველოს შიგნით.**

— რა ძალები იდგნენ ამ პროვოკაციის უკან, გაშიფრა ამ დღე-ღამეებში აზერბაიჯანიდან დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, შეეცადა, ჯერ აზერბაიჯანელი კოლეგა დაერწმუნებინა, შემდეგ — ქართველი საზოგადოებრიობა, რომ მოსკოვში მოღვაწე მარნეულელი აზერბაიჯანელი ბიზნესმენი ამზადებს მეზობელი ქვეყნის კანონიერი მთავრობის დამხობას. ქვეტექსტი — როგორც მე მომიწყობ „მოსკოვის აგენტმა“ ქართველმა მილიარდერმა. ეს ერთი. მეორე, არანაკლებ მზაკვრული ჩანაფიქრი — საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის განხეთქილების ჩამოგდება.

მიიღო კიდევ პასუხი ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელებისგან. ამის წინაპირობა კი შეიხის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო.

— თქვენც გსმენიათ, ალბათ, რომ აშშ-ის სპეცსამახურების სპეციალისტებმა დაამონტაჟეს საქართველოს საპატრიარქოში და ყველა ეპარქიაში მიყურადების თანამედროვე აპარატურა. ამ ოპერაციის კოდური სახელმწოდება იყო „აღსარება“, მკრეხელური ცინიზმის მწვერვალი.

— ამის შესახებ არაფერი ვიცი და ვერაფერს გეტყვით, მაგრამ რად უნდა ამას ამერიკის სპეცსამსახურები, როცა მიშა სააკაშვილის მთავრობის დროს უსმენდნენ ყველას, ისმენდნენ ყველაფერს. ეს იყო პათოლოგია, დაავადება, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა და დამკვიდრდა. ვერ დავაბრალებ ამას ვერც ერთ სპეცსამსახურს, ეს ჩვენი ყოფილების ავადმყოფური აკვიატება იყო.

— თქვენს დასკვნას ადასტურებს ისიც, რომ ოპერაცია „აღსარებას“ ხელმძღვანელობდა ერთი პატარა კაცი, შსს-ს მაღალჩინოსანი, კუდის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად ქვეყნიდან გაქცეული სოსო თოფურაძე, რომელიც თავის დროზე სადისტურის სიამოვნებით აცხადებდა, ამდენი და ამდენი კაცი დავაპატიმრეთო.

— ძალიან პატარა ადამიანები იყვნენ. როცა მთავრობაში იყვნენ, ძალიან ომახიანად ყვიროდნენ, დახტოდნენ, ცუდი სიტყვა უნდა ვიხმარო, გორილასავით დახტოდნენ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მათ ბევრი თავიანთი წვრილფეხობა დატოვეს ეკლესიაში, რადგან გარკვეული ურთიერთობები ჰქონდათ გაბმული მათთან. მაგრამ ეს ადამიანები ისტორიისთვის,

ალბათ, არაფერს წარმოადგენენ და ისტორია მათ დაივიწყებს ისევე, როგორც ბევრი სხვა დაუვიწყებია.

— მამაო ბართლომე, მითხარით, ამდენი ცოდვის ჩამდენთ მიეტყვებათ?

— ცოდვის მისატყვევებლად საჭიროა, რომ ადამიანმა აღიაროს ჩადენილი ცოდვა. აღიარებას უნდა მოჰყვეს სასჯელი, გარკვეული ეპიტემია, რაც ნიშნავს, რომ იგი სინანულის ქვეშ იმყოფება. სინანულს უნდა მოჰყვეს გამოსწორება ადამიანის ქცევის, მისი სულიერი მდგომარეობის.

თუ სასულიერო პირი, გინდაც ერის ადამიანი, გინდაც მთავროვის წევრი არ აღიარებს თავის დანაშაულს და სასჯელს არ მოიხდის, მიტევაბაზე ლაპარაკი ზედმეტია. მიტევაბამდე ბევრი გზაა გასავლელი: აღიარება, სინანული, სასჯელის მოხდა, შინდობა ღმერთისგან. „მამაო ჩვენოში“ წერია: მიუტევე, რომ მოგეტივოს. ჩვენ მივუტევაბთ, როგორც ადამიანები, მაგრამ ღმერთი?

— საოცარია პირდაპირ უსაზღვროება გაუნათლებლობისა. ახლახან რამდენიმე ჟურნალისტთან შეხვედრის დროს სააკაშვილი ალაპარაკდა „მოტევაბაზე“: ერთხელ, ორჯერ — მოტევაბა და მოტევაბაო. ესმის კი მიტევაბის არსი ადამიანს, რომელსაც ეს სიტყვაც კი სწორად ვერ წარმოუთქვამს?

— მიშა სააკაშვილის გამონათქვამების სიბრძნევე საყოველთაოდ ცნობილია. როცა მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის წინ ხალხს დაჰპირდა, რომ ჩვენ დავბრუნდებითო აფხაზეთში, იქვე დაამატა, — ეს სიტყვები არასოდეს ასეთი დარწმუნებით და ასეთი თავდაჯერებით არ წარმომითქვამსო.

მაშინ იქ ერთმა ადამიანმა თქვა: ღმერთმა ქნას!

წარმოუდგენლად მკრეხელური იყო ამ სიტყვებზე სააკაშვილის რეაქცია: ღმერთმა კი არა, ჩვენ უნდა ვქნათო. ესე იგი, ღმერთს იგნორირება გაუკეთა, შეურაცხყო იგი...

და ღმერთმაც მას ანალოგიურად მიაგო.

ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს დააკნინა ეროვნული იდეა, კერძოდ ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვანახა თავისი უმეცრება. არა მგონია, რომ დედა ღვთისმშობელმა აპატიოს მას ეს.

უბედურებაა, რომ სააკაშვილს ჟურნალისტების გარკვეული

ნაწილი ბაძავს. იმ დღეს პირველ არხზე მოვუსმინე დიალოგს დავით პაიჭაძესთან და ისიც ანალოგიურად მსჯელობს.

— ნუ გიკვირთ, მამაო ბართლომე, ჩვენი გაზეთის უკვე ნახსენებ პუბლიკაციაში — „ვინ დააფინანსა ოპერაცია „ორი პატრიარქი“. და რა მიზანს ემსახურებოდა ოპერაცია „აღსარება“, ნათქვამი იყო, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ რეგულარულ თავდასხმებს ქართულ ეკლესიასა და მის უმაღლეს იერარქებზე, ისევე, როგორც ამერიკიდან მიღებული დირექტივების ქართული რეალობისთვის ადაპტირებას განახორციელებდა ერთი ჯგუფი გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილის, გივი თევზაძის, ვანო მერაბიშვილის, გივი უგულავას, მამუკა ახვლედიანის, გივი თარგამაძის, ამირან მესხელის, აკაკი მინაშვილისა და გიორგი მელაძის შემადგენლობით. მათ შორის იყო თქვენ მიერ ნახსენები დავით პაიჭაძეც, ამიტომ მისგან ასეთი მკრეხელობა ბუნებრივია და მოსალოდნელი.

— არც მიკვირს. მაგრამ მინდა, ამ ადამიანს მოვუნოდო, ცოტა გონს მოეგოს. ღმერთის სახელის ამაოდ ხსენებას თავი დაანებოს, თორემ უფალი მას ისე თუ შეეხო, როგორც საჭიროა, მაშინ მიხვდება ღმერთის ძალას და დაავიწყდება, სეკულარიზაცია რაც არის.

— „კმარას“ ფუძემდებლები...

— მართლა კმარა გიბა ბოკერია, მიზა სააკაშვილი, გიგი უგულავა, ლევან რამიშვილი და მათნარიები. თუბინდ — თეა თუთბარიძე. კმარა, მორჩა მათი დრო საქართველოში.

— საერთო-სახალხო მოძრაობა ახსენეთ თქვენ, ეროვნული მოძრაობა. ახლა რა დრო გვიდგას? ხომ არ დამუხრუჭდა ხალხის აღზევებული ძალა?

— ამ მოძრაობას არა აქვს მინელების დრო და საშუალება, არც უფლება.

არ მინდა, ქვეყნის სათავეში მოსული პრემიერ-მინისტრი ვაქო, მაგრამ ნამდვილად მჯერა ამ ადამიანის დაულალაობის, შრომის, ენერჯის, რომელსაც იგი საქართველოს, თავის სამშობლოს მოახმარს. მაგრამ ქებასაც ვერ გავურბივარ, რადგან ვხედავ მის გულანთებულობას. გახსოვთ, რამდენს ლაპარაკობდნენ წინასასარჩევო პერიოდში, რომ ბიძინა ივანიშვილი

შეცდომას შეცდომაზე უშვებსო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ერთხელ არ შემცდარა. ყველაფერი გათვლილი ჰქონდა და შედეგიც მივიღეთ.

ვფიქრობ, რომ ახლაც ყველაფერი გათვლილი აქვს.

დღეს საქართველოში, ასე თუ ისე, ორხელისუფლებიანობა სუფევს. ერთ მხარეს მთავრობაა, მეორე მხარეს — გიშა სააკაშვილი და მისი ჯგუფის წევრები, რომლებიც პრემიერ-მინისტრის, ქართველი ხალხის წინააღმდეგ აწყობენ საბოტაჟს. ამ საბოტაჟის სუნი ყველგან მცემს. მესმის, რომ საშუალო და დაბალ რგოლებში მომუშავე ჩინოვნიკების სამსახურიდან დათხოვნა დაუშვებელია, მაგრამ იმათაც უნდა ესმოდეთ, რომ ასევე დაუშვებელია საბოტაჟში მონაწილეობა. თუ ადამიანები მათ პასუხს არ მოსთხოვენ, ღმერთი ხომ მოსთხოვს!

— **სამართალი დუმს?**

— **ყველაზე ძლიერი საბოტაჟი სუფევს კუბლაშვილის სასამართლოში. ეს არ არის ქართული სახელმწიფოს სასამართლო. ეს არის ვინმე პარტიული ჯგუფის სასამართლო, რომელსაც სათავეში უდგას კოტი კუბლაშვილი, ეს ადამიანი დასცინის ქართულ საზოგადოებას, დასცინის ქართველ ხალხს.**

მინდა შევასხენო, რომ წლების წინ მას მძიმე დაავადება აქვს გადატანილი, რომელმაც შეიძლება კვლავ თავი იჩინოს, თუ იგი კვლავ ასე მოიქცევა: იგი ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიდის და ცდილობს, პარტიული ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის, გადაარჩინოს.

ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო, კოტე კუბლაშვილმა ბევრი გადაიტანა თავისი ჯანმრთელობის გამო. მინდა ვუთხრა, როცა რაიმე გადაწყვეტილებას იღებს, თავი მაღლა აწიოს და ღმერთს შეხედოს!

P.S წინასაარჩევნო პერიოდში მამა ბართლომე ხშირად ჩადიოდა ქორვილაში, ხვდებოდა ქალბატონ ციცინოს — ბიძინა ივანიშვილის 90 წლის დედას. ვეკითხები, როგორი იყო დედის დამოკიდებულება ქვეყნის ბედტეხილის სათავეში მდგარი შვილის რისკიანი საქმიანობის მიმართ?

— ყოველთვის შემართებული განწყობილება ჰქონდა. ყო-

ველთვის სჯეროდა თავისი შვილის სამშობლოსთვის გამარჯვების.

მხნედ იყო და მისთვის ჩვეულ იუმორს არ ივინყებდა. წინასაარჩევნო დღეებში „ნაციონალებმა“ ჭორვილელთა ლობეებს, მათ შორის, ივანიშვილების ლობესაც, წრეში ჩანერილი ხუთიანები მიახატეს.

შეშფოთდნენ მეზობლები და თავიანთი შეწუხება ქალბატონ ციცინოს გაუზიარეს. იმან კი:

— რაო, თქვენს ლობეებს რომ დააჩხაპნეს და ჩემსას ლამაზად რომ მიაწერეს, ამან შეგანუხათ?


იუმორში გაუტარა.

2013 წლის 6 მარტი

«ბიძინა ივანიშვილს არ ვეთანხმები...»



გუსრამ სალვარაძე



ზურბაბ ზურიშვილი

ცოტაც და წელიწადიც გავა „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მათი პირველი სტუმრობიდან. რასა იქმთ, ბატონებო, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში თქვენს ცხოვრებაში? შეიცვალა კი საერთოდ? წელთა სიმძიმე ხომ არ იგრძნეს თქვენმა ბეჭებმა დაუდებელმა? „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმრობენ სპორტის დამსახურებული ოსტატები, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები (და ასე შემდეგ) გუსრამ სალვარაძე და ზურბაბ ზურიშვილი. ფალავნები (ფალავანი — მოჭიდავე, ვაჟკაცი, გმირი. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 441).

— თქვენი გაზეთის მაღლობელნი ვართ, — **ინყებს გუსრამ სალვარაძე**, — ერთად რომ შეგვყარეთ 55 წლის მეგობრები, ჭაპა-

ნი ერთად გვიწევია ამდენი ხანი, თანატოლები ვართ — მარტ-ში დაბადებულები.

— გიჟმარტელები, — ელიმება ზარბეგს.

— ეს უფრო გიჟმარტელია, ეს მოწინააღმდეგეს ახრჩობდა ხალიჩაზე. მე არ ვახრჩობდი.

— მართალს ამბობს?

ბერიაშვილი მორიდებით თავს ხრის, საღარაძე კი ბეჭედს დაუსვამს:

— ანაკონდას ვეძახდი. იყო ერთი, საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული მოჭიდავე სინიავსკი, რომელიც ამის წონაში გამოდიოდა და ჰქონდა მახრჩობელა ილეით, რომელსაც ჩოქბჯენში წარმატებით იყენებდა და რომელსაც რატომღაც ბენდეროვსკის უწოდებდნენ.

— უკრაინელი ნაციონალისტ-ტერორისტის — სიმონ ბანდერას დაუნდობლობის ანალოგიით ხომ არა?

— შეიძლება... გადაიღო ზარბეგმა ეს ილეით, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. ბოლო წუთებზე ახრჩობდა ხალხს და ისე ალაგებდა ხალიჩაზე.

— სიბერეში, მოგეხსენებათ, ყველას თუ არა, უმეტესობას ჩემდება ცოტა გაზვიადებული მოგონებები საკუთარ თავზე. ასე ვართ ჩვენც, — **განმარტავს ზარბეგ ბერიაშვილი.**

— რატომ, შე დალოცვილო, შენი მრავალგზის ჩემპიონობა გაზვიადებულია? — **არ ეთანხმება გურამ საღარაძე და იწყებს საუბარი ჭიდაობაზე, თანაგუნდელებზე, ჭიდაობის სშირად გაუგებარ წესებზე (ოხერი წესებო, — ამბობს გურამი), რომელთა თანახმად, რომელიმე შეჯიბრში დაუმარცხებლად მოასპარეზე სპორტსმენს შეიძლება ისეთმა მოჭიდავემ აჯობოს და ოლიმპიური ჩემპიონიც კი გახდეს, რომელსაც ფინალურ ბრძოლამდე გამარჯვების სიხარული არც კი განუცდია.**

— ჩემპიონი არ უნდა გახდეს წაგებული სპორტსმენი, — **ასეთია ამათი ვერდიქტი,** — არც უზნეო. უდიდესი კორუფცია ტრიალებდა ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე და ახლაც ტრიალებს.

მოჰყავთ ამისი მაგალითები.

— **საქართველოში მოვსკვით კორუფცია, ჭიდაობა გამოგვრჩენია...**

— საქართველოში მოვსკვით კორუფცია?! — **გაოცებით**

კითხულობს გურამ სალარაძე და ყველას გვეცინება.

ამ ხიდით გადმოვდივართ დღევანდელობაში:

— ბატონებო, 27 მაისს იყავით „ქართული ოცნების“ აქციაზე?

გურამ სალარაძე: — ვიყავი, რა თქმა უნდა. მოჭიდავეების დიდ ოჯახთან ერთად. მე ხომ ამ ერის შვილი ვარ, ქვეყანა მიყვარს და ტრიადა „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩემი დევიზია, ჩემი ცხოვრების მიზანი. მე საქართველოსი ვარ და გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც საქართველოს უშველის და გადაარჩენს.

არ ვმალავე: **საქართველო სავალალო მდგომარეობაშია, დაშლილია მორალურად, პოლიტიურად, ეკონომიკურად. 27 მაისმა დაგვანახა, რომ არის გზა ხსენისა. არავის არ ვლანძღავ, მაგრამ ყველას თავისი მიუზღვევა: ეს ზეციური კანონია.**

ღმერთმა ძნას, მოინანიონ ვიღაცებმა და დაადგენენ სწორ გზას.

— მაგრამ ამას პირი არ უჩანს.

— სამწუხაროდ.

— ბატონო ზარბეგ, თქვენი სიტყვა!

— ჯანმრთელობა არ მაძლევს აქციებში მონაწილეობის საშუალებას: ასი მეტრი თუ გავიარე, დიდა! მოციმციმე არითმია მჭირს — მარცხენა წინაგული გათიშულია. წამლებზე ვარ. მაგრამ ამ ავადმყოფობისგან მსოფლიოში ჯერ კაცი არ მორჩენილა. მე კი დამატებით ინფარქტიც დამემართა.

— სულითა და გულით აქციაზე ვიყავი. სხვანაირად იქნება?!

— ეს ზარბეგია.

— რას იტყვით ტენდენციაზე, როცა ახალგაზრდა მოჭიდავეები „ქართული ოცნების“ მხარეს გადმოდიან?

ზარბეგ ბერიაშვილი: — ასე უნდა მოიქცეს ყველა წესიერი ადამიანი, ვინც ობიექტურად შეაფასებს ბიძინა ივანიშვილის უშურველ ქველმოქმედებას. პირდაპირ ჩანერეთ: **ვინც არ არის დასვენილი არამზადა, ბიძინას გვერდით უნდა იდგას.**

რა საკადრებელია, ადამიანს გულში ერთი ჰქონდეს და ვილაცას რომ ასიამოვნოს, ან კონიუნქტურის გამო, სხვანაირად მოიქცეს! ასეთი გაორება კი უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდების ჩამოყალიბებაზე. ე. წ. უნარ-ჩვევების გამოცდებზე ნა-

კარნახევ პასუხზე — ტრანსპორტში ადგილი არავის დაუთმო, რადგან ბილეთი გაქვს ნაყიდი — ქართველ ახალგაზრდობას მაღალზნეობრივ ადამიანებად ვერ აღვზრდით!

ნუ გგონიათ, რომ დასავლეთის ქვეყნებში ამგვარ მაგალითებზე ზრდიან მომავალ თაობას. ჩვენ გვაბითურებენ. ჩემი თვალთ მინახავს, როგორი პატივისცემით ეპყრობიან ადამიანები ერთმანეთს ქუჩაში, თუნდაც მანქანის მძღოლები — ქვეითად მოსიარულეებს...

გურამ სალარაძე: — სიკეთისთვის გაჩენილი კაცია და მოქალაქეობას ამადლიან?! სად ვცხოვრობთ?! რა დემოკრატია და რის დემოკრატიაზეა ლაპარაკი, ჩემო კარგო?! რაჭველი კაცი ვარ, მაგრამ უცებ ვფიცხდები, როცა ასეთ უსამართლობას ვხედავ... ბატონ ბიძინას სიტყვებს გავიხსენებ, რომლებსაც უწმინდესის ლოცვა-კურთხევით გამოსაცემად მომზადებულ ჩემს მეოთხე წიგნს ეპიგრაფად წარვუმძღვარებ: **„დადგა დრო, დავიბრუნეთ საქართველოს წარსული და ავაშინოთ ღირსიული მომავალი, ვიყოთ პირნათელი წინაპრები და მომავალი თაობის წინაშე“.**

ვინც დროზე მოეგება გონს და ამ სიტყვებს ირწმუნებს, ყველას გაუმარჯოს.

— ქვეყანას სჭირდება გვერდით დადგომა ისე, როგორც ამას ივანიშვილი აკეთებს, — **ასკვნის ბერიაშვილი.**

— და მაგრად დგომა. ამასწინათ საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში, ერთი შესანიშნავი ადამიანის ოჯახში ჭერის ახდის სუფრაზე ბიძინა ივანიშვილისა და უწმინდესის სადღეგრძელო წარმოვთქვი. 200-კაციანმა თავყრილობამ აიტაცა ეს სადღეგრძელო... საინტერესო რაა, იცით? რომ სუფრის დამთავრების შემდეგ ვიღაც ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან და მითხრა, თქვენ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთო ოჯახი.

— **გაგაფრთხილათ თუ გისაყვედურათ?**

— არ ვიცი, მაგრამ, სადაც მე გამიბედეს ასეთი რამ, **წარმოვიდგინა, როგორი წნეხის ქვეშ ჰყავთ მოსახლეობა, როცა ხელისუფლება მსტოვრებს წლისთავზე შიკრიბილი ხალხის მისაყურადებლად და „კალოშიან აბიტატორებს“ პროპაგანდისტული მუშაობის ჩასატარებლად აზზაპნის.** ეს კაცი, რომელიც ბორჯომის მკვიდრი აღმოჩნდა, ჩიხელებმა ისეთ დღეში ჩააგდეს (ჩიხაში შესანიშნავი

ხალხი ცხოვრობს), რომ მტერსაც არ ვუსურვებ.

ამასწინათ ბიძინა ივანიშვილის პასუხებს რომ ვუსმენდი „მაესტროს“ კორესპონდენტის შორენა ხვიჩიას შეკითხვებზე, კატეგორიულად არ დავეთანხმე „ქართული ოცნების“ ლიდერს.

— **კერძოდ რაში? — შენუხდა გურამ სალარაძე.**

— კერძოდ იმაში, როცა გიგა ბოკერია „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგად მოიხსენია. იდეოლოგი კი არა, „კალოშებიანი აგიტატორია“, იდეოლოგები სხვაგან უნდა ვეძებოთ. იქით, შორს...

შიშის დრო წავიდა. და ამას, დარწმუნებული ვარ, ქუთაისის აქციაც დაამტკიცებს, — **დარწმუნებულია ბატონი გურამი.**

შევთანხმდით, რომ სალამოს, აქციის შემდეგ, დავეუკავშირდებით ერთმანეთს.

იმ სალამოს, ანუ ბოლოთქმის მაგიერ

ის სალამოც დადგა, 10 ივნისის. 20 საათია. ვურეკავ:

— ვუყურებდი, ვუსმენდი და თვალზე სიხარულის ცრემლი არ შემშრობია, — **მიპასუხებს გურამ სალარაძე და ვრწმუნდები, რომ მისი ნათქვამი, რაჭველი კი ვარ, მაგრამ — ემოციურიო, ცარიელი ფრაზა არ არის,** — ასეთი სიხარული, მახსოვს, მაშინ დამეუფლა, როცა მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. პირველადაც და მეორედაც.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისი მეუღლის გამოსვლამ წინა დღით „მაესტროს“ ეკრანზე. დიდი მოკრძალება, სიდარბაისლე და ინტელექტი იგრძნობოდა ამ ქალბატონის საუბარში — ლაპარაკობდა ტრადიციული ქართული ოჯახის ახალგაზრდა დედა. აშკარად ჩანდა სამშობლოს გენეტიკური სიყვარული...

ქუთაისის აქციაზე ბატონი ბიძინა უფრო ლალი და გახსნილი მიჩვენა. არც იუმორი აკლდა, არც ორატორული ნიჭი. სრულად დავინახე მისი ქართული ხასიათი — უშუალო, ყველასთვის გასაგები, მისაღები და, ამავე დროს, ძლიერი პიროვნება.

ბიძინა ივანიშვილი სიტყვის პატრონია, ნაღდი კაცია, რომელსაც ზუსტად და ღრმად აქვს გააზრებული ქვეყნის განვითარების პარსპექტივა, რაც გარანტიანა უმნეო მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის და ხალხის გადაარჩენის...

* * *

იმერეთის ზეობის ტალღა 10 ივნისს აზვირთდა ქუთაისში. პირთამდე შეავსო დავით აღმაშენებლის მოედანი და მიმდებარე შარა-შუკებში გაიშალა.

გასცდა იმერეთის გულს და 17 ივნისს ოზურგეთში გურულების გულისთქმას შეუერთდება.

ოქტომბრამდე მთელ საქართველოს ერთ მუშტად შევკრავთო, — ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

რა, ახლა არა ვართ?!

2012 წლის 13 ივნისი

სად არის არჩილ კბილაშვილი?



არჩილ კბილაშვილი

არჩილ კბილაშვილის გადადგომა ყველას ახსოვს. მაგრამ სად წავიდა სამუშაოდ და რატომ, ბევრისთვის უცნობია.

ეს პუბლიკაცია ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა.

მაშ, ასე — სად და რატომ?

მოკლე პასუხი ასეთია: ბატონი არჩილი დაბრუნდა იურიდიულ ფირმაში, რომელიც მან და მისმა მეგობრებმა დავით ძიძიგურმა, ირაკლი მგალობლიშვილმა, ვიქტორ ყიფიანმა და ვახტანგ შევარდნაძემ 1996 წლის პირველ ნოემბერს დააფუძნეს.

ფირმის ოფიციალური სახელწოდებაა: შპს მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური.

აქვე შეიძლება ნერტილის დასმაც. მაგრამ ის, რაც დამფუძნებლებისგან ამ ფირმის რაობის, საქმიანობისა და მიზნების შესახებ მოვისმინე, ჩვენი მკითხველებისთვის, მგონი, საინტერესო უნდა იყოს.

ძალიან საინტერესოც კი.

ამიტომ გთავაზობთ.

**ჩემი რესპოდენტები არიან: არჩილ კბილაშვილი, დავით ძი-
დიგური და ვიქტორ ყიფიანი.**

როცა თანამოაზრე, ერთ საქმეს შეჭიდებულ სუპერპროფე-
სიონალებს ერთ თემაზე ესაუბრები, პასუხები ერთგვარ კო-
ლექტიურ ინტერვიუდ ყალიბდება, ერთ ძაფზე ასხმულ მძივად,
რომლის გვარ-სახელებად დაშლა-დანანევრება — ამან ეს
თქვა, იმან — ის, წყვეტს ერთიან მუხტს და ისე იფანტება, რო-
გორც დაბნეული მარცვლები, რომლებსაც პირველსახესთან
საერთო აღარაფერი აქვთ.

ოქმს ემსგავსება პუბლიკაცია.

ვცადოთ ამის თავიდან არიდება.

ერთმანეთი სტუდენტობისას გაიცნეს — 1989 წელს, როცა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულ-
ტეტზე თანაკურსელები გახდნენ. წარჩინებით სწავლობდნენ,
ნითელ დიპლომზე დაამთავრეს უმაღლესი.

ერთი პერიოდი მათი გზები გაიყარა, თუმცა ერთმანეთი არ
დაუკარგავთ, მეგობრებად რჩებოდნენ, და სავსებით ლოგიკუ-
რი იყო, რომ 1996 წელს იურიდიული ფირმა, რომელიც მაშინ
საქართველოში უცხო ხილი იყო, ერთად დააარსეს. მოღვაწე-
ობა „მრავალპროფილური“ „პირიმიზის“ შენობის მეექვსე სარ-
თულზე, საკუჭნაოს გვერდით, ერთ ოთახში დაიწყეს — ნათხო-
ვარი სკამ-მაგიდით და ერთი კომპიუტერით, რომელიც ირაკ-
ლის სანადირო თოფის გაყიდვით მიღებული ფულით შეიძინეს.

კერძო პრაქტიკას საკუთარი ძალებით, სხვების დაუხმარებ-
ლად შეუდგნენ. სრული დამოუკიდებლობა ამით მოიპოვეს.

— ამ დროს არსებითია, კანონიერების, სინდისისა და ქვეყ-
ნის ინტერესების პატიოსან მსახურად დარჩე, — ასე მიაჩნი-
ათ, და როგორც თვითონ ამბობენ, მათი ხელწერა ამ პრინცი-
პის ერთგულების ასპროცენტიანი მაგალითი თუ არა, განხორ-
ციელების მცდელობა მაინც იყო.

და არის.

— დღევანდელი ჩვენი ყოფა ჩვენი მეოთხე ოდისეაა. ბუნებ-
რივად ვვითარდებოდით, ხელოვნური ნახტომები არ გვქონია,
რადგან ან ვინმესგან დახმარების მიღება, ან ვინმესთან ალი-
ანსში შესვლა ჩვენს პრინციპებს არ ესადაგება.

— ჩვენი ფირმა შემდგარია, თავისი რეპუტაციით ქვეყნის შიგნითაც აქვს საკუთარი ადგილი მოზოვებული, და ქვეყანასაც ღირსეულად წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე — ურთიერთობა გვაქვს ხუთივე კონტინენტთან, არა მარტო ჩვენი პროფესიის კუთხით, არამედ მის მიღმა მოღვაწე საინტერესო ადამიანებთანაც. ეს უფრო მეტს გვავალებს და უფრო საინტერესოს ხდის იმ ამოცანებს, რომლებიც სადღეისოდ და სახვალოდ დგას ჩვენს წინაშე და რომლებიც გვინდა, საკუთარი მხრებით ვზიდოთ.

— **რას ნიშნავს ხუთივე კონტინენტთან ურთიერთობა?**

— ბიზნესს, რომელსაც ინტერესი აქვს, რალაც ქმედება განახორციელოს საქართველოში, აუცილებლად სჭირდება ინფორმაცია, იმის ცოდნა, თუ როგორი სისტემაა საქართველოში და როგორ მუშაობს იგი. ამ თვალსაზრისით ჩვენ მათთვის ერთ-ერთი სანდო წყარო ვართ. ეს ნიშნავს, რომ იურიდიულ მომსახურებას ვუწევთ უცხოურ ბიზნესს, უცხოურ კომპანიებს, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოში მათ მომავალ საქმიანობას შეეხება. ვაცნობთ მათ საგადასახო, საივესტიციო, საკანონმდებლო რეჟიმს და ისინიც ამაზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს.

— **გამოდის, რომ თქვენი მიზანი უცხოელებისთვის დახმარების გაწევაა. ამით ჩვენ რა?**

— თუ ინვესტიციების ნაკადი დიდი იქნება, დასაქმების ადგილების რაოდენობაც გაიზრდება. უმუშევრობასაც ეშველება, ეკონომიკაც მომძლავრდება, კულტურის განვითარებასაც ხელი შეეწყობა და ა.შ. ჩვენი ამოცანაც ეს არის.

— შედარებით ნაკლებად ვიკვლევდით სისხლის სამართლის საქმეებს. ამას თავისი მიზეზები აქვს. ბოლო პერიოდში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქვეყანაში სისხლის სამართალი პრაქტიკულად აღარ არსებობდა. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ წყდებოდა ჩვენთან სამართალი — საპროცესო შეთანხმებებით და ასე შემდეგ. ადვოკატის როლი საერთოდ უგულვებლყოფილი იყო, და იშვიათ შემთხვევაში გვინებდა ჩართვა. ამიტომ ძირითადი ორიენტაცია აღებული გვქონდა უცხოური ინვესტიციების მომსახურებაზე. აქ დავიმკვიდრეთ ჩვენი ნიშა. ბევრ საკმაოდ გავლენიან უცხოურ კომპანიას, მათ შორის, ტრანსნაცი-

ონალურს, მოვემსახურეთ გასული 16 წლის განმავლობაში. მხოლოდ ერთი მაგალითი: როცა ამერიკის საელჩო თბილისში მინის შექმნას აპირებდა, სადაც დღესაა განთავსებული, მაშინ აშშ მთავრობას ჩვენი ფირმა წარმოადგენდა, კონკრეტულად, — ვიქტორ ყიფიანი. ასეთი რამ არაერთგზის ყოფილა.

— ამბობენ, რომ სახალხო ამბოხის ისეთი ამადლებული გამოვლენის, როგორც რევოლუციაა, ნერვი არის ფული. თქვენი საქმიანობაც წარმოუდგენელია ასეთი ნერვის არსებობის გარეშე. გაქვთ კი იმდენი შემოსავალი, რომ იარსებოთ ასეთ დონეზე და ასეთი მასშტაბით?

— ჩვენს ფირმაში 25 ადამიანი მუშაობს. საქართველოს მასშტაბით ამ რაოდენობის თანამშრომლების მქონე იურიდიული ფირმა დიდად ითვლება. ეს ნიშნავს, რომ მომსახურების ხარისხი და ინტენსივობა ისეთი დონის უნდა იყოს, რომ ადამიანებს აქ მუშაობის სურვილი ჰქონდეთ.

— ე.ი. გაქვთ მომსახურების მაღალი ხარისხისა და თანამშრომელთა პროფესიონალიზმის შესატყვისი ანაზღაურება?

— განვითარებას ყველა ვესწრაფვით და, რასაკვირველია, ვიზიარებთ ჩვენი ქვეყნის ბედს წარმატებებსა და წარუმატებლობაში. თანაზიარნი ვართ. მაგრამ დღესდღეობით სანუნუნო ნამდვილად არაფერი გვაქვს. ჩვენთან ყოფითი თემების მოგვარებაზე საუბარი არ არის: უზრუნველყოფთ ცხოვრების საკითხების უცილობელ დაკმაყოფილებას საკმაოდ ღირსეულად.

— არჩილ კბილაშვილი ამბობს, რომ როცა მას მთავარი პროკურორის თანამდებობა შესთავაზეს, ფირმის არცერთი თანამშრომელი არ დათანხმდა პროკურატურაში გადასვლას.

— ორი მიზეზის გამო არ წამომყვნენ. პირველი იმიტომ, რომ ჩემი მეგობრების პრაქტიკული საქმიანობა, როგორც ითქვამს, ბიზნესსამართალს უკავშირდებოდა და მათ ჩათვალეს, რომ პროკურატურაში სისხლის სამართლის სფეროში გამოცდილი ადამიანები უნდა დასაქმებულიყვნენ. მეორე, ადვილი არ იყო ანყობილ-დალაგებული მოქმედი კომერციული სტრუქტურის მიტოვება. მე რაღაც გამონაკლისი დავუშვი (თუ გამომივიდა), როცა ბიძინა ივანიშვილთან ერთად პოლიტიკაში წავედი და შემდეგ შემოთავაზებულ პოზიციაზე გადასვლას დავთანხმდი. თუმცა ესეც საერთო გადაწყვეტილება იყო, რადგან ჩვენ აქ ერთი ოჯახივით ვართ და თითოეული ადამიანის გასვლა-გამოკ-

ლება გვალარბებს. მაშინ ჩავთვალეთ, რომ უმძიმესი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანაში ყველას თავისი წვლილი უნდა შეეტანა, ყველა წესიერი ადამიანი უნდა დამდგარიყო იქ, სადაც ივანიშვილმა თავისი პოზიცია დააფიქსირა. ახლა, როცა ვითარება შეიცვალა, სიამოვნებით დავუბრუნდი ჩემს საქმეს.

— მონაწილეობთ თუ არა იმ სასამართლო დავებში, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას, ან წარმოიქმნება კიდევ ჩვენს ქვეყანაში ინვესტორების მოღვაწეობის პერიოდში?

— ჩვენთან ადვოკატურის ფუნქცია უმეტესად არასწორადაა გაგებული. ადვოკატურა არის შემადგენელი ნაწილი ერთი დიდი სფეროსი, რომელსაც იურიდიული კონსალტინგი და მომსახურება, იურიდიული დახმარება ჰქვია.

— გაგვარკვიეთ.

— იურიდიული დახმარების ორი მიმართულება არსებობს. ერთია ის, რომელიც დავას არ უკავშირდება, მეორე — ის, რომელიც დავაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი სასამართლოსა და არბიტრაჟში წარმომადგენლობით ხორციელდება, ანუ იქ, სადაც დავა გაირჩევა. პირველი თემა შედარებით უფრო ბუნდოვანია აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რადგან სადავო ელემენტს არ შეიცავს. ეს არის გარიგების სტრუქტურის ზეობა, სამართლებრივი რისკების შესამცირებლად რჩევის გამომუშავება და მიცემა, საპროექტო ან გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება, თანხლება, ბოლომდე მიყვანა, დასრულება და გზის დალოცვა.

ზოგადი დახასიათება ასეთია, თორემ ვინრო მიმართულებით ეს არის საბანკო-საფინანსო, სამენარმეო, ფისკალური, სახელშეკრულებო, უძრავ ქონებასთან, ინფრასტრუქტურებთან და ა.შ. დაკავშირებული თემები.

— საქართველოში რაც კი მსხვილი პროექტები განხორციელებულა, ყველაში მიგვიღია მონაწილეობა.

— მაგალითად?

— მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენი. ჩვენ რჩევას ვაძლევდით საფინანსო ინსტიტუტებს, ანუ იმათ, ვინც ამ თემას აფინანსებდა. ეს პროექტი 6-7 მილიარდს მოიცავდა. ამას სამხრეთ კავკასიის გაზსადენი მოჰყვა. ვმონაწილეობთ მრავალ საკითხში, რომლებიც ენერგეტიკის, კაპიტალის ბაზრის, საბანკო-საფინანსო სფეროს განვითარებას შეეხება.



არჩილ კვიციანი, დავით კვიციანი, ვიქტორი ყიფიანი

ამჟამად ჩვენი ფირმა ჩართულია ერთ-ერთი მსხვილი ქართული კომერციული ბანკის აქციების განთავსების პროცესში ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

მოკლედ, ესაა საკითხები, რომლებიც ქვეყნის განვითარების არასაკმარისი დონის გამო ჯერ ფართოდ პოპულარიზებული არ არის. იურიდიული სერვისის ამ მხარეზე, რომელიც უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვრცელი ინფორმაცია არ არსებობს.

ფირმას ნაწარმოები აქვს უმსხვილესი საარბიტრაჟო დავები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, დაწყებული მსოფლიო ბანკთან არსებული საარბიტრაჟო-საინვესტიციო დავათა განხილვის ცენტრით, გაგრძელებული ლონდონის, სტოკჰოლმის არბიტრაჟებით და ა.შ. და ა.შ.

— ე.ი. თქვენ ყიდით თქვენს ინტელექტს, უხეშად რომ ვთქვათ, ამით „აკეთებთ ფულს“. საქართველოში ყველა, ვინც ბიზნესში იყო ჩართული, ანუ პატიოსნად „აკეთებდა ფულს“, ხელისუფლების არნახული წნეხის ქვეშ ექცეოდა, სახელმწიფო რეკეტის საცეცები ყველას ყელზე ჰქონდა შემოხვეული. თქვენ გადაურჩით?

— ჩვენი ბიზნესი ინტელექტუალური აქტივობაა. ჭკუასა და გონებას ვერ წაგვართმევდნენ...

— ძნელად წასართმევია. მოგეხსენებათ, „ცოდნა თან დასდეგს მცოდნელსა, რაზომცა დაეტარების“ და „მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“.

— ასეთ ვითარებაში არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი რისკები. არაპირდაპირი რისკი და საფრთხე არის პოლიტიკური გარემო. ის მაინც გემუქრება მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება უშუალო შემხებლობაში არ იყოს შენთან. არაპირდაპირი რისკი და საფრთხე არის არაჯანსაღი მაკროეკონომიკური გარემო. როცა სისტემა არაჯანსაღია, ყოველდღიურად ერევა შენს საქმიანობაში, გართმევს, გთელავს და გაფერხებს. ამ თვალსაზრისით, იმის თქმა, რომ ჩვენ სტერილურ გარემოში ვიმყოფებოდით, არასწორი იქნება. პირიქით, ეს იყო შემანუხებელი, შემაფერხებელი და რისკის შემცველი.

მეორე საკითხია პირდაპირი რისკი. ინტელექტს ვერ წაგართმევენ, მაგრამ შეიძლება „შემოგთავაზონ“, ან გაიძულონ, რომ ეს ინტელექტი მოახმარო არასწორ მიზნებსა და ამოცანებს. ინტელექტი, რა თქმა უნდა, უხილავია, მაგრამ ინტელექტის წინააღმდეგ მიმართული აგრესია შეიძლება უფრო მეტი საფრთხის მატარებელი იყოს. ინტელექტის დონეზე დაბეჭავებული და უკეთურთა სამსახურში მოქცეული ხალხი, ან ხალხის გარკვეული ნაწილი, შეიძლება უფრო მეტი რისკის მატარებელი იყოს, ვიდრე ქონებაჩამორთმეული და საკუთრების უფლება-აყრილი ადამიანები.

შეიძლება, ჩვენთვის უხერხულია ამაზე საუბარი, მაგრამ ჩვენი კოლეგების გარკვეული ნაწილი ემსხვერპლა მათ ინტელექტზე მიტანილ იერიშს, როცა მათ, ნებით თუ უნებლიედ, იკისრეს ისეთი ფუნქცია, რომელიც თავსებადი არ იყო პროფესიასთან, ეთიკასთან, ღირებულებებთან და ა.შ.

ჩვენც იგივე საფრთხე გვემუქრებოდა, მაგრამ მოვახერხეთ და თავიდან ავირიდეთ.

მინდა გითხრათ, რომ ეს მარადიული თუ არა, მუდმივი პრობლემაა და მხოლოდ არჩევნიებიდან არჩევნებამდე, ან ერთი მთავრობის მეორეთი შეცვლამდე არ იჩენს თავს. იგი ჯანსაღ საზოგადოებრივ მიდგომას უკავშირდება, რაც მთავრობის შეფერილობიდან არ გამომდინარეობს. ეს არის დაპირისპირება ჯანსაღსა და არაჯანსაღს შორის, რის გარეშეც საზოგადოების განვითარება შეუძლებელია.

— **ჯანსაღი და არაჯანსაღი. წესიერი და უწესო. მოარული დებულებით, არ არსებობს კანონი, რომელსაც გვერდი არ შემოველება. აქ რომელ პრინციპზე დგახართ?**

— კვალიფიციური იურიდიული მომსახურების მიზანია, გაუიოლოს ბიზნესს ცხოვრება ნაკლები ადმინისტრირების ხარჯზე, ნაკლები დანახარჯების საფუძველზე. სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ჩარევის პირობების შექმნა ჩვენი მომსახურების ეფექტიანობის ერთგვარი საზომია.

ამიტომ, თუ საუბარი არის კანონიერების დაცვის პრინციპით კანონის მოხერხებულ გამოყენებაზე, ეს მისაღებია, მისასაღმებელია და არის სწორი ბიზნესმიდგომა. მაგრამ, თუ კანონის გვერდის ავლა ხდება კანონიერების დარღვევით - დაფარული გადასახადი იქნება, უკანონო შემოსავალი თუ კანონსაწინააღმდეგო გადახდები, ეს უკვე კატეგორიულად მიუღებელია.

— **როგორც ვხედავ, ამ შემთხვევაში, გარკვეული თვალსაზრისით, ქვეყნის განვითარება-დეგრადირების საკითხი დგას. თუ მეჩვენება?**

— ჩვენი მოღვაწეობის სფერო დაკავშირებულია გამოწვევასთან, რომლის მიხედვით, სამყაროში, რომელშიც ჩართული ვართ, საქართველო წარმოდგენილი უნდა იყოს პატიოსანი შრომის სახით. საკმარისია, ერთხელ მოიტყუო, მეორედ მოიტყუო, ან არასწორი რჩევა მისცე დამკვეთს, რომ არა მარტო შენ გაგიტყდეს სახელი, არამედ იმიჯი შეურყიო ქვეყანას. ზიანი, რომელიც ამით სახელმწიფოს ადგება, შეიძლება ახლო დისტანციიდან მაინც და მაინც გამოკვეთილად არ ჩანდეს, როგორც ზოგჯერ ექიმის შეცდომის დროს ხდება, მაგრამ შორი დისტანციიდან და დროის გასვლის შემდეგ შეიძლება დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. წესიერება და პროფესიონალიზმი ყველა სფეროში და, მათ შორის, მომსახურების ამ სეგმენტშიც უკიდურესად მნიშვნელოვანია. მორალი, ზნეობრივი საწყისი წარმატების ქვაკუთხედი და წინაპირობაა. შემდეგ მოდის პროფესიონალიზმი. ანუ: უნდა იყო ზნეობრივი, უნდა გქონდეს საკმარისი ცოდნა და უნარი ურთიერთობის დამყარების. ჩვენ თუ რამეს მივალნიეთ, ამ კომპონენტების ერთობლიობით მივალნიეთ.

ღმერთს ამისთვის ვმადლობთ!

ვინ ჩაიგდო სელუი პატარკაციშვილისა და კოდუას საუბრის ჩანაწერი



ბესო კეიღია და ბადრი პატარკაციშვილი

ბესო კეიღია „ავტოვაზის“ დირექტორად მაშინ მუშაობდა, როცა ბადრი პატარკაციშვილი რუსთავის ბაზის, რომელიც „ჟიგულის“ ნაწილებით ამიერკავკასიას ამარაგებდა, დირექტორის მოადგილე-მომარაგების უფროსი იყო.

იმხანად ჩაეყარა საფუძველი მათ მეგობრობას, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელ გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

1990 წელს ბადრი საქართველოში რომ დაბრუნდა, მოძებნა ბესო კეიღია და მას მერე დღე არ გასულა, ერთად რომ არ ყოფილიყვნენ — საქმეშიც და მოცალეობის ჟამსაც: ნარდის თამაშს, მაგალითად, ერთ დილას რომ იწყებდნენ, მეორე დილით ამთავრებდნენ.

— ნარდის თამაშით ისვენებდა. ეთიშებოდა საქმეს, ნარდის გარდა იმ საათებში არაფერზე ფიქრობდა.

ამ შესავლის გაცნობის შემდეგ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი, ალბათ, არ გაიკვირვებს, რატომ მოვიწვიეთ ბატონი ბენსონი კეიტი ბადრი პატარკაციშვილთან დაკავშირებულ ბოლომდე გაურკვეველ ზოგიერთ საკითხზე სასაუბროდ.

— ბატონო ბენსონ, ბოლო ხანს კვლავ გააქტიურდა ბადრი პატარკაციშვილისა და ირაკლი კოდუას საუბრის ჩანაწერზე ლაპარაკი. თქვენ ბადრის უახლოესი მეგობარი იყავით. შეგიძლიათ ისაუბროთ ამ თემაზე?

— ვიცოდი, რომ უნდა გამართულიყო შეხვედრა პოლიციის ამ მაღალჩინოსანთან. **ახლა რომ ამბობენ, კოდუსამ ფარულად ჩაინერაო, ტყუილია. შეუძლებელია, კოდუსს რამის ჩანერა მოეხერხებინა.**

პირიქით იყო ყველაფერი.

ამ შეხვედრას წინ უძღოდა ბადრის შეთანხმება სკოტლანდ იარდთან. სწორედ ამ საიდუმლო სამსახურის დახმარებით უნდა ჩაენერა მათი საუბარი. ასეც მოხდა. ეს ინგლისია, ჩემო ბატონო, ბანოჯა და ვანუატუ კი არა. ამგვარი ღონისძიების ჩატარება ქვეყნის შიგნით დივერსიად არის მიჩნეული და **საქართველოს სპეცსამსახურის რაზმად მაღალ მოხელეს ამ დივერსიის განხორციელების უფლებას არაპინდ მისცემდა. ეს აქსიომაა.**

— ფენსაცმლის ქუსლში ჰქონდაო ჩამონტაჟებული ჩამწერი აპარატურა?!

— ზღაპრებია! ასეთი პრიმიტივიზმი ბერიას დროინდელ შინსახკომშიც კი წარმოუდგენელი იყო. დღეს არსებული მაღალი მგრძობელობის აპარატურა დაუბრკოლებლად აღმოუჩენდა ასეთ „ფარულ“ მონყობილობას.

მე, რაც ბადრისგან ვიცი, იმას ვამბობ. ისიც უნდა ვთქვა, რომ **ბადრი არ იყო ის პიროვნება, რომელიც კოდუსს სატყუარაზე წამოეგებოდა. მან ძალიან კარგად იცოდა, ვის ხვდებოდა, თავიდან გოლომდე შესწავლილი ჰყავდა ეს კაცი და დარწმუნებული იყო, რომ ორმაგი თამაში მისთვის უცხო და მიუღებელი არ იქნებოდა.**

მოვლენების განვითარებამ ეს დაადასტურა, ხოლო კოდუას-თვის გენერლის ნოდების მინიჭებამ ბეჭედი დაუსვა იმას, რასაც ბადრი ამბობდა.

ბადრისთან შეხვედრამდე კოდუა ლამის ფხვის ფრჩხილამდე შეამოწმებს და, როგორ ფიქრობთ, ფხსსაცმლის ქუსლში ჩამონტაჟებულ მოწყობილობას ვერ აღმოუჩინდნენ?! თქვენ რა, არ გინახავთ, რომ თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ სპეცკონტროლში გასვლისას ზოგიერთი მგზავრი ფეხშიშველიც კი გაუტარებიათ?

— **ვყოფილვარ ამისი მომსწრე, თუნდაც ჩვენს აეროპორტში, როცა ერთ-ერთ ჩვენს ოპერატორს („სვანს“) მანამ არ მოეშენენ, სანამ ფხსსაცმელი არ გახადეს და დეტექტორში რამდენიმეჯერ ისე გაატარეს, რომ მშობლიური მიწის სითბო ფეხის გულებით ეგრძნო...**

— ლონდონში ბადრისთან მისულ კოდუას დაცვის თანამშრომლები, რომლებიც სპეციალურად იყვნენ გაფრთხილებულნი და იცოდნენ, რისი აღმოჩენა და აღკვეთა ევალებოდათ, როგორი გულმოდგინებით შეასრულებდნენ დავალებას, მტკიცება არ სჭირდება. სააკაშვილის პროპაგანდისტული აპარატის ჩვეული ხრიკია, რომელმაც ეს პროფესიონალები პრიმიტიულ ხეპრეებად წარმოგვიდგინა, რომლებიც მოხერხებულმა ვანო მერაბიშვილმა და მასზე უფრო მოხერხებულმა კოდუამ გააცურეს.

ასეთ პრიმიტივიზმს საბჭოთა მზვერავებზე გადაღებულ ოცდაათიანი წლების კინოფილმებშიც ვერ შეხვდებით.

პატარკაციშვილ-კოდუას საუბარს არ დავსწრებივარ, ვიმეორებ იმას, რაც ბადრისგან ვიცი.

— **ვანო მერაბიშვილის ლიკვიდაცია შესთავაზაო პატარკაციშვილმა კოდუას. ჩანანერში ასეა.**

— **ჯერ ერთი, ბადრი პატარკაციშვილი არ იყო ის პიროვნება, რომელიც ვინმეს ლიკვიდაციას შესთავაზებდა კოდუას.** ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. თავის პოლიტიკურ ცხოვრებას იგი სხვების გვამებზე არ ააგებდა. რომც ეფიქრა ლიკვიდაცია, პოლიციის თანამშრომელს ამას არ გაანდობდა. მეორე: **ჩანანერი, რომელიც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ქართულ საზოგადოებრიობას მოასმენინა, იყო უხეში მონტაჟი, რომლის გაკეთება მეტ-**

ნაკლებად დაოსტატებულ ხმის რეჟისორს შეუძლია. ისეთი სიყალბე იყო, რომელსაც ნებისმიერი ექსპერტი წვალეების გარეშე აღმოაჩენს და დაადასტურებს.

— თქვენი არგუმენტები გასაგებია, მაგრამ, თუ ბადრი პატარკაციშვილმა თვითონ ჩანწერიან კოდუასთან თავისი საუბარი, მაშინ საკითხავია, სად, როდის და როგორ მოახერხა მერაბიშვილის სპეცსამსახურმა ამ ჩანწერის გაყალბება?

— ძალიან მარტივად — ე. წ. პერეხვატის მეშვეობით ხელთ იგდეს საუბრის ჩანწერი.

— აბა, გიორგი თარგამაძემ ჩამოიტანაო?

— გიორგი თარგამაძე მამ დროს თხილისში იყო, „იმედში“ იჯდა და ელოდებოდა ამ ჩანწერს. შემდეგ, თუ გახსოვთ, თარგამაძე გამოვიდა და დახურა ტელევიზია. დამონტაჟებული ჩანწერი კი „რუსთავი 2“-ზე გაასაჯაროვა ხელისუფლებამ — მოგვასმენინა ის, რაც მას სურდა, და არა ის, რაც სინამდვილეში იყო. ბადრის რომ ვკითხე, შალვოვიჩი, ამაზე რას ფიქრობ-მეთქი, მიპასუხა, მეც იმავეს ვფიქრობ, რასაც შენო. გაეცინა: მამ ავანტიურაზე ლაპარაკიც არ მინდაო — კოდუას ჩემი საუბარი როგორ უნდა ჩაწერაო?!

— რატომ დასჭირდა სააკაშვილის ხელისუფლებას ამ სიბინძურის გაკეთება?

— ბადრიც ამბობდა და ნებისმიერი პატიოსანი ანალიტიკოსიც გაიზიარებს იმ პოზიციას, რომელსაც პასუხად გეტყვით. ბადრის ჰქონდა უზარმაზარი რესურსი, ნერტილი დაესვა „ნაციონალებს“ პარპაშისთვის საქართველოში. ხალხი მას მხარს უჭერდა. ოპოზიციური პარტიები მის გვერდით იდგნენ. სააკაშვილისეული ელიტა დაფრთხა და ყველაფერს კადრულობდა ბადრის ავტორიტეტის შესარყევად.

კოდუას ავანტიურაზეც ამიტომ წავიდნენ, მაგრამ ამ ბლემმა დიდხანს არ იმუშავა. როგორც ყველა ტყუილს, ამასაც მოკლე ფეხები აღმოაჩნდა.

რას იზამ, ზოგს ასე აძლევს ხელს, ზოგს — სხვანაირად. ზოგმა ყველაფერი ოლიგარქსა და მილიარდერ ბერეზოვსკის დააბრალა. თითქოს ბერეზოვსკიმ ჩაგვიშვა... **პირეზოვსკის არაფერი გაუფუჭებია, არავინ ჩაუშვია.**

— ნაღდა?

— აბა, რა! პირიქით. **ბადრი რომ ბარდაიცვალა, პირე-**

ზოვსკი ძალიან ნერვიულობდა, იმიტომ, რომ ყველა-ფერი პატარკაციშვილისთვის ჰქონდა მინდობილი, მთელი გიზნისი. თვითონ საერთოდ არაფერს აკონტროლებდა. ბადრის სიკვდილი ბერეზოვსკისთვის თავისი ბიზნესის სიკვდილი, მთელი საქმის კატასტროფა იყო.

— **ბადრი ელოდა, რომ მის ლიკვიდაციას შეეცდებოდნენ?**

— აბა, რა! ამაზე საუბარს ხშირად შევსწრებივარ. ყველაფერს ეუბნებოდნენ, თუ რამეს გაიგონებდნენ, თუ სადმე რამეს აღმოაჩენდნენ. ელოდა, მზად იყო ყველაფრისთვის, მაგრამ პანიკაში არასოდეს ჩავარდნილა.

— **დაგიჯერებთ, რომ იცოდა, მაგრამ საიდან ჟონავდა ასეთი ინფორმაცია?**

— **ბადრი დიდი ფულის პატრონი იყო. ამ ფულის მკვეთრობით ყველგან ჰყავდა თავისი „თვალი და ყური“ — აქაც, იქაც.**

— **პოლიციაშიც?**

— აბა, რა! ვინ რას იტყოდა დილით, საღამოს ბადრის იცოდა, შეიძლება, უფრო ადრეც. დიდ ფულს უხდოდა ყველას.

— **თქვენთვის უთქვამს, რომ „იქ“ ჩემი ხალხი მყავსო?**

— თქმა რად უნდოდა! თვითონაც ვიცოდი.

— **ისეთ „მოღვაწეებზეა“ ლაპარაკი, რომლებიც ცნობილი იყვნენ და არა წვრილფეხობაზე?**

— აბა, რა! მაგრამ დასახელებას ნუ მომთხოვთ. ბადრი ცოცხალი არ არის და სხვა ვერავინ დამიდასტურებს იმ გვარებს, მე რომც ჩამოგიტვალთ.

— **კოდუაზეც შეიძლება ვიფიქროთ?**

— კოდუას იმ პერიოდში რაღაც პრობლემები შეექმნა პოლიციაში და რეაბილიტაციისთვის, შეცდომების გამოსასყიდად იკისრა ის საქმე, რომელზეც ვილაპარაკეთ, ან — დაავალეს. მას ამ ოპერაციის შედეგად მისცეს გენერლობა, როგორც ვიცო.


ბადრის, როგორც გითხარით, ყველგან თავისი ხალხი ჰყავდა, პარტიებშიც.

— **პარტიებშიც?!**

— პარტიებშიც!

— **„ნაციონალურ მოძრაობაშიც“?**

— დიახ. ყველაფრის შესახებ მოსდიოდა ინფორმაცია. უკვე



ნასული ამბავია და შეიძლება ვთქვა. ერთ პერიოდში ჩამოვიტანეთ მანქანაზე დამონტაჟებული მოძრავი მოსასმენი აპარატურა. მანქანას ეწერა „ტელევიზია იმადი“. თანამედროვე, უაღრესად მგრძობიარე პელენატორით შენობაში რაც სდებოდა, იმის მოსმენა და დაფიქსირება შენობის გარედან შეიძლებოდა. ამასთანავე, 3-4 მოგილური ტელეფონის მოსმენაც იყო შესაძლებელი.

ერთი თვე იმუშავა ამ აპარატურამ, შემდეგ დამიძახა და მითხრა ბადრიმ:

— ბესო, გამორთე ეგ აპარატურა, იმდენ სისაძაგლეს ვიგებთ, რომ შეიძლება გავგიჟდეთ. **ამ ყველაფერს რომ ვუსმინოთ და დავიჯეროთ, შეიძლება მართონი დავრჩეთო. ახლოვლები ისეთ რაღაცებს ყვებოდნენ, რომ თმაგი ყალყზე დაგიდგებოდა კაცს.** ყველაფრის გადმოცემა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად — ნასული საქმეა.

— ბადრის საარჩევნო შტაბშიც იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც პატარკაციშვილზე აუგის თქმაში ვარჯიშობდნენ?

— ყველგან იყვნენ. იქიდანაც მოჰქონდათ ამბები, აქედან იქითაც მიჰქონდათ. ამას მიჩვეული იყო ბადრი. ვინმე რომ ეტყოდა, ესა და ეს კაცი, ხომ ხედავ, შენს ქონებას იპარავსო, უპასუ-

ხებდა: შენ რომ მის ადგილზე იყო, არ მოიპარავო?!

გულუხვი კაცი იყო ბადრი პატარკაციშვილი. მეგობარსა და ახლობელს ფულს დაუშურვებლად აძლევდა ბიზნესის წამოსაწყებად (ათასები იყო, ცოტა კი არა!). ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ მისგან დაფინანსებული პიროვნება, საეჭვო საქმეში დებდა ფულს და პირნმინდად კარგავდა.

პატარკაციშვილთან დარცხვენილი რომ მოვიდოდა, ბადრი ეტყოდა:

— ბიჭო, საქმეს თავს თუ ვერ ადგამ, ის ფული შენ მაინც შეჭამე, სხვას რატომ აბაირამებ?

ბანკში უდებდა ანგარიშზე... ბევრი მათგანი ახლაც იმ თანხის პროცენტებით ცხოვრობს.

ანალიტიკური ტვინი ჰქონდა და სიტუაციას ყოველთვის პრაგმატულად აფასებდა, ზედმეტი ემოციების გარეშე. **არ უპვირდა არც მოსმენა, არც ქურდობა, არც ჩაშვება, მაგრამ ყველაფერს მომზადებული ხვდავოდა შესამანი-ნააღმდეგო საშუალებებით.**

ადამიანები, რომლებსაც ბადრი თავისიანებად მიიჩნევდა, ერთმანეთთან საუბარში მის გინებასაც არ ერიდებოდნენ, — ასეთი და ისეთია, ყვევრე და გაიძვერაა, ეს თანამდებობა უნდა, ის უნდა და ა. შ.

ისეთი ახლობლები ლაპარაკობდნენ, რომლებზეც გადაყოლილი იყო. მონინააღმდეგე მხარესთან საუბრის დროს ჩადებდნენ კუბოში.

მას შემდეგ ის მოსასმენი აპარატურა აღარ გამოგვიყენებია და ახლა სად არის, არ ვიცი. უამრავი ჩანანერი იყო, თავისთავად ძალიან საინტერესო, მაგრამ ვინ და რისთვის გამოიყენა, ან იყენებს თუ არა დღეს, ვერაფერს გეტყვით. არც მაინტერესებს.

— ამდენი მუქარა რომ მოდიოდა ბადრი პატარკაციშვილის მისამართით, ამის გასანეიტრალებლად კეთებოდა რამე განსაკუთრებული? გარედან ისე ჩანდა, რომ მის დაცვაში სულ რამდენიმე კაცი იყო, თანაც უცხოელები.

— დაცვა რომ ჰყავდა, **ყველა ხვდავდა. მაგრამ არავინ იცოდა, რომ მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა 30 კბილეზამდე შეიარაღებული პროფესიონალი.** თვალში არავის რომ არ მოხვედროდა, ეს გარე დაცვა უბრალო, შეუხედავი

მანქანებით გადაადგილდებოდა. ბადრის პირადმა დაცვამაც არ იცოდა მათი არსებობა.

— **პარლამენტის წინ გამართულ მრავალათასიან მიტინგზე ბადრი პატარკაციშვილი რომ გამოვიდა, განაცხადა, რომ მთელ თავის ქონებას სააკაშვილის რეჟიმისგან საქართველოს გათავისუფლებას მოახმარდა.**

— თავი გადადებული ჰქონდა. არა მხოლოდ გააკეთებდა, აკეთებდა კიდევ.

— **ბევრს ლაპარაკობდნენ ბადრი პატარკაციშვილისა და ბიძინა ივანიშვილის დაპირისპირებაზე, ბევრს ჭორაობდნენ.**

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **ბადრის ბატონ ბიძინა ივანიშვილზე არასოდეს სიტყვაც არ წამოსცდენია! ცუდს, საერთოდ, ვერავისზე ათქმავინებდით.**

ხოლო ენის მიმტანს, რაც გინდა შენს საწინააღმდეგოდ ელაპარაკა, არ დაუჯერებდა, შენზე ჩამოყალიბებული თავისი აზრი არ შეეცვლებოდა.

ჩამგვებაბი რომ დარწმუნდნენ, ენის მიტანას აზრი არ ჰქონდა, დაშოშვინდნენ, დანყნარდნენ, შეიშვინენ ყურში ჩაწურწულეპას. თორემ თავიდან ისეთი შემოტევა იყო, ნორმალური ადამიანი ვერ წარმოიდგენდა. პროფესიულ საქმიანობად ჰქონდათ გადაქცეული.

ჩემზე რას არ ეუბნებოდნენ, ოოო! ეცინებოდა ბადრის ამაზე.

— **ბატონო ბესო, ის რა იყო, ბადრის საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულმა აქტივისტებმა აქცია რომ მოაწყვეს, ფული არ გადაგვიხადაო?!**

— **ბადრი სხვის ფულს არასოდეს შეირჩინდა, მით უფრო, თუ იმ სხვას რაღაც საქმი მანაც ჰქონდა გაკეთებული.** მაგრამ ზოგი ფულის შოვნაზე იყო გადასული, ბერავდნენ ხარჯთაღრიცხვას, სულ უფრო მეტ ფულს მოითხოვდნენ, ლარიან საქმეს ოცი ლარის ფასს ადებდნენ. არ იყო ბადრი ისეთი სულელი, რომ ასე ეფლანგა ფული.

ერთი ნუღლა იყო, ვისაც თითქოს ფული არ მისცა, სხვებიც მახსოვს ასეთი პრეტენზიის მქონე. მეტს აძლევდა, თორემ ნაკლები არავისთვის მიუცია.

დარწმუნებით ვიცი, რომ ის ფული, რომელიც აქტივისტებისთვის უნდა დაერიგებინათ, მან გამოგზავნა, მაგრამ ვინ

სად წაიღო და როგორ გაანაწილა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ბადრი მას მერე თბილისში ვერ ჩამოვიდა, თორემ ყველაფერს გაარკვევდა.

ბადრის დავცილდი 2008 წლის 11 თებერვალს. მასთან სტუმრად ვიყავი ლონდონში. შემართებით ლაპარაკობდა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაენყო. შენ ხომ ხარ ჯანზეო, მეუბნებოდა.

— **სიკვდილის წინათგრძნობა არ ჰქონდა? არ ელოდა?**

— არა! ვაჟკაცურ განწყობილებაზე იყო, მომავალზე ლაპარაკობდა. ასე დავცილდით. 12-ში მოსკოვში ჩემმა შვილმა დილის 6 საათზე დამირეკა, ბადრი გარდაიცვალაო...

ასე იყო.

საქართველოს სიყვარული ბადრის სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. ეს განსაკუთრებული თემაა და ცალკე სალაპარაკო.

2014 წლის 10 სექტემბერი

ჭაშყარიტად მამულიშვილი იყო

— **მახსოვს, ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას დავით-გარეჯის კომპლექსის რესტავრაციისთვის 15 ათასი დოლარი გაიღო. მაშინ მონასტერმა თვალში გამოიხედა. შესაძლებლობა მომეცა, დავით-გარეჯში შევხვედროდი და მეკითხა, როგორ მოხდა, რომ მან, იუდეველმა კაცმა, მართლმადიდებლური ქრისტიანული კერის აღსადგენად ფული გაიღო. მაშინ ბადრიმ მიპასუხა, რომ იგი ქართულ სინმინდეებს უდიდესი კრძალვით ეკიდება.**

— მარტო დავით-გარეჯი?! უამრავ ეკლესიაში ვყოფილვართ და ღვთის ყველა სახლისთვის ფული შეუწირავს ბადრის, მცირე თანხა არ ყოფილა.

მცხეთის ქალაქის რეკონსტრუქცია ჰქონდა ჩაფიქრებული. დახურულ ქალაქს აკეთებდა, დაცულ ქალაქს. სვეტიცხოვლის გარშემო კერძო სახლები უნდა აეღო, მოსახლეებისთვის ცოტა მოშორებით ყიდულობდა მიწებს, აუშენებდა სახლებს. ტაძრის გარშემო უნდა ყოფილიყო ცარიელი სივრცე და მის ცენტრში სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მთელი თავისი დიდებულებით იქნებოდა აღმართული.

მტკვარზე ხიდი გაიდებოდა. 21 ჰექტარი მინა ვიყიდეთ სვეტიცხოვლის მოპირდაპირე მხარეს, სადაც გაკეთებოდა ავტოსადგომი, ამენდებოდა სასტუმრო, მოენყობოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მცხეთაში მომსვლელი შინაური თუ გარეშე აქ დატოვებდა მანქანას და იმ ხიდით ფეხით შევიდოდა წმინდა ქალაქში.

ეს ყველაფერი დაახლოებით 130 მილიონი დოლარი ჯდება. ფული გამოყოფილი ჰქონდა. ბოლომდე რომ მივედით, ატეხეს ერთი ამბავი პრესაში, აქეთ გუბერნატორმა — მცხეთას რომ აკეთებ, თიანეთიც და ყაზბეგიც გაგვიკეთეო, იქით „პატრიოტებმა“ — ბადრის კაზინოების გაკეთება უნდაო. დიდი ყვირილი ატყდა და უარი ათქმევინეს შევარდნაძეს ამ პროექტზე. არადა, მასთან ყველაფერი იმთავითვე იყო შეთანხმებული.

ერთი რამ, რაც ბადრის ნამდვილად უნდოდა, მცხეთის მერობა იყო. იერუსალიმში ყოფნისას ქალაქის ხელმძღვანელობას მოელაპარაკა და დააძმობილა მცხეთა და იერუსალიმი.

დიდი გეგმები ჰქონდა. ჩაუშალეს. მაგალითისთვის დავასახელებ აფხაზეთს. ჯერ ძალისმიერი მეთოდით ამ კუთხის დაბრუნებას აპირებდა 2000-კაციანი მობილური, სრულად აღჭურვილი ჯარის ნაწილის მეშვეობით. შევარდნაძემ თავიდან მოინონა ეს პროექტი, შემდეგ უპირატესობა აფხაზეთში ეკონომიკური განვითარების გზით შესვლას მიანიჭა. ბადრის დავალებით თითქმის ორი წლის განმავლობაში ვიყავი აფხაზეთში, ვიყიდე ბიჭვინთის ტერიტორია...

— თავისი კორპუსებით?!

— აბა, რა! შემდეგ — სანატორიუმები. ცხონებული ფულს მაძლევდა აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი მოხალისეების საფლავების მოსავლელად. გუდაუთაში აფხაზებთან ერთად ავამუშავეთ თამბაქოს ფაბრიკა.

აფხაზეთში ისე მიღებდნენ, როგორც შინაურს, თანაც ის აფხაზები, რომლებიც მაგარი სეპარატისტები იყვნენ. გუდაუთაში მათთან ვცხოვრობდი.

2002-2003 წლის ამბებს გეუბნებით. შემდეგ რაც მოხდა, ყველასთვის ცნობილია, და საქართველოს ხელისუფლებამ თანდათან დათმო პოზიციები.

დავაზუსტებ, რომ ფული, რომელიც აფხაზეთში იხარჯებოდა, მარტო ბადრის არ იყო, ბერეზოვსკისაც ეკუთვნოდა. ბე-

რეზოვსკი მაქსიმალურად ცდილობდა, აფხაზეთი საქართველოს დაბრუნებოდა. მისი და ბადრის 20-30 მილიონი დოლარი დღესაც არის იქ ჩადებული.

არძინბა რასაც იტყოდა, იმას აკეთებდა: ბადრისთან და ბერეზოვსკისთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. შემდეგ მოვიდა ბაგაფში... არძინბა ბადრის ეპატიუებოდა, ჩამოდი, ადგილზე გადავწყვიტოთ ყველაფერიო. მაგრამ შემდეგ სიტუაცია დაიძაბა და წყალში ჩაიყარა, რაც იყო გაკეთებული.

კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით.

ბადრი ზუგდიდში რომ ჩამოვიდა, ჩემთან ცხოვრობდა. მკითხა, რა გინდა, შენს მშობლიურ ქალაქში რომ გავაკეთოთო. ვუთხარი, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ დადიანების სასახლეს პირვანდელ სახეს დავუბრუნებდით.

2002 წელია. დავუძახეთ მუზეუმის დირექტორს, თანამშრომლებს და გავაცანით რესტავრაციის იდეა. ჩავრთეთ ქალაქის მერიც. შევისწავლეთ და განვსაზღვრეთ სამუშაოების მოცულობა. შედგა ხარჯთაღრიცხვაც — საკმარისად დიდი თანხა ჯდება. შევუდექით საქმეს. მოვასწარით ერთი შენობის გადახურვა და დაიძრა ცილისნამების ნიაღვარი, თითქოს მე დეპუტატობა მინდოდა და კარიერისტული მიზნები მამოძრავებდა. ათას სისულელეს იგონებდნენ და აქვეყნებდნენ. მაშინ დამიძახა ბადრიმ და მითხრა:

— ბესო, ხომ ხედავ, რაც ხდება. გავილანძღებით, და ჯობია, ამ საქმეს თავი დავანებოთო.

ყველაფერი, რაც რესტავრაციისთვის გვექონდა ჩატანილი — რკინის არმატურა, ცემენტი, აგური, ხეტყის მასალა და ა. შ. — გაყიდეს. არაფერი დაუტოვებიათ.

საოცარია, ბადრი იმ სასახლეს ზურგზე მოიკიდებდა და წაიღებდა?! ზუგდიდს არ დარჩებოდა?!

ასეთები ვყოფილვართ ჩვენ, სამწუხაროდ.

კილაე ერთხელ პატარკაციშვილი-კოღუას საუბრის ჩანაწერის შესახებ

რესპონდენტი კვლავ ბატონი ბესო კვიციანი.

— ბატონო ბესო, თქვენ იცით, რომ პატარკაციშვილი-კოღუას აუდიოჩანაწერის გაყალბების რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. გარდა იმ ვერსიის, რომლის თანახმად, საუბარი კოღუამ ჩაინერა, სხვა ვარიანტები ემთხვევა თქვენს ნათქვამს, კერძოდ, რომ ეს ჩანაწერი მერაბიშვილის უწყებამ ჩაიგდო ხელში, მაგრამ როგორ, ვისი დახმარებითა და ხელშეწყობით, აქაა ვარიანტები. ეგებ, ცოტა უფრო გაშიფროთ თქვენი ვერსია?

— უპირველეს ყოვლისა, ის, რასაც თქვენ ჩემს ვერსიას უწოდებთ, ჩემი ვერსია კი არ არის, არამედ პირველწყაროს — ბადრი პატარკაციშვილის მონათხრობია.

ამ ვერსიის ლოგიკა ასეთია: ჩანაწერი ხელისუფლებამ ხელში რომ ჩაიგდო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, სპეცსამსახურის გარდა, არის კიდევ ორი ადრესატი, რომლებმაც საქართველოში მიიღეს ჩანაწერი: „იმედი“, ანუ გიორგი თარგამაძე და პატარკაციშვილის პრესსამსახური. ამ ორმა აუდიომასალის „იმედის“ ეთერში გაშვება დაამუხრუჭა, დააგვიანა, რითაც სპეცსამსახურს დრო მიეცა, გაეყალბებინა ეს მასალა, გარკვეული ადგილები ისე დაემონტაჟებინა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. ნებით დაამუხრუჭეს, ობიექტური ვითარების გამო თუ ხელისუფლების მუქარისა და ძალადობის მიზეზით, ვერ გეტყვით. ბადრის ვისზეც ეჭვი ჰქონდა, ის ადამიანი გარდაცვლილია, ხოლო გარდაცვლილზე, თქვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ან კარგს ამბობენ, ან — არაფერს.

ფაქტი ერთია, ჩვენებმა დააგვიანეს ან დაამუხრუჭეს ეთერში ჩანაწერის გაშვება, რამაც ხელი შეუწყო გამყალბებლებს, განეხორციელებინათ შავი პიარი ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ, კერძოდ, საზოგადოების თვალში იგი წარედგინათ, როგორც მკვლელობის დამკვეთი კრიმინალური ავტორიტეტი,

რომელიც კანონიერი ხელისუფლების დამხობას და ამ გზით საქართველოს პრეზიდენტად მოვლინებას აპირებდა.

— ამ ჩანაფიქრის საფანელად გამოიყენეს მთარეული ხმები იმის თაობაზე, რომ მოსკოვში პატარკაციშვილის ფეხზე დადგომას, ავტორიტეტისა და სერიოზული გავლენის მოპოვებას ხელი შეუწყო ოთარ კვანტრიშვილმა, რომელიც იმ დროს თითქოს მართავდა მოსკოვის კრიმინალურ სამყაროს. შეიყვანა ბადრი ამ სამყაროში და დაამკვიდრა, ხოლო შემდეგ პატარკაციშვილი რაღაც ფორმით თითქოს მონაწილეობდა მის ლიკვიდაციაში.

— სისულელეა! ოთარ კვანტრიშვილი მათ მოკლეს, ვისთანაც მას კონკურენციის გამო დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

— ბადრის არ ჰქონდა ურთიერთობა კვანტრიშვილთან?

— ურთიერთობა როგორ არ ჰქონდა! ბადრი ყველას იცნობდა. რაც ბადრიმ გააკეთა რუსეთში, იმას არც კვანტრიშვილი სჭირდებოდა, არც არავინ. მე კიდევ გითხარით, რომ პირველი დიდი ოპერაცია, რომელიც ბადრიმ და ბორის ბერეზოვსკიმ რუსეთში განახორციელეს, ტოლიატის ავტოქარხანასთან იყო დაკავშირებული, როცა „ავტოვაზის“ ბაზაზე სააქციო საზოგადოება „ლოგოვაზი“ ჩამოაყალიბეს. ყველა ფინანსურ ოპერაციას, ფინანსურ ნაკადებს ბადრი აკონტროლებდა. კრიმინალურ სამყაროსთან კავშირი და გარიგება კი არა, სწორედ პატარკაციშვილმა ჩამოაცილა ქარხანას ე.წ. ბრატვა, რომლის ნებართვის გარეშე ერთი მანქანაც ვერ ჩამოდიოდა მთავარი კონვეიერიდან.

სხვათა შორის ეს მომენტი პატარკაციშვილზე და ბერეზოვსკიზე გადაღებულ ფილმშიც არის. პირდაპირ გეტყვით, მაშინ ისეთი არეული დრო იყო, რომ მართლაც შეიძლებოდა, ყოფილიყო კრიმინალურ დაჯგუფებებთან მკვეთრი დაპირისპირებაც და დაპირისპირების მოლაპარაკებების გზით მოგვარებაც. ვერავინ დაიჩემებს, რომ გამორიცხული იყო ანგარებიანი ვარიანტები, მაგრამ ბადრიმ ისე გაიარა ეს ურთულესი პერიოდი, რომ არც საქმე დაზარალებულა, არც სახელი შეუღახავს. სიტყვის კაცი იყო და ამიტომ ენდობოდნენ. მტერი არ ჰყოლია. ის კი არა, მოსკოვის საქმიან წრეებში საქმე რომ გქონდეს, ბადრის სახელის ხსენებაზე დღესაც ყველა კარი გაიღება და დახმარებაც გარანტირებული გექნება.

— ზოგიერთ პუბლიკაციაში, ბატონო ბესო, იმაზე არის ლაპარაკი, რომ პატარკაციშვილი დაეხმარა რომან აბრამოვიჩს, რუსეთის ალუმინის წარმოება მთლიანად ხელში ჩაეგდო. იმ დროს ალუმინი იყო ის ერთადერთი ნედლეული, რომელიც მსოფლიოში უდიდესი მოთხოვნილებით სარგებლობდა და არნახულ მოგებას იძლეოდა. ჩავიდა, მოაცილა კრიმინალური დაჯგუფებები ამ დარგს და, როცა ყველაფერი დაამთავრა, აბრამოვიჩს შეუთვალა — ჩამოდი და იმეფეო. აბრამოვიჩი ამ განუხელი სამსახურისთვის საკმაოდ დიდ თანხას იხდიდა...

— აბრამოვიჩი, იცით, ვინ იყო? ბადრისა და ბორიას „ლოგოვაზში“ ხელის ბიჭად ჰყავდათ. სტუმრებს მას მიუჩინდნენ ხოლმე. ბადრის ნათქვამიდან ვიცი, საუბარში ახსენებდა ზოგჯერ.

ჭკვიანი ბიჭი გამოდგა. საქმეს ალღოს უღებდა. ბორიასა და ბადრის მოსკოვიდან რომ მოუწიათ წამოსვლა, მათზე ძებნა რომ გამოაცხადეს, მაშინ გაშალა ფრთები, თორემ ამათ დროს რას წარმოადგენდა?! — არც არაფერს.

პირდაპირ გეტყვი: სანამ ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი ფეხზე იდგნენ, რუსეთის ლეგალური ბიზნესის 65 პროცენტი მათ ხელში იყო. „სიზნეფტი“, „როსნეფტი“, „მეტალოინვესტი“, „ლოგოვაზი“, სხვა დიდი საწარმოების, პირველი ტელეარხის, ტვ-6-ის აქციები და, თუ რამე იყო მნიშვნელოვანი, ყველაფერი ამათ ეკუთვნოდა. ხელისუფლების უმადლეს დონეზე კადრების მოყვანა, დანიშნულება უამათოდ არ წყდებოდა. უფრო დეტალურად ამაზე საუბარი ახლა არ ღირს, წასული საქმეა.

— ერთ პერიოდში აბრამოვიჩს გაუერთულდა ურთიერთობა ბერეზოვსკისთან, რომელმაც მილიარდერ აბრამოვიჩს 500-მილიონიანი ვალის გადახდა მოსთხოვა.

— სარჩელი ბერეზოვსკიმ მართლაც შეიტანა ლონდონის სასამართლოში, რადგან მისმა ადვოკატებმა დაარწმუნეს, რომ საქმეს მოიგებდა, მაგრამ წააგო. სასამართლოდან რომ გამოვიდა, ბორიამ ჟურნალისტებს ცინიკურად განუცხადა, მოხიბლული ვარ ბრიტანეთის მართლმსაჯულებითო. ფულმა გადაწონა და აბრამოვიჩს მოაგებინეს. ბერეზოვსკიმ ყველაფერი დაკარგა, საქმის თავიდან დაწყების თავი კი აღარ ჰქონდა.

დაიწყო წერილების წერა პუტინთან, — ყველაფერს ვინანებ, მინდა, ჩამოვიდე რუსეთში, დავიმარხო დედაჩემის გვერდით და ა.შ.

მერე კი იპოვეს ჰალსტუხით ჩამოკიდებული თავის აბაზანაში...

— სასამართლოდან გამოსულმა ბერეზოვსკიმ ისიც თქვა, რომ ის ფული, აბრამოვიჩმა რომ მიითვისა, ჩემიაო.

— მიითვისა, აბა, რა!

— სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში აბრამოვიჩმა განაცხადა, რომ ფინანსურ ნაკადებს პატარკაციშვილი განაგებდა სრულად.

— ფინანსურ ნაკადებს კი არა, ბიზნესთან დაკავშირებული ყველა საქმე ბადრის ხელში იყო. ბერეზოვსკი პოლიტიკით იყო დაკავებული...

— სადაც ვერ შეძლო თავის გამოჩენა და ნააგო კიდევ ყველაფერი.

— მეტსაც გეტყვით, ბერეზოვსკისა და ბადრის წინააღმდეგ საქმე რომ აღიძრა, ბორია ლონდონში გაიქცა და იქიდან შეუტია პუტინს. ხან რას წამოინწყებდა, ხან რას. ერთი პერიოდი უკრაინის „ნარინჯისფერ რევოლუციამიც“ ჩაერთო, იუშჩენკოს მრჩეველი გახდა...

ბადრი საქართველოში ჩამოვიდა და აქაური საქმეებით დაკავდა. მათ შორის, მეცენატობით, ქველმოქმედებით, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებით...

— შევარდნაძემ საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და, როცა ამის შესახებ დსთ სახელმწიფოების მეთაურების ერთ-ერთ სამიტზე პირისპირ შეხვედრის დროს პუტინს უთხრა, მან უპასუხა: „ბადრი ხოროში“, ბადრი კარგი კაციო. ასე მითხრა ედუარდ შევარდნაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში.

— ბადრი, მართლაც, კარგი კაცი იყო, ამიტომაც არ დევნიდნენ. ბერეზოვსკივით პოლიტიკურ ავანტიურებში არასოდეს ჩარეულა.

— და როცა საჭირო გახდა, ავანტიურისტი ხელისუფლების საქართველოსთვის მოცილებას მოჰკიდა ხელი, მაგრამ მანამდე მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებთან, რომლებიც ჯერ ოპოზიციაში იყვნენ, შემდეგ ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ.

— ურთიერთობა მართლაც ჰქონდა. დღე და ღამე მასთან იყვნენ მიშაც, ზურაც, ვანოც და კიდევ, რა ვიცი, ვინ. ბადრი ფინანსურად ეხმარებოდა „ვარდების რევოლუციამდეც“ და შემ-

დეგაც. დიდი ფული დაახარჯა. გარედან ისე ჩანდა, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. დიდად იყვნენ მისგან დავალებულნი.

— **ეტყობა, გავლენაც ჰქონდა მათზე, რადგან, როცა პატარკაციშვილთან საუბრის შემთხვევა მომეცა (დავით გარეჯში იყო), მან მითხრა: ეს ბიჭები ქვეყანას აქამდეც აურევდნენ, მე რომ არ ვაჩერებდეთ; ბოლომდე, როგორც ჩანს, არ სჯეროდა მათი „პროგრესულობის“.**

— ბადრის აზრით, შევარდნაძე უნდა გადადგარიყო, პრეზიდენტად აირჩევდნენ მის მიერ შერჩეულ „მემკვიდრეს“. პარლამენტში ოპოზიცია მოვიდოდა უმრავლესობით, მთავრობასაც იგი დააკომპლექტებდა. შევარდნაძეს პირისპირ ელაპარაკა ამის თაობაზე, მაგრამ შეთავაზებულ წინადადებაზე უარი მიიღო.

გიყვებით იმას, რაც ბადრისგან მაქვს გაგებული.

რადგან მისი წინადადება არ მიიღეს, ბადრი ოპოზიციისკენ გადაიხარა, განსაკუთრებით ჟვანიას დაუახლოვდა. ეს ზოგიერთს არ მოსწონდა და სააკაშვილს ურჩევდა თავი დაენებებინა ზურაბისთვის. სააკაშვილსა და ჟვანიას შორის ურთიერთობა ამ პერიოდში ძალიან დაიძაბა, იჩხუბეს კიდეც და ერთხელ, როცა კაბინეტიდან გამოდოდა ჟვანია, კარიდან უთხრა მიშას: — შენ მეც დამლუპავ, საკუთარ თავსაც და ქვეყანასაცო. შემდეგ ბადრი ჩაერია მათ ურთიერთობაში და შეარიგა.

— **ასე რომ მოხდა, პატარკაციშვილისგან იცოდით?**

— ვიცოდი რა, სულ იქ არ ვიყავი?! შემდეგ თანდათან ბზარი გაჩნდა ბადრისთან ახალგაზრდების ურთიერთობაში. ამათ თავიანთი ძალა ირწმუნეს: ბადრი რად გვინდა, აგერ არ ვართ ჩვენო? ეტყობა, სხვა ფულის წყაროც გაუჩნდათ და თანდათან დაიწყეს პატარკაციშვილის იგნორირება. ბადრი რამეს რომ სთხოვდა, ეს ძირითადად ბიზნესს ეხებოდა, არ უსრულებდნენ. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ეუბნებოდა, მე თუ გისრულებთ თქვენს თხოვნას, თქვენც ვალდებული ხართ, ასე მოიქცეთ, მე ის ხომ არა ვარო...

მთანმინდაზე იყო საუბარი, სპორტის სასახლეზე, ფოთის პორტზე ინვესტიციების ჩადების კუთხით.

ბადრი მაშინ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე იყო და უნდოდა, სპორტის სასახლე თანამედროვე

მოთხოვნების დონეზე მოეწყო: სპორტსმენებისთვის ნორმალური ვარჯიშის, სპორტული შეჯიბრებებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობები შეექმნა.

არ შეისმინეს.

ყულევის ტერმინალი ააშენებინეს და იქ რკინიგზის შეყვანაზე უარი უთხრეს. კი პირდებოდნენ, მაგრამ უჭიანურებდნენ — დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და აღარ თავდებოდა ტყუილი დაპირებები.

ურთიერთობა გაფუჭდა, განსაკუთრებით გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, როცა „იმედმა“ გადასცა სიუჟეტი ამ ტრაგედიის შესახებ. სამჯერ იყო ისეთი სიტუაცია, როცა ბადრი უკვე მიდიოდა ქვეყნიდან.

— ამასობაში სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ტრიუმფირატი ხელისუფლების სათავეში დაფუძნდა.

— დიახ, სათავეში, თორემ ხელისუფლებაში ადრეც ხომ იყვნენ. დაპატიმრებას უპირებდნენ. ერთხელ თვითმფრინავში რომ იჯდა, ასაფრენ ზოლზე საათ-ნახევრით გააჩერეს, არ მისცეს აფრენის ნებართვა.

მათთან ბადრის ურთიერთობას საქმიანი მხარე ედო საფუძვლად, ქვეყნის განვითარება, სოციალური საკითხების მოგვარება, ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტა და ა.შ. რაც ამ მიმართულებებით გააკეთა, ხომ ცნობილია... მაგრამ არ მისცეს საქმის გაგრძელების საშუალება. როგორც ამბობენ, „დაიქნიეს“. ზურაბი რომ გარდაიცვალა, იმის შემდეგ მაგარი „ჯახი ნავიდა“. მანამდე კი იყო ისეთი მომენტი, რომ ან ჟვანია უნდა მოეცილებინათ, ან პატარკაციშვილი.

— იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა ბადრის ლიკვიდაციასაც ცდილობდა?

— ჩემი თქმა რად გინდათ, განა ოქრუაშვილმა ამაზე არ ილაპარაკა ინგა გრიგოლიას გადაცემაში?!

მე სხვა ამბავს მოგიყვებით.

იმ ზაფხულს ძალიან ცხელოდა. ზუგდიდში, ჩემს სახლში ვიყავი. სტუმრები გამთენიის პირზე წავიდნენ, საუბარში და ნარდის თამაშში გავერთეთ.

სახლი მანსარდიანია. ჩაცმული წამოვწექი და წამთვლიმა. უცებ რალაც ხმაურმა გამომაღვიძა. ვილაცა ჭიმკრის გაღებას ცდილობდა. ბინდბუნდში ვერ გავარჩიე, ვინ იყო. დამაინტერე-

სა და თვალი მივადევნე.

ის კაცი შემოვიდა ეზოში, მაგრამ იმ კარს არ მიადგა, საიდანაც ყველანი შევდიოდით. შემოუარა სახლს და უკანა კართან დადგა. ისე იქცეოდა, თითქოს ვილაცას ემალებოდა. დავაკვირდი. ვიცანი. ეს იყო კაცი, რომელსაც ყოველთვის პატივს ვცემდი. უშიშროებაში მუშაობდა, სერიოზულ თანამდებობაზე.

გადავძახე, რამ შეგანუხა-მეთქი?

მანიშნა, — ჩუმადო.

ჩავედი და დიდი საიდუმლო გამანდო: ბადრი პატარკაციმ-ვილზე დღეს-ხვალ თავდასხმა მზადდება. მოკლავენ და, თუ შესაძლებლობა გაქვს, გააგებინეო.

ასეთ საიდუმლოს ტელეფონით ვერ ვეტყვოდი. სასწრაფოდ ჩავჯექი მანქანაში და რამდენიმე საათში ურეკში ჩავედი. მივადექი ბადრის სახლს კარგად გათენებულზე.

ვხედავ, ბადრი ეზოში სეირნობს. მივედი და ვუთხარი, რაც შევიტყვე.

— ვიცით, — მიპასუხა ბადრი, — ყველა ზომა მიღებულია და ნუ ლელავო.

— **სხვა შემთხვევა თუ იყო ასეთი, ან მსგავსი?**

— იცით, რას გეტყვით? როცა ხელისუფლებაში მყოფი მაფია არასასურველი კაცის ლიკვიდაციას გადაწყვეტს, საშიშროება მის თავზე ყოველთვის ჰკიდია დამოკლეს მახვილივით. მუდმივი დაძაბულობაა, რომელიც გარეგნულად შეიძლება არ ჩანდეს, მაგრამ ყოველთვის შეიძლება იქ და მაშინ დაგატყდეს, როცა არ ელოდები.

ასე იყო ბადრის შემთხვევაშიც და მეტს ვერაფერს გეტყვით.

P.S. ვერ თქვა, მაგრამ იცის. გარკვეული ინტრიგა დარჩა. ალბათ, დადგება დრო, როცა ყველაფრის თქმა შეეძლება. ან არ დადგება.

**REPORTIORI.GE,
2014 წლის 10 სექტემბერი**

ნოდარ გიორგაძე:

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ლავრიკას, სავერდოვან სვლილებას მოკლავს



ნოდარ გიორგაძემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში განვლო: მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში; როგორც ავღანეთის ომის მონაწილე, ავღანეთის ვეტერანთა კავშირს ხელმძღვანელობდა; სამოქალაქო ომის ურთულესმა პერიოდებმა მის თავზეც გადაიარა.

1993 წლის აპრილში ავსტრიაში შეიქმნა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ევროსაბჭოში და მუდმივ წარმომადგენლად ნოდარ გიორგაძე დაინიშნა.

ერთი თვის თავზე ამ თანამდებობას დაემატა მუდმივი დელეგაციის ხელმძღვანელის მოვალეობა გაეროს ევროსტრუქტურებში, 1994 წლის ოქტომბერში კი საელჩოდ დარეგისტ-

რირდა. ეს იყო საქართველოს პირველი დიპლომატიური კორპუსი მსოფლიოში.

1996 წლიდან მუშაობა განაგრძო გაეროსთან არსებულ ომის ვეტერანთა მსოფლიო ფედერაციაში.

ბოლოს ბიზნესს მოჰკიდა ხელი — დააარსა ბიზნესკომპანია და დაფუძნდა სლოვაკეთში.

1999 წელს დაბრუნდა საქართველოში, მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და:

— სიყალბემ, რომელიც მაშინ ტრიალებდა და რომლის მოწმეც გავხდი, დამიკარგა პოლიტიკაში დარჩენის ყოველგვარი სურვილი და დემონსტრაციულად დავტოვე საქართველო.

— **კენჭი არ გიყრიათ?**

— კენჭიც ვიყარე და მოვიგე კიდეც არჩევნები ჩულურეთში. ეს გაირკვა იმავე საღამოს, ხმების დათვლის შემდეგ, მაგრამ დილით ოქმები შეცვალეს, გააყალბეს, ჩანერეს ის, რაც და როგორც ხელს აძლევდათ. ცესკოში წარსადგენ ამ დოკუმენტებს, 16 კაცის ნაცვლად, კომისიის მხოლოდ 3 წევრი ანერდა ხელს. დაუუხეთქე ის ოქმები მაგიდაზე. წავედი და წავედი...

საუბარი ახალი დაწყებული გვქონდა, ახალგაზრდა ქალი რომ მოგვიახლოვდა შვილების თანხლებით, მოიბოდიშა და:

— ძალიან დიდ მადლობას გიხდით, ბატონო ნოდარ, დახმარებისთვის. მე ვარ ლიკა დაბრუნდაშვილი, წყალდიდობით დაზარალებული. თქვენი შემწეობით ახლა აქ ვისვენებთ.

ნოდარი უხერხულად იშმუშნება:

— კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა.

— სად ცხოვრობდით?

— სვანდიძის ქუჩაზე. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთის წყალობით.

სიკეთის ქმნის ეს ფაქტი მომდევნო შეკითხვის საფანელი ხდება:

— ბატონო ნოდარ, საქართველოში ვრცელდებოდა ხმა, რომ სლოვაკეთიდან მნიშვნელოვან ქველმოქმედებას ეწეოდით საქართველოში, მათ შორის, პაატა ბურჭულაძის „იანვანას“ ხაზითაც.

— რაც შემიძლია, ვაკეთებ და ვეხმარები. ასე იყო ახლაც — 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ. ჩემი ბავშვობის დროსაც ადიდ-

და „ვერარეჩკა“. ახლაც მაჭრიალებს იმის გახსენებაზე, რა უბედურებაც დატრიალდა მაშინ.

„იმედის“ ეთერში განვაცხადე, რომ 45 დაზარალებული ოჯახიდან (მაშინ ამდენზე იყო ლაპარაკი), ერთს მე დავაყენებდი ფეხზე. იმ დღეს ვთქვი, განა საქართველოში პრობლემაა 45 შეძლებული კაცის პოვნა, თითო ოჯახს რომ ვუპატრონოთ-მეთქი?! **გიორგი გვარჯალაძის ოჯახი უკვე შიშისაგან ახალ სამოთხისაგან ბინაში ყოფილ ბაგარინის მოედანზე. სამივე ბავშვს სტიაჟენდია დავუნიშნე, მანძანა ვუყიდე, ვფიქრობ, დაკარგულზე უკეთესი.** ყველა დაზარალებულს ასე ვერ დავეხმარებოდი, ცხადია. ამიტომ თბილისის მერიას ვთხოვე, ამოეყვანათ აქ, ჩვენთან, თბილისის ზღვაზე, ასი ბავშვი დაზარალებული ოჯახებიდან.

პატარა სასტუმრო მაქვს; აკვაპარკი, აუზები, საუნები მათ განკარგულებაშია. აქ ცხოვრობენ, უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით. ეს ქალბატონიც, ახლა მადლობა რომ მითხრა, ეტყობა, იმ ჯგუფიდანაა.

„იავნანას“ რაც შეეხება, გეტყვით: პერიოდულად ვყიდულობთ ბინებს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. მახათას მთაზე მშენებარე ეკლესიის ჯვრისა და ზარების ჩამოსასხმელად ახლახან 10 ათასი დოლარი შევწირე, 7 კაცი ვაფინანსებთ. სულ 70 ათასია საჭირო.

ელიას მთაზე ახალ, ფერისცვალების ეკლესიას ვაშენებ. აქ დედათა სამონასტრო კომპლექსი დაფუძნდება; პირველი ეკლესიაა, რომლის აგებას სრულად ვაფინანსებ. საძირკველი ჩასხმულია, კედლების ამოყვანა დაიწყო.

— **ქველმოქმედებას მაღალ ზნეობასთან ერთად სჭირდება ფული. ბიზნესი სიკეთის ქმნის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. თუ საიდუმლო არ არის, რა ბიზნესს ენევით?**

— სამი მიმართულებით ვმუშაობ: ტურიზმი, ენერგეტიკა და სოფლის მეურნეობა; ძირითადად — ევროპაში, საქართველოში — ჯერჯერობით ტურიზმი. მაგალითად, სასტუმრო „ჯინო ველნეს რაბათი“ ჩემი აშენებულია, მცხეთაში ვაშენებ „ველნეს“ ტიპის სასტუმროს. ამ ბრენდის ფილოსოფიაში დევს, რომ სასტუმრო არ არის მხოლოდ ღამის გასათევი ადგილი, იგი ადამიანს უნდა აძლევდეს ფიზიკური დასვენების, რეაბილიტაციის საშუალებას, უნდა უზრუნველყოს მისი სულიერი მოთხოვნე-

ბი და ა.შ. ჩვენ მხოლოდ ასეთ კომპაქტურ, ოთხ-ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს ვაშენებთ.

— ბატონო ნოდარ, ავლანეთს როგორ იხსენებთ?

— ჰმ! რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, კარგად ვიხსენებ. ავლანეთის ომში მონაწილეობა რომ არ მიმელო, თბილისის ომს, ალბათ, გადავყვებოდი. ძმათა შორის ბრძოლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რა ავლანური წარმოშობის პუშტუნები და ხაზარები ებრძვიან ერთმანეთს და რა — მეგრელი და კახელი, ან თბილისელი, აფხაზი და ოსი. ავლანეთის გამოცდილება მეხმარებოდა მომენტალურად გავრკვეულიყავი, როგორც ამბობენ, თემაში, გადანყვეტილებაც მიმელო და ლავირებაც შემძლებოდა. ეს მწარე გამოცდილება დამეხმარა, ადამიანების ბევრი ჯგუფის გადარჩენისთვის ხელი შემეწყო.

— ახლა საქართველოში გადმოინაცვლეთ?

— მე და ჩემი ოჯახის წევრები სლოვაკეთის მოქალაქეები ვართ. სხვათა შორის, მამაჩემი — ქუჩუკი გიორგაძე სლოვაკეთის ქალაქ მიხაილოვიჩის გათავისუფლებისთვის იბრძოდა, იქ დაიჭრა. სლოვაკებმა მამაჩემი ორდენითა და მედლებით დააჯილდოვეს.

— ხომ არ გაგიჭირდათ ახალ გარემოსთან შეგუება?

— არა. სლოვაკები მენტალურად ძალიან ახლოს დგანან ქართველებთან: გაჭირვებაში მხარში ამომდგომნი დაძახების გარეშე, რაფინირებულნი ურთიერთობაში. როგორც იტყვიან, ევროპული ვარცხნილობა აქვთ. დღევანდელი საქართველო და ახლოებით ისეთია, როგორიც სლოვაკეთი იყო 1990-იან წლებში. 20 წლით მაინც გვისწრებენ. დღეს სლოვაკეთი ჩამოყალიბებული ევროპული ქვეყანაა.

— სლოვაკეთის მოქალაქე საქართველოზე ფიქრობთ და იღვნით...

— ეს — თავისთავად! აბა, ისე რა ჩამადებინებდა 27 მილიონს ამ ოპიქტში თბილისის ზღვაზე და ახალციხის რაბათის სასტუმროში 4 მილიონს?! ბანკების კრედიტები და ვალდებულებები მაქვს წამოკიდებული. ჩემი საფიქრალი, იცით, რა არის? როგორც შემეძლება, ხელი შევუწყო საქართველოს აღმშენებლობას, რათა ჩვენმა ქვეყანამ მიაღწიოს განვითარების იმ დონეს, როგორც წარმომიდგენია და როგორც მინდა, იყოს.

ამ დონისგან ჯერჯერობით, სამწუხაროდ, შორსა ვართ...

— რა არ მოგწონთ, უპირველეს ყოვლისა?

— ადამიანების აზროვნების რადიკალური ცვლილება. **საქართველოდან რომ ნავედი, 40 წლისა ვიყავი და მაშინ სიტყვას ფასი ჰქონდა. კაცი სიტყვას რომ ბეჭეოდა, ნებისმიერ ხელმოწერაზე და გეჭიდებოდა უფრო მტკიცე იყო. დღეს კაცს სიტყვაც აქვს ნათქვამი, შეთანხმებაზეც ხელი აქვს მოწერილი, დოკუმენტი ნოტარიულადაც არის დამოწმებული, მაგრამ ისეთ უარს ბეჭევის, რომ დაეჭვდები — გეჩვენება თუ სინამდვილეში ხდება?! ეს მთრგუნავს და ყოველგვარ სურვილს მიკარგავს, ვინმესთან საქმიანი ურთიერთობა დავამყარო.** იმის მონმეც ვყოფილვარ, რომ ძალიან ახლობელი კაცი პირზე დამდგომია — მსგავსი არაფერი მითქვამს და არავითარი ვალდებულება არ მაკისრიაო.

ასეთი პირის გატეხვა მიუღებელია არა მხოლოდ ჩემნაირად მოაზროვნე ადამიანისთვის, რომელიც სიტყვის ერთგული რჩება, არამედ ინვესტორებისთვის, რომლებიც საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად მოდიან საქართველოში.

ახლა მეორე პრობლემაზეც მოგახსენებთ: **საქართველოში აღარ არის მშრომელი ადამიანი.**

— უმუშევრები გვყავს ბევრი სამაგიეროდ.

— დიახ, არიან უმუშევრები და ქრონიკულად უმუშევრებიც. ეს უკანასკნელი ფენა არასოდეს განიკურნება — უსაქმურობა ურჩევნია, ჩაცუცქევა და მზესუმზირის კნატუნია. ასეთს 500-ლარიანი სამუშაო რომ შესთავაზო, უარს გეტყვის. ეს ერთი ფენაა. მეორე ჯგუფი უსაფუძვლო ამბიციურობით არის დაავადებული. საკმარისია, რომელიმე სამსახურში დაინწყოს მუშაობა და მეორე დღესვე უჩნდება სურვილი, რომ შენ, მისი დამქირავებელი, ჩაგწიოს და თვითონ დაიკავოს შენი ადგილი.

ასეთი პრეტენზიები უმეტესად 20-25 წლის ახალგაზრდებს აქვთ, თითქმის ბავშვებს. **ამბიციაც ცუდი არ არის, მაგრამ ამის უკან ხომ უნდა იდგეს ცოდნა, განათლება, ინტელექტი, გამოცდილება, რა თქმა უნდა. ჩემი კრიტიკა ყველას არ ეხება, მხოლოდ ნაწილისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ სწორედ ეს ნაწილი ქმნის საზოგადოებრივ ამინდს.**



სასტუმრო რაბათის ციხეში (ახალციხე)

საქმიანი ურთიერთობა მაქვს ევროპის ისეთ ქვეყნებთან, როგორც არის ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ავსტრია, ესპანეთი და არსად, ვიმეორებ, არსად ასეთ დამოკიდებულებას არ შევხვედრივარ.

— ბატონო ნოდარ, ევროპიდან დანახული საქართველოს ხვალინდელ დღეზე იტყვი რამეს?

— არსებობს ერთი ჭეშმარიტება: ბოლო კეთილია. ამ რწმენით ცხოვრობდა და უნდა იცხოვროს სრულიად საქართველომ და მისმა ყველა მეზობელმა, საერთოდ ყველა ნორმალურმა ადამიანმა. ოპტიმისტი ვარ, მაგრამ ინფორმირებული ოპტიმისტი, რაც გარკვეულწილად კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გულისხმობს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოსავალი აუცილებლად მოიძებნება. ყველაფერს დრო სჭირდება. ჩვენ, ალბათ, მზად არ ვიყავით რადიკალური ცვლილებებისთვის, რომელმაც გახლიჩა ჩვენი საზოგადოებრიობა: ერთი ნაწილი უცებ გახდა პროამერიკელი, პროდასავლელი და ანტირუსი. მეორე ნაწილი უცებ ჩამოყალიბდა, როგორც პრორუსი, ანტიევროპელი და ანტიამერიკელი. ვლადიმერ პუტინის 1990-იანი წლების პერიოდზე. ჩემი დაკვირვებით, ახლაც ასეა. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ლავირებას, ხავერდოვან ცვლილებებს მოკლებულია, რადიკალიზმმა კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად

იმოქმედა პროგრესზე. მახსენდება ერთი კაცის ნათქვამი: მე ან მოძულს, ან მიყვარს, მესამე ჩემთვის არ არსებობსო. ბევრის მანიშნებელია ეს კერძო პოზიცია, რომელიც საზოგადოებრივი აზრის რადიკალიზმსაც გამოხატავს.

ეს ყველაფერი აუცილებლად გაივლის და პრიორიტეტული გახდება ისეთი აზროვნება, რომელიც დააბალანსებს დაპირისპირების სიტუაციას. სხვა შემთხვევაში კატასტროფა გარდუვალია.

სიტყვას არ გავაგრძელებ იმის შესახებ, რომ იგივე პრობლემა დგას ევროპის ქვეყნების წინაშეც კი, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული სიმძაფრით განვიცდით ჩვენს სამშობლოში შექმნილ რეალობას. ადამიანური დამოკიდებულებები იცვლება მსოფლიოში.

ჩვენ საქართველო გვტკივა, ქალიან გვტკივა, ამიტომ რადიკალურად უნდა შემოვბრუნდეთ რეგიონული პრობლემებისკენ, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი გადასაწყვეტია.

P.S. საუბარი რომ დავამთავრეთ, პატარა გოგო-ბიჭების რკალში მოექცა ბატონი ნოდარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახებიდან, რომლებიც ფიზიკურ და სულიერ რეაბილიტაციას გადიან ნოდარ გიორგაძის „ჯინო პარადაისის“ კურორტზე, რომელიც თბილისის ზღვაზე ამ მაღლიანი კაცის აშენებულია: დიდი მადლობაო, ნოდარი ბიძია!

ბიძინა სონლულაშვილი: გუბერნატორობის უკმაყოფილო «ბორჯებს» ვრეცხავდი



950 მეტრი მიწის ქვეშე უნდა ქალაქში

გავრცელებული ინფორმაციით, განახლდა მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა, რომელიც 2000 წლიდან დაკონსერვებული იყო. „საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა 1997-2000 წლებში „მეტრომშენის“ უფროს ბიძინა სონლულაშვილს იმის დასაზუსტებლად, თუ რა სამუშაოები განხორციელდა სადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის შეჩერებამდე.

— მეტროს ამ მონაკვეთის მშენებლობა ჯერ კიდევ 1986 წელს დაიწყო, — ამბობს ბატონი ბიძინა, — სადგურ „დელისიდან“ ვაჟა-ფშაველას ძეგლამდე 950 მეტრის სიგრძის ხაზი ჩვენ დავამთავრეთ. ამ მონაკვეთზე მშენებლობა ღია მეთოდით მიმდინარეობდა, რაც იმ უბნის საცხოვრებელი კორპუსებისთვის ავარიასაშიში რისკის შემცველი იყო. მშენებლებმა სპეციალურად შემუშავებული ღონისძიებებით შეძლეს ამ რისკის თავი-

დან აცილებაც და შესასრულებელი სამუშაოების ხარისხიანად განხორციელებაც. პრობლემა იყო ნუცუბიდის პლატოდან მომდინარე გრუნტის წყლების შეჩერება. ეს სიძნელეც წარმატებით დავძლიეთ. გვირაბების, ჩიხების სამშენებლო სამუშაოები მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მიმართულებით 95-97 პროცენტის მოცულობით დამთავრებულია.

ახლა, ცხადია, შესამოწმებელია, აღსადგენია, რაც დრომ დააზიანა, დასაბეტონებელი და გასაყვანია ლიანდაგი, დასამონტაჟებელია ესკალატორები, ელექტრომონყობილობა. თითქმის 20 წელიწადია, რაც ამ მონაკვეთზე სამუშაოები დაკონსერვებულია. მთელი ამ სამშენებლო სამუშაოების დასრულებას 2-3 წელიწადი მაინც დასჭირდება.

„საქართველო და მსოფლიო“, 2014 წლის 29 ივლისი.

ესე ამბავი — შესავლის ნაცვლად

ახლა კი თავად ბიძინა სონღულაშვილის შესახებ, რომელმაც მეტრომშენში სადგურ „ნერეთის“ გვირაბგამყვანად დაიწყო მუშაობა საქვეყნოდ ცნობილი ბრიგადირების — ჟორა მესხისა და ამირან ზარქუას ხელმძღვანელობით. მეტრომშენს მაშინ სათავეში დიდი მშენებელი და სახელმწიფო მოღვაწე ვიქტორ გოცირიძე ედგა.

— სხვადასხვა თანამდებობაზე მომინია მუშაობა და, როცა ვიქტორ გოცირიძესავით დიდმა მშენებელმა უშანგი გოჯიამვილმა ჩაიბარა ეს უწყება, მის მოადგილედ დამანიწაურეს. 1997 წლიდან მეტრომშენის სამმართველოს უფროსი ვიყავი.

მოგეხსენებათ, გარდამავალ პერიოდში ქვეყანას ძალიან გაუჭირდა ეკონომიკურად, მაგრამ ხაზგასასმელია, რომ სწორედ ამ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიზანშეწონილად ჩათვალა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მეტროს ღია მეთოდით მშენებარე სამუშაოების დამთავრება, ხელქმნილი ხრამივით რომ გაჰყვებოდა თბილისის ამ მჭიდროდ დასახლებულ უბანს და ქალაქის კომუნიკაციებს, მრავალსართულიან შენობებს, ასევე, მოქმედ მეტროპოლიტენს მუდმივი საფრთხით ემუქრებოდა.

და მეორე, რაც მთავარია, უნდა ამოქმედებულიყო ბოლოს და ბოლოს მეტროს ახალი ხაზი სადგურ „ვაჟა ფშაველას“ ჩათვლით.

უკიდურესად გაჭირვებულ და შიგა პოლიტიკური ბრძოლე-

ბით გართულ ქვეყანაში ამ პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო სახსრები მაინც გამოიძებნა და, მოკლედ ვიტყვი, ეს საშვილიშვილო საქმე დაინყო და დასრულდა ბიძინა სონღულაშვილის დროს, ანუ იმ პერიოდში, როცა იგი მეტრომშენს ედგა სათავეში.

იხსენებს ამ წლებს ბატონი ბიძინა.

სხვას შეიძლება ამ ამბის მოყოლა ერთი დიდი ძახილის ნიშნით დაემთავრებინა და ამით წარმატების მთავარ შემოქმედად საკუთარი თავი წარედგინა საზოგადოებრიობისთვის, მაგრამ სონღულაშვილი ის კაცი არ არის, საერთო ძალისხმევის თვალსაჩინო შედეგი ეჩოსავით სათავისოდ მიითვალოს.

სხვათა ღვაწლის კონიუნქტურული მიჩუმათება, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში ყოფილი ხელისუფლების მიერ ნორმად იყო დადგენილი, მისთვის უცხოა. იგი კატეგორიულად არ იზიარებს დებულებას, რომ „არსებულ სინამდვილეს წარსულის ხსოვნა არ სჭირდება“.

ბადრი შოშიტაიშვილი, ზურაბ ბიბილეიშვილი, ვანო ზოდელავა, გია შერაძე, ზურაბ ნოლაიდელი, ნიკო ლეკიშვილი — აი, ამ ადამიანებს არ დაუკარგა ნაშრომ-ნაღვანი ბატონმა ბიძინამ.

— აქტიურად გვიჭერდნენ მხარს მეტროპოლიტენის ხელმძღვანელი გურამ გაბუნია და სხვები, ყველას გახსენება ახლა ძნელია, — ამბობს რესპონდენტი, — უდიდესი მხარდაჭერა გვქონდა მოსკოვის მეტრომშენის ხელმძღვანელობის, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი კარგა ხნის დაშლილი იყო. წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციის მმართველი იური ნიკოლოზის ძე კოშელევი იყო, რომელიც ზემოთ უკვე ნახსენები დიდი მშენებლისა და სამაგალითო პიროვნების — ვიქტორ გოცირიძის უახლოესი მეგობარი გახლდათ. თბილისში რამდენიმეჯერ იყო ჩამოსული, კახეთში მე თვითონ ვმასპინძლობდი.

— **სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა?**

— რა თქმა უნდა. მეტროს მშენებლობის სპეციალური ტექნიკით მოსკოველების დახმარება რომ არა, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილების შესრულება ძალიან გაგვიჭირდებოდა.

ბიძინა სონღულაშვილი დეტალურად ყვება, როგორ შეწყვიტა დიდი თათბირი კოშელევმა მაშინვე, როგორც კი მოახ-

სენეს ქართველი სტუმრების ჩამოსვლის შესახებ. ყურადღებით წაიკითხა ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერილი თხოვნა („განცვიფრდა და გაუხარდა კიდევ“), უცებ ჩართო სელექტორული თათბირის პულტის ხუთი ლილაკი და სამმართველოების უფროსებს ორ კვირაში აუცილებლად შესასრულებელი დავალებები მისცა.

— ერთ თვეში ჩამოვიდა ორი ტრადიციული სპეციალური სანგრევი ჩაქუჩებით, მილებით, საბურავებითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით დატვირთული.

დავინწყეთ მუშაობა და 2000 წლის 3 აპრილს სადგური „ვაჟა ფშაველა“ (ცალმხრივი მოძრაობით) საექსპლუატაციოდ გადავვცით.

ორი თვის შემდეგ ბიძინა სონლულაშვილი პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულად გადაიყვანეს კახეთის რეგიონში — გუბერნატორად.

მეტროს ახალი ხაზის დამთავრებისთვის საჭირო სამუშაოები შეწყდა. განახლებაში ხანგრძლივი 15 წელიწადი გახდა საჭირო.

ბიძინა სონლულაშვილის „მეტროს პერიოდზე“ მკითხველისთვის სრული წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ყულევის ტერმინალის მშენებლობა და დიდი მოცულობის სამუშაოც შესრულდა; თბილმეტრომშენის სპეციალისტებმა შეიმუშავეს თურქეთის ქალაქ სამსუნის 12-კილომეტრიანი მეტროს პროექტი. ამ მეტროს სამსუნის სამრეწველო რაიონი საუნივერსიტეტო ქალაქთან უნდა დაეკავშირებინა. მეჯლისმა პროექტი დაამტკიცა, მაგრამ 1996 წელს მას განხორციელება არ ენერა.

ეს ყველაფერი და, ამასთან ერთად, თბილისის საჭიროებისთვის შესრულებული მრავალფეროვანი და საკმაო მოცულობის არაპროფილური სამუშაოები მეტროს მშენებლობის პარალელურად ხორციელდებოდა.

— ერთ მომენტსაც დავუმატებ, — **ამბობს ბატონი ბიძინა**, — იური კოშელევის შემოთავაზებით და სოსო ორჯონიკიძის მხარდაჭერით, რომელიც მაშინ მოსკოვის მერის — იური ლუჟკოვის მოადგილე იყო, 250 მეტრომშენებელი მოსკოვში გვყავდა ჩაყვანილი. ამათგან 150 კაცს მოსკოვის ავტობანის მესამე

რკალი გაჰყავდა. ამას გარდა, ჩვენი 175 სპეციალისტი ქალაქ სვერდლოვსკის მეტროს მშენებლობას შეუდგა, რასაც ბადრი პატარკაციშვილს უნდა ვუმადლოდეთ.

— **ესე იგი, სვერდლოვსკის მეტროს პირველი გამკვალავები თქვენ იყავით?**

— დიახ, სვერდლოვსკის, ამჟამად ეკატერინებურგის, მეტროს პირველი მშენებლები ჩვენ ვიყავით — ქართველები. მთავარი ინჟინერი თამაზ ასანიძე იყო, ბატონი უშანგი გოჯიაშვილი — საერთო ხელმძღვანელი.

— **ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში უმუშევრობა მძლავრობდა.**

— დიახ. სწორედ მაშინ მოსკოვში 250 ქართველი

კვალიფიცირებული მეტრომშენებელი მუშაობდა, სვერდლოვსკში — 175, თბილისში — 1300 კაცამდე.

მოსკოვში ახლაც მუშაობენ, მათ შორის, უმაღლესი კვალიფიკაციის ისეთი გამოცდილი სპეციალისტები, როგორებიც არიან გრიშა ბოკუჩავა, თამაზ ასანიძე, თენგიზ შურღაია. მაშინ, როცა ორი წლის წინათ თბილისის მეტრომშენებლებმა ბოსფორის სრუტის ქვეშ სამი კილომეტრისა და 900 მეტრის სიგრძის გვირაბი გაიყვანეს გვირაბგამყვანი კომბინით, შეიძლება, რომ თბილისის მეტროს ერთადერთი სადგურის დასამთავრებლად კადრებს უცხოეთსა და რაიონებში ვეძებდეთ, შემთხვევით ადამიანებს ვარჩევდეთ?!

არადა, საქართველოში არიან სპეციალისტები, რომლებსაც



თამაზ-შვილი გიძინა და სოსო სონღულაშვილია

შეიძლება ჭკუა ჰკითხონ.

ჩვენი უდროოდ გარდაცვლილი მეგობარი, სანიმუშო ქართველი და სახელმწიფო მოღვაწე გია არსენიშვილი ასეთ შემთხვევაში ამბობდა ხოლმე: თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა.

ქვეთავი, როგორც 4 წელიწადი ჩაბნეული

გია არსენიშვილის საქართველოს სახელმწიფო მინისტრად გადაყვანის შემდეგ კახეთის რეგიონს ბიძინა სონღულაშვილი ჩაუდგა სათავეში.

— ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო, — ამბობს ბატონი ბიძინა და ეს არ არის ამგვარ შემთხვევებზე მორგებული და გაცვეთილი ფრაზა, — დიდი მოვალეობაც დამეკისრა. მგონი, მაქსიმალური მონდომებით ვიმუშავეთ მე და იმ გუნდმა, რომელიც კახეთის ადმინისტრაციაში დამხვდა, მათ შორის, ისეთმა პატრიოტმა ადამიანებმა, როგორც ცხოვრებული მედია მეზღვრიშვილი იყო. 4 წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმეც გავაკეთეთ, მაგრამ, როცა მოთხოვნილება და შესაძლებლობა ერთმანეთს სცილდება, ძნელია, ყველაფერს სანიმუშოდ გაართვა თავი. ვთხოვ ჩემს თანამემამულეებს, მომიტყეონ, თუ რამე ისე ვერ გავაკეთე, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, როგორც ყველას გვინდოდა და როგორც უმდიდრესი და უდიდესი ისტორიის მხარეს — კახეთს ეკადრებოდა.

იმ პერიოდს, რა თქმა უნდა, თავისი დალი დაასვა პანკისის ხეობაში გართულებულმა მდგომარეობამ. ეს უმძიმესი თემა ცალკე განსახილველია.

— მაგრამ სწორედ იმ პერიოდში, იმავე პანკისის ხეობაში, მდინარე ხადორზე, ჩინეთის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო 28 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

— რომელმაც საბოლოო ჯამში იმ დროს მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კახეთის მხარის ელექტრომომარაგების საკითხი. ეს მოხდა მაშინ, როცა „თბილსრესის“ ენერგობლოკების მწყობრიდან რეგულარული გამოსვლა კომაში აგდებდა ჩვენი დედაქალაქის განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტებს და მოსახლეობას, ხოლო რაიონებში უშუქობა

პრაქტიკულად ნორმად იყო დამკვიდრებული.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ სწორედ ამ პერიოდში საფრანგეთის, უკრაინის, პოლონეთის, ავსტრიის რეგიონებთან დამყარებული ურთიერთობის საფუძველზე 2002 წელს კახეთი ევრორეგიონული ასამბლეის წევრად იქნა მიღებული, რამაც დადებითი გავლენა იქონია ჩვენი რეგიონის ყველა სფეროზე.

კაცი, რომელსაც ბევრი უტრიალუს, მებრამ ვერ ბატყის

— ცნობილია, რომ ყოფილი ხელისუფლება ცხოველური ზიზღით იყო გამსჭვალული ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც „ვარდების რევოლუციამდე“ წარმატებული იყვნენ. როგორ გადაურჩა კახეთის გუბერნატორი „ნაცების“ რეპრესიებს?

— ჯერ ერთი, არ გადავურჩი, მაგრამ ჩემი პრობლემები ჭუჭყიანი საცვალივით გარეთ არ გამომიფენია. ჩემს ტკივილს მე თვითონ მოვერიე. არადა, მეც და ჩემს ოჯახს მაშინდელმა ქართველებმა გადაგვიარა და დალიც დაგვასვა სერიოზული.

— **საქმე ხომ არ აღუძრავთ თქვენ წინააღმდეგ?**

— არა, მაგრამ დაკითხვაზე რამდენიმეჯერ დამიბარეს, მათ შორის, პანკისის ხეობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პირდაპირ გეტყვით — ჩემი გუბერნატორად მუშაობის პერიოდში არავისთვის არავითარი მიზეზი არ მიმიცია, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში ჩემთვის ბრალი რომ წაეყენებინათ, თუ არ შეეთითხნინდნენ რამეს. ამის მცდელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

— **ზოგიერთმა იმ პერიოდში თავი გამოსისყიდა დიდი ფულის გადახდით. თქვენთვის არ შემოუთავაზებიათ ამგვარი გარიგება?**

— არა. არ შემოუთავაზებიათ.

— **ვიცი, რომ უკანონობის აღვირახსნილობის პერიოდში, უცხოეთში წახვედით სამუშაოდ.**

— კი, ჩეხეთში წავედი. ეს იყო მაშინ, როცა ცხოვებულმა ბადრი პატარკაციშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად თავისი თავი დაასახელა. ძალიან სერიოზული პრობლემები შემექმნა. სამი თვე შინ ვიჯექი უმუშევარი და დაუსაქმებელი. მაშინ დამი-

რეკეს მეგობრებმა და მკითხვეს, რას აკეთებ მანდ, კახეთში რომ ზიხარო? „ბოჩკებს“ ვრეცხავ, ჩემი ეზოდან ხმაური რომ გამოვიდეს, თითქოს საქმით ვიყავი და კავებული-მეთქი. მაშინ მითხრეს, პრალაში არის საკმაო მოცულობის სამშენებლო სამუშაოები შესასრულებელიო, და წასვლა შემომთავაზეს. წავედი.

— **ვისთან ნახვედით, ბატონო ბიძინა?**

— ქართველ ბიზნესმენებთან, რომლებსაც ჩეხეთში სერიოზული პოზიციები ეკავათ. ერთი წელიწადი დავრჩი და წლის თავზე დავბრუნდი საქართველოში.

ჩემმა ერთ-ერთმა შვილმა, რომელიც 2010 წელს სხვადასხვა მიზეზის გამო წამოვიდა სახელმწიფო სამსახურიდან, შემომთავაზა წამოგვეწყო საოჯახო სამშენებლო ბიზნესი.

— **სოსომ?**

— დიახ, სოსომ. დამიჯდა ჭკუაში ეს წინადადება და ჩემს უცხოელ მეგობრებს ვთხოვე, მხარში ამომდგომოდნენ: იმ პერიოდში ჩვენი ფინანსური პოტენციალი ნულზე იდგა და ახალი კომპანიის დაფუძნების არავითარი შესაძლებლობა არ გავგვაჩნდა. რამდენიმე მეგობარმა დაბალპროცენტიანი სესხი აიღო (უცხოეთში დაბალპროცენტია ბანკების სესხი) და მენილეებად შემოვიდნენ ჩვენს სამშენებლო კომპანიაში — „სონეტკონტრაქტმენში“. პატარ-პატარა სამუშაოების შესრულებით დავიწყეთ საქმიანობა.

გამოცხადებული ტენდერის შედეგად საშუალება მოგვეცა, გორის უღელტეხილზე აგვეშენებინა ფირმა „სოკარის“ ბენზოგასამართი სადგური; 2012 წელს, მას შემდეგ, რაც ჩვენთან ხელისუფლება შეიცვალა, რამდენიმე რესტორანი ავაშენეთ თბილისში; 2013 წელს კი ყოფილ აკადემქალაქში, ალექსიძის №12-ში დავიწყეთ თოთხმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა (პლიუს 2 მიწისქვეშა სართული — მანქანების სადგომი), რომელიც დღეისთვის უკვე დამთავრებულია და 14 ოჯახი უკვე შესახლებულია.

— **მუშახელი როგორ შეკრიბეთ? ახლა ბევრი იჩემებს, მშენებლის პროფესიას ვფლობო.**

— ჩვენს ყოფილ თანამშრომლებს, მეტრომშენებლებს, შევთავაზე დასაქმება და დღეს 150 კაცი ჩვენთან მუშაობს. აქედან ძირითადი წამყვანი სპეციალისტები სწორედ მეტრომშენებლები არიან, თუ ჩავთვლით მომარაგების, მშენებლობის უზ-

რუნველყოფის საკითხებით დაკავებულ თანამშრომლებს, ასევე, დამხმარე მუშებს, სულ 220-მდე კაცი გროვდება.

— **„ნაციონალების“ საყვირი ტელევიზიების მიერ გავრცელებული საინფორმაციო პროპაგანდისტული კამპანია ამტკიცებს, — თითქოს საქართველოში ყოველგვარი ინვესტიციის შემოტანა შეწყდა, თქვენი მაგალითი ამ გავრცელებულ ხმებს არ შეესაბამება.**

— დიდ ტყუილს ავრცელებენ, აბსურდია! ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად სამ თვეში ერთხელ ვიხილავთ მიმდინარე პროცესებს და, პირდაპირ გეტყვით, რომ ამ მიმართულებით არასოდეს რაიმე დაბრკოლება, მით უფრო, პრობლემური ხასიათისა, არ გვქონია. უფრო მეტიც, ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ იმ შედეგების მიხედვით, რომლებსაც მივალნიეთ თუნდაც შარშან, შეგვიძლია, ვიტრაბახოთ: ევროპაშიც არავინ მუშაობს ასე წარმატებულად. ძალიან კმაყოფილები არიან.

— **ჩეხებზე მელაპარაკებით?**

— არა. ამჯერად — ფრანგებზე. ჩეხებთან და პოლონელებთან პერლიტის თემაზე ვმუშაობთ.

— **პერლიტი?**

— პერლიტი ვულკანური ქანია, რომელიც გამოიყენება სამშენებლო საქმეში, როგორც საიზოლაციო, ხმაგაუმტარი, სიბზოს შემანარჩუნებელი მასალა.

ახლახან აზერბაიჯანელი ინვესტორების დაკვეთით იმავე ალექსიდის ქუჩაზე დავინწყეთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. დღეს უკვე მეხუთე სართულამდე ვართ ასულები.

— **თქვენი აშენებული კორპუსების არქიტექტორებს არ დამისახელებთ?**

— სიამოვნებით, — **ეს უკვე სოსო სონღულაშვილია, რომელიც ამ სამშენებლო ფირმის გენერალური დირექტორია, —** ახალგაზრდა არქიტექტორები არიან ამ შენობის ავტორები — ირაკლი ბარნაბიშვილი და ბექა გურგენიძე, რომლებიც ფირმის „ბარნაბიშვილი-გურგენიძე არქიტექტორები“ დამფუძნებლები გახლავან.

— **ბატონო ბიძინა, სულ ეს არის თქვენი „სამშენებლო ფრონტი“?**

— არა. ამ უბანში და დედაქალაქის სხვა უბნებშიც რამდენი-

მე პროექტზე ვმუშაობთ. „სამშენებლო ფრონტის“ შემცირებას უახლოეს მომავალში არ ვაპირებთ.

ვილაპარაკეთ დღევანდელ მშენებლებში დამკვიდრებული „შავი“ და „თეთრი“ კარკასების მავნე პრაქტიკაზე. ბიძინა სონღულაშვილი სავსებით იზიარებს ცნობილი ქართველი მშენებლის — ომარ მარგველაშვილის პოზიციას, რომელიც მან „საქართველო და მსოფლიოში“ ახლახან გამოქვეყნებულ ინტერვიუში გამოთქვა.

— მოსახლე, რომელიც დაუმთავრებელ ბინას ყიდულობს, ამ საცხოვრებელ ფართზე, ფაქტობრივად, თავიდან იწყებს ტიხრების გაკეთებას, ლესვას, იატაკის მოჭიმვას და ა.შ., რაც ძალიან რთული, ხანგრძლივი და ჭუჭყიანი სამუშაოა. ეს ბევრ უხერხულობასთან არის დაკავშირებული, ჯერ ერთი, ვერავინ თავს ვერ დადებს, რომ ამ სამუშაოების შემსრულებლები კვალიფიციური მშენებლები იქნებიან; მეორე, ყველა მობინადრე ერთდროულად ხომ არ ყიდულობს ბინას და გრძელდება ეს რემონტები თვეების განმავლობაში, რომელსაც არაიშვიათად თან სდევს მეზობლებს შორის დავა და უკმაყოფილება. არის სხვა ხასიათის უხერხულობაც.

ბიძინა სონღულაშვილი დარწმუნებულია, რომ შენობა უნდა ბარდებოდეს ყველა სამშენებლო სამუშაოს სრულად დამთავრების შემდეგ. ასეთი მოთხოვნა სამართლებრივად უნდა იყოს გამყარებული.

— მაგალითს დაგისახელებთ. ბიზნესმენტა ჯგუფმა წერეთლის პროსპექტზე 117-ე ნომერში დაგვიკვეთა 12-სართულიანი სახლის აშენება „შავი“ კარკასით, ანუ — ჩონჩხით, საერთო ფართი 14 ათასი კვადრატული მეტრი იყო. გაყიდვა გაუჭირდათ. ორი თვის წინათ გვთხოვეს, რამენაირად თეთრ კარკასში გადაგვეყვანა. ერთი თვის წინათ დავინწყეთ შელესვა, კარ-ფანჯრების ჩასმა და ა.შ. მიხვდნენ, რომ „შავკარკასიანი“ ბინების ყიდვა ჩვენს მოსახლეობას ხელს არ აძლევს.

ყველა მშენებელს თავისი შეხედულება აქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, „შავი“ კარკასით სახლის აშენება, პრაქტიკულად ქრონიკული დაუმთავრებლობისთვის არის განწირული. აი, აქ, ყოფილ აკადემიქალაქში, შენობებს თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ წლების წინათ დაამთავრეს მშენებლობა, ოჯახები შესახლებულები არიან და ცხოვრობენ, კორპუსე-

ბის ფასადები ისეთივეა ან თითქმის ისეთივე შეუხედავია, როგორც ნლები ნინათ იყო.

ჩემს ვაჟს — სოსოს ფასადის დამახინჯება პრინციპულად დაუშვებლად მიაჩნია. ჩვენ საფრანგეთიდან ჩამოგვაქვს ფასადების მოსაპირკეთებელი სპეციალური მასალა, საღებავი — გერმანიიდან. ვაკრავთ. ვინმემ ასე ლამაზად ჩაბარებული სახლის ფასადის თავის გემოვნების შესაბამისად დარღვევა რომ დაინყოს, საცოდაობა იქნება.

მე თუ მკითხავენ, მშენებლებს კატეგორიულად უნდა მოსთხოვონ ფასადის დამთავრება, ქალაქის იერსახე რომ არ დამახინჯდეს და, როგორც მინიმუმი ამ ეტაპზე, ბინები „თეთრი“ კარკასით ჩააბარონ.

პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, გაიხსენა ამ ბოლო დროს ხშირად გამეორებული ქართული ანდაზა ბიძინა სონლულაშვილმა: სახლის აგება მხოლოდ პროფესიონალმა მშენებელმა უნდა ითავოსო. და არა ისე, როგორც ამჟამად ხდება, როცა რუსთაველის პროსპექტზე ქალაქისკენ ზურგიტ შებრუნებულ გაუგებრობას წამოჭიმავენ ან უარესი, როცა, ფული მაქვსო და იყიდნიან სოციალური მნიშვნელობის მქონე ნაგებობას, გამოზიგნავენ და ასე დატოვებენ, ან პროფილს შეუცვლიან, როგორც ეს გააკეთეს ცნობილი პედიატრის — პიმენ ყურაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს შემთხვევაში მელიქიშვილის ქუჩაზე, ან როცა ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე აგებულ ისტორიულ შენობაში ბავშვთა საავადმყოფოს ნაცვლად მთანმინდის რაიონის გამგეობას განათავსებენ.

ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა გულიდან ისე შორს მოიცილეს, როგორც მათი სამკურნალო დაწესებულებები — ქალაქის დასალიერში, ლუბლიანას ქუჩის ბოლოს.

ქალაქის მშენებელ პროფესიონალ „მეპურეებს“ გულიც, ხელებიც და განზრახვაც სუფთა უნდა ჰქონდეთ.

„...სად მამა-პაპა მეზულვის“

გურჯაანის რაიონის სოფელ ძირკოკის კალოების უბანში, სადაც სონლულაშვილების ვენახია, უნინ კალო იყო გამართული და გლეხები თავიანთ მონეულ ხორბალს ცხენებმული კევრით ღენავდნენ.



ქმეზი: თამაზი და პიძინა სონღულაშვილები

თუთის ხეებიც საკმაო რაოდენობით ედგათ და კიდეც სამი მსხლის ხე — თითოეული საუკუნეზე მეტი ხნის.

თავისი ვენახი დამათვალელებინა ბატონმა პიძინამ, ნახევარი ჰექტარი, რომელიც საგვარეულოს მიუმატა — ამ შემოდგომას პირველად ირთველებს. მერმისს ერთი ამდენის შემატეზას აპირებს.

— აქ რომ მოვალ ხოლმე, ძალა მემატება თითქოს, გონება ინმინდება და სიცოცხლე გეხალისება, — **ამბობს პიძინა სონღულაშვილი.**

ადგილის დედის ძახილია და მაგია მშობლიური მიწის, რომელიც აქ ოქროსფერი მტევნების ღვთიურ სრულყოფილებაში კონცენტრირდება, როგორც მეურნე კაცის გარჯის, მიწის მადლისა და მზის ცხოველმყოფელობის ერთობლიობით მოვლენილი სასწაული...

აქეთობისას ძირკოკის ოღროჩოღრო გზაზე (ამ ზაფხულის წყალიდობამ პატარა ხევად რომ აქცია) სოფლის ყრუ-მუნჯი შეგვხვდა. მოგვესალმა სახეგანათებული. ხელი ჩამოგვართვა პატივისცემის ნიშნად.

— დღეს მთელ სოფელს ეცოდინება, რომ თბილისიდან ჩამო-

სულმა კაცებმა ხელი ჩამოართვეს, — თქვა ბიძინა სონლულაშვილმა.

— როგორ გააგებინებს, როცა დანაწევრებულად სიტყვასაც ვერ ამბობს?!

— გააგებინებს... გაუგებენ...

მუნჯის ენა დედამ იცისო. სოფელსაც სოცდნია მუნჯის ენა.

გზა რომ განვაგრძეთ, მშვიდობით მგზავრობა გვისურვა ზელიმხანმა. ზელიმხანიც იქაურია.

P.S. ასე დალაგდა სამი განზომილება მართალი კაცის — ბიძინა სონლულაშვილის, რომელმაც ცხოვრების გზა მეტროს მშენებლობით დაიწყო, კახეთში გუბერნატორობით გააგრძელა და ამჟამად დედაქალაქში სანიმუშო სახლების აგებით არის დაკავებული.

თავი V

ფესვი

დიეზი, კბილავილავთან



ბატონი ვასილი და ქალბატონი ლეილა

გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში დისკუსიის დიდი ტალღა აგორდა — „ფიზიკოსები და ლირიკოსები“, ანუ ზუსტი მეცნიერება თუ პოეტური სიტყვა უნდა მიჩნეულიყო აღმატებულად და უპირველესად.

პრობლემა მოგონილს ჰგავდა, მაგრამ დავა-კამათი საინტერესო და გულწრფელი იყო.

ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში ცხოვრობდა ფიზიკის მასწავლებელი ვასილ კბილავილი, რომელსაც თავისთვის გადაწყვეტილი ჰქონდა ეს საკითხი — პოეზიის დიდი მოყვარული, დიმელ გოგო-ბიჭებს ფიზიკას გატაცებით ასწავლიდა — თვალსაჩინოებათა გამოყენებით, ცდების დემონსტრირებით. საინტერესოდ.

და როცა ბიჭი წამოეზარდა, 3-4 წლისა რომ გახდა, ცხოვ-

რების სიბრძნესა და სილამაზეს ვაჟა-ფშაველას პოემებით აზიარა: ბუხრის პირას დასვამდა და უკითხავდა.

ზეპირადაც შეასწავლა. უპირველესი „სტუმარ-მასპინძელი“ იყო...

ჩვენც დავსხდებით იმ ბუხართან, ფიჩხს ცეცხლს წაუკიდებს ბატონი ვასო და იცყვის:

— ჩვენი ტრადიციების პატივისცემა იმთავითვე უნდა ისწავლოს ბავშვმა, იგრძნოს და შეითვისოს. ჩემს შვილებს ვაჟას ლექსით ვუნერგავდი ამას. რა სიღრმეა, რა ფილოსოფია, როგორი ზნეობა... როგორი აქტუალურია დღესაც:

**„სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვნადიან,
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდ ცოდვას სჩადიან.
რამდენი ავსული ვიცი,
წარბშეუხრელად დადიან:
თავის მტანჯველის შემუხვრა
ან კი ვის არა სწადიან?!“**

— ვენახი გვაქვს სახლიდან ცოტა მოშორებით, ორ კილომეტრზე მეტია, სამი არ იქნება, — **იხსენებს დედა, ქალბატონი ლეილა**, — ბალდათის ხედი იქიდან არაჩვეულებრივად ჩანს. ფერდზეა. დადგებოდა აჩიკო და იქიდან ზეპირად ამბობდა „სტუმარ-მასპინძელს“. სამი წლისა თუ იქნებოდა მაშინ.

„ღღუს სტუმარია ეზ ჩემი“

ეს საუბარი მას შემდეგ შედგება, რაც დაუპატიჟებელი სტუმრის სტატუსიდან გაშინაურებაში გადასვლა კბილაშვილების პატარა ეზოში ფეხის შედგმისთანავე ბუნებრივად, დაუძალეზლად მოხდება: მამისა და შვილის მსგავსება იმდენად თვალში-საცემი იყო, რომ უნებურად აღმოჩნდა:

— როგორ გგავთ თქვენი ვაჟი!

მასპინძელს გულიანად გაეცინა:

— პირიქით რომ გეთქვათ, მენწყინებოდა.

და თავისით დაირღვა უხერხულობის ბარიერი, როგორც ყოველთვის, როცა ინტელიგენტურ ოჯახში შეხვალ, განათლებული ადამიანების უბრალოებაში.

მოზოდისებრით დაგვხვდა ოჯახის უფროსი — ვაზსა ვსხლავ-
დი და „კალოშების“ გახდა ვერ მოვასწარიო.

ახლა კი დროა ფრჩხილების გახსნის: საქართველოს მთავა-
რი პროკურორის არჩილ კბილაშვილის მშობლებს ვსტუმრობთ
მე, ამ სტრიქონების ავტორი, და ჩემი სამი მეგობარი.

ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში.

სახლი სართულნახევრიანია — ბელეტაჟი. მამაპაპისეული.
მინის მუშა ყოფილა ბატონი სანდრო — არჩილის ბაბუა, კარგი
მეურნე. იმას აუშენებია. ნახევარი საუკუნის განმავლობაში
კბილაშვილებს ორიოდ ოთახი მიუმატებიათ. აივანიც. ჩვენი სა-
ზაფხულო რეზიდენციააო. ჩეროა ამ მხარეს და გრილა.

დღეს კი ისეთი მზიანი ამინდია, ისეთი სითბო დგას ამ შუა
იანვარში, რომ ბარემ აქვე დავსხდეთ სასაუბროთ-მეთქი, შევ-
თავაზე.

შევცდი: სტუმარს ეზოში როგორ მიიღებს იმერელი კაცი?!
ეს ერთი. მეორეც, სოფელს დიდი თვალები აქვს. მით უფრო,
როცა კბილაშვილებისკენ იყურება.

შინ შევედით და პატარა ოთახში პატარა, ოთხკუთხა მაგიდას
მივუსხედით.

„თემს რაც სწაღიან, მას იზამს თაგის თემობის ჟუსითა“

— შრომაში ვზრდით შვილებს, მათი ასაკის შესაფერისად.
3-4 წლის ბიჭს მამა ვენახში რომ წაიყვანდა, ხან წყალს მიანო-
დებდა, ხან რა დავალებას შეუსრულებდა. შრომისადმი პატი-
ვისცემას ბავშვობიდან ვუნერგავდით, — ყვება ქალბატონი
ლეილა.

— თქვენმა შვილმა თქვა, მამას ებარაო ვენახის პატრონობა.

— დღესაც ასე გრძელდება. ოღონდ ძველებური შეძლება
ალარ მოგვდევს, — ელიმება დედას.

— იქით სკოლის მოსწავლეები, აქეთ საკუთარი შვილები,
პლიუს ოჯახის საქმეები... როგორ ასწრებდით ყველაფერს?

— ვიჭირვებდით. შაბათ-კვირაც ხომ ჩვენი იყო.

— დამოუკიდებელ საქართველოშიც აგრძელებდით მასწავ-
ლებლობას თუ უკვე პენსიაში ხართ?

— დიდი ხნის სტაჟი მაქვს, — ამბობს მამა, — 1962 წლიდან

დღემდე სასკოლო ჟურნალი ხელიდან არ გამიგდია.

— რუსულის მასწავლებლად ვმუშაობდი, — **განაგრძობს ქალბატონი ლეილა**, — სანამ სააკაშვილმა „ჩარეცხილები“ უწოდა ჩვენს თაობას. არ გავკადნიერდები და ბევრს არ ვიტყვი, მაგრამ სკოლაში სანამ ვიყავი, თავი არ დამიზოგავს, სულ იმას ვცდილობდი, რაც ვიცოდი, ყველაფერი ბავშვებისთვის გადამეცა, მესწავლებინა. ძალიან განვიცდიდი, თუ მოსწავლე მოუზადებელი მოვიდოდა კლასში. მიზეზს ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებდი: ალბათ, რაღაც დავაკელი, ალბათ, კარგად ვერ მივიტანე ბავშვებამდე.

ლეილა, მეუბნებოდნენ ჩვენი გამოცდილი პედაგოგები, ყველაფერი ასე გულთან თუ მიიტანე, ვერ გაუძლებო. მაგრამ გავუძელი. **ისიც გადავიტანე „ჩარეცხილები“ რომ გვიწოდებდა სანაკაშვილმა, თუმცა გამიჭირდა, რადგან უდიდეს შეურაცხყოფად მივიღეთ მის და ჩემი დამსახურება ულმა კოლეგებამაც.**

— რუსულს ასწავლიდით, ხომ ასეა?

— დიახ, დიახ.

— რა მოიგეს ქართველმა ბავშვებმა იმით, რომ არ იციან პუშკინი, ტოლსტოი არ იციან, არაფერი გაუგიათ ლერმონტოვზე, ორიგინალში ვერ კითხულობენ თავიანთი თანამემამულის — ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებას.

Только

нога

вступила в Кавказ,

Я вспомнил,

что я —

грузин

Эльбрус,

Казбек.

И еще —

как вас?!

На гору

горы грузи!..

— სამამულო ომის დროს ჩვენს სკოლებში გერმანულის სწავლება გრძელდებოდა. თუ მტერია, მისი ენა მით უფრო უნდა იცოდე.

ბავშვებმა ქალიან ბევრი დაკარგეს რუსული კულტურის, მწარლოზის მიუწვდომლობის გამო.

მთელი ჩვენი განათლების სისტემა უკუღმა შეატრიალეს. დღეს მოსწავლეს მოსწავლის სახე აღარ აქვს. მასწავლებელს შეუზღუდეს უფლებები, მოსწავლეებს — გაუზარდეს. მაგრამ დაავინწყეს სწავლის მოვალეობა რომ აკისრიათ.

თანდათან გვეკარგება განათლებული ერის სახელი.

— ბიბლიოთეკა არის დიშში?

— იყო და, სამწუხაროდ, აღარ არის, — **თემას განაგრძობს ბატონი ვასილი,** — მითითება მოდიოდა ზემოდან ასეთი: ერთი პატარა კომპიუტერი უდრის ერთ ბიბლიოთეკას. მაგრამ სადაა ეს კომპიუტერი? დავერიეთ წიგნებს, ზოგი დავწვით, ზოგი გადავყარეთ. შეგეცოდებოდა, ისეთ დღეში ჩავყარეთ წიგნები.

სკოლის ბიბლიოთეკა გადავაქციეთ ნახმარი სახელმძღვანელოების საწყობად. სახელმძღვანელოები იმდენად ძვირია, რომ ბავშვები იძულებული გაუხადეთ, ნახმარი წიგნებით გავიდნენ იოლად.

განათლების სისტემას პედაგოგი მინისტრი რომ არ ღირსება, ამაზეც ვთქვით, მასწავლებლის პირად მაგალითზეც („ჩრდილში დაჯდომის“ უგვანობაზე), ლოტოტრონით მოსულ დირექტორზეც, რომელიც „სულ არ იყო მოდებში ამ საქმეზე“.

— ახლა გული იმაზე მწყდება, რომ გაკვეთილს არ ჩავატარებდი თვალსაჩინოების გარეშე, — **ამბობს ბატონი ვასილი,** — მთელი ეს მატერიალური ფასეულობა განადგურდა ისე, რომ არავის პასუხი არ უგია. სკოლაში აღარ არის სამწეო ნაწილის გამგე, აღარ არის ლაბორანტი.

— სკოლა კი არის?

— სკოლა დღეს ცარიელი კედლებია.

— ქიმიის მასწავლებელმა შემომჩივლა ამასწინ, — **საუბარში ერთვება მათა, ამათი ქალიშვილი,** — თქვენი ბავშვობის დროინდელი რეაქტივები თუ შემომჩა, თორემ სხვა არაფერი მაქვს, წლებია აღარაფერი ჩამომსვლიაო.

სოფლის გაჭირვებაზე მიდგა სიტყვა:

— ფული აღარ ტრიალებს სოფელში. დიმილები საზღვარგარეთ გადაიხვენენ ფულის საშოვნელად.

— კაცები, ქალები...

— ქალები მეტად, — აზუსტებს ქალბატონი ლეილა, — ბავშვებს დედა რომ სჭირდებათ, ბებიების ამარა დარჩნენ. იმათ კი რამდენი შეუძლიათ? დედები ლუკმა-პურის საშოვნელად არიან ნასულები. ესაა ერის ტრაგედია.

— თქვენმა ვაჟმა მითხრა, რომ ოჯახში უნმანური სიტყვა არ გაუგონია. სოფელი ზნეობის ოაზისად აღიქმებოდა ყოველთვის. დღესაც ასეა?

— ზოგან შემორჩენილია. ზოგიერთი სოფელი ისეთია — ხანი, საკრაულა, ზეგანი, სადაც მაცხოვრებელი გვარები — ჩხეიძეები, კიკნაველიძეები ზრდილობის ნიმუშია. ცუდად არ შეიგინებიან. აგერ ცენტრში კი, ატეკასთან ისე იგინებიან, ყურს არ გაეგონება.

თქვენ წარმოიდგინეთ, ქალებიც კი იგინებიან. აგერ წუხელ თუ უყურებდით, „პროფილში“, ასათიანთან რანაირი ქალები იყვნენ და რას ლაპარაკობდნენ. სულ სექსუალურ ურთიერთობაზე, — ნუხს ბატონი ვასო.

„წყველა ხალხისა ჭქაა, ნაუურთხი ჳვიმის ცვარია“

ჩვენი საუბრის მომდევნო მონაკვეთი საკმაოდ მხიარული გამოდგა, რადგან მიხეილ სააკაშვილის ზეპირმეტყველებას, ნეოლოგიზმებსა და ლექსების ციტირებას შეეხო. პოლიტიკორექტულობის გამო („მთავრობის კაცის“ ოჯახში ვართ), როგორც ახლა იტყვიან, „არ გავვრცელდები“. ცოტაც ჟურნალისტების ენაზეც ვთქვით. ეს კი ჩემი პრობლემაა — კოლეგიალობის წინააღმდეგ ასე იოლად ვერ გადააბიჯებ.

— ძველი ნათქვამია: ისე უნდა ილოცო, როგორც მოგყვება მრევლი, — ასკვნის ბატონი ვასილი.

— ამ სააკაშვილმა ტელეეკრანზე თავის „ლოცვებს“ რომ მოუხშირა, გაჰყვება ვითომ მრევლი?

— ყველაფრის თქმა შეიძლება?! სირცხვილის ბრძანება დაკარგა და ხავეს მოჭიდებით ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება.

— არ ვიცი, ფსიქიურად აიშალა თუ რა დამართა. მილიონს გადააჭარბა ხელმონაწილმა მისი გადადგომის მოთხოვნით და ვერ შეიგნო, არ ესმის, რომ უნდა წავიდას.



ეს ის უზუნარიანი, რომლის წინ მამა პატარა აჩიკოს ვაჟს უპოვებდას უპირობოდ

— კუპოს რომ მიასვენებდნენ ზუზდიდში მისი სურათით, ამას რომ ნახავ, რა ბაჩერავს, აღამიანო? სულ დაკარგა თავმოყვარეობა?

— ვარდებით დაიწყო და ცოცხებით დაამთავრა. სიმართლე ესაა.

ასეთია მოკლე ამონარიდები კბილაშვილების პასუხებიდან.

— სოფელი ჭრელია. რას ფიქრობთ, დარჩნენ დიშში მიშისტები?

— სამწუხაროდ, — კი. წინასაარჩევნო პერიოდში აჩიკოს დეპუტატობის კანდიდატის პლაკატები „ნაციონალებმა“ სასწრაფოდ ჩამოხიეს. ახლაც ისეა ჩამოხეული.

შემორჩნენ. შეინიღბნენ ოღონდ. „ნაციონალები“ ისე აშანტაჟებდნენ ხალხს, მეტი არ შეიძლებოდა — არ გაბედოთო 41 ნომრის შემოხაზვა, თორემ დახმარებას მოგიხსნით, სამსახურებიდან დაგითხოვთ და ასე შემდეგო.

— მაგრამ არჩილ კბილაშვილმა მაინც გაიმარჯვა.

— ღმერთისა და ხალხის წყალობით, — ამბობს დედა.

— კი ვატყობდი, მაგრამ ასე დამუხტული თუ იყო ხალხი, ასე

თუ იყო ავსებული მისი მოთმინების ფიალა, მაინც ვერ წარმომედგინა. ხალხი დიდი ძალაა, — ამატებს მამა.

— რახან ხალხზე დავინწყეთ ლაპარაკი, ბარემ ისიც ბრძანეთ, თქვენი ვაჟის მთავარ პროკურორად დანიშვნის შემდეგ ხომ არ შეიცვალა თქვენდამი სოფლის დამოკიდებულება?

უნინ ადვოკატი იყო, სამართალში მიცემულის დამცველი. ახლა ბრალმდებელია. იმოქმედა თქვენს ურთიერთობაზე ასეთმა ცვალებადობამ?

— არა, — დარწმუნებულია ბატონი ვასო, — რადგან ორივე პოზიცია სამართლიანობისთვის ბრძოლასთანაა დაკავშირებული. გულწრფელად მოგვილოცეს. უმეტესობამ მაინც. ამ უბანში გაზრდილი ბავშვია აჩიკო. მართლა გაუხარდათ...

ძვირი სანახავი გახდაო, დაიჩვილა დედამ. ესმით, როგორ არ ესმით, რომ დრო აღარ რჩება, მაგრამ სახლის გზა დაავიწყდება, ასე თუ გაგრძელდაო: პირველი ოქტომბრის შემდეგ შინ არ ყოფილა. ბაღდადში ჩასულა ერთი-ორჯერ, მაიასთან შევიკრიბეთ (ბაღდადში ცხოვრობს), რომ გვენახაო.

— რძალს ვურეკავ და ამბავს მისგან ვიგებ, მაგრამ ლამის 2 საათამდე სახლში რომ ვერ შედის, აბა, მითხარით... — წინადადებას ვერ ამთავრებს და ხელებსა შლის ცოტათი გულდანყვეტილი ქალბატონი ლეილა. თუმცა აქვე ამატებს, — ახლა წინა პლანზე, სოციალურზე უფრო, სამართლიანობისთვის ბრძოლაა წამოწეული.

და ვინცებთ დაუსრულებელ ლაპარაკს კონკრეტულ ფაქტებზე, როცა უსამართლოდ მსჯავრდებულნი ციხიდან გათავისუფლდნენ პროკურატურის ძალისხმევით, უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებაზე, ბიზნესმა თავისუფლად რომ ამოისუნთქა იმაზეც და ასე შემდეგ, ჩვენი შენიშვნებისა და სურვილების გულწრფელი დაფიქსირებით.

„გაჰკაცობისას ამბობენ, მართურობის დანაშაულისას“

— აფასებს სოფელი დროის მოტანილ სიახლეებს?

— როგორ არა. თუმცა ცოტა გულდანყვეტილები არიან, აჩიკო რომ არ არის დეპუტატი, ამის გამო. ვინ იქნება ანი ჩვენი მაჟორიტარი და აჩიკოსავით ვინ მოგვხედავსო!

— მაგრამ მაინც აჩიკოს იმედი აქვთ, — ადასტურებს დაი



მენახის პატრონობა მაგას აბარია

მაია, — ეამაყებათ აჩიკოს ბაღდათელობა. ეს გამოჩნდა იმ სამასამდე შეხვედრაზე, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში ჰქონდა. ასეა დღესაც.

მაგრამ ისეთი სიტუაციაც იყო, რომ შეხვედრა, რომელიც აჩიკოს სკოლის ეზოში უნდა გამართულიყო, არ შედგა, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით იქ არ შეუშვეს. რომ შეეშვათ, დირექტორსაც მოხსნიდნენ და მასწავლებლებსაც გაყრიდნენ.

ბაღდათში კლუბის კარი არ გაუხსნეს, ამიტომ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა და კიდევ კარგი, რადგან იმდენი ადამიანი მივიდა, რომ რვაასადგილიან კლუბში მაინც ვერ დაეტეოდა.

— რაც გასცა აჩიკომ, უკან სიკეთედ უბრუნდება, — **ამბობს ბატონი ვასილი.**

ჩვენი საუბრის მომდევნო მონაკვეთის მთავარი რესპონდენტია ქალბატონი ლეილა:

— მითითება ისწავლეთო, ჩემს ბავშვებს არ სჭირდებოდა, მხოლოდ — გაკონტროლებოდა. სანამ არ მომეწონებოდა, როგორ

ჰქონდათ ნასწავლი გაკვეთილები, არ მოვეშვებოდი.

— **აჩიკოს მედალზე ხომ არ დაუმთავრებია?**

— არა. იმ დროს მედალი რაიკომის მდივნების შვილებისთვის იყო განკუთვნილი. მამა სკოლის დირექტორი იყო, მაგრამ ნაჩუქარი ნიშნები რად გვინდოდა?! ჟურნალს რომ გადავხედავდი და აჩიკოსთვის ჩაწერილ ხუთიანს ვნახავდი, საგნის მასწავლებელს ვეკითხებოდი: ხუთიანი რომ უწერია, მისაღებ გამოცდაზე ოთხს მაინც მიიღებს? რად გვინდოდა ტყვილი ნიშანი?!

— **ეგ როდის?**

— დამამთავრებელ კლასში რომ იყო, 1989 წელს. ჩემს ხელშიც ხომ გაიარა, და იმდენს ვეკითხებოდი, მისი კლასელები მეუბნებოდნენ, ლეილა მასწავლებლო, კარგი თ რა, ეყოფაო. ჯერ ყველანაირად მინდოდა, ცოდნა რომ ჰქონოდა, მერე, ბავშვებს ვათქმევინებდი, ხუთიანი დაუმსახურებლად დაუწერაო?!

ყველაფერი კარგად აგიხდეთ, რა კარგადაც, სულ ხუთებზე ჩააბარა მისაღები გამოცდები იურიდიულ ფაკულტეტზე.

— **უნივერსიტეტის „კორუმპირებულ“ ფაკულტეტზე?**

— ახლა მაგაზე გეტყვით. ისეთი თავისუფალი თემა დაწერა ქართულის გამოცდაზე, რომ უნივერსიტეტის ვესტიბიულში იყო გამოფენილი.

ძალიან ბევრს კითხულობდა.

— შექსპირის ხუთტომეული გამოიცა მაშინ, — **იხსენებს მათა,** — გამოიტანდა აივანზე და კითხულობდა.

— კითხვა რომ უყვარდა, კარგი იყო, მაგრამ გაკვეთილები — პირველ რიგში! სამეცადინო ოთახში დაჯდებოდა განმარტოებით, ვასოს ოთახს ვეძახდით. შევიდოდი იმის სანახავად, თუ რას კითხულობდა. კითხვას როგორ დავუშლიდი, მაგრამ ჯერ გაკვეთილი უნდა ესწავლა!

ერთსაც ასწრებდა და მეორესაც.

სხვათა შორის — ფეხბურთის თამაშსაც. ძალიან უყვარდა ფეხბურთი. ახლაც უყვარს. ტელევიზორში ფეხბურთს გატაცებით რომ უყურებდა, რაიმეს დავავალებდი, აბა, როგორ მოიქცევა-მეთქი, დათმობს თუ არა ფეხბურთს? ადგებოდა. უჭირდა, მაგრამ მაინც ადგებოდა, დედის დავალებას შეასრულებდა აუცილებლად.

მკაცრად ვზრდიდი.

დამამთავრებელ კლასში რომ იყო, აქ მდინარე ჩამოდის — ხანის წყალი, არ ვუშვებდი, მეშინოდა, ცურვა არ იცოდა ბავშვმა.

— ახლა იცის?

— ახლა ისე იცის, მგონი, ზღვას გადაცურავს... მაშინ რომ მიმეშვა, ზოგიერთი თავისი ამხანაგით „ბირჟაზე“ იდგებოდა.

P.S. გამომშვიდობებისას არჩილ კბილაშვილის მშობლებს ვკითხე:

— რას უსურვებთ თქვენს ვაჟს?

— ბატონმა ბიძინამ აჩიკოს უთხრა: გავაადამიანუროთ პროკურატურაო. ამ შეთავაზების შესრულებას ვუსურვებთ.

**2013 წლის 6 თებერვალი
ჯემალ კასრაძის ფოტო**

ნარმანიები კოკიდან არიან



ნარმანიების სახლი

ზღვის სუნთქვას ამ სოფელში შესვლისთანავე იგრძნობ. ერთ დროს ქაობზე შეტევის ავანგარდი — ქარსაფარი ზოლები — დღეს ნაჯაფი მოხუცი კაცის ხელის მტევნის ძარღვებით დაბერილ-დაგრეხილი ევკალიპტების ნარჩენი ეკუმპლარებითაა წარმოდგენილი. ამათი დღეც მოკლეა: სოფლის ასფალტირებული გზის გასწვრივ, ალაგ-ალაგ რაც შემორჩა, ისიც ძირში მოუჭრიათ და ყრია უყურადღებოდ, როგორც დიდი ომის გამარჯვებული ვეტერანები.

მეოცე საუკუნის ეს ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი თანდათან ქრება და ქარი დაშლივინებს კოლხეთის მინაზე, როგორც სულ ცოტა ხნის წინათ ტყვია, სიკვდილი და ყაჩაღთა ბანდები ამ და მეზობელ სოფლებში. აფხაზეთის ომის დროსაც და შემდეგაც — კარგა ხანს.

ადგილის დედა

ეს ადგილი არის კოკი — ბოლო დასახლებული პუნქტი, რომელიც ჩვენს გამგებლობაშია და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შედის. ყანების ბოლოდან კი, ენგურს გაღმა გაუცხოებული აფხაზეთი იწყება.

„საზღვრისპირა“ სოფელი გახდა კოკი, რომელიც მე-16 საუკუნის ისტორიულ წყაროებში ამ სახელითაა მოხსენიებული. მანამდე კადარე ერქვა. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ეს ტერიტორია რკინის ხანიდან ყოფილა დასახლებული.

ბებერი ისტორია.

ომი დაბედება აქაურობას.

ზოგიერთი მოსაზრებით, სოფლის ძველი სახელწოდება კადარე მეგრულ კვადადან მოდის, რომელიც კერკეტ კაკალს ნიშნავს: მტერთან ბრძოლაში ძნელად გასატეხსა და აულებელს.

შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ეს ვარაუდია, ფაქტი კი ისაა, რომ აქ, ნალიმის ველზე 1855 წელს გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს დაპირისპირებიან რუსეთ-თურქეთის ომში ჩართული შეიარაღებული ძალები. როგორ უხდება და ესადაგება ლადო ასათიანის ასპინძის ბრძოლაზე ნათქვამი პოეტური სტრიქონები ნალიმის გადახდილ ბრძოლას:

**ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გაუშვასპინძლდით, როგორ გავერკეთ ურჯულო.
გადაიარა წინა დღის ბრძოლების პაპანაქებამ,
ხმაღს დასვენება უნდოდა, მხედრობას — დაბანაკება...**

(„ასპინძა“)

დაბანაკდნენ... ნალიმის ძმათა სასაფლაოზე... ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, ყოველი წლის გაზაფხულზე იკრიბებოდნენ აქ კოკელები, ჩამოდიოდნენ სტუმრები და ქართველები და რუსები ერთად აღნიშნავდნენ აქ მოპოვებულ გამარჯვებას.

დღეს ნალიმის ძმათა სასაფლაოზე ამ ბრძოლაში გმირულად დაცემულთა უკვდავსაყოფად დგას ობელისკი-ჯვარი არდავინყების ნიშნად თავდადებული რაინდების: ზვამბაიასი და სიმონოვის, წერეთლისა და კობელეცის, შერვაშიძისა და რუბცოვის, წულუკიძისა და სხვათა და სხვათა...

სათემო ცენტრი ყოფილა კოკი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. იქ, სადაც დღეს სკოლის ეზოა, თუთის ოთხი უზარმაზარი ხე იდგა, თითოეული სამი მეტრის დიამეტრის მაინც. იმხელა ფულუროები ჰქონდა, რომ ბავშვები შიგ ვიძლებოდით, — მეტყვის ბატონი კოტე ნარმანია, დინჯი, დარბაისელი კაცი, სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორის უმაღლესი განათლებით (ინფორმაცია წინასწარ მოვიპოვე), ინტელიგენტი, რომელიც (აშკარად ჩანს) სიხარულით გვე-

გება ან კვირა დღეს მისი სამოსახლოს კარზე მიმდგარ სტუმრებს.

ოდაბადეს საზღვარზე.

კარიბჭიდანვე ვინყებთ საუბარს და ისიც თანდათან გადაგვიფურცლავს ამ სოფლის მათიანეს. მოჰყვება, რომ იმ ოთხი ხის ძირას დასხდებოდნენ ოთხი სოფლის თავკაცები და წყვეტდნენ სათემო საჭირბოროტო საკითხებს.

დღეს თემში შემავალი სოფლები ცალკეა გასული: კოკი, ორსანტია, ახალკახათი, შამგონა.

იმ ასწლოვან ხეთაგან ერთილა იყო შემორჩენილი. ქარიშხალმა ნააქცია. ვადა გაუვიდა, როგორც სოფლის იმ საფიხვინოს.

კოკიში რამდენიმე ძირძველი გვარი ცხოვრობს: ნარმანიები, ხუბუები, შენგელიები, ჩიქავეები, ხუნჯგურუები...

ნარმანიების უბანში მეგზურებთან ერთად ვარ მისული, რომლებიც ხუთი თითივით იცნობენ რაიონს, რეგიონს, ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, მუნიციპალიტეტს და აქაურებში ავტორიტეტით სარგებლობენ — მერაბ სიჭინავა და გენადი ჯიქია. ყოფილმა ხელისუფლებმა ორივე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და პრინციპულობის გამო მოიცილა ხელმძღვანელი თანამდებობებიდან, ერთ-ერთი იმიტომაც, რომ... რა ფულიან ადგილს აფუჭებო(!)

სწავლის კირი

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის — დავით ნარმანიას მშობლებს ვსტუმრობთ და ვისზე, თუ არა თავის შვილებზე იწყებს საუბარს ქალბატონი ნორა თოდუა, რომელიც, წლებია, კოკის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ მუშაობს (ეს სკოლა 1875 წელს დაარსებულა):

— ნიჭიერი შვილები მყავს — დათო და ირაკლი. ისა დაამთავრეს სკოლა, ხუთიანზე დაბალი ნიშანი არ მიუღიათ. მინდოდა, დათო კარგი ექიმი დამდგარიყო, და ერთხელ, როცა მეცხრა კლასში იყო, ჩამოვაგდე ამ თემზე საუბარი. მე არ მინდოდა, მიპასუხა და ამის შემდეგ მისი მომავალი პროფესიის არჩევანზე აღარ გვილაპარაკია. ყველაფერი თვითონ გადაწყვიტა.

— არც ტექნიკური საგნები უჭირდათ, არც ჰუმანიტარული, —

განაგრძობს ბატონი კოტე, — თანაბრად კარგად ითვისებდნენ.

— უცხო ენასაც? დავითი ხომ ერთი პერიოდი გერმანიაში გადიოდა სტაჟირებას და გერმანულის კარგად ცოდნის გარეშე გაუჭირდებოდა, ამიტომ გეკითხებით.

— **სამი წელიწადი ზაფხულოვით კოლეგებთან ერთად კვლევით სამუშაოებს აწარმოებდა გერმანიაში. გერმანული კი აქ, ჩვენს სკოლაში ისწავლა. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების წინ სამი თვე კერძო მასწავლებელთან იარა.**

უჭირდათ მშობლებს, მაგრამ წელებზე ფეხი დაიდგეს და დაუქირავეს გერმანულის პედაგოგი. გამოცდები წარმატებით რომ ჩააბარა, იმ მასწავლებელთან განაგრძო სწავლა. დანარჩენი ნიჭმა და მონდომებამ ჰქმნა და ამიტომ არ გასჭირვებია გერმანულ გარემოში მოხვედრილ ახალგაზრდა კაცს არც გერმანულ კოლეგებთან საქმიანობა, არც ადგილობრივებთან კონტაქტის დამყარება.

სხვათა შორის, ირაკლიც, ნარმანიების გვარის მეორე წარმომადგენელი, ერთი წელიწადი გერმანიის ბრემენის უნივერსიტეტში სწავლობდა.

აქამდე მხოლოდ ერთ ადამიანს ვიცნობდი — ქალბატონ ვალია ხაზალიას, რომელიც ზუგდიდიდან პირდაპირ სორბონაში ჩაირიცხა და წარმატებით დაამთავრა ეს სახელგანთქმული უნივერსიტეტი.

იოლად ითვისებენ უცხო ენებს ნიჭიერი მეგრელები.

და აქვე ვიგებ, რომ დათო ნარმანია ჯერ კიდევ სტუდენტობისას გერმანულიდან თარგმნიდა სტატიებს სპეციალურ საგნებში.

ესეც დასტური ზემოთ გამოთქმული მოსაზრების ნიჭიერების შესახებ.

ეს კიდევ დოკუმენტია — რვეული გერმანულ ენაში შესრულებული დავალებების.

შეგიძლიათ იხილოთ და დარწმუნდეთ.

ამ საერთო რვეულში კი, რომელსაც ინტერესით ვფურცლავ, მოსწავლე დათო ნარმანიას მომზადებული თემატიკა ქართულ ლიტერატურაში — ჰაგიოგრაფიული თემატიკა, რომლის სასკოლო პროგრამიდან ამოძირკვას შეეცადა მეზობელ სოფელ ნარაზენში

გაზრდილი და სააკაშვილის მთავრობაში მინისტრად დაბრკანაბული, ე.წ. კახა ლომია, ანტიქართული მოძრაობის სოროსელი აქტივისტი, რომელმაც ქართულად ერთადერთი სიტყვაც კი — გაშვვი, ძვეყნის დასანახად შეცდომით დანერა დაფაზე. უფრო სწორად, დანერა ისე, როგორც ნასნავლი ჰქონდა — გაშვვი...

აბსოლუტური კონტრასტია კოკის საშუალო სკოლის მოსწავლის, დავით ნარმანიას ჩანკნიკებული თემები, რომელთაგან პირველი ქართული ანბანის (დამწერლობის) ქებათაქებით, ლექსი მროველის დამონებით იწყება:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენაი ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი ქართლსა შინა თვინიერ ქართლოსისა. და ამან შექმნა დამწერლობაი ქართული“.

და კონსტანტინე გამსახურდიას ქოხმობით მთავრდება: „...მოცლილ ბაღლსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს და განზრახული მაქვს, უთუოდ დავენერო მე ანბანთა ქება ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემში სახე, ფერი და მოძრაობა“.

დიდებულია! და ეს გადმოღებული და გათავისებული აქვს პატარა ბიჭს, სოფელ კოკის წარჩინებულ მოსწავლეს — დათო ნარმანიას.

შემდეგ — ცურტაველი, მერჩულე, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, შოთა რუსთაველი („ვეფხისტყაოსნის“ პლენანოველ მ. სააკაშვილის მიერ განხორციელებულ რედაქტირებამდე).

გაავლეთ პარალელი, კონტაპრუნა ობივატელებო!

თუნდაც — ლაბორანტი ი. მერაბიშვილის ბატიფეხურით ნაწერ განცხადებასთან, პოლიტიქნიკურის რექტორს რომ ნარუდგინა. „ქვეყნის ხერხემლის“ წარმომავლობაც გაიხსენეთ და დამეთანხმებით (თუმცა უჩემოდაც იცით), რომ პასპორტში ჩანერილი სადაურობა კი არ არის მთავარი, არამედ ის, რასაც ფუძის ანგელოზი დაგანათლის.

— ვინ ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას დავითს? — ბუნებრივად იბადება ეს შეკითხვა.

— ჯულიეტა კოდუა ჰყავდა მეცხრე კლასამდე, შემდეგ — მარინა კეილია.



ორი თაობა — ნორა თოდუა-ნარმანია, კოჭე ნარმანია, ვენედიქტე ნარმანია და ბაბუცა ჯაბუა-ნარმანია

მადლობა ვუთხრათ!

— სკოლაში ძალიან ძლიერი კადრები გვყავს, — ამბობს ქალბატონი ნორა, — ჩემი შვილების სხვა სკოლაში გადაყვანაზე არასოდეს მიფიქრია. და, საერთოდ, სოფლის მასწავლებლები ბავშვებს არაფერს აკლებენ.

ფუსგები

შვილების აღზრდა-განათლება დედას ებარა. კარგი ბიჭები გაზარდა.

— უფროსი შვილი მინისტრი რომ გახდა, ელოდით?

— თავსატეხი გამიჩნდა, — ეს დედაა.

— მოწყდა ოჯახს, — ამბობს მამა, — კი ჩამოდის, მაგრამ 10-15 წუთით შემოივლის.

— საქართველოში რთულია ყველაფერი, მინისტრობა — განსაკუთრებით. ზოგჯერ იმდენ რამეს გადმოანთხევენ, რომ... — ისევ დედა ლაპარაკობს, — სკოლაში ჩემს კოლეგებს ეკითხები-

ან, შეიცვალა მინისტრის დედაო? რატომ უნდა შევიცვალო?!
— **მეზობლებთან ურთიერთობა?**

— ისევე ისეთია, როგორც გვექონდა. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.

— **მამა რას იტყვის?**

— სოფელში ყველანი ერთმანეთს მხარში ვუდგავართ — ლხინი, ჭირი ერთია ყველასთვის.

— მე რომ სამსახურში წავალ, მეზობლის კაცები ამას აკითხავენ. ღვინისთვის *(ნიშნისმოგებით ელიმება დედას)*.

— ღვინოს ვაყენებ — თეთრიცა მაქვს, შავიც. ნატურალური, და მოდიან, როცა თავისი გამოელევათ.

ისეთი სიალაღით ლაპარაკობს ბატონი კოტე, რომ აშკარად ჩანს, სხვისთვის ხელის გამართვა სიამოვნებას ანიჭებს. გულწრფელი კაცია.

შვილთან პროტექციის განწევას ხომ არ თხოვენ მომსვლელეები?

— არაო, — მიპასუხებენ, — აი, სულ ახლახან ხურჩის უბანში გზა შეაკეთეს, აფხაზეთისკენ მიმავალი გზა არის და ამდენად, ქვეყნისთვის პრიორიტეტული საქმე იყო. მეტი რა უნდა გაუკეთოს სოფელს ინფრასტრუქტურის მინისტრმა?!

— შვილებს მოსაკითხს უგზავნით, თუ აქეთ გეხმარებიან?

— ვუგზავნით, როგორ არა, მაგრამ თავისი აქვთ და ჰყოფნით. წლეულს სამ ტონამდე თხილი გავყიდეთ, რაც შემოვიდა, ორივეს გავუნაწილეთ.

— **მშობლებს „წილში უსხედან“?**

— *(ეცინებათ)*. არა! თავიანთი ნაკვეთები აქვთ. ჩვენ კიდევ დაფნაც გვაქვს, კივიც, სიმინდიც, საქონელი...

— **ლეჯი?**

— *(ელიმებათ)* ღორიც, რასაკვირველია, ქათმები... შაქარს და პურის ფქვილს ვყიდულობთ, დანარჩენი ყველაფერი ჩვენია.

შრომისმოყვარე ოჯახია: სოფლის ინტელიგენციის (როგორც უწინ ამბობდნენ) და ფერმერების (როგორც ახლა ვიტყვი) შენადნობი ახალი „კლასი“. წელში გამართულია ამიტომაც.

ამათ სახლამდე რომ მიხვიდე, მთავარი გზიდან მარცხნივ უნდა გადაუხვიო, ყანაში გაჭრილი, ხრეშდაყრილი არცთუ მცირე მანძილი გაიარო: მარტო სიმინდის ამ ყანის მოვლა არ გინდა?! უვლიან. ან — თხილის პლანტაციას, რომელიც ჩემნაირ დილე-

ტანტებს ჩვეულებრივი ბურჟი ჰგონიათ, რომელზეც ბუნება თვითონ ზრუნავს.

ეგრე არ არის თაყაო! ამ ზამთარში, როცა ნაჯაფარი სოფელი თითქოს უნდა ისვენებდეს, სწორედ თხილის ნარგავების გასხვლით არიან დაკავებული კოკელები.

და სხვებიც — ნარაზენელები, ორსანტიელები, ახალკახათელი მეურნე ადამიანები.

— ჩვენთან ისეთი მინაა, რომ, თუ მოუარე, არაფერს დაგაკლებს, — **მიდასტურებს კოტე ნარმანია**, — ჰექტარზე მეტი ყველას აქვს, იმრომე და მოსავალს არ დაგამადლის.

ამიტომაც შედარებით ნაკლებია მოსახლეობის გადინება ამ ზონის სოფლებიდან. მყარად დგანან თავიანთ მინაზე.

ამის თვალსაჩინო მაგალითია (შორს რომ არ წავიდეთ) ოჯახის მამამთავარი, ფუძე და ძირი ვენედიქტე ნარმანია, ბაბუა ვენედიქტე, მრავალი წლის განმავლობაში სოფლის ერთადერთ ამბულატორიაში 1996 წლამდე მომუშავე უნიკალური მედიცინის მუშაკი („თერაპევტიც ვიყავი, ქირურგიც, სტომატოლოგიც. ჩემით ვისწავლე — სოფელს სჭირდებოდა“. იყო ასეთი მძიმე პერიოდი ექიმების არყოლის. თუმცა არც ახლაა იმ ამბულატორიაში სპეციალისტების სიუხვე: ექიმი კვირაში ერთხელ ჩამოდისო).

აი, ამ ხანდაზმულმა კაცმა სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე (ლომი სულუგუნით, ჭადი, ელარჯი, რა თქმა უნდა, შემწვარი ქათამი, მოხარშული ქაჯარის ხორცი, ტყემლის სანებელა, ოჯახის ღვინო, კარალიოკის არაყი (ოჰოჰო!), ფეიხოას კომპოტი (ესეც საკუთარი ბაღის მოსავლის) და სუფრის მშვენება — მეგრული ხაჭაპური!), ისე ითამადა, ისე მოილხინა, რომ კეთილი გულიო, რომ იტყვიან, ყველა სადღეგრძელოში უშურველად ჩადო და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა.

— შენ არ სვამ, რომანოზოვიჩ?! — *(რომანოზოვიჩი მე ვარ)*, ცოტა კი გაიკვირვა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, უკანასკნელ წვეთამდე — „ასე მტერი დაგეცალოს!“ გადმოტრიალებული ჭიქა არ დაენახვებინა გაოცებული მეინახეებისთვის.

შესვი? შეგერგოს!

ბატონი ვენედიქტე ისე უყვართ სოფელში, ისეთ პატივს სცემენ, თვალში რომ ჩაუფარდეს, არავინ ხელს არ ამოისვამსო. ასე თქვეს აქაურებმა.

ქალბატონი ბაბუცა ჯაბუა, ოთხმოცდახუთი წლის მისი ღირსეული მეუღლე და ჭაპანის გამწვევი, ომისა და შრომის ვეტერანი („თავიდან ჩაი ამ ადგილებში არ იყო, სიმინდი მოგვყავდა, ციტრუსების სანერგეში ვმუშაობდით“. ჩაის პლანტაციები რომ „გაჩნდა“, მონინავე მეჩაიეს სახელი დაიგდო: დღეში 100-150 კილოგრამ მწვანე ფოთოლს კრეფდა. ნამდვილად კრეფდა, კი არ ჭრიდა ნამგლით, როგორც ბოლო ხანებში იყო. ჯილდოებიც ჰქონდა. არ მახსოვს, რამდენიო, თავს იმართლებს), აი, ეს ქალბატონი აგიზგიზებულ ღუმელთან იჯდა და დრო და დრო რეპლიკებით ერთვებოდა საერთო საუბარში:

— ბაბუა ასწავლიდა ბიჭებს თამაღობას.

ცხოვრების სიბრძნეს ასწავლიდა და ძირძველი ტრადიციების ერთგულებას, რომლებიც მაინც და მაინც ქართულ სოფელს შემორჩა.

ამ გარემოში რომ მოხვდები, სხვა ენერგეტიკა შემოდის ძარღვებში, სხვა აურა გაგწმინდავს ნეგატივის ნარჩენებისგან.

სოფლიდან – დედაქალაქში

საუბარი ბუხრის პირას, რა მიხვედრა უნდა, აუცილებლად უნდა შეხებოდა და შეეხო კიდეც ამ ოჯახის უფროსი ვაჟის თბილისის მერად დასახელების პერსპექტივას.

— როგორ შეხვდით ამ ამბავს?

პაუზა.

ვისარგებლებ შემთხვევით და ჩავურთავ: **17 წელინადი კოკში იზრდებოდა ნარმანია დათო. 18 წელინადია, თბილისშია ნარმანია დავითი. მაშასადამე, სასწორის პინა, ჰანდიკაპი, გნებავთ, ბონუსი ქალაქის სასარგებლოდაა.**

ბებია და ბაბუა ამბობენ პირველ სიტყვას:

— იქ დარჩენილიყო, კაცო, სადაც ახლა არის. რად უნდა ეს მერობა?! სანერვიულო მოგვემატება მაგასაც და ჩვენც. უნიჭო კაცი არ არის, საქმეს მიხედავს. ამაზე შიში არა გვაქვს, მაგრამ... პატარა სოფლიდან ასეთი კაცი რომ გამოვიდა, ამის სიხარული გვაქვს.

მამა:

— თავს გაართმევს ამ საქმესაც. ნიჭიერია. ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი აქვს. ნორმალურია. წესიერია.

კორუფციაში ჩათრეული არ არის.

დედა:

— დათომ სადაც გინდა იმუშაოს, იქ კაპიკს ზედმეტს არ აიღებს. ყველა დონის ადამიანთან ისეთი ურთიერთობის დამყარება შეუძლია, როგორც საჭიროა... ისე არ არის, როგორც ერთმა კაცმა განაცხადა ტელეეკრანიდან: თბილისის მერი უნდა იყოს კარგი ღვინის მსმელი, კარგი თამადა და ისაო...

— ჩავუთვალთ, რომ იხუმრა ან სათქმელს თავი უცებ ვერ მოუყარა.

— კი, ქუჩაში ჩამოართვეს ინტერვიუ.

თეა სიჭინავაზეა ნაწყენი ქალბატონი ნორა, ისე აჩვენა „იმედმა“ ჩვენი სოფელი, თითქოს გაუვალა ტყეა და გაუბედურებული. თვითონ ჭუბურხინჯიდან მაინც არ იყოსო.

— გაართმევს თავს, რა თქმა უნდა. მაგრამ მე თუ მკითხავთ, მისი არც მერობა მინდა, არც მინისტრობა. მშვენიერ ადგილზე მუშაობდა. ისიც მშვიდად იყო და მეც, — **ასეთია დედის აზრი.**

— სად გაიცნო ბატონი ბიძინა ივანიშვილი?

— არც არსად. ვილაცამ ურჩია დათოს კანდიდატურა მინისტრის თანამდებობაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე იყო, პარალელურად — ამიერკავკასიის სოციოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი. გერმანია აფინანსებდა.

— ბიძინა ეძებდა კარგ ეკონომისტს. დათო კარგი ექსპერტი იყო და ეკონომიკური პროგრამის დანერაში დახმარებია (**იქვე დიპლომატიურად გაასწორა — მიუღია მონაწილეობა**). ექსპერტობის დროს ყველაფერს ობიექტურად აფასებდა და ამიტომ არ ეკარებოდნენ ტელეჟურნალისტები — შენ ოპოზიცია ხარო.

— სააკაშვილის მთავრობა იტყუებოდა, ეს კი ზუსტ ციფრებს ასახელებდა. ტელეეკრანთან მიუშვებდნენ ვითომ?..

— ჩემი აზრით, — **ასკვნის ბატონი კოტე**, — დათოს უნდა გაეგრძელებინა მოღვაწეობა მეცნიერებაში, დიდებულ სპეციალისტებს გაზრდიდა. 26 წლის იყო, დისერტაცია რომ დაიცვა. ახლაც აგრძელებს ლექციების კითხვას.

— რატომ ჰგონია ზოგიერთ თბილისელს, რომ დედაქალაქი მარტო თბილისელების არის?! — **ამ შეკითხვით შემოგვიერთ-**

დება კოკის საშუალო სკოლის დირექტორი დალილა ჩიქავა, — სხვას ყველას, ვინც თბილისში არ არის დაბადებული, იმედი უნდა ჰქონდეს გადაწურული, რომ თბილისში ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმუშაოს? ჩვენი სამშობლო ხომ იმ იწყება, რომელსაც უფალი გვაძლევს და ვინ დაანაწევრა ჩვენი ძველანა თბილისად და დანარჩენ საქართველოდ?! „იმედის“ ერთ-ერთ გადაცემაში, ჩემი აზრით, სრულიად უადგილო შეკითხვა გაჟღერდა: „დაუჯერებენ კი კოკელებს თბილისელები?“. დანაწევრება და დაპირისპირება ქვეყნის შიგნით ამით იწყება და, ვაი, თუ ფესვი გაიდგას...

— „პროვინციული ფაშიზმი“ გაგვიგია, „კუთხური სეპარატიზმიც“, „ორღობის პატრიოტიზმიც“ უთქვამთ. ობივაციელის პიჟონობაღა გვაკლია. თუმცა, რა გიკვირთ — როცა თავის დროზე თბილისის საკრებულოში არ აირჩიეს საჩხერელი აკაკი წერეთელი.

სოფდაგრების პოზიცია.

— თუ ზოგიერთი თბილისელი სთვლის გაუგებარია დავით ნარმანიას თბილისის მერობა, მაშ, რად იყო გასაგები და მისაღები მათთვის და ბევრი სხვისთვის გიგი უბულავას გუბერნატორობა სამეგრელო-ჯამო სვანეთში?! — ამ რეპლიკის ავტორი ჩემ მეგზურთაგან ერთ-ერთი — გენადი ჯიქიაა.

უპასუხეთ, თბილისელებო!

დედაქალაქში ზოგიერთს გართულება აქვს რბილ „ლ“-ზე.

— ვერ ვიგებ, რატომ მაინც და მაინც ამაზე ღიზიანდებიან? დიალექტები, კილოკავები ჩვენი ენის სიმდიდრეა. საქართველო ძლიერია თავისი კუთხეების მრავალფეროვნებით და სწორედ ეს მრავალფეროვნებაა შესანარჩუნებელი. ნუხელ „ფეისბუქზე“ ვნახე კომენტარი ამ „ლ“-სთან დაკავშირებით, უხერხული კომენტარი იყო, მაგრამ არა უშავს. ეს იმ ადამიანების სინდისზე იყოს. ჭეშმარიტი ქართველები არასოდეს გაამახვილებენ ამაზე ყურადღებას!

თან, — ღმერთი, რჯული, ხომ ვსაუბრობდი ამ ხალხთან ამდენ ხანს, ერთხელაც არავის წამოსცდენია ეს რბილი „ლ“. ა-რა-ვის!

თუმცა მეგრულს უხდება: დედის სიტბოსავითაა.

აქ დავსვათ წერტილი. იმათ ილაპარაკონ, ვისაც არ ეზარება.

P.S. კოკი მეგრულად კუნძულს ნიშნავს — ამ ადგილს ირგვლივ მდინარე ჩაუდის, „შუამდინარეთია“. დღეს სოფელი საზოგადოებრივი აზრის მდინარების ცენტრში მოექცა.

კარგია.

რაც უფრო მეტად დავინტერესდებით, მით უფრო მეტს გავიგებთ ამ და ნებისმიერ სხვა სოფელზე. ბევრ კარგ ადამიანს გავიცნობთ და გავმდიდრდებით ამით. ეს უჩემოდაც იცით!

თუთის ხეებთან, ზემოთ რომ ვახსენე, ოთხკუთხა ლოდი იდო. გადმოცემით, იმ ლოდზე ვინც დადგებოდა, მხოლოდ სიმართლე უნდა ელაპარაკა.

დედაქალაქის მერობაზე ლაპარაკი იმ ლოდზე დადგომასავითაა.

მე ჩემი სიმართლე ვთქვი.

2014 წლის 5 თებერვალი

ომარ ქუცნაშვილი: ეს იყო ჩაუიი!



ომარ ქუცნაშვილი

მიხეილ სააკაშვილსა და მისთვის ყურში ჩამჩურჩულელებს ძალიან უნდოდათ და ძალას არ იშურებდნენ, რათა სრულად გაეხლიჩათ საქართველო — ოჯახებით დანწყებული და მამათა და შვილთა თაობების დაპირისპირებით დამთავრებული, და ასე დანანევრებულ-დასახიჩრებული ერი ფარასავით წინ გაერეკათ სრული დეგრადირებისკენ.

ისტორია ამათით უნდა დანწყებულიყო, ეს სურდათ და ამაზე მუშაობდა სახელმწიფო აპარატიც და „ნაცების“ პროპაგანდის ინდუსტრია. ისეთი თაობის გამონართობა სურდათ, რომელსაც სრულად მოკვეთილი ექნებოდა ფესვი და „ახალი ვარდების“ რტოებს მხოლოდ ნაციონალ-ბოლშევიზმის ნიადაგზე უნდა ეხარა.

ამპარტავნობდნენ ამით.

მაგრამ „ნუ იამპარტავნებ რტოთა წინაშე, ხოლო თუ იამპარტავნებ, იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, არამედ ფესვს უკავიხარ შენ“ (რომ. 11, 18).

მაგრამ მათთვის, ვისაც ღმერთმა მისცა „უგრძობლობის სული, თვალები, რათა არ ხედავდნენ და ყურები, რათა არ ესმოდეთ დღევანდელ დღემდე“ (რომ. 11, 8), ეს მართლმადიდებლური შეგონება უცხო და მიუღებელი იყო.

ჩვენი ახალი რუბრიკა „მამები და შვილები“ თაობათა გენეტიკური ერთობის წარმოჩენას ისახავს მიზნად — ფესვებზე აღმოცენებულ რტოთა სიძლიერის წარმოჩენისთვისაა მოწოდებული.

რუბრიკას ქუცნაშვილების ოჯახით ვინყვობ.

„თუ ფსიქიკაა, მაშინ - რტოც“

„აგერ გამოჩნდა ნიფის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“

დიახ, გალაკტიონი, დიახ, ნიფის გვირაბი.

ოღონდ ტექნიკურ ქრილში. რატომ? იმიტომ, რომ რედაქციის სტუმარია ხაშური-ზესტაფონის სარკინიგზო შემოვლითი გზის პროექტის ავტორი ომარ ქუცნაშვილი, გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო და ეკოლოგიური აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის ყოფილი გამგე; კაცი, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ ციხის ჯურღმულებში გამოატარა, მაგრამ ვერა და ვერ გატეხა.

ომარ ქუცნაშვილი ზაქარია ქუცნაშვილის მამაა. ჰყავს კიდევ ერთი ვაჟი — ივერი, რომელიც ბიზნესითაა დაკავებული.

მეუღლესეც ჰყავს, რა თქმა უნდა: ქალბატონი თალიკო ლაგაზაური.

— საქართველოს სატრანსპორტო განვითარების კონცეფცია, რომელიც წლების მანძილზე დავამუშავეთ, მოიცავდა ყველა ელემენტს, ყველა კომპონენტს, მათ შორის, ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთსაც, მარაბდა-ახალქალაქის მონაკვეთსაც, რომელიც ერთხანს უარყვეს, მაგრამ ბოლოს მაინც დაუბრუნდნენ, თუმცა ბოლომდე არ გაიზიარეს. ასევე, — თბილისის შემოვლით გზასაც, მაგრამ არა იმას, დღეს რომ გაჰყავთ და რომელსაც „შემოვლითი“ კი დაარქვეს, რაც ისეთივე სიცრუეა, როგორც მთელი „მოღვაწეობა“ ყოფილი ხელისუფლების. კავ-

კასიონის საუღელტეხილო გზის გამოყენებაც შესაძლებლად მიგვაჩნდა, რომელიც დიდი პოლიტიკური დატვირთვის ობიექტი იყო.

— **ხაშური-ზესტაფონის თქვენი პროექტი გააფუჭეს ჩინელმა მშენებლებმაო, ამბობენ სპეციალისტები.**

— ქვეყანაში ექსპერტიზის სისტემა პრაქტიკულად მოშლილია. **მშენებლოვის დარგია მთლიანად მოშლილი. არანაირი მონასრიგებულნი ნორმატიული ბაზა არ არსებობს. ექსპერტიზა მხოლოდ შერჩევითია. არც ერთი მშენებლოვა მეცნიერულად დასაბუთებულ პროექტს არ ემყარება.**

დღეს არავინ არაფერზე არ აგებს პასუხს, არანაირი კონტროლი არ ხორციელდება. ამიტომ გამორიცხული არაა, თუ ჩვენს პროექტსაც ლოკალურად, ადგილზე თვითნებურად მოექცევიან.

— **თითქოს ვილაცამ ბეჭედი დაუსვა ქვეყანას: თუ ფული გაქვს, აშენე, რაც და როგორც გინდა.**

ეტყობა, ამას ჰქვია ფულის ხარჯვის თავისუფლება.

— ასე ჩანს... ჩემმა კომპანია „ჯეოინჟინერინგმა“ სერიოზული სამუშაოები შეასრულა: გავაკეთეთ პროექტი ახალი, სრულიად თანამედროვე შემოვლითი გზის, სადაც სრულიად დასაშვები 12-ათასიანი ქანობებია — არა 28 და 32-ათასიანი, რა თქმა უნდა, გვირაბების და ხიდების მთელი კასკადით, რკინიგზის არსებული გვირაბის შენარჩუნებით და მისი გამოყენებით მომავალი ავტობანისთვის. ამისთვის ვიყენებდით არსებული რკინიგზის ვაკისს, რომელიც არ უნდა ამოვარდნილიყო საერთო სისტემიდან.

— **კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა, რომელიც თქვენ ახსენეთ, მახსოვს, დაიწყო კიდეც, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში, ეროვნული მოძრაობის მოთხოვნით, საქართველოს მთავრობამ შეაჩერა, — რუსეთის ჯარი შემოვა და დაგვიპყრობსო. თითქოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კბილებამდე შეიარაღებული დანაყოფები საქართველოში არ იყვნენ განლაგებულნი.**

— გულუბრყვილობა იყო სრული. მაშინ უამრავ ორგანიზაციასთან, მათ შორის, მწერალთა კავშირშიც გვქონდა შეხვედრები, როგორც ახლა იტყვიან, პროექტის პრეზენტაცია. ცალ-

კე შეევხვდით, ღმერთმა აცხოვნოს, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. დეტალურად ავუხსენით ამ პროექტის მრავალმხრივი სარგებლიანობა. იცით, რა გვიპასუხებს? მოძრაობა აგორებულია და რა ვქნათო!

კავკასიონის საუღელტეხილო, ხუდონჰესი, დავითგარეჯი! — ეს იყო.

ეს სატრანსპორტო სისტემა რომ აშენებულიყო, უფრო მეტ ნონას შეგვძენდა მსოფლიო თანამეგობრობაში — პოლიტიკურს და ეკონომიკურს, უფრო გაგვადლიერებდა და ვერავითარ სუვერენიტეტს ვერ შეგვიზღუდავდა, პირიქით — უფრო მეტად საქირონი გაეხდებოდათ აღმოსავლეთისთვისაც და დასავლეთისთვისაც.

— როგორც განახლებული ისტორიული „აბრეშუმის გზის“ საკვანძო ქვეყანა?

— დიახ. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩვენ ვიძნებოდით ამ რკინიგზის მფლობელები, თანაც, ჩრდილოეთი ჰორტალი ექვსი კილომეტრი იქით, ჩრდილოეთისკენ ჩვენი რჩებოდა. გავაძლიერებდით სასაზღვრო ზოლს, რომელიც ამჟამად მოსახლეობისგან დაცლილი, მოშლილი და მონგრეულია.

ისიც სათქმელია, რომ კავკასიონის საუღელტეხილოთი მოვასხარებდით რუსეთის უფართოესი შესაძლებლობების მქონე ბაზრის შენარჩუნებას, რუსეთიდან საქართველოს გავლით ირანთან დამაკავშირებელი არტერიის ფუნქციონირებას შივიძნებით და ა. შ.

დაუშვამთ ამას — თურქეთით ევროპისკენ, ახლო აღმოსავლეთისკენ გასვლის პერსპექტივა მარაბდა-ახალქალაქისა და ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მეშვეობით. ეს კალიან მოგზავნიანი იძნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის, რომლის სატრანზიტო ფუნქციონირებას გაუფრთხილდებოდა რეგიონის ყველა სახელმწიფო, რადგან მათი ინტერესებიც იძნებოდა ამ ჩადებულში.

დარწმუნებული ვარ, ტრანსკავკასიური რკინიგზა რომ მოგვესწრო და აგვეშენებინა, აფხაზეთის პრობლემა არ დაგვიდგებოდა.

გონივრული პოლიტიკური ნაბიჯებითა და არსებული რეალიების გამოყენებით ამის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა.

მთის ყივილი

— თქვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი და ერთადერთი მიზანი ქვეყნის გაძლიერებისთვის ხელშეწყობა იყო. რა დაუშვავთ სააკაშვილის ტებს ისეთი, რომ ციხეში აღმოჩნდით?

— (ელემბება). ალბათ ის, რომ იმთავითვე ვხვდებოდი იმ უკეთურობას, რომელიც ჩვენს ქვეყანას მათგან ელოდა. არ ვმაღავდი, რასაც ვხვდებოდი, და ხმამაღლა ვლაპარაკობდი ამის შესახებ. მეც და ჩემი ოჯახი მთლიანად.

ძალიან ადრე ვხვდებოდი.

ჩემს დამოკიდებულებას ყოველთვის ვაცხადებდი ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომებზე: **კატაგორიულად არ ვეთანხმებოდი მიხეილ სააკაშვილის განხორციელებულ ვიზიტებს პოლიტიქნიკურში. კოლეგებს ვეუბნებოდი, რომ მისთვის მხარდაჭერის გამო ისტორიის წინაშე ვაგებდით პასუხს.**

ჩემი შვილი ზაქრო პირველივე დღიდან ოპოზიციაში იყო. **ძალიან კარგად ვიყავით ბარკვეული, რომ უცოდინრობას, უტიფრობას და ამორალობას, რაც სააკაშვილს და მის კრიმინალურ დაჯგუფებას ახასიათებდა, საქართველოსთვის კარგის მოტანა არ შეეძლო.**

მათი მმართველობა, არცოდნით, უსინდისობით და უნამუსობით გაჯერებული, დალუპავდა საქართველოს.

— თქვენ პროფესიონალი ინჟინერი იყავით, ზაქრომ იურისტობა რატომ არჩია?

— არც ივერისთვის, არც ზაქროსთვის არასოდეს არაფერი დაგვიძალეებია, არასდროს შეგვიზღუდავს, თავისუფალად დამიანებად ვზრდით, ბიჭებმა თვითონ აირჩიეს თავიანთი გზა.

ჩემი დაჭერის ერთ-ერთი მიზეზი მათი თავისუფალი აზროვნება იყო. 8 თვის განმავლობაში საოცარი ზემოქმედების ქვეშ ვიყავი. უამრავი აღამიანი მოდიოდა, თავშეკავებასა და გაჩუმებას გვირჩევდნენ, სიფათს თავი აარიდეთო.

ხიფათის ლაჩრებს ეშინოდეთ!

ზაქროს არც გონიერება აკლია, არც განათლება, არც ვაჟკაცობა და მე რატომ უნდა მეკარნახა, როგორ უნდა მოქცეული-

ყო? მით უფრო, ორივეს ერთი პოზიცია გვეკავა და ერთნაირად ვაზროვნებდით?!

მთის ტრადიციებზე ვზრდიდით შვილებს, საკუთარი აზრის თავისუფლად გამომხატველ ადამიანად. სკოლაშიც კარგი მასწავლებლები ჰყავდა ზაქროს — სერგო ვარდოსანიძე ასწავლიდა პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში. მან აზიარა ბევრ რამეს, მათ შორის, ერთ დროს აკრძალული ლიტერატურის კითხვის სურვილი გაუღვიძა, ფართო განათლების საფუძვლებს აზიარა.

— **სისხლის ყივილი?**

— სისხლი მთა არის, გენეტიკა თავისებური: სამშობლოს აღქმა მთაში სხვაგვარია, სამშობლოს მსახურების სხვა კატეგორიაა — გაცილებით მაღალი. ამაში ამ არჩევნების დროსაც დავრწმუნდი, როცა მთის ხალხმა, ხომ ნახეთ, როგორი შემართებით გაუწია წინააღმდეგობა უკეთურების შემოტევას. ბედნიერი ვიყავი, ამას რომ ვხედავდი: გენეტიკა მძლავრობს და მას ვერავინ აღმოფხვრის.

— **რასაც ასე მონდომებით ცდილობდა ყოფილი ხელისუფლებმა.**

— ყოველ ზაფხულს ბავშვები მთაში აგვყავდა. უნიკალური გარემოა თიანეთში — შრომისა და ხალხური პოეზიის ნაზავი. არაჩვეულებრივი სახალხო მთქმელები და პოეტები არიან იქ, მათ შორის, ჩვენი ოჯახის ახლობელი, გენიოსი პოეტი ტარიელ ხალხელაური.

— **მირზა გელოვანზე რომ არაფერი ვთქვათ.**

— ჩვენი რაიონი ამ მხრივ გამორჩეულია: ბესიკ ხარანაული, გიორგი წიკლაური, აკაკი ხაიაური... ბევრნი არიან, სერიოზული პოეტები, სიტყვის ოსტატები.

სახელმწიფო რეპეტი სააკაშვილისებურად

— **არაპოეტურ თემაზე გადავიდეთ. თქვენზე ამბობენ, რომ ვანო მერაბიშვილის პირადი პატიმარი იყავით.**

— არა მარტო მე და არა მარტო მერაბიშვილის. **მერაბიშვილი და სააკაშვილი ხომ ყველა ქართველს და ყველაფერ ქართულს ებრძოდნენ. 2008 წლის 22 სექტემბერს, სასამართლოს პირველსავე სხდომაზე ვთქვი, რომ ის რეჟიმი იყო სააკაშვილ-მერაბიშვილის სატანურ-რეპრესიული რეჟიმი. 22 სხდომა ჩატარდა და ყოველთვის**

ამას ვიმეორებდი, რადგან ისეთი სისულელე შეთხზავს ჩემ წინააღმდეგ, რომ სხვა სალაპარაკო იქ არაფერი გქონდა.

სასამართლო იყო ჩემი ტრიბუნა.

ყველა ექსპერტმა, ვინც ჩემს „საქმეს“ გაეცნო, უცებვე აღიარა, რომ „ბრალდებები“ იყო ყალბი და გამოგონილი. ამიტომ იყო, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა ფედერაციამ ყველაზე პირველად მალიარა პოლიტკატიმრად, მაგრამ მარტო ჩემი საქმის გაგზავნაზე ევროპაში უარი ვთქვი.

23-კაციან სიაში ჩამწერეს და ჩვენ, ყველანი ერთად გვადიარეს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებად.

— ზაქროს გამო გებრძოდნენ?

— არსებითად ასე იყო, რადგან მე მაინც იშვიათად გამოვდიოდი პრესით თუ ტელევიზიით. საკმარისი იყო, ზაქრო მათდამი ლოიალური გამხდარიყო და შეეწყვიტა მათი მხილება, თავს დაგვანებებდნენ. ზაქრო მარტო მხილებით არ კმაყოფილდებოდა, იმასაც ამბობდა, თუ რა და როგორ უნდა გამოსწორებულიყო. მისი კრიტიკა კონსტრუქციული იყო. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა იმ გააფთრებულ ბრძოლაში, რომელიც კონსტიტუციური ცვლილებების დროს გაიმართა და მიმართული იყო სააკაშვილის უფლებების უსაზღვროდ გაზრდის წინააღმდეგ.

2007 წლის შემოდგომაზე, 2008 წლის გაზაფხულზე განსაკუთრებით აქტიურობდა ზაქრო. მის გასაჩუმებლად მე შემომიტიეს.

— ცხენს ვერ მისწვდნენ და უნაგირს დაუნყეს მტვრევავო, ნათქვამია.

— დიას, ასე იყო.

— რას გედავებოდნენ?

— გადასახადების გადაუხდელობას. მაშინ, როცა ყოველთვის წინსწრებით ვიხდიდი. 20 გამომძიებელი და სპეცრაზმი დაესხა თავს ჩვენს კომპანიას.

(ბატონი ომარი დანვრილებით ყვება იმ ამბის კვალზე განვითარებული პერიპეტეიების შესახებ, იმ აბსურდულობაზე, რომელიც შემდეგ „საქმედ“ შეკერეს. თავისთავად საინტერესო ისტორიაა ბრალდების მხარის კრიმინალური უსინდისობის მხილების თვალსაზრისით, მაგრამ, ჯერ ერთი, ბრალდე-

ბული სრულადაა გამართლებული, მეორე, ჩავლილი ამბავია და აღარც ღირს გახსენებად.

თუ მაინც და მაინც დავიჩემებთ, საკმარისი იქნება ბრალდების კვინტესენციის ერთ წინადადებაში გამოტანა: კომპანიამ, რომელმაც პროფესიული კუთხით გააანალიზა რეალობა, არ ჩათვალა საჭიროდ გაზსადენის მილის ერთ მონაკვეთზე რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ზედმეტი, არააუცილებელი სამუშაოს შესრულება, რისთვისაც, ბრალმდებლების აზრით, ამერიკული პროექტის „მილენიუმის“ აღმასრულებელ სტრუქტურას (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კონდოლიზა რაისი იყო) დამატებით 300-400 ათასი დოლარი შეეძლო გადაეხადა, ხოლო ამ სავარაუდო თანხიდან მოგების გადასახადი კი ქუცნაშვილის კომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შეეტანა, მაგრამ რახან ეს სამუშაო არ შესრულდა, მაშასადამე, არც ამ შესაძლო მოგებიდან გადასახადი არ შევიდა ბიუჯეტში, ე.ი. სახელმწიფო აზარალეთ და აგეთო პასუხი კანონის წინაშე.

მოკლედ ასეთი სახელმწიფო რეკეტის (აშშ-ისთვის ფულის გამოძალვის) განუხორციელებლობის გამო კანონის ძალით მოსთხოვეს პასუხი ომარ ქუცნაშვილს.

ასეთი იყო ყოფილების სამართალი.

ცნობისთვის: სამცხე-ჯავახეთში გზების, მილსადენების რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ. ამერიკელების „მილენიუმის“ პროექტის დაფინანსებით ჩატარდა.

მიხეილ სააკაშვილი კი იბრალებდა, რომ მისი მამულიშვილური მოღვაწეობის შედეგი იყო.

თან გვამადლიდა.

— მათი მიზანი, — ასკვნის ბატონი ომარი, — ქვეყნის შენება კი არ იყო, არამედ ფულის კეთება. ჩემისთანა ხალხი კი, რომლებიც ამის საშუალებას არ აძლევდნენ, უნდა მოეშორებინათ.

ყოველგვარი ექსპარტული შეფასებების გარეშე, დაბეჯითებით გატყვით, რომ ოთხი მილიარდიდან, რომელიც საქართველოში შემოვიდა როგორც დახმარება, ნახევარი სააკაშვილის ბოჰოლეზმა ჯიბეში ჩაიღეს, მოიპარეს.

— თქვენ და თქვენისთანებს კი, ვინც წინააღმდეგობა გაუ-
ნია, ციხის კედლები ახეხინეს.

**ამ ყველაფრის მოწმე რომ იყო, ზაქრო ქუცნაშვილი, კიდევ
უფრო მტკიცდებოდა საკუთარ ოპოზიციონერობაში?**

— მე რომ დამაპატიმრეს, იმავე დღეს შეიძლებოდა გავთა-
ვისუფლებულიყავი.

— **როგორ?!**

— 2008 წლის 10 ივლისის საღამოს, სადღაც 11 საათისთვის
ჩემთან შემოვიდა („კაპეზეზე“ ვიყავი) ადვოკატი და მითხრა,
რომ, თუ ხელს მოვანერდი დასკვნას, რომ დოკუმენტები გა-
ყალბებულია, ზაქრო კი უწინდებურად აღარ იაქტიურებდა, მე
გამათავისუფლებდნენ პატიმრობიდან. მაშინ ვუთხარი ადვო-
კატს, გადაეცი ზაქროს, რომ ჩემი გათავისუფლების ფასად
პრინციპებს არ ვუღალატებ, შენს თავისუფლებას ჩემს თავისუ-
ფლებაზე არასოდეს გავცვლი-მეთქი, შენ უფრო ენერგიულად,
უფრო ხმამაღლა იბრძოლე მანდ, მე კი ციხის შიგნიდან, რაც
შემეძლება, ჩემსას ვიტყვი.

ციხე – ოპოზიციური

— **თქვით თქვენი სიტყვა?**

— ყოველ შემთხვევაში, იქაც ვმუშაობდი: ჩვენს, 154-ე კამე-
რას გლდანის ციხეში „დემოკრატიული რესპუბლიკა“ დავარქ-
ვით. მე, არჩილ ბენიძე — ლეიბორისტული პარტიის გლდანის
მთავარი კოორდინატორი, ზურაბ ქელეხსაშვილი — პრეზიდენ-
ტობის კანდიდატი, სააკაშვილის კონკურენტი, უალრესად გა-
ნათლებული, ნიჭიერი და პატიოსანი კაცი, ნიკო ჩანტლაძე,
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დეპარ-
ტამენტის ყოფილი უფროსი...

**ციხეში მომუშავე ოფიცრებს დაუფარავად ველაპა-
რაკებოდი იმ სისაძაბლის შესახებ, რომელსაც ისინი
ემსახურებოდნენ. მინდოდა გაეგოთ, რომ პირსაქმე-
ვა მათთვის ძალიან შავი და მრუბავა. პატიმრებთან
ვემუშაობდით, ცხადია. ასეულოებით ადამიანი მოვამ-
ზადეთ, ჩავახადეთ რეალობაში.**

— რალა თქვენ და რალა გასული საუკუნის რევოლუციონე-
რი პოლიტპატიმრები!

— (ელმება) ზუსტად ასე ვამზადებდით ციხის აუდიტორი-
ას. მე მქონდა საამისო კონტაქტები და ყველა შესაძლებლო-
ბას მაქსიმალურად ვიყენებდი. უნდა გვებრძოლა გადარჩენის-
თვის და ვიბრძოდით.

ასე რომ, ციხის ოთხ წელიწადს ამაოდ არ ჩაუვლია (იციინის).

— **ზაქრომ იცოდა თქვენი იატაკქვეშა მოღვაწეობის შესა-
ხებ?**

— როგორ არ იცოდა! მაგრამ რა სისტემა და რა ქსელი მუშა-
ობდა, არ ვახმაურებდით, თუმცა ცოტათი ხვდებოდა.

**ხელისუფლების სათავეში მყოფთა ფსიქოლოგია ად-
ვილად ნაწიკითხა: მზიშრები და ლაჩრები იყვნენ და
არინან. მაგრამ, თუ ერთხელ დაუსერი თავს, შემდეგ შებ-
ჯდებაინან. მე ყოველთვის მზად ვიყავი თავბანდირვის-
თვის და არასოდეს ვეპუებოდი.**

ძნელი და რთული მომენტები, რა თქმა უნდა, იყო.

— **ერთი მაინც გაიხსენეთ, თუ შეიძლება.**

— მაგალითად, როცა გლდანში ციხის რესპუბლიკური საა-
ვადმყოფო გახსნეს და ავადმყოფების გადმოყვანა დაიწყო.

ძალიან ციოდა. გვიანი შემოდგომა იყო თუ ზამთრის პირი იდ-
გა, კარგად არ მახსოვს.

სალამოვდებოდა, როცა ციხის ეზოდან კაცის განწირული
ყვირილი შემოგვესმა. სარკმელთან მივვარდით. რას ვხედავთ:
ავადმყოფებს, რომლებიც ახალ სამკურნალო დაწესებულება-
ში გადმოჰყავდათ, გარეთ, ყინვაში, ღია ცის ქვეშ, გამჭოლ ქარ-
ში ხდიდნენ ტანსაცმელს, აშიშვლებდნენ და საავადმყოფოს ხა-
ლათებს აცმევდნენ.

ატყდა, მაგრამ რა ატყდა, საოცარი ზანზარი დაიწყო ყველა
გისოსმა, კარმა, ფანჯარამ. ნახევარი საათის განმავლობაში
გრიალებდა ციხე.

წამების ეს მეთოდი ბადრაგმა შეწყვიტა, იძულებული იყო, შე-
ენწყვიტა.

ციხის უფროსი მაშინ მელაძე იყო, როგორც კი ჩათავდა ეს
ამბავი, თავისი სპეცრაზმით საკნებისკენ დაიძრა, პატიმრებ-
თან ანგარიშის გასასწორებლად. ჩვენს საკანში, რომელიც კი-
ბის თავზე, აბანოს გვერდით იყო, სიტუაცია უკიდურესად და-
იძაბა. ბიჭები გავაფრთხილე, არც ერთი ხმას არ ამოიღებთ-
მეთქი, პასუხს მე გავცემ.

შემოვარდა გაავებული მელაძე თავისი რაზმელებით.

— რას აკეთებთ! — მივახალე, — სადა ხარ! სად დაკარგეთ ადამიანობა, როგორ შეიძლება ავადმყოფი, უმწეო ხალხის ასე წამება!

მგლის ფერი ადევთ. შემოსულები არიან, რომ დალენონ ყველაფერი, გადაუარონ ყველა ჩვენგანს, გადაგვთელონ.

შეცბა მელაძე:

— ვიცი, თქვენ არ დაინყებდით, გვითხარით, ვინ დაინყო.

— რას ამბობთ, ვინ გეტყვით, ვინ იყო დამწყები?!

იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. მიიხურეს კარი. ჩვენ შემდეგ ორი საკანი გამოტოვეს და მესამეში, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, დაულენიათ ყველაფერი, არაადამიანურად უცემიათ პატიმრები.

პირდაპირ გეტყვით, ჩვენ, პოლიტპატიმრებს, მაღალი სიტყვა გვეკუთვნოდა.

— ციხე ქურდების არ იყო?

— არა, არა! ყველას ვეუბნებოდი, რომ ნარამოუდგანელია, არ შეიძლება მართლმადიდებლურ ძველანაში არსებობდეს ქურდის ავტორიტეტი. გამორიცხულია! ძალიან ბევრს ვუსხნიდი — რატომ არ შეიძლებაოდა.

პირდაპირ ვამხელდი ქურდავს, რომლებიც სააკაშვილ-მერაბიშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ.

— ქურდები ემსახურებოდნენ?!

— დიახ, ქურდები და დიახ, არჩევნების დროს. გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ მათ ვუთხარი პირადად, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე.

სამადაშვილს რომ ირჩევდნენ ნაკალაღვიდან გაქორითარად, მომხრეების მისაზიდად „ნამალი“ მიჰქონდათ — ნარკოტიკები და შტაბში ურიგებდნენ ქურდავს და ნარკომანავს. იყენებდნენ ამ ხალხს და შემდეგ იჭირდნენ.

ჩვენ გვეთქმოდა იქ სიტყვა და ვამბობდით!

— ახლა როგორ ხართ ოჯახში?

— ოთხი თვე სოფელში გავატარე, თიანეთის რაიონში, ზარბეზთან ახლოს პატარა სოფელ ხოფცაში.

— ამოისუნთქა ოჯახმა?

— კი, მაგრამ არც ჩემი საქმე, არც ჩემი მეუღლის, რომელიც

შარშან სკოლიდან დაითხოვეს, არ დამთავრებულა, ჯერ ისევ უზენაეს სასამართლოშია.

ყველა ეტაპზე არღვევდა სასამართლო ჩემს უფლებებს. 70 წლის რომ გავხდი, ვადაზე ადრე გათავისუფლება მეკუთვნოდა. ჩემმა განცხადებამ ორი ეტაპი გაიარა, ბოლოს მაინც უარი მითხრეს — წვრილი ბავშვები უნდა ჰყავდეს და გავათავისუფლებდითო. ზაქრო იყო ჩემი ადვოკატი და უთხრა:

— თქვე კაი ხალხო, მეც კი არა მყავს წვრილი ბავშვები, დაიზარდნენ, და მამაჩემს საიდან ეყოლებათ?! (იციინის).

წელავენ, ჩემს საქმეს, რათა სტრასბურგში, რაც შეიძლება გვიან განიხილონ: 2009 წლიდან დევს ჩვენი სარჩელი სტრასბურგში.

— არც შეგინყალეს?

— შაბათი იყო თუ კვირა, ვერ გეტყვი. მიძახიან — ტელეფონზე გთხოვენო. გრძელი დერეფანი ფიქრში გავიარე — რატომ უნდა მთხოვდნენ ტელეფონთან?

— დაელაპარაკეთ თქვენს შვილსო, — მითხრეს.

ზაქრო მეუბნება:

— ჩემს კოლეგებთან ვარ (მივხვდი, რომ პროკურატურაში იყო). შენგან ითხოვენ ორად-ორი სიტყვის დაწერას — „გთხოვთ, გამათავისუფლოთ“ და გარეთ გამოხვალ.

— ვის სახელზე უნდა დაწერო?

— სააკაშვილის.

— მე მაგის შესაწყალაბელი არაფერი მჭირს, — ქალიან უხეზად ვუპასუხე. არასოდეს არ ვცნობდი სააკაშვილს არც პრეზიდენტად, არც კაცად, იმდენად ამაზრზინია მისი საქციელი ხალხისა და ძველის მიმართ.

ორშაბათს ვიგებ, რომ პრეზიდენტმა გირგვლიანის მკვლელები შეინყალა.

ესე იგი, ჩემი შეწყალებით უნდოდა „სახის შენარჩუნება“: გაათავისუფლა სისხლის სამართლის დამნაშავენი, მაგრამ, აგერ, ოპოზიციონერის მამაც შეინყალა. ოი, რა სამართლიანი პრეზიდენტი მართავს საქართველოს!

ბატონმა ომარმა ამიხსნა, რომ არ გახდებოდა სააკაშვილს პიართამაშში ჩართული თოჯინა: პატრიარქმა ორჯერ სთხოვა სააკაშვილს მისი გათავისუფლება, ორჯერვე უარი მიიღო.

ამჯერად კი სანდრო გირგვლიანის გათავისუფლებულ მკვლევებთან ერთად მასაც მიიყვანდნენ საპატრიარქოში, როგორც გულმონყალე პრეზიდენტის მადლცხებულს.

ასეთ უხერხულ მდგომარეობაში პატრიარქს ვერ ჩავაყენებდით, მითხრა საუბრის ბოლოს ომარ ქუცნაშვილმა — ზაქარია ქუცნაშვილის მამამ.

P.S. „იყო უფლის სიტყვა ზაქარიას მიმართ ნათქვამი:

ასე ამოხსნა ცაბაოთ უფალი: ქმენით ჭეშმარიტი სამართალი, სიკეთით და მონყალებით მოექეცით ერთმანეთს;

ქვრივს, ობოლს, ხიზანს, ღარიბ-ღატაკს ნუ დაჩაგრავთ; ბოროტს ნუ იზრახავთ თქვენს გულში ერთმანეთისთვის“ (ზაქ. 8-10).

2012 წლის 5 დეკემბერი

თავი VI

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი!

„როგორ მართო დარჩა ქალაქი,
ოდესღაც ხალხმრავალი ზის ქვრივი ქალივით...“
გოდება იერემიასი, 1,1

«როგორ მართო დარჩა ქალაქი»

1993-ის 27 სექტემბერი



სოხუმი, წითელი ხიდი

პოლკოვნიკი გურამ ჯანიაშვილი აფხაზეთის ომის დროს „ავღანელთა ბატალიონს“ მეთაურობდა. აფხაზეთის სამხედრო კამპანია მისი პირველი ომი არ ყოფილა: იგი იბრძოდა მაშინაც, როცა ჩვენ აქ, საქართველოში, მშვიდობის ტალღებზე ვნებივრობდით და გვეგონა, რომ ყოველთვის ასე იქნებოდა.

რამდენიმე დღის წინათ ვესტუმრე და ვნახე. ეს მთასავით კაცი, გადატანილი ტრაგედიებით ცოტა მოტეხილი, მაგრამ ძალით სავსე და გამოცდილებით მდიდარი პიროვნება თავის ციცქნა ბაღში ყვავილებს რწყავდა.

თუ დღეს რამეში პირველობს საქართველო, ეს გამოცდილი კადრების უაზროდ ფლანგვის სფეროა!

რატომ, იცით? იმიტომ, რომ, როცა ჯანიაშვილისნაირ ადამიანებს სასიკვდილოდ თავი ჰქონდათ გადადებულნი და საქართველოს გადასარჩენად იბრძოდნენ, ისინი, ვინც დღეს მათ ბედს განაგებენ, მაშინ სიყმანვილეშიც არ იყვნენ შებიჯებული და გოგლიმოგლისა და „ფურხულიას“ (რძეში ჩაყრილი მჭადის ნატეხების) ქამაზე უმეტესი საზრუნავი არ ჰქონდათ.

ეგებ, არც არავის უთქვამს, რას წარმოადგენდა წინა თაობა.

ეს პუბლიკაცია „ძველი ჩანაწერების“ ციკლიდანაა და ამ ხარვეზის ერთგვარად შესავსებად არის გამიზნული.

„და კიდევ: დაგვევსო თვალეები შემწეობის ამო მოლოდინში; სათვალთვალო კოშკიდან ვუმზერდით ხალხს, რომელსაც ჩვენი შველა არ შეეძლო“. (გოდება იერემიასი, 4,17)

1993 წლის 2 ივლისი. აფხაზებმა და კონფედერატებმა ტამიშთან დესანტი გადმოსხეს, გადაკეტეს სოხუმი-ოჩამჩირის გზა. სოხუმი განუწყვეტლივ იბომბება.

თბილისში მობილიზებულია ყველა ძალა.

პოლკოვნიკმა გურამ ჯანიაშვილმა, „ავღანელთა ბატალიონის“ ყოფილმა მეთაურმა, თბილისის სამხედრო კომენდანტად რომ იყო მაშინ გადმოყვანილი, კვლავ შეკრიბა თავისი მებრძოლები.

ყოველთვის ფრონტის წინა ხაზზე ვხვდებოდი.

2 ივლისს აეროპორტში ვნახე. მითხრა, რომ დესანტის გადმოსხმა თვითმკვლელობაა. ამ ოპერაციის ალოგიკურობაში თვალის ასახვევ მანევრს ხედავდა, ასკვნიდა, სხვაგან დაგვარტყამენო ძირითადი ძალებით, მაგრამ ის დესანტი გასანადგურებელია და მოვსპობთო აუცილებლად.

...სახელმწიფოს მეთაურის დაცვის უფროსმა თვითმფრინავის კარი მაინცდამაინც მე მომიკეტა ცხვირწინ.

ჯანიაშვილი „ავღანელებით“ სოხუმს გაფრინდა.

მე — ვერა.

გურამ ჯანიაშვილი ის მეთაურია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ჯარისკაცის სიცოცხლეს უფროთხილდება, ადრე მის მებრძოლთაგან ყველა სალსალამათი უბრუნდებოდა თბილისსა და საკუთარ ოჯახს.

— მაშინ?



**პოლკოვნიკი გურამ ჯანიაშვილი
(მორა რიგში მარჯვნიდან პირველი) თავის მეზობლებთან
ერთად ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაზარში**

— ჩვენდა საუბედუროდ, ორი თანამებრძოლი დაგვეკარგა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით... კონტუზია რომ მივიღე, მას შემდეგ დაგვაგვალეს სოფელ ახალშენთან გზების გასაყართან ალყაში მოხვედრილი ერთ-ერთი ბატალიონის 46 მებრძოლის გამოყვანა. 18 საათი მთაში, კლდე-ღრეში ვიარეთ. ასეთი გადასვლისთვის მოუმზადებელი ვიყავით. მეც საკმაოდ მძიმედ ვგრძნობდი თავს, მაგრამ იყო სარდლობის დავალება და უნდა გადაგვეჩინა 46 კაცის სიცოცხლე. გავრისკეთ, ნავედით...

35 კილომეტრი ერთი მიმართულებით რომ გავიარეთ, ერთ ჩვენს მებრძოლს გულმა უმტყუნა, გზა ველარ გააგრძელა. დასახმარებლად და მოსავლელად მასთან დარჩა ერთი კაცი (თვითონ გამოთქვა სურვილი), მას შემდეგ არც ერთი აღარ გვინახავს.

ეს ოპერაცია ჯანიაშვილის მებრძოლებმა ბრწყინვალეთ ჩაატარეს, ალყიდან დაიხსნეს ყველა. ამ დროს იყო, რომ კამანი ჩაბარდა და ახლა უკვე თვით ჯანიაშვილის ხალხი მოექცა ალ-

ყაში. გაარღვიეს, გამოვიდნენ.

სოფელ შრომას რომ მიუახლოვდნენ, ჩვენებს უსვრიათ — მტერი ეგონათ, კავშირი არ ჰქონდათ. თითო-თითოდ ამოკრიფეს აკუმულატორები რაციებიდან, ერთში ჩადეს და მხოლოდ იმის გადაცემა მოასწრეს — თქვენები ვართ, ნუ გვესვრითო, — და განყდა კავშირი. გაიგეს, შეწყვიტეს, გადარჩნენ.

არც იმ ბრძოლებში დარღვეულა ბატალიონის ტრადიცია — უდანაკარგოდ იომეს, პრაქტიკულად უდანაკარგოდ. ყველა ბრძოლას აფხაზეთში (და არა მარტო აქ) გურამ ჯანიაშვილი გამარჯვებით ამთავრებდა. გარდა ერთისა, თუმცა ეს ერთიც არ წაუგია, რადგან ზუსტად შეასრულა ის დავალება, რომელიც სარდლობამ მისცა — ალყა გაარღვია, გამოვიდა, ხალხი გამოიყვანა.

მაშინ დაეცა სოხუმი. ეს იყო უმძიმესი დღე მის ცხოვრებაში.

ახლა იმ მთავარ თემაზე, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ყველა თავის ზღაპარს ყვება. განსაკუთრებით გულსატკენი ის არის, რომ ხშირად ყველაზე ხმამაღლა ისინი ლაპარაკობენ, ვისაც წარმოდგენაც არ აქვს იმ ომზე, ერთი დღეც არ ყოფილა იქ.

— მე იმის მოწმე ვარ, აღმოდებული სოხუმისკენ როგორ იწვედა სახელმწიფოს მეთაური, წინ როგორ დაუდგა მის მანქანას ჩემი თანამებრძოლი გიორგი ქავთარაძე, თეთრწვერიანი მოხუცი და უთხრა, — ჯერ მე გადამიარეო.

ეს უნდა ენახა კაცს და მერე ელაპარაკა...

დაცემული სოხუმიდან ბოლოს ჩვენ გამოვედით და ჩვენზე უკეთ, ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, არავინ იცის, რა და როგორ მოხდა.

* * *

— მაგრამ დილიდან დავინწყოთ, — **განაგრძობს გურამ ჯანიაშვილი**, — 27 სექტემბრის დილიდან.

სიტუაცია ისეთია (შემდეგ ამაში სულ უფრო დავრწმუნდებით), რომ წითელი ხიდიდან მოყოლებული, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის ჩათვლით, სახლებში აფხაზი მეთვალთვალეები სხედან, მზვერავები, რომლებიც ჩვენს ყველა გადაადგილებას აკონტროლებენ, თუმცა პრაქტიკულ მოქმედებაზე ჯერ არ გადადიან. მტერმა ზუსტად იცოდა „ავღანელთა ბატალიონის“, რომელიც მინისტრთა საბჭოს შენობას იცავდა,

მებრძოლთა რაოდენობაც და შეიარაღებაც, სახელმწიფოს მეთაურის მოძრაობის მარშრუტებიც და ასე შემდეგ. ჩასაფრებულები იყვნენ და ელოდნენ ძირითადი ძალის მოახლოებას ფართომასშტაბიანი შეტევის დასაწყებად.

ჩანს, ჩვენს შესაბამის სამსახურებსაც ჰქონდათ საჭირო ინფორმაცია და გარკვეულ კონტრზომებსაც განახორციელებდნენ, მათ შორის, სახელმწიფოს მეთაურის დაცვისთვისაც. მგონი, სწორედ ამიტომ 27-ში დილით სახელმწიფოს მეთაურს ავტომანქანა შეუტყვალეს.

მინისტრთა საბჭოს შენობაში არიან ჟიული შარტავას დაცვის თანამშრომლები, მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაკები, ჩვენთან ერთად სულ — 65 კაცამდე.

მაგრამ ამათ გარდა იმდენი მიმსვლელ-მომსვლელია, რომ ძნელია, გაარკვიო, ვინ არის მტერი, ვინ — მოყვარე. შენობაში ყველა ტელეფონი მუშაობდა და ყველა მსურველს დაუბრკოლებლად შეეძლო ქალაქის ნებისმიერ უბანში დარეკვა, იქაც, სადაც უკვე მტრის პოზიციები იყო, და სასურველი ინფორმაციის გადაცემა. ფრონტის ხაზი კი ისე მოგვიახლოვდა, რომ უკვე ფანჯრებიდან ვესროდით მონინალმდეგეს.

27-ში სახელმწიფოს მეთაური მოვიდა მინისტრთა საბჭოში, თერთმეტი-თორმეტის ნახევარი იქნებოდა.

ჩვენს მებრძოლებზე ძალიან უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის საყოველთაო პანიკა, კალაპოტიდან აგდებდა, ფსიქიკას უთრგუნავდა. ჯარშიც პერმანენტულად იფეთქებდა ხოლმე. თუმცა რა ჯარიც იყო, ყველას კარგად მოეხსენება — ენთუზიაზმითა და სამშობლოს სიყვარულით ამხედრებული მოხალისეები. ომში მარტო ეს თვისებები საკმარისი არასოდეს ყოფილა.

მინისტრთა კაბინეტის შენობა გამაგრებული გვაქვს. ავღანელთა ბატალიონი საკმაოდ დაღლილია. წინა დღით მძიმე ბრძოლა გვქონდა, სატელევიზიო ანძასთან აფხაზებსა და კაზაკებს შევუტით...

ყველა საგუშაგო პირადად მე დავაყენე. ვდგავართ და ვიდგებით მანამ, სანამ საჭირო იქნება.

მტერი ისე ახლოსაა, რომ ვხედავთ — ჩვენ წინ გადარბიან. ვიცით, რომ ქალაქში არიან ჩვენი ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი, კონტრშეტევით გაყარონ აფხაზები, მაგრამ არ მოქმე-

დებენ. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა.

სახელმწიფოს მეთაური დაახლოებით ერთი საათი იყო ჩვენთან.

მისი მითითება ყიული შარტავასთან და სხვებთან საუბრის დროს (მე დროდადრო შევდიოდი იმ ოთახში) დაახლოებით ასეთი იყო: თუ სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, თუ ჩვენს მეტი არავინ დარჩა, უნდა დავიხიოთ. არა ისე, ზოგიერთი რამ გარბის, არამედ ორგანიზებულად და უპანიკოდ. უკანდახევა სულაც არ ნიშნავ ომის წაგებას.

თათბირის დამთავრებისთანავე სახელმწიფოს მეთაური პოზიციებზე წავიდა.

დაახლოებით ორის ნახევარი იქნებოდა, როცა მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მონინაალმდეგე ძალიან ახლოს მოვიდა. ფაქტობრივად, უკვე ალყაში ვართ. ასე თუ ისე ჩვენ გარშემო შეკრული რკალის სუსტი სეგმენტი მინისტრთა საბჭოს შენობის მარჯვენა მხარეს არის (თუ ფასადიდან შეხედავთ).

ყიული შარტავა დაუკავშირდა შტაბს, რომელიც სინოპში იყო განლაგებული და დამხმარე ძალის გამოგზავნა სთხოვა. უპასუხეს, რომ ორი ტანკი მეზობლობით გამოგზავნილია. სიტუაცია ძალიან მძიმეა და შეეცადეთ, ამ ძალის დახმარებით გამოხვიდეთო.

მართლაც, როგორც შემდეგ გავიგეთ, თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი თვითონ ჩამჯდარა ტანკში, მასთან ერთად — ირაკლი ბათიაშვილი, სადაზვერვო საინფორმაციო სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი (ამ ოპერაციის ჩატარება მათ დაევალა) და წამოსულან ჩვენს დასახმარებლად, მაგრამ წითელ ხიდთან იძულებული გახდნენ, გაჩერებულიყვნენ.

ამ დროს ფუნიკულიორზე უკვე გამაგრდა მტრის არტილერია, წითელი ხიდის მიდამოები ხელის გულზე უდევთ. იქ შემოსული ადამიანიც და ტექნიკაც სრულიად დაუცველია. ხიდზე გასვლა ნაღდი სიკვდილია. მაინც სცადეს, მაგრამ მასირებული ცეცხლით გზა გადაუღობეს. ჩვენმა ტანკმა ესროლა მტრის საცეცხლე პოზიციას. ვერაფერი დააკლო. ამაოდ განიზრავდნენ თავს, ჩვენ მაინც ვერ დაგვეხმარებოდნენ.

უკვე ალყაში ვართ და ეს რკალი თანდათან ვინროვდება. პირველი სართულის მარცხენა მხარეს (ფასადიდან) შემოსულები არიან აფხაზები და ყვირიან: „ავლანელებო, გამოდით!“ და გვაგინებენ.



ქიული შარტავა

სიხოსხლეა ერთი ნაბიჯიღა იყო

„ზვერაფდნენ ჩვენს ნაბიჯებს, ჩვენს ქუჩებში რომ არ გვევლო, მოაღწია ჩვენმა ბოლომ, გასრულდა ჩვენი დღეები, დადგა ჩვენი ბოლო“.

გოღეზა იერემიასი, 7, 18

გურამ ჯანიაშვილი ყვება:

— დარეკეს შტაბიდან და გვიბრძანეს, ყველანი გამოვსულიყავით ალყიდან. გვითხრეს, რომ ჩვენს დასახმარებლად წამოსულია დამხმარე ძალა, მაგრამ არა იმიტომ, რომ შევინარჩუნოთ მინისტრთა საბჭოს შენობა, არამედ აქედან გამოსვლაში დაგვეხმარონ.

ისეთი ძალა გვითევდა, მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. სოხუმში მარტო ჩვენ დავრჩით.

ბატონმა ჟიული შარტავამ, ალბათ, გასამხნევებლად გვითხრა: — ბიჭებო, ნუ გეშინიათ, დამხმარე ძალა მოვა და გამაგრდითო... დარწმუნებული ვიყავი, თვითონ კარგად ესმოდა, რომ დარჩენა უაზრობა იყო, ამიტომაც ვუთხარი, რომ ჩვენი თავგანწირვა არა მარტო თვითმკვლელობაა, არამედ იმათი სიცოცხლეს ჩვენს კისერზე იქნებოდა, ვინც ჩვენს დასახმარებლად ბრძოლით შეცდებოდა შემოღწევას. ვურჩიე, სასწრაფოდ გავსულიყავით შენობიდან, სანამ მოწინააღმდეგეს საბოლოოდ არ გაუმაგრებია ალყა.

ჩვენი საუბარი მესამე სართულზე შედგა.

ამ დროს მტერი ისე ახლოსაა მომდგარი, რომ მათი ერთი მებრძოლი შენობის წინ, მოედანზე, ნაძეგლარის კვარცხლბეკთან ამოსულა და მეორეს გადასძახის: 36-я школа наша! პირველ სართულზეც ისინი არიან. ბიჭებმა „Ф-1“, „ლიმონკებს“ რომ ეძახიან, ჩაუყარეს, ისინიც და კვარცხლბეკთან რომ იყო, ისიც მოსპეს.

პირდაპირი დამიზნებით გვესვრის არტილერია. ცეცხლი წაეკიდა მეხუთე სართულს, იწვის მერვეც.

ასეთი იყო რეალობა და ამიტომ დამეთანხმა ბატონი ჟიული, რომ ბრძოლით გაგვერღვია ალყა და გავსულიყავით.

მოვხსენი საგუშაგოები და სასწრაფოდ დავეშვით პირველი სართულისკენ, ფასადიდან მარჯვენა მხარეს.

მანამდე, დერეფანში რომ შევიკრიბეთ ყველა, ვინც მინისტრთა საბჭოში ვიყავით, დაცდა ვთხოვე და ჟიული შარტავას სამუშაო ოთახში შევბრუნდი, რომ დამეთვალეირებინა, რაიმე დოკუმენტი, რუკა ხომ არ გვრჩებოდა ამ სიჩქარეში, მტერს ხელთ რომ არ ჩავარდნოდა. ვერაფერი ვიპოვე — ჟიული შარტავას თვითონ გაეკეთებინა ეს საქმე.

გამოვედი დერეფანში და ვხედავ, ყველა თავ-თავიანთ ოთახებში ბრუნდება.

— სად მიდიხართ-მეთქი, — შევუყვირე. ვილაცამ დაიძახა, რომ დამხმარე ძალა შემოსულია და ადგილებზე დაბრუნდითო, — მიპასუხეს. ამოვიღე იარაღი და მოვითხოვე, ეჩვენებინათ ის პროვოკატორი, რომელმაც ჩემი ბრძანება შეცვალა. ეს იყო ომის წესების დარღვევა და პროვოკატორი ომის წესებითვე უნდა დასჯილიყო. სამწუხაროდ, ვერავის გაეგო, ვინ დაიძახა. ამით კვლავ იმის თქმა მინდა, რომ მტრის შემოგზავნილი ხალ-

ბი მინისტრთა საბჭოშიც იყო.

ერთი სიტყვით, დავეშვით პირველ სართულზე. მთავარი სა-
დარბაზოთი გამოსვლა შეუძლებელია. დავინახე, რომ დაგვი-
ყენეს სამი ტყვიამფრქვევი და გასვლისთანავე მიჯრით დაგვ-
ცხრილავენ. მარჯვენა მხარეს უნდა გვეცადა გარღვევა.

მინისტრთა საბჭოს შენობიდან სამი მიმართულებით გადის
გზა: პირველი ზოლი ზღვისკენ ჩადის, მარჯვენა — სადგურის-
კენ, მარცხენა წითელი ხიდისკენ მიდის. პირველი ორი გზა
მკვიდრად ჩაგვიკეტეს, მესამე მიმართულებით შედარებით ცო-
ტანი იყვნენ. ძლიერი საცეცხლე წერტილი არ შემიმჩნევია.
ბრძოლით გასვლა შეიძლება, აბა, ომი რის ომია?!

პირველად მე უნდა გავსულიყავი, ჩემი ტაბელის იარაღი —
„მაკაროვი“ ფეხზე შევაყენე — თუ დამჭრიდნენ, თავი უნდა მო-
მეკლა, რათა მტერს ცოცხლად არ ჩავბარებოდი და იმიტომაც,
რომ დაჭრილი მეთაურის გაყვანას ვინმე არ შეეწირა კიდევ...

კიბის ბოლოს, მარჯვნივ, დიდი შუშის კარი მავთულით იყო
ჩარაზული. ავხსენი. ეზოში გავიხედე. არავინაა.

მომეყვით-მეთქი, გავეცი ბრძანება და ყველა ჩამოვიყვანე,
აბსოლუტურად ყველა.

ვხედავ, მეზობელ შენობაში (ჯანდაცვის სამინისტროა) ილე-
ბა კარი და ვილაც კაცი გვანიშნებს — აქეთ მოდით, აქ არავინ
არისო. გავიქეცი მისკენ. შევედი. ჩვენი ხალხი მომყვა. პირველ
სართულზე დიდი დერეფანია, ყველამ აქ მოვიყარეთ თავი. ბა-
ტონი ჟიულაც აქაა.

დერეფნის ბოლოს დიდი ფანჯარაა რკინის გისოსებით, მაგ-
რამ გისოსები შემოგლეჯილია, ყუმბარაა მოხვედრილი. გავი-
ფიქრე, რომ წინა შენობაში არიან ჩამსხდარი აფხაზები და ელო-
დებიან ჩვენს აქედან გასვლას, რათა პირდაპირი დამიზნებით
მოგვსპონ. თუ შენობაში დავრჩებოდით, გვესროდნენ ყუმბა-
რას და ჩვენი საქმე წასული იყო, ამიტომ ბრძანება გავეცი, შე-
ნობა სასწრაფოდ ყველას დაეტოვებინა.

აღმოვჩნდი პლაცის წინ. ცოტა ქვევით სკვერია. მივუტრიალ-
დი ჩვენს ბიჭებს (ბატონ ჟიულის დაცვის მეზობლებს თავიანთი
ფუნქცია ჰქონდათ), ვუთხარი, რომ ჩვენ წინ მტრის საცეცხლე
წერტილებია, რომლებიც უნდა გავანადგუროთ, თორემ ამ ხალ-
ხის გაყვანა სასაკლავოზე შეეყრას ნიშნავდა. ვუთხარი, რომ პირ-
ველი მე ნავიდოდი და გამომყვებოდა ის ოთხი კაცი, რომლებიც

ყოველთვის ჩემთან ერთად იყვნენ — ვაჟა აფციაური, გივი ახა-ვიტაშვილი, ლევან ოდიშარია და გოგა რეხვიაშვილი.

თუ ამ პლაცს არ გადავკვეთდი და გაზონებამდე ვერ მივალ-ნევდი, ისე საცეცხლე ნურტილების მოსპობა შეუძლებელი იქ-ნებოდა. თანაც, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მემოქმედა.

გავიქეცი.

მარჯვენა მხრიდან რალაც მხვდება, მივრბივარ და თვალის კიდით ვხედავ, რომ მომდევს ტყვიამფრქვევის ჯერი: ტყვიე-ბით ასხლეტილი ასფალტის ნამსხვრევები მხვდება. გამეცინა კიდეც გუნებაში: ნახევარი სანტიმეტრით რომ აენია სამიზნე, შუაზე გადამჭრიდა. სიკვდილს ჩავხედე თვლებში, — ნაცნო-ბი იყო. პირველად ხომ არ ვხვდებოდით ერთმანეთს.

ის ტყვიამფრქვევი ადრე ვერ შევამჩნიეთ, რადგან შენობის გასწვრივ ერთ-ერთ სადარბაზოში იყო ჩადგმული.

გადავირბინე, ჩავჯექი, ოთხეული მომყვა. ჩემზე გადავატა-რე და ცეცხლი გავხსენი, აუცილებლად უნდა მომესპო ეს ახა-ლი, ფლანგზე ჩასაფრებული ტყვიამფრქვევი.

ბიჭებმა ორი ტყვიამფრქვევი ჩააჩუმეს სამუდამოდ.

კიდეც სამი მეტრძოლი შემოგვემატა — მურთაზ ხუციშვილი, დათო კახიაშვილი, თემურ ზაქარაძე. მ კაცი უკვე ძალაა. ყვე-ლამ გახსნა მასირებული ცეცხლი — მესამე ტყვიამფრქვევიც მოსპეს.

მაგრამ ეს არ ჩერდება — ფლანგზე, სადარბაზოშია შემალუ-ლი, იქიდან ისვრის, ბოლოს კიდეც რომ გამიხსნა ცეცხლი, ჩა-ვაჩუმე ჩემი ავტომატი. მცირე ყოვნი. ეტყობა, იფიქრა, მოვკა-ლიო და ტყვიამფრქვევი გარეთ გამოდგა. ეს იყო, რასაც ველო-დი: ვესროლე და, უკან რომ გადავარდა, დავინახე შიშველი მუხ-ლები — ქალი იყო. ჰყავდათ მათ „ბოვეიკი“ ქალები...

მტერი კიდეც სად არის ჩასაფრებული, არ ვიცი. სროლით ნავინიეთ წინ, ბავშვთა მეორე საავადმყოფომდე. არავინ იყო. ჩვენი შეტევის შემდეგ ეს მიმართულება, რომელიც ისედაც სუსტი იყო, ხალხის გასაყვანად გაიხსნა, პრაქტიკულად უხი-ფათო დერეფანი შეიქმნა.

დავიკავეთ პოზიცია, დაცარიელებული მჭიდების შევსება დაავინყეთ და ველოდებით, როდის გამოვლენ დანარჩენები.

შემდეგ გავიგეთ, რომ ამ მცირე პაუზის დროს საკმარისი გახ-და ყუმბარმტყორცნის ერთადერთი გასროლა (ფაქტობრივად



27 საქართვეარი, სოსუშის დაცემის დღეს

არავინ დაზიანებულა), რომ ვილაცას დაეძახა — ეგენი ჩახოცეს, ვერ გავალთო! სამწუხაროდ, დაიჯერეს. დაცვას განუცხადებია (ბატონი ჟიულის აზრიც ასეთი ყოფილა), რომ, თუ ვერ გავალთ, მაშინ სჯობს, შენობას შევაფაროთო თავი. და ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ მიერ გაკეთებული დერეფნით წამოსულიყვნენ, შეტრიალდნენ და მინისტრთა საბჭოში დაბრუნდნენ. ეს უკვე თვითმკვლელობა იყო.

შენობიდან მათი გამოყვანა, შეიძლება ითქვას, გადარჩენის 70 პროცენტი იყო.

ალბათ, ბევრის მანიშნებელია, რომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ — აკაკი გასვიანმა ეს დერეფანი აუჩქარებელი ნაბიჯით გამოიარა და თმის ერთი ღერიც არ ჩამოვარდნია, არავის უსვრია, არც თვითონ დასჭირვებია სროლა. 5 წუთში იმ 200 მეტრის გავლას ყველა შეიძლება და და აბსოლუტურად ყველა გადარჩებოდა...

გავავსეთ მჭიდვები და გადავედით მეორე ქუჩაზე. ვხედავთ, რომ ზემოთ ვილაცები გადმორბიან. დავუქნიე ხელი, იმათაც მანიშნეს, — მოვდივართო. მართალი გითხრათ, ზუსტად ვერ გა-

ვარკვიე, ჩვენები იყვნენ თუ არა, მაგრამ დავინახე, რომ წითელი ხიდისკენ მიდიოდნენ და სავარაუდოდ, ჩვენები იქნებოდნენ.

გავალწიეთ და გავედით წითელ ხიდამდე. ჯგუფად გადასვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ამიტომ ჩვენები მოფარებულ ადგილზე დავმალე და თითო-თითოდ დავინწყეთ გადარბენა — თითო კაცს ყუმბარებს არ დაგვიშენდნენ, ტყვიას კი იქ არ ისროდნენ. გავალწიეთ მეორე მხარეს.

სანამ საფარში ვიყავით, ვხედავდით, როგორ მოადგა ხიდს ჩვენს დასახმარებლად გამოგზავნილი ტანკი, როგორ ებრძოდა მტერს, მაგრამ, როგორც გითხარით, გადმოსვლის მცდელობა თვითმკვლელობა იქნებოდა: ჩვენ რომ მინისტრთა საბჭოსთან რკალი გავარღვიეთ და გამოვედით, მტერმა, ეტყობა, განსაზღვრა, რომ წითელი ხიდისკენ გავიჭრებოდით და სწორედ აქ მოახდინა თავისი ცეცხლის კონცენტრაცია. ალყა სასწრაფოდ გაამაგრეს, თან იმდენი ძალა გადაისროლეს, რომ ჩვენი უკან დაბრუნება გამოირიცხა.

ხაზს ვუსვამ, უკან დაბრუნება გამოირიცხა. სათითაოდ ჩიტებივით დაგვბოცავდნენ. მხოლოდ წინ უნდა წავსულიყავით და ისიც სასწრაფოდ, სანამ წითელ ხიდს მტრის ცოცხალი ძალა მოადგებოდა.

ჩემი გადანწყვეტილება სწორი გამოდგა. რისკი ძალიან დიდი იყო, მაგრამ სხვა გზა არ არსებობდა და, საბოლოოდ, გაგვიმართლა.

— **სულ რამდენი კაცი გამოხვედით?**

— 13. ზაზა მუშკუდიანი, გიორგი ოსიტაშვილი და შოთა ქობელაშვილი ზღვის ნაპირით გამოვიდნენ და წითელი ხიდის იქით შემოგვიერთდნენ. ავთო ბერიშვილი და ზურაბ ყვინიშვილი კელასურში, ჰოსპიტალში შეგვხვდნენ.

— **აკაკი გასვიანი ამ 13-ში ითვლება?**

— არა. ჩემი მებრძოლეები მყავს მხედველობაში.

ორნი, შემდეგ რომ შემოგვემატნენ, მინისტრთა საბჭოს შენობაში შებრუნებულან სხვებთან ერთად, ისინი ყვებიან, თუ როგორ მოუქცევიათ აფხაზებს ალყაში, როგორ დაუდვიათ იარაღი. აფხაზები ასულან მესამე სართულზე და ჩვენების ქვემოთ ჩამოსვლა მოუთხოვიათ; როგორ უთქვამს ბატონ ჟიულის, რომ თვითონ ჩავიდოდა მოსალაპარაკებლად, — როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, ხელს არავინ მახლებსო, მაგ-

რამ ჩასვლა იყო და დარევიან ამ უიარალო ხალხს, ურტყეს თურმე გამეტებით, ვინც ვერ ადგა, ესროლეს, დანარჩენები მანქანაში შეაგდეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ქართველების წამებაში განსაკუთრებით აქტიურობდა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი. შედარებით ნაკლებ აქტიურები იყვნენ აფხაზები, ჩეჩნები კი საერთოდ არ მონაწილეობდნენ დახვრეტებში.

ერთი ამბავიც მინდა, გითხრათ. ზღვის მხრიდან ჩვენი მეზობლები რომ გამოდიოდნენ, ერთი ფეხში დაიჭრა. იქვე მოსახლე რუსმა ქალმა, რომელსაც ქმარი აფხაზი ჰყავდა, შეიფარა. სომეხი და კონფედერატი ბოევიკები სახლში რომ შეუცვივდნენ, ჩემი შვილიაო, განუცხადა. რუსს ჰგავს, ბათუმელია. მერე ბათუმში თვითონ იმ ქალმა ჩაიყვანა.

აი, ასე იყო.

შემდეგ მთელი ძალები სინოპისკენ გადმოისროლა მონინა-ალმდეგემ და დაბომბვა დაიწყო. შტაბმა კელასურში გადაინაცვლა. მასირებული ცეცხლი კელასურზე გადმოიტანეს: ხომ გითხარით, ყოველი ჩვენ გადანაცვლება გაკონტროლებული ჰქონდათ.

28 სექტემბერი თენდებოდა. ოთხის ნახევრისთვის ზღვის ნაპირზე ოჩამჩირედან მოსულ ბარჟას უნდა დავხვედროდით, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური და სხვები უნდა გაეყვანა, მაგრამ იქ ისეთი სროლა ატყდა, კინალამ ყველა შეინირა.

სამწუხაროდ, სანაპირო დაცვისა და დესანტის მოქმედება შეთანხმებული არ ყოფილა. ერთმანეთს სროლა აუტეხეს. ცეცხლმა ნაპირზე გადმოინაცვლა, სადაც ჩვენ ვიდექით, და ჯვარედინ ცეცხლში მოვყევით.

ბარჟა ნაპირს ვერ მოადგა.

ამის შემდეგ გვრჩებოდა ერთადერთი გზა — აეროპორტი.

გამიგეთ კარგად, არაფერი მაიძულებს, მიკერძოებული ვიყო, მხოლოდ ფაქტებს ვყვები, რაც ვნახე, რისი მოწმეც ვიყავი.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე იქიდან წამოსვლის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. ისე ვატყობდი, რომ სიცოცხლე აღარ უნდოდა, სიკვდილზე მიდიოდა. პირდაპირ ვამბობ ამას. შეიძლება ითქვას, რომ ძალით მივიყვანეთ აეროპორტში.

დილის ხუთის ათი წუთი იყო, მიწიდან რომ აიწია თვითმფრინავი.

მზიანი ღილა იღბა...

„რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე,
ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას“.

ეკლესიასტი, 8, 11

მურად ცხოვრებაძე სოხუმის ტრაგედიის დღეებში დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის დაცვის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად; რალა თქმა უნდა, გვერდიდან არ სცილდებოდა ედუარდ შვეარდნაძეს.

27 სექტემბერს ასე იხსენებს:

— შესანიშნავი მზიანი დღეა იდგა და იყო ავის მომასწავებელი, მოულოდნელად ჩამოვარდნილი სიჩუმე.

დილით სახელმწიფოს მეთაურს ნავეყვით შუქურასთან და რკინიგზის სადგურთან განლაგებული ჩვენი პოზიციების დასათვალიერებლად. ბატონი ედუარდი, როგორც ყოველთვის, შეხვდა მეომრებს, მათ მეთაურებს, გაამხნევა, დააიმედა, რომ, სადაც არის, მძიმე ტექნიკა გადმოვა კოდორს და მტერს კუდით ქვას ვასროლინებთო. ძალიან ბევრს ნიშნავდა მეომრებისთვის მთავარსარდალთან შეხვედრები. ეს რომ არა, სოხუმი, შესაძლოა, 17-შიც დაცემულიყო.

თერთმეტის ნახევარზე თუ თერთმეტს რომ წუთები აკლდა შევედით მინისტრთა საბჭოში. შენობა „ავღანელებს“ ჰქონდათ გამაგრებული.

ბატონი ედუარდი ელაპარაკა ჟიული შარტავას, რომელმაც მოახსენა, რომ მისი ყველა თანამშრომელი გამოცხადდა სამსახურში და ჩვეული რიტმით მუშაობენ.

საუბარი შექმნილ მდგომარეობას შეეხო. **ბოლოს ბატონმა ედუარდმა უთხრა, რომ ისევ პოზიციების დასათვალიერებლად წავიდოდა, იქიდან — კორპუსის შტაბში, სადაც ოპერატიული თათბირი იყო დანიშნული ორ საათზე თუ სამის ნახევარზე** (ბატონი ჟიულიც იქ უნდა ყოფილიყო). შემდეგ კი დავბრუნდებო, მგონი, უთხრა ბატონმა ედუარდმა, კარგად არ მახსოვს.

მტრის ძალები სულ უფრო ახლოს მოიწვედა. ნითელ ხიდზე

რომ გადმოვედით, რამდენიმეჯერ გვესროლეს, ყუმბარმტყორცნის (PIII) ჭურვმა ჩვენს თანმხლებ „რაფს“, რომელიც უკან მოგვდევდა, სულ რამდენიმე სანტიმეტრზე გადაუქროლა. პოზიციებიდან შტაბში მობრუნებისას მოხდა ეს.

მისვლისთანავე გვაცნობეს, მინისტრთა საბჭო ალყაშიაო. გაცა განკარგულება იქ დარჩენილთა მისაშველებლად დამხმარე ძალის გაგზავნის შესახებ. როგორც ვიცი, თავდაცვის მინისტრმა გია ყარყარაშვილმა სახელმწიფოს მეთაურს მოახსენა, რომ იქითკენ მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა დაიძრა.

დანარჩენი თქვენ უკვე იცით.

მინდა, ერთი რამ აღვნიშნო: სოხუმი სავსე იყო ჩვენი მტრებით. ჩვენი ჯარის იქ ყოფნის დროს ქალაქიდან არავინ გაუსახლებიათ, არავის ერჩოდნენ — არც აფხაზს, არც სომეხს, არც ბერძენს, არც რუსს — არავის. პირიქით...

გურამ ჯანიაშვილი: — სპეციალური ტალონებიც კი დაიბეჭდა, რომლებიც დაურიგდა ყველა ეროვნების წარმომადგენლებს — ხელშეუხებლობის ტალონები. ყველას მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთის ოჯახის წევრები ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ. კარგი იქნებოდა, თუ ვინმე, ვისაც შერჩა ნამუსის ძარღვი, წარმოადგენს ამ საბუთს და იტყვის, როგორ იყვნენ დაცულნი.

მურად ცხოვრებაძე: — ჩვენ მიერ გარანტირებულ მოსახლეობის უსაფრთხოებას მტერი ჩვენ წინააღმდეგ კარგად იყენებდა, თუნდაც საცხოვრებელ სახლებში მოთვალთვალეთა ორგანიზებული ქსელის მოსაწყობად.

სადაც კი მივიდოდა ჩვენი მანქანების ესკორტი, რამდენიმე ნუთში გვბომბავდნენ, თანაც აშკარად ჩანდა, რომ ცეცხლის კორექტირებაც ხდებოდა, ჯერ გათოფავდნენ და შემდეგ ზუსტად მიზანში ურტყამდნენ ჭურვს: ან გამოვასრებდით, ან დაბომბვაში მოვყვებოდით.

ჩასვლის დღეს, 16 სექტემბერს, 23-ე ბრიგადის შტაბში მისვლისთანავე დაგვბომბეს. რამდენიმე ჭურვი ცოტა მოშორებით დაეცა. არ გასულა 15 ნუთი, დაიწყო კონცენტრირებული დაბომბვა შენობის იმ ნაწილისა, რომელშიც შევარდნაძე თათბირს ატარებდა. სასწაულად გადარჩა მაშინ. მე ჭურვის ნამსხვრევი მომხვდა მკერდში, ჯავშანჟილეტმა გადამარჩინა. იმ ოთახში რომ შევვარდით, რომელშიც ბატონი ედუარდი იჯდა, აფეთქე-

ბისგან ისეთი ბოლი და მტვერი იდგა, არაფერი ჩანდა. ავანთე ფანარი. როგორც იქნა, დავინახე, სისხლის კვალი რომ არ ჰქონდა, გულზე მომეშვა, ფანჯარას მიყუდებულმა სეიფმა იხსნა, რომელიც „გრადის“ ჭურვის ნამსხვრევეებს დაეგლიჯა.

ხომ ცოცხალი ხართ-მეთქი, ვკითხე; ხელიც მოვკიდე. აფეთქების ხმისგან, ტალღისგან, მტვრის კორიანტელისგან ყველანი გაოგნებული ვიყავით... უცებ გავიგონე სპეციფიკური ხმა, რომელიც გასროლილ რაკეტას თან სდევს (გუდაუთიდან სოხუმამდე რაკეტა 7 წამს მოფრინავდა), ისევ გვესროდნენ. ბატონი ედუარდი სასწრაფოდ დერეფანში გავიყვანეთ და იმ წამსვე ზუსტი დამიზნებით ის ოთახი ერთიანად ჩამოინგრა. მეზობელ ოთახში ორი კაცი დაიღუპა.

გურამ ჯანიაშვილი: — მოწინააღმდეგის მხრიდან ამ საქმეზე მაღალი კლასის პროფესიონალები „მოუშაობდნენ“. ვიცით, ვინც იყვნენ, ათასჯერ დაინერა ამაზე — რუსი სამხედრო ოფიცრები.

წინა დღით, სანამ მინისტრთა საბჭოს დასაცავად გადაგვიყვანდნენ, ჩემი ხალხით შევუტიეთ ფუნიკულორს და მოწინააღმდეგეს სანგრებშიც კი ჩავუხტით. ყველა, ვისაც შევეჯახეთ, რუსი იყო, კაზაკი, 20 წლიდან 40 წლამდე ასაკის, რეზერვის ოფიცრები, დიდი ძალა იყო... მაგრამ არც ჩვენი მეომრები იყვნენ ახალბედები. იმ ბრძოლის მერე კიდევ უთქვამთ თურმე კაზაკებს: — ეს „ავღანელები“ გიჟები ყოფილან, არანორმალურები: 200 კაცს 60-მა შემოგვიტია და, ცოტაც და, კინალამ გადაგვიარესო. ძალა არ გვეყო, სამნუხაროდ, ამ ბრძოლაში 4 კაცი დაგვეღუპა, 17 დაგვეჭრა. ამ ჩვიდმეტიდან თითოეულს ორი გამომყვანი ხომ სჭირდებოდა? იანგარიშეთ, რამდენი დავრჩით. ძალა აღარ გვეყო, ბოლომდე რომ გავსულიყავით... ჩვენ და „მხედრონი“ ვუტყვდით. ვინმე რომ წამოგვშველებოდა, ფუნიკულორს დავიბრუნებდით.

ეს სიტყვამ მოიტანა.

ისე კი ჩვენი ტელეგადაცემებითაც დიდ დახმარებას ვუწევდით მტერს.

ერთ ამბავს შევესწარი.

მაშინ ცენტრალური შტაბი სოხუმში იყო. ბრძოლიდან ვბრუნდებოდით. ალყიდან გამოვიყვანეთ ერთ-ერთი ბატალიონი. ერთი ტყვეც მოგვყავდა. ვხედავ, რომ პირველ სართულზე, სადაც



ჭუბურის გოლგოთა

შტაბის მთელი კავშირგაბმულობა იყო მოწყობილი, ფანჯრებიდან ოთახიდან ოთახში კაბელებს ჭიმავენ.

ქუჩაში ოპერატორი დგას და ამ პროცესს იღებს. ოფიცრები, ეკრანზე გამოვჩნდეთო და, იმის ნაცვლად, რომ დაეშალათ გადალება, იპრანჭებოდნენ კამერის წინ.

ეს კადრები ტელევიზიით გადაიციემოდა და დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმის დადგენას, რომ ამ შენობაში შტაბია, სარდლობა აქ ზის. ამაზე უკეთეს ინფორმაციას ვერც ინატრებდა მტერი.

— 16 სექტემბრიდან, სოხუმში ბოლო ჩასვლის პირველი დღიდან, — **აგრძელებს თხრობას მურად ცხოვრებაძე**, — შევარდნაძე ძირითადად მუშაობდა კორპუსის შტაბში, მინისტრთა საბჭოში და სისტემატურად გადიოდა პოზიციებზე. მინისტრთა საბჭოში გათენებამდე ვრჩებოდით, ფაქტობრივად, არ ეძინა, ძილისთვის განკუთვნილ დროსაც დახურული რადიოსადგურით (ეს ერთადერთი საშუალება გვქონდა) ელაპარაკებოდა თბილისს. დილიდან იგივე მეორდებოდა და ასე — ყოველდღე.

ერთ კანონზომიერებას მივაქციეთ ყურადღება: დაღამდებო-

და თუ არა, მინისტრთა საბჭოს შენობაში იწყებოდა პანიკა — აფხაზები მოვიდნენ, მისადგომებთან არიან, ნუთი-ნუთზე შემოვლენო და ასე შემდეგ. წავიდოდა ჯაბა იოსელიანი მითითებულ ადგილზე, წავიდოდნენ ჩვენებიც და გაირკვეოდა, რომ ტყუილი იყო...

რა თქმა უნდა, ეს კეთდებოდა შემოგზავნილთა მიერ ჩვენი დეზორგანიზების მიზნით.

ცხადია, მტრის ასეთი მოქმედება მარტო მინისტრთა საბჭოს შენობით არ შემოიფარგლებოდა. ალბათ, ამის შედეგიც იყო, რომ 25 სექტემბრიდან ჯარისკაცებმა მასობრივად დაიწყეს პოზიციების დატოვება. და ეს ხდებოდა მათი თანამებრძოლების თავგანწირვისა და გმირობის პარალელურად.

საბრძოლო სულისკვეთების დაცემის მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ოჩამჩირიდან არა და არ მოდიოდა დამხმარე ძალა და საბრძოლო ტექნიკა, რომელსაც ყველა იმედიანად ელოდა.

25-26-27 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძე და ჯაბა იოსელიანი თავად იდგნენ ქუჩებში და პოზიციებიდან გამოსულ ნაწილებს წინა ხაზზე აბრუნებდნენ. დაელაპარაკებოდა ბატონი ედუარდი, უკან მიაბრუნებდა, იმედს მისცემდა.

— **დაბრუნებულებს თავიანთი პოზიციები დაკავებული არ ხვდებოდათ?**

— არა, აფხაზები არ ტოვებდნენ თავიანთ გამაგრებულ პოზიციებს, სააღყო ბრძოლის პრინციპს განახორციელებდნენ.

გურამ ჯანიაშვილი: — ვინც დღეს სადისტური სიამოვნებით წამდაუნუმ ლაპარაკობს სოხუმიდან გამოქცევაზე, მას უნდა ვუთხრა, სცადოს, ერთი საათის განმავლობაში მაინც, ავტომატით ტანკის წინააღმდეგ ბრძოლა, მერე ილაპარაკოს! ბიჭები, რომლებიც ამ ომს შეეწირნენ და იქ დარჩნენ, ან ისინი, რომლებიც, არ ვიცი, ბუნების რა ძალით ცოცხლები გადავრჩით, 10 დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, ცარიელი ხელებით ვებრძოდით კბილებამდე შეიარაღებულ მტერს იმის იმედით, რომ კოდორს გადმოვიდოდა ჩვენი მძიმე ტექნიკა და დაგვემარებოდა.

ყველამ იცის, ამ დიდი ღალატის ამბავი, როგორ გაგვწირეს მაშინ.

«ჩვენი სიპატილანა აქ!»

„დღენი მისნი სატანჯველია, საზრუნავი მისი — ნუხილი, ღამითაც არ ისვენებს, შფოთავს გული! აჰა, კვლავ ამოვება“.

იკლესიასტი, 2, 23

გურამ ჯანიაშვილმა, შტაბში რომ მივიდა, სარდლობას მოახსენა გადატანილი ბრძოლის თაობაზე, იმაზე, რომ მისი გამოყვანილი ხალხის ნაწილი მინისტრთა საბჭოში შებრუნდა, ყიული შარტავაც იქ არის და მტრის არტილერია პირდაპირი დამიზნებით ესვრის შენობას.

— არ შეიძლებოდა ყიული შარტავას გამოყვანა?

— მაშინ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა. ადრეც, როცა ჩვენ ალყა გავარღვიეთ და დერეფანი გავაკეთეთ, იგი მის დაცვას აუცილებლად უნდა გამოეყვანა, მტრის პროვოკაციას არ უნდა აჰყოლოდნენ. იმ მომენტში გასარისკი არაფერი იყო. ბოლოს და ბოლოს, დაცვას ძალით უნდა გამოეყვანა. თქვენ, ალბათ, კითხვა დაგებადათ, ჩვენ რატომ არ მოვიქეციით ასე.

გიპასუხებთ: ეს, ჯერ ერთი, ჩვენს კომპეტენციას აღემატებოდა — არ გვქონდა ამის უფლება, თვითშემოქმედება კი სრულიად გამორიცხული იყო. ვთქვათ, გვეკისრა ამის გაკეთება, ამ დროს ტყვია რომ მოხვედროდა, ხომ იქნებოდა ჩვენი ბრალი? ბევრი ასეთი ნიუანსია და ამიტომ არის მკაცრად განსაზღვრული პირადი დაცვის ფუნქციები და სხვათა ჩარევა კატეგორიულად აკრძალულია.

ბატონმა ედუარდმა რომ გაიგო, ყიული შარტავა ალყაშიაო, მანქანაში ჩაჯდა, დაცვა არ მჭირდებაო, და მძღოლს სოხუმის ცენტრისკენ წასვლა უბრძანა. თავისთავად ცხადია, მივვარდით ჩვენც და დაცვაც. ვუმტკიცებდით, რომ ასე მოქცევა უეჭველი სიკვდილი იყო, მაგრამ ახლოს არ გაგვიკარა. ძალიან გაბრაზებული და განერვიულებული იყო. კაცს რომ თავი აქვს სასიკვდილოდ გადადებული, ძნელად გააჩერებ.

— ეს სინოპოში მოხდა, — მურად ცხოვრებაძე იხსენებს, — როგორც კი შევარდნაძემ გაიგო, ყიული შარტავა მინისტრთა

საბჭოში დარჩაო, იქ წასვლა გადაწყვიტა. პირადი დაცვა სოხუმის ცენტრში მის შებრუნებას ვერ დაუშვებდა.

ბატონი ედუარდი მაინც ჩაჯდა მანქანაში. მძღოლს ვუბრძანე, გადმოსულიყო, ჩვენებს კატეგორიულად ავუკრძალე მანქანებში ჩასხდომა. შევარდნაძემ მშვიშრები და ლაჩრები გვიწოდა.

— ვინც ვაჟკაცები ხართ, წამომყევითო, — მიმართა იქ მყოფთ.

ამ დროს გადაუდგა „პაპა“ — ჩვენი მებრძოლი — მანქანას, სხვებმაც თქვეს, — დავწვებით და გადაგვიარეთო. არ დაეთანხმა ბატონი ედუარდი და ისევ მიმართა მებრძოლებს, — ვინც ვაჟკაცია, წამომყვესო. რამდენიმემ მართლაც მოინდომა მანქანაში ჩაჯდომა. იძულებული გავხდი, ავტომატი შემემართა და მეთქვა, ვინც საჭესთან დაჯდება, ადგილზე დავხვრეტი-მეთქი.

თავისი რომ ვერ გაიტანა, კორპუსის შტაბში შებრუნდა. იქ, ჩანს, მოელაპარაკა ამ დროს მოსულ ჯაბა იოსელიანს, ორივენი ერთად გამოვიდნენ, ჯაბას დაცვის უფროსი დაჯდა საჭესთან და წითელი ხიდისკენ წავიდნენ.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარიტ. სასწრაფოდ დავედევნეთ.

წითელ ხიდთან მასირებულ ცეცხლში მოვყევით. მანქანები დაიცხრილა, ყველა დარწმუნდა, რომ გზის გაგრძელება უაზრო სიკვდილი იქნებოდა. ჯაბა იოსელიანმაც ასე უთხრა სახელმწიფოს მეთაურს.

— მტერი უკვე გადმოსული იყო წითელ ხიდზე, არნახულად ძლიერი ცეცხლი გაგვიხსნეს, — **ადასტურებს გურამ ჯანიაშვილი.**

— ნათქვამს თავი რომ მოვეყაროტ, გამოდის, რომ თქვენ მტრის თვალწინ, ყოველდღე სიცოცხლის რისკის ფასად დადიოდით და იცოდით ამის შესახებ. რა იყო ეს — სიკვდილთან თამაში?

მურად ცხოვრებაძე: — კი, ასე იყო.

გურამ ჯანიაშვილი: — ამ კაცს, ფაქტობრივად, გადადებულ იჰქონდა თავი. მეტს გეტყვით: ღამის სამ საათზე სანაპიროზე, როცა კარჭაპს ველოდებოდით და სროლა დაიწყო, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების მანათობელი ტყვიები, ყუმბა-

რები მის თავზე გადადიოდა. ვერ ჩავიყვანეთ დიდ ბლინდაჟში, სადაც მოგერიების ზღუდე იყო მოწყობილი. იდგა, ადგილიდან არ დაძრულა, თავიც არ დაუხრია, იდგა და ელოდა...

მურად ცხოვრებაძე: — ვგრძნობდით, რომ ცოცხლად დაბრუნება არც უნდოდა. მერე თბილისში, რამდენიმე შეხვედრაზე, მეცნიერებათა აკადემიაშიც თვითონვე დაადასტურა ეს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ, ვისაც მისი დაცვა გვევალებოდა. რომ იტყვიან, ხელჩართული ბრძოლა გვექონდა მასთან — ის თავისას, ჩვენ ჩვენსას ვცდილობდით.

სასტიკი უარი განაცხადა სვანეთის გზით დაბრუნებაზე.

დაზიანებული თვითმფრინავით კატეგორიულად რომ მოითხოვა გაფრენა, ესეც იმის მანიშნებელია, რომ სიცოცხლე არ უნდოდა. ეს ჩემი აზრია.

ის თვითმფრინავი — „ტუ-134“ — სოხუმში დაშვებისას მტერმა სერიოზულად დააზიანა — ერთი ფრთა ტყვიით იყო დაცხრილული და, ცხადია, იქ წვეთი სანავი არ იყო დარჩენილი, მეორეშიც ცოტა ესხა.

მფრინავები სახლებიდან მოვიყვანეთ, იქაურები იყვნენ. მათ განაცხადეს, რომ თვითმფრინავში მხოლოდ ათი კაცის ჩაჯდომა თუ შეიძლებოდა და ისიც, გადარჩენის გარანტია ოცი პროცენტი იქნებოდა: ოთხმოცი — ნაღდი დაღუპვა.

ამ დროს განუწყვეტლივ ბომბავდნენ აეროპორტს. ასეთ სიტუაციაში, გრძელი გარბენის კი არა, ძრავების ნორმალურად გახურების საშუალებაც არ იყო — თვითმფრინავი უცბად უნდა აფრენილიყო, მტრის არტილერიას მისი შემჩნევა რომ ვერ მოესწრო და ცეცხლი არ გაეხსნა. მახსოვს, თვითმფრინავში, სახელმწიფოს მეთაურის გარდა, ჩასხდნენ ბათიაშვილი, ჯორბენაძე, კავსაძე, გაბაშვილი, დაცვის ორი თანამშრომელი, კიდევ რამდენიმე კაცი. დანარჩენები სვანეთზე გადმოვედით, მით უფრო, რომ ჩვენი ხალხის ნაწილი აეროდრომის მისაღვამების ბლოკირებისთვის უკვე გვყავდა იქით გაგზავნილი.

— თქვენ, როგორც სახელმწიფოს მეთაურის დაცვის უფროსი, რატომ არ გაჰყევით მას?

— ჯერ ერთი, ნათქვამი მქონდა, რომ ჩვენი ერთი კაციც თუ დარჩებოდა სოხუმში, მეც დავრჩებოდი. მეორეც, იმიტომ, რომ განუწყვეტლად სახელმწიფოს მეთაურს — თვითმფრინავში ჩემს ასვლას აზრი არ ჰქონდა, ვერ დავიცავდი. თვითმფრინავში

ყოფნითაც და დარჩენითაც მე ერთნაირად სიკვდილზე მივდი-
ოდი. მტრის მთავარი დარტყმა ამ დროს აეროპორტსა და მერ-
ხეულის გზის გადაკეტვას ისახავდა მიზნად: ჩვენ სწორედ ამ
მიმართულებით უნდა წავსულიყავით.

როცა თვითმფრინავი თვალს მიეფარა, მე და ბატონი გურა-
მი ჩვენს ხალხთან ერთად დავიძარით იმ გოლგოთის გზისკენ.

— **რამდენ დღეში გადახვედით?**

მურად ცხოვრებაძე: — ექვსი დღე მოვუნდით.

გურამ ჯანიაშვილი: — ხუთი დღე არაფერი გვიჭამია.

მურად ცხოვრებაძე: — სურსათი, რაც გვექონდა შემორჩენი-
ლი, რალაც თითო კონსერვი, მშიერ ბავშვებს დავურიგეთ.

გურამ ჯანიაშვილი: — მშვირები მოვდიოდით, ორი კაცი დაგ-
ვივარდა გზაზე, ყველა კი ვერ იტანს შიმშილს, რალაც ზღვარი
ყოფილა, იმ ზღვარს რომ გადავცდით, შიმშილის გრძნობა გაგ-
ვიქრა. გაჭირვებულ ხალხს რომ ვხედავდი, საჭმელი კი არა,
სხვანაირად ნუ გამიგებთ, სიკვდილი მინდოდა, თითქოს თვა-
ლებით გვეუბნებოდნენ, — ვერ დაგვიცავითო. საკუთარი თა-
ვი მძულდა...

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გთხოვოთ, რომ აუცი-
ლებლად დაწეროთ: სიტყვები — „მოლალატი“, „გამოქცეულე-
ბი“, „მიატოვეს“, რომლებიც მესმის, უფრო ხშირად იმათგან,
ვისაც წარმოდგენა არ აქვს, რა ხდებოდა იქ, აფხაზეთში, ამ
სიტყვების ხმარება და ასეთი შეფასება, უნინარეს ყოვლისა,
არის იმ დაღუპული ბიჭების სულების შეურაცხყოფა; მერე —
იმ ახალგაზრდების (ჩვენ ჩვენი გაგვივლია და გვიცხოვრია),
რომლებმაც თავგანწირულად იბრძოლეს, მაგრამ, რა მათი
ბრალია, რომ ცოცხლები დაბრუნდნენ. ყველას თავისი ტყვია
აქვს გასაცხივებელი. მათი ბრალი არ არის, ასეთი ტყვია რომ
არ ერგოთ. თუ რამ ატყდა, ისევ ამათ კისერზე უნდა გადავი-
დეს. ცოდვაა, გულს ნუ დაუუკოდავთ ისედაც განანამებ ბიჭებს.

თუ კი არის რაიმე საშუალება, ომი უნდა ავიცილოთ. ამ საში-
ნელებას ხალხი ვეღარ გადაიტანს.

ჩემს აზრს მოგახსენებთ და არავის ვახვევ თავს: თუ საჭირო
იქნება, მზად ვარ, ხვალვე დავდგე იქ, სადაც ახალგაზრდობი-
დან მოყოლებული დღემდე ვიდექი და, იქნებ, ხმამაღალი სიტყ-
ვებია, მაგრამ მაინც ვიტყვი, — იქ მოვკვდე, სადაც ჩემს სამ-
შობლოს დასჭირდება.

გაპიუიფრეობლი და — ვიხლიდი ტყვიას!

რა არის ჩემი ძალა, რომ დავენდო?
რა არის ჩემი ბოლო, რომ დავითმინო?

იოზი, 6, 11

ომის უკომპრომისო ლოგიკაა გამარჯვებაც და დამარცხებაც; და ამ ორ შედეგს შორის — იმდენი ნიუანსი, ისეთი სიჭრელეა მოქმედებისა და შეფასების, რამდენიც მონაწილეა ბრძოლების. 1993-ის 27 სექტემბერი თითქმის ყველამ, სოხუმის ცენტრში ბრძოლის მონაწილეთაგან ვისაც ვესაუბრე, იმ რადიუსით დაინახა, რომელსაც მისი მზერა და ავტომატის ჯერი სწვდებოდა. ფაქტის უეჭველი უტყუარობა იმ ემოციური, ფიზიკური და სულიერი დაძაბულობის, ფსიქიკური აფექტის ფონზე ხდებოდა, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ ბრძოლას.

მრავალფეროვნებაც, გარკვეულნილად, განსხვავებაც და ნახულისა ამიტომაც. ძირითადი ღერძია უცვლელი. ელგუჯა გორდაძე „ავღანელთა“ ბატალიონში იბრძოდა, იყო ოფიცერი, ასმეთაური. ომამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. მასთან საუბრის ეს ჩანაწერი, რომელსაც ახალთაობისთვის ვიმეორებთ, პირველად თხუთმეტიოდ წლის წინათ გამოქვეყნდა.

ლაპარაკობს ელგუჯა გორდაძე:

— გურამ ჯანიაშვილმა ალყა რომ გაარღვია, გარეთ ვიყავით უკვე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შენობის თაღებქვეშ. შუაში ჟიული შარტავა გვედგა, მის გარშემო — დაცვის ბიჭები და გარე რკალზე — ჩვენი ბატალიონის მეზობელები.

მცირე ყოვნი... ის იყო უნდა დავძრულიყავით, რომ იქ, სადაც ვიდექით, ნაღმი აფეთქდა. გვესროლეს. ორი კაცი დაგვეჭრა, ერთი — მძიმედ, მეორე (პაპა გვყავდა, 65 წლის კაცი) — მსუბუქად, ფეხში.

სანამ ვიტყვი, რატომ შევბრუნდით მინისტრთა საბჭოს შენობაში, ერთი რამ უნდა დავაზუსტო.

ვიცოდით, რომ ჟიული შარტავა უნდა გამოგვეყვანა ალყიდან, რა თქმა უნდა, ისინიც, ვინც მასთან ერთად იყვნენ, ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება და მოქმედება სწორედ ამ ამოცანის განხორციელებისკენ იყო მიმართული. უნდა ვყოფილიყავით იქ, სადაც ბატონი ჟიული იყო.

მაშ, ასე: აფეთქდა ნალმი, დაიჭრა ორი კაცი, ვილაცამ დაიძახა, ისინი ჩახოცესო, — გურამი და ჩვენი ბიჭები, რომლებიც მას გაჰყვნენ. ამ დროს ატყდა წარმოუდგენელი სროლა და ბატონი ჟიულის დაცვამ იგი მინისტრთა საბჭოს შენობაში სასწრაფოდ შეაბრუნა, მოაფარა ტყვიებს. ცხადია, ჩვენც უნდა შევბრუნებულიყავით, ხომ არ მივატოვებდით?! უმეტესობა ინსტიტუტურად გაჰყვა. ადგილზე ექვსი კაცილა ვრჩებოდით, რომ ვნახეთ, ჩვენ გარდა არავინ იყო, გავყევით. იქ დარჩენა დასახვრეტად საკუთარი თავის განირგა იყო, წვიმასავით მოდიოდა ტყვია.

რა თქმა უნდა, იყო არაადამიანური დაძაბულობა, პანიკური მდგომარეობაც და, აქედან გამომდინარე, დაბნეულობა. გადანწყვეტილება მყისიერად უნდა მიგველო. ფიქრისთვის, ანალიზისთვის დრო არ რჩებოდა. გაიგონებ და დაიჯერებ იმ ინფორმაციას, რომელსაც განვდიან, და ინსტიტუტურად თავის დაცვაზე ფიქრობ. მე, მაგალითად, სანამ თბილისში არ ჩამოვედი და გურამ ჯანიაშვილი ცოცხალი არ ვნახე, ისიც და ჩვენი თანამებრძოლებიც, მას რომ გაჰყვნენ, დახოცილები მეგონა...

შევბრუნდით შენობაში, შევიყვანეთ ჩვენი დაჭრილები და მესამე სართულზე ის პოზიციები დავიკავეთ, ადრე რომ გვეკავა. ეს იყო შეცდომა, საბედისწერო შეცდომა, რომელიც ბრძანების შეუსრულებლობას მოჰყვა; უნდა გავსულიყავით ალყიდან, გვესარგებლა ჯანიაშვილის გაკეთებული „დერეფნით“. იქნებოდა სროლა, ზოგი დავილუპებოდით, მაგრამ ზოგი ხომ გადარჩებოდა! აქ, მინისტრთა საბჭოში, კი ყველანი განწირულები ვიყავით.

ბრძანების შეუსრულებლობა თუ ვერ შესრულება? ეს საკამათოა, მაგრამ შეუსრულებელი რომ დარჩა, ფაქტია...

ფუნიკულიორის მხრიდან გვირტყამს მძიმე ტექნიკა, შესაძლოა, ტანკი ან ჰაუბიცა. არ ვიცი, ერთი კია, რომ მესამე სარ-

თულს ვერ სწვდება, თუმცა ეფექტი აქვს — მაგრად გვაზანზარებს. ზედა სართულებს ცეცხლი უკიდია. ფასადის მხრიდან მოგვადგა (ეს უკვე მერე ვნახე, როცა შენობიდან გამოვედი) ორი ტანკი, ერთი „ბმპ-2“ და სატვირთო ავტომანქანაზე დამონტაჟებული საზენიტო ქვემეხი. პირდაპირი დამიზნებით გვესვრიან.

ძნელი სათქმელია, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც შევბრუნდით — შეიძლება ორი საათი, შეიძლება — სამი. მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა.

ფაქტობრივად, ხაფანგში ვიყავით, ერთი ტყვიამფრქვევისა და ავტომატების ამარა. რისი გაკეთებაც შეგვეძლო, თავდაცვის გახანგრძლივება იყო, ვიცოდით, რომ შტაბში დარეკილი იყო და ველოდით დახმარებას.

ეს იყო ერთადერთი იმედი და კაცი იმედს, მოგესხენებათ, ყოველთვის ბოლოს ეთხოვება, თუმცა, მართალი გითხრათ, წინა დღით სინოპში ვიყავით და საკუთარი თვალთ ვნახეთ, როგორ მიდიოდა ტექნიკა და ცოცხალი ძალა სოხუმიდან თბილისისკენ, რომელიც ჩვენთვის დახმარების გამოგზავნის რეალობაში საკმაოდ დაეჭვების საფუძველს იძლეოდა, მაგრამ ომი ომია და ყველაფერი შეიძლებოდა, მომხდარიყო.

მამაო, ასე ვეძახდით ერთს, დაილუპა...

— რომელი? ხის ჯვარს რომ ატარებდა ყოველთვის და შავი ლენტის რომ ჰქონდა შუბლზე ნაკრული?

— ის ტყვედ ჩავარდა და...

(პაუზა).

— მე და მამაო, — **განაგრძობს ელგუჯა გორდაძე**, — ასაკითაც და წოდებითაც უფროსები ვიყავით, მივედით ბატონ ჟიულისტან და ვუთხარით, რომ აქ გაჩერება უაზრობა იქნებოდა, თუ დამხმარე ძალა არ მოვიდოდა.

— ბავშვი ხომ არ ვარ, — გვიპასუხა, — რომ მოგატყუოთ, შტაბში დარეკილია და დავგპირდნენ დახმარებას. აუცილებლად მოვლენ!

ვფიქრობ, ბატონ ჟიულისტანის ორი რამის იმედი ჰქონდა: პირველი, რომ დამხმარე ძალა მართლაც მოვიდოდა (რატომ ვერ მოვიდა, ეს ბატონმა გურამ ჯანიაშვილმა დანვრილებით უკვე თქვა), და მეორე, რომ მას, ახალდანიშნული მაღალი თანამდებობის პირს, რომელსაც, ვთქვათ ასე, აფხაზების წინაშე არა-

ვითარი დანაშაული არ მიუძღოდა, აფხაზები ანგარიშს გაუწევდნენ.

მაშინ, როცა კრიტიკული ნუთები დადგა, ბატონმა ჟიულიმ კიდევ გვითხრა ამის თაობაზე: მე თვითონ წავალ მოლაპარაკებაზე, ნუ გეშინიათ. თქვენც გადაგარჩენთ, არ დაგხვრეტენო. მას მხარი დაუჭირა ქალაქის მერმა ბატონმა გაბისკირიამ და სხვებმაც.

ბიჭებს მართლაც ეშინოდათ, რომ დახვრეტდნენ აფხაზები.

ამასობაში ბრძოლა გრძელდება. ყველაფერი ცეცხლსა და კვამლში გაეხვია. ერთ ფლიგელში შევჯგუფდით. შენობაში გაჩერება უკვე შეუძლებელია. ტყვია-წამალი გვაკლდება. ბევრიც რომ გვქონდეს, ვერაფერს გავაკეთებთ. მტერი ცოცხალი ძალით არ გვიტყვის. ერთი-ორი გიჟი გამოვარდა და იქვე მივანვინეთ. ზევიდან მოედანს კარგად ვაკონტროლებთ, მაგრამ, რად გინდა, მძიმე ტექნიკა გვირტყამს, რამდენ ხანს გაუძლებ?

ერთი სამოქალაქო პირი, ეტყობა, მინისტრთა საბჭოს თანამშრომელი, ეროვნებით რუსი, თეთრი დროშით მოდის მოსალაპარაკებლად. შევწყვიტეთ ცეცხლი.

შარტავა შეხვდა, უთხრა, რომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან მოსალაპარაკებლად თქვენი წარმომადგენელი ოთხი კაცი ამოვიდესო.

მათი მოთხოვნა იყო, რომ ქართველებს იარაღი მაგიდაზე დაგვეწყოს და ისე მიგველო მათი წარმომადგენლები.

შევაგროვეთ ჩვენები და კატეგორიულად გავაფრთხილეთ, რომ თავი შეეკავებინათ ყოველგვარი დაუფიქრებელი მოქმედებისგან.

ამ დროისთვის 32-34 კაცი ვართ მეზობლები.

ამოვიდნენ აფხაზები. აფხაზები თუ ჩეჩნები, არ ვიცი. ნორმალურად ისაუბრეს, არავითარი შემომწმება — დავმალეთ თუ არა იარაღი, ჯიბეებში გვაქვს თუ არა ხელყუმბარები, არაფერი...

ჩემგან დაახლოებით 4 მეტრის დაშორებით პარლამენტორები ელაპარაკნენ ბატონ ჟიული შარტავას და განუცხადეს, ყველას გუდაუთაში, როგორც სამხედრო ტყვეებს, წაგიყვანთო...

არ ჰქონდათ, იცით, ერთნაირი რეაქცია ამაზე ჩვენს ბიჭებს: ზოგს გულზე მოეშვა, — აქვე არ დაგხვრეტენო; ერთმა თქვა,

გვანამებენ და მათთან ტყვედ ყოფნას, ჯობია, თავი მოვიკლო, სხვამ გააჩერა, — ხომ ხედავ, მოსალაპარაკებლად მოვიდნენ და ჟიული მარტავაც აქ არის, ვერაფერს გაბედავენო.

ჩემი ავტომატი მაგიდაზე მაქვს დადებული და ცოტათი უკან ვდგავარ, ისედაც ბუნებით ძალიან მიმნდობი კაცი არ ვარ და რალაც მაეჭვებდა ამ სიტუაციაში. გადავიხედე ფანჯარაში და დავინახე შეიარაღებული ბრბო, რომელიც ყიჟინით, ყვირილით, ჰაერში გაუთავებელი სროლით გამარჯვებას ზეიმობდა. იყო ენით აუნერელი ექსტაზი და ნიშანწყალი არ ჩანდა გონიერების.

ამ ბრბოს გულმონყალების იმედად ჩაბარება საეჭვოდ მიჩვენა და გვერდით ოთახში შევედი. გაგახსენებთ, რომ შენობა ინვის, ბოლითაა ყველაფერი სავსე.

ამასობაში ჩვენებმა ჩასვლა დაიწყეს, როგორც მოილაპარაკეს, ისე. არავის არავისი ძებნა არ დაუწყია და სხვასაც შეეძლო ჩემსავით ემოქმედა, მაგრამ ვერ გეტყვით, რატომ არ გამომყენენ... ამ დროს ასეთ რამეებზე არ ფიქრობ. მე, მაგალითად, იმ წუთებში ის მანუხებდა, ჩემი შინაურები კუბოს ფულს სად იშოვიან, თუ თბილისში მოკლულს ჩამასვენებენ-მეთქი...

ჩვენები ნავიდნენ.

ვარ იმ ოთახში და ვხედავ, როგორ შემოდიან აფხაზები, ზოგს ავტომატი მიაქვს, ზოგს „ლიმონკა“, ერთმა ამერიკული უნიფორმა დაითრია.

ამ მომენტში გონებრივად გადავერთე იმ სიხშირეზე, რომ იმათი ვარ და არა ქართველი. გამოვდივარ საფარიდან, მაგიდიდან ვიღებ ჩემს ავტომატს, კიდევ ერთ ავტომატს, ერთ კარაბინს და კიბეებზე ვინყებ ჩასვლას. ჩანს, მართლაც ერთ-ერთ იმათგანს დავემსგავსე. რადგან ამ დროს, კიბეზე რომ ამობოდა ვილაც მებრძოლი, მხარზე ხელი დამკრა — ზდრავსტყუი, ბრატ!

— **ამ დროს ჩვენები სად არიან?**

— ჩვენებიდან ვილაცას მოვკარი თვალი — „რაფში“ ტენიდნენ, ბოლო იყო. სამი მიწაზე ეგდო მოკლული, ვერ გავარჩიე — ვინ. ცოტა თვალიც ავარიდე, გასაგებია, რატომაც. ერთიც, მახსოვს კარგად, გამხდარი კაცი, რუსი თუ აფხაზი (ჩვენთან იყო, შარტავასთან), შავი კოსტუმი ეცვა, მიწაზე ჰყავდათ დაგდებული და ცემდნენ...

იმ „რაფის“ უკან დგას „ჟიგული“, რომელშიც ჩვენს გენა ფიცხელაურს სვამენ...

სულ ეს იყო. გადავჭერი მოედანი. ერთი-ორჯერ მეც გავის-როლე ჰაერში.

საით წავიდე?

წითელი ხიდისკენ წასვლა უაზრობაა: იქიდან ტანკებმაც ვერ გამოაღწიეს ჩვენამდე და, საერთოდ, სად არიან ჩვენები? ვთქვათ, მივალწიე წითელ ხიდამდე, გამიმართლა და იქითა ნაპირზე ჩვენები აღმოჩნდნენ, მაგრამ, როგორც კი გადასვლას დავიწყებ, ან ჩვენები მომკლავენ, ან ესენი.

უნდა მემოქმედა, რაც შეიძლება ალოგიკურად, უნდა წავსულიყავი იმ მიმართულებით, საითაც მტერი ჩემისთანა კაცს არ ელოდა. ასეთი გუდაუთა იყო. თანაც სწორედ იქ მეგულებოდნენ ჩემი ნათესავები.

ჩემთვის სხვა გამოსავალი არ იყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ არცთუ ეფემერული ყოფილა ეს იმედი.

ჩამოიარა „რაფმა“. დავაკვირდი, სანიტარული მანქანაა. გაჩერება ვანიშნე. გამიჩერეს. შოფერს ვუთხარი, მეგობარი მყავს გუდაუთაში და სანახავად მივდივარ-მეთქი. კარაბინი მთხოვა სანაცვლოდ, კისერზე რომ მქონდა ჩამოკიდებული, როგორც „ნადავლი“.

მამა მყავს მონადირე და იმას დავპირდი-მეთქი. არადა, რა ჯანდაბად მინდოდა. ერთი სიტყვით, ვიქცევი, როგორც გამარჯვებული, რომელსაც არ ასამართლებენ.

ახალ ათონთან გაგვაჩერეს. დაჭრილები მიგვყავდა და არ შევუმონმებივართ...

ერთი თვის შემდეგ თბილისში ჩამოვედი.

„მს ჯერ კიდევ არ არის დასასრული“

გენადი ფიცხელაური მსახიობია. „ავღანელთა“ ბატალიონში ჩარიცხვამდე თბილისის სამხედრო კომენდატურაში მსახურობდა: თბილისს რომ გაუჭირდა, მაშინ მივიდა იქ და იმჟამინდელმა სამხედრო კომენდანტმა გურამ ჯანიაშვილმა მიიღო. წავიდა ჯანიაშვილი სოხუმისთვის ბრძოლებში, წაჰყვა გენადი ფიცხელაურიც.

მეთაურის მონათხრობი სიტყვა-სიტყვით დაადასტურა გენადიმ: როგორ გამოიყვანა მინისტრთა საბჭოს შენობიდან

ყველა იქ მყოფი, როგორ გაარღვია ალყა, როგორ შებრუნდნენ ჩამორჩენილები მინისტრთა საბჭოს შენობაში.

— დაჭრილები მინისტრთა საბჭოში რომ შევიყვანეთ, გარეთ ისეთი სროლა ატყდა, კარი ამოქოლეს ავტომატების ჯერით.

დიდი შეცდომა დაეუშვიტ, გურამ ჯანიაშვილს რომ არ გავყევით, მაგრამ შეცდომა უკვე დაშვებული იყო და ახლა თავდაცვაზე უნდა გვეფიქრა. ისევ ჩავსაფრდით მესამე სართულზე...

ვიბრძოდით, როგორც შეგვეძლო.

ბატონი ჟიული შარტავა მოდიოდა ხოლმე ჩვენთან ამ ტყვის ნვიმაში, გვეუბნებოდა, რომ დარეკილია შტაბში, რომ მამველი ძალა მოვა, გვამხნევენდა. ახლა ვხვდები, რა დიდი შინაგანი ძალა ჰქონია მას — არც თვითონ იმჩნევდა, არც ჩვენ გვამჩნევიანდა, რომ მდგომარეობა ტრაგიკული იყო.

მზად იყო, ჩვენს გადასარჩენად საკუთარი თავი გაენირა...

დრო და დრო ვილაც დაიყვირებდა, მაშველი ძალა მოდის და სროლა შეწყვიტეთო! ვინ ყვიროდა, ვერ დავადგინეთ, ამკარად პროვოკატორი იყო. გვაჩერებდა, რომ აფხაზებისთვის ხელი შეგვეწყოს დაუბრკოლებელი შემოტევისთვის.

მტრის ტანკები უკვე თამამად გამოვიდნენ, შენობის წინ დადგნენ და პირდაპირი დამიზნებით გაგვიხსნეს ცეცხლი. მტერმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ჩვენ არც ერთი ყუმბარმტყორცნი არ გვქონდა. ავტომატებით კი ტანკთან რას გააწყობ?!

ეს ჯოჯოხეთი, ალბათ, 2 საათს გაგრძელდა.

დამხმარე ძალა არ მოვიდა.

ამასობაში გარედან დაგვიძახეს:

— Грузины, прекратите стрельбу! Выходите на переговоры!

ჩვენ ვუთხარით ბატონ ჟიულის, რომ ვიბრძოლებთ, სანამ ტყვია-წამალი კიდევ დაგვრჩენია და მერე, რაც მოსახდენია, მოხდეს!

— უფლება არ მაქვს, მოლაპარაკებაზე არ გავიდე, იმიტომ, რომ ვერ გავნირავე ამდენ ხალხს, — ასე გვიპასუხა.

15-20 პარლამენტარი ამოვიდა ჩვენთან. ყაბარდოელები იყვნენ, ზოგი — იარაღით, ზოგიც — უიარაღოდ.

— თქვენ რა იცით, რომ ყაბარდოელები იყვნენ?

— თვითონ თქვეს. აფხაზები არ ჩანდნენ. და, საერთოდ, ასეთ ოპერაციებში წინა ხაზზე აფხაზები არსად მინახავს, შემდეგ

მოდოდნენ, როგორც ჩეჩნებისგან შევიტყვე, „ნასუფრალზე“.
ამოვიდნენ. მივიყვანეთ შარტავასთან.

— აქ საუბარი უაზრობა არისო, — განაცხადეს იმათ (შენობა მართლაც იწვოდა), — გარეთ გამოდით, ოღონდ იარაღი აიყარეთ და მაგიდაზე დადეთო.

მოვიხსენით იარაღი და ლაპარაკ-ლაპარაკით — შენ რა გქვია, საიდან ხარ და ასე შემდეგ, არც იარაღის მობჯენა, არც გაჩხრეკა, ჩამოვედით.

ბატონი ჟიული ცოტა წინ მიდიოდა. მე და რამდენიმე მეომარი შევყოვნდით (ჩემს ავტომატს ნემსი გავუფუჭე). გამოვედი და დავინახე, რომ ჟიული შარტავა და კიდევ რამდენიმე კაცი „რაფში“ ჩასვეს.

ამ დროს გინებით მოვარდნენ აფხაზები.

მოედანი ხალხით გაივსო. თავიანთი დროშა ცარიელ კვარცხლბეკზე აიტანეს. გამართეს ცეკვა-თამაში და ჰაერში სროლა.

აფხაზებმა ცემა დაგვიწყეს.

პირველად ომარს მიცვივდნენ, ჩვენს ერთ-ერთ მებრძოლს, რუსს ჰგავდა, ამანაც არ დაუთმო. ბევრნი იყვნენ. ცემა დაუნწყეს, მინაზე დააგდეს და დახვრიტეს.

შარტავას დაცვის რამდენიმე ბიჭი იცნეს, ადგილობრივები იყვნენ; ესენიც გაიგდეს ფეხქვეშ. რამდენიც ნაიქცა, იმდენი იქვე ჩაცხრილეს. ჩვენებიც ასე დაილუპნენ. ჩემ თვალწინ 10-12 კაცი მოკლეს.

ესეც ქართველიაო, დაიძახეს და ახლა მე მომდგნენ. ბევრნი იყვნენ და უძნელდებოდათ ჩემი ცემა — მოქნეული კონდახები ხან მე მხვდებოდა, ხან სხვას, იმათიანს. ამან ცოტა გადამარჩინა.

აი, ქალაქის ტრანსპორტში რომაა ხალხი გაჭედილი, ისე ვყავდი მათ შუაში მოქცეული. ის-ის იყო გრძნობას ვკარგავდი, რომ უცებ რაღაც შელავათი ვიგრძენი — ვილაც ილღიაში შემიდგა, თავდამხსმელებს შეუტია და შეაგინა, — თავი დაანებეთო! მეც შემანჯღრია გონს მოსაყვანად და ჩამძახა:

— Грузин, ты тоже помоги мне!

შენც დამეხმარე და დადექ ფეხზეო.

მართლაც, ამეხილა თვალი: სპორტული გარეგნობის ბიჭი იყო, მოკრივეს ჰგავდა, ჩაჭყლეტილი ცხვირი ჰქონდა.



ოზის კაღრი

თავისიანებს დაუძახა, მოგვეშველეთო, თავის ენაზე. მეც ერთი-ორი სიტყვა ქისტურად ვკითხე (ყაზბეგში ვარ გაზრდილი და ცოტა მესმის) — ქისტი ხარ-მეთქი?

რალაც მიპასუხა, ჩეჩნურად. რომ ვერ გავიგე, მერე რუსულად მითხრა, — ჩეჩენი ვარო.

ერთი აფხაზი ხელს მაინც არ მიშვებდა. ამ ჩეჩენმა დაარტყა, გამოგლიჯა ჩემი თავი. მისი ორი მეგობარიც მოგვეშველა. სამივემ ავტომატები გადატენეს. წინ დამიდგნენ და მანქანისკენ წამიყვანეს. უკანა სკამზე დამსვეს. ორივე მხრიდან ჩეჩნები დამისხდნენ და ზედ გადამეფარნენ, აფხაზებს რომ არ მოვეკალი.

ის, მე რომ გადამარჩინა, საჭესთან იჯდა, მაგრამ უცებვე წამოხტა და შარტავას დაცვიდან ერთი სქელი ბიჭი, ისიც ჩემსავით ნაცემი, მოიყვანა და წინ დასვა.

— Сиди здесь, не выходи! — უთხრა.

ისევ წავიდა ვილაცის მოსაყვანად.

ჩვენები „რაფში“ ისხდნენ, ვხედავდი, ბატონი ყიული შოფრის უკან, პირველ სკამზე იჯდა.

ერთი სული მქონდა, რომ იმ მანქანაში მოვხვედრილიყავი, ჩვენებთან, რაც დაგვემართებოდა, ერთად მაინც იმედიანად ვიქნებოდით. აქ კი გაურკვეველი იყო ჩემი ბედი, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძროდი. ორივე მხრიდან ჩეჩნები მესხდნენ. ის სქე-

ლი ბიჭი შარტავას დაცვიდან, ეტყობა, ჩემსავით ფიქრობდა, წამოიწია და... მანქანიდან სანახევროდაც არ იყო გადმოსული, რომ საიდანღაც გამოქანებულმა აფხაზმა იქვე მოკლა.

სროლის ხმაზე ის ჩეჩენი მოვარდა, დაჯდა საჭესთან და მანქანა ბრბოსკენ გააქანა. ჩანს, იმიტომ, რომ შეშინებოდათ და გზა დაეთმოთ. გაგვატარეს.

იქვე, ერთ-ერთ ქუჩაზე მიტოვებული ბინა იყო. გატეხეს კარი იმ ჩემმა ჩეჩნებმა, შემიყვანეს, ჩამომბანეს სისხლიანი თავპირი. იქვე ნაპოვნი სუფთა ტანსაცმელი ჩამაცვეს და დაახლოებით ნახევარ საათში ისევ იქ მივედით, საიდანაც წამოვედით.

მე არ მითქვამს იმ ჩეჩნისთვის, რომ ომში ვმონანილეობდი. შემთხვევით აღმოვჩნდი-მეთქი, ასე ავუხსენი. წამოდიო, მითხრეს, თუ ვინმე დარჩა მინისტრთა საბჭოში შენი ახლობელი და ამხანაგი, გამოვიყვან, ჩვენთან ბანაკში რომ არ მოხვდესო.

სამწუხაროდ, „რაფი“ იქ აღარ დაგვხვდა.

ხალხი ტრიალებდა იქ, მაგრამ ამან მაინცდამაინც ყაბარდოელებს დაუძახა და ჰკითხა: — სად წავიდაო ტყვეებით გატენილი მანქანა? გუდაუთაშიო, უთხრეს.

მერე და მერე გავიგე, რომ ჩეჩნები აფხაზებისა და სომხების მიმართ არ იყვნენ კეთილგანწყობილნი. აფხაზებს ჰურმარილს თუ „შენერდენ“, მაშინ კიდევ — ჰო, თორემ სომხებს არც ელაპარაკებოდნენ. აფხაზებს ერთმანეთში ისეთ სახელს ეძახდნენ, თქმაც მეუხერხულეზა.

— წამოხვალ გუდაუთაში? — მკითხა.

— არჩევანი შენზეა-მეთქი. სადაც წავიდოდა, მეც წაყვებოდი, სხვა რა გზა მქონდა?!

წავედით. მიაფრენდა მანქანას და მალე ჩავედით. წითელ სახლთან გაჩერდა. ასე მითხრეს, არძინბას სახლიაო.

მე და ერთი ჩეჩენი მანქანაში დავრჩით (მეორე ადრე გადავიდა, ცოლი ჰყავდა გუდაუთაში).

„მოკრივე“ შევიდა იმ სახლში...

(მოდიო, შევთანხმდეთ: გენადი ფიცხელაურმა თავისი გადამრჩენის სახელი და გვარი ზუსტად მითხრა. სხვათა შორის, სიზუსტე, დეტალურობა მის მონათხრობს განსაკუთრებით გამოარჩევდა. მაგრამ იმის გამო, რომ ასეთივე სიზუსტე ამ პუბლიკაციაში, შესაძლოა, იმ ჩეჩნისთვის უსიამოვნების მიზეზი

გახდეს, მოვიხსენიოთ იგი „მოკრივედ“. ამგვარი იძულებითი მინიშნების გაკეთება რამდენჯერმე მოგვიწევს. — ა. ს.)

— მაშინ, განსაკუთრებით, პირველ დღეს ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებდი და არ ვიჯერებდი, რასაც მოკრივე მეუბნებოდა, — **მიყვება გენადი**, — მერე თანდათან დავრწმუნდი, რომ არ მატყუებდა. მაგრამ იმ დღეს, წითელი სახლიდან რომ გამოვიდა და მითხრა, არძინბა ვნახე და მითხრა, — არც შარტავა, არც სხვა ვინმე ქართველი აქ არ მოუყვანიათო, არ დავიჯერე!

ამ ჩემმა მოკრივემ არძინბა რომ ნახა და ელაპარაკა, არ დავიჯერე.

წამოვედით ისევ სოხუმისკენ, ვეძებთ ჩვენებს.

გუმისთის ხიდზე რომ გადმოვედით, უკვე ბინდებოდა და აქ იმან, გვერდზე რომ მეჯდა, მოკრივეს დაუძახა:

— **Останови, останови! Там трупы валяются!**

აქეთ რომ მოვდიოდით, მაშინ არ იყო.

შემობრუნა მანქანა მოკრივემ.

აქ, „ბენზოკალონკის“ წინ, მოედანზე 25-მდე დახვრეტილი ჯარისკაცი მიწაზე ეყარა.

— შენს ბიჭებს იცნობ? — მკითხა მოკრივემ.

— რას ჰქვია, არ ვიცნობ! — ვუპასუხე.

ზედ მიაყენა მანქანა. ჩემი გადმოსვლა არ შეიძლებოდა, აფხაზები ტრიალებდნენ იქ.

შევხედე... ჩვენები იყვნენ... შარტავას ხალხიც იყო.

ჩეჩნებმა მითხრეს, — ესენი აქ არ არიან დახვრეტილიო.

დავაკვირდი და, მართლაც, სისხლი არსად ჩანდა.

სხვაგან დაეხვრიტათ და აქ გადმოეყარათ, ვინც როგორ დაცვა, ისე ეგდო...

საშინელი სურათი იყო.

ჟიული შარტავა მათ შორის არ იყო, რომ ყოფილიყო, აუცილებლად ამოვიცნობდი — რუხი ფერის ქურთუკი და მუქი შარვალი ეცვა იმ დღეს...

თერთმეტი კაცი ამოვიცანი, რომლებიც ძალიან შეცვლილი არ იყვნენ სახეზე... ზოგს თავი ჰქონდა მოჭრილი, ზოგი პირქვე იყო დამხობილი და მე, აკი, გითხარით, მანქანიდან ვერ გადმოვდიოდი...

ჩვენები იყვნენ, საუბედუროდ.

შეპარდნაჲ ჩო უოფილიყო...

რომ აწონილიყო ჩემი წუხილი და ჩემი ტანჯვა და ერთბაშად დადებულყო სასწორზე, ახლა ზღვის ქვიშაზე უფრო მძიმე იქნებოდა: ამიტომაც სიმწრით არის სავესე ჩემი სიტყვები.

იოზი, 6,2-3

სოხუმში, ჩეჩნებთან გენადი ფიცხელაურს იმდენი რამ გადახდა, ცალკე მოსაყოლია. ახლა რამდენიმე ეპიზოდით შემოვიფარგლოთ.

მკითხველს, ასე თუ ისე, წარმოდგენა რომ ჰქონდეს, ვისთან იმყოფებოდა გენადი, მხოლოდ მიახლოებით ორიენტირებს დავეუსახელებ.

თქმა არ უნდა, რომ ეს ჩეჩნები „ბოევიკები“ იყვნენ, რომლებიც ისე არ იქცეოდნენ, როგორც იდეისტების მებრძოლები. მოხალისეები იყვნენ თუ დაქირავებულები, გენადის არ დაუზუსტებია; ისინიც გაურბოდნენ ამ თემაზე საუბარს; ბრძოლებსა თუ დამსჯელ ოპერაციებში არ მონაწილეობდნენ; ოჯახებში კი დადიოდნენ, ალაფისტვის, ცხადია.

გენადის „სტატუსი“ ამ ჯგუფში იყო სამხედრო ტყვე, ოლონდ შეიარაღებული მათი თანამონაწილე. მიმართავდნენ — Брат! (ძმავ).

— მოკრივე თავისი ჩეჩნებით და მეც მათთან ერთად დავბინავდით სემირჯიევის ქუჩაზე, სამუშაოების სახლში.

— ადრე პრესტიჟული უბანი იყო, — **მიყვება გენადი**, — მაშინ-შვილი სამუშაოები აფხაზებს აქვე, ეზოში, დაუხვრეტიათ. ცოლ-შვილი გაქცეულა და, როგორც ლტოლვილები, სადღაც შეხიზნულან.

მაგომედა შემარქვეს, გვარიც — მაგომედოვი, თუმცა ეს არავითარი კონსპირაცია არ იყო, რადგან აფხაზები მცნობდნენ. იცოდნენ, რომ ქართველი ვიყავი, მაგრამ ჩეჩნების შიშით უბატონოდ ხმას ვინ გამცემდა! არც ჩეჩნები მალავდნენ ჩემს სადაურობას. ერთადერთი, რაც კატეგორიულად ამიკრძალა მოკრივემ, — არსად წამოგცდეს, რომ მინისტრთა საბჭოს შენობაში იბრძოდი, თორემ შემდეგ ველარ დაგეხმარებო.

წამოსვლის დროს საბუთებიც მაგომედოვის გვარზე გამიფორმეს, მაგრამ ეს ერთი თვის შემდეგ მოხდა.

იქამდე, არ დაგიმაღავთ, ბევრ „ოპერაციაში“ მივიღე მონაწილეობა. ქართველებისთვის მოპარული მანქანები ბევრი წავართვით იქაურ ბოევიკებს, განსაკუთრებით — სომხებს. და, საერთოდ, მანქანა თუ ავეჯი, ჭურჭელი თუ ტანსაცმელი გაიზიდა და გაიზიდა სოხუმიდან. ყველა ყაჩაღობდა და ყველას ქურდავდნენ; განუკითხავად იკავედნენ ბინებს, სახლებს. რამდენჯერ შეტაკებიან ჩეჩნები, აფხაზები, სომხები ერთმანეთს! სახლების დასაკუთრების დროს მოვიდოდნენ, ვთქვათ, სომეხი „ბოევიკები“, მოეწონებოდათ სახლი, შეიჭრებოდნენ, გამოჩნდებოდნენ აფხაზები და გააგდებდნენ, ან — პირიქით. ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რომ იმავე ღამეს განაწყენებული მხარე იმ სახლს ცეცხლს წაუკიდებდა. ვინ ჩააქრობდა, ან სად იყო წყალი!

ასე რომ, ნურავინ წარმოიდგენს, თითქოს იქ მართლაც აფხაზების თავისუფლებისთვის თავგანწირულად მებრძოლი ინტერნაციონალისტების არმია გვეომებოდა.

ერთსულოვნება იყო იმაში, თუ ვინ რამდენს მოიტაცებდა და მოიპარავდა.

ჩვენი ჯგუფიც არ იყო გამონაკლისი, მაგრამ ქართველებისთვის რაღაც სასარგებლო მაინც გავაკეთეთ. არ გეტყვით, რომ ჩვენები ქონებას ხელს არ ახლებდნენ, მაგრამ, თუ ქართველების ოჯახში აღმოვჩნდებოდით (დრანდაში, მერხეულში, მაგალითად), წერილებს ვუტოვებდი პატრონებს, თითო წინადადებას, რომ აქ ჩეჩნების მეგობრები ცხოვრობდნენ.

ერთი-ორჯერ მივაკითხე, შედეგი თუ მოჰქონდა რამე ამ ბართებს, მითხრეს, — კიო. და მერე უფრო გულმოცემულად ვწერდი.

ეს, არც თუ იშვიათად, იმ ოჯახების წევრების სიცოცხლის გადარჩენას უდრიდა.

ჩეჩნებისა ყველას ერიდებოდა, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტები მათთანაც მოსდიოდათ.

3 და 4 ოქტომბერს სოხუმში ჩეჩნები და აფხაზები რაღაცის გამო სერიოზულად შეეჯახნენ ერთმანეთს, 5 ჩეჩენი დაიღუპა. ერთი, მათ შორის, ეტყობა, კარგი ბიჭი იყო — მონგოლა ერქვა. ამ ფაქტმა შეძრა ჩეჩნები, მაგრად ეწყინათ.

წინასწარ იმასაც გეტყვით, რომ, თუ სადმე სუფრაზე მოვხვდებოდით, გინდაც აფხაზებთან, ეს ჩვენი მოკრივე გამოაცხადებდა: Этот грузин мой брат(!) და მერე იმაზე უკეთ მე მემსახურებოდნენ.

იმ სალამოსაც გააფხაზებული მეგრელების ოჯახში ვიყავით სუფრაზე. ნამდვილად ასე იყო. იმიტომ, რომ მასპინძელი, რომელიც ხელოსანი იყო, წინა დღეს მანქანას გვიკეთებდა და, როცა ჩაქუჩი შემთხვევით ხელზე დაირტყა, თავისთვის მეგრულად შეიგინა.

იმ სუფრიდან ადრე წამოვედი, ვერიდებოდი მთვრალ საზოგადოებაში ყოფნას.

დაახლოებით ღამის სამ საათზე ხმაურით იღება ჩემი ოთახის კარი და კბილებამდე შეიარაღებული მოკრივე შემოდის.

გამიკვირდა: დაუკაკუნებლად არასოდეს შემოსულა ჩემთან. მეუბნება: თუ გინდა, წამყევი, — შენი ბიჭების სისხლის ასაღებად მივდივარო.

ავისხი იარაღი და...

და მოკრივესთან ერთად გენადი ფიცხელაურმა ისეთი „ოპერაცია“ ჩაატარა იმ ღამეს, რომ დილით მინისტრთა საბჭოს შენობის წინ (თავ-თავიანთ „ბირჟებზე“ იკრიბებოდნენ აქ თურმე ჩეჩნები, კაზაკი, ოსი და სხვა ბოევიკები) ჩეჩნებმა აღტაცების ნიშნად ჰაერში რამდენჯერმე ისროლეს...

— ჩეჩნებს ჩვენზე, ქართველებზე, „გართულება“ არ ჰქონიათ, აფხაზებზე და სომხებზე — კი. მათ ყველა ჯურის ბოევიკთან ურთიერთობა ჰქონდათ, გარდა სომხებისა, მათთან ნაცნობობასაც კი ერიდებოდნენ.

ერთხელ ქუჩაში ზანგები დავინახე უცხოური ტანსაცმლითა და უცხოური იარაღით. 20-მდე კაცი იქნებოდა. გამიკვირდა, ამათ აქ რაღა უნდათ-მეთქი?!

— ზანგებიც ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ? — ვკითხე მოკრივეს.

გაეცინა და მიპასუხა, — ესენი სირიელი სომხები არიან, თქვენი მეზობლების ნათესავებიო.

ერთხელ გუდაუთის შესასვლელში პიკეტთან ვიყავით გაჩერებული. ამ დროს აქ „ვოლგით“ არძინბა მოვიდა. დიდის ამბით მიესალმა და მოიკითხა ეს ჩემი ჩეჩენი. მოკრივემ უთხრა: „ბჭუზმნ ყრ სნრლ ყმლმი“. მე ავტომატით ვიჯექი მანქანაში. რომ დავბრუნდით, ვკითხე, ასე რომ ელაპარაკები ჩემზე, ეს

საქმეს ხომ არ გაგირთულებს-მეთქი. არაო.

აი, მაშინ გავბედე და პირდაპირ ვუთხარი, არ გინდა, რომ ცნობილი კაცი გახდე? არნძინბა გავასალოთ-მეთქი.

— Не стоит, Гена, — მიპასუხა, — შეხედე, რამდენი აფხაზია ირგვლივ (იქ კი ბევრი აფხაზი ირეოდა), აი, შევარდნაძე რომ იყოს, არაფერი გაგვაჩერებდა!..

27 სექტემბერს, დილით, ბატონი ედუარდი ჩვენთან რომ მოვიდა მინისტრთა საბჭოში, ესენი თურმე ჩასაფრებული ელოდნენ. იქ იმ დილით „ვოლგა“ რომ შემოსულიყო, მთელი ძალებით შეუტევდნენ...

— შევარდნაძის დასატყვევებლად?

— ასპროცენტიანია... 27 სექტემბერს, გუდაუთიდან რომ დაებრუნდით და გზაში ჩვენი ბიჭები დახვრეტილები ვნახეთ, იმ დღეს ინგლისელ კორესპონდენტთან მიმიყვანეს, — აი, ქართველი ტყვეო.

— Шеварднадзе был сегодня здесь? — შემეკითხა.

— Да, был. — ვუპასუხე.

დაბნეულობა შევატყვე. ჩანს, წინასწარ დამუშავებული ჰყავდათ აფხაზებს, რომ შევარდნაძემ უპატრონოდ მიატოვა ქალაქი. ძალიან უნდოდა, აშკარად ჩანდა, მისი ეს ვერსია დამედასტურებინა, რომ ვერ გავუმართლე, სხვა კუთხიდან მომიარა:

— Когда вы узнали, что Шеварднадзе убежал?

— Только что узнал.

გაეხარდა და დაზუსტება მოინდომა.

— Кто вам сказал?

— Вы сказали-მეთქი.

არ ვიცი, სხვას რას მოელოდა ის მატრაბაზი (გენამ სხვა სიტყვა იხმარა. — ა.ს.) კორესპონდენტი ჩემგან, მაგრამ აშკარად ნაყიდი რომ იყო, შუბლზე ეწერა.

მისი არ მიკვირს, ის კი ვერ გამიგია, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ამ ნაყიდი რეპორტიორივით რომ იქცევა...

მატრაბაზი (გენამ ისევ სხვა სიტყვა იხმარა) ჟურნალისტისთვის ხასიათი საბოლოოდ რომ გამეფუჭებინა, სულ წვრილად მოვუყევი, როგორ მოვიდა იმ დილით ბატონი ედუარდი ჩვენთან, როგორ წავიდა პოზიციებზე, როგორი უშიშარი კაცია.

* * *

ერთი თვის შემდეგ გენადი ფიცხელაური სათანადო საბუთებით ადღერში ჩაიყვანეს.

«სოხუმის გადაჩენის იდეა რომ გადაიწერა»

„კაცის სული ხომ ზოგჯერ მეტს გვაუწყებს, ვიდრე
მაღალზე მჯდომი შვიდი მეთვალყურე“.

სიბრძნე ზირაძისა, 37, 14

ლონდერ ცაავა სოხუმში ჩასული იყო, როგორც სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი. იგი ძალიან კარგად იცნობდა აფხაზეთს — გაგრაში მუშაობდა მამამისი, იქ ცხოვრობდა. ჰქონდა ბევრი შეხების წერტილი აფხაზებთან, ნაცნობობა და მეგობრობა — უფრო მეტი.

ლონდერ ცაავა ყვება:

— სამიშროების მუდმივი განცდა, მუდმივი დაძაბულობა ჩვენი ნორმალური მდგომარეობა იყო. რეალობა გვაიძულებდა, შევეგუებოდით განუწყვეტელ დაბომბვას, სროლას, სისხლს, სიკვდილს... ამ უმძიმეს სიტუაციაშიც კი ედუარდ შევარდნაძეს არ ლალატობდა სიმხნევე და იუმორის გრძობა, მოსწრებული თქმით, ხუმრობით განმუხტავდა სიტუაციას და ეს იყო ჟანგბადის ყლუპივით უჰაერო სივრცეში.

ნებისმიერ კრიტიკულ მდგომარეობაში ემოციის დაცხრობის, დამშვიდებისა და მხოლოდ ამის შემდეგ გადანყვებილების მიღების მაგალითს გვაძლევდა, მაგრამ მოგიყვებით ერთ შემთხვევას, როდესაც ემოციამ აჯობა მის სამაგალითო თავდაჭერილობას.

ისე მოხდა, რომ ოთახში ოთხნი აღმოვჩნდით: ბატონი ედუარდი, ჟიული შარტავა, სანდრო კავსაძე და მე.

სოხუმის გადარჩენის იმედი რომ გადამეწურა (მდგომარეობიდან გამომდინარე, ცხადია), რამდენჯერმე ვუთხარი ბატონ ჟიულისაც და ბატონ სანდროსაც, — ხომ არ გვეფიქრა-მეთქი იმაზე, რომ სახელმწიფოს მეთაურს დაეტოვებინა ქალაქი? თუ არა და, გარანტირებული უსაფრთხოების პირობები შევუქმნათ-მეთქი. მაგრამ ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, არარეალური ჩანდა. ომი იყო. ისინი იზიარებდნენ ჩემს შემოფოთებას, მაგრამ ვინ გაუბედავდა და ეტყოდა ამას ედუარდ შევარდნაძეს?

საუბრის წამოწყებაც კი ძნელი იყო, თუმცა სერიოზული არ-გუმენტი ყველას უამრავი გაგვანდა.

აი, თუნდაც ერთი: სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე მტერმა რადიოსარელეო კვანძი აიღო და ყოველგვარი კავშირი გარე სამყაროსთან განწყდა. წარმოგიდგენიათ, სახელმწიფოს მეთაური კავშირის გარეშე? ვფიქრობდით, რომ, თუნდაც ამის გამო, იგი უნდა გადასულიყო თბილისში ან სხვაგან, სადაც ასეთი კავშირი ექნებოდა და იქიდან ემართა სიტუაცია. სოხუმში ხელფეხმოჭრილივით იყო...

იმ დღეს, რომელზეც ვსაუბრობ, სანდრო კავსაძემ წამოიწყო ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ გაუბედავად იყო ნათქვამი თუ გაუგებრად, ვერ გეტყვით, ისიც შეიძლება, რომ ბატონმა ედუარდმა განგებ ნაუყრუა — ვერ გაიგო თითქოს, ისეთ უაზრობად მიიჩნია, არ აღმფოთებულა — რა დროს მაგაზე ლაპარაკიანო, ეს კი თქვა და განაგრძო საქმე.

მისი ასეთი რეაქცია საჩვენოდ ავხსენით: ესე იგი, შეიძლება ამ საკითხზე საუბარი და რაღაც არგუმენტი სახელმწიფოს მეთაურის ამ სიტუაციაში ყოფნის შეუძლებლობაზე მეც მივაშველე.

ამაზე ცოტა უფრო მკაცრად გვიპასუხა, მაგრამ არ მოგვეჩვენა, რომ კატეგორიული იყო, თანაც სასწორზე მისი სიცოცხლე იდო და უკან დახევვა უკვე მართლა არ შეიძლებოდა. ვანიშნეთ ბატონ ჟიულის, გაეგრძელებინა და მანაც თქვა ის, რაზეც ჩვენ ერთმანეთში პრინციპულად შეთანხმებული ვიყავით.

და მაშინ დაკარგა წონასწორობა პირველად და უკანასკნელად ედუარდ შევარდნაძემ და საფერფლეს დაავლო ხელი.

განრისხებულმა დაავლო ხელი საფერფლეს და მოგვიქნია: — როგორ ბედავთ ამის თქმას და, საერთოდ, რაზეა ლაპარაკი?!

ასეთი შევარდნაძე არც გინახავთ და ვერც წარმოიდგენთ, მაგრამ ასე იყო.

ასეთი შევარდნაძე სოხუმიდან წამოვიდოდა?

— ბოლო დღეს, ოცდაშვიდში, — აგრძელებს საუბარს ლონდერ ცაავა.

და პაუზა, — ჭრილობის გახსნასავით.

ფიქრით სოხუმშია.

ვისარგებლებ ამ პაუზით და გეტყვით, რომ იმ დღეებში ხელმძღვანელები ფრონტის ცალკეულ მონაკვეთებზე გააპიროვ-

ნეს. ლონდერ ცაავას აეროპორტი ჩააბარეს: ერთადერთი დამაკავშირებელი, არ ვიცი, რა ვუნოდო, ალბათ, — არხი თბილისთან, ისიც — ფრიად პირობითი, რადგან განუწყვეტლივ იბომბებოდა აეროპორტი.

ყვება ლონდერ ცაავა აეროპორტის ამბავს:

— აქ, ჩვენს დეპუტატებთან: ვახტანგ ყოლბაიასთან, გია გვაზავასთან, აფხაზეთის გენერალურ პროკურორ ანზორ ლაცუზბაიასთან და თბილისის ნაძალადევის რაიონის პროკურორ ლაურ ჯანაშიასთან ერთად ვიყავი. ამ უკანასკნელის აფხაზეთში ყოფნის შესახებ, ფაქტობრივად, არავინ არაფერი იცის. მან კი, მე რომ მკითხოთ, თაობის წინაშე მოიხადა ვალი...

თითქმის ყველა ჩვენი თვითმფრინავი, რომლებიც აეროდრომს მიუახლოვდა, ჩამოაგდეს. ჩემ თვალწინ დაშვებისას აფეთქდა მხედრიონელების თვითმფრინავი... გადახსნილი, შიგ ჩამწვარი ხალხით ეგდო ასაფრენი ზოლის გარდიგარდმო.

სამინელებაა!..

ასაფრენი ზოლი ბლოკირებულია — ჭურვებისა და თვითმფრინავების ნამსხვრევები, დახოცილები, დამწვარი ბიჭები... მტრის არტილერიას, პრაქტიკულად, ჩარაზული აქვს დასამვეები ტრასა. რაიმე იმედი, რომ აქ კიდევ დაეშვება რომელიმე თვითმფრინავი, არ არის. და სწორედ ამ დროს მირეკავს სანდრო კავსაძე შტაბიდან და მეუბნება, რომ ხვალ საღამოს ასაფრენი ზოლი მზად უნდა იყოს თბილისიდან საგანგებო მნიშვნელობის რეისის მისაღებად.

ამ დავალების შესრულება მშვიდობიან დროსაც გაჭირდებოდა. აქ კი...

მაგრამ საქმე ეხებოდა ტყვია-ნამალს, რომელიც ჩვენს ნაწილებს თითქმის მთლიანად გამოლეული ჰქონდათ და კიდევ — ეს იყო ბრძანება, ბრძანება ომის დროს გაცემული, მაშასადამე, შესასრულებელი!

ეს ბრძანება შესასრულებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ არ ეღალატებოდა იმ ხალხს, რომელიც თვითმფრინავს თბილისიდან წამოიყვანდა, და ძალიან კარგად იცოდა, თუ რა რისკს განეკვდა. ლონდერ ცაავამ ავიაციის ჩვენი დეპარტამენტის ხელმძღვანელის — ზურაბ ჭანკოტაძის პირად ვაჟკაცობაზე ილაპარაკა, იმაზე, რომ იგი მხოლოდ დავალებას კი არ აძლევდა პილოტებს, თვითონაც გვერდით დაუჯდებოდა და, ერთი

მხრივ, საკუთარ სიცოცხლესაც სასწორზე დებდა, მეორე მხრივ, კოლეგებს მხნეობას მატებდა — სადაც თქვენ, იქაც მე და ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.

იმედია იმ ფრინავი უსაფრთხო ფრენის სერიოზული გარანტია.

კი — მოფრინდებიან.

მაგრამ...

მაგრამ გააფთრებით ბომბავენ სოხუმის აეროპორტს. მტერს კარგად ესმის მისი მნიშვნელობა ჩვენი ჯარისთვის. თითქმის ყველაფერი, რაც აეროდრომზე იდგა, დაზიანდა და დაინვა — დამხმარე შენობები, მომსახურების ტექნიკა, თვითმფრინავი. ცეცხლია ისეთი ძლიერი, რომ აეროპორტის დირექციის შენობის პირველ სართულზე თავშეფარებულ ჩვენებს არავითარი გარანტია არ აქვთ, რომ თვითონაც ნანგრევებში არ მოჰყვებიან.

მაგრამ სამუშაო უნდა შესრულდეს, ძალიან მძიმეც და ძალიან სათუთიც: ასაფრენ ზოლზე ხომ დამწვარი ბიჭები არიან დასვენებული!

ამ დროს კი მთელი დასავლეთის ფრონტი, რომელიც სოხუმშია უკვე კონცენტრირებული, ელოდება ტყვია-წამალს, რომელსაც თბილისიდან ჩამოიტანს საგანგებო დანიშნულების თვითმფრინავი.

შეუძლებელი შეძლეს. შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, რომელიც იქვე, ბუნკერში, აფარებდა თავს, მაგრამ, რომ სთხოვეს, გამოვიდნენ მამაკაცები და თითქმის შიშველი ხელებით გაზიდეს ომის ნამუსრევი. როცა ძალიან გახშირდებოდა სროლა, ბუნკერში „გადაინვიმებდნენ“ და შემდეგ ისევ მუშაობდნენ...

იმ საღამოს სოხუმის დამცველებმა ტყვია-წამალი მიიღეს.

ის საღამო 26 სექტემბერი იყო.

27-ში დილით ლონდერ ცაავა ქალაქში ჩავა.

ხოლო დაღუპულები...

მე ვერ აგინერთ იმას, რასაც ლონდერ ცაავა მოყვა — რა უმაღლესი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ამ ცეცხლის გენაში საკუთარ სიცოცხლეზე ფიქრი დავიწყებოდა და სხვისი ჩამქრალი სიცოცხლისთვის, წესისამებრ, პატივი მიეგო.

— 27-ის დილიდან ისევ სოხუმში წავედი და ანზორ ლაცუზბაიამ და ლაურ ჯანაშიამ, ამ ორმა კაცმა, მაშინ, როცა ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, სადღაც იშოვეს ავტომანქანა, ბენზინიც და 100-ზე მეტი დამწვარი, უკვე გახრწნილი გვამი სათითაოდ ცელოფანში გაახვიეს. ყველა დალუპულის საბუთები მოძებნეს, წაანერეს თითოეულის ვინაობა, ყველა სათითაოდ დაასაფლავეს, ყვავილები დადეს ყველა საფლავზე და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრეს იქიდან წამოსვლაზე.

ამ ვალის მოხდაზე გეუბნებოდით...

თქვენ იცით, რომ ფრონტის წინა ხაზი მინისტრთა საბჭოს შენობაზე გადიოდა. გულახდილად გეტყვით, ძალიან მეექვსეობდა, რომ იმ დროს სამოქალაქო დაწესებულების იქ ყოფნა გამართლებული იყო. ვუთხარი კიდეც ამის შესახებ ჟიული შარტავას 26-ში საღამოს. თითქოს მეთანხმებოდა, მაგრამ მაინც იმ აზრზე დარჩა, რომ ჩვენი ყოფნა მინისტრთა საბჭოს შენობაში დიდი იმედი იყო ხალხისთვის: ხშირად რეკავენო, მითხრა, მართლაც ასე იყო, და, ჩვენ რომ აქედან ვუპასუხებთ, გამხნევედებიან და პანიკა არ იქნებაო.

27-ში, დილით, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან — ავთანდილ ჯორბენაძესთან და მის პირველ მოადგილესთან — ლადო გიორგაძესთან ერთად უკრაინის გემებზე დაჭრილები-სა და გვამების ტრანსპორტირების ორგანიზებით ვიყავი დაკავებული. მანამდე კი, დილაადრიან გულრიფშის საპასპორტო მაგიდის უფროსს — ზაურ საჯაიას ვთხოვე, მინისტრთა საბჭოში მივსულიყავით, დაგვეხედა ჩვენებისთვის. თუ გული გეთანაღრება, ნუ წამოხვალ-მეთქი, ესეც ვუთხარი.

ისე შემომხედა, შეეგინებინა, აჯობებდა.

წითელი ხიდი რომ გავიარეთ, ეს ყველაზე საშიში ზონა, და ქალაქში შევედით, შემზარავი სიჩუმე დაგვხვდა, ავის მომასწავებელიო, რომ იტყვიან, ისეთი. იმ დილით ქალაქის ცენტრში, მგონი, მარტო ჩვენი მანქანა მოძრაობდა და არავინ ისროდა.

შევედით შენობაში და ყველა იქ არ დაგვხვდა?! აკაკი გასვიანი, რაულ ეშბა, გურამ გაბისკირია, ჯუმბერ ბეთაშვილი, აპარატის მუშაკები, მაპატიონ, ყველას თუ ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, ჩემი აზრით, არამედ ის, რომ არც ერთი მათგანი შენობის დატოვებას არ აპირებდა. ყველა მხნედ



სოსუმის აეროპორტი — შეწყვეტილი რიისი

და საბრძოლო განწყობილებით იყო, თუმცა მაშინ ჩვენ არ ვფიქრობდით, რომ ყველაფერი ასე მალე დამთავრდებოდა.

სამუშაო ოთახი მეთერთმეტე სართულზე მქონდა. რალაც დოკუმენტები დამრჩა წასაღები. ავედი. ავიღე. და ის იყო ჩამოსასვლელად გავემზადე, რომ ფუნიკულიორის მხრიდან ცეცხლი დაუშინეს მინისტრთა საბჭოს შენობას. აქა-იქ ხანძარიც გაჩნდა.

გავედით.

ჩავსხედით მანქანაში. ქვემოთ, სანაპიროზე, ხელჩართული ბრძოლა შევნიშნეთ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი უკვე ქალაქში იყვნენ.

გადმოვედით წითელ ხიდს და მივედით შტაბში. იქ, ყოფილ სანატორიუმში, სადაც ჩვენი ჟურნალისტები, ოთხმხრივი კომისიის წევრები იყვნენ დაბანაკებული, რომ გამეფრთხილებინა — ეზრუნათ ევაკუაციაზე. ვერავინ ვნახე, გარდა გაეროს გენერლის ვიდეგარტის და მისი თანმხლები ქალისა.

აქ ერთ მომენტზე გააკეთა აქცენტი ლონდერ ცაავამ:

— სოჭიდან, სადაც ბოლო მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა, ორი შვეულმფრენით ბრუნდებოდნენ ჩვენები. პირველში ჩვენი დელეგაცია იჯდა, მეორეში — ოთხმხრივი კომისიის სხვა წევრები, მეთვალყურენი. გუდაუთას რომ მიუახლოვდნენ, აფხაზებმა (დავარქვათ ასე) შესანიშნავად გათვლილი და

დამუშავებული მანევრით აიძულეს ეს მეორე შვეულმფრენი, იქაურ აეროდრომზე დამჯდარიყო. ასე მარტივად გამოიყვანეს აქტიური საომარი ოპერაციების ზონიდან, დაგეგმილი შეტევის ზონიდან საერთაშორისო დამკვირვებლები — „უხერხული მონმენი“, რითაც სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორი მოხსნეს.

ის გენერალი, რომელიც სანატორიუმში დახვდა ლონდერ ცაავას, უნებურად მძევლის როლში აღმოჩნდა.

— ჩემი დამტვრეული ინგლისურით ავუხსენი მდგომარეობა. ჟიული შარტავა შტაბიდან წასულიყო მინისტრთა საბჭოში. მისი უახლოესი მეგობარი და ნათესავი ბონდო კუჭავა, რომელიც წუთითაც არ სცილდებოდა მას, ძალიან შეწუხებული დამხვდა.

— ხომ იცი მაგის ხასიათი, — მითხრა ჟიულიზე, — თავი მოიკლა და არ წამიყვანა, არც აქ დარჩა. ახლა დაგვირეკეს, რომ ალყაშია მინისტრთა საბჭო.

ედუარდ შევარდნაძე სასწრაფოდ ინვევს თათბირს — უნდა ვუშველოთ ალყაში მოხვედრილებს.

მკაპალნი ღაეხნენ მასვილისაგან, მებრამ უმკაპალსნი — ენით

მოსვენებას ვერ იპოვის ქორის მსმენელი და
მშვიდად ვერ იცხოვრებს.

სიბრძნე ზირაქისა, 28, 16

სახელმწიფოს მეთაურს შეატყობინეს — ჟიული შარტავა
სოხუმში, მინისტრთა საბჭოში დაბრუნდაო.

შენობა ალყაშია.

ედუარდ შევარდნაძე სასწრაფოდ ინვევს თათბირს. ოპერა-
ტიულად უკავშირდებიან რუსეთის მხარეს — პასტუხოვს,
სხვებს. ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას სთხოვენ. ორი
ტანკი დაიდრა სოხუმისკენ და წითელ ხიდთან ცეცხლის წინა-
ღობამ შეაჩერა; ძალამ გადახნა აღმართი და ყველა აქ დარ-
ჩენილის გულზე სისხლიანი სვრელი გაიტანა.

— ომის ტალღა უკვე სინოპს მოადგა. გაუსაძლისია საარტი-
ლერიო შემოტევა, შტაბის იქ გაჩერება უაზრობაა. ბატონი ედუ-
არდი ფეხს ითრევს — ჟიული შარტავას გამოხსნის შედეგს
ელოდება. ყველაფერი გაკეთდა — შესაძლებელიც და შეუძლე-
ბელიც, მაგრამ მინისტრთა საბჭოს შენობაში მყოფთ სასწაუ-
ლი თუ გადაარჩენდა, თორემ ყველა ადამიანური მცდელობა
უნაყოფო გამოდგა.

ამ დროს გამოჩნდა გურამ ჯანიაშვილის ჯგუფი და მოვლე-
ნების შემდგომი განვითარების შესახებ მკითხველებმა უკვე
იციან.

ერთ ამბავს გავიხსენებ მხოლოდ იმიტომ, რომ პრესაში გახ-
შირდა იმ ადამიანთა პუბლიკაციები, რომელთაც სოხუმის და-
ცემის კონკრეტულ სიტუაციასთან არაფერი ჰქონდათ საერ-
თო და პირველწყაროს უფლებას კი იჩემებენ.

ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ თავდაცვის ყო-
ფილ მინისტრთან, რომელშიც თენგიზ კიტოვანი შევარდნაძე-

ქობალიას საუბრის „სენსაციურ“ ვარიანტს აწვდიდა მკითხველებს.

ეს სატელეფონო საუბარი „ჩვენ დავიჭირეთ, — ნათქვამია ინტერვიუში, — და გაოგნებული ვუსმენდით. დიალოგი შემდეგი შინაარსისა იყო:

- როგორ ხარ, ჩემო ლოთი?
- კარგად, ბატონო ედუარდ.
- მიიღეთ ჩემგან ყველაფერი?
- ყველაფერი მივიღეთ, გადმოვალთ მალე.
- აბა, ჩემო ლოთი, გეხვევი, გკოცნი, შენი ედუარდი“.

ყოფილი თავდაცვის მინისტრი თავის მოწმეებს ასახელებს. არ ვიცი, ისინი (გიგლა ბარამიძე, ირაკლი ქადაგიშვილი) დაუდასტურებენ თუ არა ამ სატელეფონო საუბრის მისეულ ვერსიას, მაგრამ მე სულ სხვა საუბრის მოწმე ვიყავი.

ვეჭვობ, რომ „მაკომპრომენტირებელ ფაქტად“ შემოგდებული „საუბარი“ შეგნებულად დამახინჯებული ვარიანტია იმ საუბრისა, რომელიც მართლაც გაიმართა, თუ საუბარი შეიძლება ენოდოს რამდენიმე წინადადებას, რომლებიც იქ მყოფებმა მოვისმინეთ.

გაგახსენებთ სიტუაციას.

საქართველოს სამთავრობო ჯარს, ტექნიკას ქობალიას რაზმებმა გზა გადაუკეტეს, კოდორზე გადმოსასვლელ ხიდს აფხაზები აკონტროლებენ. მისადგომები დანალმულია.

სხვა გზა სოხუმში შემოსაღწევად პრაქტიკულად არ არსებობს. მაშინ ქობალიას სიტყვა რომ არ გაეტეხა, განზე რომ არ გამდგარიყო, ღრმად ვარ დარწმუნებული, შევძლებდით სოხუმის გადარჩენას, რადგან, ჯერ ერთი, დიდძალი ცოცხალი ძალა, ტექნიკა, შეიარაღება მოგვეშველებოდა და, მეორეც, დამხმარე ძალის გამოჩენა სოხუმის დამცველებს „მეორე სუნთქვას“ შემატებდა, გაამხნევებდა. ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.

ცნობილია, სუფრაზეც კი უჭირს კაცს დიდხანს გაძლება. წარმოიდგინეთ, როგორ იყვნენ ფიზიკურად და ფსიქიკურად გადაღლილი ჩვენი მებრძოლები, მათი მეთაურები 11 დღის განმავლობაში წინა ხაზზე განუწყვეტელი ბრძოლების, დაბომბვის, სულ რაღაცის მოლოდინში. რაც მათ გადაიტანეს და რასაც გაუძლეს, უკვე გამირობაა, მე რომ მკითხოთ.

აი, ასეთ ვითარებაში დამხმარე ძალა რომ მოვა, გვერდით ამო-
გიდგება ან, უფრო უკეთესი, თუ შეგცვლის, დაგასვენებს, მტრის
ტექნიკას ჩვენი მიმიე შეიარაღება რომ გასცემს პასუხს, ხომ
წარმოგიდგენიათ, როგორ დაიმუხტებოდნენ ჩვენი ბიჭები.

კოდორის ხიდის გახსნა მოსახლეობის ევაკუაციასაც გააად-
ვილებდა, ზურგთან კავშირიც აღდგებოდა, ტყვარჩელი ბლო-
კირებული აღმოჩნდებოდა, გაერთიანდებოდა და მთლიანად
ჩაერთებოდა ბრძოლებში ის სამხედრო პოტენციალი, რომე-
ლიც საქართველოს ჰქონდა. მაშინ, ვინ იცის, როგორ განვი-
თარდებოდა სოხუმისთვის ბრძოლა.

15-16 აგვისტოს აფხაზეთისა და კონფედერატების ორდლი-
ანი ძლიერი შემოტევა ჩვენებმა რომ მოიგერიეს, ამით ძალიან
მაგრად განწყვიტეს ისინი წელში. ახლაც, სექტემბერში, აფხა-
ზებმა სოხუმს მთელი ძალებით, რაც კი გააჩნდათ, შემოუტი-
ეს, ზურგში აღარაფერი დაიტოვეს. ჩვენ რომ კოდორიდან დამ-
ხმარე ძალა მოგვესვლოდა, არამხოლოდ გაუძღვებდით ამ
იერიშს, არამხოლოდ მოვიგერიებდით და კონტრშეტევის სა-
შუალება მოგვეცემოდა, არამედ... მაგრამ ახლა გვიან არის ამა-
ზე საუბარი, თუმცა ანალიზისთვის, ალბათ, აუცილებელია.

ისიც არის, რომ, სოხუმის დაცვის უკეთ ორგანიზების შემ-
თხვევაში, მეომრებს ოდნავი დასვენების საშუალებაც რომ მის-
ცემოდა, ქალაქი არ დაეცემოდა...

ერთი სიტყვით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კო-
დორის დებლოკირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს სამხედროებმაც შესანიშნავად იცოდნენ და იმ ადამიანებ-
მაც, რომლებსაც თავიანთი პროფესიით ომთან საერთო არა-
ფერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ყველაფერს აკეთებდნენ ჩვენი
გამარჯვებისთვის.

სოხუმში იყო ერთი ბიზნესმენი — ნუგზარ გოგია, რომელ-
მაც ყველაფერი, რაც ებადა, ჯარსა და გაჭირვებულ მოსახლე-
ობას მოახმარა. ტელევიზიით, ალბათ, ბევრმა ნახა, როგორ
ელაპარაკებოდა ეს კაცი ქობალიას და წამოსვლას სთხოვდა.

ეს ხდება შარტავას კაბინეტში. აქ არიან ედუარდ შევარდნა-
ძე, ყიული შარტავა და მეც მათთან ერთად, შეიძლება სხვაც
იყო, აღარ მახსოვს.

ნუგზარ გოგიას თავისი გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა იმათ
მიმართ, ვინც კოდორზე იდგა. სიმპათიურად იყო განწყობილი

მათდამი, სჯეროდა, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი არ მიგვატოვებდა გასაჭირში. ჩანს, იმათი ხელმძღვანელობაც გარკვეულად დავალებული იყო მისგან და ამიტომაც ფიქრობდა, რომ მის სიტყვას ანგარიშს გაუწევდნენ. იმდენი ქნა ნუგზარ გოგიამ, რომ შარტავას ტელეფონით ქობალიას დაელაპარაკა: — აქ ხალხი იხოცება, გარღვიე ცეცხლი, გამოდი და მოგვეხმარეო, უთხრა. კიო, უპასუხა ქობალიამ. მერე ჟიული დაალაპარაკა.

არ გაგიგრძელებთ იმაზე საუბარს, რა ძნელი იყო ამ უკანასკნელისთვის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლისთვის, ლაპარაკი იმ კაცთან, რომელსაც ჟანგბადის მიღზე ფეხი აქვს დაჭერილი და, თუ მოესურვება, გასუნთქებს, თუ არა — უჰაერობით გაგგუდავს. შინაგანად ისეთ წმინდა პიროვნებას, როგორიც ჟიული იყო, ქობალიასთან საუბარი, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა.

მაინც დაელაპარაკა. ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს ყოველთვის აქვთ საშუალება, საკუთარი ქცევით გამოისყიდონ ჩადენილი ცოდვა. რატომ უნდა წაერთმიათ ასეთი შანსი ქობალიასთვის?

ეტყობა, ქობალიამ იგივე უპასუხა, რაც ნუგზარ გოგიას უთხრა. ჟიულიმ ყურმილს ხელი დააფარა და — ბატონო ედუარდ, დაელაპარაკეთ, თუ შეიძლებაო, — სთხოვა შევარდნაძეს.

იმან ხელი აუქნია, — არ დაველაპარაკებო.

საუბარი გააგრძელა შარტავამ და, ჩანს, ქობალიამ ძალიან დამარწმუნებლად უთხრა, ამდენი და ამდენი კაცი, ასეთი და ასეთი ტექნიკით, ზუსტად ამ დროს წამოვალთ. თუ ასეთი მძიმე მდგომარეობა იყო, აქამდე არ ვიცოდი, თორემ რა გამაჩერებდაო და ასე შემდეგ.

ისიც სათქმელია, რომ საუბრები ქობალიას მხრიდან უპირობო არ ყოფილა. ულტიმატუმი წამოგვიყენეს: რამდენიმე ჩვენი კაცი დააპატიმრეს და გაათავისუფლეთო, — ეს პირველივე საუბრის დროს გვითხრეს.

ვაჭრობის დროა? პირობების წამოყენების დროა?

საათები და წუთები წყვეტს ქვეყნის ბედს: ან — ჰო, ან — არა! კოდორისკენ იყურება დიდი და პატარა, შიკრიკებს ვაგზავნით, მეც არაერთხელ მივედი ხიდთან.

არავითარი მოძრაობა!

ვინ იყვნენ ის დაპატიმრებულები, რომელთა გაათავისუფლე-

ბაც მოგვთხოვეს? მოკლედ გეტყვით: საშიში ბოროტმოქმედები, რომლებმაც ბევრი უბედურება დამართეს საქართველოს.

ჟიული შარტავამ მაშინ უთხრა, ეს ის საკითხი არ არის, რომლის შესახებაც ამ ტრაგიკულ სიტუაციაში უნდა ვილაპარაკოთ. გადავდოთ შემდეგისთვის, ახლა სოხუმის გადარჩენაზე ვიფიქროთო.

მეორე ულტიმატუმი იყო მთავრობის ჯარების მიერ ქუთაისთან შემთხვევით დაკავებული ქობალიას მებრძოლების გათავისუფლება. საქმე ასე იყო: ცეცხლი რომ შეწყდა, მებრძოლებმა ერთმანეთთან გადასვლა იწყეს. რაც, სხვათა შორის, ლოგიკური იყო. ალოგიკური და უაზრობა მათ შორის ომი და დაპირისპირება იყო.

ერთხელაც, როცა ჩვეულებრივ ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ, იმ ადგილზე უკვე სხვა სამხედრო ნაწილი დახვდათ. ამ მიმოსვლის შესახებ არაფერი იცოდნენ და, წესისამებრ, დააპატიმრეს.

ამათი გათავისუფლება გვთხოვეს. დაუყოვნებლივ შევასრულეთ.

იმ დღეს ოთხჯერ ველაპარაკე ქობალიას.

დაბოლოს, როცა ძალიან დაბეჯითებით გვითხრეს, მოვდივართო, ჟიული შარტავამ, იმის მიუხედავად, რომ იცოდა, შევარდნაძეს არ სურდა ქობალიასთან საუბარი, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ დაპირება ბეჭედდასმული ყოფილიყო, ქობალიას უთხრა, — ახლა ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაგელაპარაკებო, და ყურმილი მიაწოდა სახელმწიფოს მეთაურს.

ეს ყველასთვის მოულოდნელად მოხდა.

და ედუარდ შევარდნაძემ გამოართვა ყურმილი.

ჩვენ, ვინც იქ ვიყავით, სმენად ვიქეციით.

— ალო! — მეტი არაფერი. ხომ არ მიმართავდა სახელით ან მით უფრო, — ბატონო ლოთი?!

ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოდან მოახსენეს, რამდენი კაცი, ტექნიკა, როდის წამოვიდოდა სოხუმის მისაშველებლად.

— თუ თქვენ ასე იმოქმედებთ, დიდ საქმეს გააკეთებთ საქართველოსთვის, — უთხრა ბატონმა ედუარდმა.

ეს იყო და ეს.

მაგრამ საუბარი შედგა და თავისთავად ეს ფაქტი ბევრ რამეს ნიშნავდა...

ის დღე დალამდა, გათენდა მეორე დღეც.
ვრეკავთ ზუგდიდში.

— მოვდივარ, — ისევ ამბობს ქობალია.

ახლა მეც ჩავერთე ამ საუბრებში.

მესამე დღეა, გვატყუებენ.

თურმე უნდა მოგვატყუონ, ასეთი გეგმა აქვთ — დაგვიპირდნენ და არ შეასრულონ.

აფხაზეთის უშიშროების სამსახურის უფროსმა კარგა ხნის შემდეგ გუდაუთიდან ქობალიასთან რადიოსაუბრის ტექსტი მაჩვენა, სადაც შავით თეთრზე ეწერა — Все идет по плану! მოქმედებას უწონებდნენ ქობალიას.

დაბეჯითებით უნდა ეთქვათ, რომ მოდიან დასახმარებლად, უეჭველად, ყოველ მიზეზგარეშე. არავითარი ორჭოფობა! ამით ჩვენი მოდუნება, უმოქმედობა უნდა გამოეწვიათ. ასეთი გეგმით მოქმედებდნენ საქართველოს „პატრიოტები“. ასეთი დაპირება ჩვენი დამარცხების გეგმაში ჰქონდათ გათვალისწინებული.

იმას ვამბობდი, რომ ბოლოს ქობალიას მე დაველაპარაკე. შარტავას მისაღებიდან დაველაპარაკე, რომელიც სამხედროებით, დაცვის თანამშრომლებით, ქალებითა და ბავშვებით იყო სავსე: პირდაპირ ვუთხარი, აშკარად ჩანს, სოხუმის გადარჩენაში არ დაგვეხმარებით. ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ — ასი ათასი ქალი, ბავშვი და მოხუცი გულრიფშა და კოდორს არის მომდგარი. ეს ხალხი მაინც გაიყვანეთ და გადით-მეთქი. ჩავთვალე, რომ ეს ის ვარიანტი იყო, რომელზეც ნებისმიერი ქრისტიანი კაცი უნდა დათანხმებულიყო.

მიპასუხა: — არ ვიცოდი, რომ ასეთი სიტუაცია იყო (ეს წინადადება ყოველთვის რეფერენციით მეორდებოდა), ერთ საათში 1500 კაცს მე თვითონ ჩავუდგები სათავეში, მთავრობის ჯართან ერთად გავარღვევთ აფხაზების წინა ხაზს და გავიყვანთ ხალხს.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ისევ ვრეკავ ზუგდიდში.

იქიდან მიპასუხეს: — ბატონი ლოთი აქ არ არის, სენაკში წავიდა.

მონახეს ვინმე გურამ ლაკია. მალაპარაკეს, ვთხოვე იგივე, რაც ქობალიას. იგივე მიპასუხა, რაც ქობალიამ: ისევ ის ერთი საათი, პირადად სათავეში ჩადგომა, გარღვევა და...

ერთი საათის შემდეგ ისევ ვრეკავ. მიპასუხეს, — ლაკია ფოთ-შია ნასული.

აი, ასე „გადაარჩინეს“ განამებული ხალხი. ისიც უნდა იცოდეთ, რომ არც ქობალიას, არც ლაკიას აფხაზეთის დაცვის გარღვევაც არ სჭირდებოდათ. მათ ერთმანეთში ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ შეეძლოთ, მოლაპარაკებოდნენ და ისე გაეყვანათ ლტოლვილები.

ესეც არ გააკეთეს.

* * *

ბოლოს ერთი საკითხის შესახებ ილაპარაკა ლონდერ ცაავამ. ძალიან კი გაუჭირდა საუბარი, მაგრამ მაინც თქვა: იდგა თუ არა ედუარდ შევარდნაძე ტრაგიკული გადანყვეტილებების მიღების წინაშე?

— იდგა. მას შემდეგ, რაც ყველა საშუალება ამოიწურა, ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ყველა მიმართვა უპასუხოდ დარჩა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ედუარდ შევარდნაძემ გადანყვიტა, საკუთარი სიცოცხლე დაედო სამსხვერპლოზე, გაეწირა თავი, რათა ამით მსოფლიოს არა მარტო ყურადღება მიეპყრო სისხლისაგან დაცლილი საქართველოსთვის, არამედ აეძულებინა, აქტიურად ჩარეულიყო ჩვენი ტრაგედიის მოწესრიგებაში.

თქვენ იცით, რომ სიკვდილი გვერდს უვლიდა, თუმცა მტრის არტილერია პირდაპირ ნადირობდა მასზე, ტყვია არ ეკარებოდა.

დაცვის თანამშრომელს იარაღი სთხოვა შევარდნაძემ, რისთვის, არ ვიცი. არ მისცა. არც უნდა მიეცა.

კიდეც იქნება შეხვედრები 27-სექტემბერამოვლილ ადამიანებთან, კიდეც ბავრს ისაუბრებენ და მაინც არ დასრულდება იმ საბედისწერო დღის ამბავი.

**ციკლი „როგორ მარტო დარჩა ქალაქი“
ბამოქვეყნდა ბაზეთ „ქართული სიტყვის“
2009 წლის 1-5 ნომრებში,
15 წლით ადრე კი – ბაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკაში“.**

თავი VII

საუკუნის პრინციპი

ბოგბიძე გვიჩაბი — არა, მაგრამ მარტაილოს ზღვის ქვეშ გაჭრილი გვიჩაბით მოხრანდით ეპროპაში!

რკინიგზას ისეთი ბედი დაჰყვა, რომ ქვეყნის ბედტეხილის ჟამს ყურადღების ცენტრში ექცევა ყოველთვის. აბულაძის გენიალურ „ნატურის ხეში“ ციციკორეს და კოჭლი რევოლუციონერის იორამის შეფასებები გაიხსენეთ თუნდაც: ერთის მხრივ, მატარებელი, როგორც მიწა-ჰაერის მომწამლავი და ქვეყნის დაქცევის წინამორბედი, მეორე მხრივ, მატარებლის კახეთში შემოსვლა — განათლებისკენ და ქვეყნის აყვავებისკენ გზის გაკვალვა.

ჰო და არა! ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები.

რკინიგზა — ადამიანების ბედის გზაჯვარედინი რეზო გაბრიადის შედეგებში.

და ისევ რკინიგზა — ბაქო-თბილისი-ყარსი, ისევ აზრთა დაპირისპირება. კატეგორიული.

ერთის მხრივ, — საუკუნის მშენებლობა, მეორე მხრივ, — წამგებიანი წამოწყება, გაუმართლებელი სატრანსპორტო ექსპერიმენტი, ხარჯი მოგებაზე მეტია (ტვირთების გადაზიდვის სიძვირე, დიდი ენერგოშემცველობა, ნელი ტემპი და ა. შ.) და — „ფულის საჭრელი ქარხანა“, ბოლოს და ბოლოს.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ ეს რკინიგზა დიდად პერსპექტიულია, რაც დღეს და ხვალ, შეიძლება, არა, მაგრამ უახლოეს მომავალში დადასტურდება. ეს იქნება საქართველოს, როგორც „დიდი აბრეშუმის გზის“ საკვანძო ქვეყნის რეალიზაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

აკრული რეპორტაჟი მატაკებლის მოლოდინში



გასული კვირის სამშაბათს შპს „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის“ ხელმძღვანელობას საინსპექციო შემოწმებაში ახალქალაქისკენ გავყევით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე რუსლან რუსია და ამ სტრიქონების მოკრძალებული ავტორი.

მარტივი არითმეტიკა

არ დაგიმალავთ, შეკითხვა მაშინ დამებადა, როცა გვირაბში, გოფირებული ლითონის უზარმაზარ ცილინდრში, შევედით და ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობის ახალი ხელმძღვანელობის მარგი ქმედების კოეფიციენტის განსაზღვრა შესრულებული სამუშაოს მოცულობათა შედარებით მოვინდომე — უნინ და ამჟამად — თუნდაც ამ გვირაბის მაგალითზე.

— რა სიგრძისაა ეს გვირაბი? — ვკითხულობ.

— დამთავრების პირზეა მისული, რალაც ხუთიოდ მეტრი აკლია, — მიპასუხებს ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი თინათინ თოდუა, — 1167 მეტრია. ნლევანდლამდე 900 მეტრზე ცოტა მეტი იყო დამონტაჟებული.

მარტივი არითმეტიკული მოქმედებით იოლია იმის დადგენა, რომ მატება 200 მეტრზე ცოტა მეტია. არ ჩანს, რომ ზესწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები, როგორც უნინ იტყოდნენ, დამკვერელურ მშენებლობაზე.

კიდევ კარგი, ამ დილეთანტური დასკვნის დაჯერება ვერ მოვასწარი, რადგან ბატონმა თენგიზმა ამიხსნა, რომ **ამ ალჰური ზოლში თოვლს მხოლოდ მაისის მეორე ნახევარში აიღებს, მანამდე სამუშაოთა წარმოება ყოველად წარმოუდგენელია. მუშაობა კი არა, თავის დროზე, როცა ჯერ კიდევ ფეთქავდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, ყველა სახის მოძრაობა თვეობით იკეთავოდა. ეს გვირაბიც თოვლის ნამქარისგან ლიანდაგების დასაცავად კეთდება, და არა მარტო გზის ამ მოწაქვეთვა.**

უმკაცრესი ყინვები იცის „საქართველოს ამ ციმბირში“, როგორც, ჰე როდის, დამიხასიათა აქაურობა ერთმა დაკვირვებულმა კაცმა, ეროვნებით სომეხმა.

ყინვა და ნისლი — ისეთი სქელი, რომელსაც ვერც საძროხე ქვაბიდან ამოსულ ოხშივარს შეადარებ (გიორგი ლეონიძე), ვერც მთების ფიქრს (ვაჟა ფშაველა), უძრავი და გაუმჭირვალე კონსისტენციაა. „რძისფერი ნისლიო“, — ამბობს დიდი ქალბატონი ანა კალანდაძე:

**ლურჯ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა...
და როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა,
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...**

ახლაც, ზაფხულის მეორე თვის მეორე დღეს, „თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა“, როგორც პლანეტარული კონტრაპუნქტის პოლიფონიურობის ნიშანი, და მზიანი დილის ცივმა ქარმა ჩვენი ჯგუფის ნევრებს ქურთუკები ჩააცვა.

არც ისეთი ამინდი იდგა, „როცა დღის ნათელს აღუხჭირებს მზის სიცოცხავე“ (შექსპირი, აჯიაშვილისეული თარგმანი), არც ისეთი, როცა ჩრდილის ძებნას გაიძულებს მხურვალეობა სხივთა. აქ, კონტრასტების ამ საუფლოში ყველაფერი მსწრაფლად ცვალებადია და ამოუხსნელი. და გაბატონებულია უკაცრიელობა — არც სოფელი, არც ჩქამი ადამიანის.

აქ გადიოდა საქართველოს ისტორიული გზა, რომელიც კვეთ-

და თრიალეთსა და ჯავახეთს.

ამ გზას მიჰყვება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, სადაც სამუშაოთა სრული ფრონტით გაშლა წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაშია შესაძლებელი.

აქ საკუთარი წესებით ვერ მოხვალ.

მაგრამ მოვედით და ვაშენებთ. **მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა გასულ საუკუნეში დაიწყო — 1982 წელს და ოთხიოდ წელიწადში დამთავრდა. ერთი პერიოდი იმუშავა კიდეც. ახლა იმ რკინიგზის ხის შპალები აყრილია და დაზვინულია ტრასის გასწვრივ, როგორც ფრონტის ხაზზე ტანკსაწინააღმდეგო წინააღობები: ახალ, მოდერნიზებულ, ევროპულ პარამეტრებზე გადასულ რკინიგზას ვერ მოერგო ძველი ლიანდაგი.**

აქ „ნაშთი ძველი დიდებისა“ ჩავლილი მატარებლის იმედგაცრუებასავითაა — აღარ შემობრუნდება: მიტოვებული, რკინიგზის ინფრასტრუქტურის გაძარცვული შენობები, მომსახურე პერსონალის 4-5-სართულიანი საცხოვრებელი სახლები სახურავზე ამოსული ბალახითა და ჩაშავებული ფანჯრებით, რომელთაც „შავ ხელისგულზე“ არავინ ჩამოურიგებს „ანთებულ ყვითელ კარტებს“, — არ აინთებაო სინათლე. ასე წერდა ვლადიმერ მაიაკოვსკი („ლაშე“).

წალკის სარკინიგზო სადგური ამის თვალსაჩინო მაგალითია: ცენტრში სადგურის შენობა, მისი ჩაყოლებით, კარგა დიდ მანძილზე — ახალი ლიანდაგის დასაგებად გამზადებული მიწაყრილი.

კარგი საქმე გაუკეთებიათ თითქოს. მაგრამ **მონიტორინგის ჯგუფის წევრები კატიგორიულად არ ეთანხმებიან კონტრაქტორი ფირმის აზარბაიჯანულ წარმომადგენელს და პრინციპულად მოითხოვენ სამუშაოთა თანმიმდევრობის დადგენილი წესის უპირობო დაცვას.**

თავისი მუცლის გვრემა აქვს სამუშაოთა მწარმოებელს: ელოდება ბაქოდან მინისტრის ჩამოსვლას და სურს, დაახვედროს დაგებული, ჰორიზონტამდე გატყორცნილი ლიანდაგი, როგორც „ჩერქეზის დაკარგული ისარი“.

კომუნიკაციები?

კომუნიკაციებს შემდეგ მიუბრუნდება. ან არ მიუბრუნდება.

ორივე შემთხვევა ჩვენების თავის ტკივილია — დარჩენილი „კუდები“ ჩვენი გამოსასწორებელი იქნება: ლიანდაგი — ასაყრელი, კომუნიკაციები — გასაყვანი და დასამონტაჟებელი. ეს კი, ჯერ ერთი, დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, მეორეც, ამ უქმის სვლის მიზეზით დაიკარგება დრო.

ეს იყო პირველი პრობლემა, რომელიც იმ დღეს გახდა დასაძლევად.

იკამათეს, კონსენსუსს მიაღწიეს.

აქვე ვთქვათ, თბილისში დაბრუნებისას კვლავ შევიარეთ ამ ობიექტზე და ვნახავთ, რომ კონტრაქტორები იმ გზაზე იყვნენ დამდგარი, რომელიც მშენებლობის ხელმძღვანელობამ მიუთითა.

ტვირთის მოხსნასავით იყო, ამოსუნთქვასავით. მაგრამ ამ პირველმა პრობლემამ, ცოტა არ იყოს, უარყოფითად იმოქმედა წარმატებული მშენებლობის მოლოდინით გულანთებულთა გუნება-განწყობაზე: გეგმის გადაჭარბებით შესრულების რელიქტური მისწრაფება და სადგურის შენობა, დაწყებული და მიტოვებული რემონტით, ჩამოყრილი მოსაპირკეთებელი ფილებით, არც აქეთ იყო, არც იქით და მეტალოპლასტმასის ახლადჩასმული კარ-ფანჯრები „პაკაზუხობის“ კარგად ნაცნობ თვალსაჩინოებასავით იყო წარმოდგენილი.

ერთი მუშა მაინც ყოფილიყო საქმით დაკავებული...

ერთადერთი ექსკავატორი, რომელიც დიდი მონდომებით თხრიდა მიწას, ყოფილი ხელისუფლების დროინდელ „საჩვენებელი შრომის ენთუზიუმს“ ავად თუ კარგად ასრულებდა. ცდილობდა, შეესრულებინა.

ახლა ის ექსკავატორი ნამდვილი საქმით იყო დაკავებული: დატკეპნილ მიწაყრილს მიდგომოდა, საკომუნიკაციო სამუშაოებისთვის ტრანშეას ქრიდა...

აღსული ბეგერი

„ძნელია, დღეს იყო თავფარავნელი ჭაბუკი, ძალიან ძნელი“, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში გურამ დოჩანაშვილმა, როცა სიყვარულისთვის თავის განირვაზე ლაპარაკობდა.

თავფარავნელი ჭაბუკი გაგახსენდება, აბა, სხვა ვინ, თავფარავნის ტბას რომ მიუახლოვდები, და ის ლეგენდა დაგიჰყრობს, აბა, სხვა რომელი, როცა აგორებულ ტალღებს დაინახავ ნაპირზე მდგარი:



ასე ამონტაჟდნენ გალერეას

**თავფარავნელი ქაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა.**

მიზნისკენ სწრაფვას შენირული სიცოცხლე! იცით, იცნობთ, ნაგიკითხავთ, არ გაგიმეორებთ, რადგან ამჯერად სიყვარულის ამბავს კი არა, ბოროტებას მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რადგან ეს თემა უმეტესად უყურადღებოდ რჩებათ ხოლმე ხალხური პოეზიის მოყვარულთ: ბოროტება ავსული ბებრის.

**ერთი ავსული ბებერი
ვაჟისთვის ავსა ლამობდა,
სარკმელზე ანთებულ სანთელს
აქრობდა, აბეზარობდა.**

მე რამ გამაბოროტა? არაფერმა, გარდა იმისა, რაც თქვენც იცით, რაც სწორედ აქედან, ახალქალაქის მისადგომებიდან გადმონათხია ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, ჯერ კიდევ პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როცა არ დაიზარა, ამ სიმაღლეზე ამოვიდა მხოლოდ იმისთვის, რათა ექილიკა — ჩემს დროს მუშაობა დულდა და გადმოდიოდაო. ახლა კი შეწყდა და გაიყინა ყველა მნიშვნელოვანი იდეა და სოციალური პროექტიო, — შეუტია ახალ ხელისუფლებას.

წმინდა წინოს ნაკვალევზე იდგა და იბილწებოდა კაცი, რომელმაც „წინ წაიმძღვარა თვალთმაქცობა, როგორც დესპანი“ (შექსპირი, „ლუკრეცია“).

ნინოწმინდაში კი პოლიციის ერთსართულიანი შუშის შენობის ფრონტონიდან ჩამოცვენილი ბაზალტის ფილები ძალიან ჰგავდა „ნაცმოძრაობის“ ფასადიდან მერაბიშვილის დაკავებით გაჩენილ სიცარიელეს.

სიცარიელე სიცარიელისა.

უშა ეგროპა უშა ჯავახეთში

ბოროტებას არც ასაკი, არც სქესი არ აქვს და ავსულობის სილაჩრე ამ ვულკანური სივრცის სიგლუვეში ერთნაირი სანამ-ლაგია, გინდ იმ დედაბრის აბეზარობიდან მომდინარეობდეს, გინდ მიხეილ სააკაშვილის პროვოკატორობიდან.

მოჰკიოდა, ქარი ღრუბელს მოჰკიოდა

და ფარავანს ტბასა ზედა ძრწოდა ქარი... (ანა)

ქარს მიაქვს ავად მოსაგონარი. წაიღებს. გზაც იქით ჰქონია. მაგრამ რჩება მოვლენის ნარჩენები და ერთ-ერთ ასეთ ნარჩენს სწორედ აქ, თავფარავნის ნაპირზე, გვირაბის გოფირებულ თაღის დეტალების შემკვრელ „საამქროში, ღია ცის ქვეშ“ წავაწყდით, პატარა ქედის კალთების გასწვრივ, სადაც უკვე გაჭრილია მომავალი გზის მონაკვეთი, რომელიც ამ რკინის თაღქვეშ გაივლის.

მტვერი და ბალასტი მოჰყვება ქარს, რომელიც, როგორც ვატყობ, ამ მუდმივად ქრის და, როცა ასახვებით აღარაფერი რჩება, მიწას გაყრის თვალებში, რათა არ დაინახო ის, რაც სინამდვილეა. რა ეს ქარი და რა საბა-კაშვილის გაფრენები: ერთი უბედურებაა!

წინააღმდეგობათა ამ სიმრავლეში გზის გაკაფვა ძნელია, მართალს ამბობს დოჩანაშვილი: „ძნელია, დღეს იყო თავფარავ-ნელი ჭაბუკი, ძალიან ძნელი“.

მსოფლიოს საუკეთესო პროექტების ასეულს შორის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზასაც მოიხსენიებენ.

მაგრამ: საბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე სამშენებლო სამუშაოები გათვალისწინებული მოცულობის მხოლოდ 28 პროცენტით შესრულდა, და ეს, ნახევარწინაწილს მისამდის „შემოქმედი“, ახალ ხელისუფლებას მოქლკრავს, ყველაფერი გააქითეთ იმისთვის, რომ 2014 წელს დაამთავროთ მშენებლობა.

თენგიზ თოდუას ელიმება:

— იმ ტემპებით რომ ვაშენოთ, როგორც მის დროს მუშაობდნენ, რკინიგზის გაყვანა 2020 წლამდე გაჭიანურდება.

ახალქალაქის რკინიგზის სადგური და ვაგზალი, შეიძლება ითქვას, მშენებლობის გვირგვინია.

ობიექტზე ხალხი არც ბევრია, არც ცოტა, ზუსტად იმდენია, რაც აქ გაშლილი სამუშაო ფრონტისთვისაა საჭირო. რაციონალური გათვლის შედეგია ეს და არ ჰგავს „პირველი კაცის“ სტუმრობისას ხარაჩოებზე სუროსავით აყოლებული ვაზის მტევნებით „მუშებით დახუნძლულ“ პოდიუმს.

„სადაც შეხვალ, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“ აქ პირდაპირ მნიშვნელობას იძენს: მოვირგეთ პლასტმასის მუზარადები და აფეთქდა კიდეც არც თუ ისე შორს მიწა და ქვა — ახალქალაქის სადგურის 100-ჰექტარიანი ტერიტორიის დასავლეთ კიდეზე.

ამ ოლროჩოლო, ჰორიზონტამდე გაშლილ სივრცეში მზადდება სამშენებლო მოედანი, რომელზეც უნდა განხორციელდეს 170 პროექტი, სულ მალე, იანვრიდან, როცა დამთავრდება სადგურის ინფრასტრუქტურის დაპროექტება.

დღეის ამოცანა კი ვაგზლის შენობაა: ნაწილი — ჩაბეტონებული, ნაწილი — ხარაჩოებით შეკრული.

ვაგზალი თანამედროვე ევროპული კლასის ნაგებობა იქნება, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, მგზავრებს სრული პაკეტით მოემსახურებიან. აქ განთავსდება ტერმინალები, ვაგონების ურიკების შემცველი დანადგარები — პოსტსაბჭოთა ლიანდაგიდან ევროპულ ლიანდაგზე შეუჩერებლად გადასასვლელად.

ვაგზლის შენობა გერმანელი არქიტექტორის — იურგენ მაიერის მიერ არის დაპროექტებული. მთელს ამ პროექტებში კი მონაწილეობა აქვთ მიღებული ქართველ და უკრაინელ ინჟინრებს.

წულებიკა ხანუმი!

თავფარავნელი ჭაბუკის ლეგენდა ბერძნული მითოლოგიიდან იღებს სათავეს. ან, იქნებ, პირიქით?

არ ვიცი.

მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მითოლოგიური თქმულებით გატაცებულმა ბაირონმა ლეანდრეს კვალზე ორჯერ გა-

დაცურა დარდანელის სრუტე, რაც უკვდავყო პოემაში „აბილოსელი საცოლე“, სადაც ლეანდრე შეცვალა სელიმმა, ჰერო კი — თურქეთის ფაშის ასულმა ზულეიკამ.

ზულეიკას ქვეყანაში გადავალთ სულ მალე, რკინიგზით — ყარსში, რომელიც მაგისტრალის ბოლო სადგურია თურქეთის მიწაზე.

რკინიგზის ამ მონაკვეთზე უკვე აგებენ ლიანდაგს: ჯერ იუველირის სიზუსტით ერთმანეთს უპირაპირებენ ბეტონის შპალებს, დაამაგრებენ, და ოქროს სარტყელად გადაატარებენ ლიანდაგებს.

აგერ, ახლახან დამთავრებულ, პოსტსაბჭოთა სივრცეში უდიდეს და უნიკალურ, 154-მეტრიან რკინა-ბეტონის(!) ხიდს გადავალთ (გახსნაზე მიპატიჟებულები ვართ) და — გამარჯობა, ზულეიკა ხანუმ! თავფარავნელი ჭაბუკის სამშობლოდან გახლავართ!

P.S. საქართველოს პრემიერ-მინისტრის შივლინის ბრიფინგზე აზერბაიჯანულენოვანი მედიის წარმომადგენელმა ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰკითხა, რატომ შეჩერდა ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტის განხორციელება, როგორც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა არისო.

ეტყობა, სააკაშვილისეული დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ იყო.

პრემიერმა უპასუხა, რომ მას სრულიად სანინალმდეგო ინფორმაცია აქვს, რომ მშენებლობის ტემპიც მაღალია და შედეგებიც კარგი.

„საქართველო და მსოფლიოს“ იმ შეხვედრისთვის თავისი შეკითხვა ჰქონდა მომზადებული, რომელსაც ვინყებდი შთაბეჭდილებით, ჩვენმა ჯგუფმა ჯავახეთიდან რომ ჩამოიტანა. პრემიერის პოზიცია, ცხადია, ამით გამაგრდებოდა და სააკაშვილის „ინიციატივას“ იმთავითვე საფუძველი გამოეცლებოდა.

მაგრამ შეკითხვის დასმის უფლება არ მოგვცეს: რატომღაც არ წყალობენ გაზეთებს.

რას იზამ: „საქართველო არის ესე!“

ოლეგ ბიჭიაშვილი: ახალქალაქის სადგურის გუნებლობა ამ ეტაპზე ყველაზე უფრო პრობლემატურია



მანგლისიდან თავფარავნისკენ გზას თუ გაუყვებით, ჩვენ კი სწორედ ამ გზას ვადგავართ, წალკის მისადგომებთან „თხუნელების დასახლებას“ გადაეყრებით.

უეჭველად.

უსახელო მთის ფერდობზე შეფენილ ციცქნა ბორცვებით მოჩითულ კვადრატულობით კილომეტრიან კოლონიას.

ჩარიგებულ-ჩაწიკნიკებულს: რალა ეს და რალა წეროვანში ლტოლვილების ჩასახლების „სწორება მარჯვნივ! სმენა!“

მარჯვნივ, ანუ ასფალტირებული გზის (გაეროს მილენიუმის პროგრამით ბოძებული სიკეთე) მეორე მხარეს — იგივე პანორამა გადიდებული მასშტაბით: თივის ბულულების მწყობრი რიგები — სოფელი პირუტყვისთვის საკვებს იმარაგებს.

ზამთრისთვის ემზადება სამხრეთ საქართველოს ეს კუთხე.

თხუნელების მიწისმთხრელურ ოსტატობას ბატონი **ოლეგ**

ბიჭიაშვილი, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელი, მაშინ გაიხსენებს, როცა ზღვის დონიდან 2250 მეტრის სიმაღლეზე, მომავალი გვირაბის პორტალის თავზე ავალთ ახლადგაჭრილი გრუნტის გზით.

კარნახი-გვირაბის მონაკვეთი მშენებლობის ბოლო — მეექვსე ეტაპია. იმის იქით თურქეთის ტერიტორია და მისი პასუხისმგებლობის ზონა იწყება.

საზღვარზე — მთაზე ვდგავართ.

მთის ძირიდან იწყება ორლიანდაგიანი გვირაბის გაყვანა. ობოლი ექსკავატორი შენელებული ქანქარის მონოტონურობით კისრის მოწყვეტამდე თხრის, ავსებს მრავალტონიანი თვითმცლელების ძარებს.

თანამედროვე ტექნიკის ეს ერთადერთი წარმომადგენელი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სამშენებლო ბრძოლის ველზე მარტოც შეიძლება იყო გამირი.

თხუნელების სიმრავლის ტექნიკაზე გავრცელება ინატრა ბატონმა ოლეგმა (კარგი იუმორის პატრონია), მიწისმთხრელეების არმიის, ტექნიკის ნაკლებობის გამო.

თურქული ფირმა „ბაიაჩელია“ გვირაბის გაყვანაზე პასუხისმგებელი.

ამ ობიექტის მშენებლობა რომ დაჩქარდეს და აქაურობამ ჭეშმარიტად საუკუნის მშენებლობის შესაფერი გაქანება და მასშტაბი მიიღოს, ექსკავატორები, „კოდალები“, ბულდოზერები, სხვა სპეცტექნიკა საქმეში დროზე რომ ჩაერთოს, ტრანსეროვნული რკინიგზის მშენებლობისთვის საჭირო მასალა თურქეთიდან დროზე რომ შემოვიდეს, აუცილებელი გახდა ახალი გზის გაჭრა.

ვდგავართ ახლა აქ, ამ გზის უმაღლეს ნიჟნულზე, აქაურობის გაბატონებულ წარტილზე, უსასრულოებისა და პირველყოფილობის სივრცის ცენტრში და რკინიგზის გაყვანა და ამუშავება ოცნებას ჰგავს.

ყურადღების ცენტრში

რეალობაში დასაბრუნებლად ბატონ ოლეგ ბიჭიაშვილთან ერთი კვირის თავზე ჩანერილ ინტერვიუს გთავაზობთ.

ამთავითვე ხაზი გავუსვათ, რომ შპს „მარაბდა-კარნახის“ რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელად იგი ეს-ესაა დანიშნეს.



რკინიგზის მშენებლობის მაღალმთიანი მონაკვეთი

— ბატონო ოლეგ, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პროექტის შესრულებაზე გამოყოფილი სახსრები გაცილებით მეტი დაიხარჯა, ვიდრე საჭირო იყო. ასეა?

— სულ ორი კვირაა, რაც ვმუშაობ, მაგრამ შევეცადე, მთლიანად შევსულიყავი საქმის კურსში და შემიძლია გიპასუხოთ ამ შეკითხვაზე.

გადახდა შესრულებული სამუშაოს მიხედვით ხდება. შესაბამის დოკუმენტაციას ჩვენი ზედამხედველები ამონებენ; თუ დადასტურდება, რომ ყველაფერი წესრიგშია, ჩვენი დასკვნით ვაგზავნით ბაქოში, საიდანაც გადმორიცხავენ შესაბამის თანხას. მიღებიდან ერთ-ორ დღეში ვურიცხავთ მშენებელს, რომელთანაც ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. ასეთი წესით ვმუშაობთ.

მშენებლობის დაწყებისთანავე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 40 პროცენტი ავანსად გადმოირიცხა.

ვერ ვიტყვი, რომ ფული მეტი დაიხარჯა და შესრულებული სამუშაო ნაკლებია, რადგან იმ ავანსის დიდი ნაწილი ჯერ კიდევაა დარჩენილი.

— ჟურნალისტების ჯგუფი, რომელმაც თქვენთან ერთად დაფათვალაიერეთ მშენებლობა, მოწმე გავხდით იმისა, რომ რიგ ობიექტებზე სამუშაოები გამართულად სრულდება, მაგ-

რამ ზოგან, — თქვენს ნათქვამს დავიმომნებ, მაგალითად, ახალქალაქის სადგური, პრობლემურია.

— დიახ, ასეა.

— თუ ასეა, ეს ნიშნავს, რომ დათქმულ ვადაში რკინიგზის მშენებლობის დასრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მიხეილ სააკაშვილი თავის ტელეგადაცემებში ამ ჩამორჩენას ახალი ხელისუფლების მხრიდან უკონტროლობასა და დაუინტერესებლობას აბრალებს.

— ტყუილია. სწორედ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა, უწინარესად, ბატონი ბიძინა ივანიშვილი არის დაინტერესებული რკინიგზის დროზე დამთავრებით. თუნდაც ის ფაქტი, რომ ეკონომიკის სამინისტროში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელზეც ჩვენ მიმდინარე საქმიანობის ანგარიშით წარვდექით, ამის დამადასტურებელია.

ამ დილით კი მშენებლობის ხელმძღვანელს საქმიანი შეხვედრა ჩვენთან აქვს — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტ ოთარ ტურაბელიძესთან და ამ სტრიქონების ავტორთან.

ეს ინტერვიუ გაცნობითი ხასიათისაა: მასმედიაში ოლეგ ბიჭიაშვილის ახალ ამბლუაში პირველი გამოსვლაა. ამიტომ, რომ დეტალურად ყვება „სამუშაო სივრცის“ ექვს ეტაპად დაყოფის შესახებ, რომ ამ ეტაპებს შორის პირველის — მარბადა-თეიორიწყაროს მონაკვეთის დამთავრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მაშინ საგრძნობლად დაჩქარდება საერთო მშენებლობის ტემპი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დაიწყება მატარებლებით სამშენებლო მასალების შემოზიდვა, გაიზრდება ამ მონაკვეთის ტექნიკური სიმძლავრე, მუშა მატარებლების წონა, ეფექტიანობა და ეკონომიურობა. მშენებლობა 2015 წლის თებერვალში უნდა დამთავრდეს, თუმცა თავიდან 2011 წლისთვის იყო დადგენილი. ვადები რამდენიმეჯერ შეიცვალა.

— რა ვიცი, სააკაშვილი სულ იმას ტრაბახობს, ჩემს დროს აქ მუშაობა დულდა და გადმოდიოდაო...

მაგრამ ოლეგ ბიჭიაშვილს წამსვლელის ტყუილ-მართალი ნაკლებად აინტერესებს — დღევანდელ პრობლემებზეა აქცენტირებული: ჩამორჩენის დაძლევა მან უნდა შეძლოს.



ლიანდაგების შედგენა ფრანგული ტექნოლოგიით

მდუმარება ახალქალაქის სადგურსა ზედა

აქ, წესითა და რიგით, მაქსიმალურად უნდა იყვნენ მობილური მშენებლები, რადგან უზარმაზარია სამუშაო ფრონტი. მაგრამ, კარნახისკენ მიმავლებს, ახალქალაქის სადგურის მშენებლობას რომ ჩაეუარეთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რა ეს ობიექტი და რა ნალკის მისადგომებთან კომუნისტების დანატოვარი და „რევოლუციური“ ალტკინებით გამოშინულ-გაძარცვული შენობების ჩონჩხების მდუმარება და უპატრონობა.

აქ თავმოყრილი ტექნიკა, უპირატესად, თვითმცლელეები, ექსკავატორები და ბულდოზერები, სკრეპერიც, თუ არ ვცდები, „დასაწყობებულს“ უფრო ჰგავდა, ვიდრე დიდი მშენებლობის „ტექნიკური უზრუნველყოფის“ მოქმედ ბატალიონს.

სადღაც, ალბათ, იდგა ამ ქონების ყარაული.

ამწეს ტროსები ისე ეკიდა, როგორც დამონძილი სარეცხი, რომლისთვისაც ვერავინ მოიცალა და შერჩა გამოფენას, ვითარცა სუპერარტის ეგზემპლიარი.

ასე იყო, როცა მივდიოდით, თავფარავნის გავლით, ჩამოვლისას კი აბსოლუტურად შეცვლილი სურათი დაგვხვდა: გამოცოცხლებული და დაძაბული, ვილაცის დაძახილზე გამოსული ქუდზე კაცი — მშენებლის ჩაფხუტებით თავზე თუ უჩაფხუ-

ტოდ და უქუდოდ, უმეტესად ჩვეულებრივი ტანსაცმლით, არა „სპეცით“. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ელოდნენ ახალ ხელმძღვანელს.

სამი დღის დანიშნული იყო მაშინ ოლეგ ბიჭიაშვილი.

შესჩვილეს: სადგურის დასრულებას პირი არ უჩანს ბეტონის უქონლობის გამო, გრუნტის აფეთქებები შეჩერებულია, ტრანსპორტელები დგანან უხელფასობის გამო და იმუქრებიან, რომ ოჯახებით ამოვლენ, აქ დასცემენ საპროტესტო ბანაკს და მუშაობის საშუალებას არავის მისცემენ.

შევახსენე ეს მომენტი ბატონ ოლეგს, მისი პასუხი ასეთი იყო:

— მიმაჩნია, რომ ახალქალაქის სადგურის მშენებლობა ამ ეტაპზე ყველაზე უფრო პრობლემატურია.

აქ ჩასატარებელია უდიდესი მოცულობის მიწის სამუშაოები. სადგურის ერთ მხარეს იჭრება მიწა, კეთდება გალერეა, მეორე მხარეს იყრება, ივსება ტაფობი, თარაზოსებრ სწორდება ზედაპირი, რაც გათვალისწინებულია პროექტით.

გავერკვიე საკითხებში და ვიცი, რომ **სერიოზული უთანხმოებაა უშუალო შემსრულებელს, მთავარ კონტრაქტორსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ რამდენიმე ქვეკონტრაქტორს შორის. ქვეკონტრაქტორები, უნდა ვივარაუდოთ, რომ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან შემსრულებლისთვის ფულის გადარიცხვას სახელფასო ფონდში. უთანხმოებანი სწორედ ამ ნიადაგზეა წარმოქმნილი. და კიდევ — სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცულობიდან.**

— ბატონო ოლეგ, ერთ უხერხულ შეკითხვას დაგისვამთ, თუ არ მიწყენთ.

— ბრძანეთ.

— ზოგიერთმა რკინიგზელმა თქვა, რომ მარაბდა-კარნახის მაგისტრალი იმდენად წამგებიანი იქნება, რომ ამ მშენებლობის დაწყება სხვა არაფერია, თუ არა „ფულის საჭრელი ქარხნის“ ამუშავება. თქვენი კომენტარი.

— ეს პროექტი ახალი არ არის. ხდება მისი მოდერნიზაცია, განახლება. თუ დაგებმილი ტვირთბრუნვა იქნება უზრუნველყოფილი, წლიურად 5 მილიონ ტონაზეა ლაპარაკი, ეს რკინიგზა წამგებიანი არ უნდა



როცა შესრულებულ საქმეს აღვივებ ეცნობიან

იყოს. საერთოდ, არც ერთი რკინიგზის სატვირთო გადაზიდვები წამგზავნი არ არის.

— მიუხედავად იმისა, რომ რთული პროფილია?

— და მატარებლის წონაც შეზღუდულია. დიას, მიუხედავად ამისა. რადგან ეს გარკვეულ მონაკვეთზეა და არა თავიდან ბოლომდე. ყველას უნდა, რომ რკინიგზის ექსპერტი იყოს! მითხრან, როგორია რკინიგზის თვითღირებულება! დათვალეს? როგორი იქნება ტარიფი? ყველაფერი ხომ ორ კომპონენტზეა დამოკიდებული — როგორია შემოსავალი და როგორია ხარჯი. აქედან ხდება მოგების დათვლა, მაგრამ დათვალა ვინმემ?

— „...ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“.

— (ვიცინით). არ დაუთვლიათ. ეს არის მოსაზრებები არაკომპეტენტური ადამიანების. თუ აინტერესებთ, დავსხდეთ და ვისაუბროთ. ხოლო თქვენს მკითხველებს ამ სპეციფიკური მსჯელობით, მოდით, თავს ნუ შევანყენთ.

— ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად ვის მოელაპარაკეთ, ბატონო ოლეგ?

— ვინც არ იხდის, იმას, ვინც ფული უნდა გასცეს, მის ქვეკონტრაქტორს, რომელიც უშუალო შემსრულებლებს ქირაობს, ანუ მათ, ვისაც უნდა მისცენ ხელფასი. **თავიდან ბოლომდე, დეტალურად განვიხილეთ ყველა პრობლემური საკითხი. დაგვირდნენ, რომ დღეის ამას იქით მოიხს-**

ნება ყველა გაუგავრობა და უთანხმოება იმ ფინანსურ ვალდებულებათა საკითხში, რომლებიც ნაკისრი აქვთ კონტრაქტორებს.

მშენებლობის დამფინანსებლების მიწვევით ორი დღით ჩავედი ბაქოში, ერთობლივად განვიხილეთ აქტუალური საკითხები. როგორც შევატყვე, ისინი დიდად არიან მონდომებული, რათა ეს პროექტი დადგენილ ვადებში დასრულდეს.

იმასაც გეტყვით, რომ **ახალქალაქის ოზიქტზე შექმნილი ვითარება მართო გადახედვის ბრალი არ არის: კონტრაქტორს ფული აქვს გადახდილი ძველ კონტრაქტორისთვის, არის დავალიანებებიც, მაგრამ როგორ ნაწილდებოდა, სად მიდიოდა ეს ფული, ეს ცალკე თემაა.**

— აზერბაიჯანული ფირმებია?

— დიახ, აზერბაიჯანულია. უშუალო შემსრულებელი კი ჩვენი მხარეა.

შევხვდი ამ ხალხს, პრინციპულად ვილაპარაკეთ, როგორც გითხარით, და, მგონია, რომ დავალაგებთ სიტუაციას. რთულია, მაგრამ უნდა დალაგდეს.

— აქამდე რა ღმერთი უწყრებოდათ?

— **მუშაობა ახალქალაქის სადგურზე, ორი თვე არ მიმდინარეობდა, ივლისი-აგვისტო, მშენებლობისთვის საუკეთესო პერიოდი, მთლიანად გაცდა.**

— რატომ? რამ შეუშალა ხელი?

— მთავარი მიზეზი ვთქვით, მაგრამ იყო სხვაც — იქ ვილაცას ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული და სიტყვაზე ენდო, ისე იმუშავა, აქ — დამატებითი ღირებულების გადასახადზე აქვთ ერთმანეთში დავა, რაც უშუალო შემსრულებლების გაჩერებას იწვევს.

— გრაფიკს დაენევით?

— კორექტირებული გრაფიკის შესრულებაზე ვმუშაობთ. გასულ სამშაბათს თეორიწაროში შევკრიბე მშენებლები, დავთქვით, რომ ყოველ სამშაბათს, დილის 9 საათზე იქ ჩავატარებთ ოპერატიულ სამუშაო თათბირებს, განვიხილავთ დაპირებების, საერთოდ სამუშაოს მიმდინარეობის საკითხებს. ეს აპრობირებული ფორმაა და, დარწმუნებული ვარ, შედეგიც შესაფერისი იქნება.



ამ თავმოყრილი ტექნიკა დასაწყობებულს უფრო ჰგავდა

ინტენსიური შეხვედრების ამ ციკლს დაემატა მშენებლობის ხელმძღვანელის საქმიანი შეხვედრა მთავარ კონტრაქტორთან, რომელიც 6 სექტემბრის საღამოს გაიმართა, ეს არის „აზერ იოლ სერვისი“.

ისტორიის ფურცელი

მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზი, რომლის რეკონსტრუქციაც ამაჟამად მიმდინარეობს, 1986 წელს გაიხსნა და ოლეგ გიჭიაშვილი იყო სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი ის პირი, რომელმაც მიიღო ეს ხაზი. იგი მაშინ აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზის უფროსი იყო.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ, როგორც იქნა, საქართველოს მთავრობამ თვალში გამოიხედა და გააკეთა ის, რაც დამოუკიდებელი საქართველოს წინა ხელისუფლებების პერიოდში აბსოლუტურად იგნორირებული იყო. უმნიფარიძეების მთავრობას კი ბიოლოგიური შეუთავსებლობა სჭირდა გამოცდილ პროფესიონალებთან თანამშრომლობის: ვიღაც იდიოტმა მინისტრმა, თუ გახსოვთ, განაცხადა კიდეც, რომ ორმოცი წლის ხეც კი ეზარება, არათუ ადამიანი თავის უწყებაში.

ტყეც გაანადგურეს და უფროს თაობასაც მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ოლეგ ბიჭიაშვილის შემთხვევა იმის დასტურია, რომ კადრების შერჩევისადმი მიდგომა დღეს საღ აზრზეა დაფუძნებული. შეძლებისდაგვარად.

მისი სასამსახურო სია სადგურის მორიგის თანამდებობიდან იწყება, გრძელდება პრაქტიკულად ყველა თანამდებობის გავლით, განყოფილებების უფროსობამდე, გადაზიდვებისა და მოძრაობის სამსახურის უფროსად მუშაობდა, შემდეგ — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველ მოადგილედ, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს რკინიგზას სომხეთის რკინიგზა გამოეყო, გადადის ტრანსპორტის სამინისტროში, იცავს დისერტაციას, ხდება რკინიგზის ინსტიტუტის რექტორი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დაბოლოს, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ასრულებდა რკინიგზის გენერალური დირექტორის მოვალეობას.

მოკლედ, **ოლეგ ბიჭიაშვილი საქართველოს რკინიგზელთა შორის არა მარტო ცნობილი, არამედ გამორჩეული პიროვნებაა. მისი მოსვლაც საუკუნის მშენებლობად აღიარებული მაგისტრალის ხელმძღვანელად არა მარტო ლობიკური, არამედ აუცილებელიც იყო.**

P.S. ეს — ისტორიული შტრიხი.

ახლა მომავლის დანახვა ვცადოთ.

ვცადოთ და, ვინ იცის, ეგებ, დავინახოთ კიდევ, რეზო გაბრიაძის მარიონეტი გმირების — მძლავრი ორთქლმავლის **ИС-235-ის**, ერმონია, რომ შეარქვეს კაპრემონტის დროს, და სამანევრო **ФД-135-ის** — რამონას ტრაგიკული სიყვარულის ამბავი რიონი-წყალტუბოს სარკინიგზო ჩიხიდან მარაბდაყარსის ტრანსეროვნული მაგისტრალის თანამედროვე სიტუაციაში როგორ ჰპოვებს რეინკარნაციას ფინალით „ჰეპი ენდ“.

2013 წლის 11 სექტემბერი

4 წლის 31 პროცენტი



„თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა“ და ზეგანზე მზე ისე ნვავდა, როგორც არასდროს, რაც შუა ზაფხულიდან მოყოლებული აქ ამოვსულვართ. თავფარავნის ჩაყოლებით სოფლებში საზამთროდ მომარაგებული თივის ზვინები ფარაონების ველის პირამიდებივით ამაყად იდგა.

შავად დალიანდაგებული მინდვრების ოქროსფერ უკიდეგანობაში სავსე თეთრი ტომრები ისე იყო ჩარიგებული, როგორც თავდაცვის რედუტები ბოროდინოს ველზე: აქაური გლეხობა კარტოფილის მოსავალს იღებდა.

იდგა 2013 წლის შემოდგომა, 11 ოქტომბერი და ჩვენ, რა თქმა უნდა, მარაბდა-კარნახის რკინიგზის მაგისტრალის მეზობელი სადგურიდან გამოსული „მშენებლობის მატარებლის“ მოძრაობის ინსპექტირებისთვის აქ ამოსულ ხელმძღვანელობას ჩამოყვებით.

როცა ჩნდება ინტერესი

მომავალი გვირაბის პორტალიდან თურქეთის საზღვარი ხელის განვდენაზეა, მთაზე ახვალ და იქით მეზობელი სახელმწიფოა.

აქ დროებითი გამშვები პუნქტის გახსნა იგეგმება — სამშენებლო ტექნიკის გადმოსატანად (გვირაბი თურქულ კომპანიას გაჰყავს). სამშენებლო მასალისა და ტექნიკის ძირითადი მასას კი იქ, ქვემოთ, ტბასთან დამთავრების პირზე მისული სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან შემოიტანენ.

შპს „მარაბდა-ახალქალაქის“ დირექტორის მოადგილე ნიკა

ნიკლაური ამბობს, რომ ეს ღონისძიება რკინიგზის მშენებლობის დაჩქარებასთანაა დაკავშირებული.

ინსპექტირება გვირაბის პორტალიდან იწყება მაინცდამაინც.

— რატომ? — **შეკითხვა მაგისტრალის მშენებლობის უფროსს — ოლეგ ბიჭიაშვილს.**

— იმიტომ, რომ მშენებლობას ალიმიტებს სწორედ გვირაბის გაყვანა, რომლის სიგრძე 4,5 კილომეტრია. თურქეთის მხრიდან უკვე გაჭრილია 2,5 კილომეტრი და ჩვენი მხრიდან მიწისქვეშა სამუშაოების დაწყება დაზამთრებამდე უნდა მოვასწროთ, სანამ კარგი ამინდები დგას.

საკმაოდ გრძელი და ღრმა კანიონი უკვე გაუთხრია ობლად მომუშავე ექსკავატორს ჩვენი წინა ამოსვლიდან გასულ ერთ თვეში. ორისთვის სამუშაო ფრონტი არ არის, თვალშისაცემი სივინროვა.

ოლეგ ბიჭიაშვილი ამბობს, რომ დიდი მოცულობის მიწის სამუშაოებია შესრულებული, მაგრამ ტემპის დაჩქარებას აუცილებლად მიიჩნევს, მით უფრო, მოულოდნელად (ჩვენთვის) წამოჭრილი პრობლემის გამო. საქმე ის არის, რომ წმინდა დღესასწაულის — ყურბან ბაირამის აღნიშვნის პერიოდში თურქული კომპანიები მუშაობას წყვეტენ და ოლეგ ბიჭიაშვილი ახლა ამ პრობლემის გადაწყვეტითაა დაკავებული. აპირებს, ამ დღეებში ამ უბანზე ერთი კვირით გადმოიყვანოს ჩვენი მშენებლები, რომლებიც მთავარ კონტრაქტორს ჰყავს დაქირავებული: მხოლოდ ამ ღონისძიებით იქნება შესაძლებელი მოსალოდნელი შეფერხების თავიდან აცილება.

ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ საქმე ისე წარმართა, რომ ჩვენი უცხოელი პარტნიორები პროექტის პერსპექტიულობაში პრაქტიკულად დარწმუნდნენ.

— ესენი არიან ცენტრალური აზიის, წყნარი ოკეანის ქვეყნების წარმომადგენლები, — **ამბობს ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი,** — თავიანთი ინტერესი მათ არაერთხელ დაადასტურეს ჩვენი საქმიანი შეხვედრების დროს. მაგისტრალი ევროპელი კოლეგების ყურადღების ცენტრშიც მოექცა. სულ ახლახან მშენებლობას გაეცნო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სპეციალური წარმომადგენელი და არ დაუმაღავს, რომ კმაყოფილი დარჩა.



მარცხნიდან მეორე — ნიკა ნიკლაური, მის შვიდავ —
ოლეგ ბიტაშვილი საბაჟო-გამგზავი პუნქტის მშენებლობაზე

მშენებლობის უპ-ჩრდილები

ყველა ობიექტს „დამკვეთური მშენებლობის“ კვალი დაჰკრავსო, ვერ იტყვი. ნალკის რკინიგზის სადგურის რემონტმა თუ რესტავრაციამ ივლისიდან მოყოლებული მხოლოდ იმით წაინია წინ, რომ ჭერი და კედლები შეათეთრეს მშენებლებმა. მგზავრთა მომავალ მოსაცდელ დარბაზში გამართულ თათბირში მონაწილეობდნენ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათი კონტრაქტორები, შემსრულებლები, მათი ზედამხედველები და მარაბდა-კარნახის რკინიგზის ხელმძღვანელობა.

აღინიშნა ახალქალაქის სადგურის მშენებლობის გარკვეული ხარვეზებიც, რაც თვალშისაცემია, მაგრამ არ არის დაუძლეველი და გადაულახავი.

თათბირი თათბირისთვის არ ტარდება: აქ განიხილავენ წინა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის კონკრეტულ საკითხებს — რამ დააბრკოლა საქმე, რისი გაკეთებაა კიდევ საჭირო, და ახალ მიჯნებს სახავენ, — ასევე კონკრეტულსა და ზუსტი ვადით განსაზღვრულს. ე.ი. მიზანი არა მხოლოდ გაკონტროლებაა, არამედ მშენებლებისთვის ქმედითი დახმარების ოპერატიულად აღმოჩენა. მოკლედ,

ასეთ თათბირებს მაკოორდინებელი ფუნქცია აკისრია.

ახალქალაქის სადგურში სამუშაო ფრონტის გაშლის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი პროექტების უქონლობაა.

— უფრო ზუსტად, ინფრასტრუქტურის გარკვეული ნაწილები, გარკვეული კვანძები დამატებით პროექტირებას საჭიროებს. სამუშაო მრავალფეროვანია და მოცულობითი, დაწყებული კავშირგაბმულობიდან და დამთავრებული მექანიზმებითა და დანადგარებით, რომლებმაც ვაგონების ურიკები უნდა შეცვალოს. დაპროექტებაზე მუშაობენ უკრაინის საპროექტო ინსტიტუტები და ჩვენი ორგანიზაციებიც. ვფიქრობ, რომ ერთობლივი მუშაობით ამ ჩამორჩენასაც დავძლევთ, თუმცა პროექტების სმირი შეცვლა-შეთანხმება გარკვეულ დროს მოითხოვს,

— **აზუსტებს ბატონი ოლეგი.**

— **თქვენს პირველ შეხვედრაზე ახალქალაქის სადგურის მშენებლებთან გარკვეულმა ჯგუფმა შემოგჩივლათ (თუ არ ვცდები, ტრანსპორტელები იყვნენ), რომ ხელფასები თვეობით იგვიანებს.**

— იმ დღეების ჩაბარებული მქონდა ეს ობიექტი და დაბრკოლებები მართლაც საკმაოდ იყო, რაც დღემდეც მოსდევს. ზოგიერთ სანარმოში შარშანდელი ხელფასები გაცემული არ არის. ვიმუშავებთ, გავერკვიებთ და შემოძლია გითხრათ, რომ წლევანდელი ხელფასების პრობლემა უკვე მოვანესრიგებთ. დავალიანებების გასტუმრებას დიდი მუშაობა დასჭირდა, იყო სირთულეები და გაუგებრობა, შეუსაბამობა კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს შორის და ა.შ. მაგრამ ახლა ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

— **თქვენ, ბატონო ოლეგ, როგორც პროფესიონალი რკინიგზელი, ძველი რკინიგზელი, მიჩვეული ხართ სიზუსტეს, აკურატულობას, რაც რკინიგზისთვისაა დამახასიათებელი. მიალნით ასეთ სიზუსტეს თქვენი მრავალეროვანი, ინტერნაციონალური კოლექტივის საქმიანობაში?**

— ურთიერთობები რთული მოსანესრიგებელია, გასათვალისწინებელია ეროვნული სპეციფიკაც, პროფესიული თანხვედრაც, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები — ამ ტრანსნაციონალური პროექტის განსახორციელებლად მხოლოდ ჩვენი თანამემამულეები არ მუშაობენ და ა.შ. მთელი დიპლო-



„ოგოლი“ ექსკავატორის მიერ გაჭრილი „კანონი“

მატიაა. მაგრამ შევძელით საერთო ენის გამონახვა, ჩამოყალიბდა საქმიანი, დადებითი ურთიერთობა, ერთობლივი მუშაობა სასიამოვნო და მიმზიდველია. ერთი სიტყვით, ამ კუთხით ყველაფერი რიგზეა.

— **უმთავრეს, პრინციპულ განსხვავებად წინა პერიოდსა და ამჟამინდელს შორის რას მიიჩნევთ?**

— ოთხი წელიწადია, მიმდინარეობს ეს მშენებლობა და ამ ხნის განმავლობაში საერთო მოცულობის მხოლოდ 31 პროცენტია შესრულებული, არადა, 2013 წელს მთლიანად უნდა დასრულებულიყო. ჩვენ, ვინც ახლა ამ საქმეს ვენვევით, წელიწადნახევარი, მაქსიმუმ წელიწადი და ცხრა თვე შეიძლება დაგვჭირდეს ამ მაგისტრალის მწყობრში ჩასაყენებლად.

P.S. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ მარაბდა-კარნახის ტრანსეროვნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა ახლადდაძრულ მატარებელს ჰგავს, რომელიც თანდათან აკრეფს სიჩქარეს და დანიშნულების პუნქტში დროზე ჩავა.

2013 წლის 16 ოქტომბერი

«კოდალახი» თუჩეთ-საქართველოს საზღვარზე



ზამთრის პირის სოფელი

ჯავახეთის ზეგანზე თოვლი სამადლოდაა მოყრილი, უნაქო ზამთრის ხელმოჭირნეობით.

ასე იყო 2013 წლის 11 დეკემბერს.

დიდთოვლობას საახალწლოდ ელიან. თუმცა წალკიდან აქ ამოსასვლელი გზა უკვე ჩაკეტილია. ბორჯომი-ახალქალაქის მხრიდან თუ ამოხვალ.

უკვე — მეოთხედ.

თეთრი მყუდროების საუფლოში გრიალებს ტექტონიკური ძვრების გულისხეთქება, რომლის ამოხსნა, აქაურ მოულოდნელობებს შერჩეული დილეტანტისთვის არ არის რთული და გაუგებარი, თუნდაც იმიტომ, რომ თბილისიდან აქამომდე გაგრძელებულ გზაზე ბატონ ოლეგს რკინიგზაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ დანვრილებით აქვს ნალაპარაკები.

იმ ტექნიკის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობს...

აქ, მაგისტრალის მშენებლობის მალიმიტირებელი გვირაბის უბანზე დამთავრდა მიწისმთხრელი ექსკავატორების ერა და გვირაბის გამყვანი მანქანა-დანადგარების ხანა დაიწყო: „კოდალა“ ამუშავდა, აგუგუნდა, არახრახდა და პირველი ნაბიჯები მთის სიღრმისკენ გადაიდგა კიდეც: გავლილია 7,5-8 მეტრი, თალი გამაგრებულია სპეციალური ბეტონის ხსნარითა და შესაბამისი არმატურით.

ძნელად გადადგმული ნაბიჯები, გამიშვლებული პრობლემები ამკარად წარმატებული შედეგების ფონზე. ყველაფერს წლის ბოლოსთვის შეაჯამებენ.

ახლა კი „საქართველოსა და მსოფლიოს“ მკითხველების ცნობისნადილის დასაკმაყოფილებლად კომპეტენტური ადამიანებისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუებს გთავაზობთ.

თენგიზ ბულუთი, თურქეთის ფირმა „ბაიჩელის“ ინჟინერ-გეოლოგი. იგი ხელმძღვანელობს გვირაბის გაყვანის სამუშაოებს.

შეკითხვაზე, თუ რატომ დაბრკოლდა გვირაბის მშენებლობის დაწყება (ბატონმა ოლეგ ბიჭიაშვილმა გულდანყვევით ილაპარაკა ამ პრობლემაზე აქეთკენ რომ მოვდიოდით, მაშინ), გვიპასუხებს, რომ ოცი დღეა, რაც შეუდგა მოვალეობის შესრულებას. კონკრეტულ მიზეზებში გარკვეული არ არის, ამიტომ მისი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით შეიძლება არაკომპეტენტური იყოს. მაგრამ ფაქტი სახეზეა, და მასაც, როგორც ყველა პროფესიონალს, ვინც მაგისტრალის მშენებლობასთანაა დაკავშირებული, ეს პრობლემა აწუხებს.

— **ტექნიკის დაგვიანებით გადმოყვანის გამო შეფერხდაო ეს საქმე, თენგიზ ეფენდი.**

— ტექნიკის დაგვიანებით გადმოყვანის გამოც, ასე უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რადგან ბევრი სხვა მიზეზიც იყო. ახლა უკვე ავამუშავეთ ეს ტექნიკა, პირველი მეტრებით შევალნიეთ გვირაბში და არ ვაპირებთ გაჩერებას. ესაა მთავარი.

ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილის აზრით, თუ დეკემბრის ბოლომდე 30 მეტრით შეაღწევნ მთის სიღრმეში, მაშინ გვირაბის მშენებლობას ველარაფერი დააბრკოლებს, უწინარეს ყოვლისა კი, ამ მხარისთვის დამახასიათებელი ძლიერი ყინვები, რომლებიც მინუს 30 გრადუსამდე ეცემა.

ზოგჯერ მეტიცაა.

— მაგრამ ჩვენ, — **ამბობს თენგიზ ბულუთი,** — თურქეთში ვამზადებთ ყინვაგამძლე ბეტონის ხსნარს, რომელიც მიქსერებით — სპეციალური სატვირთო ავტომანქანებით შემოგვაქვს. ეს საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ აღებული ტემპი და დათქმულ დროს შევაერთოთ გვირაბის ქართული მონაკვეთი თურქეთის მხრიდან უკვე 260 მეტრზე შემოსულ გვირაბს.

ახლა კი პროტალის მოპირკეთებული თალი რომ არ დავაზიანოთ, „კოდალით“ კიდევ 5 მეტრით შევალთ სიღრმეში და შემდეგ დავინყებთ აფეთქების სამუშაოებს. წინსვლაც გაცილებით მეტი გვექნება: **ამჟამად დღეში 1,5 მეტრს გავდივართ.**

აწეთქვას რომ დავიწყებთ, დღიური წინსვლა 3,5 მეტრიდან 4 მეტრამდე გაიზრდება. ახალი წლისთვის ვპარაულობთ, რომ 45 მეტრით გავითხრით გვირავს.

ამჟამად აქ ოცდახუთი მაღალკვალიფიციური მუშა დასაქმებული, შემდეგ 3-4 ამფეთქებელი სპეციალისტი დაემატება.

დასაქმებულთა უმრავლესობა სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სერვისმანქანებით თურქეთში გადის, 8 კაცი საცხოვრებელ კონტინერებში ათევს ღამეს.

შრომის ორგანიზება სანიმუშოა.

ამ შეფასებას იზიარებს „აზერიოლსერვისის“ ფილიალის დირექტორი ბურბან პირიევი, რომელიც მეორე წელიწადია, მშენებლობის გენერალური კონტრაქტორია. იგი დარწმუნებით ამბობს, რომ წლის ბოლომდე ჩააბარებენ მარაბდა-ახალქალაქის მონაკვეთს.

— თეთრინყარო-ნალკის ეტაპზე კი რკინიგზის ლიანდაგი უკვე დაგებულია, მიმდინარეობს დამატებითი სამუშაოები. აქ ყველა საქმეს გაისის პირველი ნახევრისთვის დავამთავრებთ. ეს ორი ეტაპია. მესამე ეტაპზე, რომელიც 74 კილომეტრია, სიცივეების მიუხედავად, დღესაც გრძელდება სამუშაოები.

— ამბობენ, რომ ყველაზე პრობლემური უბანი ახალქალაქის რკინიგზის სადგურია. რატომ? გაკლიათ სახსრები, ტექნიკა, მუშახელი?

— არა, არა და არა. თუმცა მიზეზები, რა თქმა უნდა, საკმაოა. პირველი მიზეზი ამინდია. სერიოზულად დაგვარკოლა მიწის სამუშაოებმა, რომლებიც, ვარაუდის საწინააღმდეგოდ, კლდოვანი აღმოჩნდა. საჭირო გახდა ასაფეთქებელი სამუშაოების სისტემატური წარმოება. ეს კი თავისთავად ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რომლებიც უსაფრთხოების ზომების დაცვას მოითხოვს. საჭირო ხდება გზებზე, უპირველესად კი, ავტომაგისტრალზე მოძრაობის გადაკეტვა. ეს უამრავ ბიუროკრატიულ შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. იკარგება დრო. ვფერხდებით.

დიდი პრობლემაა მიწების გამოსყიდვა. არ დაიპყრებით, მაგრამ მიწა, რომელზეც შენდება სადგური, დღემდე გამოსყიდული არ არის. მიწის კერძო მფლობელებმა გვიჩივეს სასამართლოში, მოიბეს. თავიდან 12 მიპატრონე გვიჩიოდა, ახლა გვიუბნებიან, რომ



**ზურბან პირივი, თენგიზ გულუთი და
ოლეგ გიჭიაშვილი გვირაბის პორტალთან**

82-მდე გაიზარდა მათი რაოდენობა (!)

**სასამართლომ გადაწყვიტა, რომ უნდა შევანჯიროთ
სამუშაოები და აღვიღოთ დავაპრუნოთ ათასობით კუ-
ბური მიტრი მიწა (!).**

ასეთი პრობლემები ხელს გვიშლის მუშაობაში.

— დაფინანსების პრობლემა?

— ასეთი პრობლემა არ არსებობს. შეიძლება ზოგჯერ ცოტათი იგვიანებს დაფინანსება, მაგრამ ეს სამუშაოთა სპეციფიკით არის გამონეული და არავითარ შემთხვევაში უყურადღებობით ან სახსრების არარსებობით.

სამაგიეროდ უპრობლემოა მეოთხე ეტაპის — ახალქალაქი-კარნახის მშენებლობა, სადაც პრაქტიკულად მხოლოდ 1,5 კილომეტრის ლიანდაგი დარჩა დასაგები, რაც ორი დღის სამუშაოა.

ბატონი გურბანი ამბობს, რომ ერთ საათში მიიღებენ ბეტონის მიქსერ ორ მანქანას, რაც საერთო სამუშაოებს, უწინარეს ყოვლისა კი, გვირაბის მშენებლობას სასიკეთოდ წაადგება.

ეს ტექნიკური დეტალებია, მაგრამ მთავარი, რასაც იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, მაგისტრალის დათქმულ ვადაში ჩაბარებაა, რადგან, როგორც იგი ამბობს, ამ პროექტს სამი

ქვეყანა ევროპისკენ მიჰყავს.

ამასვე ადასტურებს ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა სტამბოლიდან, სადაც გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „კასპიის ფორუმის“ სახელწოდებით.

— ეს ფორუმი მესამედ ჩატარდა, — **ამბობს იგი,** — ამ საერთაშორისო ღონისძიებას 35 ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ყველა მათგანი მონაწილეობს ტრანსნაციონალური სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობაში, რომლის ერთი მონაკვეთი მარაბდა-კარნახის სარკინიგზო მაგისტრალია.

35 ქვეყნის დელეგატთა შორის იყვნენ საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **ნათია მიქელაძე**, აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრი **ზია მამედოვი**, თურქეთის ტრანსპორტისა და საზღვაო კავშირგაბმულობის მინისტრი **ბინალი ილდირიმი**. განიხილეს არაერთი აქტუალური პრობლემა. მათ შორის, მშენებარე მაგისტრალის საკითხიც.

სიხარულით გაცნობებთ, რომ ჩვენი პროექტი წლის საუკეთესო პროექტად აღიარეს და შესაბამისი დიპლომებითა და პრიზებით დააჯილდოვდეს დარგობრივი მინისტრები. ამ ფაქტის მნიშვნელობაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს არის აღიარება ჩვენი საქმიანობის, რომელსაც რამდენიმე თვეა, ვუძღვებით.

— **გამოდის, რომ კარგად უძღვებით...**

— ასე გამოდის.

— **ალბათ, ამ საქმის უშუალო შემსრულებლებიც ჩავიდნენ სტამბოლში.**

— რა თქმა უნდა. ვიყავით გენერალური კონტრაქტორი — „აზერიოლსერვისის“ გენერალური დირექტორი ყურბან პირიევი და მეც მასთან ერთად.

— **რახან ბატონი პირიევი ახსენეთ, გეტყვით, რომ მან „გამანდო“ თქვენი ერთობლივი გადანყვეტილება — 2014 წლის ბოლოსთვის პირველი სამუშაო მატარებლის ახალქალაქში ამოსვლის შესახებ. რეალურია ეს ვადა?**

— ამის შესახებ ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა განაცხადა. მან თქვა, რომ მარაბდა-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მონაკვეთი გაიხსნებოდა 2014 წლის ბოლოს. ჩვენ ეს პირობა დავადასტურეთ. ერთი წლის შემდეგ მარაბდიდან ახალქალაქამდე, შეიძლება კარ-



ბვირაზის პირველბაგყვანები

ნახამდეც კი, გავატაროთ მუშა მატარებელი. ეს კი ნიშნავს, რომ ამ დროისთვის მთლიანად იქნება მოწესრიგებული სალიანდაგო მეურნეობა, მიღებული იქნება დეფექტური აქტებით და, მასასადამე, შეგვეძლება მოძრაობის დანწყება.

— დაპირება, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ სამუშაო პროცესში ბევრი დაბრკოლება რომ გხვდებათ? მაგალითად, გვირაბის გასაყვანი ტექნიკის დაგვიანებით ჩამოტანა, თანხების არაოპერატიულად ჩარიცხვის შემთხვევები და სხვა ამგვარი ფაქტები? ამ საკითხებზეც ვესაუბრე თქვენს კოლეგებს.

— მუშაობის პროცესში დაბრკოლებების არსებობა ჩვეულებრივი რამეა. მით უფრო, ისეთ რთულ კლიმატურ პირობებში, რომლებშიც გვინევს საქმიანობა. მთავარია გადალახო. ამას აქამდეც ვახერხებდით. არა მგონია, რომ პერსპექტივაში ნაკლებად შემართულები ვიქნებით. ასეთივე განწყობილება აქვთ ჩვენს აზერბაიჯანელ და თურქ პარტნიორებსაც.

ბვირაზს, რომელიც საქართველო-თურქეთის საზღვარს კვეთს, აშენებს თურქული კომპანია. საზღვრის კომპონენტის არსებობა თავისთავად გულისხმობს უამრავი ფორმალუბის მოგვარებას, მართალია, ბიუ-

როკრატიული, მაგრამ აუცილებელი წესების დაცვას. ორივე მხარე მოწოდებულია დახელოვნურად არავინ გვაზაკოლებს, მაგრამ სამუშაო პროცესის ამ თავისებურებების მოგვარებას დიდი დრო და ენერჯია მიაქვს.

5 ნოემბერს შევხვდით თურქული კომპანიის წარმომადგენლებს, შევთანხმდით, რომ 20 რიცხვისთვის უნდა შემოეყვანათ ტექნიკა. მაგრამ სწორედ ზემოთ დასახელებული საკითხების უამრავმა რაოდენობამ, რაც ორივე ქვეყნის მთავრობათა დონეზე გადანყვეტის მიღებას მოითხოვდა, განელა შეთანხმების შესრულება. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ **თუ არა ის მხარდაჭერა, რაც გვეძინდა საქართველოს შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ღინანსთა სამინისტროების მხრიდან, რომელთა შეთანხმების საფუძველზე კარნახის სასაზღვრო-გამგზავნი პუნქტის ვადამდე გახსნა გამორიცხვული არ არის, საქართველოს მხრიდან გვირაბის გაყვანის სამუშაო წლელს საერთოდ ვერ დაწყებულყო.**

აუცილებლად უნდა ვახსენო საგადასახადო და საფინანსო და, განსაკუთრებით, საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელები, რომელთა უშუალო მონაწილეობით გადაწყდა ყველა პრობლემა.

— თქვენგან ვიცით, რომ ყველაზე უფრო პრობლემური იყო ახალქალაქის რკინიგზის სადგურის მშენებლობა. ახლაც ასეა?

— ამ სადგურის საპროექტო ღირებულება 212 მილიონია, ათვისებულია მხოლოდ თხუთმეტი მილიონი. აქედან გამომდინარე, რთული იყო და ასეთად რჩება. იმედი გვაქვს, რომ დაგძლევათ.

თავისთავად ეს უბანი ძალიან რთულია, მთელი კომპლექსია. უშუალოდ მისი სიგრძე ოთხი კილომეტრია, ხოლო მისი სალიანდაგო მეურნეობის სიგრძე — 50 კილომეტრი. აქ უნდა გაიმართოს სავაგონო-სალოკომოტივო დეპოები, სადაც სატვირთო ვაგონებს უნდა შეეცვალოს ურიკები (ეს თქვენმა მკითხველებმა, იმედი მაქვს, იციან, რადგან არაერთხელ გვითქვამს), ხოლო თბილისიდან ყარსის მიმართულებით მიმავალი სამგზავრო მატარებლის ევროპულ სტანდარტებზე გადაყვანა ავტო-

მატიზებული იქნება. ამ უბანზე მთლიანად ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი.

— ამ სირთულეებს ემატება ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობების შესყიდვის საკითხი, რომელიც, ცნობილია, ძალიან მწვავედ დგას.

— 82 მოსახლე ფლობდა მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ლიანდაგი უნდა გასულიყო. ისინი ჩივიან იმიტომ, რომ თავის დროზე არ მოხდა მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა, არადა, სწორედ ამ ფართობებზე მოჰყავდათ თავიანთ საარსებო საშუალება — კარტოფილი, რომელიც ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომლის მოყვანა შესაძლებელია აქაურ აგროკლიმატურ პირობებში. ხალხი არა მარტო ჩივის, არამედ აწყობს აქციებს და მაგისტრალის მშენებლებს მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

მათი მოთხოვნა სამართლიანია, უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები პრობლემის მოსაწესრიგებლად და მალე მოიხსნება კიდევ — მოსახლეობას მისცემენ დადგენილ კომპენსაციას.

P.S. ნაცუმცირესობა, ანუ ყოფილები ამ ბოლო დროს განსაკუთრებულად ბევრს ყვირიან, რომ ინვესტიციები საქართველოში აღარ შემოდის, ხოლო მაშინ, როცა ისინი ხელისუფლების სათავეში იყვნენ, საქართველოს კართან ინვესტორების რიგი იდგა.

თბილისი-ბაქო-ყარსის ტრანსეროვნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა ამ დემაგოგიურ ინსინუაციებს პირნმინდად აქარწყლებს.

2013 წლის 18 დეკემბერი

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზაზე მნიშვნელოვანი სიხსლავებია



„აბრეშუმის ისტორიული გზა“, რომლის აღორძინება საქართველოს უახლეს ისტორიაში ქვეყნის ეკონომიკურ-სატრანსპორტო ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციად იყო წარმოდგენილი, სააკაშვილის ანტიეროვნულ მთავრობას სასაცილოდ შქონდა აგდებული. უმნიშვარიძეები, მათთვის ჩვეული სიტყვამრუშობითა და სიტყვებით ჟონგლიორობით

ამ ფუნქციის დისკრედიტაციას ცდილობდნენ „ეროვნული“ მოტივებით სპეკულირების საშუალებით: ჩვენ დერეფანი კი არ ვართ (ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანს გულისხმობდნენ), არამედ ვართ სრულფასოვანი, სუვერენული სახელმწიფო...

სახელმწიფო ეკონომიკის გარეშე ვერ იარსებებდა და მათი „პატრიოტიზმიც“ დამთავრდა.

ახლახან ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულმა ევრაზიის ეკონომიკურმა ფორუმმა დაამტკიცა, რომ ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ იდეა არათუ დავინახებულნი არ არის, არამედ პრაქტიკულად

ვითარდება და მსოფლიო ეკონომიკური ცენტრის და-სავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადანაცვლების კვალზე უმეტეს მნიშვნელოვანს იკანს.

ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი ასტანის ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა და მოხსენებითაც გამოვიდა. „საქართველო და მსოფლიომ“ მას ინტერვიუ ჩამოართვა.

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აქ განიხილეს, ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში ფრიად პოპულარული, შემდეგში ცოტა მივიწყებული, ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის განვითარება იყო — აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის, რომლის საკვანძო ქვეყანა საქართველო იყო და რჩება.

ეს დერეფანი ორი მიმართულებით არის გაჭრილი: ერთია ფოთი-ბათუმი-თურქმენბაში-ბაქო-აქტაუს ნავსადგურები, მეორე — ფოთი-ბათუმი-ბაქო და ჩრდილოეთით — რუსეთისკენ.

არ გვაქვს დერეფანი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და პირიქით — სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. არადა, ეს მიმართულება აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ამის დამადასტურებელია, თუნდაც თურქეთის რესპუბლიკა, რომელიც მოწყვეტილია ჩრდილოეთის მიმართულებით სარკინიგზო კომუნიკაციას, ასევე არ გააჩნია ასეთი კომუნიკაცია საქართველოსთან დასავლეთის მხრიდან. ეს კი ამ ქვეყნის განვითარებისთვის დიდად დამაბრკოლებელი ფაქტორია.

მართალია, შარშან ამუშავდა საბორნე გადაზიდვა თურქეთთან, მაგრამ მოცულობა ძალიან მცირეა: თურქეთის ჩრდილო-დასავლეთის პორტებში იტვირთება ბორანი, თვის განმავლობაში დაახლოებით 30 ვაგონი ტრანზიტით მოდის და გაივლის ტრასეკას დერეფანს.

მარაბდა-ახალქალაქის გზინებარე რკინიგზა, რომელიც 2011 წელს დასახელდა ული იქნა საუკუნის 100 საუკეთესო პროექტს შორის, ხოლო შარშან 2013 წლის საუკეთესო პროექტად იქნა აღიარებული, საშუალებას მისცემს თურქეთს, რკინიგზით დაუკავშირდეს საქართველოს, აზერბაიჯანს, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ჩინეთს.

ეს გზა ჩრდილოეთისკენაც გავა.

— თუ სწორად გავიგე, ტრასეკას პროექტის განვითარება-განხორციელების ახალი ეტაპი დაწყებულია და მისი ერთ-ერთ-

თი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი სწორედ საქართველოა.

— დიახ. და ამის დამადასტურებელია უდიდესი ინტერესი, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს ცენტრალური აზიის ქვეყნებმა და ჩინეთმა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოიჩინებოდა ყაზახეთი.

ეს ინტერესი გამჟღავნდა ჩემ მიერ მარაბდა-ახალქალაქის პროექტის პრეზენტაციის შემდეგ გამართული განხილვის დროს. ყურადღების ცენტრში მოექცა მშენებლობის დამთავრების ვადები, რომლებიც ჩვენ დირექტივად გვაქვს მიღებული.

„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებმა იციან (ამაზე ადრეც გვისაუბრია), რომ 2014 წელს სატესტო მატარებელმა უნდა გაიაროს მარშრუტი მარაბდიდან კარნახამდე, რაც ნიშნავს, რომ სალიანდაგო მეურნეობის მშენებლობა უნდა დამთავრდეს წლევიანდელი წლის ბოლოს, ხოლო თანმდევი ინფრასტრუქტურის მონყოლა, რომელიც ექსპლუატაციაში მთლიანი შესვლისთვისაა საჭირო, 2015 წლის ბოლოს დასრულდება.

ასეთია ვადები.

— სამი ქვეყნის — საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრაზე, რომელიც 6 მაისს თბილისში გაიმართა, სხვა საკითხებთან ერთად აქცენტი მარაბდა-ახალქალაქის პროექტზეც გაკეთდა.

— დიახ, და ეს იყო მნიშვნელოვანი მომენტი ამ პროექტის რეალიზაციის პერსპექტივისთვის. თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულმა განაცხადა, რომ მიესალმება ამ მშენებლობის გააქტიურებას. ეს ჩვენთვის მასტიმულირებელი ფაქტორია: ჯერ ერთი, მაჩვენებელია იმისა, რომ, რაც კეთდება, ხედავენ და აფასებენ, და მეორე, ასეთი მხარდაჭერით უზრუნველყოფილი იქნება, როგორც მინიმუმში, მშენებლობის აღებული ტემპით გაგრძელება. აქვე გეტყვით, რომ წლეულს, უფრო ზუსტად ხუთ თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 22 მილიონი დოლარით მეტი სამუშაო გვაქვს შესრულებული. ეს დიდი მაჩვენებელია, მაგრამ მიმაჩნია, რომ საკმარისი არ არის, რადგან კარგად ორგანიზებული სამუშაო პროცესის პირობებში, მეტის გაკეთება შეგვიძლია. ისიც უნდა ვთქვა, რომ, ამ გაზაფხულზე ამინდს ასეთი სიურპრიზები რომ არ შემოეთავაზებინა, უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა.

— კვლავ რჩება თუ არა მალიმიტირებელ ფაქტორად გვი-



იგუბა ლიანდაგი

რაბი, რომლითაც მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა თურქეთს უერთდება?

— თქვენ გახსოვთ, რა ძალისხმევა გახდა საჭირო, გვირაბის მშენებლობის დასაწყებად...

— როცა მხოლოდ ერთი ექსკავატორი თხრიდა მიწას, ორ თვითმცლელს გაჰქონდა გრუნტი. სულ რამდენიმე თვის წინათ იყო ეს მთელი სამუშაო ფრონტი...

— მაგრამ სწორედ ის რამდენიმე თვე გახდა გადამწყვეტი. აქტიურად და, რაც მთავარია, შედეგიანად ვიმუშავეთ თურქეთის მხარესთან — მოხერხდა სპეციალური ტექნიკის, პროფესიონალი მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების მოზილიზება და ამჟამად 180 მეტრის გვირაბი ჩვენი მხრიდან გაყვანილი, თურქეთის მხრიდან — 550 მეტრი. ეს ნიშნავს, რომ გვირაბის მშენებლები ყოველდღიურად 6 მეტრს გადიან. 2015 წლის ბოლომდე, დარწმუნებული ვარ, გვირაბის ინფრასტრუქტურის მშენებლობასაც დავამთავრებთ.

ყაზახეთის ეკონომიკურ ფორუმზე ტრასეკას სექციამ ცალკე იმუშავა. ჩვენ საშუალება გვქონდა, დანვრილებით განგვეხილა ამ პროექტის შემადგენელი ფრაგმენტები, მაგალითად, ისეთები, რომლებიც დაკავშირებულია თურქეთის ჩრდილოეთიდან შუა აზიის მიმართულებით ტვირთების გადაზიდვასთან.

დღეს ეს ტვირთები მშრალ პორტში, მაგალითად, ვალეში,

რკინიგზის ვაგონებიდან ავტომობილებზე გადააქვთ და ამ ტრანსპორტით მიაქვთ ადრესატამდე. ჩვენი პროექტის ამუშავების შემდეგ ეს შუალედური, დამატებითი რგოლი მოიხსნება და ტვირთის მოძრაობა რკინიგზითვე გაგრძელდება. ეს კი საგრძნობლად გააიაფებს ტარიფებს, შემცირდება ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის დროც, მინიმუმამდე იკლებს ტვირთის დაზიანება-დანაკარგების შემთხვევები, რაც ხელსაყრელია ყველასთვის. ინტერესიც ჩვენი პროექტისადმი ამ პერსპექტივით არის განპირობებული.

რაც უფრო მეტია ტვირთბრუნვა რკინიგზის უბნებზე, მაგისტრალზე, მით უფრო მეტადაა მომგებიანი აქ წარმოებული საქმიანობა, რკინიგზის ფუნქცია კი, ყველას მოეხსენება, ტვირთების გადაზიდვაა. რაც უფრო მეტია სიმძლავრე, შესაბამისად, იზრდება მოგებაც.

განხილვის მონაწილეები დაინტერესდნენ, როგორი იქნება მარაბდა-ახალქალაქის მაგისტრალის გამზიდუნარიანობა, ანუ ტვირთბრუნვა. ვუპასუხე, რომ პირველ ეტაპზე 5 მილიონი ტონა გვაქვს გათვალისწინებული, შემდეგ, პროექტის მოდერნიზაციით, ანუ ტექნიკური სიმძლავრის გაზრდით, წლიურად თხუთმეტი მილიონ ტონამდე ავალოთ.

— მაგრამ, ბატონო ოლეგ, ამ მაგისტრალის გარკვეულ მონაკვეთზე, არსებული რთული რელიეფის გამო, მატარებლის სიჩქარე რომ კლებულობს, გადაზიდვის დროც ხომ იზრდება, ეს განა უარყოფითად არ აისახება ტვირთბრუნვაზე?!

— ქანობი, რა თქმა უნდა, ზღუდავს მატარებლების წონას, სისწრაფეს, მაგრამ, თუ დავიცავთ უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომლებიც ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, მაშინ ტვირთების დაცვა სრულად იქნება უზრუნველყოფილი.

ამასთან, მონაკვეთი, რომელზეც ეს წინააღმდეგობა არსებობს, ძალიან მოკლეა: სანამ მშრალ პორტში ვაგონს ჩავიყვანთ, გადავტვირთავთ ავტოტრანსპორტზე, ამ დროში რკინიგზით ტვირთს საზღვრამდე მივიტანთ და გადავიყვანთ კიდეც. ასე რომ, ქანობზე შემადგენლობის მოძრაობის შენელება არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი. სირთულე, რა თქმა უნდა, არის, პროფილი რთულია, მაგრამ დამაბრკოლებელი არ არის, თუ დავიცავთ მომსახურების არსებულ წესებს.

— პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი იყო კარნახის ობიექტზე. ეს ამ ხელისუფლების პირობებში პირველი შემთხვევაა, მგონი.

— დიახ, პირველი შემთხვევაა. პრემიერმინისტრს იმ დავსვდი, მოვამზადეთ სტანდი ჩვენი პროექტის რუკით; მოკლედ ავუსხანი ყველაფერი, ძირითადი ასპექტები, უპირველეს ყოვლისა, რადგან კოქისპირულად წვიმდა და ვრცელი საუბრის არავითარი საშუალება არ გვქონდა. მომისმინა და კმაყოფილი ვარ, რომ ისე გაიგო, როგორც ვუთხარი. მგონი, თვითონაც კმაყოფილი დარჩა.

— გელბურახის ხიდი თუ დაათვალიერა?

— ვერა. იქამდე ვერ მივედით, რადგან, როგორც გითხარით, ძალიან ცუდი ამინდი იყო.

— ბატონო ოლეგ, როგორც ვიცი, თქვენ პრაქტიკულად თავზე ადგახართ მშენებლებს...

— გეტყვით, როგორია ჩვენი სამუშაო გრაფიკი: ჩვენს სპეციალისტებთან ერთად, კვირაში ორჯერ გავდივართ მაგისტრალზე, ვხვდებით კონტრაქტორი ფირმების ხელმძღვანელებს, უშუალოდ მშენებლებს. ერთ-ერთი გასვლა, კერძოდ, პარასკევობით გვირავის მშენებლობაზეა, რადგან იგი, როგორც იცით, რჩება მალდომიტირებელ ფაქტორად; მეორე გასვლა სამშაბათობით ნალკის სადგურში ეწყობა, სადაც ფუნდამენტურად განვიხილავთ შესასრულებელი სამუშაოების მიმდინარეობას, ხელშემშლელ პირობებს და ვსახავთ მათი სასწრაფოდ გამოსწორებისა და ახალი მიჯნების უპირობოდ შესრულების გზებსა და საშუალებებს.

ადგილზე მისვლით, უშუალო კონტაქტის პირობებში ბევრი საკითხი დადებითად წყდება.

ნალკიდან მოყოლებული ჩამოვდივართ ქვევით, ვამონმებთ, როგორ სრულდება ჩვენს ობიექტებზე მშენებლობის პროგრამა, რომელიც, უნდა გითხრათ, მრავალპლანიანია და რთული.

ასეთია ჩვენი მუშაობის ტექნოლოგია.

P.S. ბატონ ოლეგ ბიჭიაშვილთან შევთანხმდით, რომ მომდევნო პარასკევს გვირავის მშენებლობაზე მიახლებენ და, ღმერთი თუ ინებებს, ჩვენს მკითხველებს მინის სიღრმიდან მოგანვდით რეპორტაჟს.

450 მეტრზე მიწის სიღრმეში



ერთ დღეში ამ მონაკვეთზე
675 მეტრი ლინდაბი დაამონტაჟეს

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გახსოვდეთ, რომ ამის წინა პუბლიკაციაში („საქართველო და მსოფლიო“ №20), რომელშიც მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შესახებ მოგითხრობდით, ვწერდი — თუ ღმერთი ინებებს, მომდევნო რეპორტაჟს გვირაბიდან, მიწის სიღრმიდან მოგაწვდით-მეთქი. მიწის სიღრმიდან — პარასკევ დღეს. პარასკევს იმიტომ, რომ სწორედ ამ დღეს და აქედან იწყებს მაგისტრალის ხელმძღვანელი ოლეგ ბიჭიაშვილი მიმდინარე სამუშაოების საინსპექციო შემოწმებას.

მიახლა და აი, მშენებლების მიერ გაჭრილი კანიონის გავლით გვირაბის პორტალთან აღმოვჩნდებით, რომლის თალი ჯოჯოხეთის ღიად დარჩენილ კარიბჭეს ჰგავს, საიდანაც ბოლქვებად ამოდის თეთრი კვამლი — გეენის ცეცხლში შთანთქმულ ცოდვილთა სულების ნარჩენი მატერია.

შევდივართ ამ თეთრ სიბლანტეში, რომელიც ორიოდ მეტრში უკუნ სიბნელედ იქცევა: „ტოიოტას“ ძლიერი „შორი განათება“ სარკის ეფექტით ირეკლება და აძლიერებს ბულის ფარდის გაუმტარობას.

დიახ, ბულის, რადგან ეს „კვამლი“ სხვა არაფერია, თუ არა ინტენსიური მტვერი, რომელიც აქ, გვირაბის სიღრმეში, სალიკლდის ქანების „კოდალით“ ნგრევის პროცესის აუცილებელი თანმდევია.

ყრუ გუგუნი, რომელიც ყურის აპკებს შესვლისთანავე დაანვეება, თანდათან ძლიერდება, ისე გაგიჟდება სხეულში, რომ ამ ხმაურის ნაწილად გაქცევს.

450 მეტრის სიღრმეში, როცა თავს ზემოთ ასიათასობით ტონა მიწის მასაა, და სხვა არაფერი, ავტომატურად იღვიძებს თავის გადარჩენის ინსტინქტი, ამოქმედდება და გახსენებს, რომ, მაგალითად, გვირაბის სიღრმეში გამოჩენილი სინათლე მაინცდამაინც გვირაბის დასასრულის მანიშნებელი არ არის: სავესებით შესაძლებელია, შემხვედრი მიმართულებით მოძრავი სწრაფი მატარებლის ფარები იყოს.

მადლობა ღმერთს, რკინიგზა ჯერ არ ამუშავებულა და ეს საშიშროება გამორიცხებულია.

„მატარებელი“ შიშის დიდი თვალებია, აი, მრავალტონიანი თვითმცლელი ავტომანქანის თვალების აბრდღვიალება კი — რეალობა. მოდის ეს რეალობა და შეიძლება ისე გადაგიაროს, რომ არც დაამუხრუჭოს.

დამფრთხალი ინსტინქტის წარმოსახვითი საშიშროება მოძრაობის მონაწილეთა მიერ გზის ზრდილობიანი დათმობით მთავრდება — თვითმცლელი და „ტოიოტას“ ჯიპი მშვიდად აუქცევენ ერთმანეთს გვერდს. ბოლოს და ბოლოს ძრავაგამორთულ „კოდალასთან“ ვჩერდებით.

ბნელა. ბულია. სრული შეგრძნებაა გარე სამყაროსგან აბსოლუტური იზოლაციის. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ისიც, რომ საბურღ დანადგარზე დამონტაჟებული პროექტორი მხოლოდ თავის „სამუშაო ფრონტს“ ანათებს, და გამოკვეთილად გაგრძნობინებს, რომ ამ კლდესთან მთავრდება გზა, რომ აქ ჩიხია.

წინ კლდეა, უკან — მენყერი არა, მაგრამ მიწის სიღრმიდან უხვად გამოყოფილ წყალში აზელილი ნიადაგია, ტალახი, რომელშიც ხამად მისული კაცი (საკუთარ გამოცდილებას გიზიარებთ) კოჭებამდე ეფლობა. გვირაბის კედლებიდან შეუჩერებლად მონაწილეს გრუნტის წყალი.

— ეგ რა არის, — ამბობს ოლეგ ბიჭიაშვილი, — უნდა გენა-

ხათ, როგორი ჩანჩქერები გადმოდიოდა, სანამ იზოლაციას გააკეთებდით.

მინისა და წყლის სტიქიების შემოტევა ამ კონკრეტულ გარემოში, ისევე, როგორც საერთოდ, ბუნების განონასწორებულობაში ადამიანის ინტენსიური ჩარევის შედეგია. მაგრამ ჰომო საპიენსი იძულებულია, ჩაერიოს, სხვა გზა არ აქვს, მით უფრო მაშინ, როცა საქმე მართლაც გზას ეხება, კომუნიკაციის ისეთ ეფექტიან საშუალებას, როგორიც რკინიგზაა.

აქ ეს შემთხვევაა: სწორედ ამ გვირაბის საშუალებით დაუკავშირდება საქართველოსა და თურქეთის რკინიგზები ერთმანეთს.

ტრანსეროვნული სატრანსპორტო არტერია აღმოსავლეთით ცენტრალური აზიის გავლით ჩინეთისკენ მიდის, დასავლეთით — ევროპისკენ.

პერსპექტივა ასეთია და ღირს ბუნებრივ დაბალანსებულობაში ლოკალურ ჩარევად.

მაგრამ ჯერ კლდეა გამოსანგრევი, ჯერ გვირაბია გასაყვანი.

— მუშაობის ტემპი არ გვაკმაყოფილებდა, გრაფიკს სერიოზულად ჩამოგვარჩენდა და იძულებული გავხდით, შეგვეცვალა სამშენებლო კომპანია. დღეს აქ დასაქმებულია თურქული ფირმა „ფოლადი“, რომელიც პატიოსნად და ხარისხიანად მუშაობს, — **განმარტავს გურბან პირიევი, „აზეროილსერვისის“ გენერალური დირექტორის მოადგილე და ამ ორგანიზაციის თბილისის ფილიალის ხელმძღვანელი, რომელიც ბიჭიაშვილთან ერთად საინსპექციო შემოწმებაში მონაწილეობს**, — ეს ფირმა მსოფლიოშია ცნობილი, საქმიანობს ალჟირში, ერაყში, მაროკოში, აზერბაიჯანში.

— და ტექნიკითაც უკეთ არის აღჭურვილი, — **აზუსტებს ბატონი ოლეგი**, — მაგალითად, 17 ტონიანი თვითმცლელეებით გამოაქვს მონგრეული ქანები, წინათ კი ამ რაოდენობის გრუნტის გამოსატანად სამი რეისის გაკეთება იყო საჭირო, რადგან იმ ფირმას ამის შესაძლებელი ტვირთამწეობის თვითმცლელეები ჰყავდა. თითქოს არაფერი, მაგრამ სწორედ ამ „უმნიშვნელო“ დეტალით „ფოლადმა“ სამუშაოთა ტემპი სერიოზულად დააჩქარა.

სხვა დეტალიც ნიშანდობლივია. თუ დღეს გვირაბში მომუშავე ჯგუფი იძულებულია, მინის თხრის (კლდის ნგრევის) სამუშაოები ერთგვარი სტოკატობით აწარმოოს, პაუზებით, რაც აუცილებელია ჰაერის ბუნებრივად განმენდისთვის, სულ მა-



**ოლეგ ბიჭიაშვილი და გურბან პირიევი
მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობაზე**

ლე აქ დამონტაჟდება სპეციალური სავენტილაციო სისტემა, რომელიც შეჩერების საჭიროებას გამორიცხავს, გაიზრდება ტემპი, ამალღდება შრომის ნაყოფიერება.

ტექნიკა და შრომის ნაყოფიერება — თავისთავად, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი კაციც კი შეამჩნევს, იმ განსაკუთრებულ შემართებას (პათეტიკად არ ჩამითვალთ), რომელიც შარშანდელი გვიანი შემოდგომის პერიოდისგან განსხვავებით მარაბდა-ახალქალაქის 184 კილომეტრიანი მაგისტრალის ყველა მშენებარე ობიექტზე იგრძნობა. ამის მიზეზის ახსნას ვთხოვ ყურბან პირიევს.

— შარშან წინ გვედო ზამთრის პრაქტიკულად უმოქმედო თვეები, როცა აქ მუშაობა გამორიცხულია. ამჟამად კი დაიწყო ინტენსიური საქმიანობის პერიოდი, როცა ყოველი დღის მაქსიმალურად გამოყენება დგას დღის წესრიგში. ორ წყებად ვმუშაობთ და საერთო მობილიზებაც ამითაა გამოწვეული. განსაკუთრებით ფართე ფრონტია გაშლილი ახალქალაქის სადგურში მიწის სამუშაოების დასაჩქარებლად და სადგურის შენობის დასამთავრებლად. ჩვენი გრაფიკით, აგვისტოს ბოლოს — სექტემბრის დასაწყისში ეს სამუშაოები დასრულდება.

— მოსახლეობასთან ურთიერთობაში თუ წარმოგექმნათ პრობლემები?

ამას იმიტომ ვეკითხები ბატონ გურბანს, რომ საქართველოში, ყველგან, სადაც კი წამოიწყეს მასშტაბური მშენებლობა (ნავთობ და გაზსადენი მილების გაყვანა, ანაკლიის პორტი, ხუდონჰესი), ადგილობრივ მოსახლეობას ისეთი მოთხოვნები გაუჩნდა, რომელთა დაკმაყოფილებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა აღნიშნული პროექტების რეალიზება.

— ზოგჯერ ზედმეტს ითხოვენ, უფრო მეტად — აუცილებელს, — **შენიშნავს პირივეი**, — მაგალითად, სოფელ თავფარაენის წყალმომარაგების მილი თურმე ლიანდაგის ქვეშ გადიოდა. ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, რადგან პროექტში არ იყო მითითებული. გადავუწყვიტეთ ეს საკითხი, ჩაიდო სათადარიგო მილი, რომელიც ჩაენაცვლება არსებულს.

— იყო ნახირსარეკების პრობლემაც, — **თემას განაგრძობს ბატონი ოლეგი**, — მათი მონყობა პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა. ეს საკითხი მართლაც პრობლემურია: არის ადგილები, სადაც ლიანდაგების მიწაყრილზე საქონელი ვერ გადადის. ესეც მოგვარდა. რკინიგზა ადგილობრივების სახნავსათესზე მიწებზე გადის. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დახმარებით გამოვისყიდეთ ეს მიწები და დავაკმაყოფილეთ კერძო მესაკუთრეთა ინტერესები.

საუბარში ისიც გავარკვეით, რომ ეს მშენებლობა აქ, სამცხე-ჯავახეთში ხელოვნურად შექმნილ ყოველგვარ პარტიულ-პოლიტიკურ დაპირისპირებაზე (რითაც დღეს ასე ვართ გატაცებული) მაღლა დგას. სხვა განზომილებაა.

აქ, ბუნებასთან ადამიანების უშუალო ურთიერთობის პრაგმატული ტრადიციისა დამკვიდრებული, „ჯავახზე“ უფრო გაზაფხულის უხვნალექიანობა ანუხებთ. არნახულად უხვი. რკინიგზის მშენებლობა დამამთავრებელ ფაზაში შედის და ბუნების ჭირვეულობით დაკარგული დღეები და საათები, დამერწმუნეთ, აქაურებისთვის უფრო მეტადაა მნიშვნელოვანი, ვიდრე ვილაც უსაქმურების ბოდვითი იდეა ეროვნული წარმომავლობის ნიშნით ავტონომიის მოთხოვნის თაობაზე.

რკინიგზის ამუშავება ახალი შესაძლებლობების პერსპექტივითაა დატვირთული.

შენუხებულია ოლეგ ბიჭიაშვილიც, რადგან ამ ეტაპზე უკვე

დაინყო ისეთი ფაქიზი სამუშაოები, როგორცაა ლიანდაგის ზედნაშენის მოწყობა: ძლიერი წვიმა და ნიაღვარი რეცხავს მშენებლების ნამუშევარს და თავიდან გასაკეთებელს ხდის.

იძულებულნი არიან, გაზარდონ ტემპი, ორ წყებად იმუშაონ. 2014 წლის ბოლოს სატესტო მატარებლის გატარება რეკონსტრუირებულ რკინიგზაზე მთავარი მალიმიტირებელი ფაქტორია.

— ამან მოითხოვა რამდენიმე პრიორიტეტული ფრონტის გახსნა. ეს არის მარაბდა-თეთრინყარო, სადაც უკვე დამთავრებულია სამუშაო, თეთრინყარო-ნალკა, რომელზეც სამუშაოებს ამ წლის ბოლოს დავამთავრებთ. ამჟამად ნალკა-ახალქალაქის მონაკვეთზე ლიანდაგს მექანიზებული მეთოდით ინტენსიურად ვაგებთ. მეოთხე პრიორიტეტი ნინოწმინდიდან ნალკის მხარესაა გაშლილი, სადაც ლიანდაგის დაგება ხელით მიმდინარეობს, რადგან მექანიზმების იქ გადასროლა ლიანდაგის განახლებაზე შეუძლებელია. მძიმე სამუშაოა, მაგრამ დღეში 200-300 მეტრზე ვახერხებთ ლიანდაგის დაგებას. ეს არც ისე ცოტაა, რადგან 10 დღის განმავლობაში ორი კილომეტრით წინ მივდივართ. 4-5 თვეში დაახლოებით 30 კილომეტრს დავაგებთ.

— ბატონო ოლეგ, დღეს ლიანდაგის დამგები მატარებლის მუშაობა რომ ვნახეთ, მისი წარმადობა რამდენია?

— დღეს იქ დაიგება 675 მეტრი. ყოფილა შემთხვევები, როცა დღეში ერთი კილომეტრიც დაგვიგია. ეს დამოკიდებულია გზის პროფილზე. ასე რომ, რკინიგზის მშენებლობა-რეკონსტრუქციის დადგენილ ვადებში დამთავრებას წინ არაფერი დაუდგება.

P.S. გზა, ისევ გზა — ასფალტირებული, გაეროს სესხით დაგებული სამცხე-ჯავახეთის მინდვრების უკიდევანობაში. ამ გზას გვაყვედრიდა ყოფილი ხელისუფლება. „საშვილიშვილო“ საქმით ტრაბახობდა, რომელმაც ორ ზამთარსაც ვერ გაუძლო და ისე შეილახა, რომ, მანქანის მძლოლმა თუ ოდნავ მოადუნა ყურადღება, შეიძლება თავისი სატრანსპორტო საშუალება იმ გზაზე დატოვოს. მით უფრო ისეთ ნისლში, რომელიც უკან დაბრუნებულებს გზაზე ჩავვისაფრდა. უფრო და უფრო ჩამობინდდა და ამქვეყნიური საქმეებით გართულებს შეგვახსენა, რომ ჩვენი სიცოცხლე წამიერია, შეიძლება ჩიტივით გაგვიფრინდეს.

მაგრამ ის წამიც ღირსეულად უნდა იცხოვრო, როგორც შეგიძლია, ისე და იმ საქმით, რომელსაც შეჭიდებული ხარ.

სამსხე-ჯავახეთის კონტრასტები



ეს ხიდი ცხრაბალიან მიწისქვეშას გაუშლავს.
ვალე აქ ლინდავის მონტაჟს დაიწყებენ

მარაბდა-ახალქალაქი-კარნახის საერთაშორისო რკინიგზის მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე მომუშავე კოლექტივისთვის ზაფხული მართლაც ცხელია. სწორედ ამ პერიოდში არის შესაძლებელი მშენებლობის მოცულობის მაქსიმალური გაფართოება.

მაგრამ რაკი აჩქარება ზოგადად შეცდომების მიზეზი არის ხოლმე, მშენებლობის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით აძლიერებს კონტროლსა და ზედამხედველობას.

1 აგვისტოს ჩატარებული შემონემა ამ ამოცანას ისახავდა მიზნად.

აგვისტოს პირველში

ახალქალაქს მიახლოებული მგზავრი აუცილებლად შეამჩნევდა აქ დასაქმებული ადამიანების განსაკუთრებულ აქტივობას ორ ფრონტზე: სამცხე-ჯავახეთის უკიდუგანო ველებზე, სადაც ცელით, კომბაინით, ცხენს გამობმული ფოცხებით თიბა-

ვენ, ფინლებით აგროვებენ და აბულულებენ ხანგრძლივი ზამთრის პირობებში საქონლის გამოსაკვებად საჭირო ბალახს.

მინდვრების მწვანე, სიყვითლეშეპარულ, მოყავისფრო კვადრატებში ჩანინკლული მოძრავი ადამიანების სილუეტები, როგორც ამ ქვეყნისთვის „ძალისა და ძლიერების მიმცემი“ ატომის მუხტები.

მეორე ფრონტის ხაზი კი მარაბდა-ახალქალაქი-კარნახის რკინიგზას მიჰყვება, რომლის მალიმიტირებელი ობიექტი ამჯერად ახალქალაქის მშრალი პორტისთვის სამშენებლო მოედნის მომზადებაა. მშენებელთა პრიორიტეტულმა აქცენტმა აქ იმიტომ გადმოინაცვლა (ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც), რომ გვირაბის გაყვანის სამუშაო, რომელსაც თურქული ფირმა ანარმოებს, და რომელიც თუნდაც ორიოდ კვირის წინათ მთავარ „დამკვერელულ ობიექტად“ ითვლებოდა, რამდენიმე დღეა, შეჩერებულია მაჰმადიანთა წმინდა დღესასწაულის — ურუზ-ბაირამის გამო.

მშრალი პორტის სამშენებლო პოლიგონი უზარმაზარი ქვაბულია, რომლიდანაც ყოველდღიურად 10 000 კუბურ მეტრ გრუნტს იღებენ, უფრო და უფრო აფართოებენ სიგრძესა და სიგანეში. ტემპი თვალშისაცემია, თურქული კომპანია „ფოლადის“ მრავალტონიანი თვითმცლელები ჯანმრთელი სხეულის პულსაციის რიტმში მოძრაობენ ქვაბულის ფსკერზე საგანგებოდ მათთვის გაყვანილ გზებზე — გამოაქვთ დაუზარებლად მომუშავე ექსკავატორების მიერ მოთხრილი მიწა.

მთავარი ახლა აქ სწორად გათვლილ სამუშაოთა ოპერატიულად შესრულებაა, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული ზაფხულის ყოველი დღე, ანუ ის პერიოდი, რომელიც ადგილობრივი ჭირვეული კლიმატის პირობებში საქმიანობისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია.

— თორემ აქ თუ წვიმები დაიწყო, იძულებული ვიქნებით გავაჩეროთ ყველა სამუშაო, — დაიჩივლებს ინჟინერთაგან ერთერთი. შემდეგაც, სახელდახელო თათბირზე იმავეს გაიმეორებს. რამდენიმეჯერ. ბოლოსდაბოლოს ოლეგ ბიჭიაშვილისგან, რომელსაც ამ რეგიონში საქმიანობის უდიდესი გამოცდილება აქვს ჯერ კიდევ ამიერკავკასიის რკინიგზის პერიოდიდან მოყოლებული, პასუხად მიიღებს:

— მაინცდამაინც ნუ შეშინდებით ამინდის გამო.

ეს გაფრთხილებაც არის და რჩევაც ერთდროულად.
დაფიქრდებიან ამაზე...

ამ ოპერატიულ თათბირს გზადაგზა მეორეც მოჰყვება: შეკითხვები, პასუხები, ნათქვამის და ნანახის შეჯერება, დასკვნების გამოტანა; მანამდე კი — საინსპექციო ჩამოვლა მაგისტრალის გასწვრივ, აქცენტით ხიდებზე. **პროფესიული თვალით შემონიშნება, გაკეთდა თუ არა ის, რაზეც წინა შეხვედრაზე მიაქცია მშენებლების ყურადღება მშენებლობის ხელმძღვანელმა.**

დაბოლოს, როგორც კი „ფანჯარა“ გამოჩნდება, ინტერვიუს ჩამორთმევას სწორედ ამ თემით დავიწყებ, ხიდების თემით.

— **ბატონო ოლეგ, ამ ჯერზე სარკინიგზო ხიდებით რატომ იყავით განსაკუთრებით დაინტერესებული?**

— განსაკუთრებით არა, მაგრამ დაინტერესებული მართლაც ვიყავი. მოგეხსენებათ, რომ ეს მხარე სეისმური აქტივობით ხასიათდება, ამიტომ სარკინიგზო ხიდების სეისმომედეგობის უზრუნველყოფა ჩვენი მშენებლობისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ ითვლება. ხიდმა უნდა გაუძლოს ცხრაბალიან მიწისძვრას. ერთ-ერთი დეტალი, რომელიც სიმყარისთვისაა გათვლილი, ხიდზე გადაებული განივი კოჭების ერთმანეთთან სპეციფიკური დაკავშირებაა, რაც თავიდან აგვაცილებს მათ დაშორიშორებას. ეს, სამწუხაროდ, პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა, ამიტომ მოხდა მისი (პროექტის) კორექტირება, გამოიყო თანხა, ჩატარდა შესაბამისი სამუშაო. აი, სწორედ ამ სამუშაოს ხარისხიანობა შევამოწმეთ დღეს. შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ხიდი მზადაა იმისთვის, რომ დავიწყოთ ლიანდაგის დაგება.

— **მშენებლებთან შეხვედრის დროს თქვენ ახსენეთ შვიდი ობიექტი, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციონ. რომელ ობიექტებს გულისხმობდით?**

— რკინიგზისპირა სოფლები, რომლებსაც საძოვრები ლიანდაგის გადაღმა აქვთ, რომ არ დაზარალდნენ, ნახირსარეკებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, აგრეთვე, გზაგამტარებით, რომლებიც ამ სოფლებისთვის აუცილებელია. ამიტომ მოსახლეობის მოთხოვნით, მარაბდიდან კარნახამდე დავგეგმეთ შვიდი ახალი ობიექტის აგება. შვიდიდან სამს ამ წლის ბოლომდე დავამთავრებთ, დანარჩენ ოთხს — გაისად.

— **ამას დამატებითი სახსრები დასჭირდება.**

— მშენებლებს ფულს შესრულებული სამუშაოს მიხედვით გადავუხდით.

— **ფულზე ჩამოვარდა საუბარი ახალქალაქშიც, გაკვრით, გაუბედავად, მაგრამ მაინც თქვეს, გვჭირდებაო გარკვეული ოდენობის თანხა.**

— ახალქალაქის ობიექტზე წევის ქვესადგურის მშენებლობა-მონტაჟი ერთი მილიონ სამასი ათასი დაჯდება. მშენებლებმა ავანსის სახით უკვე მიიღეს 240 ათასი აშშ დოლარი მოსამზადებელი და პირველი ეტაპის სამუშაოების შესასრულებლად. როგორც კი მორჩებიან საქმეს, მიიღებენ ფულს. ასეც ვუთხარი მშენებლებს: მოგვეცით შესრულება, გადაგიხდით ფულს. დაუბრკოლებლად აუნაზღაურდებათ.

(იგივე დაადასტურა საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა გოჩა ჩაგელიშვილმა, რომელიც ბატონ ოლეგს ახლდა).

— **რკინიგზის მაგისტრალზე მიმდინარე სამუშაოების ტემპი, დამაკმაყოფილებელია, თითქოს. მაგრამ სახელდახელო თათბირებზე თქვენი შენიშვნებით თუ ვიმსჯელებთ, მაინც-დამაინც კმაყოფილი არ ხართ. ასეა, თუ მეჩვენება?**

— ხუთი წელიწადია, მიმდინარეობს სამუშაოები. ამ ხნის განმავლობაში მაგისტრალის მშენებლობა-რეკონსტრუქცია ორჯერ უნდა დამთავრებულიყო. ეს ფაქტია.

ჩვენ ვთქვით, რომ 2015 წლის ბოლოს საექსპლუატაციოდ გადავცემთ მთლიანად მაგისტრალს. სიტყვა რომ არ გაგვიცუდდეს, მუშაობის ტემპიც, ჩვენი საქმიანობის მარგი ქმედების კოეფიციენტიც უნდა გავზარდოთ. არ არის ეს მარტივი საქმე, ამიტომ სამუშაოთა უკეთ ორგანიზებაზე ვართ გადასული, რაც საქმეს აშკარად დაეტყო, მაგრამ არა ყველგან. დავასახელებ გვირაბის მშენებლობას, რომელიც ჩამორჩა დაგეგმილ ვადებს. მიზეზი საკმაოდაა: სამუშაოთა სირთულე, სუბიექტური ფაქტორიც, რაც თქვენთვის ცნობილია.

თუ ამ სიძნელეებს გადავლახავთ (ამისთვის კი ყველაფერს ვაკეთებთ), მომავალი წლის ბოლოს კარნახამდე სრულად მოვაშადებთ ინფრასტრუქტურას საექსპლუატაციოდ და, ალბათ, დაველოდებით გვირაბის დამთავრებას.

— **გალერეების დამთავრებას რამე აბრკოლებს?**

— მოკლედ გაგახსენებთ ისტორიას. მარაბდა-ახალქალაქის

მაგისტრალის მშენებლობა 1986 წელს დასრულდა. რკინიგზა 1998-2000 წლებამდე ფუნქციონირებდა. დადიოდა სამგზავრო მატარებელიც. მაგრამ მკაცრი კლიმატური პირობების გამო (დიდთოვლობა, ყინვა, ქარი, ნამქერი), გზა ნოემბრიდან იკეტებოდა, აპრილიდან ვამტვრევდით ყინულს და ვაახლებდით მოძრაობას.

აქედან გამომდინარე, ჩვენს პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, პრობლემურ უბნებზე დავგეგმეთ გალერეების მშენებლობა. ეს გალერეები გარედან მიწით დაიფარება და გვირაბის სახე მიეცემა. ამით მთლიანად გამოირიცხება მაგისტრალზე ნამქერების უარყოფითი ზემოქმედება. ამას გარდა, ვაშენებთ თოვლდამცავ ზღუდეებს, ამავე დამცავი ფუნქციის მქონე ტყის მასივებს. მთელი ეს კომპლექსი სრულად მოხსნის ზამთრის პერიოდში რკინიგზის ფუნქციონირების შეწყვეტის პრობლემას.

რაიმე დაბრკოლება სამუშაოთა ამ კომპლექსის დასამთავრებლად არ გვაქვს.

— **ხალხში ამბობენ, რომ ამ გზაზე მატარებლები ხშირად ბრუნდებოდაო.**

— ეს ფოლკლორია. მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. რამდენიმეჯერ ვაგონები ლიანდაგიდან გადავიდა, რასაც ოპერატიულად ვასწორებდით.

ახალ მაგისტრალზე ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კეთდება ყველაფერი, რასაც კი თანამედროვე ნორმატივები მოითხოვს.

ეს გზა მონასტრამდე მიგვიყვანს

საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე მაგისტრალის მშენებლობის უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად შპს „მარაბდა-ახალქალაქი-კარნახის“ ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი, კეთილშობილური მისიის შესრულება იკისრა — ფოკას დედათა მონასტერთან საქველმოქმედო ურთიერთობას დაუდო სათავე.

სიკეთის ქმნის უშურველობის მართლმადიდებლური პრინციპიდან გამომდინარე, სიტყვას არ გავაგრძელებ, ზნეობის და-



მონაზონი ლულოვიაო XIV-სავით უჯიკება ციცას

უნერელ კანონს არ დავარღვევ, თუმცა ჩვენი ტელეარხების ეკრანებზე საქველმოქმედო სიუჟეტებით გამოკეკლუცება სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა ლამის ტრადიციად დაამკვიდრონ.

ფოკას დედათა მონასტრის შესახებ ილაპარაკა დედა შუშანიკმა (ქურთაულმა) კეთილმონესემ, რაც საერო ენაზე სამეურნეო ნაწილის გამგეს ნიშნავს თურმე.

— ტაძარი მე-11 საუკუნისაა. წმინდა ნინოს სახელზეა აგებული. მეფე ბაგრატ მესამისა და იოანე კათალიკოსის დროსაა აშენებული. აქ იყო განსაკუთრებული სტატუსის მქონე საკათალიკოსო მინები. ტაძარიც განსაკუთრებულია, რადგან კათალიკოსს მიუღია მონაწილეობა მის მშენებლობაში. ფოკა იყო და არის არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობის ტაძარი.

სრულიად საქართველოს პატრიარქ ილია მეორეს 1988 წელს ადგილობრივი სომეხი მოსახლისგან აქ შეუძენია სახლი. ამისთვის საჭირო გახდა თბილისიდან მისი ამონერა და ამ რაიონში ჩამოსახლება. საბჭოთა პერიოდში არსებული ჩანერის ინსტიტუტის არსებობის პირობებში უძრავი ქონების შესყიდვა სხვა-ნაირად შეუძლებელი იყო.

— ეს შენაძენი უწმინდესს 22 ათასი მანეთი დაუფუდა, რაც იმ დროს წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო, ხომ გახსოვთ? — მონმედ მიხმობს დედა შუშანიკი, რომელსაც ბაბუად თუ არა, მამად უეჭველად ვეკუთვნი, ხანდაზმულობის გამო, ცხადია. ვეთანხმები, რადგან არც მაშინ, არც შემდეგ და, მით უფრო, დღეის პირობებში ასეთი თანხა არც ერთად, არც ნაწილ-ნაწილ, არც მანეთებში, არც ლარებში არ მინახავს, თორემ კუპონები, იცოცხლეთ, მილიონობით მჭერია ხელში...

დედა შუშანიკი განაგრძობს:

— პატრიარქს ძალიან უნდოდა, რომ აქ, ამ ტაძარში აღმდგარიყო წმინდა ნინოს პატივისცემა: საქართველოში შემოსულმა წმინდა ნინომ ღამე აქ გაათია...

ჩვენ ვიდექით ადგილზე, სადაც წმინდა ნინომ პირველად დაადგა ფეხი საქართველოს მიწას:

მწყემსსა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?

მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე...

მიეძინა... ერთ წალკოტში მიეძინა

და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილესო;

ეს ვინ არი, გამოცხდდა მგზავრის წინა?

„ნუ გეშინინ!“ — ეუბნება იესო... (ანა კალანდაძე)

— ჩვენ აქ 1992 წელს ჩამოვედით.

— **ვინ ჩვენ?**

— თბილისიდან რამდენიმე გოგო წამოვედით. ახალგაზრდები ვიყავით. ერთ-ერთი მათგანი ახლა დედა ნინოა (ავაზაშვილი), მეორე — დედა ნანა (ქოროლიძევილი). მე თბილისის მასწავლებელ პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ეკლესიაში დავდიოდი. მორწმუნე გავხდი. ფოკაში დედათა მონასტერი რომ უნდა დაარსებულიყო, დედა ელისაბედს (მესხიშვილს) — ჩემს მოძღვარს გამოვყვეით. იგი მაშინ უკვე მონაზონი იყო, მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში ნაცხოვრები.

— **მრევლი გყავთ?**

— არა, არ გვყავს. ქართველი მოსახლეობა აქ არ ცხოვრობს. მრევლად თუ ჩავთვლით იმ ადამიანებს, რომლებიც სისტემატურად ამოდიან ტაძარში, მოილოცავენ აქაურ სინმინდეს, მაშინ — კი, გვყავს. მოდიან ექსკურსანტები. ახლა ყველამ გაიგო ამ ტაძრის მნიშვნელობა.



დედა შუშანიკი

— ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა გაქვთ?

— როგორ არა! მეგობრული, ძალიან კარგი მეზობლური. გვაქვს პატარა, საკვირაო სკოლა, რომელშიც სომეხი ბავშვები სწავლობენ ქართულს, ინგლისურს, მუსიკას. გვაქვს კომპიუტერული კლასი.

— პედაგოგებს იწვევთ?

— ჩვენ თვითონ ვასწავლით.

— ესე იგი, პრობლემები არ გაქვთ. აი, კუმურდოში, სადაც დიდი ხნის წინათ ვიყავი, ბევრი პრობლემა იყო დახვავებული, ადგილობრივ სომეხ მოსახლეობასთან დაკავშირებული.

— კუმურდოში არავინ



ტაძარი

ცხოვრობდა, მიხვიდოდი და წამოხვიდოდი. ჩვენ აქ ვცხოვრობდით და უფრო მძაფრი პრობლემები გვქონდა, მაგრამ უკან მოვიტოვეთ.

მონასტერს თავისი მეურნეობა აქვს — ჰყავთ ძროხები, ამუშავებენ მიწას, მოჰყავთ კარტოფილი, პატარა ქარხანაც გააჩნიათ, რომელშიც ევროპული ყველის 16 სახეობას ამზადებენ. ევროპული კი ჰქვია, მაგრამ რეცეპტები ამათია, რომლებიც ყველის დაძველების ადგილობრივ კულტურაზეა დაფუძნებული.

— ამას მოჰყავა ხელით გაკეთებული შოკოლადი, ჯემები, მურაბები, მათ შორის, ბევრი სამკურნალო თვისებების მქონეა.

გირჩის მურაბა გაგიგიათ? აქ არის.

მალაზიის თაროებზე მონასტრის მეურნეობაში გამოხდილი ნაირ-ნაირი არყით საესე ბოთლების ბატარეა ჩამწკრივებული: მწვანე, მომწვანო, ქარვისფერი... ქონდრის არაყიც, თქვენ წარმოიდგინეთ.

თაფლიც აქვთ, ოქროსფერი, შიგნიდან თითქოს ანათებს, ისეთი.

თაფლის სანთლების ენები ელიცლიცება ხატებს ტაძრის კედლებზე:

— ეს არის ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ათონის მთიდანაა ჩამოტანილი; ესეც ღვთისმშობლის ხატია, სწრაფშემსრულებლად წოდებული; ეს კი სპირიდონ ტრიმიფუნტელია, საქართველოში დიდად პატივდებული ბერძენი წმინდანი; ეს იოანე ნათლისმცემლის ხატია; ეს კი მონასტრის მთავარი სინმინდია — წმინდა ნინოს ხატი, რომელიც პატრიარქმა გვაჩუქა მონასტრის გახსნის დღეს, — სახელდახელო ექსკურსიამძღოლობას იღებს თავს დედა შუშანიკი...

უხდება ტაძარს შავსამოსიანი, შავთავსაფრიანი მსახურნი ღვთისა. ეს „მორიალე ლანდები“ რწმენის უძღვეველობის ნიშანია და ახალი თაობის სულიერი განმენდის იმედს.

ახალი დროება, ახალი სახელები!

დედა ელისაბედზეც მეტყვის ორიოდ სიტყვას დედა შუშანიკი:

— დედა ელისაბედი სრულიად ახალგაზრდა გახდა ილუმენია. 28 წლის. ეს იყო მისი დამსახურების აღიარებაც, დიდი ჯილდოც და დიდი მოვალეობის დაკისრებაც. ათი წლის თავზე

პატრიარქმა მას მეორე ჯვრის ტარების უფლება მისცა. მეთვრამეტე საუკუნიდან საქართველოში ორჯვრიანი ილუმენია არ გვეყოლია.

ეს პატივი დედა ელისაბედს (მესხიშვილს) „ერისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისთვის“ ერგო.

მაშინ ბრძანა პატრიარქმა, რომ აი, ახლა 10 წელიწადი გავიდა მონასტრის დაარსებიდან, ვზივართ 100 ქართველი, თავისუფლად ვსაუბრობთ და არაფრის არ გვეშინია. ადრე ეს წარმოუდგენელი იყო. ათი წლის შემდეგ, — დასძინა მან, — იმდენი ვიქნებით, რომ არავის არაფერი გაუკვირდება. იმ დღიდან 20 წელიწადი გავიდა და მოწმენი ვართ, რომ ახლა პატრიარქის სიტყვები: აქ მომსვლელი და წამსვლელი უკვე აღარავის უკვირს...

* * *

სიჩუმე სუფევს მონასტრის ეზოში. სამხრის დროა. ნაშუადღევი. ბედიანის მონასტრიდან სტუმრად მოსული მონაზონი აგნია და მორჩილი ანა ემშვიდობებიან აქაურებს, რომლებსაც ფიჭებიდან თაფლის გამონურვაში დაეხმარნენ, მაისის თაფლის, თაფლის უნახავს რომ გაგხდის, ისეთის. აქაური მინდვრის ყვავილებიდან „აფთიაქარი ფუტკრების“ მიერ რუდუნებით შეგროვებული სამოთხის ნექტარი წამალთ-წამალია.

გაგვასინჯეს. თაფლივით დადნა.

სატრაპეზოს აივნის მოაჯირზე წითური კატა მზეს მიფიცხებია, ფადიშაჰივით გაქსუებული.

მონაზონი ლუდოვიკო XIV-სავით ეფერება ციცას. ისიც იფერებს და კრუტუნებს.

— რა ჰქვია თქვენს კატას?

— ელო, ელიკო.

საუბრიდან ირკვევა, რომ „ელო-ელიკო“, კატისებრთა ეს ნალოლიავები წარმომადგენელი, მამრი ყოფილა...

სწორად შეურჩევიათ სახელი: აბა, წარმოიდგინეთ, ამ კატას, რომლის გარდაცვლილ წინამორბედს ერქვა რემბო, ტაძრის ეზოში, ყველას თვალწინ ეფერება მონაზონი:

— ჩემო რემბო, ჩემო კარგო რემბო...

გულიანად ვიცინით.

„ელო-ელიკო“, ეტყობა, ხვდება, რომ ჩვენი გამხიარულების მიზეზი იგია და სიამოვნებისგან იზმორება.

სტუმრები ვერცხლისფერ ჯიპში სხდებიან და ბედნიანისკენ იღებენ გეზს...

ჩვენ ჩვენს გზას გავყვებით.

P.S. ქონდრის არაყს ხდიან-მეთქი მონასტრის მეურნეობაში, გითხარით უკვე. მწვანე ფერის და სპეციფიკური გემოს მქონე სასმელია.

დავაჭაშნიკეთ: დავილოცეთ.

გზა დაგვილოცეს და გამოვყევით თბილისისკენ დაღმართებს.

ოლეგ ბიჭიაშვილმა თქვა, რომ მონაზვნებს აუცილებლად შეუსრულებს დანაპირებს — მიაშველებს ტექნიკას, მიაწვდის კაუჭა ფიჭვის ნერგებს, თუ რამ კიდევ დასჭირდებათ, უარს არ ეტყვის.

2014 წლის 13 აპრილი

სატესტო პატარაელი ახალ მაგისტრალზე წლის ბოლოს გაივლის



ესანი სიტყვას არ გატყუებ

სამცხე-ჯავახეთის ზეგანზე წელიწადი ექვს თვეს გრძელდება, სამუშაო წელიწადი. შემდეგ იწყება ბუნების დიქტატის პერიოდი და ადამიანი თავის შრომით აქტიურობას მომდევნო ექვსთვიანი ციკლისთვის გადადებს. იძულებულია.

ძილქუშის თვეები დგება — სასიცოცხლო პროცესების შენელების მსგავსი პერიოდი.

სექტემბრის დასაწყისიდან გამოჩნდება ხოლმე პირველი მიწისშენება: დაიდრებიან ცხვრის ფარები ბარისკენ.

თეთრი ქარავნის ტალღები, როგორც ზღვის ნაპირს, მოაწყობებიან საავტომობილო ტრასას, გადაუვლიან და დადექ და ელოდე! მოძრაობას „საკაპუვილის დაგებულ“ ტრასაზე დაწყებული გენერალური რემონტიც აფერხებს და კიდევ — ნისლი, რომელიც შუადღემდე წევს ჯავახეთის გზათა ზედა.

მაინც ავალწევთ და ვნახავთ, რომ მარაბდა-კარნახის საერთაშორისო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე განსა-

კუთრებული მობილიზება შეიმჩნევა, მაგრამ არაფერი მსგავსი „შტურმოვშინისა“, როცა მალესა და ჩქარას ეწირებოდა ხარისხი.

— ზაფხულის კარგმა ამინდებმა ხელი შეგვიწყო და მნიშვნელოვნად გავზარდეთ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, — ამბობს გურბან პირიევი, მთავარი კონტრაქტორი კომპანიის — „აზეროლსერვისის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, — ტემპიც და ხარისხიც ერთნაირად მაღალია.

ამასვე ადასტურებენ ქართული მხარის საზედამხედველო სამსახურის თანამშრომლები.

— აგვისტოში 13 მილიონი დოლარის ღირებულების სამუშაო შევასრულეთ, — აზუსტებს შპს მარაბდა-კარნახის მშენებლობის ხელმძღვანელი ოლეგ ბიჭიაშვილი, — სექტემბერშიც ამ ზღვარზე გავალთ. შარშან 4 თვეში 26 მილიონი დოლარის სამუშაო შევასრულეთ, წელს 8 თვეში — 72 მილიონი დოლარის.

ასეთი მაღალი ტემპითა და სამუშაოთა სწორი ორგანიზებით (გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ!) რკინიგზის მშენებლობის სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთ წელიწადში შესრულდა ისეთი მოცულობის სამუშაო, რომელმაც წინა ხუთი წლის საერთო მოცულობას გადააჭარბა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქოსატყუილა სააკაშვილის გაპიარებული „რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებ!“ მხოლოდ ციტატა იყო ბერტოლდ ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრიდან“ და არა რეალობა, რომელიც მითვისებულ მილიონებზე ნაკლები დანაშაული არ არის...

ლარივით სწორია ახლადდაგებული ლიანდაგი, ისარივით გატყორცნილი.

— ლამაზია, — ემოციას არ მალავს ბატონი ოლეგ ბიჭიაშვილი, — აქ, ამ ადგილზე ერთი თვის განმავლობაში 15 კილომეტრი ლიანდაგი დაიგო, — ეს უკვე შეფასებითი მომენტია, — ძველი ავიღეთ, ახალი დავაგეთ. კაპიტალურად შეკეთდა ყველაფერი — მოსწორდა მიწის ვაკისი, დაიტკეპნა. ოთხ-ნახევარ თვეში 74 კილომეტრი ლიანდაგი დავაგეთ. 13 აპრილს პირველი ახალი შპალი შემოვიტანეთ და დავინყეთ. ახალქალაქის სადგურამდე დარჩენილია 6 კილომეტრი და 900 მეტრი. ამასაც 15 სექტემბრამდე გავივლით. ახალქალაქიდან კარნახამ-



ნინოწმინდის სადგური

დე, ანუ გვირაბამდე 26 კილომეტრზე გავიყვანეთ რკინიგზა. ერთი კილომეტრილა დაგვრჩა დასაგები.

— ბატონო ოლეგ, ახალი შპალი ახსენეთ, მაგრამ რას ნიშნავს, რომ აქ, ამ სადგურში ძველ, ხის შპალებზე გაქვთ დაგებული ლიანდაგი? ეკონომიას ეწევით, აიაფებთ მშენებლობას თუ დაგაკლდათ?

— არა. ხის ჩანართებს შემდეგ ავიღებთ. ეს არის ნინოწმინდის სადგური, რომელშიც, როგორც ყველა სარკინიგზო სადგურში, „ისრული ქუჩა“ უნდა გაკეთდეს — ისრები უნდა ჩავდგათ. ამას რომ დავამონტაჟებთ, ხის დროებით შპალებს ავიღებთ. სადგურის ამ ყელში მატარებლების გასატარებლად ისრული გადამყვანები გაკეთდება. მაგრამ ამჟამად, როცა ახალქალაქის მიმართულებით მშენებლობა დასამთავრებელი გვაქვს, გადამყვანი ისრების საჭიროება არ არსებობს და მათი დამონტაჟებისთვის დროს ვერ დავკარგავთ. ლიანდაგზე პირდაპირი მიმართულებით გაივლის ლიანდაგის დამგები სპეციალური მატარებელი-ამწე და 25-25-მეტრიან ე. წ. რეშოტკებს — შპალებისა და რელსების გამზადებულ ლიანდაგს — დაალაგებს მინის ვაკისზე. ყველაფერი წინასწარ არის გათვლილი, შერჩეული და მომზადებული.

ასე გავიარე სახელდახელო „ლიკბეზი“ რკინიგზის მშენებლობის საფუძვლების ცოდნის ასამაღლებლად.

ამ საუბრის პროფესიულ აქცენტებთან ერთად კიდევ ერთი

მომენტი იყო ყურადსაღები, კერძოდ ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მთიელი კაცისთვის (ოლეგ ბიჭიაშვილი დუშენლია) სიტყვის გაუტეხლობის პრინციპის დაცვა.

გეგმის შესრულება, თავისთავად იგულისხმება, მაგრამ, როცა ეს სამსახურებრივი მოვალეობა მორალურ სიბრტყეში გადადის, მაშინ ორმაგი პასუხისმგებლობით ხდები დატვირთული.

— მობილიზებულები ვართ, — თქვა ბიჭიაშვილმა, — რომ ჩვენი მთავრობისთვის, პირადად პრემიერმინისტრ ირაკლი ლარიბაშვილისთვის და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვის მიცემული სიტყვა არ გავტეხოთ და პირველი სატესტო მატარებელი ახალ მაგისტრალზე წლის ბოლოს აუცილებლად გავატაროთ.

დამერწმუნეთ, ეს ტირადა არ იყო პირველი პირების წინაშე მომგებიან პოზაში დადგომის მცდელობა. სხვათა შორის ისევე, როგორც საკოორდინაციო საბჭოს უნარიანი ხელმძღვანელობის აღნიშვნა, რომელსაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უდგას სათავეში. ეს ნაკარნახევი იყო მშენებლობის ორგანიზაციული ქარგის სრულად წარმოჩენის აუცილებლობით.

საქმიან ადამიანებთან ვსაუბრობ. გურბან პირიევს ერთი თვის წინათ შევხვდი. რას მეტყვის ახალს?

— ახალი ახლად დაგებულ ლიანდაგებია (*ილიმება*), მუშაობა გეგმის, პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. მესამე ეტაპს — ნალკა-ახალქალაქს, ალბათ, ათი დღეში დავამთავრებთ.

ერთი ოჯახის ნევრები, ერთი გუნდი ვართ და ერთი პროექტის განხორციელებისთვის ვიღვნი.

— სხვა ასეთ მასშტაბურ პროექტს თუ იცნობთ სამხრეთ კავკასიაში?

— მოცემულ მომენტში ასეთი მასშტაბის სარკინიგზო პროექტი არ არსებობს. ეს პროექტი, მოგეხსენებათ, ევროპაში სარკმლის გაჭრის სახელითაა ცნობილი. 15 სექტემბერს ახალქალაქამდე რომ დავაგებთ ლიანდაგს, ეს თავისებური რეკორდი იქნება მთიან მხარეში, ურთულეს პირობებში რკინიგზის გაყვანის დღემდე არსებულ პრაქტიკაში. ამ შემთხვევაში ბევრი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი მოქმედებდა. მთავარი მაინც ისაა, რომ, როცა ხელმძღვანელი ადგილზეა, გეგმით გათ-



სრეშის დამამზადებელი ქარხანა

ვალისწინებულზე გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება. ბატონმა ოლეგ ბიჭიაშვილმა მოგვცა საშუალება, შეგვიქმნა ყველა პირობა, რომ მთელი ძალითა და შესაძლებლობით გვემუშავა.

...ნინოწმინდის სადგური ხარაჩოებშია, ფასადის მოპირკეთება სრულდება. ცოტა მოშორებით რელსებს ადუღებენ, ხოლო ახალქალაქის უზარმაზარ ქვაბულში ფირმა „ფოლადის“ თვითმცლელ სატვირთოებს „კოდალების“ მიერ ჩამომტვრეული ლოდები ორგანიზმში სისხლის პულსირების რიტმში გააქვთ სრეშის დამამზადებელი ქარხნისკენ, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს: უზარმაზარი ზვინები დგას ამ სამშენებლო მასალის, რომელსაც მიწის ვაკისზე დაყრიან და ზედლიანდაგს დააგებენ.

მასშტაბურობა აქ იგრძნობა სრულიად, თანამედროვეობის შესაფერისად.

ჰაერში ძველი რკინიგზისთვის დამახასიათებელი სურნელი ტრიალებს, რომელიც ნოსტალგიურ განწყობილებაზე დააყენებს ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ოდესმე ძველი მატარებლებით უმგზავრია.

— ალბათ, თანდათან გაქრება ეს სურნელი, ბატონო ოლეგ, როცა ბეტონის შპალები სრულად ჩაენაცვლება ხისას.

— ამ ხის შპალებზე 28 წლის წინათ დააგეს მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ლიანდაგი. მაშინ ძალიან ხარისხიანად ხდებოდა შპალების გაჟღენთვა, გორში მუშაობდა სპეციალური ქარხანა. ის შპალები დღესაც „მუშაობს“, დღესაც ვარგისია. ასეთ „მეორად საქონელს“ ძველ ვარგისს ვუნოდებთ. მართალია, მათი „მსახურების“ ვადა ისეთი არ იქნება, როგორიც ახლის, მაგრამ არც ბევრად ჩამორჩება. ხის შპალები რუსეთიდან შემოგვექონდა, დამზადებული იყო ისეთი გამძლე ჯიშებიდან, როგორიც მუხა და კედარია.

ჯერ კიდევ 40 წლის წინათ ბეტონის შპალებს არავინ აწარმოებდა. ნოვაციად ითვლებოდა რკინიგზის ცხოვრებაში. მათი გამძლეობა 100 წელიწადზეა გათვლილი...

— ხის შპალებს რაღაც ამორტიზების უნარი ხომ ჰქონდა?

— მართალია, მაგრამ ბეტონის შპალებისა და რელსის დამაკავშირებელ, მოჭიდების ადგილებში დატანებულია სპეციალური რეზინი, რომელიც ერთგვარად ამცირებს სიხისტეს და ამორტიზებულს ხდის ვაგონების ლიანდაგზე მოძრაობას.

ესეც მეორე სახელდახელო „ლიკბეზი“, რომელიც აქ, მარაბდა-კარნახის საერთაშორისო მაგისტრალის მშენებლობაზე გავიარე.

ცოდნა მივიღე, გამადლობთ!

მაგრამ ნოსტალგია, მელანქოლია იმ სპეციფიკური სურნელის გაქრობისა გამო, რომელიც რკინიგზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო და მოგზაურობის მუდმივ რიტმში ჩართვას ნიშნავდა, დარჩა.

რას იზამ, პროგრესს თავისი კანონები აქვს.

2014 წლის 10 სექტემბერი

განახლებული «აბრეშუქის გზის» კიდევ ერთი ეტაპი დეკემბერი დასრულდა



მალე ეს მონაკვეთის ელექტრიფიცირებული იქნება

თათბირი, რომელიც ახალქალაქში გაიმართა და მარაბდა-კარნახი-ყარსის ტრანსეროვნული რკინიგზის მშენებლობის მიმდინარე წლის დამამთავრებელი ეტაპის მიმდინარე საკითხებს მიეძღვნა, საკმაოდ მკაცრი და პრინციპული იყო.

— რით იყო ეს გამონწვეული? — ვეკითხები მაგისტრალის მშენებლობის ხელმძღვანელს ოლეგ ბიჭიაშვილს.

— მთავარი პრობლემა, — თქვა ბატონმა ოლეგმა, — ოქტომბრის თვის მუშაობის შედეგებში დევს. ველოდით, რომ სამუშაოთა მოცულობა 10 მილიონ დოლარზე მეტი იქნებოდა. ჩვენი ვარაუდი წინა 5 თვის მონაცემებიდან გამომდინარეობდა, როცა ყოველ თვეში 11 მილიონი დოლარის სამუშაოს ვასრულებდით. ოქტომბერში 14 მილიონის ფარგლებში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად გამოიკვეთა, რომ სადღაც 10-11 მილიონზე გავდივართ. ასეთი ჩამორჩენა გამოიწვია რიგმა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა.

— **კერძოდ?**

— ობიექტურ მიზეზთა შორის, უპირველესად, ამ შემოდგომის უხვნალექიანობას დავასახელებ; სუბიექტური მიზეზებიდან კი ზოგიერთი ხელმძღვანელის მცდარი გათვლები და სამუშაოს არაპროფესიული ორგანიზება იყო.

— **რა სამუშაოზეა ლაპარაკი?**

— ელექტროქვესადგურებზე. ექსპლუატაციაში შევიდა თეთრინყაროს ქვესადგური. ნადარბაზევის ქვესადგურიც დამთავრდა და სამუშაოთა შესრულებაში უნდა ჩათვლილიყო. ორივეს ღირებულება 6,5 მილიონი ლარია. აღმოჩნდა, რომ 2012 წელს სრულიად უსაფუძვლოდ 1,5 მილიონი ლარი ავანსად იყო გადახდილი, რაც დაუშვებელია. ელექტროქვესადგური საექსპლუატაციოდ ჩაბარებული არ ყოფილა, ფული კი გადაიხადეს.

— **იმ თათბირზე თქვენ, ბატონო ოლეგ, ქვეკონტრაქტორი ფირმის ერთ-ერთ წარმომადგენელს პირდაპირ უთხარით, — ავტორიტეტი არ გაქვთო. ასეთ სიმკაცრეს რით ახსნით?**

— როცა ხელმძღვანელი თავიდან განაცხადებს, შესრულებული იქნება 7 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაო, ხოლო თვის ბოლოს — 30 რიცხვში გეტყვის, რომ 5 მილიონზე გაჩერდება, იგი საკუთარ ავტორიტეტს თვითონვე არ უფრთხილდება. ეს უპასუხისმგებლობაც არის და უავტორიტეტობაც, რაც დავაფიქსირე კიდეც.

— **ელექტროქვესადგურების თემა რკინიგზის საკონტაქტო ქსელით რომ გავაგრძელოთ, ალბათ, ლოგიკური იქნება.**

— დიახ.

— **მაშინ შეკითხვა: რკინიგზის მაგისტრალის უმეტესი ნაწილი საკონტაქტო ქსელის გარეშეა დარჩენილი, რატომ?**

— საკონტაქტო ქსელი სრულად 180 კილომეტრზე უნდა დამონტაჟდეს — ძველი მთლიანად ახლით უნდა შეიცვალოს — ტექნოლოგიები სრულიად ახალია. საქმე, რა თქმა უნდა, რთულია. დღეისთვის ეს ქსელი 80 კილომეტრზეა გაყვანილი. ერთი წლის წინათ მხოლოდ 30 კილომეტრი იყო ჩაბარებული, ისიც — არასრულად.

— **ე.ი. ხუთ წელიწადში მხოლოდ 30 კილომეტრზე აშენდა?**

— დიახ, ხუთ წელიწადში მხოლოდ ამდენი იყო, ბოლო ერთ წელიწადში კი 50 კილომეტრზე ვამონტაჟებთ. ოქტომბრის ბოლოდან მესამე ეტაპს შევუდგებით, ანუ მონტაჟს დავინწყებთ



ოპერატიული თათბირი ახალქალაქის უბანზე

ნალკა-ახალქალაქის უბანზე, რომლის სიგრძე 74 კილომეტრია, პლუს ამას ახალქალაქიდან სადგურ კარნახამდე 27 კილომეტრი. სამუშაო 2015 წლის ბოლოსთვის უნდა დავასრულოთ. ამის შემდეგ გზა მთლიანად ელექტრიფიცირებული იქნება.

— დაახლოებით ერთი თვის წინათ განზრახული გქონდათ რკინიგზის ახალქალაქის სადგურამდე შეყვანა...

— წლევანდელი 13 აპრილიდან 18 სექტემბრამდე ნალკა-ახალქალაქის უბანზე დიდი მოცულობის სამუშაო შევასრულეთ. ძველი ლიანდაგი მთლიანად ავყარეთ, მოვანყვეთ მიწის ახალი ვაკისი და ზედ ახალი ლიანდაგი დავაგეთ, ანუ 6 თვეში 74 კილომეტრის სიგრძის სრულიად ახალი რკინიგზა გავიყვანეთ.

— წინა ხუთ წელიწადში რამდენი იყო?

— მე რომ მოვედი, დაგებული დამხვდა 80 კილომეტრი, მაგრამ ეს განვლილი ეტაპია და, მართალი გითხრათ, დღეს არ გვაინტერესებს, რა იყო ჩვენამდე. რახან შემეკითხეთ, მეც იმიტომ გიპასუხეთ.

მთავარი ისაა, რომ დღეს ლიანდაგი მთლიანად შეერთებულია. საექსპლუატაციოდ მის ჩასაბარებლად, რა თქმა უნდა, დრო და სამუშაოების დიდი მოცულობის შესრულება (ლორდის შეტანა, ლიანდაგის წამოწევა და გასწორება) იქნება აუცილებელი, მაგრამ ამისთვის ერთი წელიწადი სავსებით საკმარისია. სამი ქვეყნის — საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის ხელმძღვანელების, სამი ქვეყნის მთავრობების წინაშე, დარწ-

მუნებული ვარ, თავს არ შევირცხვენთ, პირობას შევასრულ-
ებთ: სატესტო მატარებელი კარნახამდე წლის ბოლოს აუცი-
ლებლად გაივლის.

**(აქვე შევნიშნავ, რომ ახალქალაქის სადგურზე უკვე შევიდა
პირველი სატვირთო ვაგონები).**

— **ბატონო ოლეგ, სულ სამი დღის დანიშნული იყავით, რო-
ცა პირველად ამოხვედით ახალქალაქში და აქ დაგხვდნენ მუ-
შები, რომლებიც რამდენიმე თვის უხელფასობას აპროტეს-
ტებდნენ.**

— მართალი ხართ, ასე იყო. ტელევიზიითაც გამოდიოდნენ
ამ პრობლემით, მაგრამ უკვე წელიწადია, ყველაფერი ეტაპობ-
რივად მოგვარდა. საკითხი ასე დგას: იქნება შესრულებული სა-
მუშაო მოცულობა, იქნება დაფინანსებაც. აქედან გამომდინა-
რე, მიზნად დავისახეთ, სამუშაოთა მოცულობის გაზრდა, შე-
ვასრულეთ კიდევ, რამაც ანაზღაურების გაზრდა და ფინან-
სების უწყვეტი შემოდინება უზრუნველყო. ამან ხელი შეუწყო
ფინანსური პრობლემის დაბალანსებას: ძველი ვალები გასტუმ-
რებულია, მიმდინარე ხელფასები დაუგვიანებლად გაიცემა.

— **სამუშაოთა ორგანიზებისა და პასუხისმგებლობის განა-
ნილების შესახებაც მინდა გკითხოთ, ბატონო ოლეგ.**

— ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ დღევანდელ თათბირს
უძღვებოდა ახალგაზრდა კაცი, ჩემი ერთ-ერთი მოადგილე ლე-
ვან კანკავა, რომელიც პასუხისმგებელია ახალქალაქის კვან-
დის მშენებლობაზე.

მშენებარე რკინიგზის უბნები მე და ჩემმა სამმა მოადგილემ
გავიპიროვნეთ, რადგან 210-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე სა-
მუშაოთა მოცულობა ძალიან დიდია. ამ შემთხვევაში ხელმძღ-
ვანელობის კონკრეტულ ადამიანებზე განაწილება გაცილებით
შედეგიანია.

შპს „მარაბდა-ახალქალაქი-კარნახის“ კოლექტივში მთლიან-
ნი მართვის სისტემა შექვმენით, ჩამოვაცალიბეთ სათათბირო
ორგანო, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ჩემი მოადგილე-
ები, ყველა დეპარტამენტისა და სამსახურის უფროსები. ამ სა-
თათბიროში ხდება წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა შეთან-
ხმებით, კონსენსუსის საფუძველზე, გამოცდილების, ცოდნის,
პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.

— **თუ მიგიღიათ ისეთი გადაწყვეტილება, რომელზეც შემ-**


დგომ უარი თქვით?

— იყო, მაგრამ უფრო ყოფით საკითხზე. მაგალითად, გადავწყვიტეთ, გვეყიდა ყავის მოსადუღებელი აგრეგატი თანამშრომლებისთვის. დიდი ფუფუნება არ არის, მაგრამ, როცა დავადგინეთ, რომ 1400 ლარზე მეტი ღირდა, შეძენაზე უარი ვთქვით.

— **საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის ამ პრინციპიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ აფასებთ სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ ძვირადღირებული, მრავალფუნქციური მობილური ტელეფონის შეძენის ფაქტს, რომლის გამოც გასულ კვირაში დიდი ხმაური იყო ატეხილი მასმედიაში?**

— ჩემი სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ მინისტრებს უნდა ჰქონდეთ თანამედროვე მოდელის ტელეფონები. და ეს სასაუბრო თემა არ უნდა იყოს, რადგან ახალი ტექნოლოგიები დარგების ოპერატიულად მართვის შესაძლებლობას იძლევა. ფუფუნების საგანი კი არ არის ტელეფონი, არამედ მართვის ეფექტიანი საშუალებაა და, რაც უფრო მეტი ფუნქციით იქნება იგი აღჭურვილი, მით უკეთესია.

— **რახან ეფექტიან მუშაობაზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა, გკითხოთ: არის ჩვენს ქვეყანაში უფროსი თაობის ცოდნისა და გამოცდილების ახალგაზრდულ ენერჯიასთან და პროფესიონალიზმთან**



**პირველი
სატვირთო ვაგონები
ახალქალაქის სადგურზე**

შერწყმის პირობები შექმნილი?

— პირობები არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გამოყენებული. ჩვენი კომპანია მსგავსი პრაქტიკის საუკეთესო მაგალითია. „მარაბდა-კარნახის რკინიგზაში“ მუშაობენ უფროსი თაობის გამოცდილი ადამიანები ახალგაზრდებთან ერთად. მათი ერთობლივი მუშაობა უაღრესად ეფექტიანია, ახალი თაობა იძენს ძვირფას ცოდნას ძველი თაობის წარმომადგენლებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, თანამედროვე ტენდენციებს და მიმართულებებს ეცნობიან ახალგაზრდა პროფესიონალების დახმარებით. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ჯანსაღი სამუშაო გარემო. არ უნდა დაიკარგოს უფროსი თაობის გამოცდილება, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ ცოდნა გადასცენ ახალგაზრდებს.

პროფესიონალიზმი ის დიდი ბერკეტია, რომლის გონივრული გამოყენებით შესაძლებელი იქნება ქვეყნის უკეთესობისკენ შემობრუნება.

— რკინიგზა, რომელსაც თქვენ აშენებთ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი დერეფნის მნიშვნელოვანი რგოლია. რამდენად არიან დაინტერესებულნი სხვა ქვეყნები ამ რკინიგზის რაც შეიძლება მალე ამუშავებით?

— ორი სიტყვით გიპასუხებთ: ამ დერეფნის გახსნით ძალიან არიან დაინტერესებული ცენტრალური აზიის ქვეყნები, კერძოდ, ყაზახეთი, უზბეკეთი, ახლა ტაჯიკეთიც ჩაერთო; ასევე, წყნარი ოკეანის ქვეყნები — ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ინდოეთი, პაკისტანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ავღანეთიც კი.

ორი კვირის წინათ ბაქოში გაიმართა დიდი ფორუმი, რომელშიც ვმონაწილეობდი და სიტყვითაც გამოვედი. სწორედ აქ გამოხატეს ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა თავიანთი დიდი დაინტერესება ჩვენი მშენებარე მაგისტრალის ამოქმედებისადმი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენი პრემიერის — ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლამ, რომელშიც მარაბდა-კარნახი-ყარსის მაგისტრალს სერიოზული ყურადღება დაეთმო. ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2015 წელს საქართველოში მოვიწვევთ ფორუმს ზუსტად ამ თემაზე. ასეთი ყურადღება ჩვენთვის სასიამოვნოც იყო და საპასუხისმგებლოც.

სიტყვაგაუტანელი

18 დეკემბრის ღამესაც გამოუდვია თავი ნორდ-ოსტს (თუ რომელიღაც სხვა მიმართულებისას), ისე უმუშავია, რომ თბილისიდან წამოყოლილი გაფრთხილება, — უღელტეხილი დაკეტილიაო, სიმართლედ უქცევია. დროებით მაინც.

ყოველ შემთხვევაში, იმ ერთადერთი მანქანისთვის, რომლითაც „საქართველო და მსოფლიოს“ კორესპონდენტი მარაბდა-კარნახის ტრანსერნოვული მაგისტრალის მშენებლობის ხელმძღვანელს ოლმბ ბიჭინაშვილსა და მის მოადგილეს კოტი ნინიძეს მიჰყვებოდა საინსპექციო მივლინებაში.

დროებითო, რომ ვთქვი, ერთ საათს გაგრძელდა უძრაობის დრო-ჟამის ეს მონაკვეთი; გაგრძელდა და გაიჭიმა იმიტომ, რომ თოვლწაფენილ გზაზე ავად თუ კარგად მიმავალთ გზის გასანმენდად გამოსულმა ტექნიკამ — სკრეპერმა და გრეიდერმა — თოვლის ისეთი გროვა მოგვაყარა, რომელსაც, იაპონური „ტოიოტა“ კი არა, რუსული ტანკი — „ტ-78“-ც ვერ გადალახავდა.

მოგვაყარა და განაგრძო გზა უღელტეხილის მეორე ბოლოსკენ.

ვაი-ვიში რას უშველიდა.

დაველოდეთ.

მაინც იმათი გამოსაყვანი გავხდით თოვლისგან თავისუფლებათკვეთილები.

მოკლედ, ზამთარია სამცხე-ჯავახეთის ზეგანზე, ყინვა მიწუს 2-დან 4 გრადუსამდე და ცივი, ძალიან ცივი ქარი, რომელიც ძვალსა და რბილში ატანს.

სოფლები მიძინებულია, როგორც დათვები ზამთრის თვეებში. გზები — სისხლისგან დაცლილი ვენები სიცოცხლე წართმეული სხეულის.

რკინიგზის მშენებლები კი თავგამოდებით მუშაობენ.

— ავრალია, ბატონო ოლეგ?

— ავრალეების დრო წავიდა... უნდა დავასრულოთ ის სამუშაო, რომელიც წლეულსვე გვქონდა მოსამთავრებელი. ეს ერთი. მეორე — საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცეპრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა და აზერბაიჯანის ტრან-

სპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა მიზანშეწონილად მიიჩნის 2014 წლის ბოლოს მშენებარე რკინიგზის ჩვენს მონაკვეთზე — თბილისიდან კარნახამდე, რომელიც თურქეთთან საზღვრისპირა სადგურია, გაგვეტარებინა სატესტო მატარებელი. ეს წინადადება მივიღეთ, როგორც დავალება, ვთქვით, რომ წლევანდელ ეტაპს ამით დავასრულებდით. ახლა ვმუშაობთ, რათა სიტყვა არ გავტეხოთ.

— **„სატესტო მატარებელი“ რას ნიშნავს, ბატონო ოლეგ?**

— „სატესტო მატარებლის“, იგივე „მუშა მატარებლის“ გავლა ნიშნავს, რომ რკინიგზის ლიანდაგის დაგება დამთავრებულია. ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რკინიგზის ჩვენი მონაკვეთი საექსპლუატაციოდ მზად არის. ამას დრო სჭირდება. ეს დრო მთელი 2015 წელიწადია.

„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს გვაახსენებ, რომ ახალქალაქიდან კარნახამდე 27 კილომეტრის მანძილზე ლიანდაგი ევროპული სტანდარტის, ანუ ვინროგანივისაა, რაც 1435 მილიმეტრს უდრის. ახალქალაქამდე ჩვენი ლიანდაგის სიგანე 1520 მილიმეტრია. ასეთი განსხვავება გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა, მაგრამ დღეისთვის ყველაფერი დავძლიეთ და, როგორც ვვარაუდობთ, 25 დეკემბრის შემდეგ შევძლებთ სატესტო მატარებლის კარნახში მიღებას.

— **თქვენი სტუმრები მატარებლით იმგზავრებენ?**

— არა, რადგან ჩვენ არ გვაქვს ვინრო ლიანდაგის, ანუ ევროსტანდარტის სამგზავრო ვაგონები. ამ რიტუალს მომავალი წლის ბოლოსთვის გადავდებთ, იმ პერიოდისთვის, როცა ხაზი საექსპლუატაციოდ ჩაბარდება.

* * *

პრომოჯან მშენებლები ამ ყინვასა და ქარაშოტში ტრიალ, უკაცრიელ მინდორში, სადაც დღევანდელი ცივილიზაციის ნიშანი სწორად რკინიგზის ლიანდაგია. სხვა — არაფერი. აქაური ზამთრის სითითრები მაინც. რელსებს აწყობენ ბეტონის შპალებზე — გიგანტური როიალის ჰორიზონტამდე გაჭიმულ კლავიშებზე, რომლებზეც მატარებლის ბორბლები მარადიულ და უცვლელ მელოდიას დაუკრავენ, დღეს თუ არა, ხვალ. სულ მალე. — დაგ-დაგ, დაგ-დაგ! — და ამ სიმარტივეში ჩადებული იქნება პრომის დიდებულებისა და კაცური



„ბურლაკები ვოლგაზე“ აგებენ რელსებს შპალეზზე. მშენებლობის უფროსის გამოცდილი თვალი მაინც ამჩნევს მილიმეტრებით გადახრას

ღირსების ჰიმნი — მარტივი და გასაგები, როგორც თვით ჭეშმარიტება.

ახლა კი იმ კლავიშებზე ტონა-ნახევრიან რელსებს დებენ თავიანთი საქმის პროფესიონალები — ამნის მემანქანე და ის მუშები, რომლებიც ბურლაკებით ნელში მოხრილები (შორეული ასოციაცია სეროვის ტილოსთან „ბურლაკები ვოლგაზე“), ძლიერი მკლავებით ზუსტ მიმართულებას აძლევენ რელსების „წნელებს“ შპალეზისკენ.

მშენებლობის უფროსის გამოცდილი თვალი მაინც ამჩნევს მილიმეტრებით გადახრას და უსწორებს მუშებს ლარსა და ხაზს:

— ცოტა უფრო მარჯვნივ! ცოტაც! საკმარისია.

— **რა სამუშაოები ტარდება ამ დასკვნით ეტაპზე, ბატონო ოლეგ?**

— ამ ეტაპზე ლიანდაგის პირაპირების შეერთება ხდება, შეგვაქვს ღორღი, მიმდინარეობს პროფილაქტიკური სამუშაოები და ა. შ. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ასეთ რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა. წელიწადის განმავლობაში 6 თვე აქ ასეთი მძიმე პირობებია.

* * *

აქ რომ ლიანდაგს აგებენ, მოშორებით — იქ, სადაც ტყის კორომია, ხიდის ბურჯის დაბეტონებას ამთავრებენ, რკინიგზაზე გადასატარებელი ხიდისას. კოცონი დაუნთიათ პატარა. უფრო მორალური მდგრადობის შესანარჩუნებლად, თორემ იმ ფიჩხისა და ფიცრების ნარჩენების ცეცხლით გამთბარი ადამიანი ჯერ არავის უნახავს.

გაბოლილი — კი.

— დამთავრდება მშენებლობა და დადგება პრობლემა რკინიგზის ექსპლუატაციის. მზად ვიქნებით პროფესიონალი კადრებით მისი დაკომპლექტებისთვის?

— მას შემდეგ, რაც საექსპლუატაციოდ გადაეცემა ბაქო-თბილისი-ყარსის მონაკვეთი, რა თქმა უნდა, აუცილებელი იქნება კადრებით დაკომპლექტების პრობლემის გადანყვეტა.

ეკონომიკის სამინისტროს სწორად აქვს აღქმული შექმნილი ვითარება. პირადად მინისტრიც გვეხმარება. მის წინაშე დავაყენეთ საკითხი საქართველოს რკინიგზასთან არსებული კოლექტის შექმნის თაობაზე, რომელსაც დააფინანსებს სახელმწიფო. ასეთი გადანყვეტილება, სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით, განათლების სამინისტრომ უკვე მიიღო, მაგრამ გვაბრკოლებს შესაბამისი ბაზის უქონლობა.

საქართველოს რკინიგზას ასეთი ბაზის გამოყოფის საშუალება ჰქონდა, მაგრამ **ყოფილი ხელისუფლების დროს დავით აღმაშენებლის პროსაქტზე მდებარე შენობა, რომელიც 1937 წელს იყო აგებული და რკინიგზის გალანსზე ირიცხებოდა, სახელმწიფომ ჩამოართვა. 4 წლიწინა, ის შენობა უფუნქციოდ არის დატოვებული, სწავლების არავითარი პროცესი იმ არ მიმდინარეობს, არადა, სწორედ ამისთვის ააგეს თავის დროზე — რკინიგზელთა სწავლებისა და პროფესიული გადამზადებისთვის.** აუდიტორიების პრინციპით დაგეგმარებული და აგებული ეს შენობა, არა მგონია, რაიმე სხვა ფუნქციური დატვირთვისთვის გამოდგეს. მის ეზოში საქართველოს რკინიგზამ ააშენა ოთხსართულიანი საერთო საცხოვრებელი მოსწავლეთათვის და ამით შეიკრა ციკლი ჩვენი რკინიგზისთვის კადრების მოსამზადებლად, საქართველოს ნებისმიერი კუთხი-



ბოლო მიტრები

დან ახალგაზრდების მოსაზიდად.

დღეს კადრები ქუჩიდან აგვყავს. მათ დამოსტატივა-ზე უკვე სამუშაო პროცესში იხარჯება წლები, რადგან რკინიგზაელის პროფესია უაღრესად რთულია და მოკლე დროში მისი ათვისება კი — პრაქტიკულად შეუძლებელი.

ბატონმა ოლეგმა პოპულარულად ახსნა, რომ მშენებარე უბანი დამატებითი სპეციფიკურობით არის გამორჩეული თავისი აღმართ-დაღმართებით, მოსახვევებით და ა.შ. რომ, თუ მოლითი-ნიფას გადასარბენზე აღმართი 28 მეათასედია, აქ, სამცხე-ჯავახეთზე გამავალ რკინიგზაზე შვიდი 35 მეათასედია „უდეღტეხილია“ გასავლელი. ამ სირთულეების მქონე უბანს რომ განსაკუთრებულად მომზადებული პროფესიონალების მომსახურება სჭირდება, ეჭვგარეშეა.

მაგრამ ასეთი პროფესიონალების მომზადება მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილ სპეციალურ ბაზაზეა შესაძლებელი. მარაბდა-კარნახის უბანზე 1600-მა ადამიანმა უნდა იმუშაოს. მათი მომზადება ახლავე თუ არ დაიწყეს, ხვალ გვიან იქნება.

საქართველოს რკინიგზას კადრების გადამზადებაც უჭირს, მიზეზი იგივეა — ბაზის უქონლობა.

— ჩემი მონაცემებით, — **ამბობს ბატონი ოლეგი, — საბჭო-**

თა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს რკინიგზაზე არც ერთი თანამშრომელი არ გადამზადებულა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩამორჩენილები ვართ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას, დარბი მიცნეიერების უახლოეს მიღწევებს.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ახლავე უნდა მიხედვა. როგორც გითხარით, რკინიგზის ჩვენს უბანს მომავალი წლის ბოლოს გადაცემით საექსპლუატაციოდ, მაგრამ ჩვენი პარტნიორები თურქეთში, სულ ცოტა, ერთი წლით ჩამოგვრჩებიან და სამუშაოების დამთავრებას დადგენილ ვადაში ვერ ასწრებენ. მათი განცხადებით, 2015 წლის ბოლოსთვის მხოლოდ მიწის ვაკის ააშენებენ და ლიანდაგის ზედნაშენს განათავსებენ. ელექტრიფიკაციის სამუშაოების დასრულებას არც გვპირდებიან.

P.S. დასასრულ — ერთი რამ, რასაც რკინიგზის მშენებლობასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

თიგმანტაჟის უღელტეხილზე თოვლში რომ ჩავრჩით და ირგვლივ სულიერი რომ არ ჭაჭანებდა, მიწაზე გართხმული თეთრი ღრუბლიდან მოულოდნელად იშვა შავი სილუეტი — გამოფრინდა აქაური ციური სივრცის რომელიღაც მბრძანებელი — არწივი? ქორი? — ვერ გეტყვით. ნელა, დინჯად, ფრთების არაბუნებრივად მძიმე მოძრაობით ისე გადაგვიფრინა, რომ ლამის შეეხო მანქანას.

ბედისწერის გარდაუვალობით თავს გადაგვევლო და ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორადაც იშვა.

რისი ნიშანია?

„საიდან მოდის სიბრძნე და სად არის შემეცნების ადგილი?

უხილავია ყოველი ცოცხალი თვალისთვის და დაფარულია ცის ფრინველთათვის“ (იობი, 28,20-21).

2014 წლის 24 დეკემბერი

ՏԻՅՈՒ VIII

ՀԱՅ ՈՅՄ

საიდუმლო, რომელსაც ოჯახი თითქმის საუკუნე არ ახსნებდა

ამთავითვე გეტყვით: ქალბატონ შუქურა თალაკვაძის ბების — ალექსანდრა ლუკაშვილის ოჯახის თვალწინ იზრდებოდა გორელი ბიჭი სოსო ჯულაშვილი — მომავალი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომლის სახელის ხსენებაზე მსოფლიოს აზანზარებდა. ეს ერთი.

მეორე: ქალბატონ შუქურას მონათხრობი პირველად ქვეყნდება. თითქმის საუკუნეა, ოჯახის წევრებს არსად, არავისთან სიტყვა არ წამოსცდენიათ სოსო ჯულაშვილის შესახებ. რატომ? ამაზე — ქვემოთ.

და მესამე: დაბეჯითებით ვთხოვ საქართველოს პრეზიდენტს — გიორგი მარგველაშვილს, ნუ დაკარგავს თავის ძვირფას დროს ამ პუბლიკაციის წასაკითხად, რადგან იგი (ეს წერილი) მისი „პრინციპის“ რადიკალურად საწინააღმდეგო მუხტის შემცველია.

გაგახსენებთ: ლონდონში საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე მისთვის დასმული შეკითხვის პასუხად მან ცინიკური აპლომბით განაცხადა, რომ მზად არის, წავიდეს მოსკოვშიც და სხვა ნებისმიერ ქალაქში, სადაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სა-



ალექსანდრა ლუკაშვილი

კითხები განიხილება და არა, მაგალითად, სტალინის ბავშვობა.

ამ წერილში სწორედ სტალინის ბავშვობაზეა ლაპარაკი და ნუ მოცდება! დაზოგოს დრო, რომელიც ასე სჭირდება პრემიერ-მინისტრთან ურთიერთობის გასარკვევად და დასალაგებლად.

დრო, რომელიც უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე გაცვეთილი დებულების აჩემება — დრო ფულია.

დავიბანოთ ხელი, ჩამოვიცილოთ ეს ფასდადებული ჭუჭყი და ვთქვათ სათქმელი.

ქალბატონ შუქურას ბაბუა ნიკიტა თალაკვაძე მღვდელი იყო — გამორჩეული სასულიერო და საზოგადო მოღვაწე.

— ნიკიტა თალაკვაძის მამა — მალაქია მედავითნე იყო, — ყვება ქალბატონი შუქურა, — იმ დროს არსებული წესის თანახმად, სასულიერო პირების შვილებს უფასოდ სწავლის უფლება ეძლეოდა. მალაქიას შვილებმა ისარგებლეს ამ უფლებით და ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო. უფროსი ძმა პოლიტიკას გაჰყვა, რევოლუციონერი გახდა. მონაწილეობდა რსდმპ დამფუძნებელი ყრილობის (მინსკი, 1898 წლის 1-3 მარტი) მუშაობაში. სამწუხაროდ, ავად გახდა — ფილტვების ანთება დაემართა და გზაში გარდაიცვალა.

ნიკიტა თალაკვაძემ ცოლად ითხოვა რუსეთის ჯარის გორში განლაგებული პოლკის კაპელანის — ზაქარია ლუკაშვილის ქალიშვილი — ალექსანდრა ლუკაშვილი.

კაპელანის ოჯახი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. ლუკაშვილებთან ხშირად დადიოდა ეკატერინე გელაძე, ბესარიონ ჯულაშვილის ცოლი, სოსოს დედა, და საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა.

— ბებია ალექსანდრას შინაურები სამას ვეძახდით, — განაგრძობს ქალბატონი შუქურა, — ზოგჯერ იგი იხსენებდა კეკეს შვილთან — სოსო ჯულაშვილთან ურთიერთობის დეტალებს, გვიყვებოდა და ყოველთვის ერთი და იმავე თხოვნით ამთავრებდა: არავის უთხრათ, ხმა არ ამოიღოთ, **იმის** ყურამდე არ მიაღწიოსო.

ეშინოდა.

არცთუ უსაფუძვლოდ: საბჭოთა წყობილების პერიოდში ქვეყნის ხელმძღვანელების (უპირველესად, — სტალინის) პირადი ცხოვრების დეტალების აფიშირება „რეკომენდებული არ იყო“.

არც არავინ რისკავდა ამ „რეკომენდაციის“ იგნორირებას.

ზაქარია ლუკაშვილის ოჯახი კაცთმოყვარეობით, ადამიანებისადმი თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. უყვარდათ კეკეც და იგიც ასეთივე სიყვარულითა და პატივისცემით უპასუხებდა, კეთილი გულის ადამიანი იყო.

მის ვაჟს, სოსოს, განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. საშა ბებია იგონებდა, როგორ მოდიოდა სოსო მათთან, მაგრამ კარის ზღურბლს არასოდეს გადმოაბიჯებდა. რამდენჯერ უთხოვიათ, შინ შემოდო, უარით უპასუხებდა და დედას ყოველთვის ქუჩაში ელოდებოდა.

სადილად მიიპატიჟებდნენ, საუზმეზე... არა და არაო.

ტყიურის ხასიათი ჰქონდა, — ამბობდა ბებია, — ალბათ, თავმოყვარეობა არ აძლევდა უფლებას, ვინმესგან დავალებული ყოფილიყო, — **უმატებს ქალბატონი შუქურა**, — ამიტომაც მის ტოლ ბავშვებს „ვოლკი“ შეურქმევიათ, მგელი.

ბებიაჩემის ძმები სოსოს ტოლები იყვნენ, ერთი-ორი წლის სხვაობით. თავიანთ ტანსაცმელს კეკეს ხელით ხშირად უგზავნიდნენ სოსოს, მაგრამ, ის ტანსაცმელი სოსოს რომ ოდესმე ჩაეცვას, არავის უნახავს. ზამთარ-ზაფხულ ერთადერთ გაქათქათებულ-გაუთოებულ თეთრ ხალათში დადიოდა.

სოსო, ძირითადად, თავისი წრის ბიჭებთან ურთიერთობდა, მაგრამ არც ლუკაშვილების ოჯახის ბავშვებთან კონტაქტზე ამბობდა უარს — ქუჩის პირას ჩამომსხდარ თანატოლებთანაც დამჯდარა და ნაკითხული წიგნებით მიღებულ შთაბეჭდილებაზეც ულაპარაკია.

ქამარში გარჭობილი წიგნებით დადიოდა ყოველთვის. კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელში ჩაუვარდებოდა. საოცარი მეხსიერებით ყოფილა გამორჩეული.

ერთხელ ბავშვების წრეში ისეთი რამ უთქვამს, რომელიც ბებიაჩემს მთელი ცხოვრების მანძილზე დახსომებია და ჩვენ, შვილიშვილებს, ჩურჩულით გვიყვებოდა.

და ქალბატონმა შუქურამ გაიმეორა ბებიის მიერ ჩურჩულით მონაყოლი ამბავი, რომელიც, მას შემდეგ განვლილი ისტორიით თუ შევაფასებთ, საკრალური მნიშვნელობით დამუხტული აღმოჩნდება, წინასწარმეტყველების ელფერდაკრული.

— ერთხელ, ყვებოდა საშა ბებია, ბავშვები ჩვეულებისამებრ სახლის წინ რომ ვისხედით, მოვიდა სოსო. თავიდან ჩვენს საუ-

ბარში არ ჩარეულა, მაგრამ შემდეგ, როცა ნაკითხულ ლიტერატურაზე დავინწყეთ ლაპარაკი, სიტყვა აიღო და თქვა:

— ნაპოლეონი ხომ გაგიგიათ?

ჩვენ ვთქვით, რომ, რა თქმა უნდა, გაგიგია და ნაგვიკითხავს კიდევ.

მაშინ ნეკა თითი ასწია და გვითხრა:

— ხომ ხედავთ ამ ნეკა თითს?

ვხედავდით.

გავა დრო და ჩემთან შედარებით ნაპოლეონ ბონაპარტი ამ ნეკის ხელაც არ გამოჩნდება.

გასცინებიათ მაშინ ბავშვებს, ხუმრობად ჩაუთვლიათ.

ადვილი ასახსნელია ყმანვილ სოსო ჯულაშვილის ეს განცხადება.

ჯერ ერთი, მაშინ (და შემდეგაც — საუკუნეთა გასაყარზე განსაკუთრებით) განათლებული ახალგაზრდობა ისე იყო ლიტერატურით გატაცებული, რომ თავიანთ მომავალს ისტორიული პიროვნებების თუ მხატვრული ნაწარმოებების გმირთა ცხოვრების ანალოგიურს წარმოიდგენდნენ.

რევოლუციური რომანტიზმით იყო დამუხტული ის თაობა.

არც სოსო ჯულაშვილი, არც მისი თანატოლები გამოჩაქვნილები არ იყვნენ.

ყმანვილ სოსოს, უნდა ვიფიქროთ, ნაპოლეონის იმპერატორობა, ქვეყნის მეუფება კი არ ხიბლავდა, არამედ ის გმირული სანყისი, თავდადება, ის დაუოკებელი მისწრაფება, ცოდნა და გაქანება, რომლის წყალობითაც შეძლო კორსიკელმა ახალგაზრდა კაცმა საფრანგეთის ისტორიის მდინარების ახალი კალაპოტით წარმართვა, ახალ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება.

წლების შემდეგ უთუოდ ასეთი გატაცების, ასეთი რევოლუციური რომანტიზმის გავლენით შეარჩია ახალგაზრდა რევოლუციონერმა სოსო ჯულაშვილმა თავისი პარტიული ფსევდონიმი — კობა. ეს ცნობილი და მისი ბიოგრაფების მიერ კარგად ახსნილი ფაქტია. შეარჩია და შერჩა, რის დადასტურებასაც იპოვით თუნდაც მემუარულ ლიტერატურაში: კლიმენტ ვოროშილოვი სწორედ ამ მეტსახელით მიმართავდა უკვე ხალხის ბელადად აღიარებულ, პარტიის გენერალურ მდივანს, უზარმაზარი იმპერიის მმართველს იოსებ სტალინს — კობა!

პოლიტიუროს წევრებიდან სხვა ვერავინ ბედავდა სტალინთან ასე „გაშინაურებას“.

ქალბატონ შუქურას ერთ-ერთ გაზეთში რამდენიმე წლის წინათ ამოუკითხავს, რომ ალექსი კოსიგინთან, შემდგომში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, რომელიც სტალინის დანიშნაურებული იყო, „ვერტუშკით“ — სამთავრობო ხაზით — დაურეკავს იოსებ ბესარიონის ძეს.

კოსიგინი ადგილზე არ ყოფილა, ყურმილი მის თანაშემწეს აუღია და წესისამებრ უპასუხია, რომ უსმენს თანაშემწე ლუკაშვილი.

პაუზა.

შემდეგ კი სტალინის დამახასიათებელი ყრუ ხმით შეკითხვა: — ლუკაშვილი... იზ გორი?

კოსიგინის თანაშემწეს დაუდასტურებია — დიახ, გორიდან ვარო.

კვლავ პაუზა... ბელადს, ეტყობა, თავისი სიყმანვილის წლებმა გაურბინა თვალწინ და — ტელეფონის წყვეტილი ზუმერი — სტალინმა ყურმილი დაკიდა.

ის ლუკაშვილი — ერეკლე, საშა ბების ერთ-ერთი ძმის ვაჟი იყო, — დაასრულა საუბარი ქალბატონმა შუქურა თალაკვაძემ.

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“,
2014 წლის №10**

თავი IX

განსჯენა

ჟამი განსჯისა და და გაეოხდისა



სტუმრად კრწანისის რეზიდენციაში

9 იანვარია. ერთ დროს სისხლიანი კვირა ერქვა, პეტერბურგში მუშათა დემონსტრაციის დახვედრის გამო 1905 წელს.

ეს ისტორიული თარიღი შემდეგ გამახსენდება, იმ დღეს — არა, თუმცა 9 იანვარია და თანაც — კვირა დღე.

კრწანისის რეზიდენციაში ვსტუმრობთ ედუარდ შევარდნაძეს. მეალილოებივით შევუარეთ. ვსაუბრობთ საჩვენოს. არაფერი საგაზეთო, მაგრამ პირველი შეკითხვა დამწყები რეპორტიორის დალდასმულივითაა:

— როგორ შეხვდით ახალ წელს, ბატონო ედუარდ?

— ბავშვები მოიყვანეს და — იმათთან ერთად, — პაატა შევარდნაძესა და მის ოჯახს გულისხმობდა, როგორც ჩანს, ბატონი ედუარდი.

პატარების სადღეგრძელოს, რა თქმა უნდა, ვიტყვით, რადგან ტრადიციულ ტაბლასთან ვსხედვართ. მაგრამ ჯერ 83-ე დაბადების დღეს მივულოცავთ მასპინძელს. წინასწარ. ცოტ-ცო-

ტას მოვწრუპავთ „სარაჯიშვილის“ კონიაკს, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა „ბრენდი“.

— გამახსენდება, პროფესორმა დავით იაკობიძემ, მეცნიერმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ, რომ მკითხა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წინასაახალწლო რეპორტაჟის წაკითხვის შემდეგ:

— მითხარი მაინც, როგორი კონიაკი ჰქონდა შევარდნაძეს, ასე რომ მოგხიბლა?

ვეუბნები ამის შესახებ ბატონ ედუარდს.

— რომ არ გაგხსენებოდა, არ ჩამოასხამდი, — ჩაეცინება მასპინძელს და სერიოზულად დაუმატებს:

— დათო კაცური კაცია.

— არ ვიცი, რით გაგაჯავრათ, ფინანსთა მინისტრობიდან რომ გაათავისუფლეთ, — იაკობიძის დაცვას იწყებს ნუგზარ ფოფხაძე.

— არა, არა, — ენერგიულად გაანწყვეტინებს მასპინძელი, — პარლამენტი აუბუნტდა.

— ჟვანიასთან ჰქონდაო პრობლემები.

— ჟვანიასთან შეიძლება ჰქონდა პრობლემები, ჩემთან — არა.

საუბარს ვიწყებთ იმაზე, რომ ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მან, უწინარეს ყოვლისა, საქართველოში, შემდეგ მსოფლიო მასშტაბითაც წარუხოცავი კვალი დატოვა.

შევარდნაძეს ასეთი პათეტიკა არ მოსწონს, ელემენტარულად — არ მიიღებს და ამინებს „მასშტაბურ შეტევას“:

— ჩვენს ძმობას გაუმარჯოს!

საუბარი ადამიანურ კალაპოტს უბრუნდება, თუნდაც — კულინარულ თემაზე, მაგრამ არა მხოლოდ გურმანების კუთხით, თუმცა — კუთხური აქცენტით, რადგან ტაბლაზე გურული ღვეზელი დევს, ეტყობა უგემრიელებსია.

— დედაჩემი ხაჭაპურს რომ აცხობდა, ისეთი ჯერ არ მიჭამია, — იხსენებს მასპინძელი, — ძალიან თხელი ცომი და ძალიან ბევრი ჭყინტი ყველი.

— ბევრი ყველი, რა თქმა უნდა, მთავარია.

— მაგრამ ხელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლაც მახსოვს

იმ ხაჭაპურის გემო. საახალწლოდ მაინც განსაკუთრებული იყო.

დღეს ქალბატონ ნანულის რეცეპტით აცხობენ ხაჭაპურს შევარდნაძის სახლში.

— ლალიძის წყალი გქონდეს და ხაჭაპური და სხვა რაღაც უცხოური „ბრენდის“ გადმონერგვას ცდილობდე ქართულ ნიჟარებზე, გაუგებარია, — ფოფხაძის რეპლიკა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ედუარდმა ქალაქის მერიას მიმართა — როგორც რიგითი თბილისელი, გთხოვთ, არ მოუშალოთო „ლალიძის წყლები“ რუსთაველის პროსპექტს.

— კი, ასე იყო, — ადასტურებს მასპინძელი, — სარდაფში ჰქონდათ ძალიან კარგი ხაჭაპური და ტკბილი წყალი გრაფინებით. „ლალიძის წყლები“ თბილისური ტრადიცია იყო.

— ახლა იმ ადგილზე ჩარაზული კარები და უპატრონობაა.

— ნამდვილი პატრონი ტრადიციას არ შეეხებოდა... კიდევ კარგი, ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა ლალიძის შთამომავლების მხარდაჭერით სპორტის სასახლის გვერდით აღგვიდგინა რუსთაველზე მოშლილი ძველი „ლალიძის წყლები“.

— ძველით ახალ წელს თუ აღნიშნავთ, ბატონო ედუარდ?

— (პაუზა). ჩემები მოვლენ და აღვნიშნავთ. არაფერი განსაკუთრებული — ჩურჩხელა, გოზინაყი...

— სიტყვამ მოიტანა და, ერთხელ ნათქვამი გაქვთ, რომ გოზინაყი ბავშვობაში მოგიპარიათ.

— ახლაც ვალიარებ (იციინის).

— შვილიშვილები რომ მოდიან თქვენთან, ისინიც იპარავენ?

— არა, კაცო!

— გამოსწორდა თაობა, — როგორც ყოველთვის, იცავს ახალგაზრდობას ფოფხაძე.

— მოპარულს, აკრძალული ხილივით, მაინც განსაკუთრებული გემო ჰქონდა (იციინის შევარდნაძე).

შვილიშვილები, შვილთაშვილები, როგორც თოვლის პაპასთან, ახალ წელს ესტუმრნენ დიდ ბაბუს.

ბაბუსაც გაუხარია ფრიად:

— რა ჩვევა აქვს, იცით? — გვეუბნება თავის სულ პატარა შვილთაშვილზე, პატარა ედუარდზე ბატონი ედუარდი, — კაცების მოფერებას უარობს. არადა, ისეთი ლამაზი სახე აქვს, მოფერება აუცილებლად მოგინდება. კალთაში ჩამისვეს. მო-

მეხვია. მკოცნა და მკოცნა. ვერ მოვიცილე... არც მიცდია.

— დადის უკვე?

— დაბოდილობს... ჯერ პატარაა.

პატარა ედუარდის გენეოლოგიის გარკვევისას შევარდნაძე-თა გვარის წარმომავლობის საკითხიც წამოიჭრება: როგორც ყველა დიდი ადამიანის ბიოგრაფიის ცნობილი ფაქტების მიღმა ადამიანები აისბერგის წყალქვეშა ნაწილის ორი მესამედის მზის სინათლეზე გამოტანას და რალაც ახლის აღმოჩენას ცდილობენ, ედუარდ შევარდნაძის შემთხვევაშიც ასეთ „საერთაშორისო სტარდარტში“ მოქცევა იმდენადვე ლოგიკურია, რამდენადაც ჭეშმარიტებას დაცილებული.

მახსენდება ერთი ფრაზა ამგვარ კოლიზიასთან დაკავშირებით, რომელიც თითქოს იოსებ სტალინის უთქვამს: „За исключением Святого Духа, кого только мне в папы не прочили“. ედუარდ შევარდნაძესაც ერთ-ერთი ვერსიით ბერძნული წარმომავლობა მიაწერეს.

ვადიმ ანასტასიადის „Вечерний Тбилиси“-ს რედაქტორს, რომელიც ბერძნულ პრესაშიც წერს, უკითხავს ამის შესახებ ბატონ ედუარდისთვის.

მე ვიამაყებდი, ჩემი წინაპრები ბერძნები რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ ასე არ არისო, — უპასუხია რესპონდენტს.

„საამაყოფ ქართველობა მეყოფა“...

მაგრამ უბერძნებოდ მაინც ვერ გავიდნენ ფონს შევარდნაძეები: ახალგაზრდა სიძე, შვილიშვილის — თაკოს ქმარი ბერძენია — ანდრია თოდოროსი.

— ძალიან კარგი ბიჭია, — ამბობს ბატონი ედუარდი, — მაგრამ ქართული ვერ ისწავლა (*ელიმება*).

— 25-სა დეკემბერსა ქრისტე იშვა. 25-სა იანვარსა თქვენი დაბადების დღეა. კარგი დამთხვევაა.

— არაფერი დამთხვევა არ არის, კანონზომიერებაა (*გულიანად იცინის*).

ესაა ნამდვილი შევარდნაძე — ალალი იუმორით და დახვეწილი „თვითგანქიქებით“...

თემა სერიოზულ კალაპოტში გადადის და უწმინდესისა და უნეტარესის სადღეგრძელოში მატერიალიზდება.

— ბრწყინვალე პიროვნებაა, — ამბობს შევარდნაძე, — იგი რომ არ გვყავდეს, საქართველო მინასთან გასწორდებოდა.

ვუერთდებით.

ვისსენებთ პატრიარქის მრავლისმეტყველ მინიშნებას იმის თაობაზე, რომ ჩვენი ერი იღვიძებს, მაგრამ — ძალიან ნელა, თუმცა — შეუქცევადად.

და — კიდევ ერთ დამოძღვრას საშობაო ეპისტოლედან ამ-პარტავნობის დაძლევის თაობაზე, რომელიც წმინდა წიგნის მიხედვით, „ქედმაღალთ მუსრავს ღმერთი, მდაბალთ კი მაღლით მოსავს“ (იაკ. 4,6).

— 25 იანვარს 83-ის ხდებით. გრძნობთ რაიმე განსხვავებას 16 წლის რომ გახდით, იმ დაბადების დღესა და ამჟამინდელს შორის?

— პრინციპულად — არა, რადგან ბავშვობიდან სულ საქმეში ვიყავი ჩართული. ახლაც ვმუშაობ, ახალ წიგნს ვამზადებ გამოსაცემად. თუმცა რაღაც განსხვავება, რა თქმა უნდა, არის. იმ ჩემს ყმანვილობაში ოჯახში დავა და კამათი იყო, ექიმი გამოვსულიყავი, ინჟინერი თუ სხვა სპეციალობას დავვუფლებოდი.

ექიმობა ფერშლობით დამაწყებინეს. ერთხელ პრაქტიკის გასავლელად საავადმყოფოს მიგვამაგრეს. პირველად მორგში შეგვიყვანეს. ის დღე იყო და ის დღე. ჩემს დას, რომელიც მაშინ მპატრონობდა, კატეგორიულად განვუცხადე, რომ ექიმობაზე უარს ვამბობდი. რატომო? იმიტომ, მორგში ცხედრები რომ დავინახე, ისე შემზარა, მივხვდი — არ იყო ჩემი საქმე ექიმობა.

ასეც გამოვიდა (ელიმება).

წიგნი, რომელზეც ვფიქრობ, საქართველოში ჩემი დაბრუნების პერიოდს ეხება — იმ დროიდან დღემდე ჩამორთმეულ ინტერვიუებზე იქნება აგებული. გარდამავალი პერიოდის — მეოცე საუკუნის დასასრულიდან ოცდამეერთეს დასაწყისის ისტორია იქნება წარმოდგენილი. დოკუმენტური ისტორია.

ერთ დოკუმენტურ ფაქტს, თუმცა დოკუმენტით დაუდასტურებელს, ყვება ნუგზარ ფოფხაძე და საავტორო უფლების დაცვას კატეგორიულად მოითხოვს.

— პრეზიდენტის რანგში ედუარდ შევარდნაძის პირველი ვიზიტი აშშ-ში დამთავრდა. უკანა გზაზე დელეგაცია კანადაში შეჩერდა. პრემიერ-მინისტრმა მარტინ ბრაიან მაღრუნიმ დიპლმატიკით მიიღო შევარდნაძე. ესაუბრება და, როგორც იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის ავტორიტეტულ პი-

როვნებას, შესწივლებს იმ პრობლემათა გამო, რომლებიც კანადას ანუხებს და რომლებსაც დიდი მეზობელი — ამერიკის შეერთებული შტატები უქმნის.

— თუ გნებავთ, გავცვალოთ მეზობლები, — უპასუხებს სტუმარი.

ეცინება შევარდნაძეს და ეთანხმება მთხრობელს — ასე იყო.

დავუდასტუროთ ნუგზარ ფოფხაძეს საავტორო უფლება და ვთქვათ, რომ ედუარდ შევარდნაძეს მართლაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა იმდროინდელ საერთაშორისო პოლიტიკაში.

— გავა ცოტა ხანი. ნამოიზრდება სრულიად ახალი, ნეიტრალური თაობა, რომელიც შევარდნაძის როლს საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში სწორად შეაფასებს. უშეცდომო და უნაკლო არავინ არის, შევარდნაძის ზოგიერთი ნაბიჯი პიროვნულად ცოტა უსიამოვნო იყო, მაგრამ პრინციპულად მიმართული იყო საქართველოს გადასარჩენად და გასაძლიერებლად. ამ დროს პირადი ემოციები განზეა გასაწევი. ზოგს ეყო ვაჟკაცობა ამის გასაკეთებლად, ზოგს — არა.

* * *

ედუარდ შევარდნაძე კვლავ უსათვალოდ კითხულობს.

ჰოდა, გვიკითხავს ჰანს დიტრიხ გენშერის მიერ გამოგზავნილ მისალოცი წერილის თარგმანს, რომელიც ის-ის იყო შემოუტანეს:

„ბატონო ედუარდ,

მე და ბარბარა გულითადად გილოცავთ ახალ წელს და თქვენს ოჯახთან ერთად გისურვებთ ყოველივე კარგს. ფიქრებით ჩვენ ისევ და ისევ შენთან ვართ და საუბრისას ხშირად გახსენებთ.

შენ დიდი წვლილი მიგიძღვის, რომელიც ისტორიული მნიშვნელობისაა ევროპისთვის, ჩვენთვის — გერმანელებისთვის, განსაკუთრებით კი — შენი სამშობლო საქართველოსთვის.

დადგება დრო, როცა შენს ისტორიულ ღვაწლს, მიმართულს საქართველოს დამოუკიდებლობისკენ და, ასევე, ქვეყნის შიგნით მშვიდობის შესანარჩუნებლად, შენს საკუთარ ქვეყანაშიც აღიარებენ. როდესაც შენ შენმა ხალხმა გიხმო, მაშინ შენ დაბრუნდი შენს ქვეყანაში და შეძელი, შეგეჩერებინა საშინელი სამოქალაქო ომი. შენ რთული გზა განვლე და ეს ყველაფერი დარჩება ისტორიაში.

და რაც მარად შენ გეკუთვნის, ეს არის ჩემი მეგობრობა, ეს

არის უდიდესი პატივისცემა და მადლიერება შენდამი.
გულწრფელად მოგესალმები და გეხვევი,
შენი ჰანს დიტრიხ გენშერი“.

* * *

თემა განსჯისთვის P.S.-ის ნაცვლად
გაავლეთ პარალელები შემდეგ გამონათქვამებს შორის:
— გავა ცოტა ხანი. ნამოიზრდება სრულიად ახალი, ნეიტ-
რალური თაობა, რომელიც სწორად შეაფასებს შევარდნაძის
როლს საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში (ნუგზარ
ფოფხაძე).

— დადგება დრო, როცა შენს ისტორიულ ღვანლს... შენს სა-
კუთარ ქვეყანაშიც აღიარებენ (ჰანს დიტრიხ გენშერი).

„საქართველოს რესპუბლიკა“,
2011 წლის 25 იანვარი



ჩემი უზროსი მეგობარი

79 წელი ბევრი მოგეჩვენებათ, მაგრამ ბატონი არმაზ სანებლიძისთვის მრავალწლიანი გამოცდილებაა და არა ხანდაზმულობა — დღესაც ახალგაზრდული ენერჯითა და შემართებით ესაუბრება რესპონდენტებს, მიდის მივლინებაში და ამზადებს რეპორტაჟებს. ისეთივე შემართებით, როგორც ავღანეთსა თუ ჩერნობილში მიდიოდა საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელი, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიდიოდა კორესპონდენტად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ხელმძღვანელი; დღესაც ისეთივე ერთგულებით ემსახურება ჟურნალისტიკის პრესტიჟულ, მაგრამ მძიმე პროფესიას, როგორც ერთგულებითაც შეება ათწლეულების წინათ.

არმაზ სანებლიძე ქართულ ჟურნალისტიკაში წერის თავისებური სტილით გამოირჩევა. ახალგაზრდა კოლეგებსაც ყოველთვის საკუთარი სტილის

შექმნასა და დახვეწას ურჩევდა და ურჩევს, ოღონდ — მისთვის დამახასიათებელი ტაქტიკითა და თავაზიანობით.

ბატონ არმაზმა ათწლეულების განმავლობაში არაერთ წარმატებას მიაღწია და გულისტკენაც არ დაჰკლებია. ფორმაციათა ცვალებადობამ მის ირგვლივ მყოფთა ყველა ადამიანური სისუსტე, ყველა ნიშან-თვისება თვალსაჩინო გახადა და მასაც არაერთხელ დასწყვეტია გული უმადურობის გამოვლინებაზე. მაგრამ არმაზ სანებლიძის ღირსება სწორედ ის არის, რომ ყოველთვის ამ გულისტკენაზე მალლა დგას.

არმაზ სანებლიძემ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ჩემს არამხოლოდ ჟურნალისტად, არამედ პიროვნებად ჩამოყალიბებაშიც! წლები, რომლებიც ერთად გავატარეთ, ჩემთვის იყო პროფესიული ზრდისა და დახვეწის, იმავდროულად კი — ადამიანის სუსტი და ძლიერი მხარეების შეცნობის დიდი სკოლა. თვითშეცნობისაც, — თუ გნებავთ! ხან დამჯერი შეგირდი ვიყავი, ხანაც — ჯიუტი და თავნება, სიამაყე რომ დარევდა ხელს და აურევდა გონებას! მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი და ვგრძნობ ბატონი არმაზის მზრუნველობას და სიყვარულს; ეს არის უფროსი და უმცროსი მეგობრის ურთიერთობა, რომელიც უკვე 23 წელიწადს მოითვლის და ძალიან მეამაყება!

ჩემი წარმატება დიდწილად სწორედ არმაზ სანებლიძის დამსახურებაა!

დიდი მადლობა, ბატონო არმაზ! მეც მიყვარხართ!

ბონდო მკინარაშვილი,
მედიაკავშირ „ობიექტის“ მთავარი რედაქტორი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

სარჩევი

თავი I არწესვლის ჟამი

მაგუა ამიკაჯიგმა ქალაქ შეგვიქასა	5
ოთხმოცდაათის კვირაქალს	9
«მრავალნი არიან წაჩინებულ და მშიკადნი ჩივალ»	15

თავი II ლიტერატურა და სელოვნება

მწყვავალისთვის მიგიტანია წყალი...	31
«ორ სახარეო გამრილი წვიმა»	36
უხსო ნიტი, როგელიშ ქალაქის თავზე გამონდვა	44
ზეზის ბინადარი — ბია ყანელი 80 წლისაა	52
უქანესქელი გასტროლები სოსუეში	56
ქლონი სელისუფალი	63
ბელას გაელვაბა, ანუ ახსოვს ჩუსეთის ინტელიგენციას საქართველო?	76
დღეები, როგლებიშ მოგონებას შემორჩა	84
ლექსიდან ლექსში გადამორკებული ფორტოსლისფარი გზის ნათება	95
უწიხთა სუბტერაგით დაეხინჯებული ქალაქი	99
«რა სელმა ააგო უხსო დაუჯეებით»	110
თემო გომეაქ: საყაროს ენა მოულოდნელად იფთქეპს ადამიანებში	121

**გარინა ჯანაშია: ქარვია ის, რაზე სდგება, ახია,
ღირსნი არიან. რაზე ღათხანს, იმას იმკიან!** 128

თავი III მეხნიერება

**ოთარ ქვენიტაძე: საქართველოში
მეხნიერება თითქმის ალარ არსებობს** 141

**ავთანდილ არაგული: ეროვნულობის
ერთადერთი განმსაზღვრელი არის ენა!** 151

**ლაო გოქარიანი: სანამ მომხსალი ვარ, ვიტყვი,
რომ ბალტიის ქვეყნებში,
შუა აზიას და ამიერკავკასიას —
ყველა ერთად ჩვეი საგოგლოა** 159

ჩვენ ქოსოვოში გავადით 166

ქიგოს წინააღმდეგ — ახალი ტექნოლოგიებით 172

**გელა ლეჟავა: ნაკომათაო რაოდენობა
საქართველოში 20 პროცენტით გაიზარდა** 178

თავი IV საზოგადოება

**ფრიდონ თოღუა: რუსეთთან დანიშნულებების პოლიტიკაზე, როგორც
აგდანი ხანია,
გრძელდება, უგადუბებისა და ტრაგედიის მებო, არაფერი
მომვიტანა** 187

მამა ბართლომე: ყოფილების დრო დამთავრდა 196

«ბიქინა ივანიშვილს არ ვეთანხმები...» 206

სად არის არჩილ კვიციანი? 212

**ვინ ჩივდო ხელში პატარკახიშვილისა
და ქოღუას საზუბრის ჩანაწერი** 220

**ქიღავა ერთხელ პატარკახიშვილი-ქოღუას
საზუბრის ჩანაწერის შესახებ** 231

ნოდარ გიორგაძე: საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ღაბიკაბას, სავარდოვან ხვლიღაბას მოქღაბულია	238
გიიინა სონღულიაშვილი: გუბერნატორის შეღღაბ «ბონიკას» ვაკისხაღღი	245

თავი V ფისვიბი

ღიღი, კიიღაშვიღაბთან	261
ნაკენიღიბი კოკიღან არიან	272
ოღარ ქუხნაშვილი: ეს იყო რაღიღი!	284

თავი VI აფსაღეთი — ტკივილი ზვიღი!

«როგორ მარტო ღარინა ქაღაქი»	299
------------------------------------	------------

თავი VII საუქუნის პროექტი

ბოგეიღღა ვვირაბი — არა, მგგრაბ მარეაროღღს ზღვის ქვებ გეჭრიღი ვვირაბიღთ მოგრაქანღიღთ ვვროვაბი!	351
--------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------

თავი VIII რახ იყო

სიღღაღღო, როღღლსახ ოჯახი თიღიღის საუქანე არ ამხაღღა	429
----------------------------------------------------------------	------------

თავი IX განსენება

ქავი განსვიღსა ღა ღა გემოხღიღსა	437
* * *	
ღიღი უფროსი მემოგარი	445

